

პბილუეცაბჟუბი ყველა ქვეყნისა, შიშხილით!

ქართული
ენისწილობა

მნათობი


10

ყოველთვიური მხატვრული ლიტერატურული
მეცნიერული პუბლიცისტიკური ჟურნალი


წლიწადი მუხეთი

ოქტომბერი

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი 1928



473
56895



მ. ჯ. შკარბათი

მხატვრული ლიბრეტო



საქართველოს
ლიბრეტოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საკომპოზიტო თქმული ლექსი

ო არა მისთვის, ოქტომბერო,
ათასჯერ ნაქებს—
კვლავად გიგულებ ლექსებისთვის
საგნათ რჩეულათ,
რომ ყველას მიმართ
შერიგების სურვილი მაქვს მე,
ან ფეხი ჩემი
ბარიკადებს გადაჩვეულა.

ხან თვალს ვიბრმავებ
გუშინდელ ძმის გადასაცნობათ,
ხან წაეჯერებ ზოგიერთის
ვარამს და ტკივილს...

ვერ მიხმარია თავისუფლათ
ხუთივე გრძნობა,
ისეთი ჭრელი და სხვა და სხვა
ხალხი მყავს ირგვლივ.

და სანამ მათში ჩემი მკერდი
სუნთქვას განაგრძობს,
რა შემარიგებს!
სიძულვილი ჩემში ბევრია...

თქვენ იცით?
ყველას შესახებ ვწერ,
მაგრამ არასდროს,
ყველასთვის ერთი
სტრიქონიც არ დამიწერია.

ოქტომბრის ბზაზა

მუდამ, ყოველს წელს და ასე—დიდხანს
მე ოქტომბერზე მომიწევს მღერა,
ჰფიქრობთ—დავშურავე, ვსთქვათ, თუ წიგნს—დიდტანს
„ოქტომბრის ლექსი“ თავს დაეწერა?

რა არის ლექსი ანუ პოეზია
ოქტომბრის ერთ მძლე ამოძახილთან?
ქედი მოხარონ ყველა დროებმა
მსოფლიო შეგების კვანძთა ამ ხსნილთან!

იმისი დაზნის ერთ ძლიერს დარტყმას
თავს შემოველოს ყველა მახვილი!
მის მონაპოვართ თუნდაც ერთ აღთქმას
მტლად—„საუკუნო ჩემი ძახილი“!..

რომელი ერთი ამოვიჩემო?
ყველა ნაბიჯი მისი დიდია!
მზე რომ ტრიალებს მის გარეშემო
ან ღამით ცის რომ მთვარე ჰკიდია.

განა, ესენი მნათობებია,
ვით უწინ,—ისე ჩვეულებრივი?
მათ შუქზე ეხლა—სულ სხვა გზებია
და გზებზეც—სულ სხვა ახალი სნივი!..

და მიკვირს: რა რიგ დარდილა მიწამ
ასე მსოფლიოს გული თუ თვალი,
რა რიგ უპიზნებს ყველა ერთ მიზანს
და შეიყვარეს ოქტომბრის „კვალი“!..

აბა, გაბედოს თუნდაც ერთმა „ბრემ-
და სთქვას: „უარეყოთ დ.რ.ო.შ.ა—კ.ო.მ.უ.ნ.ა“!
ენაბოთ, რა უყოს თვისმა სიხებრემ,
ამ აზრით ენა ვინც მოაბრუნა?!.

ვით გაზაფხულზე ამდგარი ტალღა
 არის ძლიერი და წინ მორბედი,
 ისე ეს დრო შაც იწვევს სულ მალღა
 და მასთან—ჩვენიც: ქედი თუ ბედი!..

ვიცი, რომ სადმე ქარხნის დაფასთან
 ამხანაგ მუშას, ჩაქუჩით ხელში,
 მოვავაგონდები და მივალ მასთან
 მეც, გამართულ-ი მასავით წელში!

მივალ, რომ ყოველ ჩაქუჩის დარტყმას
 გავაქედინო გულშიც ხალისი!
 პოეტი, ეინც რომ აშორდა ამ ხმას,
 ო, რა რიგ არის შესაბრაღისი!..

ან და იქ, სადმე: ლოძში, ვენაში
 თუა მუშათა გამოსვლა, სწრაფი,
 განა, მე, ოსტატს ამ ხმის სმენაში,
 ჩამიჩუმდება ჩანგი ან დაჟი?!

ამ შემთხვევაშიც ლეჟი ლეწაა
 ქვეყნის მონათა ძველ ზორკიღების,
 იგი მათ ტანზე ძაძის წეწაა
 და დღე ახალ მზით დაქორწიღების!

ეს ხომ ოქტომბრით შვების ხმებია:
 საბჭოთა არის ის თუ მსოფლიო,
 მის გზაზე ჯერც კვლავ ზღუღეებია
 და მეც წინ ვიწვევ, რომ იმათ ვსძღიო!..

არ არის, არა—უკან დახევა,
 არ არის ჩვენთვის სხვა გზა, განური;
 არის ოქტომბრით წინსვლა და ძღევა,
 მისი გუგუნღი, მისი ყანური!..

ლ ა შ კ რ უ ლ ი

ჯაბის სასიხლავოთ

მტერთან ორგულ ბრძოლის გამო,
 კრული ხარ-და-ხარ.
 ვაეკაცი ხარ, ფრონტზე წამო,
 იარ მხარ-და-მხარ.
 კვამლის ბურწი სისხლით ლაქე
 მიწა ომის დროს,
 შინ ვინც დარჩა მოქალაქე
 ზურგი ამაგროს.

მხარზე თოფით, პირზე ნიღბით, წელზე ვაზნებით
 მივლენ წინ და, არ იხევენ ჩენი რაზმები.

მთა-ბარ-ველი დასახვერი
 ზვერე ღამითვე,
 თუ შენიშნო საღმე მტერი
 შეხვდი ხმალითვე.
 იყავ წყნარი, უშიშარი
 ტყვიის წინაშე,
 სად სანგარი ცის ქვეშ არი
 ჰპოვე ბინა შენ.

რერი-რერა, რერი-რერა, რერი ორერა.
 ომმა თოფი აგვიტლერა, გაზმა მოჰბერა.

ტანზე ქურქი შემოიგდევ,
 ჰქუსლე ქარ-და-ქარ.
 მტრის ჯარი ტყვედ ხელში იგდევ,
 იარ ჩქარ-და-ჩქარ.



ლურჯას მიეც თივა იჯრა,
 გასწი, გავარდი.
 ფრანგულმა თუ არ გაგიჭრა
 სიკვდილს ჩაბარდი.

მხარზე თოფით, პირზე ნიღბით, წელზე ვაზნებით,
 მივლენ წინ და, არ იხევენ ჩვენი რაზმები.

ვისაც უკლავს მტრის ნადირი
 ისევ იგი ჰკლავს.
 ხელთ ხმალი გაქვს, ნულარ სტირი,
 ნუ შეირცხვენ მკლავს.
 ბრძოლის ველზე არ შედრკება
 გმირი მძლეობა-მძლე,
 გმირსა შაჰრად შეერგება
 მშობელ დედის რძე.

რერი-რერა, რერი-რერა, რერი ორერა,
 ომმა თოფი აგვიღერა, გაზმა მოჰბერა.

ტ რ ა ქ ტ მ რ ი

ამ მინ ვერებს რამ შეგაჩევია
მიოხარი სიით მიგორავ!—
რკინის ხარო და კამეჩო
ჩენო ლაბავ და ნიკორავ.

ზევით ქალაა საირმე
ქეემოთ გაშლილა ბაღები...
მეგრამ ვიცი არ აირბენ
საძოვრად იალაღებზე.

შოლტს ველარ გიქნევ, ვერც საბრეს
ხედავ რომ მომეკრძალოთ
ან როგორ უნდა გიძრაბო
შენი სახნისის ძალოთ.

მიდიხარ ბელტებს მიარხვე
მკერდი ბალახმა დანამა;
შენებრს— რქა წითელს ვერ შეხედეს
მეხრემა ჩემისთანამა.

წინ ეს მინდორი მოგელის
მთის ხომ არ შეგეშინდაო?
გასწიე შენ შემოგველოს
ჩემი ლაბა და შინდაო.

გადღობელი ვარ იორო

სიმღერით, ლექსით, შაირ-ხუმრობით
 გზა შეუმჩნევლით უკან გვრჩებოდა;
 წყალზე უნაკლო მოკაზმულობით
 მეთევზეების დილა დგებოდა...
 და როგორც გლეხსა მოწვეულ რთველით,
 მისუყდებოდა თვალი იორთან.
 მაშინ ყოველი ბალახის ღერი
 თითქო ჩემს ტანზე ამოდოდა,
 ისე მთლიანათ ვიყავი მათთან
 შედედებული და გათქვეფილი.
 შაშვების ქახუახს და ჩხრიალს წყალთა
 უბასუხებდი ხმა-დაწმენდილი,
 უბასუხებდი თანაბარ ხმითა...
 თანვე ვფიქრობდი:—ჩემი სათავის,
 — რომელსაც მოვწყდი ბავშობის დღიდან—
 კვალს მოვაგენი—კვალი იქ არის...
 და ის მთელი დღე ისე ვათავდა,
 რომ სულ მეგროდა, უელიდი ველებს—
 აგერ ერთ ნაბიჯს კიდევ წავდგამ და
 ბედნიერებას წავეატან ხელებს.

ოქტომბერი,
 ტფილისი.

ზღაპარი და სინამდვილე

I

ყურძნის რთველიდან
 მოლდაველთა
 სიმღერებს ისმენ
 (ბესარაბული
 ამ დროებას
 ნატყრით მოელის)
 დღით დედა-მიწა
 აქ უწეოთ
 როგორ მოითმენს,
 ღამით კი მთვარე
 შუქს თენს ყოველს
 ვერცხლათ მთოველი.
 დღამებისას,
 როს ზღვის მკერდი
 მოოქრულია,
 როს მზე ბანაობს,
 ჩაწეება
 და ჩეძინება,
 აქ მოლდაველი
 მაშინაც კი
 მხიარულია:
 ცეცვა, სიმღერა
 და ზღაპრები
 ბეგრი ითქმება.
 ერთი ზღაპარი
 მეც მსმენია
 შესვენების დროს,
 როცა ვენახში
 მარტო დავარჩი
 მოლდაველ ქალთან.
 და ამ ზღაპრის გმირს,
 ტანჯულ ხალხის
 ერთგულ წინამძღოლს
 მე ვადარებდი
 ფრთებდატყეხილს

შევიარდნენ ხრამთან,
 სადაც დაპრილი
 კლდის ნაპრალზე
 მკერდს ახეთქებდა,
 თაფისუფლების
 მოტრფიალე—
 ცაში მფრინავი,
 სადაც ის ერთხელ
 ძალმოკრეფით
 მალა იწვედა,
 რომ დამტყდარიყო
 ღალ ფრენაში
 მზით და ნიავეთ,
 და მოხუც ქალის
 (სახე მჭინარის)
 ეს ხმა მომესმა:
 „რათა ხარ ლექსო
 ასე ცივი,—
 ფიქრებიანი?
 ნუ თუ დასერა
 შენი გული
 ცხოვრების წესმა
 და მიწიერი
 დამჭრი ცაში
 როგორც ფრთოსანი...
 აჰა, ისმინე,
 გეტყვი ზღაპარს
 ძველი დროიდან,
 რომ შენს სულს ცეცხლი-
 მოეკიდოს
 და გაიხარო.
 მან გაილიმა,
 ოფლის წმენდით
 მომიაბლოვდა
 და კაკლის ჩრდილში



ვით შეიღს დედა
 მომიჯდა ახლოს.
 „უხსოვარ დროში—
 ძველათ, სადღაც
 ხალხი ცხოვრობდა,
 ხალხი ჩვენ გვგავდა,
 მოლდაველებს
 ყოფი-ცხოვრებით;
 ხალხი ძლიერი,
 მზიარული,
 მზით რომ ხარობდა,
 ხალხი შრომაში
 ბედს რომ ქმნიდა
 დღე-ღამ სწორებით...
 და იმ ქვეყანას,
 სად ის ხალხი
 ფლობდა მიწა-წყალს,
 სამივე მხრიდან
 შემორტყმოდა
 ტყე გაუვალი,
 მხოლოდ ერთი მხრით
 გასავალი
 გავდა ღია კარს,
 საით მოსჩანდა
 მთა—მინდვრები
 უწყვედნი თვალით ..
 და იმ ქვეყანას
 გაშლილ მხრიდან
 მოადგა მტერი,
 მტერი ძლიერი,
 სისხლმწყურვალე,
 ურიცხვი ჯარით,
 ცეცხლში შთაინთქა
 ხაოფლარი
 და ყველაფერი
 და შეიღება
 მიწა სისხლის
 ტბორით და ღვარით...
 ლტოლვილნი ტყეებს
 აფარებდენ
 თავს ბედის წყევით.
 და ტყის ტბორები
 გააწითლა
 დაღვრილმა სისხლმა,
 უგზოთ და უკლოთ
 მიდიოდენ
 გამწარებულნი
 და გულს იმედი
 ჩაიმარხეს—

უარყვეს წინსვლა...
 როცა შვიდლისით
 მზე აყრიდა
 ტყეს უხვად სხივებს
 და ამყარებულ
 ტბორს და ჭაობს
 შექს დააქრიდა,
 ისეთი მშობრი
 დადგებოდა,
 რომ დატანჯული,
 უმწეო ხალხი
 კვენესა-ოხვრით
 ცხარე ცრემლს ღვრიდა....
 ამ დროს გაისმა
 ხმა ძლიერი
 ქექა-ქუბილით:
 —„ისმინეთ, ძმებო!
 ამ ჩვენს ტანჯვებს
 ბოლო მოეღოს!
 გვიყოს, რაც დღემდის
 დაგვიღვრია
 ცრემლი წუხილით,
 ახალ ცხოვრების
 დრო არის რომ
 კარი გაგვეღოს..
 ჩვენ გვაქვს ორი გზა:
 ერთი—ბრძოლის,
 გამარჯვებისა,
 ეს გზა წინ გვიდევს
 და მიგვიყვანს
 ნატურულ ქვეყანას,
 ამ გზით ჩვენ უნდა
 თან ვატაროთ
 გული რწმენისა,
 ამავე გზითვე
 მოვიპოვებთ
 ბედნიერებას...
 არის გზა მეორეც,
 გზა ამ ტყეში
 ძრწოლის და ტანჯვის,
 საცა სიცოცხლე
 მოგვშხამია და ვიღუპებით.
 ძმებო, რწმენისთვის
 ვინც მზათა ხართ
 და ვინც სისხლს დაღვრის,
 ისმინეთ ჩემი
 ეს ძაბილი
 და ეს სიტყვები...
 ხალხი შეინძრა,

აზოჩქოლდა
 და ერთხმად ითქვა:
 — დანკო, შენა ხარ
 ჩენი მხსნელი,
 იყავ წინამძღვრად!
 დანკო, გაგვიძებ,
 ვერ შეგვიკრთობს
 შავ-ბედის რისხვა.
 დანკო, ო, ნუ თუ
 ჰაერს, ცას, მზეს
 ზენ კვლავ ვიხილავთ?“.
 და ხალხის ლტოლვა
 გადაიქცა
 ძლიერ სტიქიით.
 გადაიფანტა
 შაეი ნისლი
 უიმედობის,
 დანკოს გულისთვის
 დაიოტყამდნენ
 გულში ცხელ ტყვიას,
 და ბელადს დროშა
 ჩააბარეს
 ბრძოლის და წინსვლის.
 დღე და ღამ ხალხის
 შიზან-სწრაფვით
 იყო დინება,
 კვლავ ტყე უღრანი
 და ღრილი
 მომაკვდავების,
 ოხვრით და კენესით
 დედის წყვეა,
 ლანძღვა-გინება
 და ქაობები
 ავსებული
 ურიცხვ გვამებით...
 და არ უჩინდა
 ტანჯვებს ბოლო
 და დასასრული.
 ტბორების შპორი
 ხალხს ტანჯავდა
 და სოფლს უბზობდა...
 და მწარე იყო
 აწმყო ისე,
 როგორც წარსული,
 მომავალზე კი
 მხოლოდ ერთი
 დანკო ფიქრობდა.
 — მტერი ყოფილხარ,
 მატყუარა

და მოლაღატე.
 ნუ თუ შენ ფიქრობდა
 არ მიიღებ...
 სამაგიეროს?...
 წამოგვიყვანე
 რომ ჩვენს ტანჯვებს
 ტანჯვა უმატო?
 სად არის შენი
 დაპირება,
 გვითხარი, მტერო?
 და შემოერთყა
 ბრბო გარშემო
 განრისხებული,
 ვინ მუშტს უღერდა,
 ვინ კეტს, ვინ ქვას
 ჩასაქოლავათ.
 დანკო კი იდგა,
 ვით კლდესავით
 მზნით ამართული
 რწმენით აღსავსე,
 რომ ხალხისთვის
 იყო მუდამ მზად.
 „მეზო თქვენ ფიქრობთ,
 ვარ გამცემი
 და მატყუარა,
 რომ მტრობა თქვენი
 განვიზრახე
 ამ ჩემი გულით,
 მაშ, თუ ასეა
 ჩემი გული
 გადმოსკდეს ღერად
 და თქვენი რისხვით
 წყვეულ ვიყო
 და დატანჯული“.
 სთქვა მან და ხელით
 გადიღადრა
 მარცხენა მკერდი,
 ამოიგლიჯა
 სიყვარულით
 მფეთქავი გული
 და ხალხს შესძახა:
 „მეზო, ხედავთ
 ამ გულს? მისინეთ!
 განა მეუ თქვენთან
 არ ვიყავი
 მარად ტანჯული?
 მაგრამ, თქვენ დღეს კი
 მოლაღატე
 გკონივართ თქვენი.



თქვენ, ცდებით, ძმებო,
 დე, ამ გულმა
 ეს დაგიმტკიცოთ.
 სიცოცხლეს გწირავთ
 ოღონდ იყოთ
 მუდამ მოძობენი,
 ოღონდ თქვენს გულში
 ისევ რწმენამ
 დაისადგუროს“.
 და დანკოს ხელში
 საკუთარი
 გული ეჭირა,
 რომელიც მზისებრ
 არე-მარეს
 ნათელ შუქს ჰვენდა
 რაც ხალხს იმედით
 სოფენია
 და ჩაეცირა.
 ხალხი კვლავ დანკოს
 მიმართავდა
 ქება-დიდებათ:
 —დანკო, შენა ხარ
 და იქნები
 ჩვენი ერთგული.
 ეს გული ისევ
 შენთვის ფეთქდეს
 ჩვენ გზას გაუქვლევთ.
 შენთან ვიქნებით
 ჩვენ ყოველთვის
 გაბარჯვებულნი,
 შენი იმედით
 ჩვენ აწ უკან
 აღარ დავიხევთ.
 დანკო კი იდგა
 სისხლ-დაცლილი
 და მომაკვდავი
 მხოლოდ მოასწრო
 ეთქვა: „ძმებო,
 ჰა, ჩემი გული—
 და ის გადასცა,
 მას, ვინც იყო
 ხალხის მოთავე,
 ეს სთქვა და დანკომ
 განუტევა
 იქავე სული.
 ხალხი დაღონდა
 და გააფეფდა
 გარშემო სევდა,
 მაგრამ მოთავემ

გადსძაბა
 ხალხს მალაღი ხმამაღალი
 ძმებო, სიკვდილს
 წინამძღოლის
 გვარგუნა ზედმა,
 მაგრამ განეაგრძოთ
 ჩვენ სელა მისი
 არჩეული გზით!
 და ხალხი ისევ
 დაიძრა და
 ტყუც ახმაურდა.
 წინ ძიდიოდა
 ხელში დანკოს
 გულით მოთავე
 წინარიგელებს
 ხელეც გასკენით
 გვამი მიჰკონდათ
 და თან იტანდნენ
 ტანჯვით საფე
 შაფყოფას მწვავეს...
 დრო მიდიოდა
 და არ სჩანდა
 ახლოს მახანი
 ხალხში ვილაკამ
 კვლავ დაიწყო საყვედურები:
 „თურმე არ არის,
 ტყუილია
 მხარე მზიანი,
 როგორც ვუკოფილვართ
 კვლავ ვიქნებით
 დატახტულები“.
 ამ დროს ცის კიდურს
 ხალხის თვალი
 გამოეკიდა,
 ტყე შენიჩხურდა
 და გამოჩნდა
 მთის მწვერვალები,
 აგერ მდინარე
 მომხულოდა
 ბროლივით წმინდა,
 აგერ ველები,
 საბალო და საყანეები,
 და ამ მიდამოს
 ხალხი ტყიდან
 შემოესია, —
 იყო უსაზღვრო
 სიხარული
 და ნეტარება,
 დანკოს სახელი

წამდა ყველას
 როგორც შესია,
 და იტაცებდა
 თვალს სიციცხლის
 გამოდარება...
 — ძმებო, ისმინეთ!
 მეთაურის იყო
 ძაბილი
 — დანკოს საფლავზე
 მისი გული
 ავაგოთ ძველათ,
 ძვირფას საფლავთან
 კრძალვით ვიდგეთ
 თაღდაბრილები,
 რომ მისი ხსოვნა
 მუდამ გულში
 ვატაროთ ცეცხლათ!
 — „მოსაწონია
 მეთაურო
 ეს შენი აზრი“
 დაიგუგუნა

ხალხმა ერთხმად
 დანკოს საფლავთან
 მას შემდეგ „გულ-შტე“
 გმირის საფლავს
 „ცეცხლ-ჩიტათ“ აზის,
 და ის ქვეყანა
 ცეცხლით და მზით
 გადაინათა.
 და ხალხი იყო
 ბედნიერი
 და ნეტარებდა,
 მტრისგან დაცული
 ცამდის აწვდილი
 მთის წვეფრელებით,
 წარსულ ტანჯვებსა
 მოგონებით
 რომ იქარებდა,
 საამო შრომით
 მიზნით, რწმენით,
 ახალ აზრებით“...

შემდეგი იქნება

მ ზ რ ქ ა

გაგრძელება *)

ინგლისელს მწერალს მსურს ვთხოვ: მისტერ! თქვენ მსოფლიოში ხართ ისე თეთრი რომ უფლება გაქვთ არ გაირიყოთ, როგორც პოეტი და გეომეტრი. თქვენი გახედვა სავსეა მოკვლით, ის ჰიპერბოლებს არ აგვიანებს: თუ ლონდონიდან სიტტის მონოკლით მთვარეზე იკვლევს ადამიანებს. და მერე როგორს? თვითფულს მათგანს წარმოდგენისას აშორებს ფაზისს ჰიპერბოლებით დასერაეთ ათგან; თვითფულ მათგანს ეს დალი აზის. აი: იქ მცხოვრებს სწავლულს უდიდესს შუბლი აქვს რაღაც უზარმაზარი. მაგრამ როდესაც აიხდის რიდეს, სხული მკლეა და შესაზარი. კოლოსალური, მძლავრი სპორტსმენი, მსხვილი ძარღვები, კუნთები, მკლავი, კოლოსალური სიდიდის ტანი და უიმედოთ პატარა თავი. ვარსკვლავთმრიცხველი სიბრძნეს შეება, ძველთა ფორმულათ რისხვით დამშენევი მის თვალში აქვს დიდი, ვეება და ფიგურა კი ძლივს შესამჩნევი. კვლავ შედარება უფრო იზრდება, თქვენი გენიაც უფრო მკვეთრია, და გვევლინება ჟურნალისტებათ, რომელთ ხელები — ეილომეტრია. მისტერ! თქვენ ამბობთ მართლა ქაოსებს, ჰიპერბოლებით ასე ჯვარცმულებს, კიდევ გვაღვლებს, კიდევ გვაოცებს, მაგრამ ვერასჯნით ვერ დაგვარწმუნებს. შეგისწავლიათ თქვენ მარსიც ასე და რომანში გაქვთ სიტყვა ჩართული რომ გიგანტები ცხოვრობენ მარსზე და მათი ენა არის... ქართული! გმადლობთ! აი ეს იქნებ სწორია. უუძველესი ქართველთა მოდგმის გცოდნიათ ენა და ისტორია, მისი კულტურის, მისი გამოთქმის. იწუნება გვითხრათ, რომ უფრო სრული, ამ აღმოჩენის იქნას, ეფექტი: მარსზე გამოთქმა არის ქართული, მაგრამ ქართულის რა დიალექტი?

საქართველო მსოფლიოში შესვლით ბორკილების მეტს არაფერს ჰკარგავს შეიცვალა ახალგაზრდა შეცვლით და წინანდელ საქართველოს არ ჰკავს; გადაიფანტოს ფიქრებიდან ნისლი, დაიხსომე კიდევ უფრო კარგად — აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლით ბორკილის მეტს ის არაფერს ჰკარგავს.

*) იბ. „მნათობი“ № 8-9.



ქართული
წიგლისწამბა

რევოლიუცია არის გრივალი, რევოლიუცია არის სტიქია
რომლის სისწრაფე და ძლიერება, არ გწამს, არც გჯერა, არ გაგიგია?
რევოლიუცია არის ქარბუქი, იგი მაისის არის დამღვევი,
რა დაუნდობლად განადგურდება—ყოველი მისი წინაამდევნი
იგი ადვილსა და განაჩინებას აუცილებელს მიუზღავს მის-მისს—
მთი მიზანი ერთად ერთია—დასძრას ეპოქა სოციალიზმის.
შორი მომავლის არაა ხანა, როს დაღადდება ღელვა რღვეული,
ეს ლოზუნგია დღევანდელი დღის; ეხლანდელია და ძირეული.
ასეთნაირი დიქტატურა ჰქმნის აუცილებელ გზას და პირობას
მისკეს ახალი შარავანდები ჩვენი ეპოქის უძლეე გამირობას
იგი დაეძებს შესაძლებლობებს, რომ მწარე დროის უარყოფელი,
მტკიცედ დაადგეს განახლების გზას ჩვენი ქალაქი, ჩვენი სოფელი.
ეს შეტად ძნელი არის მიზანი, საქირო არის დიდი მძლეობა,
გამოიყენოს მუშათა კლასმა ისტორიული მემკვიდრეობა.
ეს სულ არ არის ისე ადვილი, როგორც ჰკონია თვალებს მხიარულს,
უცებ დაამზოს ბურჟუაზია და შებვდეს მხარეს ინდუსტრიალურს!

აი ფაშისტურ პოლონეთის ცას გადაეფარა შავი ბურჟული
ღრუბლებს ცეცხლივით გაეკრა ელვა მრავალ სისხლიან ღამის მთევარი
გავარდა მებნი სწორედ იქ, ცენტრში, სად ქარხნის მუშა სდგას გამურული
და დამზავრელის ნახევარის წინ დღეს დაჩაგრული სდგას ნახევარი
უნდა დაინგრეს და შეიცვალოს, უნდა განახლდეს ჩვენი პლანეტა
განა არ კმარა: რაც ის მონობის გაუნღლებელ ქარში იცდიდა
სულ ცეცხლის ფერით შეივსოს ფერი სილავეარდეთა და სიმწვანეთა
გაუმარჯოს ღამს, ვაფიცვებისა და ბრძოლების დღეს რომ განიცდიდა.
გაუმარჯოს დროს როცა ვეზუვის გული ამოხეთქს ერთხელ სრულიად
პროლეტარული წყევლა და კრულვა რომ დააცხრება დღევებს სავსებით
მრავალთა მხარეთ ეხლაც, შეხედეთ, ცა მოლოდინით დამურულია,
შემოსილია ფაშოზმის სუსხით, დაფარულია მღვრიე ხავსებით.
აღსდგეთ, დროა! გამოაფხიზლების ყველგან ნიშნები არის უდავო!
იმ კაპიტალის მძიმე უღლისგან არსად არ არის დარის დარება
ყოველ მის ნაბიჯს, ეხლა კი დროა, ხურდა ხურდაზე ვადაუთავო
ემზადე ბრძოლის დასაწყისისთვის, იქნება სუსტი და გამწარება.
მრავალ ათასთა პროტესტის ჩემი გამოღვიძების ბგერაა თვითონ
თვითოეული ხმა დაბუგულია აჯანყებათა მძლავრი ღრუბლებით
ძირს მუქთა ხორა! სთქვით, მშრომლებმა ეს ბორკილები რად უნდა ზიდონ
რისთვის არ უნდა ჰქუხდეს ქვეყანა პროლეტარული ძალაუფლებით
ჩვენც თქვენთანა ვართ! დაკოჩრილ ხელთა გამწარებულთა წყება მრავალი



იგი მუქარას უთელის კაპიტალს, იგი ბრძოლისკენ მიეჭკარება, კმარა დუმილი და მოთმინება. მისია მხარე და მომავალი უოველ ასეთგვარ ქარიშხალს მოაქვს შრომის სუფევის აღიარება. გრანდიოზული ფაბრიკა-ქარხნის, მაგების სუნთქვა უცებ დასრულდა არ ბოლავს მილი აშენებული, დამონებული ქვით და მიწებით ჩეულებრივი დღეების რკალებს ვასცდა გაფიცვა და გაბასრულდა მეორე დღისთვის დღე ემზადება—მოლოდინითა და მოწიწებით. უხარმახარმა წინდის ფაბრიკამ, მოშორებულმა გუთანს და სახრეს ელვის სისწრაფით რო აისროლა, უკანასკნელი თავისი წინდა — თითქო უეცრად მან ყური მოჰკრა, რალაც დიდებულს, რალაც უალრესს უკანასკნელი დასძრა ქსოვილი და სიწუმეში იგი გაყინდა.

ბევრი ღიმილი მინახავს ქვეყნად, ბევრჯერ დამწვაა ღიმილით გული ერთში დაგმობა გამოითქმოდა და მეორეში კი სიყვარული. შე ვიცი სახე, რომლის ნაკვთებზე მხოლოდ სატანის სული კრთებოდა შხამით და გესლით უძგერდა გული. იგი კი მაინც იღიმებოდა. ახლა შენ განსოვს მისი ღიმილი, მითრთოლვარე როგორც მაისის ვარდი შენ არ უყვარდი და მაინც ისე იღიმებოდა თითქო უყვარდი. ზომ არის ხალხი: თელწინ უწყევით ცხარე ბრძოლაში მოკლული ძმები ან დროს ვინ უნდა იღიმებოდეს? მხოლოდ თუდა და გამცემლები. არის ნალველი! ის მეფობს გულში, ყოველ ფიქრთა და ნატვრათა მძლვეი მხოლოდ ნიღაბი ფარავს ამ ბოლმას: ეს ღიმილია ნაძალადევი. დადის ღიმილი საბედისწერო, ეს ღიმილია ეხლა ჩვეული, ის ისევე ნისლს მიეფარება, ნისლიდან ოდნავ გამოჩვეული. გაფიქრებს ბევრი იდუმალება, გაშინებს რალაც მაგრამ თან გზიბლავს იგი სავსეა მიმზიდველობით რომ შემდეგ გული უფრო მოგიკლას. ჩვენ კიდევ ბევრი ვიცით ღიმილი, არც მზიარული, არც მოწყენილი თითქო მტრედია მართლა უმანკო და გულუბრყვილოთ შემოფრენილი. გულს ჩავგრჩენია ერთი სიცხოვლე, ვერ წაშლის თვითონ სტიქიის ჩრდილი და არასდროს არ დაგავიწყდება, რადგან ის დედის არის ღმრთი.

რაც მწარე იყო წარსულისადმი უკანასკნელი შენი თაყვანი შენს სიყმაწვილეს სიბერე სცვლიდა—თავისუფლების შეილის აკვანი რა რიც ბადებდა უიმედობას — უფველესი ოჯახის თინი საკუთარ რწმენას ქმარი გართმევდა და საკუთარ გულს ბავშის ტოტინი. ეხლა (როგორი დაგვიანებით!) დრომ მოვაგონა შენ შენი ვალი ხარ თანაბარი იდამიანი, უფლებიანი მშრომელი ქალი. როდესაც სოფლებს ვეთხოვებოდით მისი გვასსოვდა მწუხარე თვლი ჩვენ გვესახოდა მებრძოლ ქალაქის დიდი დიდება და მომავალი. გვეძახდა დიდი რევოლიუცია, გვეძახდა ქარხნის უძლვეი ტინი გვეძახდა ბრძოლა, გვეძახდა ენება, დაფნის გვირგვინი.

ჩვენ წამოვედით, სოფელი დარჩა! და გულში ვამბობთ რასმეს ნატურის გვარს აშორდეს ქოხი ჭირს, დამარცხებას, ბედის დაცინვას მწარეს, მსახურს. გვეგონა განა რომ იქ მისელამდე ათასი ყანა, ათასი მდელო გასწვდდა იქით, საითკენაც გზა კულტურულია და სამრეწველო? ის როგორ მოხდა, რომ სოფლის გულში, ადგილი არ გაქვს, სულო ციერო. აღარა შეგვრჩა ძველი მიზანი, აწ რადიოა სამავიერო. აღარ არსებობს იგი დემონი, ის ბრძოლითაა დასუსტებული იქნება ძალას იკრეფდეს ისევ რომ დაუწყწოს მსოფლიოს გული? სხვანაირ წიგნთან ჩაგვიძინება და ძილში გესმის სხვაგვარი ჰანგი გამოერკვიე! შგონი კიდევაც კარებს მოადგა მუხლუხო ტანკი.

იყო ადვილი წარმოსადგენი: ყოველ საათის საზრუნავ დღესაც, უფრო და უფრო იარაღდება ევროპის საქმე, ევროპის პრესა. სჩანს რომ არავენ დაჰყრის იარაღს, ომს ადარებენ უტკბილეს ლენონს მაგრამ ტურნირზე გააფთრებულზე არ წაუგია ბრძოლა ლიტვინოვს. და საბოლოო სიტყვით გამოდის მხოლოდ აზრდილი თავმჯდომარისა ის, გარეგნულად ზრდილობიანი, ამ დამარცხებას გრძობს უარესად. ის ყველაფერით კმაყოფილია. ლიტვინოვი კი, ცბიერი პარად, მადლობას უხდის მხოლოდ სამღივნოს და ერთალიგის მუშა-აპარატს. რაო? მადლობა? და კეშენდენი, ლორდი, მოკლული, ჰგავს რალაც მინუსს ო, რა თქმა უნდა! ამ შემთხვევაში ის ეთანხმება ახლა ლიტვინოვს. ო, განცხადება კეშენდენისა, ეხლა ხომ მთელმა მსოფლიომ იცის უკანასკნელი შენი სიტყვები რისთვის იწვევდა მსოფლიო სიცილს. და ამერიკის კორიანტელში ხომ გაზეთებმა იკივლეს ბეგრი: ამერიკული იყო მანევრი, რა მშვენიერი იყო მანევრი. „ნიუ-იორკ-ჰერალდ-ენდ ტრიბუნ“-იდან „ეს იყო ფარსი—ისმის ძახილი ისეთი, ჯერ რომ არ გაჩენილა მშვიდობიანი ყოფნის სახელით. იქ ხომ ევროპის დელეგატები იქცენ ფიქციად და ფერიებოდ ვერ ჰქნეს ბერნსტორფის და ლიტვინოვის იერიშების მოგერიება. რა საჭიროა სიცხადის წერა? თეთრი-თეთრია, მშვენიე-მშვენიეა გავიდენ სუფთად ამ კამათიდან მხოლოდ რუსეთი და გერმანია. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-მა გრაფში — „ქენევა“ — ფართოდ გაშალა კინო-ლენტები. რომ იქ ბერნსტორფმა და ლიტვინოვმა გაანადგურეს ოპონენტები. რაზე ფიქრობდენ ოპონენტები? მათ, რა თქმა უნდა, ძლიერ ეწიდათ სესია ასე გამოეყვანათ რომ დამარცხება არ განეცადათ. ეხლა გააფთორდა პრესა პარიზის. რა შეცდომაა—ლეღავს „ფიგარო“ ეს ხომ... ო, ეს ხომ პროპაგანდაა, არავენ ახლო არ მიიკარო. დრო დაიკარგა, აზრი, პრესტიჟი, ჰკივის „გოლუა“ ბუკს და ნალარას. ამ ღრინანცელში დაესხა ლაფი, ვაი, ევროპის სუფთა ჭაღარას. ო, ლიტვინოვმა სესიის მღვრიე, გაუშვა სისხლი გამოსადენი იქ კეშენდენის დიპლომატია რა ბედენაა—ამბობს „მატენი“.



ეს ბრძოლა დათესა და ვეშაპს შორის, გათავდა დათვის სათადარიგოდ
ზინოვიევის წერილებიდან, ეხლა სხვა აზრი უნდა გავიგოთ. ^{ერეკლე}
„ფიგარო“ „ვოლუა“ „მატენი“ „ვერი“ ამ ტურნირის შეფთვდა ^{უხუცესი} მჭერის
ისინი კენესენ, ჩემ სიხარულში „ლუმანიტე“ ხომ არის და არის!
ეზაურება ტურნირს ბერლინი, ის, დაუესის პლანების კერძი
თვალმაქცობაა ამ ენეგეაში, საბოტაჟია—ამბობს „ფორვერტსი“
რა უდიდესი მოხდა ფიასკო! თეთრი-თეთრია—მწვანე-მწვანეა
გავიდენ სუფთად ამ ტურნირიდან მხოლოდ რუსეთი და გერმანია.
არის ადვილი წარმოსადგენი. ყოველი საათის საზრუნავ დღესაც
უფრო და უფრო იარაღდება, ევროპის საქმე, ევროპის პრესა.

იყბედონ სანამ მოსწყინდებოდეთ. ან რას შეისმენს ქვა და კედელი
არ მონახულა ჯერ კიდევ კაცი ქვეყნის ლაგამის გამომქედელი
ჩემს გვერდით, აქვე მდიდრულ დარბაზში მშვენიერ ასულთ წყება ცქრიალებს
სიხარულია. აღტაცებაა და როიალიც მწარედ გრიალებს.
სულ სხვა ხალხია! ნეტავი იმათ, რომ უზრუნველად ლხენით სტკბებიან
და მეშინურად, სუფთად და წმინდათ ახალწელიწადს ეგებებიან.
ის კი, ბოგემა, მწარე შიმშილის და სიცივისაგან თუ დარჩა ტემა,
კნაყოფილთადმი მარადი ზიზლის და ნგრევის ჰიმნებს შექმნის ბოგემა.

რამდენჯერ სძებნა ომში სიკვდილი. შეიჭრებოდა. გულს ღელვა ჭფლობდა
მტერს მუსრს ავლებდა ხმალამოწედილი მაგრამ მტრის ხმალი ევრაპოუსლობდა.
შეებებოდა გუნდს მხოლოდ ერთი, ამჩნევდა: ხმალი დაგვიგვიანდა.
თითქო სიკვდილის შოვიდა წამი? მაგრამ სიკვდილი არსაით სჩანდა.
ახალი გზა ჩვენს წინ გაშლილი, ახალი შრომით—გადაფენილი
ჩვენ წინ მივდივართ, და მთელი ხანა, ხომ გაკვლეულად არის შთენილი
არის გზა, ჩვენგან ჩვეული გზა, გაჭანებათა ახალი ველი,
სადაც იწყება აღთქმული მხარე, სადაც ქვეყანა თავდება ძველი.

მე ამ წიგნზე რა უნდა ეთქვა ბევრი, შულგინია, რომ იმღეროს ნაინას
სახელმწიფო სათათფიროს წვერი, რედაქტორი გაზეთ „კიევილიანი“-ის.
მაგრამ ნიქის უჩვეულოს მქონე, იკითხება წიგნი როგორც რომანი
თითქო სწერდეს სტიქიური ღონე, მონარქისტის, სულ სხვა ეროტომანის.
გადანგრეულ შენობას ჰგავს წიგნი, სურათები სურათებს სცელის მრავალი
როცა მძლავრი ომი იყო შიგნით და იბრძოდა მეფეთ შთამომავალი.
აქ იშლება ცხრას ოცი წელი, შულგინი ხან დენიკინთან არის
ხან წითელ ოდესიდან ელის, დაქროლებას სხვანაირი ქარის.
ხან ისევ თეთრებშია, კაცია, ხან მის საზღვრად „მშვენიერი“ პოლშაა
ისევ დევნა ისევ ემიგრაცია, იგი ეხლა კონსტანტინოპოლშია
იტრიალებს ის განცდათა მორევს, ისე ამბობს თითქო შენ განგიცდია
მაგრამ მალე გრძობები რომ მორევს, ის შულგინი მაშინ... მონარქისტია.
იდებები წიგნს გაყვება ზოლად, მას გამოჰყავს, რომ არაეინ დაჰკმოს
რომ წითლები აკეთებენ მხოლოდ მონარქიზმის უსათუო საქმეს.

რის წითლები, რასი თეთრი! ყველა ომებისა რომ გაივლის გროვად
 მისი აზრით, თუნდ წითელი ერქვას, ერთი კაცის დიქტატურა მთელი
 რა შეაშია კოლექტივი, კლასი? ძვალრბილში აქვს რუსეთის ერთი ქარი
 იმას გინდა რომანოვი ერქვას, გინდ სრულიად სხვანაირი გვარი.
 ასეთია ამ შულგინის „აზრი“ და ამ აზრთან ღმერთმა შეაბეროს.
 მისი ბენდი, რომ შორიდან ამზობს... საზღვარგარედ კი რაც უნდა — სწეროს!
 თუ ასეა, რად არ მოდის ახლო საზღვარს იქით გაქცეული ტურა?
 ნახოს რუსი როგორია ახლა, ვისი არის მართლა დიქტატურა.

ებლაც თვალწინ იგივე ათასცხრაას ხუთია
 მახსოვს, როცა ქალაქებს ცეცხლში შემოუტია
 და დამარცხდა დროებით დროშა სხსხლით ნადები,
 დასცხრა რევოლიუცია, დასცხრენ ბარიკადები;
 მაგრამ გმირმა დაჭრილმა იმ განწირულ გზიდანა
 დროშა მტერს არ დაუთმო და ჩვენ გამოგვიტანა
 და ის კენესით ამზობდა: აბა, ჩქარა ცხენები
 იმ მთას იქით, ტყეს იქით რომ არიან ჩვენები
 დროშა გადავუტანოთ მრავალბრძოლა ნახელი
 საიდუმლოთ, დროისთვის, ჰქონდესთ გადანახული
 და ჩვენ ორი, იმ წამსვე ლამის ფრთხილი ფიქრივით
 ძვირფას დროშის ამირა ბნელი ღამით მივექრივართ.
 ბნელი ღამით მივექრივართ, მწარე სურათებია
 დამსჯელ რაზმებს სოფლისთვის მიუყურადებია,
 გზაზე სახლი, ბელელი, ყველაფერი სრულიად
 გაზივებულ ალისგან განადგურებულა,
 ბნელი ღამით მივდივართ. მწარე სურათებია.
 დამსჯელ რაზმს შევეტყვივართ, დაუყურადებია.
 „ჩუ, ვინ მოდის? ესროლეთ; ისინია? ისინი!“
 ყურთან, თავზე, გარშემო ისმის ტყვიის სისინი.
 ჩვენ მიუშვით სადავე. მოვიბარეთ, აი და —
 ამ ტრიალო მინდერებში ჰაიდაა! ჰაიდა! ჰაიდა!

შემდეგ ტყიურ ყვავილებით ნკობილს
 ყურადღებით ვაკვირდებით სოფელს:

პაპა გასცდა ოყოჯიროს, ჭურს მოზადა ორგო,
 ღვინით ბირი გაისველა, იქ მიაგდო ჯორკო.
 იქ ფიჩხები მიასწორა, აქ გამოსჭრა ქვერი
 იქ ლობესთან გადისროლა ძველი ჩალის ღერი
 თან ბუტბუტებს, როცა ბოჭაჟს ნაფოტს, წარია-მარა:
 ეშველება ასე ოჯახს? არა, მამა, არა!



კერის ქვესთან რბის ალემის რგოლი
 და კეცებთან ნაცარი და ტუტის
 აირია მოშუშურე ზოლი
 მთელი სახლი გაიბურა ფუტით.
 აქ მტვერი და იქ ნაცარი, ზანდუკების სიძველე
 როგორც დოქის თავსაცავი, ნაქურჩალის სისველე.
 სახლის გულში ძველი ქისის გაბერილი ჩრდილი
 სადღაც ეგდო ვით სახნისის დაქანგული კბილი.
 თვით არ იცის როგორ, საით. და ყოველდღე რატომღაც
 ოაფება წეროსავით ამ ტალახში დადოდღავს.
 მოდის ჩოხანაბურავი. ამოვარდა ზენა ქარი
 მიაჭვს საბან სახურავი. დაიფელა წინაკარი.
 იყო სალამო გრილი, თივას ნამავედა ცვარი,
 სახლს აწვალეზდა კრილი და კრიალეზდა მთვარი.
 გაელენთილი ზენაწვიმით, მოაჭვს ლიფლი შუშა
 კერიასთან შძლაერს დაუდებს, წვრილს მიატანს ქვეშა.
 მამამისმა დაუტოვა ორი ძირი ეოლა
 გოჯა მიწა, ერთიე ქობი, მომცრო ზეინისტოლა
 ორი ძველი სალაღრია. თეფშიე ერთი ორი,
 ერთიე კიდევ, მართლაც კაი იმერული ჯორი.
 ოჯინჯალა თითქო ამზობს: ან რა გინდა აქანა,
 ასე, ანაეღეზასავით, რომ აკეთებ, ბაღანა.
 ამ პარტახმა როგორ გარგოს, რა შეგშატოს ფერი,
 დაილუოს, დაიკარგოს, იქით ჩემი მტერი.
 ან რას უცდი ან ვის ელი, გარდა ორი ზეწარის
 ტანსაცმელი ერთი ხელი გაჭვს და მხოლოდ ეს არის.
 მეზობლები რას მოგცემენ, მკაცრი, ენა-ბასრი?
 მათ ყოველგვარ მოვლენაზე, ხომ აქვს თავის აზრი:
 „რაც შენია, ის შენია, წაილე და წადი
 მე კი ჩემი მირჩენია, თბილი ლადრის მკადი.
 აგერ მდიდარსაც შეხედე. უყურე იმის ოინებს
 ნაფოტს არ გააბრუნებს, დღეს ისე გაარონინებს.
 იმასა ჰგავს, ეხლა ხმა რომ ამოილოს მუნჯმა,
 უტიფარმა სხივების გულში რატომ იცის ბუნჯგმა.
 დაწყებული ადამიდან, პირში სული გვედგა,
 ეხლა სწორედ გადაკვიტანს სოფლის გულის ხეთქა.
 ჩვენს შარავზაზე მიდიან ჩამორებული კაცები
 ცხენებს საპალნე ჰკილია; ლუქმა ოფლშია ნაწები.
 რაქის მთებზე აღბად ჰყინავს. თოვლიე რა გვიანია
 ფერად ნაცარს დასკტერიან—ცუცხლი ფიჭრიაია.



ქართული

ენციკლოპედია

შემდეგ...

გაიარა 16 წელმა და 19 საუკუნემ
 დამონებულთა და გაბატონებულთა ეპოქიდან
 გაიარა მძიმე ქუსლებით
 გადატკეპნა კაცობრიობის საუკეთესო
 აზრები და გრძობები.
 გასისხლიანებული ბორბალი ეპოქისა
 მიგორავდა საშინელი სიძლიერით
 ედებოდა ყოველივეს რაც ცოცხალი იყო
 აწიოკებდა და შეუბრალებლად
 ანადგურებდა, სპობდა
 დასერა, გადაიარა მთელი ქვეყანა
 ყოველგან ცდილობდა შავი ფარდის
 ჩამოფარებას
 ეპოქა კვნესოდა,
 ეპოქა დადგა ყალბზე,
 ილუპებოდა
 და სტოყებდა უკვდავ კვალს—
 განახლებისთვის.

შემდეგი იქნება.

პორტუი

1

მზე ისე უსიკოცლოდ იბეჭეტებოდა, რომ კაცი თვალს გაუსწორებდა.

ანარია და კახაბერი ნისლში იყო გახვეული და ნაცრისფერი ზღვა უზარ-მაზარ მუცელივით იდო ცისა და მიწის შუა. მთებიდან სუსხი ჰქროდა და მოჰქონდა ნესტი. ნავთსადგურის ნარეცხავით ბინძურ წყალში კომპოსტოსფერი მელნებია ხრასტებივით ფოფინებდნენ და მოშორებით, მაგონთან, ტალღა ინგლისურ გალეტების თუნუქის ცარიელ კოლოფს არახუნებდა.

იქ, სადაც საზოგადო პისსუარი იყო, საოფლე მოხურული ინგლისური ჯორები ება. კისერზე ქერით სავსე თოფრები ეკიდათ და შიგ თავჩარგულნი ფრუტუნებდნენ.

აძიკძივებული აქარელი და ბერძნის ბიჭები ნავთსადგურში ფეხშეგლა დაბრბოდნენ და ჰყიდდნენ: ინგლისურ სიგარეტებს, ვალოკილ ირისებს, შოკოლადებს, კონსერვებს, ფორთოხალს, კონდომებსა და, ჩუმად, შოტლანდიელ ჯარისკაცთა ქრელ კაბებს.

ლორვიით ბინძურ ნავთსადგურში იწვევენ უცხოეთის გემები და მათ ირგვლივ სასაცილოდ პაწაწინები მოსჩანდნენ ეს ოსმალური და ლაზური სანდლები, ბაიდები, ნაგები და მოტორები. გემები იწვევენ უზარმაზარ ფაშევებივით და ნეღა, გაუმძღვრად ნთქავდნენ ტომრებს, ყუთებს, შეყვრებს საიმპორტო საქონლით, და ისინი, ხახადაბზენილები, მზად იყვნენ ჩაეშვით მუცელივით დაბზენილ უძირო ტრიუმში ეს აქოშინებული მატარებელიც თავისი ვაგონებით. ოწინარის ჯაპევი მზიარულად წყარუნობდა და ყინებივით კისერაწვდილებს მიჰქონდათ წიწილე-ბივით ცაში აბლავლებული ხარები ნიგვზისა და ქადრის ბეები, ჩიი, ჯავარი, ნახები, ბამბა... სადღაც ტრიუმში დგაფუნობდა ღურღუნციან შორევივით ხორ-თუმით მიშვებული ნავთი და ისმოდა დაეინებული, ტვინის ამოშლები ძახილი ოწინარის მემანქანისა:

- ვირაა!..
- არის!..
- მინა!..
- არის!..

ზღვის ზედაპირზე გემის მისაბმელი უზარმაზარი ქვაბები ტივტივებდნენ და ხედ შემჯდარი შავი ბაკლანები და ლორიხები ფრთებს იკრტენდნენ. აქ, გაზინ-ქულ უზარმაზარ საბარჯო მაგონთან, თოლიები კისკასობდნენ და ნავთსადგურში შემოვარდნილი ზღვის ლორები მიგორავდნენ თუჯის ბოთლებივით მსიბი-დაპირზე.



საპოლიციო გასაქმებული ინგლისური ცხენები მოუსვენრად უძებნიებდნენ და ამ ჭიხვინში, ხალხის სხრიალში, მოტორების გუგუნში, მანქანების ხმაურში, მატარებლის ქოშინში და ზღვის ტლაშუნში, ისე როგორც ბიბლიურ გოდოლის შენების დროს, იყო ენათა აღრევა: ინგლისური, ფრანგული, იტალიური, რუსული, ქართული, ოსმალური, ბერძნული, ბენგალური, პენჯაბური, ზუავეური, სენეგალური, მეგრული და ვინ იცის რა ენა და რა ენა გარგონი.

საბავოელები, ფერადი ჯარები, კომერსანტები, თეორეტიკლები, პროსტიტუტები, კონტრაბანდისტები, მეზღვაურები, ნავეები, ტომრები და ჯორები არეულიყო ერთი მგორეში იმ ენებივით.

ეს იყო მაშინ, როცა ბათომი ინგლისელებს ეჭირათ, საქართველოს საზღვარი ნატანებთან იყო მიგდებული და სპეკულიანტები მღეროდნენ:

ვაი-ვაი ნატანებს,
ვეფრესი არ გამატანეს...

დენიკონელი გენერალი ნათიევი ბათომში მოხალისე თეორეტიკლებთან არმიას ადგენდა ფრანგელის დასახმარებლად, რომელიც, რადიოს უკანასკნელი ცნობებით, პერეკოთან სასტიკად დამარცხდა, ვერ გაუძლო ბოლშევიკების რევოლუციონურ არმიას და ოდესა დასტოვა.

სეფასტოპოლის საინტერვენციო ესკადრა აჯანყდა და გემებმა: „ფრანსმა“, „ქან ბარტმა“, „ვერნიომ“ და „რუსტისმა“ წითელი დროშები ააფრიალეს. უცხოელი მეზღვაურები მუშებთან და წითელარმიელებთან ერთად დემონსტრაციებს ახდენდნენ ქალაქში. აჯანყდა გემი „ვალდეკ რუსოც“ და „ბიურის“ მეზღვაურებიც მათ მიემხრნენ.

ინგლისელების ოპერატიულ გენერალურ შტაბში ყველაფერი აირია, მაგრამ სამხედრო-საველე სისამართლო მაინც საათივით ზუსტად მუშაობდა და საათივით ზუსტად ზერეტდა საეჭვო მუშებს, მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს.

არ იყო პური, არ იყო ფართალი, არ იყო ბინა, არ იყო შეშა.

იყო: სიმშლილი, სიცივი, ზერეტა, ქუჭვი, სახადი და ზვალინდელი დღის უიმედობა.

ქალაქში კაფეები გრიალებდნენ ორკესტრებით და მთელი ღამეები ისმოდა რუსეთის დიდი არისტოკრატის ქალებისა და პროსტიტუტების გადამთერალი სასიკვდილო კივილი.

2

უკვე ორი საათი იყო მის შემდეგ, რაც ზღვისკიდურზე ოდესიდან მომავალი საევაკუაციო გეპი გამოჩნდა და მხოლოდ ახლა შემოვიდა, როგორც იქნა, მძიმედ, დარბაისლად, ღორივით დასვრილი, დატვირთული გადმოხვეწილებითა და ყინვით დამზრალი ხალხით. გემში იყო სხრიალი, ვრიათული და ამ ვრიათულში ძლივს ისმოდა გემის კაპიტნის მექანიური უსიცოცხლო ბრძანება მესაკისადმი.

მეზღვაურები უხალისოდ მუშაობდნენ და აგინებდნენ რჯულსა და ჯილაგს ამ არეულ ხალხს, მთელი ვზის განმავლობაში რომ ჰყრიდნენ ზღვაში სახადითა და სიმშლით დახოცილებს.

— მოვითრეით, როგორც იქნა, ეს ღღინძაღლი ღორები! — სიტყვა ბუზუნით ხანში შესულმა მეზღვაურმა ჯონმა და წელში გაიშარჩინა: „ჯუჯუ-შები და წვერები ყბებზე სუფთად ჰქონდა გაპარსული და მხოლოდ...“

ჰქონდა დატოვებული ცოცხივით რამდენიმე ბალანი. მერე პირში ჩიბუხი გამოიღო, ზღვაში ღონივრად გადააფურთხა; ხალხს გადახედა და ზიზღით სიტყვა: — ესეც შენი რუსეთის არისტოკრატია!.. ბურჟუაზია!.. შეხედე, ტომი, შეხედე იმ გენერალს, როგორ მაიმუნვით მიკუნჭულა და უცბილო პირს აცმაცუნებს!.. ტუფი!... — მიმართა მან ამხანაგს, რომელიც ჯალამბარზე მიყრდნობილიყო.

ტომი ახალგაზდა, მაღალი, ქერა. პირი სუფთად ჰქონდა გაპარსული და ზედა ტუჩი მიხეზიანი ბავშვივით ჰქონდა შესაქცევად აბურცული. ცისფერი თვალები გონივრად იცქირებოდნენ.

— სირცხვილია, ჯონ, სირცხვილი!.. სად უნდა გამოგყოთ თავი!.. მთელი ესკადრა აჯანყდა და ჩვენ ვეუშაობთ მხოლოდ!... — წამოიძახა მან, რატომღაც გული მოიღვია და წამობერილ სუსხს მიუშვირა: მკერდზე უხარმაზარი ღუზა ჰქონდა ამოხატული ინდიგოსფერად და ღუზის ქვემოდ ეწერა: I hope¹⁾.

— აი ნაპირიც და მოვილაპარაკოთ!.. — უპასუხა ჯონმა და წყევით ამბარდანის მოაჯირს მიყრდნო.

— განა ზღვაში არ სჯობდა, ზღვა უფრო საიმედო არ იყო? — მოუჭრა ტომიმ საყვედურით, მაგრამ ყუბაქმა ბოცმანმა თვალი მოჰკრა მათ, საგუგოდ მოეჩვენა მათი ლაპარაკი და შეუქართი გადმოსძახა:

— ჰეი, თქვე ზანტაკებო, რას ჩურჩულობთ მანდა? ხომ არ გინდათ ორივეს ტრიუნში გაკვრევინოთ თავი!..

მეზღვაურები გაშორდნენ ერთი მეორეს, მხოლოდ სიტყვებს:

— გოდდემ!.. ყუბაქი!..

3

მეზღვაურებმა გადმოუშვეს კიბე. აწყარუნდნენ ჯალამბარები, აქრიალდნენ ქოქონაქები, გადმოჰყარეს ბაგირები, ჯაჭვები და უხარმაზარი ფოლადის ღუზა წავიდა ზღვაში ურჩხულივით, ზღვის ფსკერს ჩაეჭიდა და გემი გააწეშა.

ნავთსადგურში გაჩნდა სირენებისა და საყვირების ბლავილი. ნავეები, ბაიდები, ფელუკები აწრიალებულ იხეებივით შემოეხვიენენ გემს ირგვლივ.

ერდოზე კენესოდნენ დაქრილები, ჯღაუოდნენ ბავშვები და ფეხებ დამზრალი ქალები ჰკიოდნენ ცივი ხმით:

— გვიშველეთ!.. გავიყინეთ!.. ჩვენ ოფიცრების ცოლები ვართ!..

და უეცრად ამ ორომტრიალში გემის ერდოზე ამოიზარდა ვიღაც მაღალი ქალი, გაწყალებული, შეშლილი თვალებით, მკერდში ჩეილი ბავში მიეკრა, მოაჯირის ღინგს გადმოეყრდნო და ისე დაიკივლა, რომ ეს კივილი ცას ასწვდებოდა:

— აქ ვიღაც ოფიცერი კვდება!..

¹⁾ ინგლის: ვიმედოვნებ.

ყველა გარინდდა და ამ საერთო გარინდებაში კიდევ უფრო მკაფიოდ გაი-
სმა გემის კაპიტნის მეჭანეური, ცივი და უსიცოცხლო ბრძანებები.

— ბაგირი ნაპირზე!..

გენერალისთვისა

მერე ისევ ატყდა სხრიალი, ჟრიაშული და ყველა ჩასავალ კიბეს მიაწყდა. განდა წივილ-კვილი, ვახარამაცი, მუჯღუფუნების ცემა. ვილაც ინვალიდი ყავარჯენით კიბის მოაჯირებში გაეხიდა, ხალხი შეჯგუფდა, შეჩოჩქოლდა, ინვალიდმა ვერ გაუძლო მოზღვავებულ ხალხს, მოსწყდა საფეხურს და თავდაყირა დაეშვა ძირს ვაეებით დაგორებულ ძაღლივით.

— გზა მოგვეციო, გზა! დასძახეს მეზღვაურებმა და მჯიღებითა და იდაყვებით აწორალბებული ბრბო შუა გააპეს, გზა გაკაფეს და ოთხმა კაცმა საკაცით ვილაცა მძიმედ დაჭრილი ოფიცერი ჩამოიტანა. საკაცეს პატარა, მოკლე კაბიანი ცხრა წლის შავვერემანი გოგონა ძუნძულით მოსდევდა, ცალი წინდა ფეხზე ჩასჩაჩოდა და ოფიცერის კოზირიან ქულს გულში მაგრა იხუტებდა. არ სტიროდა, — ზმუოდა უცრემლოდ.

მეზღვაურებმა საკაცე მიწაზე დადგეს.

დაჭრილს თვალები მიღუღუოდა და ერთი გადაწურული შავი წარბი თეთრი მორჩენილი ქრილობით ჰქონდა გადასერილი და მის სახეს განსაკუთრებულ ეშხს აძლევდა. ხშირი თმა შავად აპკრუხვოდა, სახეზე წვერი მორეოდა და გატრეცილ ტუჩის კუთხეში გადმოდენილი სისხლი შენმობოდა. გაფითრებულ სახეზე განუსაზღვრელი სიმშვიდე ჰქონდა გადაფენილი და განიერი მკერდი თხელ საბნის ქვეშ მძიმედ სუნთქავდა.

პატარა გოგონა ჩუმად დაჭრილის ფეხრითთ დაემხო და დარდში გამოუღდელი პატარა ხელებს მამას მუხლებზე უცაცუნებდა.

შემოსეული ხალხი უცქეროდა მამა-შვილს და საცოდაობით იწყოდა. ეს ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ, ჩამოსულებს არ ეცალათ მათთვის, მათ საკუთარი უბედურებაც პყოფნიდათ და თავგზააბნეულები ეძებდნენ ერთი მეორეს: დედა შვილს, შვილი მამას, ცოლი ქმარს და მათი ჟრიაშული ბაღლა ცას სწვდებოდა და ძირს ჩამოაქონდა.

— გარეკეთ ხალხი!.. გაიშალეთ!.. — გაისმა უეცრად ნავთსადგურის კომენდანტის ბრძანება და პოლიცია მიაწეა ხალხს, მისწი-მოსწია და დაჭრილის ირგვლივ თავისუფალი არე დაატოვა.

ბავში შეკრთა ამ ძახილზე, თავი ასწია, მოკუნულ ბაგეებით ხალხს უახრო, ლითონის თვალებით გადახედა, მერე რატომღაც თავი გაიქნია და ისევ დაჭრილ მამას დაემხო.

ნავთსადგურის კომენდანტი ბავშს მიუახლოვდა, დანიურ თათმანში შეფუთვილ ხელით თავი აუწია, თვალებში ჩახედა და შეეკითხა:

— სადაური ბარ, პატარავ?

ბავშმა ისევ ისე უახროდ შეხედა ამ უცნობ ბიძიას და არაფერი უპასუხა. კომენდანტმა ბავშს თავი გაიანება, წელში გაიმართა და ეჭმის მოლოდინში, არ იცოდა რა ეჭმა, იდგა უხერხულად და პოლიციელებს უცქეროდა, როგორ ადგენდნენ წესიერებას.

დაკრილი გამოერკვა, შავი მიმჭრალი თვალები ხალხს მოავლო და მორ-
ჩილი ხმით ქართულად იკითხა:

— სადა ვარ?...—მეგრამ როცა პასუხი არავინ გასცა, თვალები დახუჭა,
მერე ისევ გაახილა და ახლა რუსულად იკითხა:

— Где я?.. მაგდან..

ბავში შეკრთა მამის ძახილზე, ლეკვივით აძივივიებული მიწაზე გაფორ-
თხდა, სასთუნალს მიუახლოვდა და თვალებში არა ბავშური, საშინელი, გონი-
ერი თვალებით ჩახედა.

— მამა... მამა... მამა...—ჩურჩულებდა, ბავში მეგრამ მამას არ ესმოდა მისი
სიტყვები,—ჭგრძნობდა, უღიმოდა შეილს უშწეო ღიმილით. ბავშმა ვერ აიტანა ეს
ღიმილი და უტკრად ყოვლად უხერხულად, ხმოსავით ზარდამცემად დიღორილა:

— მამა!.. მამოკო!..—და ზღუქუნით მამის საბანს ორივე ხელებით
ჩაებლუჯა.

— ნუ... მაგდან... ნუ...—ემუდარებოდა მამა შეილს.—საწყალი ბავში...
ობოლი... საწყალი... წყალი... წყალი არა... მავატიე... ჭადრები... ფშიარები...

კომენდანტი ბავშს დასამოშმინებლად მიეარდა, მეგრამ ბავში უკვე ჩუ-
ნად იყო. მხრები უტოკავდა მხოლოდ. მაშინ კომენდანტი დაიხარა და დაჭ-
რილს შეეკითხა:

— თქვენი გვარი?..

— მზეიძე!..—სთქვა დაკრილმა და უიმედო წყლიანი თვალები შეანათა,
მერე უტკრად, თითქოს გულს რაღაც შემოახდო, დაიპრანქა, ერთხანს ასე იყო
და, როცა დამშვიდდა, შეეკითხა:

— სადა ვარ?..

— ბათომში!—მიუგო დაზეპირებულივით კომენდანტმა, კელში ბოღმა
მოაწვა, გადაყლაბა და სახე აელეწა,—შერცხვა თავისი სისუსტის, წელში გაი-
მართა და ხალხს მრისხანედ გადახედა.

უტკრად ხალხი შეოჩქოლდა, აირია და ვიღაც უტხოვლებს გზა დაუთმო.
ერთი ქალი იყო, ქერა თმით, აბურცული ჯიუტი ტუჩები ფერით ჭქონ-
და შეცხებული, უტკო ცისფერი თვალებით, კაპრიზიანი სიარული, თან ორი
კაცი ახლდა, ერთი ხნიერი, ჩარგვალეებული, მადლიანი ღიპით და ღიპზე სა-

ათი ოქროს ძეწკვით, მეორე ახმახი, ტლანქი მოძრაობით, კოსტიომი კი არ
ცცა ტანზე,—ეკიდა. ის ქალი ამ მრგვალი კაცის შვილი იყო. ქალმა დაკრილ-
თან მიიბრინა, დახედა ცნობის მოყვარე თვალებით, მერე შემობრუნდა და კო-
მენდანტს ჯიუტად მიმართა:

— ხომ ხედავთ, მისტერ, რომ ცუდათ არის, რატომ ექიმს არ დაუძახებთ?

— უკვე გავფაწვენთ კაცი, მისს, მეგრამ არ სცალია, დაკრილები სხვაე ბევ-
რია!..—მოუგო ცივად კომენდანტმა.

— ახ, რა საშინელებაა, ტონი!..—აღმობდა ჩამრგვალეებულ კაცს, რა-
ტომღაც სათვალე მოიხსნა, მინა ცხვირსახოცით საჩქაროდ გაწმინდა,
ისევ გაიკეთა და განაგრძო:—ეე... ეე... მე არ შემიძლია ჩემო საყვარელო
ტონი, ასეთი ტრალედიის ცქერა... მე ხომ ჰანიბალი არა ვარ?.. მე გულჩვილი

ვარ, ნიუ-იორკის ევანგელისტა სპოზადოების მიუცილებელი თავშელომარე... ახ, ჩემი ნიგვზის ხეები თუ დატვირთეს ნეტავი?... ჩემი ნიგვზის ხეები!.. ჩემი ჯაგარი, ჩემი ნოხები!.. ტონი, ტონი!.. შენ ჯგუთან იყავი ჩემი ხეები და ვეცდები... ახლავე მოვალ, ჩემო ტონი, ახლავე!... — დაიძახა მან და ხალხს ბურთივით ხან აქეთ ეცა, ხან იქით მიაწყდა, მაგრამ ვერ გავიდა, აყენესდა, აფუსფუსდა, აღუღდა სამოყაროვით და მერე იმ ადგილს მივარდა, სადაც ხალხმა მოსულ ექიმს გზა დაუთმო, გაძვრა ვაი-ვაგლაბით და ასე აღუღებულ და ათუხთუხებულ გაიქცა გემისაკენ.

— წყალი!.. — აღმოხდა დაქრილს და სიციხით გამხმარი პირი უმწეოდ ააწაპუნა, მაგრამ წყალი არაეინ მიაწოდა.

ექიმიც მოვიდა, დაქრილს საქშიანი სიარულით მიუახლოვდა, საბანს გადასწია და, როცა გამოფლეთილი, ძველი ჯიგარივით დანაღველებული ფერდი დაინახა, ისევ წაახურა, მერე მაჯა გაუსინჯა, ხელი ჩაიქნია და სთქვა:

— თავდება!.. მიეცით წყალი!..

ვიღაც მებღვაურმა აღუშინის მათარით წყალი მოარბენინა, დაიხარა დაქრილთან და ბავშვივით სათუთად მიაწოდა. დაქრილმა მოსვა, უსიამოვნოდ დაიმანჯა და თავი სასთუნალზე დაოსებულად ჩაჰკიდა.

კომენდანტს მოსწყინდა ტყუილა დგომა, დაიხარა და შეეკითხა:

— სად დაიჭერით?

— პერეკოპში... რა მინდოდა მე იქ... ჩემი სოფელი... ქოხები... დამეხსენი, დამეხსენი, თუ ღმერთი გწამს, მაგდან!.. გამიშვი... გამიშვი... — ჰყენსოდა იგი თვალდახუჭული და გემზე ისევ ისე ისმოდა ტერნის ამომღებად:

— ვირაა!..

— პომალაა!..

— მაინაა!..

— აღირ!..

ეს, — იმ მრგვალი უცხოელის ნიგვზის ხეები, ჯაგარი და ნოხები იტვირთებოდა.

უეცრად დაქრილი გამოერკვა, მოცოცხლდა და დაიძახა:

— ბატონო ექიმო!.. ბატონო ექიმო!..

ექიმი მობრუნდა და მზრუნველობით შეეკითხა:

— რა გნებაეთ?..

— მართალი... ბატონო ექიმო... მართალი სთქვით... ხერხემალში ვარ დაქრილი... თუ დავსაბიწრდი... ვერ ვიარე... რათ მინდა სიცოცხლე... მართალი მითხარით...

ექიმმა მზრები უხერხულად შეიშმუნა, ტურები კურდღელივით ააცმა ცუნა და მერე დარიგების ტონით მიმართა:

— ბატონო ოფიცერო, თეთრ არწივს არ შეჰფერის ასეთი სიტყვები... ორ კვირაში ფეხზე დადგებით...

— დიახ!.. დიახ!.. — სთქვა კომენდანტმა და დაქრილი ამ პასუხზე უეცრად იქ, სიღრმეში მიხვდა რომ მისი საქმე წასული იყო და ამ წუთიდან დაიწ-



ყო აგონია. ის წავიდა სადღაც შიგნით, მოისპო მისთვის გარესქნელი და არ იყო არც ერთი ძაფი, არავითარი ინტერესი, რომელიც მას სიცოცხლეს მისცემდა და აკავშირებდა. ის უცერად მოსწყდა ყველაფერს და დანებდა. *კონსტანტინე*

პატარა ბავშვი უცნაური ღიმილით დააცქერდა მომაკვდავ მამას და ეს ღიმილი იყო თითქოს სიხარული საცვდილის შეგნებისა.

ხალხის უკან ავტომობილის გუგუნე მოისმა, ეს—სანიტარული ავტომობილი იყო. კომენდანტი უცერად დაფაცურდა და ეჭიშ მამართა:

— სანიტარული ავტომობილი მოვიდა, ბატონო ექიმო, წავიყვანოთ?...

ექიმმა წარბები შეოკმუნა და წყნარად სთქვა:

— არ ღირს საცა ვათავებმა! დაეცადოთ!..

და უცერად ისე, თითქოს რაღაც დიდი და განუზომელი ჩამოდგა მიწაზე, ხალხი გარინდდა, ჩამოვარდა სიჩუმე, სადღაც ცხენმა დაიქიხვინა უადგილოთ და ყველამ შეშფოთებით მოიხედა. საკაცე იდგა მიწაზე და ზედ დასცენებული ოფიცერი იწვა წასული თავდავიწყებაში, ნესტოები ებერებოდა და ჰაერს ხარბად იხვეტდა, მაგრამ ჰაერი არ იყო. მომაკვდავს ახლა არც ამისთვის ეცალა, რაღაც ნისლი გადაეფინა თვალებს და „სანთლები!.. სანთლები!..“ უნდა დაიყვიროს, მაგრამ არც ეს არის ის მთავარი, რაც მასში ხდება. ყველაფერი იძინებს, ხელები, ტვინი, გული, ყველაფერი ჩერდება და უცერად, მის თავხარი დაეცა, უკანასკნელი ღონე მოიკრიფა, წამოიწია, თვალები ხარივით დაჰქანა და რატომღაც რუსულად დაიძახა:

— Умираю!...—და მოსხლეტით საკაცეზე დაეცა, არ განძრეულა.

ექიმი შევიდა, მაჯა ვაუსინჯა და სთქვა:

— ვათავდა!...— შაჯას ხელი უშვა და მიცვალებულის ხელი საკაცეზე მოსხლეტით დაეცა. პატარა გოგონამ ექიმს გაცოცხლებული შეშინებული თვალებით შეხედა და მერე მამის დაცეულ ხელს ეცა და ალერსი დაუწყო.

ხალხმა ისე, თითქოს გულს მძიმე ლოდი მოეშვაო, ღრმად ამოიოხრა და ჭედი მოიხადა. ყველა რაღაც კმაყოფილებას განიცდიდა და ყოველი მათგანის კმაყოფილება იყო ის, რომ ისინი არ იწვევ იმ საკაცეზე.

— ახ, რამდენი განცდები!.. რამდენი რომანტიკა!..— აღმოხდა ტონის და თვალები უსაზღვრო სისულელით ააფოვინა.

ხალხი შეერთა. ყველამ ზიზლით შეხედა მის.

ექიმმა თვალებზე სათვალე გაისწორა, შეხედა ქალს, მერე შუბლ შეკრული დინჯი ნაბიჯით მივიდა მასთან და მათემათიუტური სისწოროით უთხრა:

— მისს, აქ კაცი მოკვდა... ეს კინო არ არის!..

ტონი დაიბნა და ექიმს თვალები ვაკვირვებით შეანათა, მერე აყუდებულ კავალერს მუცელზე აეკრა—ის პატარა იყო და თვალების ცეცებით ჩურჩულებდა:

— შეეცები!.. ველურები!.. შეეცები!.. ველურები!..

კომენდანტი ინდოფრევით აიფხორა, წელზე ჩაჩაჩული შარვალი აიწია და იქვე დაყრილ კაუსტიურ სოდის თუნუქის მრგვალ ყუთზე შედგა.

გილიკეზიდან ლიანდაგზე

(გაგრძელება)*

III

ცხაბახ ხუთი უპათოხოთ

ქალაქში ჩამოყვანილი შაქრო დარეტიანებული დადიოდა: ხან უყვირდა, თუ ამდენ ხალხს რა კვებსო, ხან კი განცვიფრებით შესცქეროდა მალაზიაში განოფენილ სანოვაგეს, რა მუცელი ნთქაეს ასეთ ხროვასო.

დართული ხალხი თვალუწვდენელი სახლები, მიმქროლი ეტლები, ზღაპარზე უფრო გასართობათ ეჩვენებოდა ბავშს და, ვინმე თუ არ გაიყოლებდა, თვითონ მიიპარებოდა, რომ ეცქირნა, თუ როგორ უეცრათ აენტებოდა ქუჩაზე სინათლე, თუ როგორ დასტვენდა სადღაც ვიღაცა, და დათენთილი, მოქანცული ვარდებოდა ლოგინში, რომ მხოლოდ ძილში გახსენებოდა დედა და სიზმარში ხელი წაეპოტინებია მისკენ...

მაგრამ რაც რვედა, იზიდავდა და თავს აყვარებდა—ეს იყო სადგური. ნისდა ბედათ ბინა ვიადუტთან ახლო ჰქონდა და ბავში, როგორც დროს დაიხელთებდა, დადგებოდა ხილზე, და დიდხანს-დიდხანს შესცქეროდა რიგებათ დაწყობილ ფრიცზე რომოდებს, დაკლანჩილ რკინის გზის ლიანდაგს, და იმ ვეებერთელა რამეს, რომელსაც ორთქლმავალს ეძახდნენ და რომელიც თვალზე-გადნოვარდნილ ვეშაპივით ქშენით გაუღლიდა ფეხებს ქვეშ და ზოგჯერ კვამლითა და ორთქლით დაფარავდა.

უყვირდა, თუ როგორ არ ეტაკებოდნენ ერთმანეთს მატარებლები, რამდენი ხალხი იმალებოდა შიგ, და რამდენი გადმოხტებოდა გაჩერებისთანავე; უყვირდა, თუ რა სიმძიმე მიქონდა და მის გამკეთებელს, მის მოსამსახურეს—ყოველ რკინის გზელს—უაღრესი პატივით შესცქეროდა, მათ ბედს ნატრულობდა, მათგვარი ყოფილიყო უნდოდა და ყველაზე უფრო ისეთი, როგორიც იყო გაიოზი.

პარმენმა ერთხანს უნაყოფოთ იარა რკინის გზის სამმართველოში: ქალაქში და მის ახლო-მახლო შესაფერი ადგილი ვერ იშოვნა—სოფელელებისაგან მკოდნე კაცათ და ახალი თაობის ქადაგად აღიარებულ პარმენს დიდჯამაგირიანი ადგილის მადა გაეხსნა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა მოთხოვნილება შეემცირებია და ლიანდაგის დარაჯად დამდგარიყო.

ორი რამ ამშვიდებდა პარმენს: სადარაჯო კარგ ჰყვრზე იყო და მის მართას, ექიმის სიტყვით, სწორეთ ეს სჭირდებოდა; ბინას თან ეკრა მიწის მოზრდილი ნაკვეთი პატარა ოჯახის მოსაწყობად და ლარიბი ჯიბის გასამაგრებლად; შაქროსაც ემზრობოდა მახლობელ დაბაში მყოფი რკინის გზის სკოლა.

* ი. მ. მნათობი № 8—9.

ქალაქის მრავალსახობათა შენდევაც შაქროს არ მოეწყინა იხალ ბინაზე: დილიდან გამოუშვებდა დედალ-მამალ ბატს, გოკებიან ღორსა და ცხენებს მიურბენინებდა დოქებით წყალს, შეხატებოდა აღმართში ნელა-მშხალა და მშხალა მატარებელს და ვასწევდა სისწავლებელში.

ახალთაობის გავლენა დღითი დღე იზრდებოდა: მქადაგებულების, წიგნების, მოწოდებების ქსელი მოედვა კლდე-ღრესა და სოფლებს. თვით გლეხები ქმნიდნენ წრეებს, რომ ერთობის კაცების პირველ ჩამოსვლისთანავე ჩამოსხმულიყო პარტიული მკვიდრი უჯრედი. რევოლუციის საჭიროებისათვის ყველგან დაწყდა მცირე საწევრო გადასახადი; წინათ იშვიათად ნახვარი სიტყვა „მხანავო“ დაკნინდა და მან განდევნა ყველა სხვა მიმართვა; ამბები უფრო და უფრო თავსამტკრევი ერთმანეთს აწვებოდა, სცვლიდა, გარბოდა: „ღალას არ იხდიან“, „მემაბულეები გარეკეს სახლ-კარიდან“, „მოსამსახურეები, მოჯამაგირეები ჩამოშორდნენ თავიანთ ბატონებს“, „გურიანში მთავრობის მოხელეებს აღარც თავისკენ უშვებენ და არც მიდიან მათთან რაიმე საქმისათვის“, „აჯანყება დაიწყო“ და ბოლოს — „ტფილისი და ქუთაისი ერთობის ხალხმა დაიკავე, ჯარები გარეკა“.

ტყის მჭრელებიც საყოველთაო ფერხულში იყვნენ გამბული: გაიოზი მართალი გამოდგა, ტყიდან შინ წასვლას არ შეუფერხებია საქმე: საკუთარის მოქმედებით მცირე გამარჯვებამაც კი უკმაყოფილო ნაწილებს მეტი სურვილი გაუღვიძა გაეცხოველებით ქადაგება. თვით თავდაპირვლიც, და მათ შორის ოდნეო სარეკლამე, დარწმუნდნენ რომ ერთობა, მედგარი მოთხოვნა, იერში უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე თხოვნა და მუდარა, და ეხლა უფრო ხშირად რკინებოდნენ, აკითხებდნენ გაზეთებს, პროკლამაციებს და რწმუნდებოდნენ, რომ მთავრობა ბევრს დათმობს, თუ მთელი საქართველო, მთელი რუსეთი-მთელი მილეთის ხალხი, თუნდაც უიარაღო, ერთხმად მოითხოვს რასმე.

და იმედი აღუძრათ რომ:

განთავისუფლდებიან გადასახადებიდან,

ღალიდან,

ჯარში გაწვევიდან.

და როცა ეკლესიიდან ეკლესიაზე გადაგუვუნდა ზარის რეკა და ძველებური ბუკის ყვირილი, ტყვიაც შეირყა ხალხი, შეჯგუფდა, იღვღა და დაეშვა ბარად.

გზაზე ბევრი მიიმალა; მცირე ნაკადებთ ხალხი მაინც ემატებოდა უცვრად შედგენილს „ოდანიას რაზმს“.

მთელი იმ კუთხის სამხედრო მოქმედების გამგემ, სპარდონმა, სიყმაწვილეში იუნკერთა სკოლის უკანასკნელ კლასიდან გამოგდებულმა, რალაც ურჩობისათვის, გასამართლებულმა და ჯარისკაცად გადაყვანილმა, ეხლა კი რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშამ, ლაშქარი ქალაქის მახლობელ სოფელში დაამბინა.

— ქალაქი ჩვენებს უჭირავთ. მხოლოდ კახაკებია საშიშო; მათი განიარაღება არის საჭირო. ამ საქმის მოწყობა ორიოდ საათის სიძნელეს წარმოადგენს... ამიტომ ვერიდოთ ყოველგვარ გამწვავებას და აღამიანის მსხვერპლს:

აღამიანის სისხლი არ იკარგება თავის დღეში. დღევანდელი ამბები მისხვერებათ უნდა ჩავთვალოთ... ჩვენ საბოლოოდ ვერ ვავიშარჯვებთ... ნურჯავიშარჯვებთ... სრულიად საკმაოა, თუ ამხანაღ ჩვენ ჩვენი ძალა ხალხს ვაჩვენებთ... ვარწმუნებთ, რომ მთავრობა არ წარმოადგენს მიუღებელ ციხე-სიმაგრეს და რომ ხალხისთვის თავდადებული მხოლოდ ჩვენი ვართ... ხომ უყურებ ეხლა ასში ერთი გლეხი ვეიჭერს მხარს, რადგან ან ჩვენ ვერ ვეიცნობს და რუსის ხელმწიფე კი უძლეველ ცხრათავიან მდევათ ყავს წარმოდგენილი; რამდენიმე ხნის შემდეგ კი ყველა ჩვენ მოგვეშრობა.

— მაშ გულზე ხელები დავიკრიფოთ?

— არა, შავას არ ვამბობ; ნამდვილ საქმისათვის მსხვერპლიც გავილოთ და თავიც ვავიმეტოთ, მაგრამ საეგებოთ და ვაეკაცობის გამოჩენისთვის, ნაბიჯსაც ნუ გადავდგამთ. სულმოკლეობაც არ ვარგა; როცა ჩვენ პირველმაისობის ბაი-რალი აესწიეთ, ამ შევიდოდღე წლის წინად, ჩვენ ვიყავით სულ ათი-თორმეტი. დღეს კი ხედავ რა ხდება!!! კმარა ასეთი ზრდა.. ნუ ვიფიქრებთ, მტერს ჩვენზე ნაკლები ძალა ჰქონდეს, და ეხლა უკვე მართვა-გამგეობას უნდა შეუდგეთო. ან და ეს რა არის. ეს სულელური აღლუმი ქეთაისთან, ეს გადახატვა წითელ-რაზმელების ვილაც ქალის მიერ... ის ქალი რომ ჯაშუში გამოდგეს?

— არა, აჰ...

— თუ გინდ ჯაშუში ნუ იყოს; ჩვენ რომ დავმარცხდეთ და ის სურათი ჩაუვარდეს ხელში ჩვენს მტერს, რამდენი ზედმეტი მსხვერპლი იქნება... არც ის მომწონს რომ თითო-ოროლა ჯარის კაცს იარაღს ყრიან და ზოგჯერ კლავენ.

— აბა იარაღი როგორ შევიძინოთ?

— ამ ორ-ორ სამ-სამი თოფით ჯარებთან შებრძოლება შეუძლებელია; თუ მოვახერხებთ ერთ ვარკვეულ დიდ მანძილზე იარაღი ავყაროთ ჯარს, კეთილი, თორემ შორაპნის იარაღი, გინდ იყოს და გინდ არა... აი, კანცელარების დაწესაც რა სარგებლობა მოაქვს?! თუ ჩვენ ვავიშარჯვით, სადგომები ხომ ჩვენც დაგვირდება, და თუ დავმარცხდით, ხალხს გადაახდევინებენ...

ასეთი მუსაიფით ხშირად ანელებდა სპირიდონი ოდანიას სარეკელაძის მოუთმენლობას. ახლად გარეოლიუციონერებული გლეხი ჯიუტობით ცდილობდა თავის თვალით დაენახა საბოლოო მიზნის მიღწევა, როგორც იგი ხედავდა ხენა-თესვის ნაყოფად ტარობით მოფენილ ნალიას და მტყენებით სავსე საწინებელს.

სპირიდონი ნელა, თითქმის შეუმჩნეველად წვრთნიდა, ამზადებდა რაზმელებს, თუ მოახერხებდა ყიდულობდა იარაღს ჯარის კაცებისაგან; ჩამოართვა მახლობელ სოფლებში, ვისაც კი ჰქონდა თოფი...

* *

სპირიდონის წინასწარმეტყველება ასრულდა: გულგახეთქილი ბრუნდებოდა გაიოზი ქალაქიდან და ამბობდა, ცული ამბები უნდა იყოს, მოსკოვში რეაქციამ ვავიშარჯვა, ქუთაისში მთავრობა ვათამამდა და ერთ დღეს არაქათ გამოლულმა ნარბენმა გაიოზმა გააღვიძა სპირიდონი და უთხრა:

— გვირახიდან გამოვიდა ალიხანოვი. ცეცხლს უკიდებს ყოველივეს. ჩვენებს იბერენ, მე ორი კაცი უნდა ვადევიყანო საზღვარზე — ევროპაში მირბიან... რაზმი უნდა დავშალოთ...

სპირიდონი ჩვეულებრივი სიღინჯით დატრიალდა. ტყის მომუშავენი უკანვე გაგზავნა და ურჩია, უკლებლივ შეუდგენით საქმეს, თუ ვინმე დაგეჟიბებათ, უთხარით კანტორა აღარ იყო და გამგებლობა — ჩვენც მუშარბა დავტოვეთ, რადგან არ ვიცოდით ვინ გაგვისწორებდა ახგარიშსა თქო. ხე-ტყე ახლო მახლო სოფლებს აქვთ გადატანილი, გაყიდული, და თუ იმათ მოსთხოვეს, იტაც უნდა თქვენ. უპატრონოთ ეყარა, ყველა ამბობდა, მუშაობა სამუდამოდ შესწყვიტა უცხოელმა კომპანიამ, სამი თვე უტადეთ და მერე, ტყვილა დაღობას, წავიღეთ შინა თქო, თუ მაინცდამაინც გაქირდეს, ისევ ჩაყარონ წყალში.

რაზმელებს იარაღი ჩამოართვეა, სადღაც საიმიედო აღგილას მიჩქმალა და მეზობელ ხალხის გულის მონადირებანს შეუტდა.

* *

მეამაფლე იოსებ ნორაბიძე სრულიად არ მოელოდა სპირიდონის დანახვას, როცა კარები გაიღო და ვეებერთელა ჯოხით ხელში მის წინ გაჩერდა მოხუცი კაცი.

— ა, ბატონო სპირიდონ, ჩვენთვისაც მოიცალეთ?.. ოღნავეს დაცინვით შეხვდა იოსები სტუმარს.

— არც თქვენთვისაა, ბატონო იოსებ, კარგი რომ მე მოცლილი დავერჩი — სვედიანი ღიმილით უპასუხა სპირიდონმა მასპინძელს... ჩვენ რომ გაგვემარჯვა თქვენ პირადათ ბევრს არაფერს დაჰკარგავდით და თქვენს შეილს ნიკოსაც არ ჩამოართმევდენ ბოქაულობას და პატარა მოხელეთ არ გადაიყვანდენ ცბრა მთას იქეთ.

— მე თუ გამაძრობდით ტყავს, ჩემს შეილსაც არ მოეთბობოდა, მაგრამ მაინც როგორაა საქმე?...

— ისე როგორც უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვაჩვენეთ ქვეყანას, რომ ვისაც სიკოცხლე სურს, მუშათა კლასს უნდა აედევნოს, რომ მხოლოდ მუშათა კლასისა ის ნაწილი, რომელიც შემდეგში უწინამძღვრებს განახლებულს ქვეყნიერებას და მხოლოდ იგი მოსაობს უსამართლობას... ჩვენ არც ვფიქრობდით, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ესლავე ჩვენს ხელში გადმოვა, რომ პირველივე ნაბიჯი დაავვირგვინებს საუკუნის მოთხოვნილებას. არა, ეს იყო გამოშლავნება ჩვენი მიმართულების, სულსკვეთების. იმ ქვეყანაში, სადაც ფიქრობდენ, რომ მხოლოდ ხელმწიფის გვირგვინია და კაზაკის მათრახი, გამოჩნდა ახალი ძალა, უფრო ძლიერი და ხალხისათვის უფრო სასარგებლო. მარტო ბრმა დარჩება შემდეგში იმ რწმენით, რომ მას უზრუნველყოფს დღევანდელი მთავრობა. არა, ხალხი, მოსახლეობა უქვევლია, გადიხრება ამ მოზარდ ძალისაკენ და საბოლოო გამარჯვება ხვალ თუ ზეგ ჩვენია.

— და ამდენი მსხვერპლი, მომავალშიაც კიდევ უარესი, აი ვიღაც ალიხანოვი მოდისო და სწევასო.

— ასეა ბრძოლა; რამდენჯერ ყოფილა ომი თუნდაც ამ პატარა სოფლისათვის: ზან დადიანი მოდიოდა აქეთკენ, ზან აბაშიძე, ზან ოსპალო... და ვიგერიბდით...

— თუ ძმა ხარ, ჩემი შეილი არჩილი ერია, თუ იცი?...



— არა, ჩენს პარტიაში არ ყოფილა, მაგრამ თანაგრძნობით რომ ეპყრო-
ბა ამ მოძრაობას ესეც უმძებელია...

— არაფერი საშიში მოელის?

— ვერ გეტყვი... ყველაფერი იმაზეა დამყარებული, თუ როგორ უნარს
გამოიჩენს ჩენი ხალხი. თუ ერთმანეთს მხარი დაუჭირეს, ძალიან ბევრი ვადარ-
ჩება... ხალხს ბევრი შეუძლია, თუმცა ახლა, რა თქმა უნდა, აღიძვრება სურვი-
ლი სამაგიეროს გადახდის...

— ის ალიხანოვი ლეკი ყოფილა, და თურმე სამაგიეროს უხდის საქარ-
თველოს: შამილის დროს რუსებმა თქვენის ხელით აიღეს დალესტანი, თორემ
ისე არაფერი გვიჭირდაო...

— არა, მაგი მეტად საიქვოა... გულში რა აქვს, ამის თქმა შეუძლებელია,
მაგრამ რუსეთში ბევრი რუსი გენერალი დაერევა მუშა ხალხს და ქართველე-
ბშიაც ბევრი არ იტყვის უარს ჯინჯილ-მენდლები მიიღოს გურიაზე ან იმერეთ-
ზე გამოლაშქრებით.

— ებჭე... რა დრო დგება...!

— მშენიერი, ბატონო იოსებ, მშენიერი. ახლა გამომკლავდება, ვის რა
სული აქვს, და მცირე ხნის შემდეგ კი გავიმარჯვებით ისევ ჩვენ.

— ეს რაა, რომ ეხლა ბატონობით ვემუსაიფებით ერთმანეთს, და ორი
დღის წინად კი „ამხანაგო“ რომ არ გვეთქვა ერთი აყალ-მყალი შეიქნებოდა.

— „ამხანაგი“ სჯობია, მაგრამ არ მიყვარს უმიზნო ჯიუტობა: როცა
ვამჩნევ, რომ არ ვადის, უკან ვიხევო.

— ჰო, „სადაც არა სჯობს ვაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ო.

— დიახ, მაგრამ პირველ შესაძლებლობამდე... გულში ვინახავთ, რაც მო-
გწონს და კეთილად მიგვანია და ვაი მას, ვინც ჩვენ ხასიათს ვერ შეიგნებს...
თქვენთან, ბატონო იოსებ, დიდი საქმე მაქვს.

— რა გნებაეს?

— აქ იარაღი გვაქვს; უნდა შეგვანახიოთ...

მოხუცი კოჭმანობდა.

— ეს იარაღი რომ რუსების ხელში ჩაგვადებინო, არც თქვენი სახელი-
სათვის იქნება კარგი და არც არჩილი მოგიწონებთ.

— არჩილი რომ თქვენთან არ ყოფილა?

— არა, მაგრამ ისიც რევოლუციონერია, ისიც ხალხის მომხრეა, და
მთავრობის მიერ ჩენი სრული განიყვება, მასაც შეაწუხებს.

მართალია, —უიჭრობდა მოხუცი, — არც მე მეკადრება, ხელი არ გაუწყო...
აქეთვე ჩენს წინააღმდეგ თითქმის არაფერი უქნიათ, ჩემს წინააღმდეგ მაინც...
ყველა როგორ ავიმტერო.. მთავრობა ჩემი შეილის მამას არ დამხოვავს და გლე-
ხობაც გადავივიდო! და იოსებმა სპირიდონს კითხვით მიმართა:

— მე რა შემიძლია?

— შენი ნალიის ქვეშ ნაფლავთ იარაღს; შენ პირობა მოგვეცი რომ არც
ნალიას აიღებ იქედან და არც ფუჩქს გამოლევ შიგ.

— ეჰ, ავასრულებ ბაბუას ანდერძსაც — ნახევრათ ღიმილით, ნახევრათ სე-
რიოზულად, თითქოს თავისთვის წამოიძახა თავადმა.

— რა ანდერძს? — გაკვირვებით შეეკითხა სპირიდონი.

— განსვენებულმა იცოდა ოქმა, რუსი სადაც წაეწიო, არა მხოლოდ სპირიდონს რაღასიც თქმა უნდოდა, მაგრამ შეჩერდებოდა.

იოსები დასთანხმდა, და წთელი ღამე დარაჯათ უვლიდა ირგვლივ თავის ფართო ეზოს, სანამ სპირიდონმა და გაიოზმა ნაღის ქვეშ მოღობილ საბძელში, ფორჩი და ბზე გადასწიეს, ღრმად მიწა გასთხარეს, შივ გაქონილი ნავით გალიბულ ქალაქში გახვეული იარაღი ჩააწყვეს, ორმო ამოავსეს და მოტყუბნეს, ზედმეტი მიწა გოდრით გამოიტანეს და წყარაშში გადაუშვეს, მათი იქ ყოფნის ყოველი კვალი მოსპეს და არაქათ გამოლეული, ოფლ-გადასხმული გაიოზი გზას გაუდგა, ხოლო სპირიდონმა ერთხელ კიდევ მოასწრო იოსებისთვის ეთქვა:

— პატიო სნათ იქცევი, ჩვენც არ დაგვაფიწყებდა...
და ისიც მიიმალა.

* * *

გაზეთი სწერდა: „რკინის გზის დარაჯის პარმენის ცოლი მართა გაუპატიურა და აწამა დამსჯელმა რაზმმა“...

შორებელი შეზობლები კი ამბობდენ „რაც აქ ორომ-ტრიალი იყო და ტყვიის ზუზუნი ციებ-ციხელებიანი ქალი რავე გაუძლებდაო“...

და ვინ იტყვის მართალს?

ბელეტრისტს შეუძლია მხოლოდ დაადასტუროს, რომ შექრომ იმ დღეს ღორები გადენა დასამალავათ მახლობელ სოფელში და იქ დარჩა; პარმენი კი საღამოს გაპყვა სადგურამდე საბარგო მატარებელს და, როცა განთიადისას უკან დაბრუნდა და კარები შეაღო და ფარანი შეაშუქა, პირველათ დაინახა კარებთან კუთხეში ჯირკჭე მჯდომი შემხმარი ცრემლით შეთხუზული პატარა ანიკო, რომელიც განუწყვეტლივ სასოწარკვეთით იძახოდა: დედა მოდი, „დედა მოდი“...

როდესაც მანამ ბავში აიყუახა და ლოგინისაკენ მიჰყავდა, ბავშმა ყვირილი მართო: „არ მინდა, არ მინდაო“...

თვით მართა ნახევრად ვახდილი, თვალემ-გადატრიალებული, უკვე გაცივებულ მკლავებ-გაშლილი ეგდო გადაუშლელ, საკმაოდ დაჭმუჭნულ ლოგინზე.. საბანი სისხლით იყო გასერილი, პირიდან წამოსქდა თუ...

სიკდილს, ეტყობა, ბავშვის მეტი არცინ დასწრებდა.

და ექიმს არ შეუღოწმებია.

ბავშვა კი ხუთიოდე სიტყვის მეტი არა იცოდა რა.

ეტყოდენ: „დედა მოკლეს“?

— ჰო, — უპასუხებდა,

— დედა თვითონ წიქცა?

— ჰო!

— დედა ხომ არ იყო ვახდილი?..

— არა...

კონ იცის იქნებ ყველა ამბობდა მართალს — გაზეთიც, მეზობლებიც და ბავშიც კი: დაავადებულმა სხეულმა ვერ გაუძლო ასევე სროლით შეშინებას, წითელ-რაზმელების შეყრად შემოვარდნას და თხოვნას დაგვამლეთო, ჯა-



რის-კაცების უბეშ და უდროეო ჩბრეკა-მუჯღუფუნს და ვასკდა ის პატარა მან-
ქანი, რასაც გული ჰქვია.

დაობლდა ანიკო,
დაქვრივდა პარმენი,

და თუ ვისმე კიდევ შეჰქონდა სიცოცხლე პატარა სადარაჯოში ეს იყო
შაქრო.

სადარაჯოში ხშირათ მეორდებოდა დაახლოვებით ასეთი ამბავი:

შაქრო ბევრჯერ გადასძახებდა ყანაში მომუშავე პარმენს:

— ბიძია ამოდი, სადილი მზად არის...

— ბიძია, გაცივდა ყველაფერი...

— ამოდი რა!.. ანიკოს მოშვიდა, ტირის, — რაზედაც პარმენი უპასუხებდა:

— მოვდივარ...

— ამოვათავებ ამ სვრელს და მოვალ.

— ჰამეთ უჩემოთ, შემინახეთ ოღონდ ჩემი არჩივი.

პატარები მართო მიუჯდებოდენ სუფრას, მიძღებოდენ ამოლესილ ლო-
ბიოსა და ჰადს და დაეყოლებდენ ცივ წყალს.

მაგრამ როცა პარმენი მოვიდოდა და მადიანად დაიწყებდა ლუკმების
ყლაპვას, ბავშვები შემოუსხდებოდენ გვერდით და ისევე დაეწაფებოდენ ლობიო-
ში ამოვსებულ ჰადს და პარმენის მიერ ბოსტნიდან მოტანილს ხახვსა და
წიწმბატს.

— აბა, ახლა მე პატარას დაეიძინებ, და შენ იცი რავე მოუვლი ანიკოს—
მიმართავდა პარმენი შაქროს.

ბიძის განკარგულება არ ეტაშნიკებოდა ბავშს, მაგრამ რას იზამდა; პატა-
რები ოთახიდან ვაეიდოდენ და იქვე მდგომ ხის ძირში მოიკალათებდენ.

შაქრო ბევრს უთმენდა ანიკოს: ხშირად კენჭობიეს თამაშში განგებ წა-
აგებდა ან ჰიდაობის დროს წააქციებებდა თავს, რითაც ანიკო მეტად გახარე-
ბული რჩებოდა, წამოწყევდა მკერდს, მაღლა აიღებდა თავს და დამცინავის კი-
ლოთი ეუბნებოდა:

— აბა, ხომ წაგაქციე!..

— ხომ მოვიგე!..

მაგრამ ზოგჯერ შაქრო უსამართლოდაც ეტყეოდა გოგონას: ასრთილ
კენჭის დასაჭერად მომარჯვებულ პეშვს ხელს წაუტარავდა, და კენჭი მიწაზე
ვარდებოდა; მოგებულ ჩხირებს დაჭრიდებლად მოპარავდა, და ანიკო იწყებდა
ქუტყურს, ტირილს; მაშინ შაქრო ხან აჩვენებდა ბრჭყვილა რგვალ ქვას—ის
იყო ორივე ბავშვის უდიდესი საგანძური—ან დაპირდებოდა, ოღონდ ნუ იტი-
რებ და ვირზე შეგსვამო.

შაქროს უკვე დიდი ხანია მოსწყენდა პატარა დაიას გამდლობა და რალა-
ცაზე ფიქრობდა; ბოლოს ანიკოს მიმართა:

— შენ აქ ქვიანად იყავი და მე რალაცას მოგიტან.

შაქრო შეძვრა სახლში, გადახედა ბიძას, რომელიც ტბილად ხვრინავდა,
მიეპარა ერთად ერთ სარკმელზე საჩრდილობელ ფარდათ ჩამოკიდებულ ძველ

ახალოსს და დასწია; და როცა ერთი ლურსმანი ჩამოვარდა, და ახალოსში მეორე დარჩენილ ლურსმანზე დაიწყო ქანობა, და მზე უცრად მთოვანა ოთახს, შაქრო ფეხ-აკრეფით გამოვიდა გარეთ.

ბევრი ემალა პარმენი მზის სხივებს, გადატრიალდა-გადმოტრიალდა, თავი ბალიშში ჩარგო, გულადმა წოლაც სინჯა, მაგრამ მზე თითქოს მის თვალებს დაეძებნო ყველგან წვდებოდა, და ბუზებმაც გაათქეცეს კბენა და ბუზილი.

შესხდა ჩამოვარდნილ ახალოსს, უნდოდა გაესწორებინა, მაგრამ ლურსმანი მალლა იყო და რამე უნდა მიედგა... გადიფიქრა... მერე წამოდგა, დაუწყო სტოლსა და სკამს მიდგმა, და როცა ოთახი ისევ სიბნელემ მოიცვა, უკვე ძილი დაკარგული ჰქონდა.

პარმენი გამოვიდა გარეთ და ხის ძირში მოთამაშე ბავშვებს შეუერთდა.

— ეს რაცხა შენი მამაძაღლობაა, შე ეშმაკის ფეხო, შენი!—თითის ქნევით უთხრა ბიძამ ძმისწულს.

— რა?—თითქოს ვერ გაიგო შაქრომ.

— რა და, რომ არ დამაძინე...

— ჰო, ჰო—დაუმოწმა გოგონამ მამას—მაწვალა, მატირა, ჩხირები წამართვა, წიმაქცია.

ბავშს ეტყობოდა, რომ თუმცა ჭუჭყურებდა, ნასიამოვნები იყო და ეხლა მხოლოდ მუსაიდის გაბმისათვის ეუბნებოდა მამას ასეთ საჩივრებს.

— წადი ერთი წყალი მაინც მომიტანე...

რომ ლაპარაკს საესებით არ გამოერკვია დანაშაული, შაქრო ისეთი კისრის ტეხით გაიქცა წყაროსკენ რომ პარმენმა მიაძახა:

— ნელა ბიჭო, რამ გადაგრაია?!

წყალს მოარბენინებდა და სანამ მამა-შვილი სკამდენ, ერთმანეთს ეთამაშებოდნენ და ართობდნენ, შაქრო მიიმალეზოდა რომ დაეთვალეირებია მიგნებული ბუდე, ბლარტები გადაფრენაზე ხომ არ არიანო; ერთხანს მიადგებოდა პატარა ლელეს, იქნებ კბო ან თევზი დაეიჭიროო, და—რაც ყველაზე უფრო იზიდავდა,—იგი ეძებდა დაშავებულ საწყალ ვირს, რომ ერთი-ორი გაჭინდრიკებია, მაგრამ ისევ მალე ბრუნდებოდა მარტოობით უქმყოფილო, თუ ნანახი სოკოებით დატვირთული, და მაშინ პარმენი ეტყოდა:

— მარტო არ შექამოთ, შე ეშმაკის ფეხო, შეც მიზიარეთ ერთი ლუკმა—და გასწედა გზის დასახედავით.

გაიგონებდნენ ბავშვები მომავალი მატარებლის სტვენას თუ არა, ეცემოდნენ საგუშაგო ბაირაღს, და მცირე შებრძოლების შემდეგ, ორივე იდგა სადარაჯოს წინ, ლიანდაგის პირად, და ანიკოს ეჭირა ბაირაღი ისეთის სიღინჯით, თითქოს სკოდნოდეს ამ ნიშნის ნამდვილი მნიშვნელობა, და რონოდის ფანჯრებში თავგამოყოფილი მგზავრები ღიმილით მიაყოლებდნენ თვალს მიმქროლავ ბავშვებს.

ასე მიდიოდა დღეები სანამ შაქრო მახლობელ დაბაში სწავლობდა. რკინის გზის სკოლაში.



ესეც მალე შეიძლება. შაქრო ტფილისის რკინის გზელთა სკოლაში გადავიდა, და მამა-შვილი თითქმის აღარ შორდებოდნენ ერთმანეთს: შაქრმა ხშირად ზურგზე მოიკიდებდა ანიკოს და ისე დაათრევდა ლიანდაგის აღმა-დაღმა, და ორივე სიტყვით გამოუთქმელ სიამოვნებას გრძობდა, როცა შაქრო ჩამოყვებოდა მატარებელს და მათთან დარჩებოდა; და ეს არც ისე იშვიათად ხდებოდა „შმაკის ფეხი“ გაძრომ-გამოდრომას ადვილად ახერხებდა, კონდუქტორები კი დაბმარებას არ აკლებდნენ თავისიან შეგირდს.

ჯერ კიდევ რუსულის ცუდად მცოდნე შაქრომ ძლივს ამოიკითხა: „ქალაქი“, მეორე შეეკრას, მესამეს, მთელ ხროვას შეეკრებისას იგივე ეწერა, თავს არ დაუჯერა ეს ქალაქი არ იქნებაო და თითო სახვევს ჩხილვა დაუწყო.

— რას შეები შერ მანდ?— მიაძახა საბარგო სადგურის დარაჯმა.

— ეს მართლა ქალაქია?

— ქალაქია, მა რა ჯანდაბა იქნება, ხომ უყურებ?!...

— ამდენი?..

— შენისთანა ვირიკელა რომ კაცად გამოვიდეს ცოტა ქალაქი მოუნდება?! იოხუნჯა დარაჯმა.

შაქროს დაცინვა ეწყინა, მაგრამ გზას გაუდგა თავის ქნევით.

რევოლუციის დამარცხებამ ყველაზე ადვილათ გაიოზის თავზე გადაიარა. ორი ინტელიგენტი შეთაურა პარტიის დავალებით საზღვარზე გადიყვანათუ არა, მიაშურა ისეთ მივარდნილ ადგილებს, სადაც თითქმის ვერ იცნობდნენ და საფიქრებელი კი იყო ნათესაე-მეგობრები ხელს გაუწყობდნენ.

დედუღეთში ისეთი სიღარიბე დახვდა, რომ, თუმცა დედის ნათესაეები მზარულად შემოეხვეინენ, თავისი ორიოდ პერანგი და ორიოდ მანეთი საჩუქრად დასტოვა და საჩქაროდ იქაურობას დაშორდა.

მეორე სოფელში ძველი ნაცნობი ოჯახი თვითონ ორკუთხულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, დღე-დღე ელოდნენ უფროსი ვაყების დაპატიმრებას და რა თქმა უნდა, მათთან დარჩენა სახიფათო იყო.

მაგიერათ საკუთარ სახლისკაცებში რალაც მოულოდნელად ხელსაყრელი პირობები დახვდა: გაიოზის მკვიდრ ბიძაშვილს ხელობით მეწულეს განეზრახა მკირე თანხით, რომელიც მას ხელში ჩაეგრდნოდა, დუქნის ვახსნა და რადგან თვითონ ანგარიშის არაფერი იცოდა, მზად იყო ვინმე გაეამხანაგებია. საუბედუროთ საამხანაგო თანხა, რალაც თორმეტი თუ ცამეტი თუმანი გაიოზს არ ჰქონდა, და აქ მოხმარა სწორედ ის, ვისგანაც დაქერისა და დაბრკოლების შეტს არაფერს მოელოდა: მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი, მზარის უფროსის ყოფილი დარაჯი, თვითონ ეძებდა ისეთს კაცს, რომლისთვისაც შეიძლებოდა დიდის სარგებლით მიესესხებია, ქრთამით იყო თუ დარბევით, მოპოებული თუ მხმეტრიოდ თუმანი; გაიოზმა ისე მოხიბლა ეს უხეში მკაცრი ადამიანი წარდის თამაშითა და რუსულის ლაპარაკით, რომ პთელ იმ მზარეზე მამასახლისი ორს სთვლიდა განათლებულ კაცად; რა თქმა უნდა თავის თავს და ლავრენტი ლაბარდავას.

ადგილობრივი ამბების სრულიად უცოდინარ, ახლად მოსულ პატარა მოხელეს ლავრენტი ლაბარდავა მუდმივ აქ მცხოვრებათ ერეგნულად გაიკვირვა, საიდან იცით რუსულიო და, როცა უპასუხა გაიოხს, მუქი კანის მქონე ლობდიო, აკითხა, ამ ყრუ სოფელში რად არ დაგავიწყდაო?

— ეპ, დასწყველა ღმერთმა, წინად, სიმშვიდე რომ იყო, ხშირად ვმუშაობდი ქალაქში, ეხლა ყველაფერი აირია, და ვარჩიე ისევ ჩემს სოფელში მყუდროთ ვიცხოვრო.

ასეთი აზრიც მოეწონა სოფლის ხელისუფალს.

და დაიწყო მშვიდი, წყნარი მუშაობა ლავრენტი ლაბარდავასი დუქანში, რომელსაც ამშვენებდა ორი ამხანაგის სამუშაო კუთხეები: ლავრენტის ქურა და გრდემლი, და მისი ბიძაშვილის დაზგა, მუშტა და ნემსი.

დუქანში მუდამ მრავალი იყო მუშტარი; ისინოდა საბერველის ქშენა, უროს რახუნი და ტყავის დაბეგვა.

მამასახლისი წყალობის თვალთ შემოიხედავდა და ხშირად შესთავაზებდა ლავრენტის, ნარდი წავითამაშოთო.

ხოლო მთელს საქართველოში და მის გარეშეაც, ერთ საპოლიციო უბნიდან მეორეში დადიოდა ათასი შენიშენებით, ნუმრებით და თარიღებით გადაფხაქნილი ქალაქი, რომელიც ეძებდა ვიღაც გაიოხს, მალალს, ლონიერს, შავთმა წვერ-ულვაშიანს ორბოცი წლისას; მაგრამ მალალი საერთოდ ბევრია, რა ლონე ჰქონდა ლავრენტი ლაბარდავას — ეს არავის გაუზომია, და წვერები კი მოეპარსა და ულვაშები საგრძნობლად შეეკრიჭა, ხოლო ხნოვანებით ლავრენტი უნდა ყოფილიყო 25—30 წლის კაცი, იმდენად დაუზარებელი, მარდი, მხიარული და თითქოს უდარდელი იყო.

დაკითხვას, გამოძიებას არ მოჰქონდა სასურველი შედეგი: ხალხს ისე გაჯდომოდა სისხლ-ხორცი მთავრობის სიძულვილი, რომ თვით ელისაბედი, ეს უფიცი, სოფლის გონება დახშული დედა-კაცი, ასეთის პასუხით უმასპინძლდებოდა ბოქაულს:

— იცნობ, შენ დედი, იმ კაცს, შენი ქმრის საფლავეზე რომ სიტყვა სიტყვა?

— კი ბატონო...

— რაეა მისი გვარი?

— მგონია, გოხალაშვილს უძახდენ.

— სახელი არ იცი?

— არა, ბატონო,

— რამდენ ხანს იყო თქვენთან?

— ერთხელ ერთ დღეს იყო, და ის უბედურება რომ დამემართა, ქმარი მომიკვდა, მგონი ორ დღეს... არ მახსოვს მისთვის არ მცალოდა, ბატონო.

— სად წავიდა?

— არ ვიცი, ბატონო.

— ვის ეცოდინება მისი ამბავი?

— რა მოვახსენო, ბატონო.



გამოწვეულ ოდანიას მაგიერ გამოცხადდა მისი უფროსი ვაჟიშვილი და გულბრწყველად განაცხადა, რომ მამა მისი აგერ ორი თვეა რაც (გადრჩენილი) და მან კა არაფერი იცის, და ერთი სიტყვითაც არ წამოცდენია რომ ამჟამად ეკოდინება მის უმცროს ძმას, რომელიც მამას ახლდა ტყეში და წითელ რაზმში.

საქმის დაფარვის სურვილით გაკერპებულ ხალხში რაიმე ცნობის შეკრება შეუძლებელი გახდა.

და დადიოდა ასე ეს უბედო ქალაქი, რომ ბოლოს სამუდამოდ გარჩენილიყო რომელიღაც დაწესებულებაში—და რა დროს ძებნა იყო ისეთი ადამიანის, რომელსაც ბრალდებოდა რაღაც ქადაგება, რაზემეზთან ზოგჯერ ყოფნა, არალეგალური ლიტერატურის კითხვა და გადაცემა-გადმოცემა, როცა ირგვლივ ხშირად დაუპერელი რჩებოდა ჯარისკაცების მკვლელნი, ხაზინის წამლებნი, საშინელი პროკლამაციების დამწერნი და სხვა.

შიატოვეს ეს საქმე, დაამარჩიეს.

და შიატოვა მოწყობილი დუქანი, ბიძაშვილი და მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი, რომელმაც რაღაც ერთწელში თავისი ვასესხებული თანხა გასამებული აღიღო.

და დაუბრუნდა გაიოზი (ებლა უკვე ლავრენტი ლაბარდავა) თავის დაზვას რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში.

გაიოზ ლაბარდავა ორმოციოდე წლის წინად ჩამოყვა თავის დედას, როცა ვიღაც ამილახვარმა შეირთო ვიღაც დადიანის ქალი. დადიანის ქალი მეტად ნაზი, სუსტი, მალალი და წყნარი არსება იყო, და მამამთილი ხუმრობით ამბობდა, ჩემმა შეილმა ნამდვილი აზრდილების ქვეყნიდან მომიყვანა რძალიო, თვით მზითვეი სააზრილოაო... და სახელებიც საიდან გამოიგონესო ფიფი, ცატუ; გაიოზოო...

და მართლაც...

მზითვად რძალს მოყვა გამოურყვეველი ნაწილი სადაო დიდი ტყისა, ძველის-ძველი აუწყობელი რახტი და, საკვირველია, ქერივი ქალი ხუთი წლის ბავშვით. რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, რომ ქალის მზითვად გატანება აღარავის შეეძლო, ნაგრამ დიდი ოჯახის აზრდილად დაშთენილმა მამამ ძველი ჩვეულების ოდნავ მაინც ასასრულებლად მოსძებნა სოფელში მეტად ლარიბი ქერივი, ჩააცვა ცოლის ძველი კაბა—ფოსტლები და შეილს, თუ სამზრადისო არა, დიდხანს მოსამსახურეთ და ახალი პატარაშობის ელფერის მისაცემათ გაატანა. ამილახვრისათვის საკვირველი სახელები კი ნათლობის—გეატერიინე, მარიამ და ლავრენტის—სამაგიეროთ შეთქმული სახელები იყო.

*) დამსჯელი რაზმის სოფელში შემოსვლის თანავე, ოდანია ტყეში მიიშალა; და როცა შენიშნა მისი სახლიდან ამოვარდნილი ალი, ერთხან ყოყმანობდა, მერმე ორლობეებით შემოაპარა ეზოში, უკანა კარებიდან შევიდა ცეცხლმოდებულ სახლში და... მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როცა გარედ გამოსული, ტანისამოს შემოწვეარი ოდანია ლაფაროში წაიჭკა... და მიწაზე დაფარდა პატარა თიხის ქოთანნი... ქოთანში იყო ნახევრად დამფერფლილი ქალაქის ფული.

ამილახერის დიდ სამზარეულოში საქმე არაფერი დარჩა მოხუც დედაკაცს: თუ მზარეულს ათასში ერთხელ არ მოეპოვებოდა საცივებსა და ხაჭაპურს, რისთვისაც ცატუს მიანდობდა ფეკილის და ლონის-ლომის გაკეთებას [ჩვენი] სახეს ირთობდა შალის წინაღებისა და ხელთათმანების ქსოვით; ასე დროს ატარებდა, თორემ მისი მკირე მოთხოვნილებები სავსებით იყო დაკმაყოფილებული. ერთხელ საჭრელი მოაპარეს. საჩხელების შესაკეთად ქალი წავიდა მკედელთან; პატარა გაიოზი თითქოს გადიოდა: ჯერ თვალდაპარაწული უყურებდა ქურიდან ამოდებულ გავარვალებულ რკინას, რომელსაც გრდემლზე ჩაქუჩს ურტყამდნენ, მერე ჩამოეკიდა საბერველს; მკედელსაც შეგირდი ეჭირვებოდა და თვითონ ბავშვს მისცა წინადადება, მასთან დარჩენილიყო... დედაც მაშინვე დაეთანხმა, რადგან ანჩევედა რომ ბატონის სასახლეში. აუარებელ მახურთა შორის, გაიოზი ლაზლანდარობის მეტს არაფერს ეჩვეოდა.

და აქედან დაიწყო გაიოზისა და რკინის მტერ-მოყვრობა.

მკედლიდან გაიოზი ზეინკალთან მოხედა, ზეინკალმა რკინის გზის დეპოს გადასცა, და აქ ერთი სააპროდან მეორეში გადასულით იმდენი იარა, სანამ მთავარ დაზვას არ მიუდგა.

სოფლიდან ქალაქში ჩამოსული გაიოზი უფრო მალე მოეწყო ვიდრე მოელოდა; ამხანაგების საშუალებით დარწმუნებით გაიგო, რომ მის წინააღმდეგ არც საქმე იყო შეყენებული და არც რამე ეკვი იყო მიტანილი; თანაც ემჩნეოდა რომ ცეცხლით, დაპატიმრებით, გადასახლებით, ჩამოხრჩობითა და მუშების დათხოვნით რეაქცია უკვე გაძლა, და ახალი მსხვერპლის ძებნა თითქო ყველას ეზარებოდა, მით უმეტეს რომ დიდი გასამჯელო ვერაფერი მიიღეს თვით განთქმულმა ჯაშუშებმა და მკაცრმა მოხელეებმა... მინგრეულ-მონგრეული რკინისგზა კი თხოულობდა გამოცდილ, მკოდნე მუშებს.

და გაიოზი ერთ დღეს ჩვეულებრივ მიადგა თავის ძველ, თითქმის ორიწლით, შიტოვებულ დაზვას.

ანიკო კუთხეში მიმჯდარიყო და დიდის დაკვირვებით დედოფალს რთავდა, წვიგებით გამოშვერილ ჯოხებს რკოს ფეხები გაუკეთა და მამას ეშმაკურად გადმოხედა:

— მამა!

— ჰო, შვილო, კარგია, კარგი—გაუღიმა მამამ.

— რას შეგება ეს შენი გოგო, ლაპარაკი კიდევ ვერ დაისწავლა?

— რა დაასწავლის მამო, სულ მარტოდ-მარტო ზის, მაგიერად ნებხედრა ხელსაქნარი იცის, ათი წლის გოგოსაც კი შეეფერება.

— და არ გეშინია მარტო რომ სტოვებ?

— ა, მავის დარაჯი...—და პარმენმა იქვე მიწოლილ ძაღლზე მიუთითა—თუ თვითონ ვერაფერი გააწყო, ისეთს ყუფას ასტეხს, რომ ცხრა მთას იქით რომ ვიყო გავიგონებ, და სულ სხვა და სხა ხმით ყუფს... ოქროა, ოქრო—ხელი გადუსვა თავზე ძაღლს, რომელიც არ იყო შენგეული პარმენის აღერსს.

— ოქლოა, ოქლო, —დაამოწმა გოგონამ და ძაღლს მივარდა.

უცხო კაცის წინ, მამა-შვილს შუა მომწყვედველი ძაღლი ისე შეეჭრებოდა, მბამ და აღერსმა, რომ კუდის ქიციანიც კი მიატოვა და დანახველი ყოფილხეტი ქვე დახარა.

— არა პარმენ მიინც არ ვარგა ასე...

— რა გქნა, გაიოზ, არვინ მუავს მახლობელი თორემ ჩამოვიყვანდი.

— შიატოვე, კაცო, ამ გაიოზის ძაბილი... ლავრენტი მქვია, ლავრენტი. დამბახსოვრე ერთი...—მეგობრულად შეუწყრა მობასე.

— კაი ლავრენტი იყოს,—გაეციინა პარმენს. მაგრამ რად გინდა ეს სახელის შეცვლა?

— შე კაცო, ათასჯერ გითხარი: ვილაც გაიოზს ეძებენ, და ლავრენტი ლაბარდავასთანა ლეთის მშოსაეი და ხელმწიფის ერთგული კი მეორე არ ეგულუბათ მგონი, ამ ქვეყანას...

— ე, დამენგრა, ძმაო, ანგარიში... ყველაფერი მავიწყდება ეს ერთი ხანია.—შწარედ ჩაილაპარაკა პარმენმა.

— შეირთე, კაცო, ცოლი—ცოტა სიჩუმის შემდეგ დიწყო ისევ მობაასემ.

— რას ამბობ?!..—ტყმაყოფილოდ უპასუხა პარმენმა. ხნით უმცროსს, სხვა უოველის მხრივ პატივისაცემ უფროსს ამხანაგს—რა დროს ჩემი ცოლია, დავებრდი ყაძახი?!..

ორივე გაზუმდა.

— ერთი იმართ ჯავრში ამოვსულიყავი და მეტი არაფერი მიწოდდა—დაღვრემით განაგრძო პარმენმა.

— აი მაგისტვის შოვედი სწორედ....

— რაო?!—ჩააჩერდა გაიოზს პარმენი.

— აქ გვინდა მოვაწყუთ იარაღის საწყობი, ტიპოგრაფია და სხვა... კარგი ადგილია... წაღებ-მოტანა ადვილია, და ვერც ვერავინ იფიქრებს...

IV

ნადიჩი და მამხარაზი

მრავალ ამბავთა შორის ცხრაასხუთის რევოლიუციამ სისხლის სამართლის ერთი დიდი საქმეც მიაფუჩეჩა, და შიგ ჩარეულ პირთ იმედი მისცა, რომ იგი სამუდამოდ დაეიწყებოდა იქნებოდა.

უმნის პოლიციის მდივანს ლადიკო ნორაბიძეს პრალდებოდა, რომ იგი შეამავლად უდგა ჯარში ვასაწვევ ახალგაზრდებსა და სამხედრო მიმღებ კომისიას.

გარდა ამ პატარა მოხელისა საქმეში ისეთი გავლენიანი პირები იყვნენ გარეგლნი, რომ სათანადო დაწესებულებანი ფრთხილად და ზანტად მოქმედებდნენ. ჩვეულებრივ დროს დიდკაცობაც ვერაფერს უშველიდა მათ; ომისა და რევოლიუციის ჟამს-კი ვის სცალოდა რალაც თუშნიანი ქრთამებისათვის—ასითათისობით და მილიონობით თითქოს იწვებოდა და წყალში ვარდებოდა, და გამკობხავი კი არავინ იყო.

ლადიკო ნორაბიძე მაინც დაითხოვეს და არა ამ საქმისათვის, არამედ მიღებული ჯარიმის 67 მანეთის და 49 კაპეიკის გადამაღლისათვის. ლადის ალმოაჩნდა ერთ-ერთ ძიების დროს. ლადის თითქოს არც სწყენია სამსახურიდან დათხოვნა. უკანასკნელ ხანში პოლიციელის შემოსავალმა მეტათ იკლო, და ყველამ ალმოაცერად დაუწყო ყურება. ლადიკომაც არ შეამჩნევინა სოფელ-ქვეყანას, რა საქმისათვისაც იყო დათხოვნილი; მან და მისმა ახლობლებმა ისე დაიჭირეს თავი თითქოს ლადის თვითონ არ შესძლებოდას ასეთ დროს პოლიციაში დარჩენა.

ლადიკომ კერძო სამუშაო ადვილად იშოვნა.

ცნობილმა მრეწველმა ივანე ვასილის-ძემ იგი სიამოვნებით გაგზავნა მთაში სატყეო კანტორის გამგეთ.

აქ ორ მხრივ მუშაობდა ლადი: გლეხებსაც არწმუნებდა რომ მათთვის თავს დასდებს და პატრონსაც მუყაითობას უჩვენებდა.

ტყის მუშათა უკმაყოფილებას იგი მომზადებული დახვდა. კანტორის ანგარიშები ისე აპუწ-დაპუწა, რომ ცეცხლისგან გადარჩენილი ქალღლებს საშუალებით ყოველად შეუძლებელი შეიქნა რისიმე მოწესრიგება.

მხოლოდ ერთი დარჩა უტყუარი: მას მიღებული ჰქონდა საქმაოთ დიდი თანხა გზების გასაყვანად, გზების გაყვანაზე არაფერი დაეხარჯა, ფული კი არსად სჩანდა.

და აი, როცა ეანდარმთა უწყება განსაკუთრებულის გულისყურით შეუდგა ჯაშუშებისა და მთხრობელთა ორგანიზაციას, ეანდარმის პოლკოვნიკმა თვალი შეაჩერა რაღაც საქმეში ამოკითხულ გვარს—ნორაბიძეს.

გამოიწვია.

ამან უფრო ასწია ნორაბიძის სახელი მთავრობის უკმაყოფილო წრეებში. თვით ივანე ვასილის-ძე არწმუნებდა ყველას, რომ ლადისაგან ცდილობდენ მიეღოთ ცნობები ტყეში მომხდარ არეულობის შესახებ. და ლადი კი ხომ... ჩვენია...

პოლკოვნიკმა დაწერილებით უამბო ლადის მისი თავგადასავალი, თითქოს კვალ-და-კვალ სდევდა და ბოლოს უთხრა:

— გარემოება ასეთია: გნებავთ, დაგვებმარეთ, რითაც თქვენ შევიძლიათ, და საქმე თავის დღეში არ აღიძრება, თუ არა და...

ლადი ყოყმანობდა.

— ეს ორმოცი მანეთიც თან წაიღეთ და ეს ერთი კვირე მოისახრეთ, რაც გითხარით..... თქვენი ვასამრჯელო თქვენს ცნობებზე იქნება დამყარებული... იმედი მაქვს, მოვიგდებით. ახლი ნახვამდის...—და ფული ერთმა თითქოს ძალით ჩააჩარა ხელში და მეორემ თითქოს უნებურათ ჩამოართვა.

ორი-სამი დღე ცოტა არ იყოს არეული დადიოდა ლადი, თითქოს არ იცოდა სად დაედგა ფეხი და რა გზას გაჰყოლოდა, მაგრამ მერე აზრს შეეწვია, ნახა რომ ყველა რითიმე სჭამს პურს, როგორმე მუშაობს, და თავს დაუმტკიცა, რომ ჩვეულებრივი პოლიციელი, რომელიც ქურდებსა და ყაჩაღებს დასდევს, ძლიერ მცირე რაზმით თუ განსხვავდება ეანდარმსა და ჯაშუშთაგან.



— თქვენმა ცნობებმა ორჯერ სულელურ მდგომარეობაში ჩამაყენა და ამიტომ არ მჯერა თქვენი არაფერი... მე ვთხოვ, ვისაც ჯერ არსებობს შესაფერი ზომები... იცოდეთ დრო არ გასულა—სისხლის სამართლის საქმედების თვალ წარმოებს, მოსაპობილი არ არი...
 — მე რა ვქნა,—თავისმხრივ აღშფოთდა მის წინმდგომი პატარა კაცი—მე ცნობას რომ მოგაწვდით, თქვენ ატყობინებთ პოლიციას, ბრალმდებელს, მიდიხართ მთელი ამალით... ჩვენში ხუთ-ექვს კაცს, ახლად ჩამოსულს კი არა, ყოველ გოკს იცნობენ... დაგეჯერებით ჩემთვის ეხლა ტიპოგრაფიაც ხელში გეჭნებოდათ და მისი მომწყობლებიც.

— ახლა თქვენი გულისათვის ხომ ვერ დავარღვევთ ყოველ კანონსა და წესს?!

ამ დროს პოლკოვნიკს გაჰკრა რევმატიზმმა; ტკივილზე მოავიწყდა, როგორ ხეპრეთ შეხვდა გუშინ მისი ცოლი ბოდის, რომ ავადმყოფობის გამო თეატრში ვერ წაყვება, და პოლკოვნიკს უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ პატარა კაცმა დაასწრო:

— ისინი კანონს კი არ უყურებენ, არამედ საჭიროებას და სარგებლობას და რა ჩემი ბრალია, თუ თქვენი კანონიერება ვერ სჯობნის და ვერ ეწყვეა...

პოლკოვნიკი ჩაფიქრდა.

ტკივილმა კიდევ გაჰკრა.

კაპასი ცოლის დამცინავე სახე ისევ წარმოუდგა.

— როტმისტრ ებანოვ...—გვერდში მდგომი, საიდუმლოთ მისკენ დაბრძლი და ზოგჯერ რაღაც ცნობების მიმწოდებელი ახალგაზრდა ოფიცერი მხედრულის წესით გასწორდა:

— მიბრძანეთ ბატონო პოლკოვნიკო...

— უკაცრავად, მე სრულიად დავიბენი... აი ჩემო ალექსანდრე ვალერიანის ძეგ, მთელი ეს საქმე თქვენს თავზე მიიღეთ და ისე მოავიწყეთ, როგორც ვინდოდესთ. ოღონდ ნუ აჩქარდებით, ბევრს ნურაფერს დაუჯერებთ, და თვალში ნუ მოეზვდებით ქვეყანას საყაყანოთ, თორემ ხომ იცით სათათბირო და ყველა ეს ჯანდაბა და უბედურება...

— მესმის!—და დეზები ოდნავ დარიწყინდა.

— თუ რამე იქნეს საჩქარო შინ გამომიგზავნეთ.—პოლკოვნიკმა როტმისტრს ხელი ჩამოაჩთვა, მობაასე თხელ კაცს ოდნავ თავი დაუქნია და ნელის ავადმყოფურის ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

პოლკოვნიკის წასვლისთანავე როტმისტრმა თავი მთელი დაწესებულების უფროსად იგრძნო და მრავალ დამპირებელი ქცევით მეორე დარჩენილ პირს უთხრა:

— წავიდეთ ჩემს კაბინეტში.

შესვლისთანავე ებანოვი ნებეირათ ჩაჯდა ფართო სავარძელში, პაპიროსს მოუკიდა და საპაპიროსე მობაასეს გაუწოდა:

— ეხლა გულწრფელად მოვილაპარაკოთ... დავიწყეთ თავიდან: რა გნებაეთ თქვენ?...

პატარა, თხელი კაცი ყოყმანობდა.

— აკი გითხარით, ვილაპარაკოთ გულწრფელათ; ამ უბედურებაში თქვენს სიტყვის კაცი ვერ მოკრავს ყურს და მე ხომ დაახლოვებულე ვიქნები დაწვრილებითაც ყველაფერი ვიცი. მე ნინდა ხბოლოდ გაგიტოვალისწინათ მთელი გზა ჩვენი საქმიანობის, რომ დაგარწმუნოთ, თუ ყველაფერი რა ადვილი მოსაგვარებელია... მაშ, რა გნებავთ თქვენ?

— მე მინდა ჩემი საქმე ერთხელაც არის მოისპოს, თორემ გამოჩნდება ვინმე მატრაკეცა, და ხომ დავიღუპე...

— კიდევ რა გნებავთ?

— ერთი ადგილი მინდა ისეთი რომ შემეფერებოდეს.

— რა ადგილია ასეთი?

პატარა კაცს უნდოდა ეთქვა „მაზრის უფროსობა“, მაგრამ იფიქრა ნამეტარია, არ მომცემენო... თაქში გაუელვა, რკინის გზის კონტროლიორობა, მაგრამ ეცოტავა... ყოყმანობდა.

ეზანოვი მიუხვდა:

— ნამეტარსაც ნუ მოინდომებთ: ჩვენ ისეთს კი ვერაფერს მოვიმოკმედებთ, რომ თითის საჩვენებელი ვაგებდეთ—ეს არც თქვენთვის იქნება კარგი. მე შირჩევია თქვენთვის უბნის ბოქაულობა მიიღოთ... ჩაჯდებით საღმე დაბაში და პირველი კაცი იქნებით... იქვსაც ვერაფერს მიიტანს რომ ამ საქმეში ჩვენ დაგეზმარეთ... შირმე წინ წაიწვეთ, აქაც ხელს შეგიწყობთ...

— კარგი... ოღონდ...

— ჩვენ საქმის კაცები ვართ... თქმეა ბევრს გვაგინებენ, მაგრამ, დაპირების ასრულება ვიცით, რადგან ჩვენ თუ ნდობა არ გვექნა სრული, ისე ხომ ფეხსაც ვერ გავადგამთ... ახლა ჩემი პირობები მოისმინეთ.— როტმისტრმა სული მოითქვა და გრაფინიდან წყალი დაისხა, დალია და განაგრძო—ჩვენ რომ ორჯერ ხახა გამოშრალი დავრჩით ეს თქვენი გაორების ბრალია.

პატარა კაცმა თვალგმი დააქუცია, სავსებით ვერ გაიგო რუსულად ნათქვამი ბუნდოვანი წინადადება.

— თქვენ გინდათ ჩვენი მფარველობა დაიმსახუროთ, მაგრამ თან სხვა მოსაზრებაც გაქვთ; ხან გეშინიათ, ხან გერიდებათ... დიახ, გაორების: ერთ საქმეში, მაგალითად, ერთი თქვენი ვილაც ახლობელი... თქვენ ერიდებოდით მის დაქვრას...

პატარა კაცი მიხვდა, და ნაწილობრივი სიმართლე იგრძნო, ამიტომ მიწოდებული და ამდენხანს უწყურადღებოდ დატოვებულ საპაპიროსეღან პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა.

ეს მოძრაობა ეზანოვს არ გამოპარვია.

— მეორეში თქვენ შეშინდით, გეგონათ ყველაფერი გამოაშკარავდებოდა... და ამიტომ მტრათ სიფრთხილით მოქმედებდით... ჩვენ იძულებული შევიქვინით მიმყოლი, გზის მაჩვენებელი სხვა გვეძებნა.

არც აქ განუცხადებია პროტესტი პატარა კაცს.

— ... ამგვარათ შიშმა, თავმოყვარეობამ, ნათესაეობამ, სისხლმა, როგორც გნებავთ, ისე დაუძახეთ, ჩვენ შეგვიშალა ხელი.



ეზანოვი შეჩერდა და პატარა კაცს თვალი ააშორა, თითქმის დასვენების დროს აძლევსო.

— აბა ვაგიპიროტყვედ მთლად და ალაიშია გამოვიდე, ვიძახო ჯაშუში ვართო?... — წაილულულა პატარა კაცმა.

— რათ ხმარობთ ასეთ სიტყვებს... თქვენ რომ იცოდეთ ამ თქვენი ნათესავების სულსკეთება, მათი პროგრამა, მოქმედება, ნათესავთ კი არა მოსისხლე მტრად ჩათვლიდით... თქვენ გგონიათ, მათ თუ ჩაუვარდათ ხელში ძალაუფლება, მარტო მე და ჩემისთანებს დაუწყებენ დევნას... არა, ბატონო ჩემო, თქვენისთანა პატარა აზნაურებიც, პატარა შემამულეებიც, პატარა მოხელეებიც ვერ აცდებით დევნასა და შეიძლება დაუმსახურებელ ჩაგვრას... რაა მათი მიზანი? მათი მიზანია, მოწყალეო ხელმწიფეო, — და ეზანოვმა მარცვლა-მარცვლა დაიწყო ლაპარაკი — ის უფლებები, რომელიც ჩვენს გაღმერთებულს მირონცხულ მეფეს ხელთ უპყრია, გადაეცეს პროლეტარიატს, ე. ი. ბოვანო მუშას, რომლის მსგავსი თვით რუსეთშიაც ას კაცზე ერთი მოდის, ხოლო თქვენში სანთლითაა საძებარი; და იცით მოწყალეო ხელმწიფეო, რაა ეს პროლეტარიატი, მისი რეგულირება, და სხვა — ესაა ის, რომ დახვრეტა სანატრელათ გაუხდება რეგულირების თქვენისთანა დამხმარეთ და მოხელეობა კი არა, საჭმელი ზური ხელგაწედილი ჩამოსათხოვარი გექნებათ... ჩემი ნათესავიო! ის თქვენი ნათესავიც, თუ გადაჩნა, დამერწმუნეთ, ხელსაც არ გამოვიწვდისთ ჩამოსართმევათ...

პატარა კაცი ყურებ გამახვილებული უსმინდა. ეზანოვმა შეატყო და მტერ-მეტყველებას უმატა.

— ...როგორ მოვიჭრა თავი, ჯაშუშათ როგორ ვეჩვენო ხალხსო?! ჯერ ერთი იმ ხალხს, რომელშიაც თქვენ ცხოვრობთ, არაფერი საერთო არ აქვს რეგულირებისებთან და არაფერი დარდი არ აქვთ მათი, თუ ძალას არ დაატანებენ და არ მოატყუებენ. მეორე, ვინ გაიგებს დარწმუნებით ასე ადვილათ, რა მოხდა?... და მესამე, თუ მართლა გაწყრა ღმერთი და გაიგეს, — რუსეთი დიდია, ისეთ ადგილას მივმალავთ, რომ აქაურმა ჩიტმაც ვერ მოგაგნოსთ და კიდევ უფრო დიდ ადგილს მოგცემთ... იქ დაწინაურდებით. და აქ რომ ჩამოხვალთ თქვენივე მტრები ფეხს გლოკავდენ იქნება.

პატარა კაცი თუ ვერ დააჯერა ამ სიტყვებმა, ბევრი იჭკი მანაც დაუბადა.

კიდევ იმუხაიფეს ერთხანს, დააწყევს რალაც გეგმა და მეგობრულათ დაშორდენ ერთმანეთს...

— როტმისტრი... — გვარი ისეთის დარდიმანდობით წარმოსთქვა ზეზე ნდგომმა და პირველმა სიტყვამ ისეთი გავლენა იქონია მივიდას მიმდგარსა და დიდ საკანცელარიო წიგნში გართულ კაცზე, რომ დანარჩენი აღარ გაუგონია.

— მიბრძანეთ... — და მჯდომარე წითელ ქუდიანი კაცი ნელ-ნელა ადგა.

— მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა, განკარგულება გავცეათ მე-15 ვერსტზე ოდნავ შეაჩერონ მატარებელი, რომ ჩვენ გადმოსტომა მოვახერხოთ.

— სიამოვნებით... რა თქმა უნდა... როგორც გნებავთ... — დიბნა მო-
პასუხე.

— მე ვერ გიბრძანებთ, ოლონდ თავაზიანობის მიხედვით...
წითელ ქუდიანს გულს მოეშვა, ამოისუნთქა და დაბნევით განაგრძო...

— დიბ, დიბ მესმის... ოლონდ რაიმე უსიამოვნება არ მოხდეს... ეს სას-
წრაფო მატარებელია, უეჭველია, აქ ვინმე დიდი მოხელეც მიემგზავრება და...

— .. და თქვენ არ შეგიძლიათ როგორმე მოგვიხერხოთ, ადგილზე მიგვი-
ყვანოთ?

— როგორ არა, როგორ არა—გაუხარდა წითელ ქუდიანს.

სწრაფათ თვალი მიმოავლო: სანადირო ძაღლები, ოთხი კაცი, მოკლე ქუ-
რკები, ძველი ტანსაცმელი, თოფები...

— თქვენ სანადიროთ მიბრძანდებით არა?

— დიბ!—და ძაღლს ალერსით ხელათმანი გადაჰკრა კისერზე.

— მაშ, ამ მატარებელს გაჰყვება საბარგო მატარებელი, და იმითი წაბრ-
ძანდით, იმის შეჩერებაც ადვილია...

როტმისტრი ჩაფიქრდა.

რამდენ ხანში იქნება ეს?

— სულ დიდი—სადგურის უფროსმა დაიწყო ანგარიში—სულ დიდი, ერ-
თი საათის დაგვიანებით თქვენ დანიშნულ ადგილზე მიხვალთ... ჯერ აღრეა...
ცოტა მაინც თუ არ ვარიყრავდა ისე ნადირობას ვერ დაიწყებთ—იქ ისედაც
დაბურული ტყეებია და ხრამები.

— თქვენო აღმატებულებავ, თანაც აქ კარგი ბუფეტი გახლავთ—დაუმატა
თამამმა ფელდფებელმა.

— კარგი... მე აქ ბუფეტში ვიქნები და როცა დრო დადგეს, შემატყობი-
ნეთ; ოლონდ გთხოვთ, რაც შეიძლება დააჩქაროთ.

— უსათუოდ, უსათუოდ—სრულიად დაშოშმინდა სადგურის უფროსი და
უბრძანა მატარებლის გაშვება დაეჩქარებიათ...

მეტათ ფრთხილი სადგურის უფროსი კარგად იყო მიხვედრილი, თუ რა
სანადიროზედაც მიდიოდენ ენდარმები, მაგრამ თავი მოიკატუნა თითქოს არა-
ფერი შეეტყოს; იცოდა რომ, ვისთვისაც საჭირო იყო, ყოველივეს გაიგებდა და
უკვირდა, ნუთუ ენდარმებს უფრო ხერხიანათ მოქმედება არ შეუძლიათო.

მართლაც კედლებმა გადასცეს, თუ უჩინაჩინის ქუდით მიმალულმა ჯაშუ-
შმა გააგებინა, სამიოდე წუთის შემდეგ ორთქმავლის მოაჯირზე გადმოწოლილ-
მა მემანქანემ ჩუმად ნათქვამი ასეთი ბრძანება მიიღო:

— მეთუთხმეტე ვერსტთან სულა შეამკირე—ისე რომ გადმოხტომა შეი-
ძლებოდეს.

— კაცო, ისედაც იგვიანებს მატარებელი, შარი არ მომდვან...

— სპირიდონმა შემოგითვალა...

— კარგი... ერთს რომ დავსტვენ ე მაშინ გადმოხტეს, მეორე დასტვე-
ნაზე სვლას მოუმატებ.

— კარგი...



სადგურის უფროსს ძლიერ უნდოდა მშვიდათ ევლო და არაფერი შეემზინეინებინა, მაგრამ დარბოდა უგზო-უკელოთ და ყოველ წუთში განსჯისკენ მისი ჰკიდებდა ხელს, რომ ისე მიეტოვებინა და გარეთ ბაქანზე გამსხურულიყო.

რკინისგზელთა კომიტეტის ძლიერებისაც ეშინოდა და არც ენდარმების ხელში უნდოდა ჩავარდნა, და არ იცოდა, ვისთვის როგორ ესამოყენებინა.

დაუგვიანდებათ ამ ოჯახ-ქორებს, და ვინ იცის, იქნებ დამანაშავეთ მე გამომაცხადონ, რათ არ შეგვიწყვე ხელიო... კიდევ მეტს იტყვიან, განგებ შეაჩერა, შეაფერხა ჩვენი ადგილზე მიყვანაო; და გაუწყრებათ ღმერთი იმათ, ან იმას, რასაც ეძებენ მე-15 ვერსტთან, და მაშინ ვინ გადაურჩება მუშების კლსა და ცილს და ვინ იცის?.. მაგრამ მე, რა შეაწი ვარ? მე ზომ არაფერი ვიცი?.. განა ცოტას დღიან სანადიროთ არა თუ ენდარმები, მასწავლებლები და მოწაფეებიც კი?.. რატომ არ შეიძლება ესენიც სანადიროთ მიდიოდნენ? ძალიც სანადიროთა... პონტერია ნამდვილი, ეხლა ტყის ქათმისა და ბატების გადაურენა... და შეუგნებლათ სადგურის უფროსი სტეგნდა და ლილინებდა:

Я — не я;

Лошадь не моя;

Моя хата с краю

И знать ничего не знаю.

სწრაფი მატარებელი დაიძრა.

უფროსმა შეხედა საათს და გაიფიქრა: ამ სადგურზე მატარებელმა ოთხი წამით შეამცირა დაგვიანება; მაშასადამე, მე განგებ მატარებელი არ შემიჩერებია, პირიქით დავაჩქარე ვაგზავნა... ეს უფროსებისათვის და ენდარმებისათვის იყოს; მაგრამ მატარებელს შეეძლო 10 წამითაც შეემოკლება დაგვიანება, მაშ მე არ დამიჩქარებია მატარებელი... ამაზე ყოველი რკინისგზელი დამეთანხმება... მაშ მე არ შემიწყვე ხელი ენდარმებისათვის--ეს მუშების იმ წყეული კომიტეტის წინაშე გამომადგება... არაფერია, თავი მოებმება და კვდიც ყველაფერს, თუ განგებ არ მომდევს შარი... და ამ აზრებით ხელი მოჰკიდა ტელეფონს, რომ უკან სადგურისათვის ეცნობებია, ვზა თავისუფალია და იქ დამარაგებული საბარგო მატარებელი გამოუშვითო.

ცოტა ხნის შემდეგ სიგძე-განუზომავი საბარგო მატარებელი მოვიდა.

მემანქანეს პირადად ვადასცა სადგურის უფროსმა, სად უნდა შეჩერებულიყო ოდნავ, რომ სანადიროთ გამგზავრებულ ენდარმებისათვის გადახტომის საშუალება მიეცათ...

მემანქანე ცოტა არ იყოს გაჯიუტდა, მაგრამ, როგორც სადგურის უფროსმა, ისე უზინარმა კომიტეტმა, ვააგებინა, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს, და არ ღირს ენდარმთა იჭვი რითიმე გამოვიწვიოთ,—შემდეგნი სხვა ზომასა და გზას მიმართავენ და ეს, იქნებ, უარესი იქნეს ჩვენთვისო...

მატარებელი მაინც არ იძროდა ადგილიდან... აქ პლომბი გახდა საეკეო, და შესამოწმებელი, იქ მუბრუქს მოვარდნოდა ხელი...

ბოლოს დაიძრა ისიც.

ჩქარი მატარებლის მემანქანემ დასტვინა და სვლას მეტად უკლო.

— კიდევ რაღაც უბედურებაა ამ დასაქცევში, — ილანძღვრავდა მანქანის მძღველი.

— რას იხამ უკულტურობა, ბატონო, გაუშვებენ ამ ხარკავშენის ლინდავის გასწვრივ და შეგაჩერებენ...

— არა ბატონო, მაგი კი არა, გზას არ აკეთებენ... ინტენერები ფულს ჯიბაში იწყობენ, და შენ კი ბათონიდან ბაქომდი უნდა იარო, თითქოს საიქიოს მიხვიდოდდე.

— მემანქანეა, მგონი, გადაკრული და ანელეფებებს ორთქმავალს, როგორც მთერალი იმერელი ცხენს, ხან მიუშვებს, ხან ლაგამს ჩაპკრავს... ეს შედარება უფრო მოეწონათ კუპეში.

მეორეთ დასტვინა, და მატარებელიც გაქაჩანდა.

— აქი გითხარი... აბა, ამ ორ საყენზე, რა ამისთანა განსხვავება იყო, რომ ჯერ კინალამ გაგვაჩერა და ეხლა კი კისრის-ტეხით გარბის?

კისრის-ტეხით მატარებელი კი არ გარბოდა, არამედ ის პატარა ბიჭი, რომელიც მატარებლიდან გადავობტა, ოდნავ ხელეები გაიკაწრა ხეივანზე და ისევ ფეხზე დამდგარი დაეშვა ქვევით, სადარაჯოსაკენ.

ლოიკოთ დატოვებული მოგდული კარი სასწრაფოთ გააღო და შიგ შევიდა. პატარა კრაქი ძლივს ბეჭტავდა. ოთახში თითქმის ბნელოდა. ყველის ეძინა. ფარდებს იქეთ მწოლარესთან მივიდა და ღვიძება დაუწყა. მძინარეს მხოლოდ ფეხები მოუჩნდა; მთელი თავი და ტანი კი მჭიდროთ ჰქონდა შემოფლთნული საბნით.

არც ძაბილმა და არც მორიდებულმა ხელის შეხებამ ვერ იმოქმედა. ბავში მოიქანცა და სასოწარკვეთილებით მიმოიხედავდა ირგვლივ.

ბავში კარებს მივარდა და აღმართს რომ შეუდგა წინ შეეფეთა გზის დათვალეირებისაგან დაბრუნებული პარმენი.

— რა იყო?... — მაგრამ ყმაწვილმა არ დააცალა და სხაპა-სხუპით უამბო.

— სპირიდონმა შემოუთვალა ლავრენტის... მგონია, ეანდარმები მოდიან და ვერ გავალციძე.

ორივე სირბილით შემოვიდნენ სახლში. სმსტრობაზე უეცრად გამოლვიძებულ ანიკოს ტირილმა და პარმენის ღვიძებამაც ვერაფერი გააწყო, სანამ მძინარის უდარდლობით გაბრაზებულმა პარმენმა არ დაიღრიალა:

— ეანდარმები მოდიან, შე ოჯახ-ქორო, არ გეილვიძებ?!.

და უეცრათ ორივეს თავს დაადგა ლოგინიდან კლდესავით ამდგარი, სრულიად გამოლვიძებული, სრულ გონება-მახვილობით აღჭურვილი უზარმაზარი კაცი.

— რა იყო? — ერთი კი კითხა და მიწოდებულ წერილს წუთით ჩაუკვირდა.

— არაფერია — ყოველივეს მოვასწრებთ.

ერთ წუთში შეკრა თავის ბარგი-ბარხანა. დიდ ჩემოდანს თვითონ დაავლო ხელი, ხოლო ხურჯინი პატარა ბიჭს გადასცა.

— შენ ვითომ სრულიად არაფერი იცი... არ დაიბნე — ერთი კი უთხრა პარმენს, და გაიოზი და შაქრო მიიშალა.

ტუნძულით მიდიოდენ. ღელეს მიადგენ. წყალ-წყალ იარეს კარგა ხანს: შაქრო ამტკიცებდა, რომ თინდარმებს მონადირე ძალი კი არ აქვს სუნაძეღა—მარამედ მიძიებული პოლიციის ადამიანზე დაგეშილი ძალიო. ლავრენტის, თუქს არ სჯეროდა ეს ამბავი, მაგრამ ახალგაზრდა ანბანაგს ხათრი არ გაუტეხა, და მიამბიჯებდა წყალში. ღელე მდინარეს უერთდებოდა რკინის გზის ბიდან. ხიდის ქვეშ დაისვენეს.

— ესეც ასე!—თავისუფლად ამოისუნთქა ლავრენტიმ. ვადავრჩითი.. და საჩქაროთ მიპყო ხელი პატარა ხურჯინის ჩალაგებას.

თავზე ბაშლაყი შემოიკრა, წაღები გაიხადა და წულეები ჩაიკვა—ლავრენტის ეტყობოდა გლეხის ელფერის მიღება უნდოდა.

ჩემოდანი ხიდის ძირის კუთხეში მიშალა და შაქროს მიუბრუნდა:

— პარმენს უთხარი—თუ მოახერხოს სპირიდონს მიუტანოს ეს ჩემოდანი, თუ არა და ვასოს ვააგებინე...

— შენ სად წახედი?—უნდოდა ეკითხა შაქროს, მაგრამ შეჩერდა.

— აბა, ახლა ეს ფული შენ...

შაქრო უარზე იყო.

— ნუ სულელობ, ბიჭო,—შეუწყრა გაიოზი—ეს ფული არც ჩემია და არც შენი... იგი იმისია, ვისაც სჭირდება და შენ კი გჭირდება, რომ ჩენი საჭმისათვის ისწავლო ორი ანბანი... თანაც ბიძა შენი იქნებ დღეს ხვალ ვააგდონ სამსახურიდან, და ორ დღეს ლუქმას სჭამს... ფული აი აქ იყოს ამ ხიდის კუნძულში, თორემ ასე რომ გინახონ მიხედებიან, რომ მათთვის საკეთილო გზით არ გატყვს ნაშოენი... აბა ახლა მშვიდობით წადი... პირდაპირ ქალაქში, სკოლაში. უკან ნუ დაბრუნდები.

— შენ?

— მეც წავალ, მარა სხვა გზით...

— ეს ადგილები მე უკეთ ვიცი თბრილებით და საგორაკებით წავიყვან...

— საშიშია, ბიჭო, ერთად რომ დაგვინახონ... თენდება კიდევ...

— შე რა გლაბა მნახე, რომ მიგატოეო ამ.....—წამოცდა შაქროს და სირცხვილით ვერ დაამთავრა წინადადება.

სიტყვებმა აამო გაიოზი.

სწორეთ ამავე დროს გაიოზმა ჯიბეში იგრძნო რევოლვერი. ხელი მოისვა: ორ რევოლვერს ჯიბე მეტათ გამოემერა. ერთი ამოიღო. ჯიბეს აღარაფერი ეტყობოდა. ლავრენტიმ არ იცოდა საით წავლო რევოლვერი.

— ბიძია, არ გეტყვა ჯიბეში რევოლვერი?—და ხმაზე ლავრენტიმ კითხვის გარდა გაიგონა თხოვნა...

— გინდა, ბიჭო, რევოლვერი?...

შაქრომ პასუხი ვერ უთხრა, თავი დაიღუნა, ბუჩქს ფოთოლი წააწყვეტა და სრესა დაუწყა.

— რამდენი წლისა ხარ—შაქრო?

— თოთხმეტის—ნაღელეიანად უპასუხა შაქრომ.

— რომ მოგცე?

ბავშს ისე გაუბრწყინდა სახე, ისე აუთამაშდა მთელი ტანი, რომ ლაერენტიმ რევოლვერი გაუწოდა.

თვალის დაბამბამებაზე ღვედი შეიხსნა, რევოლვერის მარჯვენა ხელსაწყო, ბლუზის ქვეშ შემოიკრა და ბლუზა ჩამოუწვია.

— მაგრამ ჭკუთ, არაუინ გინახოს... ჯერ შეინახე, თუ გინდა სპირიდონს მიბარე...

— ნუ გეშინია, ბიძა, ამას არავის ვაჩვენებ... შინ რომ მივალ გავქონავ და მიწაში შევინახავ.

— განა მუშის საქმეა კაცს ესროლოს ან ვინმეს დაეცეს—თითქოს იმართლებდა თავს ლაერენტი, რომ რევოლვერი პატარა შაჭროს აჩუქა—მაგრამ როცა ჩვენ ძაღლებით დავედევნე რა ვქნათ? თუ საჭირო იქნა, შენც იკისრებ ასეთ დაეალებას, მაგრამ შენ უკეთესი დრო დაგიდგება... ჩვენ გვპირდება განათლებული ხალხი, რომ უწინამძღვროს...

შაჭრო კი ხელს ვერ აშორებდა ბლუზის ქვეშ ჩამოკიდებულ რევოლვერს, და მთელი მისი გული მადლობის ნიშნად ნატრულობდა ყოფილიყო ისეთი, როგორც იყო ლაერენტი, და ცხოვრებაც ჰქონოდა სწორედ მასავით საფრთხიანი საშიშროა...

გავიდა ორიოდე წელი.

ინტენერი ივანე ვასილის ძე გოლიაშვილი თუმცა პლატონიური, მაგრამ დიდი მოყვარული იყო ქართული ისტორიისა და ამიტომ, თუ კი დროს იშოვიდა ხშირად ეწვეოდა რკინის გზის სახელოსნო სასწავლებლის გამგის თანაშემწეს ესტატე თაყაძეს, რომელსაც მთელი თავისუფალი დრო სრულიად უანგაროთ შეეწირა ქართული ხელოვნების შესწავლისათვის.

და სასწავლებლის ბაღში, ყველასაგან დაშორებული და უშიშარ მდგომარეობაში მყოფნი სტუმარ-მასპინძელი მუსაიფობდნენ საქართველოს წარსულსა და მომავალზე.

საშობაევთ ჩვეულებრივ ეწვია ივანე თაყაძეს. თაყაძე სჩიოდა, რომ ქართველ მოწაფეთა რიცხვი ბევრათ ნაკლებია, ვიდრე სასურველია, და ვინც არის, ან ისე ლარიბია, რომ სწავლის გაგრძელება არ შეუძლია თითქმის, ანდა, თუ სწავლა შეუძლია, მატერიალურათ არ არის შეეწირებული, არ მოსწონს ჩვენი ხელობა—ან გიმნაზიაში გადადის და ან მოხელეთ შედისო:

ვეძებ რაიმე სამუშაო უმოგო ზოგიერთ მათგანს მაინც, მაგრამ რა სამუშაო უნდა იშოვონ, როცა სტუდენტები და გამოცდილი პედაგოგებიც კი უმუშევრათ არიან ხშირათ.

— და რა ზომას ღებულობს თქვენი ლიბერალი გამგე?

— შევედი... სულ სხვა კაცი გამოიდგა: ქართულ საქმეს აღმაცერათ უყურებს...

— მაგ მხრით ყველა ერთია—შეერაზმელი და ლიბერალი..

შენ წარმოიდგინე, იმდენათ უკულტურო აღმოჩნდა, რომ ჩემს საუკეთესო მოწაფეს შენიშვნა მისცა, რათ ჰქარგავდი დროს, რალაც ზღაპრების შეკრებაზე და ძველ ნაშთებთა აღწერაზეო... ჩემთანაც ლაპარაკი ჰქონდა.



— აი ამიტომაც გეუბნები კულტურული ავტონომია გეშეკლისტო.

— მაგის წინააღმდეგი როდის ვიყავი, ოღონდ მაგი არ გვეყოფოდა.

— ყოველ შემთხვევაში მე კარგათ ვიცი, რკინის გზის გაწევის გამო გაზაფხულზე პეტერბურგში მივდივარ და მოველაპარაკები ამ სასწავლებლის მდგომარეობაზე და... მისი ცოლი ჩვენებურია, ივანე ნაკაშიძის, მგონი რალაც ნათესავი...

— ეჰ, არ ღირს... ასე უკანა კარებიდან არ გვეკადრება მოქმედება... მე ბინდა წერილი დავწერო სასწავლებლებში ქართველობის მდგომარეობის შესახებ; თუ რომელიმე გავლენიან გაზეთში დააბეჭდვინებ—ეს უკეთესი იქნება.

— ეს კიდევ უფრო გაუკეთებს საქმეს თქვენს გამგეს... ახლა ისეთი სულიერი განწყობილებაა პეტერბურგში, რომ საერთო რეფორმის იმედი ტყუილია, და „ტუზნეცების“ დღენისთვის საეკვოა რომ ვინმეს შენიშვნა მისცენ... ბატონო ივანე, — მიმართა ესტატემ ივანეს, თითქოს რალაც მოაგონდაო — იქნებ ერთი კარგი საქმე მოაგვაროთ: აქ ჩვენს სასწავლებელში ერთი ყმაწვილია, სწორეთ იშვიათი თავის მუყაითობითაც და ნიჭითაც... აი რომ ვიოხარით ჩვენმა გამგემ შენიშვნა მისცა ზღაპრების ჩაწერისა და ძველი ნაშთების აღწერის გამო. თქო... უკიდურესი ვაჭირებულა... თან სწავლის ვაგრძობა სურს... იქნებ რაიმე სამუშაო უშოგოთ. მშვენიერი ხელი აქვს ქართულადაც და რუსულადაც... ზოგი რამ გადახატვისაც იცის...

— მე შჭირდება სწორეთ ვადამწერი... ოღონდ გამომადგება კი?

— სინჯეთ...

ასე შეხედენ ერთმანეთს ერთხელ შეხვედრილნი და რამოდენიმე წლით დაშორებული შაქრო და ივანე ვასილის ძე...

ჯ ა შ უ შ ი

ერთი კი აფორიაქდა ქვეყანა: რკინის გზის სადარაჯოს ახლო რალაც საეკვო, დანგრეული შენობის კუნჭულში ნანახმა რევილიუციონერთა საწყობმა მეტათ ბერის მოუყარა თავი საპატრიოროში, მაგრამ პატიმართა და საწყობს შორის რაიმე კავშირის გაბმა ყოველად შეუძლებელი გახდა.

მხოლოდ დარაჯს—პარმენ მარგველიძეს—ჩაასვეს კბილი, და მისი პატარა გოგონა ანიკო სპირიდონის ოჯახში მიყვანილი ხშირად ეკითხებოდა მოხუც დიასახლისს: „ბაბას გაუკეთებენ ბორკილებს?“ „სადაა მეტები?“ ლაფრენტი აქაც გადარჩა სრულიად უფნებლათ—თავისი დაზვაც კი არ გაუცდენია ორი თუ სამი დღის მეტი და შეიძლება მით უფრო მწვავედ ტანჯავდა თავს, რომ გაეგო, თუ ვინ იყო დაზნაწავე.

— ეს მეორეჯერ გავცეცს სრულიად მოულოდნელად. ზოგიერთმა იცოდა ესა თუ ის საქმე, მაგრამ ყველა ერთად იცოდა მხოლოდ ოთხმა. ერთი მე ვარ... სამში რომელია?

პირველ კითხვისთანავე ლადიკოს სახე წარმოუდგა თვალწინ.

— არა, შეუძლებელია! პარმენს თუ გაუწყრა ღმერთი? მობეზრდა ამდენი გაკორება და... ეს ძმისწულიც უმთავრესად მას აწევს ზურგზე... მარა, არა,

რამიმე დაეტყობოდა: ტინტრაქა არ არონიებდა წამოზრდილ გოგონას... არა, არა, რა სისხაფელეს ვფიქრობ!! თავის თავს როგორ ჩაივლებდა ამდენს ხანს საპატიმროში?!

— ისევ ლადიკოზე დაიწყო ფიქრი.

— მაგრამ ისიც როგორ უმტყუნებდა არჩილს საფიცრათ ჰყავს?!.. რამდენჯერ სახიფათო საქმეში თვითონ გარეგია, და კარგათ დამთავრებულა... აბა, ვინაა?? შაქროზე არც მინდა ვიფიქრო; თუ იმან რამე ჩაიდინა, მაინც დავლუპულვართ.

— მარა ვინც არ უნდა იყოს, ვფიცავ პატიოსნების, ცოცხალს არ გაუშვებ, რაც არ უნდა დამიშალონ, და რაც არ უნდა ძნელი იქნეს... თუ მე თვითონ როგორმე ან ძილში, ან გაუფრთხილებლობით მომივიდა რამე, რამაც გაგვცა, თუ, სისხლი მიდგია, თავს მოვიკლავ... არა, ჯერ რამეს შესანიშნავს ვიზაშ, და მერე...

— ფუ, ეს სანტიმენტალობა მთლად საძაგელია.

— არა ამას უნდა გამოკვლევა...

„ლადიკოსაგან დაიწყებ... გამოვეცი ისე რომ ჩემს მეტმა არავინ იცოდეს!..“

და ლავრენტიმ შეეუმშა პირი და წყნარის ნაბიჯით იწყო ოთახში სიარული.

ლადიკო ნორაბიძე იმ მრავალრიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც არა თუ პარტიის წევრათ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, არამედ არც თანამგობნობი იყო რევოლუციისა, მაგრამ ეზმარებოდა რევოლუციონერებს თავგადადებით, და ზშირათ ისეთ საფრთხეში ივდებდა თავს, რომ ან იდეთ გატაცებული ეგონებოდა კაცს, ან დიდის გასამრჯელოთი მოხიბლული... მაგრამ არც ერთი არ ყოფილა. მათ უმკველია ეხალისებოდათ ვაგაკობის გამოჩენა, ის თავისებური სიძულელი, რომელიც მათ ჩანერგული ჰქონდათ ბავშობიდან პოლიციისა და თანდარებისადმი; უსაქმურობა მოითხოვდა სხვა და სხვაობას, და პირადი სიყვარული და პარტიისცემა ზოგიერთ რევოლუციონერისადმი აქვებდა მათ.

დიდხანს დადიოდა თავის ოთახში ლავრენტი, დალაგებულ გვემას სინჯავდა, ცვლიდა, უმატებდა, ბოლოს ქუდი დაიხურა და ქუჩაში გამოვიდა...

შუალამეს გადასული იყო...

ქუჩებზე გამვლელი არ სჩანდნენ.

შიადგა ლადიკოს ბინას.

ბევრი რახუნის შემდეგ, ნაძვინარევი მასპინძელი კარებს მოადგა:

— ეინ ხარ?

— გააღე, შე კაცო, კარი, ფული არ გაქვს და ნიეთი, რას ერიდები?— უპასუხა მოსულმა წინათვე მოფიქრებული სიტყვები.

— ა, ლავრენტი, კაი საქმეზე არ იქნები მოსული...—სიცილით შეხვდა ლადიკო.

— დიდი საქმე გვაქ ლადიკო და შენ უნდა გაგვიკეთო.

— კაცო, აღარ მომასვენებთ, სანამ კატორღაში არ ამომაცოფინებენ თავს? — თითქოს უარზე დაადგაო ლადიკო, მაგრამ ლაერენტიმ შეამჩნია ეს და უკან დახრწკნის მოსაწყენდათა ნათქვამი.

წინათაც უთქვამს ასე.

— შენს მეტი არაეინ გეყავს შესაფერი: ვინმე მუშას რომ მივიანდო, თვალ-წი მოხვდებათ, ამიტომ შენ უნდა იკისრო... სულ ადვილი საქმეა. ზეალ საღამოს სწრაფი მატარებლით პეტერბურგიდან ჩამოვა ერთი კაცი. უნდა იცოდეს რომ, თუ იმას რამე შეემთხვევა, ჩვენ ჩვენის ხელით უნდა გამოვიჭრათ ყელი. ის ჩამობტება ან ავკალაში ან ტფილისში და ან ნავთლულში, ხელში ექნება სა-ზღალო ზომის შავი ჩემოდანი და თავზე ეხურება კაზირაკიანი ქუდი, აი ისეთი, როგორც მუშებს ახურავენ... ტანით დაბალია, მაგრამ სქელი... მიეტლეს ვაჭრობას გაუმართავს და ხშირათ გაიმეორებს „полтинник, полтинник“ ხომ დაი-მახსოვრებ „პოლტინიკ“.

— რა შემეპამე შეე კაცო, ამ შენი პოლტინიკით?! ერთ სიტყვას რაეა ვერ დავისწავლიდი ამდენხანს...

— ჰო, კარგი! თუ ფაიტონში ჩაჯდეს, შენც ფაიტონით გამოსწიე და თუ ტრამვაიში ჩაჯდეს, როგორც გერჩიენოს, გინდა ფაიტონით წამოდი, გინდა შენც ტრამვაიში ჩაჯექი. ოღონდ თუ მან სადმე შეუღვიოს ან ვორონცოვის ძველს გამოარდეს, შენ ნუ გაჰყვები, არანედ ძველისაკენ წამოდი და იქ რომ ჩაივლი, ძალიან გადმოიზნიქე ფაიტონიდან იქნება, თუ ტრამვაიდან — ეს იქნება ნიშანი რომ ნავთლულით მოვიდა, და თუ შენ უღარდელით ჩაჯდები და აქეთ-იქით არ დაიწყებ ვისიმე ძებნას — ეს იქნება ნიშანი, რომ შენ არ გინა-ხავს, შენი გზით არ მოსულა... გაიგე?

— ბიჭო, რა გაგება უნდა ამას: ეტლით წავალ, თუ დავინახე გადმოვიხი-რები და თუ ვერ დავინახე გავნაბავ სულს... მარა რომ დამიჭიროან, ბიჭო, ამ ნავთლულში რა გინდოდაო?

— შენ თუ დავიჭირეს ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ამბავი გაუგიათ, ეს იმას ნიშნავს რომ იმ კაცის კვალსაც მიაგნეს და მაშინ ამოწყვეტილა მთელი თქვენი გვარი!...

— იმე! მე ჩემი თავი, ძმაო ქვეყანას შირჩევნია.

— მეც და ჩემი გვარიც ამოწყვეტილა, თუ ასე გინდა — დაამოშმინა ლა-რენტიმ.

— შენ, ძმაო, შენი პარტიისათვის მუშაობ, და მე ვისი ტიკიტომარა ვარ?!... კიდევ განაზდა ლადიკო.

— კაი ახლა თვარა არჩილს ვეტყვი.

— შითხარი ერთი, თუ ძმა ხარ, იქნება შენ მაინც იცი, საეშმაკოთ ქე იწერება უსათუოდ წერილს, ჩვენ არაფერს გვატყობინებს თვარა — რას შვება ნეტავი? დედ-მამას არ უნდა ვეჩვენოვო, ნათესავებს ერთი სიტყვის მოწერა არ უნდაო!..

— რას შვება და სასიქადულო კაცია — სწავლობს შვეიცარიაში, ჩამოვა და გასახელებს ყველას!

— მეტი შენი მტერი არ იქნა ჯერ არაფერი ემჩნეოდეს!... სულ სწავლა გაგიგონია?!...

— რავე, აღარ მოგწონს?

— მოწონებით, რავე არ მომწონს სიცოცხლეს არ დავიშურებ, მარა მტერ-მოყვარესაც მიზეღვა უნდა...

— აბა ასე—ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა ლავრენტიმ—მე წავალ, ბერი საქმე მაქვს გასაკეთებელი.

— მოიცა, შეეკაცო, პატარა, მელაპარაკე მაინც—აწი აღარ დამეძინება.

— რავე, გადიათ გინდა გამზადო?

— ბიჭო, შეეუსინდისო, სასიკვდილოთ მაგზავნი კაცს, და ერთი წუთი ლაპარაკი გინანება?

— ნუ სულელობ ერთი, მთელი ტფილისი რომ დაიჭირონ შენ მაინც, რა გიჭირს?... რამდენი კაცი მიდის ნავთლულში ყველას ხომ არ იჭერენ...

ლადის ეტყობოდა რალაცა უნდოდა ეკითხა, მაგრამ ერიდებოდა.

— ლავრენტი, მიტფილისის სადგურზე გამგზავნე...

— იქ სხვაა უკვე დანიშნული...

— ვინაა?

— ათი წელიწადია ჩვენთან ხარ და არ იცი, რა არის კონსპირაცია?

ერთი წუთის შემდეგ ლადიკომ დარცხვენით სთქვა:

— ვა, ფული არ მაქვს, კაცო, ნავთლულში ის წავიდეს, ვისაც ფული აქვს, ტფილისის სადგურზე ქვეითათაც წაებრძანდები...

ლავრენტი ოდნავ შეჩერდა.

— და თანაც ტფილისის სადგური უფრო არაა საშიშარი, მართალი გითხრა, ეს რევოლუციონერის მოვალეობა, გვარიანათ მომზებრდა.

— ახუთი მანეთი ზომ გეყოფა ეტლისათვის და მეტი არ გამაგონო ჟარი, თორემ არჩილი....

— კაი ახლა, ნუ მაშინებ გუშინდელი ბალანათ—ვითომ შეუტია ლადიკომ და ორივე მეგობარი მზიარულად დაშორდა ერთმანეთს.

ეს იყო შაბათს ნაშუალამევს.

სამშაბათს სალამოს სპირიდონის ბინაზე ლავრენტის მოწვევით შეიკრიბა ექვსი კაცი. კრება მეტად საიდუმლო იყო, და სპირიდონის ერთგული, მარად განუწყრელი მეუღლეც კი არ შემოსულა სათათბირო ოთახში. ახალგაზრდობა საღლაც გაჰქრა.

— ამხანაგებო—დაიწყო ლავრენტიმ, როგორც მეოთხე და უკანასკნელი მოსასულელი პირი შემოვიდა და სკამზე დაჯდა—მეტად სერიოზული საქმე უნდა გავარჩიოთ; გთხოვთ ყოველ ჩემ სიტყვას დაუკვირდეთ, ასწონ-დასწონოთ. და თუ რამე იქვი დაგებადებათ, ან ახსნა-განმარტება დაგვირდებათ, გულახდილათ მითხარით, რადგან კითხვა ეხება ერთ-ერთ გამცემელს, რომლის მოკვლა გადაწყვეტიტე უსათუოდ, რათაც არ უნდა დამიჯდეს და ვინც არ უნდა დამიშალოს; ასეთი გადაწყვეტილება მე მივიღე სხვათაშორის იმიტომაც, რომ არ დამრჩენია არავინ, ჩემი თავიცი კი, რომ იქვი არ მიმეტანოს. მე მხოლოდ მინ-

და, თქვენ დამიდასტუროთ, რომ ის არის უეჭველად ჯაშუში და არა/სხვა ვინმე, რომ საბუთები საკმაო... მე მეშინია არ შევცდე... სხვა მე გადაწყვეტილი მაქვს.

— არა, მასე არ შეიძლება—შენიშნა სერიოზულათ ერთმა—შეიძლება ჯაშუში იყოს; მისი თავიდან მოშორებაც ხომ უსათუოდ სასურველია; მაგრამ პარტიამ ვერ სცნოს საჭიროდ დღეს ამ სურვილის სისრულეში მოყვანა, მიზანშეწონილიათ...

აპირებდნენ კამათს. მაგრამ სპირიდონმა შესწყვიტა:

— პრინციპიალური სჯა-ბაასი მერმისთვის გადავდოთ, იმდენი არც დრო არის. იქნებ უკამათოდ იქნეს საქმე გადასაწყვეტი ან შევნიშნავთ რომ არ არის საკმაოთ დასაბუთებული ჯაშუშობა, ან ყველა თანახმა ვიქნეთ დღესაც დავთანხმდეთ ამ ტერორისტულ აქტს, სჯობია ჯერ გვიამბოს ლავრენტიმ ყოველივე დაწვრილებით.

დაკვირვებული სახეები მისკენ მიბრუნდნენ.

ლავრენტიმ ორი სიტყვით მოაგონა დამსწრეთ, თუ სად და როგორ „ჩავარდნ“.

როცა აღნიშნეს ყველა ის პირები, რომელთაც იცოდნენ ეს საქმეები იმდენათ რომ შეეძლოთ ყველა საჭირო ცნობა მიეცათ მთავრობისათვის, აღმოჩნდა, რომ ორი უკანასკნელი საქმე იცოდა მხოლოდ ოთხმა; ეს ოთხი იყო: ლავრენტი, პარმენი, შაქრო და ლადიკო ნორაბიძე. შემდეგ, როცა მოიგონეს, თუ ვის ეძებდა, დასდევდა ან ვინ დაიპირეს ამ საქმეების გამო, იქაც აღმოჩნდა რომ ორში ან სამში მათი ამ საქმისადმი დამოკიდებულება იცოდა უეჭველად ლადიკომ.

— ეს არ კმარა...—თავის ქნევით შენიშნა ერთმა.

— რა თქმა უნდა, არ კმარა, მაგრამ მე მინდა თქვენ ჯერ დადასტუროთ, რომ ამ ორივე საქმის „ჩავარდნა“ იმ გვარათ, როგორც ეს ხდებოდა ყოველად შეეძლებელი იყო, თუ ოთხში ერთ-ერთი არ ყოფილიყოს გამცემი. ვის უნდა სკოდნოდა, რომ უსათუოდ საავადმყოფოში, უსათუოდ მე-17 ოთახში, უსათუოდ ლეზში იქნედა შენახული ლიტერატურა და არა სადმე სხვაგან.

ეს ვიცოდით მხოლოდ სამმა. არც მოსამსახურეებს, არც ავადმყოფებს, არც სხვა ამხანაგებს ეს არ სკოდნია. მატარებლიდან ჩამოვიტანე მე, საავადმყოფოში შაქრომ ჩააბარა თვითონ ლადიკოს. მე, შაქრო და ლადიკო შემდეგ ერთად ვიგონებდით ხომ არავისთან წამოგვეცდენიათქო, და თამამად შემიძლია თქმა, არა თუ არ წამომცდენია, არამედ არც შემედლო წამომცდენოდა, რადგან ახლობელ ამხანაგს ის ორი დღე არ შევხვედრივარ.... ახლა ტასოს დაქვერა თქვი!... მისი მისამართი ვიცოდით მხოლოდ ოთხმა. ეხლა იმდენა სახლში, სართულიც, ბინაც, ოთახიც. ლოგინიც კი, ისე როგორ მონახა ებანოვმა, თითქოს იქედან ნახევარი საათის წინ წასულიყოს....

— კარგი ეს ყველაფერი უკვე ნაამბობი გაქვს, გვითხარი ის ახალი—ველარ მოითმინა ერთმა მუშამ, რადგან ერთსა და იმავეს, გამოკითხვის გამო, ხშირათ ამეორებიანებდნენ მსმენელნი.

— აი რა მოხდა? როცა იქვი მივტანე, ვიფიქრე ისეთს საძებნეში გავრცე-
რომელიც ჩვენ მარტო ორმა ვიცოდეთ მეთქი. მივედი ლადეკოსთან და უამბე,
რომ პეტერბურგიდან მოდის ერთი დიდი რევოლუციონერი... ის ჩამოხტება
ან ტფილისის ან აკჰალის და ან ნავთლულის სადგურზე მეთქი. აი შენ ნავთლუ-
ლში წადი, და თუ ის კაცი ნახო, ნიშანი მომეცი ვორონცოვის ძეგლთან-მეთ-
ქი... მე შაბათს ყარაიაზში წავედი სანადიროთ. როცა საღამოს ყარაიაზის სა-
დგურზე მივედი, ვნახე როტმისტრი ებანოვი და რამდენიმე თუმცა უცნობი, ნა-
გრამ ყოველ შემთხვევაში ყარაიაზისათვისაც უცხო პირი. მე დამიწყეს თვალე-
რება. ავედი ზედა ლოჯინზე და მივწევი, მაგრამ ბედათ აი კოსტამ გამოიარა;
ვთხოვე ნავთლულში ჩასულიყო და ენახა, თუ რა ხდებოდა იქ... ახლა შენ თქვი
კოსტა, რა ნახე იქ.

— ორი ჟანდარმი ვნახე, აი პირველ მისობას რომ დებოს კარებთან და-
ძვრებოდენ, სწორეთ ისინი.

— ნავთლულში ჩვეულებრივ ჟანდარმები არ არიან?

— როგორ არა... მარა იქ არიან რკინის გზის ჟანდარმები, და არა პო-
ლიტიკური სამმართველოსი. ადგილობრივი რკინის გზის ჟანდარმიც ერთი-ორი
თუ გამოვა ბაქანზე, იმ დღეს კი ოთხი მე თვითონ დავიანახე.

— რამდენ ხანს შეჩერდა იქ მატარებელი?

— ორი, სამი წამი...

— ტფილისის სადგურზე, რა ამბავი იყო?

— ტფილისის სადგურზე ძალიან ბევრი იყო ჟანდარმებიც, ფილერებიც
და პოლიციელებიც... სადგურთან იღვა სამი ცხენოსანი ჟანდარმი. დაბეჯი-
თებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მე შევნიშნე ფაიტონთან მდგომი ჟანდარმი უსა-
თუოდ იმ მიზნით, რომ საჭიროების დროს დადევნებოდენ...

— დაიჭირეს ვინმე?

— დღეს სადგურის მორიგმა დარაჯმა მითხრა, რომ დაიჭირეს ვიღაცა
კაციო ხელში ჩემოდანი ეჭირა და თავზე ბეწვიანი ქუდი ეხურაო, მაგრამ საჩქა-
როთ გაუშვიათ, რადგან ებანოვის პირადი ნაცნობი ბეთილი გამომდგარა.

— ვორონცოვის ძეგლთან რა ამბავი მოხდა?

— ..ჰო, იქ დიდხანს გაჩერება ჩემთვის შეუძლებელი იყო, ამიტომ
ტრამვით ჩავიარე მხოლოდ და ვნახე არა ჩვეულებრივი რიცხვი ჟანდარმებისა,
სამი ცხენოსანი და ორი ეტლი რაღაც გამზადებული და ისეთს ადგილს გაჩე-
რებულნი, სადაც არას ვზით არ გააჩერებდენ, რომ ვისმე არ ეზრძანებია პოლი-
ციისთვის. მე რომ ჩემი მონადირეობა დამემტკიცებია, აი სპირიდონს მიუტანე
რაღაც ბედათ მოკლული ყურდგელი, მაგრამ აქ აღარ დავრჩი და უკანვე დაე-
ბრუნდი, შევედი ოთახში და დავწევი. რა მოხდა ვორონცოვის ძეგლთან და
აკჰალაში ეს იცის აი შაქრომა და სტეპკომ. მომითმინეთ, მაგათაც ჩემი თხოვნა
იმ დროს მიიღეს, რომ არც ჩვენი გაცემა შეეძლოთ, რომ ნდომებოდათ და
ვერც სხვებს ეტყოდენ. სტეპკო თან მახლდა ნადირობაზე, ხოლო შაქროს წე-
რილი დაუტოვე, რომელსაც შენი დისწული ვანუა—ლავრენტიმ სპირიდონს მი-
მართა—გადასცემდა მხოლოდ რ საათზე კვირა საღამოს. ასე დაუბარე: უსათუოდ

ექვს საათზე უნდა მისცე არც ადრე და არც გვიან მეთქი. და ხომ იცის რა სწორი შემსრულებელია ის განკარგულების, თუ კი იცის, რომ საჭიროა პირველი.

— კი სწორეთ რ საათზე გადმოძევა. წინა დღით მომზაბა და დაბეჯითებით მოხოვა მეთქვა, თუ სად მზაბადა რ საათზე—დაიდასტურა შაქრომ და განაგრძო—ვორონცოვის ძეგლთან რამდენჯერმე დაიჭირეს უცნობმა პირებმა—ფილერები უნდა ყოფილიყვნენ—კაცები, მაგრამ გაუშვეს; ისე კი რაღაც უხერხული იყო გავლა, ყველა ისე გაჩერდებოდა თვალში. მე რამდენჯერმე ტრამვაითაც ჩავიარ ჩამოვიარე... ლადიკოც ვნახე, სრულიად ამღვარი იყო ტრამვაიში და აქეთ-იქით იტყობებოდა, თითქოს ვისმეს ეძებო...

— ჩემთვის ნათქვამიც საკმაოა... მე აღარ მაქვს იქვი, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ლადიკოს რაღაც საზიზღარი ჩაუდენია, მაგრამ მოკვლა ახლა, ამ პირობებში ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ ეხლა გვაქვს ასე ვთქვათ, ჩუმი მღშობის, შეკრების და დასვენების პერიოდი; თითო ოროლა ტერორისტული აქტი ისიც ისეთი უმნიშვნელო პიროვნების წინააღმდეგ, როგორც არის ლადიკო. ზიანის მეტს არაფერს მოიტანს: დაარღვევს მთლიანი მოქმედების ხაზს, შეიტანს დეზორგანიზაციას, შეაშინებს და აამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ მოქალაქეებს, დაგვიკარგავს რამოდენიმეს თუ არა ერთ ორ ამხანაგს მაინც, და ეხლა ჩვენთვის არა თუ გამოცდილი ამხანაგი, ნამდვილი რევოლუციონერი, სუსტი თანამგრძობიცი ძვირფასია. რაც მის მოკვლას ენერგია და მსხვერპლი დასჭირდება, იმ მსხვერპლითა და ენერგიით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, თუნდაც იმავე ტიპოგრაფიის მოწყობისათვის, რომელიც ეხლა უკვე მეტათ, მეტათ საჭიროა. ლადიკო კი როგორც სულიერათ არის დღეის იქით ჩვენთვის შეკდარი, ისე იყოს სხეულითაც... ვითომც აღარ არსებობს... რამდენი მაგისტანა შეგვხვდება აწიდაც, ჩვენ მათ უნდა მოვეპყრათ როგორც ბუნებრივ მოვლენას სრულიად აუღელვებელიც... მოვა დრო და მაშინ მიუზღავთ თავისას.

— მე იმიტომ არ გავაჩერე ამხანაგი, რომ ავქალის ამზავი ყველამ უკვეთ ვიციოთ...

— არა, თქვენ შიაკციეთ ყურადღება, რომ იმ თავჭარიან ბოქაულს, ხმა მალა უთქვამს, როცა ქანდარმთა როტმისტოს ტუქსეა დაუწყია ქალის ხერბით დაქერისათვის: „აკი მითხარით, შავი პალტო, ბეწვის ქუდი და ჩემოდანით ხელშიო“. ეს სიტყვები ვასოსაც გაუგონია, და გუშინ იქაურმა ტელეგრაფისტმაც მითხრა, მე გავიგონეო—დაუმატა მეორემ.

კოტა შეჩუმდენ.

— ხომ დამტკიცებულია, რომ ვლადიმერ ნორაბიძე—წინანდელზე უფრო ოფიციალურად იკითხა ლავრენტიმ—ნამდვილი ჯაშუშია, რომელმაც არა ერთ-ხელ გავგეცა.

ყველა სდუმდა, ეძნელებოდა თქმა.

— თუ წინანდელი მისი ჯაშუშობა ოდნავ საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში შენი საიდუმლო ხომ სიტყვა სიტყვით მიუტანია ქანდარმებისათვის, ეს ჩემთვის შეკველია—წარმოსთქვა სპირიდონმა—მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანოთ.

— აბა ვინ გაგვცა სამჯერ? ის თუ არ არის დამნაშავენი მანანა-შვი ვარ ან შაქრო და ან პარმენი?

— ე, ასეც არ შეიძლება ახირობა. რამდენი მოულოდნელი შემთხვევაა?! ყური მოკრეს ორიოდ ჩვენს სიტყვას, ვინმეს შეხედეს, შეუფარდეს და მიხედენ, იქნება, უჯაშუშოთ: ეანდარმები ჩვენი მტრები არიან, თორემ სულელები კი არ არიან.... რა გასაკვირველია, თუ ერთხელ რაიმე შემთხვევამ მათ ხელი შეუწყო?... რამდენჯერ უოფილა, რომ ჩვენ მიემხედარეართ მათ მოქმედებას, თუმცა არც ჯაშუში გვეოლია, არც აპარატი გვაქვს ისე მოწყობილი, და არც ვართ ასეთ საქმეებში მათსავეთ გამოჩარხული. ჩვენ რომ დაზვას ჩაჭერები-ვართ, ისინი ჩვენს ნაბიჯებსა და სიტყვებს იკვლევენ.

— მართალია გიორგი! მაგრამ საქმე ის არის, რომ ლადიკო მაინც ჯაშუშია, — უკანასკნელი ამბავი მოწმობს.... მხოლოდ ჩვენის აზრით, სხვა არაფერი დაგვრჩენია, მოვიშორით თავიდან, არა მოკვლით, არამედ ისე ჩამოვშორდეთ. აწი ველარაფერს გვავენებს... და ბევრი ვერც წინათ მოგვიხერბა რალაც ბედი...

— მეც ამ აზრისა ვარ სწორეთ.

— მეტს რალას იზამდა.... პარმენი არ კმარა?!

— მაშ თქვენ ყველა იმ აზრისა ხართ, რომ იგი ჯაშუშია, მაგრამ ხელუხლებელი უნდა დარჩეს?...

— სწორეთ!...

— არა, რატომ ხელუხლებელი? ერთი რომ ჩვენ შეუთვლით, რომ მისი ოანები უკვე ვიცით, რომ მას აღარ ვენდობით არაფერში, და ერთს კარგათაც რომ დავნებავდეთ არც ის იქნება ცუდი, მაგრამ მოკვლა კი არ შეიძლება.

— გავლაბოთ, როგორ, ბავშია და მისი გამოსწორება მინდა თუ?!... წყრომით შეეკითხა ლაერენტი მთქმელს, მერმე გადახედა ამხანაგებს და ჯიუტით წარმოსთქვა: — მე კი იმ აზრისა ვარ, რომ ის ჯაშუშია, სამივე ჩავარდნა მისი ჯაშუშობით მოგვივიდა, და ის უსათუოდ უნდა იქნეს მოკლული.

— ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთ — გადაჭრით უპასუხა სპირიდიონმა.

— მე მაინც ვიზამ... იმას ერთიც ვეყოფი.

— შენ დაარღვევ დისციპლინას, და ხომ იცი, დისციპლინის დარღვევა ლალატს უღრის.

— შეტათ ცუდი შეფარდება; თუ დისციპლინას ვარღვევ რაიმე პირადის ანგარიშით კი, მაგრამ, როცა რწმენა და გონება მეუბნება, რომ მე მართალი ვარ, მაშინ სხვაა.

— მაშინ ყველა ასე იტყვის.

— და თქვენ სწორეთ ამ შემთხვევაში გმართებთ გასაჯოთ მეგობრულათ, ამხანაგურათ — ამბობს ვინმე, თუ მართლა „სწამს და იცის“. რაც არ უნდა დისციპლინის კაცი ვიყო, ვერ მოვკლავ, თუ არ დამარწმუნეთ, რომ ის ლირსია სიკვდილის, რომ მისი სიკვდილით რამე შეეძინება რევოლიუციის, და ვერც მოვეშვები იმ კაცს, რომელიც მავნეთ მიმანია. მართლაც, თუ ასეთი

გამცემლობა დაიწყო ლადიკოსავით ჩვენთან დაახლოებულ პირთა შორის, რაღა მუშაობის წარმოება შეიძლება? სხვას დაეხსენით, რაღა ამხანაგობა, ნეგობრობა, ნდობა შეიძლება? ყველამ უნდა იცოდეს, რომ ვინც ასე შეიძროთ დაგვიახლოვდება, ის ერთგვარ მოვალეობასაც კისრულობს... მცირე მოვალეობას,—არ იყოს გამყიდველი, გამცემი, ჯაშუში...

— რასაც ამბობ ყველაფერი მართალია, მაგრამ მაინც არ შეიძლება... ჩვენი მოსაზრებები ვითხარით სპირიდონმა და მე, მგონი, დანარჩენებიც ამასვე იტყვიან.

იმათაც თავი დააქნიეს.

— მე მიჩვენია დისციპლინა დავარღვიო, ვიდრე ჩემს რწმენას უღალატო.

— მაშინ, ჩვენს პარტიაში ვერ დარჩები.

— ძალიან მძიმეა ჩემთვის დავტოვო პარტია, მაგრამ....

— კაცო რა დავემართა, რა წერას აღტანიხარ, რამდენი ოხერი ჯაშუში ქვეყანაზეა შენ უნდა მოკლა?—ისმოდა ირგვლივ.

ლაერენტი გარინდული იდგა.

— ძალით მაცხოვრე სწორეთ ეს არის!.. პარტიისთვის გინდა ეს მოიმოქმედო, პირად შურს ზომ არ იძიებ?!—უფროსი ამხანაგის კილოთი უთხრა სპირიდონმა—პარტია გეუბნება, ნუ შეგები, არ გვინდა, ჩვენთვის ეს მანებელიაო, და შენ კი ჯიუტობ!... ვერ გამიგია, რა დავემართა, რა მაგალითს აძლევ ახალგაზრდა ამხანაგებს!..

შვენიერად იმეორებდენ ათასჯერ ნათქვამს.

ლაერენტი თითო-ორჯერ სიტყვით უპასუხებდა.

ისიც იმეორებდა ნათქვამს.

ახალი სათქმელი აღარ ჰქონდათ.

თითქმის რიერაჟმა მოატანა.

ერთმა ქული დაიხურა წასასვლელად.

— მაშ შენი უკანასკნელი პასუხი.

— კიდევ მოვიფიქრებ.

და დაიშალნენ თითო-თითოდ.

კრების შემდეგ ლაერენტი გარინდული დადიოდა. ვერ შეეკრიბა აზრები და ერთი მთლიანი ბაასი ვერ გაემართა თავის თავთან, ასეთი მდგომარეობა აკვირვებდა და აბრაზებდა. ბევრჯერ დაიწყო თავისი ცხოვრების გახსენება, მთელი პარტიის განვითარების საფეხურების ჩამოთვლა, მოქმედებანი, პიროვნებანი, რომ გაერჩია, თუ რამდენათ მისი აკვიატებული აზრი კანონიერი იყო, თუ შემცდარი. არაფერი შევლოდა: ვერ შეათანხმა თავისი სურვილი და ამხანაგობის ჯიუტი გადაწყვეტილება-ბრძანება, თავი დაენებებია შურის ძიებაზე. ვერც სავსებით დაუმორჩილა ერთი-მეორეს.

ასე რომ არ იყო წინათ!

ებლა, რა ცოდვა გადიდდა? ან მე რა დამემართა, ან ამხანაგებს?

მაგრამ ეს ამხანაგებიც რომ ცოტა დარჩა. უფრო გამოუცდილნი, და უფრო მსოღნე პირები მიმალულნი არიან. წავიდე, ვნახო და გამოვცდიხო, მაგრამ ისინიც უარს მეტყვიან—უეკველია, და მაშინ ხომ უარესი...

არა და, როგორ შეიძლება დაუსჯელათ დარჩეს კაცი, რომელიც შე-
მოგვეპარა და ყოველ ნაბიჯს ჩაუღუშავს, ყოველ საქმეს აფუჭებს? ის ხომ ერთი არ არი!...

მომზადებისა და დასკვნების დრო გვინდაო... სად გვაცლიან მომზადე-
ბას, ვინ მოგვასვენებს, თუ გვერდში ჯაშუშები გვეყოლა, და ყოველი ნა-
ბიჯი ებანოება გაიგო?!..

დუბოს ამხანაგები ვერაფერს ამჩნევდენ. დაზგაზე მიმდგარი ლაერენტი ისეთივე მუყაითი, ზოგჯერ მომღიზიარი, უფრო ხშირად კი წყნარად მსტგენაეი მუშა იყო, როგორც ყოველთვის; მართალია, ეხლა უფრო მუყაითად ხვრეტდა და ქლიბადდა, თითქოს რკინას უნდა გადუხადოს ნაწყენიო, მაგრამ, ვინ ან-
გარიშობდა და აღარებდა წინათ რა ძალითა და რამდენჯერ მოიქნეედა ჩაქურს და ეხლა როგორ და რა სისწრაფით ატრიალებს ბურღსა და...
ლაერენტი მარტოთ-მარტო დასეირნობდა. მოიარდა ნარიყალას, დიდუ-
ბეს, ხარტუხს, და ვერც ერთის ბუნების სურათს ვერ შენიშნავდა და ვერც-
ერთ ყურადღების ღირს ამბავს ვერ წააწყდებოდა, თითქოს ყოველივე განაც-
რისფერდა და ყველა ასრულებდა წინათ ათასჯერ ნანახ მოსაბეზრებელ
როლს.

ლაერენტი ვერ ისვენებდა. დადიოდა ქუჩა-ქუჩა, და როცა მიყრუებულ
ქუჩაზე ვიღაც ნაცნობმა დაუძაბა, ძლიეს გამოერკვა.

- ამ ჩვენს კუთხეში რამ ჩამოგავდოთ—შეეკითხა ნაცნობი გაიოზს.
- ვსეირნობ.... ცოტა თავი მტკიევა.
- იცით ახალი ამბავი, არჩილი ჩამოსულა...
- ვინ არჩილი?
- არჩილ ნორაბიძე... როგორ არ იცნობთ... მაგრამ, თქვენ ხომ მოწი-
ნაალმდევს არ სცნობთ ცნობის ღირსად...

— ჰოო... --და გაიოზმა გამოსამშვიდებლად, ხელი გაუწოდა—სად სდგას
ნეტავი?

- აი, ეგერ რომ ორ სართულიანი სახლია, ზედა სართულში.
 - გმადლობთ...
- ერთმანეთს გაშორდენ.

— მგონი, მეტათ გვიან მომიხდა თქვენი შეწუხება—შესვლისთანავე უთბ-
რა მასპინძელს ლაერენტიმ.

— არა, პირიქით, ძლიერ მასიამოვნეთ... ისე ვარ მიტოვებული, და მე
თვით ვერ გამოვდივარ სახლიდან.

— მე ძლიერ მინდოდა თქვენი ნახვა, წერილის მოწერა მაინც, მაგრამ—
გადმომცეს, რომ ჩემზე უკმაყოფილო იყავათ და...



არჩილმა ოდნავის გაკვირვებით შეხედა.

— დიახ მას მერმე, რაც მამათქვენი დაიჭირეს....

— ეჰ, შე კაცო, მას მერმე რამდენი დრო გავიდა...

— კი, მაგრამ მე მწყინდა, რომ თქვენ ჩვენ დაგვაბრალეთ.

— თავის დღეშიც არ დამიბრალებია, მხოლოდ მწყინდა ასეთი გაუფრთხილებლობა მოხუცის მიმართ.

— გარწმუნებთ, რომ ჩვენ ორის მეტს არვის სცოდნია, არც წამოგვცდენია, ნამდვილათ შეგვიძლია თქმა, რადგან ყოველივე მუშაობას დაშორებული ვიყავით, თანაც თქვენ უსათუოდ იცით, რომ ჩვენ შორისაც ხდება ერთგვარი ბრძოლა: ზოგი მოქმედების დროებით შეწყვეტის მომზრება, ზოგს ტერორის გაგრძელება სურს, და ძნელი გასაგებია, ვინ რა გზას დაადგება. ჩვენც, რომ ჩვენის სურვილის წინააღმდეგ არვის ესარგებლა იარაღით, სასტიკ კონსპირაციას ვიცავდით. ბევრი ვიმტვრიეთ თავი, მაგრამ ჯერ ვერაფერი მივაკვლიეთ, თუ ვის უნდა გაეცა.... შესაძლებელია, შემთხვევით წააწყდენ, როცა სხვა მიზნით ჩხრეკას აწარმოებდენ.

— არა, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ჟანდარმები პირდაპირ ნალიის ქვეშ შევიდენ, ფურჩი გადასწიეს და იარაღი ამოიღეს.

ლავრენტიმ თავი გადააქნია.

— საკვირველია! მამა თქვენს, რამდენი კაცი არ გაუგზავნეთ დაწვრილებით ეაზნა, მხოლოდ გვიტოვებდა: თავიდან მოშორდნო.

— მართლა შეურაცხოვა მიაყენა მამა ჩემმა სპირდონს?

— დიდი! ციხეში შეხვედრია და მისალმების მაგიერ ყველასთვის გასაგონათ—გარკვევით უთქვამს: «ღმერთმა შენც შეგარცხინა და შენი კაცობაცო». მერმე რამდენი კაცი არ მიუღზავნა, რამდენი არ ვეხვეწეთ, ერთი კონტიც არ დასძრა, არაერთარი ახსნა-განშარტების არც მიღება ისურვა და არც მიცემა და, სხვათა შორის, სწორეთ ამიტომაც მოვედი, რომ მამა თქვენს გადასცეთ, დაარწმუნოთ, რომ ჩვენ გაუფრთხილებლობითაც კი არ ვართ დამნაშავე... შემდეგ, ყოველი ღონე ვიღონეთ, მაგრამ ვერაერთარი იჭვიც კი ვერ მივიტანეთ... მამა თქვენიც კარგს იზამდა გაეხსენებია, იქნებ, მან უთხრა ვისმე.

— არ მგონია.. შეც ხომ მხოლოდ სიკვდილს მიმდგარმა მითხრა. შემდეგ ნანობდა კიდევ.

— როგორ? რაო? თქვენ იცოდით?

ნერვიულობა არჩილსაც გადაედვა.

— დიახ, ვიცოდი.

— ?

— მამა ძლიერ ავთ გახდა.... დამიზარეს; მთხოვა ან თქვენ, ან სპირიდონი მიმეყენა მასთან; სპირიდონი დაჭერილი აღმოჩნდა; თქვენ ვერსად გიპოვეთ. მამა აზიარეს კიდევ. ზიარების შემდეგ ყოველივე მამაბო და მთხოვა, თუ მოკვდებოდა, ნალიისთვის ხელი არ მებლო.

— მერმე? მერმე თქვენ არავისთვის გადაგიციათ?

— დიდი ხნის შემდეგ, ჩემი ბიძაშვილი ლადიკო...

— ლადიკო?

— ჰო, ლადიკო შემოვიდა. მან იცოდა, რომ მამასთან უკვე დასრულებულია ვარ, და არ მომერიდა, ლაპარაკში თქვა, თითქოს მამა-ჩემი კონტრ-რევოლუციონერი იყო და სიამოვნებით ჩამოაბრჩობდა ყოველ რევოლუციონერს. მე მამას დაცვა დაუწყე და სხვათა შორის ისიც უთხარი, რა სახიფათო საიდუმლოს გინახავდათ თქვენ... ენა მოგიკენიტე, მაგრამ სიტყვა ნათქვამი იყო, თანაც თქვენ ისეთის ნდობით ეპყრობით, რომ ლადიკოს...

— საუბედუროთ...
— როგორ?

— სწორეთ მისი გაცემული ვართ.

— ვერ დავიჯერებ, შეუძლებელია! — არჩილმა იპვის თვალთ დაუწყო გაიოხს ცქერა.

ლავრენტიმ მოკლეთ უამბო არჩილს სხვა „ჩაეარდნების“ ამბები.

— მაშ მე გამიცია მამა ჩემი...

არჩილს ხეელა აუტყდა. სახეზე ჭლექის საექვო ლაქები გამოჩნდა.

— დიახ... ესლა უკვე მე გამოვცადე... სხვა საქმის გამო...

— თუ შეიძლება ყველაფერი დაწერილებით მიახმეთ.

უამბო.

ავათმყოფი სრულიად მოიკრუნჩხა. ფეხებზე შალი უფრო შემოიფუთნა... ყოველ სიტყვას ამოორებიებდა.

— მაშ, მე გამიცია მამა ჩემი! ისიც მაშინ, როცა ჩვენ ერთმანეთზე მეტათ უკმაყოფილო ვიყავით... და მე უნდა გაუსწორდე.

— არა ბატონო არჩილ, გასწორებით მე გაუსწორდები... მამითქვენის საქმე ერთი მრავალთაგანია, და პასუხიც მე უნდა გამცეს... ნახვამდის!

— მოითმინეთ, იქნებ არ არის დამნაშავე? იქნებ, ვინმემ მეც დამნაშავეთ ჩამთვალოს, და გამორკვევა უნდა....

— არა, თუმცა ჩვენ ყველანი თქვენი წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ასეთს საქმეში არა თუ არ გაერგვით, ვერც გაერგვით. მშვიდობით.

— ლადიკოს მისამართი? — არჩილმა ლავრენტის ხელი-ხელში შეაჩერა.

— აღარ არის თქვენთვის საჭირო. მშვიდობით! გთხოვთ მხოლოდ ყველაფერი განუმარტოთ მამა თქვენს — სრულიად არ გვინდა, რომ ჩვენ უპირო კაცებათ გეთლიდენ....

მამავალი შაქრო წაეჩეხა ლავრენტის.

მისალმებაც ვერ მოესწრო შაქროს, რომ ლავრენტიმ უთხრა —

— შე რომ რევოლუციონერი მოგეცი მომიტანე, ძლიერ მჭირდება.

— რომ აღარა მაქვს... იმდენი ვმალეთ, რომ ბოლოს ბიძიამ გაჰყიდა, ფული გვჭირდებოდა მაინც ნამეტარი...

— ცუდი ამბავია... — ჩაფიქრდა ლავრენტი და წასვლას აპირებდა.

შაქრო თავს დანაშაულათ გრძნობდა.



— მე ვიშოვი—მიადება შაქრომ.

— როგორ, რა ნიართ?

— ივანე ვასილის ძეს აქვს... რათ უნდა, უგდია უჯრაში.

— მას არაფერი უთხრა, თორემ იქნებ არ მოგცეს, წამოიღე და ის იქნება...

— ? ?

— ეს ხომ მოპარვა არ არის, ჩემდა სასიამოვნოთ კი არ მინდა, საქმისთვის მჭირდება!

— კარგი, აბა ხვალ მოგიტან...

— არა, დღეს...

ივანე ვასილის-ძე ნასადილევის დასვენების შემდეგ უკვე გამოწყობილი მხარულ გუნებაზე მაგიდას მიჯდომოდა, და მუშაობაში იყო გართული—ოთახში შემოსული შაქრო ფეხის ხმაზე იცნო და რომ რაღე ეთქვა, ჰკითხა:...

— რათ დაიგვიანე?

— მე... უკვე... ვიყავი, მაგრამ... წავედი.

— გადამიწერე, რაც მოგეცი?

— მანდ... დღეს... ყუთში...

ივანე ვასილის-ძემ მხოლოდ ეხლა შეამჩნია შაქროს არაჩვეულებრივი გამოთქმა.

— რა დაგემართა? რა მოხდა?

— არაფერი... ისე.

— როგორ თუ არაფერი, ფერი წაგსვლია და ძლივს სუნთქავ.

— მე... აღარ მინდა თქვენთან სამსახური, ე. ი. ვერ ვივლი თქვენთან.

— რატომ? გაწყენინა ვინმემ?

— არა.

— ვერაფერი გამოვიდა...

— მე მოგპარეთ თქვენ რევოლვერი...

— ეს კი ცული ამბავია; შენ რევოლვერს უსათუოდ რაიმე საქმისთვის წაიღებდი, ვინმე დაგაეალეზდა...—

ივანე ვასილის ძემ დაიწყო ოთახში სიარული.

— რევოლვერი კი არაფერია, ოღონდ, ოღონდ, იცი რომ მეც ვაპაბამენ ამ საქმეში, და რას მერჩოდნი... მე ხომ არ ვარ ასე გასამეტებელი კაცი... კარგის მეტი რა მიმიძღვის თქვენსა და თქვენთანებისადმი...

— არა, მაგი არ შეიძლება, თქვენ არაფერი შეგეხებათ... მე ვიტყვი...

— რას ეტყვი?—უკვე ბრაზიანად წამოიძაბა ივანე ვასილის ძემ—რევოლვერი წელის დასამშვენებლათ შეინახეთ და შაჰრიანს ესროლეთ ნიშანშიო?!

შაქრო ეხლა უფრო მეტათ შეკრთა, ვიდრე ამ ორიოდე საათის წინ, როცა რევოლვერით ჯიბეში ტრაპეზის აბტებოდა და გულის ფანცქალით მიეშურებოდა დანიშნულ ადგილს. მაშინ ვერ გადაეწყვიტა, თვითონ ეთქვა ივანე ვასილის ძესთვის, რევოლვერი მოგპარეო, თუ სრულიად დაემალა. ორივესი

რცხვენოდა, ეხამუშებოდა: უჯრიდან ყველი, კოდიდან თხაფხაქნაშენი ბალი-
დან ვაშლი და ყანებიდან შესაწეავი ტაროები კი მოუპარსეს, მსგავსი წამღვი-
ლი ნივთის, შედარებით ძვირფასი ნივთის მოპარვა... ახალგაზრდა ბიჭს, ამ
დროებაში სწავლისა და გიუჰოს გაკვირვებით მკითხველს, ტანში კრუნტულს
ჭკვრიდა... გადაწყვეტილი ჰქონდა, პატროსანი სიტყვა მიეცა ივანე ვასილის
ძისთვის, რომ, როგორც კი ჯამაგირის მიღებას დაიწყებს, ათჯერ მეტი გა-
დაეხადა მისთვის, ვიდრე რეგულვერი ღირდა. მაგრამ უხლა რა დროს იყო
ფასზე ლაპარაკი, ივანე ვასილის-ძე საფრთხეში ვარდებოდა. სრულიად უდა-
ნაშაულოთ, შაქროს მიზეზით... მაგრამ ეს საჭიროა რეგულირებისათვის—
წყლით ინფუზიება თავს შაქრო, ტანიაც*) რა მდგომარეობაში ჩაეარდება?—
მიეწყებოდა მანუკეშებელ აზრს წინააღმდეგი აზრი....

ივანე ვასილის ძე კი დადიოდა და დადიოდა, და სრულიად არ აქცე-
და ყურადღებას იქვე მჯდომ ფერმიხდილ ყმაწვილს; ჩამწვარი პაპიროსით
ახალ პაპიროსს უკიდებდა.

— იცი რა — ბოლოს შემოუბრუნდა ივანე შაქროს—ეს მაინც დამა-
ვალე, ეხლავე წადი და სთხოვე, ვისაც გადაეცი, რეგულვერს ამოქლიბოს
ნომერი.

ეხლავე—გაუხარდა შაქროს და წამოდგა წასასვლელად.

— ოღონდ, ვინც არ უნდა იყოს, არ ენდო; შენ თვითონ უყურე ამოქ-
ლიბვას და მოდი და მითხარი მაშინვე, რა დროც არ უნდა იყოს.

შაქრო კარებისაკენ წაიქცა.

— მოიცა, მოიცა—ივანე ვასილის ძემ უჯრა გამოსწია და იქ მიიმბნეულ
ტყვიებს დაუწყო შეკრება, რომ არავითარი ნიშანი არ დარჩენილიყო—ესენიც
გაიყოლიე... მაშ არ დაგავიწყდეს, შენ თითონ უყურე სანამ ამოქლიბადენ.

შაქრო დარჩენილი ივანე კიდევ დიდხანს დადიოდა შემფოთებულ თავის
დიდ კაბინეტში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ნუშერიც კარგათ წაშალეს,

*) ტანიას, ივანე ვასილის ძის ქალს, მეოთხე კლასის გიმნაზიელს, შაქრო
ვერც კი იცნობდა ხეირიანად, რომ ერთ-ერთ ქუჩის შესახვევში შაქრომ და-
ინახა, თუ როგორ ატორლიალებოდა სამი ყმაწვილი ნოტებით ხელში მიმავალ
ქალმწვილს—ხან გზას გადუღობადენ, ხან გვერდში ამოუღებოდენ, და აღერ-
სის უბეში სიტყვებით აკილებდენ აკრემლებულ ბავშვს.

შაქრომ ერთხანს არ იცოდა რა ექნა; მერმე უხმოთ ჩაერია ყმაწვილებს—
ერთს დაეტაკა, მეორეს ფეხზე-ფეხი დააბიჯა და, როცა ყმაწვილები საჩუბ-
რათ წაიწვიენ, ქვას დასტაცა ხელი და გაიერდა.

— დაეთხოვეთ, ვილაც ქუჩის ბიჭია....—დააშოშმინა მესამე ყმაწვილმა,
ისედაც შემკრთალი ამხანაგები.

ტანიამ საჩქაროთ გასწია... ოჯახში არაფერა უთქვამს; ამხანაგ-ქალიშვი-
ლებმა მაინც გაიგეს ეს ამბავი, და შაქროს მას მერმე „ტანიას რაინდი“ დაერ-
ქვა... და შაქროსაც ხშირათ გაუღლებდა თავში ხან ტანიას ბეწვის ქუდი
დახურული თავი, ხან კალოშებიანი პატარა ფეხები, ხან როიალთან მჯდომი
ტანია.... და სიამოვნებდა.

არაღის აზრათ არ გაუფლის ტერორისტების იარაღის მიწოდებით. მათ ამხანაგათ იგი ჩასთვალოს; ხუთი წელიწადია იარაღი არ მიტოვებულა. შემთხვევაში არვისთვის მიჩვენებია და, სამი თუ არა, ორი კვირისთვის იქნება, იარაღის ტარების ნებათავე არ ავიღია.

ასე ანუგეშებდა თავს ივანე ვასილის ძე.

შესამე დღეს ჯერ კიდევ დარცხენილმა შაქრომ შეატყობინა ივანეს, რომ რევოლვერის ნომერი ძირ-ფესვიანათ ამოყრილია.

ლავრენტი ეცადა ლადიკოს ქუჩაზე შეხვედროდა, მაგრამ იგი არსად სჩანდა; თითქოს ერიდებოდა ძველ ამხანაგებს.

ლავრენტის რამოდენიმეჯერ კითხვს კომიტეტის წევრებმა, რა გადაწყვეტილება და იგი ყოველთვის უპასუხებდა:

— ვფიქრობო...

ამ ფიქრებში გართულმა თითქმის ვერც კი შეამჩნია, რომ თავში შემეშავდა გეგმა, ყოველივე წყრილმანის გათვალისწინებით...

შუალამე გადასული იყო, თავის პატარა ოთახში შევიდა ლადიკო და ლამაზა ანთო.

— უი, შენ რა გინდა აქ?— ჩავიღნიღის ხმით წამოიძახა, ოდნავ უკან დაიხია და რევოლვერისკენ ხელი გასწია.

— ა, არ ამოიღო!— მეტათ მშვიდათ, თითქოს პატარა ბავშს უშლის სახიფათო იარაღის ბელისხლებასო, შეაჩერა, სკამზე მჯდომმა და მარცხენა ხელით მაგრათ დაუჭირა რევოლვერისაკენ გაწეული მარჯვენა ხელი.

ლადიკო ერთი წუთით შეჩერდა, მაგრამ უეცრათ არა აღამიანურის ხმით, დაიღრიალა:

— მიშველეთ! მკლავენ!

— გაჩუმდი, შე ძაღლო!..

სადაც კარმა დაიჭრიალა.

მიშ...!

ბრაუნინგმა სიტყვა შეამოკლა.

მეზობელ ოთახებში ხმაური ატყდა.

ლავრენტი საჩქაროთ გამოვიდა, კარი მიხურა, შესახვევებით და ბნელი ქუჩებით შინ მივიდა.

საექვო ადგილს არაღის დაუნახავს.

დაწვა, დაძინა მკვდარივით, თითქოს ეს სამი კვირა არ სძინებოდეს.

პოლიციამ თუთხმეტითადე კაცი დააპატიმრა.

თითქოს ყნოსვით მიაგნესო, დაიჭირეს ლავრენტი; თან მიაყოლეს სპირიდონი, მეუღლითურთ, შაქრო, გიორგი, მაგრამ იყვენ აგრეთვე სრულიად უდანაშაულო ხალხიც...

პოლიცია შეუდგა წინასწარ ძიებას.

ქმანოვი გამოჩნდა პოლიციაში, დაიარა იჭაურობა, და რადგან თავისი საკბილო ვერაფერი ჰპოვა, მიიშალა.

საქმე გადაეცა გამოძიებელს.

არავითარი კვალი, არავითარი საბუთი.

იყო რაღაც კალოშები...

სპირიდონმა საყვედურით მიმართა ლავრენტის:

— აი დაეინება.

— გაგიშვებენ ყველას, მაპატიეთ მცირე შეწუხება...



ქალბატონ გოლიაშვილის სასტუმროში ესტატე თაყაძე სევდიანათ ეუბნებოდა ივანე ვასილის ძეს:

— როგორ მოგეწონა ეს საინინელი წასისინება, არ გვასვენებენ...

— არ ვიცი, რაზე ბრძანებთ...

— აი „მოსკოვის უწყებები“ რომ სწერს დღევანდელ ნომერში.

— არ წამიკითხავს.

რა ბედნიერი ხარ!.. მე კი ეს საზიზღარი გაზეთი ყოველ დღე მომდის კანცელარიაში; და უნებურათ ვკითხულობ.

— პირიქით, ბატონო ესტატე. მტრის აზრი ყოველთვის უნდა იცოდეს კაცმა.

— რა ამბავია მაინც? — ჩაერია მუსაიდში ქალბატონი.

ესტატემ ჯიბიდან გაზეთი ამოიღო.

ვლადიმერ ნორაბიძის მოკვლის გამო შავ-რაზმელთა გაზეთი აღშფოთებით სწერდა:

„რა არის ეს, ჩვეულებრივი, კავკასიური ყაჩაღობა, არამზადობა, თუ ტერორისტების გამოღვიძება? მთავრობამ და ადგილობრივმა რუსულმა საზოგადოებრივმა აზრმა მეტის ყურადღებით უნდა მოეპყრას პირველ ნაბიჯებს... შორს არაა 905 წლის მაგალითები. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ არამზადებს, სულ ერთია ყაჩაღები არიან ისინი, თუ ტერორისტები, უმთავრეს შემთხვევაში თანაგრძნობით ეპყრობიან და ხშირათ ხელსაც კი უწყობენ. დარჩა, მართალია მცირერიცხოვანი, მაგრამ მოქალაქობრივი იდეებით გამსჭვალული რუსული ნაწილი, რომელმაც არავითარ ზომას არ უნდა დაერიდოს, რომ ეს არა საიმედო ელემენტები დროზე აღაგმოს.“

კითხვა არ ჰქონდათ დამთავრებულნი, რომ ივანემ ოთახში სიარული დაიწყო... ლადიკოს სიკვდილი კარგა ხანია გაეგო ივანეს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია... ეხლა კი მისთვის აშკარა გახდა, რომ ლადიკო მოკვლეს რაღაც საიდუმლო მიზნით, და ვინ იცის იქნებ მისივე, ივანეს, რევილვერით.

— რა ნიადგაზე უნდა იყოს ნეტაეი ეს მკვლელობა მომხდარი? — იკითხა ისევ დიასახლისმა.

— მე, მგონია, — დაიწყო კვლევა-ძიებას მიჩვეულმა ესტატემ, დოქტონალური ტონით — აქ ანგარებას არ ექნებოდა ადგილი, რა უნდა წაერთმიათ განსვენებულისათვის. ვითომ მტრობა?.. მაგრამ, ვისთვის უნდა ეზიანებინა...

ივანემ არ დააცალა და თითქმის წამოაძახა:

— ეხლა იარაღის შოვნაც არ არის ისე ადვილი... მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ იგი მოკლეს ან ჯაშუშობისა და ან მისგვარი რაიმე მიზეზით. წინათაც წაივითხე გაზეთში მისი მკვლელობის შესახებ ცოტა რამ. თანაც

მონარქისტულმა გაზეთებმა ხშირათ იციან ისეთი რამ, რაც ჩვენ, ცოდვილებმა, არ ვიცით, და რასაც სასამართლო და ენდარმერია ვერ ჩაჭკიდებენ... მოგეხსენებათ საზოგადოებრივი, აზრის, მემარცხენე პრესის, განსაკუთრებით კი სათათბიროს როლი აქვთ... გაზეთები კი სჯიჯგინიან...

— ვერ წარმომიდგენია, რომ ელზას შვილი ისე დაეცეს, რომ ჯაშუში გახდეს— შენიშნა დიდი გვარიშვილების ყოველთვის მედგარმა დამცველმა დიასახლისმა.

— აი სწორეთ მაგია დამამტკიცებელი... არეული ოჯახი, სადაც მამა ქეიფისა და გარყვნილებისათვის აფორიაქებდა ოჯახს; დედას კი, რაღაც ჩემთვის გაუგებარი მიზეზით ისე ჰქონდა შეძლებული საკუთარი სახლი, რომ მშათ იყო ყველაფრისათვის წაეკიდებია ცეცხლი.

— რას ამბობ, ვანო, ელზას გაგიეებით უყვარდა ქმარშვილი.

— ვიცო... მე ვამბობ სძულდა მეთქი საკუთარი სახლი.

— ეს იმიტომ იყო, რომ მამამთილმა გაუმწარა ცხოვრება...

— ვინ იყო დამნაშავე ამის გარჩევას არ ვკისრულობ, ეს კი ვიცი, რომ სანამ სრულებით არ გადატყდენ, თითქოს განგებ აქცევდენ ოჯახს ერთის მხრით ქმარი და მეორეს მხრით ცოლი.

შენ ყოველთვის ასე უსამართლო ხარ ქართველ თავადების ოჯახებისადმი.

— ეჰ, დაიწყებ... ელზა და მისი ქმარი სისულელით თუ ოჯახს აქცევდენ, თავად-ახნაურობა რა შუაშია?!.. ისინიც, წარმოიდგინე, არ არიან დამნაშავე... ესენი იყვნენ პირდაპირ პატოლოგიური ტიპები. განსაკუთრებით ჩემს განცვიფრებას იწვევდა ელზა. აი, როგორც შენ თქვი, ქმარ-შვილი გაგიეებით უყვარდა, მაგრამ ბავშურათ ახარებდა ოჯახის ყოველი დანაკლისი... ჩვენ ერთის სოფლიდანა ვართ—და ხშირად ვყოფილვარ მათ ოჯახში, მინახავს, როგორ გახარებული კარკაცობდა, როცა ძველებურ ჰოქა-საინს ამხერყედენ გადამთვრალი სტუმრები, ან მობალახე სანოგრო ძროხას ნიშანში ამოიღებდა რომელიმე თავმომწონე მსროლელი. ერთი სიტყვა რომ ეთქვა, მეტი არ იყო საჭირო...

— საუბედუროთ ამას ჩვენში ბევრი ქეიფს უძახდა—ჩაურთო სიტყვა ესტატემ.

— არა, ბატონო, ყველაფერს საზღვარი აქვს... სხვაგან ეს ხდება, როგორც გამოჩაკლისი, აქ კი იყო ერთგვარი სისტემა, ერთგვარი წიქტება.

— და მერე შენ ამას ხსნი ოჯახის სიძულვილით?

— მე მგონია, ამით უნდოდა მამამთილისათვის დაემტკიცებია, რომ მისი სიმდიდრე არაფრათ მიაჩნია, რომ უიმისოდაც გააძლებს და იცხოვრებს... უხდიდა იმ უსიამო დღეებს, რომელიც გაატარა, როცა მამამთილისაგან დაწუნებული, გაქირვებას განიცდიდა... და ამ შურისძიების სიხარულში ვერ ამჩნევდა, რომ მამამთილის ოჯახი მისი საკუთარი ოჯახი იქნება ოდესმე. მართლაც, მამამთილი გადიცვალა, მგონი, ცოტა უბიძგეს კიდევ, და ელზას შერჩა გაძვალტყავებული ეზო და ცარიელი სახლი. დამარხვასაც, რომ ქვეყნისთვის მოყვარულ შვილებათ ერგებინათ თავი, უკანასკნელი ვერცხლეული გადააყოლეს.

— და მერე ამას, თუნდაც ყოველიყო, რა აქვს საერთო ჯაშუშობასთან? და ან ჩვენ ქართველები საერთოდ რა შუაში ვართ?— კიდევ ერთხელ კვლევადიებას დაჩვეული ესტატე— და განა არჩილ ნორაბიძე თქვენს მარტორესს ერთი მეთაურთაგანი— ოდნავის დაცინებით დაუმატა ესტატემ— ბიძაშვალი არ არის განსვენებულს?

— ბატონო ესტატე, ერთი ბოროტება, მეორესთან არის ყოველთვის დაკავშირებული. იშვიათია როსკიში, რომელიც ცრუ და ქურდიც არ იყოს... ჯაშუში ლოთია თანაც... მოვალეობის დავიწყება. იწვევს უწყესო ცხოვრებას... და აი ბავში, აღზრდილი ამ ორომ ტრიალში ჭეიფში. მოვალეობის მუდამ დავიწყებულ ატმოსფეროში, მსახურთა ქურდობაში, ენის მიტან-მოტანაში, უხეშ არსიყობა— მტლაში-მტლუში, როცა დარჩა ხელმოკლეთ, აღარაფერს დაერიდა... ჯერ პოლიცია, — რაღაც ქრთამები; მერმე მოლარე— იქაც ქურდობა; აქედან ორი ნაბიჯი და ჯაშუშიც შუათაია... და აი სწორეთ ამაში ვართ დამნაშავე, ჩვენვე ვამზადებთ ჯაშუშს, ქურდს, ავაზაკს, მექრთამებს...

— სხვაგან არ არის, შე დალოცვილო ჯაშუში და ავაზაკი— ცოტა არ იყოს ამრეზილათ უბასუხა ესტატემ.

— სხვაგან რომ არის, ბატონო, სხვა მიზეზებით არის გამოწვეული; ჩვენში კი თითქმის განგებ ვამზადებთ, ვწრთენით, და ასეთი ადამიანები გვიტეხენ სახელსაც და გვიმწარებენ ცხოვრებასაც, თორემ გარწმუნებთ, ასე ვერ ითარეშებდნენ ჩვენს ზურგზე... ჩვენი დანაშაული უმთავრესად ის არის, რომ ასეთ კაცებთან ვერ ვწყავეთ ყოველივე კავშირს... აი თუნდაც არჩილი, თქვენ რომ ცოტა არ იყოს დაცინებით ახსენეთ, ძლიერ პატიოსანი, ნიჭიერი, განათლებული კაცი— ისიც კი მფარველობდა ამ ლაწირაკს... და იმას კი არ უწყევს ანგარიშს, რომ თუ იგი რივიანიც არის და განათლებულიც სწორეთ იმიტომ რომ მამა მისმა ასეთ ზნეობა დაკემულ, ვალაზლანდარებულ წრეს თავი გაანება, და თვით საკუთარ ძმასაც კი ჩამოშორდა სამუდამოთ...

— თქვენ სულ სხვა ბრალსა გეძებთ და გაზეთი კიდევ სხვა ბრალს.

ნუ თუ მომთხოვთ, რომ შავრაზმული გაზეთის აზრები დავიცვა?— ღიმილით უბასუხა ივანემ.— მე მაგას ყურადღებასაც არ ვაქცევ ამ ეამად. მე მინდა მხოლოდ გაეამართლო ისინი, ვინაც თავს იღდა ამ მანენ პირის მოსპობა, თუმცა არც ტერორისტი ვარ და არც მომზრე ადამიანის სიცოცხლის ადვილათ მოსპობისა. რუსული გაზეთი რასაც სწერს, იმას ჯანი გავარდნია, მაგრამ უეჭველია ჩვენს საზოგადოებაშიაც იქნება ხალხი, რომელიც შებრალებით მოიხსენიებს ლადიკოს და წყევლი-კრულვას გაუგზავნის მკვლელს...

ივანეს კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ენა მოიკინიტა— კარებში შემოდოდა ებანოვი.

ეხანდარმის შემოსვლაზე თავადემ უხერხულობა იგრძნო.

— ა, ალექსანდრე ვალერიანის ძე, რა ამბავია, რათ მოგვიძულეთ?... მიესალმა დაისაბლისი ებანოვს.

მეუღლის სიტყვებმა ივანე ვასილის ძეს გულში რაღაც გაუჯაწრა.

(შემდეგი იქნება).

გ უ ლ კ ა ნ

რ მ ა ნ ი

გაგრძელება. *)

XII

186... წ. ქუთაისი ძალიან მოძრაობაში იყო. გუბერნიის თავად-აზნაურობა იმდენი მოვიდა, რამე სასტუმროებში და ღამისგასათუე ღუქნებში აღარ ეტეოდა. ირჩევდნ ახალ შარშალს. რევან ბაკურიძის ოჯახში ბარე ათი სული თავადიშვილი იყო დაბინავებული. დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა ერთი ვარ მოების გაშო. სათავად-აზნაურო დარბაზში შეადგინეს სია იმ თავად-აზნაურებისა, რომელთაც კენჭი ჰქონდათ. კანონში ჩამოთვლილი იყო, ვის უნდა მიეცემოდა კენჭის უფლება. ვისაც ჩინი ჰქონდა და ორას-ორმოცდა-ათი დესეტინა, მარტო ის უნდა გამხდარიყო მეკენჭეთ. თუმცა ამდენი მამული მთელ იმერეთში ხუთს თუ ექვსს ჰქონდა, მაგრამ ისე ახერხებდნ, რომ ჩინოსანი უსათუოთ კენჭოსნათ ხდებოდა, რადგან ის ადვილათ შოულობდა დიდი მემამულის მოწმობას.

დიდ მამულიანათ გახდომას ბევრი არა უნდოდა რა, მაზრის მარშლის დასტური და მისი ჯანი. რასაკვირველია, არც ეს ჯდებოდა უსასყიდლოთ, მაგრამ მისი ფასი ბევრი არა იყო რა, ერთი წითლიანი უცებ გაგხდიდა დიდ მემამულეთ. იქნება ბევრმა საქრახათ მიიღოს ასეთი თვისება მაზრის მარშლისა, ან სათავად-აზნაურო ნიხელებისა, მაგრამ სახელმწიფო ჯამაგირის უქონლობა და მდიდური მარშლის ცხოვრება ყოველსავე ამარალებდა. განსაკუთრებით სათავად-აზნაურო გამგეობის კანცელარიას ჰქონდა საზოგადოებაში ცუდი ხმა დაფარდნილი: ვინც იქ შევა, «გაუპეტავე» ვერ გამოვაო. გაპეტვას ეძახდნ ბუმბლისაგან გაცლას, გაწმენდას. ყოველ მთხოვნელს ჯიბაში თუ რამე ედვა, სათავად-აზნაურო კანცელარიიდან აღარას გამოატანდნ, ქისას იქვე დაუცალიერებდნ. ამის გამო წარჩინებული სახელი «დეპუტატ სობრანიის კანცელარიისა» — «საპეტავ კანცელარიათ» გადაიქცა, და თუ ვინმე იტყოდა «საპეტავ კანცელარიაში მივიღივარო, ეს იმას ნიშნავდა, რომ საქმე ჰქონდა იმ კანცელარიაში და ქისაშიაც ან წითლიანი, ან ცისფრიანი ედვა, რომ «საპეტავ»

*) იხილეთ «მნათობი» № 8-9.

კანცელარიიდან მართლაც „გაპუტული“, გასუფთავებული, გამობერტყლი ქისა წამოვიღო.

ამ „საპუტაე“ კანცელარიაში ერთი მდივანი იჯდა, ჩასტყუებული, ჩახტყალი, ბული, ბაყაყავით თვალემ-გადმოცევილი. იმდენი სიხარბე იყო ამ გადმოცესულ თვალეებში დაგროვებული, რომ ყოველ მთხოვნელს მისი თვალეებისაგან ზაფრა ჰქონდა ნაცემი და იმის შეხედვის თანავე ჯიბისკენ მიჰქონდა ხელი, ითქოს ესმოდა, მდივნის თვალეები, რასაც ეუბნებოდა — „მოიტა, ჩქარა მოიტანეო“. ამ მდივნის საპუტაო კანცელარიაში კუსიანს ეძახოდნენ. ისეთი მოკლე და დაკვარჩხული თითები ება, რომ კატის კლანჭებს მოგაკონებდა. ამ კლანჭებს არა აცდებოდა რა; რასაც კი მოჰქრავდა კლანჭს, ის იყო; მის დაბუჭულ თითებს ველარას დააძრობდა კაცი.

„საპუტაო“ კანცელარიაში ხშირათ წამოდიოდა თუთხმეტ-თუთხმეტი მანეთი სათავად-აზნაურო მოწმობისათვის, რომ თავადებს და აზნაურებს თავისი შვილები სათავად-აზნაურო წიგნში ჩაეწერათ. თვალ-კუსია მდივანი იღებდა ამ ფულებს, წერდა წიგნებში, ფული კი — სულ მის ჯიბაში ცვიოდა. ამ სახით სათავად აზნაურო კასათ მდივნის ჯიბა იყო გადაქცეული, საიდანაც აღარა ამოდიოდა რა. კარგა ხანი გავიდა, რომ ამისთანა წესი იყო „საპუტაო“ კანცელარიაში, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ყველას იქ მოსამსახურეებს, იმერეთის მარზლიდან დაწყებული უკანასკნელ კანცელარიის მოსამსახურემდის თავ-თავისი „საპუტაე“, ე. ი. სახეეკი საგნები ჰქონდა და ერთი-მეორეს, რომ კიდევ ნდომოდა, ამ გვარ მოქმედებას ვერ ამხელდა, რადგან სამაგიეროთ ისიც მოუბრუნდებოდა და ერეკოდა:

— მე თუ ვპუტავა შენც პუტავო. ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი — პირო, ამისთვის შენც „სუ“ და მეც „სუო!“ — ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

პირობა ჰქონდათ საერთო სახეეკათ შერეული და აბა, გარეშე კაცი, ვინ რას გაიკვება მათ შინაურ ეშმაკობას. წარმოებდა ასეთი წეს-წყობილება წლითი წლობამდე და კაცი არ გამოჩნდა, რომ ამისთანა მიმალული საქმეები გაემხილა, გაემგლავებინა.

მარშლის ამორჩევა ძალიან გამწვავდა. ძველ მარშალს თვითონ თავის გავლენით ბევრი შეკენჭები ჰყავდა ნაშოენი, მაგრამ ამას გარდა „საპუტაო“ კანცელარიის მოხელეებიც ბევრს ზოულობდნენ. ამ შეპიხეველაში იმათ თითქოს ბეგარათ ემართათ კენჭების ზოენა. თვალ-კუსია მდივნის უნდა ეშოენა ათი კენჭი, მის საჭმის მწარმოებელს — რვა, ხუთ მწერალს — სამ-სამი და „საპუტაო“ კანცელარიის „სტოროესაც“ — ორი კენჭი. ამ სახით ძველი და ახალი მარშლის კანდიდატები პირადი გავლენით და შეძლებით ერთმანეთის თანასწორნიც რომ ყოფილიყვენ, ძველ მარშალს მაინც თავის კანცელარიის დახმარებით ზურგი უფრო ძლიერი ჰქონდა — და ყოველ მოწინააღმდეგეს ოცდათუთხმეტი შავი კენჭი, როგორც საშიში, გამანადგურებელი ყუმბარები, ისე მოხედებოდა დასამარცხებლათ. ამითი აიხსნებოდა ის გარემოება, რომ ძველ მარშალს თითქმის ოცი, ოც-და-ხუთი წელიწადი მარშლობაში გავტარებინა. ის ამ თანამდებობაში ჩაბერებულიყო, მისი წყალობით მხრების ჯიხჯილებიც დასქელებოდა,

მგერდიც ჯერებით და ვარსკვლავებით აპრიალეზოდა. ახალ კანდიდატს ძლიერ ეწინააღმდეგებოდა ძველი მარშლის მეციხოვნეების, მაგრამ საქმე ერთმა ადგილზე დასრულდა. ძალიან შეაფერხა და რომ ძველი მარშლის პარტიას ახალი განაწესებული მარშლისნი და ადგილობრივი გუბერნატორი მისი მეუღლითურთ არ დახმარებოდნენ, ციხე უნდა აღებულიყო და ძველ მარშალს იარაღი უნდა დაეყარა. ამ დიდ ბრძოლაში საკვირველი მოხერხება, პოლიტიკანობა, საიდუმლო პლანების გამოაშკარავება და შერყეული ძალის დედამომობა გამოიჩინა რევოლუციონერმა და მისმა ოჯახმა. გულქანი ნამდვილი სული და გული შეიქნა ძველი მარშლის პარტიისა.

XIII.

სწორეთ სამი თვის წინეთ, სანამდის თავად-აზნაურობის კენჭის ყრა მოხდებოდა, ქალაქში, ჩამოვიდა ერთი მაღალ სასწავლებელში კურს დასრულებული და, როგორც მას უწოდებდნენ, ფრთხილ განათლებული ახალგაზდა, სახელით „რუსეთუმე“. ეს ყმაწვილი, მართალია, განათლებული იყო, დიპლომიც ხელში ეჭირა, მაგრამ მაინც იმ რჯულის კაცი იყო, რომელიც შინაურ წესწყობილებას და თავის ქვეყნის წარსულს პატივს არ სცემდა. ის ვაზდელი იყო რუსულ ენაზე, არც თავის ქვეყნის ისტორია, არც ძველი ქართული ლიტერატურა არ წიყითხა, მაგრამ მაგიერათ ტოკეილის თბულემა—შეერთებული ამერიკის სამოქალაქო ისტორია—თითქმის ზეპირათ იცოდა, დიდი ალტაცებით იხსენიებდა საფრანგეთის დიდ რევოლიუციის, ნაპოლეონ პირველის მოქმედება იდეალთ მიანდა და თვითონაც, ცოტა არ იყოს, მის კვალს მისდევდა. იმას ჰსურდა, ჩვენ საზოგადოებაში მეთაურობა ეგდო ხელში და ამასთან არც სახელმწიფო სამსახური ძელდა, რადგან ჩინება და ორდენებს, როგორც ხალხის პატივისცემის მოსაპოვებელ იარაღს, დიდ ყურადღებას აქცევდა. ისიც კარგათ ესმოდა, რომ ძველი ბატონ-ყმური შეხედულების თავად-აზნაურობას მაშინდელი მთავრობა განზე უყურებდა და ახალი სარეფორმო წეს-წყობილების მიმდევრებს ფართო გზას აძლევდა. აქ, რასაკვირველია, ბევრი იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი თვალთ შეხედავდა მაღალ სასწავლებელში კურს-დასრულებულებს ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაური. თვითონ რუსეთუმე დიდა თავადიშვილის ჩამოშავალი იყო, ძალიან ეტრფოდა ახალ მიმართულებას, სატყეით თანასწორობის მომხრე იყო. იძახოდა, კანონის წინაშე ყველანი ერთი უნდა ვიყოთ... ძველი ჩინოვნიკების არა სწამდა რა, თუმცა თვითონ არც წინის და არც ორდენის წინააღმდეგი არ იყო. მისი აზრით, უფრო ის გამოდიოდა, რომ მოხუცებული ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდ სოლომონ ბრძენათ წოდებული, ან შოთა რუსთაველის ნიჭის პატრონი, ან დიმიტრი ყიფიანის დამსახურების მექანე—რაკი მოხუცებული იყო, მის თვალში ერთ ჩირათაც აღარ ვარგოდა და მზათ იყო ყოველი საძაგლობა მისთვის კისერზე მოეხვია. რუსეთუმეს დემოკრატი-ლიბერალიზმა გამოიხატებოდა შემდეგ სიტყვებში: „როცა ეს მოხუცებული კაცები გაწყდებიან, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, გათანასწორდება ქვეყანა, მაშინ დამკვიდრდება სამართალიც და პატიოსნებაცო.“

ძალიან უყვარდა დაიბარულ ხალხზე ლაპარაკი, გლეხ-კაცობას სიტყვით თანაუგრძობდა, მაგრამ მისი ლიბერალობა იმდენზე არ წაღვრებოდა, რომ გლეხისთვის ხელი ჩამოერთმია, ან ეტლში გვერდით მოესვა და წინ სკამუკაზე არ ეჩვენებია ალაგი, თუნდა ის ნასწავლიც ყოფილიყო.

არც სუფრაზე იკადრებდა მის გვერდში მოსმას. სამშობლო ქვეყანა მას უყვარდა თავ-გამეტებით, როგორც თვითონ ამტკიცებდა, მაგრამ ესეც იყო. რომ პირველობას არავის უთმობდა.

სამშობლოს სიყვარული და თავის-თავის პირველობა ერთმანეთში ვერ გაერთიანდა. სამშობლოს თავისუფლება იმდენათ სწამდა, რამდენათაც თვითონ ის იქნებოდა ამით დაჯილდოვებული. მას მხოლოდ სწამდა თავისი „მე“ და ეს „მე“ და „სამშობლო“ გულის ფიცარზე თანატოლათ ჰყავდა მოთავსებული. ხშირათ უყვარდა შემდეგი ლექსის დამღერება ზონგურზე და თარზე:

მე სამშობლო მისთვის მიყვარს,
რომ პირველი ვიქნე მეო;
ხალხი სრულათ მალმერთებდეს,
თავში ვუჯდფ ყველას მეო.
პირველობას არ დაუთმობ
თუნდაც მომკლან კიდევ მეო,
ჩემისთანათ ნალხს ვინ არგებს,
ვინ მაჯობებს საქმით მეო.
ეინც რომ ჩემობს ჩემოდნობას,
ყველა ქვეყნის მტერიაო,
შეთაურათ რას იფარგებს?
გეიო, სულელ - მტერიაო.

ასეთი იყო მაშინდელი ახალი თაობის გმირი, რუსეთუმე, რომელსაც გვერდით ამოუდგა წვრილი თავად-აზნაურობა და წინამძღვართ გაიხადა მას შემდეგ, რაც თავად-აზნაურობის კენჭის სია დაიწუნა და კრებაში პირდაპირ გამოაცხადა, სია უკანონოთ არის შედგენილიო, რადგან მეკენჭები გვარიშვილობით არიან ჩაწერილი ერთი-მეორის მიყოლებით და არა ჩინების მიხედვითო.

შედგა კრება, წაიკითხეს სია და თავში ჩაწერილი იყო დიდებული გვარის წარმომადგენელი, კარნეტი დავაქველაძე, შემდეგ მას მიყვებოდა რევაზ ბაკურიძე და სხვები, მაშინ როდესაც ძალიან დამსახურებული პოლკოვნიკები, ნადვორნი სოვეტნიკები და მათთან ერთი ოთხმოცი წლის ღენერალიც, მარწუხიძე, სულ ბოლოს იყვენ სიაში მოქცეული.

— ეგ სია არ არის კანონიერთ შედგენილიო! — დაიძახა რუსეთუმემ, — მეცხრე ტომი კანონებისა გვაუწყებს, რომ მეკენჭეთა სია ჩინის ღირსებით უნდა იყოს ჩამოწერილი. თავში უნდა იყოს მოქცეული ღენერალი მარწუხიძე, თუმცა მას ცალ-ფეხა აზნაურიშვილს ეძახით, და ბოლოში კარნეტი დავაქველაძე, თუმცა ის ძველი ერისთავების შთამავების არის. ის დრო წავიდა საუკუნოთ, როცა დიდებულ თავადებს აზნაურები ყმებათ ჰყავდათ. ახლა გზა გაშ-

ლილია. გვარიშვილობა და შთამამავლობითი უფლება სამუდამოდ დაეკარგა. კანონის წინაშე თავად-აზნაურობა არც კი არის მოხსენებული, როგორც წოდება, აზნაურობა მხოლოდ დასახელებული და თავადებს არც კი აქვთ თავისი საკუთარი წოდების მნიშვნელობა. თავადები აზნაურებში არიან ჩარიცხვნი. ვინც სამშობლოს გულ-შემატყვივარია, ვისაც ქვეყნის სარგებლობა გულში აქვს, ის თავადობას უარს ჰყოფს და თავადების მტერი იქნება ამიერიდან. ჩემი დიდი მოვალეობა სამშობლოს წინაშე იმას მოითხოვს, რომ გვარიშვილობითს უპირატესობას ვებრძოლო და საწყალი აზნაურები, რომელნიც თავადებისაგან ასეთი დაჩაგრული არიან, აღვადგინო და თავადებს გავუთანაწირო.

ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, დიდი მღელვარება გამოიწვია საზოგადოებაში, ბევრი წარჩინებული გვარიშვილები თავადებიდგან იფურთხებოდნენ და უძახოდნენ რუსეთსმეს:

„შეგირცხვა თავადიშვილობა, შეგირცხვა კაცობა, შე გვარის შემგინებელი, შე იღდა, შე ქვეყნის მუხანათოვო“. ერთი თავადთაგანი გამოვარდა წინ, მოისვა ლეკურს ხელი და წამოიძახა:

„ვინ არის ეგ ვინღაც გამოტყინებულიო... მამა ნუ წამიწყდება, ქათამივით თავს წავადგდებივს!“ რუსეთსმე წარდგა უწინშრათ წინ, გაიწოდა კისერი და შესძახა:

— „ჰა, ბატონო, ჩემი თავი და ჰა ჩემი კისერი, მომჭერი თუ გულს გერჩისო“.

ამას არ მოელოდა კვებია თავადიშვილი. ის დარჩა სახტად და ამოღებულ ხმალი ხელში შერჩა საბიჯჯ ჯოხსავეით, ამ დროს დაგჭველადის პარტია მოვიდა გონს, კვებია თავადიშვილს შემოეხვიენ, მოკიდეს ხელი და ვითომც არ უშვებდნენ.

„ნუ ინებებთ, ბატონო, მაგაზე ნუ გაისერი ხელს, ეგ ვინღაც გიფი და სულელიაო“.

— გამიშვით, მოვეკლავ მაგ წუწქს, მაგასო! — იძახოდა რუსეთსმესგან დარცხვნილი თავადიშვილი.

რამდენადაც წინ იწვედა თავადიშვილი, იმდენად უფრო ეჭირებოდნენ შემკმაგებები და წინ არ უშვებდნენ. ბოლოს გაიყვანეს გარეთ. სამაგიეროდ რუსეთსმეს შემოეხვიო მთელი აზნაურობა, ზოგიერთი ცალფემა თავადიც, მორთეს კიქინა და ატებეს ერთი ჩოჩქოლი; ისინი ყვიროდნენ, იწვევდნენ თავადებს ჩხუბში, იდგებდნენ ხელს ხანჯლებზე და იძახოდნენ:

„მობრძანდით, თუ დედი თქვენის შვილი ხართ, მობრძანდით, თუ გულს გერჩით, გაყურებინებთ თქვენ სეირს, ლუკმა-ლუკმა აგკუწავთო“. ასეთი უწესობისა ყვირილისა და ხარხალის გამო თავმჯდომარე იძულეზული იყო კრება დაეხურა. იქ დამსწრე ქალების წივილ-კივილმა იქაურობა აიკლო, ბევრს მათგანს გულიც წაუვიდა.

ამ ამბავმა დიდი ნითქმა-მოთქმა აღძრა, განსაკუთრებით თავადიშვილის ქალებს შეექმნათ საწყენად რუსეთსმეს მოწმედება. ვინ რას უგონებდა და ვინ

რას?... ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ რუსეთის ყინვებისგან, ტყვინა, იგაცივებია, ჩვენებური წეს-წყობილების და ჩვეულებისა მას აღატყვევებდა. ზოგი ამბობდა, რომ თერგის წყლისაგან სიგიჟე მოუღისო... ნათქვამი იყო ხალხში, რომ ვინც თერგის წყალს დალევა, იმას ტვინი გადაუბრუნდებოდა და სიჩერ-ჩეტე დაეწმებოდა. ზოგი ამბობდა, ეს ნახევარი წელიწადი მეტია, რაც რუსეთიდან ჩამოსულა და ჯერ საყდარში არ შესულა სალოცავათ, პირჯვარი არ დაუწერია, ალბათ ღმერთი არ წამსო, ზოგი ხელმწიფის მოღალატობასაც აბრალებდა.

გულქან ბაკურიძის ქალი მანც ძალიან გაბრაზებული იყო რუსეთუმზე იმის ვერ წარმოედგინა, თუ თავადიშვილი და კარგი გვარის კაცი, მერე განათლებული, მაღალ სასწავლებელში გაზრდილი, ძინგლიან ახნაურებში გაერეოდა და იმათ მხარეს დაიქერდა, თუმცა არ შემიძლია, არ მოვიხსენო, რომ მისმა გულადობამ გულქანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იმის ეჯავრებოდა რუსეთუმე მის გამო, რომ ახნაურების პარტიაში ჩიწერა, მაგრამ მისი ვაბედულობა ძალიან მოსწონდა. რუსეთუმემ რომ კისერი წააგდო ხმალამოლებულ თავადიშვილის წინაშე და დაუძახა: „ჰა, ბატონო ჩემი კისერი, მობრძანდით და მომქერით, თუ გულს გერბისთო“—გულქანმა კიდევ შეჭკვილა შიშისაგან. ამის შემდეგ ძალიან ჰსურდა რუსეთუმეს დაახლოვებოდა, გაცნობოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, რადგან რუსეთუმე მას და მის ოჯახს გან-განზე უღელიდა. იმას გაეგონა, რომ გულქანი გართული იყო სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებში, აკოდა, რომ ის გუბერნატორისას დადიოდა და მის მეუღლეს ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა მისზე; ამასთანავე არც ის იყო რუსეთუმესგან დათარული, რომ გულქანს რუსის აფიცრობაში და სასამართლოს წევრებთან ჰქონდა დაახლოვება, თვით თავის ოჯახშიდაც იწვევდა მათ დროს გასატარებლათ და ქალაქის სათამაშოთ. აი, ამ ვარემოების გამო კიდევ უფრო ერიდებოდა რუსეთუმე ამ ოჯახს. რუსის მოხელეებისაგან და აფიცრობისაგან ბევრი რამ ურიგო ხმები ისმოდა გულქანზე; ზოგი მითვანი კიდევ ტრაბახობდა, მასთან თავის საიდუმლო დამოკიდებულებით.

ბაკურიძის ქალი მხოლოდ შორიდან იცნობდა რუსეთუმეს და თუ სადმე შეხედებოდა, ჩვეულებრივი აღერსიანობით აგრძნობინებდა, რომ რუსეთუმეს მისთვის თავი უნდა დაეკრა. კრების დღეს, როცა რუსეთუმემ ატეხა ჩხუბი და აყალ-მყალი, გულქან შეხვდა მას დერეფანში და მოულოდნელათ გამოელაპარაკა. რუსეთუმეს ეცვა ფრაკი, თეთრი ლაიკის ხელთათმანები და ხელში ეჭირა შავათ მოელეარე კოთხო. (ცილინდრი) გულქანის დედა ანასტასია იქვე იდგა და ისეთი განაწყენებული იყო რუსეთუმეს თავხედური ქცევით, რომ მისი ნება ყოფილიყო, მაშინვე საკანში, ხაროში ჩააგდებდა და შიმშილით მოაკვლევინებდა. მის დანახვაზე ანასტასიამ ცხვირი მედიდურათ აიბზუა და თავი გვერდზე მიიბრუნა სიმძლავრის გამოსაცხადებლათ, გულქანმა კი მზიარულათ მიიბრუნა პირი იქითკენ, და დაბალი ხმით წაულაპარაკა:

თქვენ მეტის მეტათ ააღელვეთ საზოგადოება.

— ძალიან კარგია, კარგი! ეგ ნიშნავს საზოგადოებაში ბრძოლას, აზრების შეტაკებას და გონების განვითარებას. იმედია, ჩვენი საზოგადოება გაწულ-ხიზლდება, გონება გაეხსნება და აჭამდის რომ სულ ეძინა, ახლა გაიღვიძებს! — მიუგო დიდი თავმოწონებით რუსეთუმემ.

— ეგ რა აზრია, თავადები უკან დააყენოთ და აზნაურები წინ წააყენოთ? კაცი თუ გვარიწვილობით არა, პირადი ღირსებით მაინც უნდა იყოს წაოჩინებული. ღენერალი მარწუხიძე, ოთხმოცი წლის ბებერი, ჯერ კმაწვილობაშიაც, გამავონია, უჭკუო იყო, და ახლა სულ ლეშია. რა აზრი იყო სათავად-აზნაურო სიაში თავში მისი ჩაწერა? — უთხრა გულქანმა.

— კანონი აგრე ითხოვს, კანონს უნდა დავემორჩილოთ.

— შერე თქვენ ისე არ ბრძანეთ, კანონი არ ვარგაო?

— ეს ახალი კანონია, კარგია. მე ძველ კანონზე ვამბობდი, არ ვარგა შე-თქი. ახლა საფრანგეთის კანონი შემოიღეს გათანასწორებისა. კანონის წინაშე ყველანი თანასწორი უნდა ვიყოთ.

— აბა უმცროს უფროსობა უნდა მოისპოს თქვენი აზრით? ჰკითხა შეტე-ვეებით გულქანმა.

— უფროსი თუ სულელია და უმცროსი ჭკუიანი, უმცროსს უნდა დაუთ-მოს. ასეა ქვეყნის წესი! — უპასუხა რუსეთუმემ.

— აბა გუბერნატორის ალაგს თქვენ უნდა დაგსვათ, რადგან ის უფროსია და თქვენ მანზე უფრო ნასწავლი ბრძანდებით და უფრო ჭკუიანთაც მოგაქვთ თავი.

— დიახაც აგრე უნდა იყოს. მე ვეცდები, რომ ეს ჩვენი ქვეყანა ძველი ჩინოფნიკებისაგან გავწმინდო და სულ ახალ ახალ უმაღლეს სასწავლებელში გა-მოზდილებს დავაჭერინო ადგილები, მაშინ იქნება სანართალი და კარგი დაწ-ყობილებაც.

ამ პასუხზე ანასტასიამ და გულქანმა თვალგამოპრაწვიით გადახედეს ერ-თმანეთს.

— ჩვენ ხვალ საღამოს წვეულება გვაქვს. ნუ თუ თქვენ არ გვესტუმრე-ბით? გუბერნატორი და მისი მეუღლეც გვეყოლებიან მოპატუკებული. იმედია, დროს ჩვენთან კარგათ გაატარებთ. — უთხრა მოვერებით გულქანმა. — გმად-ლობთ, გიახლებით. მაშ ხვალ თორმეტ საათზე ნება მომეცით გაახლოთ ჩემი სადარბაზო ქალაღი. უთხრა თავდაკვრიით რუსეთუმემ.

— შეგიძლიათ — კეკლუცი გაღიმებით უპასუხა გულქანმა. გთხოვთ იცნო-ბდეთ დედა ჩემს.

რუსეთუმემ თავი მძიმეთ დაჯკრა ანასტასიას და ხელი ჩამოართვა; ანას-ტასიამ ამჟყათ მისცა ხელი და თავი ოღნავ დახარა.

დიღათ მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა. დიღი ხანია, მსურდა თქვენ ოჯახს დავახლოებოდი, მაგრამ სხვადასხვა გარემოებამ აჭამდის შეშთხვევა. არ მომცა.

— მაშ ხვალ საღამოს უთუოთ მობძანდებით. — უთხრა ანასტასიამ გულ-ცივათ.

— სიკვდილის მეტი ვერა დამიშლის რა.

გულქანმა ღიმილით ჩამოართვა ხელი გამოთხოვებში მისმა შინაგანმა გულის წადილმა რა მიმართულება მიიღო, ეს კი იყო, რომ ძალიან სასიამოვნოთ მიიჩნდა რუსეთუმეს გაცნობა და მასთან ხანდაზმით ლაპარაკი, თუმცა მისი მიმართულება არაფრათ მოაწონდა, გულქოსული იყო იმაზე, რომ შეეცდებინა სიაში მამა მისი, რევაზ ბაკურიძე, მეორე რიგიდან მეორმოცეში გადაასკება. გულქანს ჰსურდა რუსეთუმეს გამოზავებოდა და მისი შემცდარი აზრები გაემტყუნებინა. ის უფრო ამ განზრახვით პატივებდა რუსეთუმეს ასე გულმხურვალეთ, თუმცა ანასტასია დედარიანის ასულს სრულებითაც არ ეპიტივებოდა ქალის ასეთი ქცევა. თვითონ ენაზე იტყინა ძალი უნებური დაპატივებისათვის, მაგრამ რა აფიქრებინებდა, რომ რუსეთუმე ცალკე დაპატივებს ვერ მიუხედებოდა, ან კი რა უნდა ექნა? რაკი მისმა ქალიშვილმა დაპატრეა, მეტი რა ღონე იყო, ზდილობა მოითხოვდა, იმასაც მიეწვია.

— დედა შეილობამ, ეგ კაცი ძალიან ბებრეა.— უთხრა ანასტასიამ გულქანს. — ეგ კატუიანი არ უნდა იყოს, მართლაც ტყუილა არ ეძახიან მაგას თერგდალეულს: თერგდალეული კი არა, კეჭუგამოლეულიც უნდა იყოს, უამისოთ როგორ ვერ მიხედებოდა, რომ მე მაგას ცალკეად ეპატივობდი და სრულიად სურვილი არ მქონდა მაგის მიწვევისა.

— არა უშავს რა, დედა, სხვებთან ეგეც იყოს, მაგისგან უფრო ბევრ ამბებს შეეიტყუაბთ მოწინააღმდეგე პარტიისას. ჯერ იმათ სამარშლო კანდიდატიც არა ჰყავო გამოყვანილი, ვინ იცის, იქნება თვითონ მაგასაც უნდოდეს მარშლათ გამოსვლა.

— მანამდის არ ადგა მაგის გვერდები.— შურიანათ წამოიძახა ანასტასიამ. იმდენი ბედნიერება ჩემ შეილს ღირსებია, რამდენი შავი კენჭი მაგას მოხედეს. ჩემი რევაზ აქ არ არის? ორომოცი შავი მარტო მისგან მოხედება.

— ამ ლაპარაკში რომ იყვენ, ხალხი დაიშალა და ანასტასიამაც ეტლი მოითხოვა.

XIV

იმ ღამეს გუბერნატორის ზალაში დიდი აშმაგი და ლაპარაკი იყო გაბმული რუსეთუმეს შესახებ. თვითონ მარშლის კანდიდატი დავაქველამე, რამდენიმე წარჩინებული თავადიშვილი მისი მომარე, რევაზ ბაკურიძე თავის ქალით, ყველანი იქ იყვენ. გრაფ ლიზობლიუდოვიც იქ დაესწრო. გუბერნატორმა სულ ყველაფერი იცოდა დაწვრილებით, რაც რუსეთუმეს ელაპარაკნა სათავადაზნაფრო კრებაზე. დღემდის იგი თითქოს თანაგრძობითაც ეპყრობოდა რუსეთუმეს, დაპირებოდა კიდევ აღმინისტრაციისში კარგ ადგილს, მაგრამ იმ საღამოს კი შეტად ცუდათ იხსენიებდა და ამხევებდა დავაქველადის პარტიას.

სტუმრები ათ საათამდის დარჩენ. შემდეგ რევაზ ბაკურიძემ და მისმა ცოლმა შინ წასვლა დააპირეს. გუბერნატორი აღერსიანათ გამოეთხოვა მათ. როცა გულქანიც წამოდგა, გუბერნატორის მეთულემ ხელები დაუჭირა მას და ანასტასიას თხოვა გულქანი კიდევ დარბენილოყო მათთან.

— ცოტა ხანს იქით მე თვითონ გამოვიცილებ გულქანს თქვენ სახლამდით. — დედამამას უარი აღარ უთქვამს. როცა გუბერნატორმა და მისმა მეუღლემ გააცილეს რევაზი და ანასტასია, შამობრუნდენ ისევ სასტუმროს ოთახში, გულქანიც თან შემოიყვანეს და გაიმართა ახალი ბაასი.

— წარმოიდგინეთ, რაები არ ულაპარაკებია რუსეთუმეს გულქანისთვის! — დაიწყო გუბერნატორის მეუღლემ.

ამ შეტყობებაზე გუბერნატორმა ყურები გამოცქვიტა.

— რაო! კიდევ რა ულაპარაკებია, გულქან რევაზოვნა?

შეეკითხა და სავარძლიდან წამოიწია.

— ვინ მოთვლის, თქვენო აღმატებულუბავ, რამდენი რა არ მელაპარაკა.

— ეშმაკური გაზვიადებით წამოიძახა გულქანმა და გადახედა მის მეუღლეს, თითქოს ეკითხებოდა — სულ უნდა ვთქვა თუ შემოკლებითო.

ის გუბერნატორის ცოლის გვერდით იჯდა ოტომანკაზე, წინ დიდი რგვალი მაგიდა ედგათ, ზედ სახეებიანი ხავერდი იყო გადაფარებული, შუაგულ დიდი ლამპარი იდგა, რომლის შუშის ბურთსაც წითელი მოქარგული აბაყური გარდათხზოდა. ამის გამო მთელ დარბაზში ბნელ-წითური ფერი დასცემდა.

— მაინც რა იყო? დაწერილებით მითხარით. — წააქეზა გუბერნატორმა და ნიშნათ აღერისისა ხელი დაუჭირა გულქანს.

— აი, აი! მატყინეთ ხელი. აპირებული ხუმრობა იცით, თქვენო აღმატებულუბავ! — სიცილით მიუგო გულქანმა.

— რა ხუმრობაა, კაცო — წამოულაპარაკა თავის ქმარს ცოტა გულმოსულ მეუღლემ და თვალები იჭვიანათ დანაბა.

— თქვი და ჭალო! ნულარ მაკდევინებ!

— როდესაც გუშინ საკრებო დარბაზში შეტაკება მოხდა და რუსეთუმე კინალამ დასკრეს, მას შემდეგ დერეფანში დავსივრობდით მე და დედა ჩემი, ამ დროს წინ შემოგვეფეთა რუსეთუმე. მე ვუსაყვედურე, რაც არეულობა მოხდა, სულ თქვენი ბრალია მეთქი. იმან მითხრა:

— ძალიან კარგია, კარგიაო, ამ არეულობით საზოგადოება ფხიზლდება, ცნობაში მოდისო.

— დახე, დახე, რა განზრახვები ჰქონია! — შექარის ხმით წამოიძახა გუბერნატორმა. — ჩვენ სულ იმას ვცდილობთ, საზოგადოება დამშვიდებულათ და წესიერათ ცხოვრობდეს, ეს კი ამტკიცებს, რაც უფრო არეულობა იჭნება, ის უბოიო! ეტყობა თევზის ჭურას აპირებს წუმპე წყალში, მაგრამ მე მაგისთანა მეთევზეებს ბადეს წავართმევ ხოლმე.

— ჰო, იმას მოგახსენებდით, ძველი კანონი არ ვარგა, ახალი უნდა შემოვიღოთო, ყველანი კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყონო. ძველი სახელმწიფო მოხელენი არ ვარგანან, ყველანი უნდა დავცვალოთო. სულ ახალგაზდები, უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უნდა დაეაყენოთო. — განაგრძო გულქანმა.

— ეგ ერთობ შორს წასულა, — დაცინვით დაუმატა გუბერნატორმა. — იქნება ჩემ მაგიერობასაც ფიქრობს?

— კი, აბა! ეგვეც თქვა, ჩვენი გუბერნიის გამგეც უნდა გამოეცვალოთ. მის ადგილას მე რომ ვიყო, ქვეყანას გვაეკეთებდიო.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა,—გადიკისკისა გუბერნატორმა.— ჩემი ალაგის უნდა დაიკიროს! თურმე რევოლიუციონერი ყოფილა, პატარა რომესპიერი, და მე რას ვაფიქრებდი! ეგ კი აღარ მეგონა! მე მაგას კარგ სამსახურს დავპირდი... გულქან რევაზოვნა, თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ წმინდა საკურთხეველში სამუილ ეშმაკი არ შემეპარა. აწ მე ვიცი, როგორ ატესტატსაც მივიცემ მაგ ვაჟბატონს. მის დღეში, სანამ მე აქა ვარ, ადმინისტრაციაში ეგ ალაგს ვერ ეღიბება.

— ძალიან გამზებდალი კაცია, თქვენო აღმატებულებავ... ეგ რომ ჩვენ თავადიშვილებს არ გადაკიდებოდა, თავის გვარიშვილობისათვის არ ემტყუნა, მართლაც ჩვენი ქვეყნის მეთაურათ ივარგებდა.— მზიარულათ შეინათა თვალემა გულქანმა მოსაუბრეს.

ეს უკანასკნელი აღტაცებაში მოიყვანა გულქანის შენიშვნამ, თვალემა გულის თქმით აუთამაშდა და კიდევ ხელი წააპარა ლამაზ მოყვანილ გულქანის ხელს, რომლის გრძელი თითები რგვალ მაგიდაზე თითქოს ფორტოიანს უკრავდენ და იავუნდ ბრილიანტის ბეჭდების ელვარება ლამპრის შექუჩ ვარსკვლავებათ ჩაბნეოდა თითებსა და თითებს შუა; გუბერნატორმა დაჰკრა თითები მის შხვართ თითებს, თითქოს კატას თავი დაეკიროს და თვალი თვალში გაუყარა. გულქანმა საჩქაროდ გაიტაცა ხელი და კეკლუცად წამოიკივლა:

— უჰ, როგორ გვეადრებათ, თქვენო აღმატებულებავ, ბავშობიას თანაში, მერე თქვენისთანა დაბრძენებულ და ხანში შესულ ადმინისტრატორს.

— გულქან რევაზოვნა სწორედ გაკვირვებული ვარ თქვენი დიპლომატობით. იმედიც მაქვს თქვენი შემწეობით მე მკერდზე ვარსკვლავსაც დავიმსახურებ.

— როგორ, რა მოგეჩვენათ?—ცოცხლად შეეკითხა გულქანი.

— აი, ამ ცოტა ხანში ქუთაისში ველი უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელს. ის, ერთი რომ გატაცებულია იმერეთის ქალების შეწიერებით და დარბაისლობით. მეორე, დიდი ხანია, მას სურდა ქუთაინი, წინდახედული და შორს გამჭვრეტი მანდილოსანი ეპოენა. ესეც თქვენ გამოჩლით.

— თქვენო აღმატებულებავ, დამცინით თუ? მგონია, მიზეზი არა მომიცია რა!..—დასადასტურებლად უსაყვედურა გულქანმა.

— არა, ჭეშმარიტათ მართალს მოგახსენებთ და ვფიქრობ, ძალიან კარგი შემთხვევაც გეძლევათ მომავალი ბედის საცდელათ.

მთელ ამ საუბრის განმავლობაში გუბერნატორის მეუღლე თავის კავალერს, დიეზიის ადიუტანტს, გრაფ ლიხობლიუდოვს ელაპარაკებოდა, თუმცა ყური აქეთ ჰქონდა, კმრისკენ. მის უკანასკნელ სიტყვებზე მუდღემ ცნობის მოყვარეობით გადმოხედა მას და როცა წითლად წამოკეხებულს გულქანას თვალი შეასწრო, ეშმაკურათ გაიღინა და კვლავ მიუბრუნდა თავის კავალერს. გულქანს სახე გაქარხლებულს, თავი ოდნავ მოეხარა და მარაოს იქნედა გაუხარებული. იმას გონებაში დაეხატა სარდიონ ენუქიძის მომავალი ბრწყინვალე ბედი, მისი ცხენოსან პოლკის უფროსობა და ჯილდოთ მიღებული გულქანის

მწვევი სიყვარული. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გულქანმა უაფრუხა და წარმოსთქვა:

— ძალიან დამაგვიანდა, მარტო ვარ და არ ვიცი, ვინ გამყვება სახლამდის.

— ჩემო ძვირფასო გულქან რევაზოვნა! — აღერსით უპასუხა გუბერნატორის მეუღლემ. — მე მაინც ვავლა მინდა ბულვარში ამ მშვენიერ მთავარიან ღამენი ჰაერის ჩასაყლაპათ და მე თვითონ მიგაცილებ სახლამდის. გრავ ლიზობლიუდოვი, იმედია, ჩვენს პატივისცემის არ დაიზარებს და გვირაინდება.

— ყოველთვის მზათ ვარ თქვენი სამსახურისთვის. — კრძალვით მოახსენა ლიზობლიუდოვმა.

— გრავ ლიზობლიუდოვს ცეცხლისაც არ ეშინია, როცა გულქანისთანა საკირე წინ უდგას. — დამაბატა გუბერნატორმა.

— თქვენო აღმატებულებაე, მაგისტანა ხუმრობის ნებას არ გაძლევთ და გრავ ლიზობლიუდოვი რა საკირეშიაც ჩამდგარა, უეჭველია, იმ საკირის ცეცხლიც ეყავა. — მოუტრა პასუხი გულქანმა.

გუბერნატორის ცოლმა ჩაიციინა და ქმარს შანის მოგებით უთბრა.

— შენ უალაგო ხუმრობას სწორეთ მაგისტანა სხარტი პასუხი მოუხდებოდა.

— გულქან რევაზოვნა სიფიცხეში ყოველთვის გულუხვია, ნეტავ ასე აღერსით გვაჯილდოვებდეს.

გულქანმა წაიყრუა თითქოს არ გაუგონია გუბერნატორის შენიშვნა. ამ დროს გაიღო დარბაზის კარი და შემოვიდა სარდიონ ენუქიძე. გულქანს გული გადაეყარა. სარდიონ მოწიწებით დადგა შორი-ახლოს.

— აა, სარდიონ ალექსევიჩ, სად ბრძანდებოდით აქამდის? რალაი კენჭის ყრა დაიწყო, მე თქვენ ველარ მოგიკარეთ.

— ძალიან ამბავია, ბატონო. დღეს რომ კრებაზე ამბავი მოხდა, იმის გამო თავადები და აზნაურები ძალიან შეეტაკენ ერთმანეთს, მთელმა აზნაურობამ მხარი დაუჭირა რუსეთუმეს; აზნაურობა კიდევ მარტო არ არის, რაც განათლებული კაცია, ვისაც კი საშუალო სასწავლებელი გაუთავებია, ყველა რუსეთუმეს მაქებრად ვამხდარა. ერთი სიტყვით, ღმერთათ ნიაჩნიათ რუსეთუმე. თავადების პარტია ახლა სულ ერთიანათ დავაქველადისას იყო მოგროვილი და იქ გადაწყვიტეს თქვენს აღმატებულებას თხოვნ დაეხმაროთ, თვარა გლახათ არის საქმე. რუსეთუმეს თანდათან უძლიერდება პარტია.

— მე მაშინ გამოვიღებ ხელს, თუ რუსეთუმემ მთავრობის საწინააღმდეგო რამე ილაპარაკა. — თქვა გუბერნატორმა.

— მეტი წინააღმდეგობა რალა იქნება, ძველ, დამსახურებულ ჩინოვნიკობას აღარაფრად აგდებს. დრო მოვიდა, მაგათ წესი უნდა აღვოთო, ამბობს, ეგენი ყველა მექრთამეები არიანო. ჩვენ უნდა დავაყენოთ ისეთი მარშალი, რომ უმაღლეს მთავრობის წინაშე გამოაშვარაოს აღმინისტრაციის უწყესო მოქმედებები და ქრთამების აღებო. ეგენი ყველანი უნდა დავცვალოთ და მაგათი ადგილი ჩვენ უნდა დავიჭიროთო. ყველაზე უფრო საშიში ის არის, თქვენო აღმატებულებაე, რომ ახალ სასამართლოს მოხელეებს რუსეთუმეს პარტიის მხარე უქი-

რავთ. რაც ახალგაზრდობაა, რომელთაც ან ღმრთობა გაუთავებიათ, ან/მეოთხე-მეხუთე კლასიდან გამოსულან, ყველანი რუსეთუმეს ეკედონდჷან შიშხმედით, რომ თუ რუსეთუმეს პარტიამ გაიმარჯვია, ვაეღენას მოიპოვებენ, ძველ ჩინოვნიკებს ჩამოყრიან ადგილებიდან და თვითონ დაბძანდებიან მათ ალაგებზე.

— ძალიან გაბრძნებულან, თქვენმა შუმე.—მრისხანეთ წარმოთქვა გუბერნატორმა. წამოვარდა სავარძელიდან და დაიწყო დარბაზში წინ და უკან ჩქარი სიარული.—მაშ ეგრე? ადმინისტრაციას უპირობენ ბრძოლის ატეხას, განა?.. მერე ვინ არის ადმინისტრაცია? ესმით მაგათ, რა საშიშ საქმეს ჩაღიან? ადმინისტრაცია მთავრობის წარმომადგენელი არ არის? სულ ახალი სასამართლოების ბრალია ეს ყველაფერი. ვინღაც ახალგაზდა ყმაწვილებს დაუროგეს ოლქის სასამართლოების წევრობა, ეს ღენერლების შესაფერი ალაგები!.. გუშინ რომ უნივერსიტეტიდან გამომხტარა, დღეს, ხედავ, პროკურორათ ვაუწვევებიათ, ან მის ამხანაგათ, განა აქეთ რაჲე ამისთანა კაცებს ცხოვრების გამოცდილება?.. განა ესმით იმათ, რას ჩაღიან, როცა ადმინისტრაციასთან იბრძვიან? ასე ხომ აირია მონასტერი!.. დისციპლინა, შიში ხალხში გაქრა და მერე რაღას აპირობენ? რა ნაირათ უნდათ მერე შეღავდონ აღვირ წახსნილი საზოგადოება? რატომ ამას არ ფიქრობენ, რომ ამით მთავრობის სახელი დაბლა-დაბლა იწვევ? მერე განა უმალღესი მთავრობა ამას მოითმენს? არა, მე უნდა გამოვიღო ხელი. მე არ მიეცემ ნებას, რომ მთავრობის ავტორიტეტი საფრთხეში ჩავარდეს ვიღაც გუშინდელი ბავშვებისაგან. მე ახლავ მივიღებ ჩემ ზომას. შევატყობინებ უმალღეს მთავრობას, რომ აქ ცუდი სული იბადება განათლებულებისაგან. საჭიროა, რომ ეგენი ან სულ არ მიიღონ სამსახურში ადგილობრივათ, ან თუ მიიღეს, სხვაგან შოორს მხარეში დანიშნონ მოსამსახურეთ. ყოველ ახალგაზდა განათლებულ კაცს თავის ქვეყანაში მოაქვს მევენებელი აზრები, ლეარძის სთესვენ ხალხში და მერე ვინ იცის, აქედან რა წარმოდგება! განა თვალწინ არა გვაქვს პოლონელების მაგალითი?.. არა მე ეს ყოველივე უნდა მოვახსენო უმალღეს მთავრობას... საჭიროა საიდუმლო მოწერილობანი, რომ აქაურ განათლებულ კაცს მარტო რუსეთში მისცენ ალაგი და აქ კი რუსეთიდან გადმოიყვანონ ხოლმე მთავრობის მოხელეები. აქაური განათლებული კაცების აქ გაჩერება ამბოხების თესლს თუ განთესავს ხალხში, თვარა სხვას არაფერს. აი მაგალითი წინ არ გვიძვეს? რუსეთუმე უერ არც კი გამოჩეკილა მთავრობის მოხელეთ და ახლავ გვემუქრება ჩვენ! ჩვენ, დამსახურებულ სახელმწიფო მოხელეებს! დაცულას გვიპირობს!.. აწ მე დამაცალონ!.. ის მე ვიცი, როგორ წესსაც აუფებ უმალღეს მთავრობის წინაშე ახალ სასამართლოს და ახალ გამოზდილ თაობას!—გადისევა უღვაშებზე ხელი გუბერნატორმა და გადახედა ცალი თვალით სარდიონ ენუქიძეს.—თქვენ კი უფალო კაბიტანო, და თქვენ შვენიერო გულქან რევაზოვია, ძალიან უნდა დამეხმაროთ ამ საქმეში, რადგან დამსახურებული ჩინოვნიკობა და თავადობა ესენი განუყრელი ბურჯი იყენენ მთავრობისა და ხელმწიფობისა. იმათი მგდ-იღბალია აქ საფრთხეში ჩავარდნილი და, ვგონებ, არა ნაკლები სარგებლობა თვით თქვენი ოჯახებისა მოითხოვდეს, რომ მე შემეწიოთ. გულქან რევაზოვია, მე თქვენ უფრო მოვახსენებთ, რადგან თქვენი ოჯახი და მამა

თქვენი, როგორც პირველი თავადიშვილის ოჯახი ძველი დამსახურებული, და მას აყენებს შეურაცყოფას ვინღაც ახალმოსული მთავრობის მოწყენიებული, მე თქვენ გთხოვთ ყოველისფერი, რაც კი მოხდება სააზნაურო კრებებზე (ანუ უფასოდ რუსეთში ილაპარაკებს—შემატყობინოთ ხოლმე. თქვენც, სარდიონ ენუქიძე, აბა, დატრიალდით და სად რა ხდება, ყოველივე შემატყობინეთ. იქნება ბევრს აღმინისტრაციის მოხელეს და ზოგიერთ მომრიგებელ მოსამართლესაც პქონდე! კედი რუსეთშიეს პარტიასთან ვადაბმული, ესეც უნდა შიშიტყოთ და მერე მე ვიცი. არც ერთ მათგანს საშსახურში აღარ დაეყენებ.

— თქვენო აღმატებულებავ!—მხიარულათ შეჰძახა გულქანმა. ხვალ საღამოს რომ პარტიობა გვაქვს, უმჯველია, თქვენ და თქვენი მეუღლეც დაესწრობით. აი, იქ შეყოლება დაპატივებული რუსეთშივეც მისი ამხანაგებით... მე მინდა, მთელი საღამო მას ველაპარაკო და მასთან ვიცეცეაო. სულ ყველაფერს დაწერილებათ შევიტყობ მის გულის პასუხებს, დიახაც ბევრს საგულისხმოს ვავიგებ და მოგახსენებთ.

— ჩინებული პლანი მოგიხერხებიათ. მე კი იმ კრებაში ჩემი მეუღლით ცოტა ხნობით გეწვევით. ასე, შამოვალთ მეთორმეტე საათზე და ნახევარ საათს დავრჩებით, შეტს არა...

— როგორ, თქვენო აღმატებულებავ, განა მეტს არა? ეგ ხომ შეურაცყოფა იქნება ჩვენი, ვახშანი რომ არ მიირთვიათ და ისე წამობრძანდეთ?

— გულქან რევაზოვნა, განა არ იციო, მე უმაღლესი ადგილი მიჭირავს ამ მხარეში... მე ჩემი ღირსება უნდა დაეიცვა. მაგრამ მე იმდენათ პარტიეს ვცემ თქვენ ოჯახს და განსაკუთრებით თქვენ, აღმოსავლეთის ვარსკვლავო, რომ მხოლოდ თქვენს ოჯახში მოვდივარ ხოლმე და სხვაგან არსად. განა არ გესმით ჩემი ღალტვისი პარტივისცემა სადაზღის მივიდა? მე თქვენ წინაშე ამით ქედი მოვიხარე და შეტი რა გინდათ?

— დიახაც ვაფასებ, მაგრამ ვახშმათ მაინც უნდა დარჩეთ ჩვენთან.

— ოო, არ მოხერხდება, სხვა და სხვა უმაღლესი მთავრობის მოსაზრება მაიძულებს ამას, და თქვენ იმდენათ გულისხმიერი ბრძანდებით, რომ, დარწმუნებული ვარ, მიხედვით ჩემს გადაწყვეტილებას!

— როგორც თქვენი ნება იყოს!—უპასუხა გულქანმა.

— მაშ მე მოვეცემ ვანკარგულებას ჩემ თარჯიმანს, რომელიც თქვენგან დაპატივებული იქნება, როდესაც ჩვენ შოვალთ, სპარსული მარში დაუტრან, რომ დღესასწაულებრივით შემომეგებოს მთელი საზოგადოება.

— მაგაზე თქმა აღარ მინდა, თქვენო აღმატებულებავ, მე თვითონ შევატყობინებ მთელ საზოგადოებას, რომ ბრწყინვალეთ შეგხვდენ.

— ჰო, და... როგორც მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელს, განსაკუთრებით პარტიე მეკუთვნის, შესაფერი ადგილისა.

— უჰ, დამაგვიანდა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენო აღმატებულებავ მეთორმეტე საათია!...—კეკლუცათ დაუტრა თავი გულქანმა.

— ოჰ, რა ცოცხალი მერცხალი ხარ, სულში ჩასაძვრენი! ქალო, მე რომ ბედნიერება მექნეს თქვენი... ჰო, თქვენი. მგონი ამ ჩემ ღირსებას თქვენ დაგი-

თმობდით.—უთხრა გუბერნატორმა თითქმის ჩურჩულით და ხელი გრძობით მოუჭირა.

— რას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულება, როგორ შეძლებთ ჩემთვის ვიღაც ქალს ვერე ეტყეოდენ, მერე თქვენისთანა დარბაისელი კაცი! —

როცა თქვენ გხედავთ, თავი ოცი წლის ჰაბუკი მგონია. თქვენი ეშხი და სინარნარე მაგიყებს...

— გრცხვენოდესთ, დარბაისელი მეუღლე გყავთ და თქვენ აგრე უმართებულთ იქცევით.

ამ დროს გუბერნატორის მეუღლე და მისი კავალერები გამოვიდნენ სასერნოთ მომზადებულნი.

— გულქან რევაზოვნა, სახლამდის ჩვენ მიგაცილებთ და მერე გრაფ ლიზობლიფოვი და სარდიონ ენუქიძე ისეე უკან წამომყვებიან.— უთხრა აღერსით გუბერნატორის მეუღლემ.— ვიშ, რა შშვენიერი მთვარიანი ლამეა!.. ახლა ბულვარში გასეირნება ერთ რამეთ ღირს.

— დიდათ გმადლობთ პატივის ცემისათვის.— უპასუხა გულქანმა. შშვილობით, თქვენო აღმატებულება. გუბერნატორმა ჩამოართვა გულქანს და უნდოდა ხელზე კოცნა, მაგრამ გულქანმა უცებ გამოსტაცა და გატრიალდა კარებისაკენ

XV

შვენიერი ზაფხულის ღამე იყო. მთვარე სასიამოვნო ნათელს ჰქვენდა ბუნებას. ორი წყვილი ქალ ვაჭი ჯერ ერთათ მიდიოდნენ გატკეცილ შარაზე, შემდეგ ინსტინქტურათ მოუჭირა გულქანმა, მას თან აედევნა სარდიონ ენუქიძე. გრაფ ლიზობლიფოვი თითქოს რაღაც აჩქარების სურვილმა აიტაცა. იმასაც მსურდა გულქანის გვერდში სიარული, მაგრამ გუბერნატორის მეუღლემ შეაჩერა:

— გრაფ, მიგეჭკარებათ? მომეცით ხელი, ერთათ წავიდეთ.

ლიზობლიფოვმა რაღაც უნიროთ მიართვა მკლავი. ქალმა მისი მკლავი ცალ მკერდზე მიიკრა და მოუსვენარი ლიზობლიფოვის გულის თქმას სულ სხვა მიმართულება მისცა. ამ დროს ჩვენი მოსეირნენი შევიდნენ ბულვარში. გულქან უცერათ მოტრიალდა და გუბერნატორის მეუღლეს მოახსენა.

— ნულარ ირჯებით, თქვენო აღმატებულება, მე საჩქაროდ შინ უნდა გიახლოთ. ჩემი დედ-მამა იწუხებს, რომ აქამდის არ მივსულვარ.

— გულქან რევაზოვნა! — ჩამოართვა სიტყვა გრაფ ლიზობლიფოვმა.— აბა თქვენგან არ მიკვირს, ამისთანა შვენიერ თვარიან ღამეს ეტყევი! მოითმინეთ მათი აღმატებულება კვლავ სახლში გაეაცილოთ და მერე მე და სარდიონ მიგიყვანთ სახლში.

— არა, არა, არა! როგორ შეიძლება! უმისოთაც ძალიან დამაგვიანდა. მშვილობით, თქვენო აღმატებულება!

— მშვილობით, ჩემო კეკლუკო! — გაუშვირა ხელი გუბერნატორის მეუღლემ და გადაკოცნა.

— აბა, სარდიონ ივანიჩ, გთხოვთ მიაცილოთ გულქან და იცოდეთ, მალე მოდით, ჩვენთან, აქ ბულვარში გიცდით.— უბრძანა გუბერნატორის მეუღლემ.

— რაღა საჭირო იქნება, ვანა მე კი მარტო ვერ მოვახერხებ თქვენი ალმატებულების დარაჯობას? — დაამატა გრაფ ლიზობლიუდოვი.

— ჰო, მართალია, სარდიონ ივანიჩ, თქვენ მიაცილეთ გულქანი და ხვალ სალამოდის თავისუფალი ხარო. ჩვენ მალე დავბრუნდებით შინ, მართლაც და ნელარ შეწყობდებით, მე ლიზობლიუდოვი მიამაცლებს.

— თქვენი ნებაა, თქვენო ალმატებულებავ! — დაუკრა თავი და გამოუდგა გულქანს, რომელიც ისე ჩქარა მიდიოდა, თითქოს ფეხს მიწაზე არ აკარებდა.

გუბერნატორის მეუღლე და გრაფ ლიზობლიუდოვი იქვე ჩრდილში ჩასხდნენ სკამზე, მათ ფარავდა ტალავერი და თუ ხმას არ გაიღებდნენ, ვერავინ შეატყობდა, რომ იქ სულიერი ვინმე იყო.

გულქან ხმა ამოუღებლათ მიისწრაფოდა, თითქოს რაღასაც ეშინოდა. სარდიონი გაჩქარებული მიდევდა უკან და თითქმის ვერც კი ეწეოდა.

— გულქან რევაზოვნა, ასე გამწარებული რას მიზიზიხართ? ნუ თუ ჩემთან ყოფნას უფროთხით?

— უმისოთაც დამაგვიანდა. — წარმოსთქვა გულქანმა აღელვებული ხმით და ცოტა არ იყოს, შეაჩერა სიარული.

— ასეთი მშვენიერი ტყელია ღამეა, ციური მნათობი თავს დახარის ბუნებას, მას ეტრუფილება, თითქოს გვიწვევდეს სიყვარულისთვის, და თქვენ კი მიზიზიხართ! — წაულაპარაკა სარდიონმა.

გულქანი შეკრთა ამ სიტყვებზე, თავი უფრო დახარა, იმას ეშინოდა ხმის ამოღების, რადგან გრძნობდა, რომ მეტის მეტი მღელვარებით ხმაც არ ემორჩილებოდა. იმას მთელ ტანში უვლიდა გრუნტელი, თავს იმაგრებდა, არ უნდოდა გაემგლავნებინა ის საკირე, რომელიც მის გულში იმ წუთას ჰქონდა ანთებული. დაკვირვებული კაცი სულის ქშენაში შეატყობდა, რომ გულქან კრთოდა ვერხვის ფოთლოვით. ის მიდიოდა მაგრამ ამ წუთას სრულიადაც დაეწეებოდა, საღ მიდიოდა. ამ დროს მოისმა მდინარის შხელი. ისინი ხიდზე გადიოდნენ ხმა გაქმნილი.

— ოჰ, რა კარგი ღამეა! ცოდვია ამისთანა ღამეს კაცი მოცდეს. — დაიწყო სარდიონმა.

— მართლა საით მივდივარ. — წაილაპარაკა გულქანმა და შედგა, თითქოს გზა დაბნეოდეს.

— გავიაროთ ცოტა კიდევ, გარეთ უბანის ბალი შორს აღარ არის და ცოტა ხანს შევისივინოთ, თუ თქვენც გიამებათ, გულქან.

ჭალმა პასუხი არ გასცა, მაგრამ იქითკენ მიინც წაეიდა, საითაც სარდიონი უჩვენებდა. გარეთუბნის ბალის ჰიშკარი ღია დახვდათ, გავიდნენ გზამოხვეულში და კაკლის ხით დაჩრდილულ სკამთან შეჩერდნენ.

— დაესხდეთ აქ ერთ წამას. — ურჩია სარდიონმა.

გულქანი ჩაიკეცა გძლელ ხის სკამზე, მის გვერდით მოუჯდა სარდიონიც. ისინი ერთ ხანს იყვენ აქ ასე გაჩუმებული. მთვარის შუქი ამ ალაგს გარსუფლიდა, თითქოს ვანზრახ არ უნდოდა ჩრდილში შეეპერტა, რომ შეყვარებულთა საიდუმლო გრძნობის მოწმით გამხდარიყო.

— გულქან შენ შამოგველოს ჩემი თავი, გამეცი ხმა, ^{საწუგვეშო} რაზე მითხარა, თუ არა ეს არის სიციცხლის ძაფი მიწყდება. ^{ვარკუნეული}

— რა უნდა გითხრათ, რაც არა მაქვს რა სათქმელმა ^{საქმელებმა}

— ნუ თუ ჩემ მწვავე გრძობას, საიდუმლო ბარათში გამოხატულს ოდნავ შეწყალებაც არ გაუღვიძებია მაგ თქვენ სამოთხის გულში?

უნუგვეშო ხმით წამოიკრინა სარდიონმა.

— თქვენ, კაცებს, აბა, რა დაგეგვრებათ. ვერცხლის წყალსაფით ობნევით სიყვარულს.

— თუ თქვენ იგვეც არ გჯერათ, რომ მე სულით და ხორცილთ ვიტანჯები. სხვა რაღა დამრჩენია, თუ არ სიკვდილი, თუ არ შენი ხელით ჩემი მწუხარე გულზე დახის დაცემა.

— იქნება მაიორშასაც მაგისტანავე სიტყვებს უმეორებდით, როცა სასწავლებლის უფურსმა მასთან მოგასწროთ.

ასეთმა მკვებე დაცინვამ სარდიონის მხურვალე გრძობას წყალი დაასხა. ის მართლაც გრძობდა ამ წუთას, რომ უზნეო წუთში იყო ამოსვრილი, გრძობდა, რა დიდი ნაპრაღი ჰყოფდა მას უმანკო, ჯერ კიდევ ზნეშეუბღალავ გულქანთან და თითქოს თავზე მთელი მთა დანგრეოდეს და დაეღეწოს მისი არსებობა, ისე აღარ იყო ამ სოფლათ.

გულქანი კი ამ დროს მეტათ აღელდა. ის ელოდა წამის წამ სარდიონისაგან შეპყრობას და არ იცოდა, რა ექნა.

გულისთქმა მორეული სკამზე დაკრულიყო. თითქოს რაღაცას მოეჯადოებინოს, როგორც ხოხობი, როდესაც ქორი მას ზევიდან დახერხებია. ამ მდგომარეობაში იყვნენ კარგა ხანს ორივენი ბოლოს. გულქანი გამოვრკევა და ჩახედა თვალებში სარდიონს, რომლის სახე მას მოეჩვენა როგორც სახე სიკვდილით დასჯილი კაცისა და გაოცდა. იმან წარმოიღვინა, ალბათ ძალიან ვაწყენინე უშვერი სიტყვებითაო, თავს უსაყვედურა უკმეხობა და ნაზი გულისთქმით შეეკითხა.

— სარდიონ, რას გაჩუმდი, რატომ აღარას მეტყევი? ამ სიტყვებმა გულდაჩაგრულ დამნაშავეზე გამამზნეებლად იმოქმედა, იმან ჩახედა გულქანს გრძობით სავსე დიდ თვალებში და წამოიძახა.

— ჩემო მკვლელი და თან ჩემო გამაცოცხლებელო, მე მეტი აღარ შემიძლია. ვიცი შენი ღირსი არა ვარ, მაგრამ თუ შენ დამეკარგე, აღარც მე მინდა სიციცხლე.

ამ სიტყვებმა გულქანი გააღონიერა, გრძობის მოუძღვრება სიმზნევე გადაეჭკინა; ის თითქოს მიხედა თავის მოვალეობას საყვარელ არსებისადმი, რომელიც ამ წუთს თითქოს უნუგვეშობაში ჩავარდნილიყო და უთხრა:

— სარდიონ, არა გრცხვენია, მაგას ამბობ? სხვა ეინ გინახავს ახალგაზდა ქალი, რომ ასე მარტოდ მარტო კაცს გაყოლოდეს ამ დროს ამ ადგილს, თუ არ სიყვარულით გატაცებული.

ამ სიტყვებმა უცბათა ააფეთქა ახალგაზდა კაცის მოზღვავებული გულისთქმა. იმან უცრათ შამოხვია ხელი გულქანის წელს, მიიზიდა მკერდზე და და-



უწყო გაგივებით კოცნა სახეზე. გულქანი ამას არ მოელოდა; სხვა რომ ვეღარა მოახერხა რა მოსაგერებლათ, უცბათ შეენა ტირილი. სარდიონმა მისი მამაკაცი ლიტის ცრემლებს სვლელდა დილის ცვარსავით და თან დაკინებდა კოცნიდა. ბილოს როცა მან იჯერა გული, გულქანმაც განითავისუფლა თავი და უსაყვედურა:

— მე მაგის ნება ხომ არ მომიცია შენთვის. დამშვიდდი, მეტათ აღარ შემეხო. ჩვენი სიყვარული სულ სხვაა, ვინამ უბრალო შეყვარებულებისა. მე მაგისთანა მოქცევა კიდევ მეზიზღება, სხვა რასმეს მაგონებს, იმას, რაშიაც ასე გაჩეულები არიან უზნეო კეაღრებში. კოცნის დროც მოგვივია, მაგრამ შემდეგ, როცა ჩვენი სიყვარული წმინდა ქორწინებით იქნება განმტკიცებული.

— სარდიონმა, დარცხვენილმა ასეთი სიტყვებით, უცებ შეიმაგრა თავი, გასწორდა და უთხრა:

— როგორც შენ გენებოს, ჩემო მფარველო ანგელოზო! რაც შენ არ გეამოვნება, ღმერთმაც არ ინებოს. მე დღემდის გულდაჩაგრული და უზნეო კაცი, შენ გამაახლე. შენმა სიყვარულმა ტალახში ჩაფლული ზნეობრივით ზეზე წამომაყენა, თავი მაღლა ამალბინა. დღეის იქით მე ჩემი ტოლი აღარავინ მგონია, რაკი შენი კარგი გული ჩემ სანუგეშოთ ყოფილა გაჩენილი.

გულქანმა ცრემლები ამოიწმინდა, ხელში ხელი ჩაუდვა, რომელსაც სარდიონი გრძნობით დაეკონა, და უთხრა:

— სარდიონ, ახლა კმარა, უიმისოდაც დაგვაგვიანდა, დროა, შინ წაივადო. ხვალ უსათუოდ ჩვენთან მოდი. მართალია, ჩემ დედ-მამას შენი ნახვა არაფრათ ეპრიანებათ, მგონია, კიდევ გრძნობენ, რომ ვითომ შენ იყო მიზეზი, რომ გრადფ ლიზობლილდოვს კარებისკენ მივუთითებ, მარა მე მაინც შენთან ვიქნები და ისინიც ვეღარას გეტყვიან. აწ ვიფიქროთ მომავალზე. მე ჯერ ვეცდები ჩემ დედ-მამას მზარი მოვეუქციო და თუ არა ეშველათ რა, მერე სხვა გზა ვიძიოთ.

— ოღონდ შენ იყავი, ჩემო მფარველო ანგელოზო, ჩემსკენ, და მე შენი დედ-მამის სულაც არ მეუქვრება. რას იზმენ, რომ არ დაემორჩილონ შენს ნებას?

— არა, მე სრულებითაც არ მინდა ჩემ დედ-მამის უნებურათ გათხოვება. იმათ ჩემს მეტი ვინ გააჩნიათ, მე როგორ ვავებდავ იმათ შეწყულებს?.. არა, არა, სარდიონ, უნდა ვეცადო, ისინი დავეითანხმო.

— რომ არ დათანხმდენ?

ამ კითხვაზე გულქანმა რალაცნაირათ ამოიკენესა, არ იცოდა, რა პასუხი მიეცო. ის იყო ორ ცეცხლში; არც დედ-მამის უნებურათ უნდოდა რამე გადაწყვეტილება მიეღო და იმასაც შიშობდა, ვაი თუ სარდიონი შემოიწუხდესო. პასუხი მაინც ვერა უთხრა რა.

ამ დროს აღმოსავლეთით მოპერა განთიადის ნიავმა. გულქან წამოღდა ზეზე.

— უჰ, როგორ დაგვიგვიანდა! საწყალ დედაჩემს აქამდის არ ეძინება, აღბათ მე მიცდის. ღმერთო, რა უწყესო საქმე ჩაუდინე!

სარდიონმა მხურვალეთ აკოცა ხელზე და გრძნობით თქვა:

— უწესო კი არა ლეთის სასიამოვნო საქმე იყო ჩენი დღევანდელი აქ მოსვლა. შენი სარდიონი მეტს ველარ შესწლებდა. განა კარგა მისი საქმეა, რომ უნუგეშობისაგან თავი გამეწირო?

— უიმე, რას ამბობ სარდიონ? მერე მე რას მიპირობდი?..

— შენ კარგ გულს შამოეცლოს ჩემი სიცოცხლე!—წამოიძახა გრძნობით სარდიონმა და ერთხელ კიდევ დააწება მხურვალე ტუჩები მის ბროლის ხელს.

— წავიდეთ, სარდიონ, ჩქარა. მომეცი ხელი. ახლა კი სიამოვნებით ვაგყერი მკლავში მკლავს.—უთხრა გულქანმა ალერსით და თავი მხარზე მიადგა.

სარდიონმა ველარ გაუძლო გულისთქმის და უნდოდა ტუჩებში დაკონებოდა, მაგრამ გულქანმა ხელი მიიფარა სახეზე და უთხრა:

— არა, არ შეიძლება. მე რა ვითხარი? ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ შეერთებული წმინდა ქორწინებით.

სარდიონმა ამოიხვნეშა და ხმა აღარ გაუცია. ისინი მივიდნენ რევან ბაქურაიძის სახლთან მზიარული გულის ფანჯრალით.

— შეილო, გულქან, ამდენ ხანს სად იყავი? მე შენი ლოდინით გული გამიწვრილდა.— გადმოძახა იფნიდან ანასტასიამ, რომელმაც შენიშნა თუ არა მომავალი ჩრდილი მთვარიან ღამეში, თუალები დააშტერა და გულმა მზიარული ფანჯრალი დაუწყო, რადგან ფიქრობდა, რომ ერთი გულქანი უნდა იყოს და მეორე— გრაფ ლიზობლიუდოვი. მაგრამ როცა მოახლოვდნენ, გულს ელდა ეცა, სარდიონი რომ იცნო.

— უიმე, დედა, რატომ ამდენ ხანს არ გძინავს?— შეეცვია გულქანმა.

— გუბერნატორის მუუღლემ არ გამოუშვა, ბატონო, — მოუბოდიშა სარდიონმა— აქამდის ორივე ერთად დასერილობდნენ ბულვარში. ეს არის, ახლა ის შინ დაბრუნდა, იმას ლიზობლიუდოვი გაყვა და მე თქვენ ქალს გამომატანა.

— ოჰ, ეგ არ არის კარგი ამბავი. არ მეგონა, თუ მარტო გამოუშვებდა ჩემ გვრიტოს. შეილო, შენ მისი აყოლა რას ვარგავ?

— არა, ჩემო დედიკო, ნუ გამიწვრები. მეორეთ აღარ დაევიგვიანებ.— მერე მოუბრუნდა სარდიონს და დედის გასაგონათ უთხრა:

— დიდათ გმადლობთ, სარდიონ, პატივისცემისთვის. იმედია ხეალ საღამოს ჩვენთან მობრძანდებით დროს გასატარებლათ.

— შამოდი, შეილო, სახლში, ნუღარ იგვიანებ.— განუმეორა ანასტასიამ დაეინებით. ის თითქოს უფრო და უფრო იკვირებოდა, რომ გულქანი არ ჩქარობდა სარდიონის მიტოვებას.

— მშვიდობით, სარდიონ, ნახვამდის.— კიდევ უთხრა გულქანმა დაეინებით და ხელი ჩაპოართვა.

ანასტასია მეტათ ცუდმა ფიქრებმა აიტაცა, ნამეტურ როცა მთვარიან ღამეში მას მოეჩვენა, რომ სარდიონმა ხელის ჩამორთმევის დროს მეტათ ძირს დაიღო თავი. ანასტასიას მოეჩვენა, რომ ის ურცხვი აზნაურის შეილი ჩემ ქალს ხელზე კოცნისო.

ამ დროს იფნიდან რალაც მწუხარების კენესის ხმა ჩამოისმა. ანასტასია კარგს არას მოეულადა ასეთი შემთხვევისაგან.

XVI



გარკინის

მისის დილა იყო. რვეზ ბაკურიძის სახლში ფანჯრებს ზერჯანყის
ჰქონდა ჰრელი აბრეშუმის ფარდები ახდილი. თუმცა გარეთ მზე ძალიან ძალიან
აწეულიყო, ისე რომ სოფლის სადილობა კიდევ დამდგარიყო, მაგრამ როგორც
გარდან რვეზის ჩახურულს სახლს ეტყობოდა, მის ოჯახში თითქოს ზაბიჟორიც
არ იყო; ჯერ კიდევ ყველანი ღამის ნათენი დილის ძილში იყვნენ გარ-
იღლნი.

ამ ჩახურულს და ჩაკეტულს სახლს მხოლოდ რვეზი უვლიდა გარშემო
ერთეულ ბებერ ნაგაზსავეით. მისი დილით ადგომას ვერაინ მოასწრებდა და
ჩვეულებით ჰქონდა ჰრელ აბრეშუმის სამალაჯა ხალათით მეორე სართულის
აფანჯე სეირნობა. ეს აივანი მის სახლს სარტყლათ შემორტყმოდა გარშემო და
რვეზიც ხელში გძელი ჩიბუხით უტრიალებდა თავის სახლს. ცალმხრით ეს
სახლი მდინარეზე იყო ვადამდგარი და მისი მხეილი რვეზის გულთხრობილე-
ბას თითქოს ანელებდა. როცა აივანზე სახლს გარს შემოუვლიდა, არ შეიძლე-
ბოდა, რომ მდინარისკენ არ შეჩერებულყო და არ ვადამდგო თვალი თეთრათ
აქავებულს ტალღებისათვის, რომელნიც თითქოს მზიარულათ ერთმანეთს ენა-
ვარდებოდენ დ: თან ჰქრებოდენ მდინარის ჯურღმულში. მისი ჰრელა-ჰრელა,
კოჭებამდის ჩათარებული ხალათი და ხელში გძელ ტარიანი ჩიბუხი, ყურებზე
ვადარებნილი, ინით შეღებული უღვაშები — ცოცხლათ ხატავდენ აღმოსავლეთის
ნაბობს.

რვეზი დიდხანს უვლიდა გარშემო თავის სახლს, ის იყო ღრმა ფიქრებით
გარემოცული. რას ფიქრობდა ძველი მებატონე? ოო, საფიქრებელი ბევრი ჰქონ-
და მტკოვან მებატონეს. რაღაც ქალაქში ვადმოსახლდა, მის ნამდვილ ბატონო-
ბას და ნებეირათ, მეფურათ ცხოვრებას საუკუნოთ უნდა გამოთხოვებოდა. მას
არც დღე და არც ღამე მოსვენება აღარ ჰქონდა. დღისით მისვლა-მო-
სვლა და ღამით სტუმრები ერთი წუთის მეუდროებას არ აძლევდენ. ის
ახლა შექნილიყო მონა თავის ვამოზდილ ქალის მნებელობისა. სადღა იყო
ის ღრო, როდესაც ის ბაკურიანის სოფელში, ვით თვითმპრობელი ხელმწიფე,
თავის ნაყმეებში მბძანებლობდა: სადღა იყო ახლა მისი მწვეარი — მეძებრები,
მისი ღრატოს კალმახები, მისი დიდებულემა, როცა დღეობაზე იმ კუთხის აზ-
ნაურობა და გლეხობა მხარს უმშვენებდენ და ყველანი მას მოწიწებით ექცეო-
დენ! ახლა თვითონ ის შეიქნა მონა ჩინოენიკობისა და გუბერნატორის, რომელ-
საც, როგორც მას ოდესმე აზნაურები — კერაში ერთხელ ან ორჯელ უნდა ხლე-
ბოდა და მორჩილათ თაყვანი ეცა. ის გრძნობდა, რომ თუმცა მის სახლში სა-
ბედრო აფიკრობა, ინეინრები და სასამართლოს მოხელეები ირეოდენ, მაგრამ
ისე კი არა, როგორც ერთგულ ქვეშევრდომითი გრძნობით ვამსჯეალულნი ფარე-
შები და აზნაურები. არა! თითოეული სამხედრო და სამოქალაქო მოხელე, რო-
მელიც მისი ჰურ-ღეინით იყო ვალადებული, მას რაღაც მედიდურად, მოური-
დებლათ ექცეოდა, თითქოს კიდევ დამცინოდა, მისვე თვალწინ თავისუფლად
ელაზანდრებოდა მის მშვენიერ გულქანს; მას კი თითქოს არც კი არავინ აქ-
ცედა ჯეროვან ყურადღებას, ხშირად ზურგსაც უზდელათ უბრუნებდენ; მისი

დიდკაცური თავმოყვარეობა ძალიან იჩაგრებოდა ამ გარემოებაში. ბოლოს როცა ასეთი ჩაუგდებლობა მეტათ მობეზრდა, ის გულში ნატყობდებოდა. იქნება, ისევე ჩემ ბაკურიანის სოფელში დაებრუნდეთ. ის უცდილად ელოდებოდა ქალის გათხოვებას. მას მოწონდა წარჩინებული გვარის კაცი, გრად ლიზობლიუდოვი, რომელიც ექვი არ იყო, მალე მიიღებდა პოლიკონიკობას და ლენერლობასაც. მას სურდა, მისი საყვარელი გულქან ლიზობლიუდოვის მეუღლეთ გამხდარიყო, რომ შემდეგ დანარჩენი დღენი თავის მოხუცებულობისა ისევე თავის ბაკურიანის სოფელში უწინდელათვე დიდკაცურათ გაეტარებინა. მაგრამ ახლა რის ხედვად? თითქოს მისი გულიდან ამოჰკრილი განზრახვები სულ ქარწყულდებოდა! გულქანი, წარმოიდგინეთ, მისი ერთადერთი სიცოცხლის კავშირი და ნუგეში გულქანი, რალაც მეტათ გაუკმეხებულყო; ამ ბოლოს დროს ის თავის დედ მამის ნებაზე აღარ დადიოდა, ის კი არა, თვითონ რევიაზე და ანასტასია იყვენ გულქანის ახირებული თვითმნებელობის მოჩილნი და თითქმის მის ვალდებულ მონა-მოახლეთ. გულქანს არაფრათ ეპრიანებოდა გრად ლიზობლიუდოვი; ის უფრო ღარიბ, ცალფეხა აზნაურიშვილს, ენუქიძეს ეტრფიანებოდა. ვანა ძველი დიდებული ბაკურიანის გვარის ოჯახზე ვინღაც ენუქიძის ბელარტებს უნდა ენა-ვარდნათ? უწინამოც სიკვდილი რევიაზე ბაკურიანს!

— მე ათასჯერ უფრო ადრე გავწირავ ჩემ გულქანს, ჩემი ხელით დავახ-
ჩობ იმ ჩემ ლეილ ნადებ შვილსა—და ბაკურიანის გვარს ცალფეხა აზნაურ ენუ-
ქიძეზე არ გავცვლი.—გადაწყვიტა გულში ძველმა მებატონემ.

სჯობია, სულაც მოისპოს ჩემი გვარი და ჩემი სახლ-კარი ცეცხლათ ამო-
ბუქოს, ვიდრე იმას მოვესწრებოდე, რომ ენუქიძის ლეკვები დანაგარდობდენ
ჩემ კარ-მიდამოზეო. რევიაზე, ღრმათ შერყეულმა აქ ასეთი ფიქრებით, შეალო
თავის სახლის კარები. დარბაზს დასცემდა წითელ-ყვითელი ფერი შხის სხივე-
ბისა, იმის გამო, რომ ჭრელ ფარდებში შეჭრილიყო დღის სინათლე. დარბაზში
სუფევდა არეულობა, სად მაგიდა იდგა, სად სკამები ეყარენ უწესოთ მიგდებ-
ბულ-მოგდებული. ჯერ კიდევ სიგრძით გაშლილ სუფრაზე ათასნაირი საქ-
მლის ნამცეცები, პაპიროსისა და სიგარის ნამწევები ეყარა. ჩამქრალი ლამპრები
და კანდელაბრები ურიგოთ იყო მათე მიყრილ მოყრილი, დივანზე იჯდა თავ-
გაბურღული ანასტასია დედარიანის ასული კნეინა ბაკურიანისა, რომლის ჩა-
ყვითლებულს და მოხუცებულობით დაქმუქნილს სახეს ღრმა შინაგანი ბრძო-
ლის დაღი ეკრა. ის წამის წამ ხვენეშოდა და ხელებს ახირებულათ შლიდა, თით-
ქოს ტანში კოლინჯის ჭარები უვლიდა.

— ღმერთო ჩემო,—ამზობდა ის,—ამას რას მოვესწირო? რა შავი დღე
დამიდგა! ვანა ამას მოვიფიქრებდი, რომ ჩემი ერთადერთი შვილი, ჩემი გვრიტო
ასე უგვაროთ, ასე უტიფრათ მოიქცეოდა? გამოხარდე შვილი სასწაელებელში!
მე სულ იმაზე ვიყავი გადაწყვედარი, რომ ქალი შინ გავგეზარდა, როგორც შე-
ეფერებოდა ჩვენ ძველ ოჯახს, ღვთის მამში და დაკრძალული ყოფილიყო.
ახლა რა?.. დედ-მამა ჩერათ გაიხადა. ჩენი აღარც პატრივისცემა აქვს, აღარც
მორიდება. რაც უნდა, იმას შერება. სად მოსწარება ჩენი გვარი და ჯილაგი,
მაგან რომ გუშინწინ საქმე ჩაიღინა. ნაშუადღევი გადასული იყო, რომ კარზე

შამადგა. მერე ვინ მოყვებოდა, რომ იცოდე? ღმერთო, შენ დაგვიფარე უარესისაგან, ვილაც წვივ ჩაჩუთრული ენუქიძის შვილი! ბაბუა მავრისი შანოვ ჩემს შეყვინბეთ უდგა. უი ჩემს მოსწრებას, ჩემ შავ დღეს, რანაირათ დამცირდა დიდი ბაკურიძის ოჯახი! ამაზე მეტი გაბახება დიდებული ოჯახის რალა ექნება? მარა ეს ყოველიფერი შენგან გვეპირს, კაცო. რომ გეუბნებოდი, ნუ აუზნევებ მაგ ბავშს, ნუ დღისვი კისერზე, თვარა მამი ჩემის სული ნუ წამიწყვება, ბოლოს ინანებ შეთქი. აი, ესეც იმ-ს ბოლო! შენ არ იყავი, რომ წლინახეერის ძალანა სუფრაზე გვერდით მოისკუბე? როცა გავუწყებოდი, ზოვში შენთან მორბოდა და შენ ასათუთებდი. ახლა რომ გეიზარდა და წინ წავიარა, კინალამ ოჯახიც გავიმუქეკოს, აწი რალას გააწკობ? დაჯექი და აპლაკუნე ყალიონი. ნეტაი შენს გაუბედურებულს ოჯახს!—უსაყვედურებდა ქმარს ანასტასია.

რევან ბაკურიძემ უნებურათ წაივლო ერთ ბუსუსა ქოჩოროში ხელი ღრმა შენანების ნიშნათ და წამოიძახა:—ვამ ჩემს უბედურებას!—მერე მოტრიალდა ანასტასიისკენ და ჰკითხა:

— გვრიტოს ძინავს?

— ძინავს კი არა, თავის ოთახშია თმა გაბურძგვნილი და ხმასაც არა შცემს.

— უბძანე აქაურობა მიალაგონ. შუადღე წამოვიდა და ჩვენ კიდევ ასე მინგრეულ-მონგრეული ვართ. მე წაველ პირს დავიბან, გამოვეწყობი და მერე შე თვითონ მოველაპარაკები. ჩემ სიტყვას ის ვერ გადღევა. ანასტასია ადგა ბძინების გასაცემათ.

-- გოგო შემომიგზანენ, ქალო, ოთახში, პირი დამაბანინოს!—მიაძახა რევანმა, რომელიც ამ დროს შევიდა განის ოთახში.

XVII

წინა ღამეს რევან ბაკურიძეს დიდი წვეულება ჰქონდა. ლბინი და დროს გატარება ნაშუადღევის ორ საათამდის გაგძელდა. გულქან იყო მზიარულების მოთავე, სული და გული ამ პატივობისა, ხოლო სარდიონ ენუქიძე და გრაფი ლიზობლიუდოვი მოქიშპენი გულქანის ტრფიალებისა. მას აქეთ, რაც გულქანმა გრაფ ლიზობლიუდოვზე გული აიყარა, ეს უკანასკნელი ძალიან გაეჭვიანდა, მაგრამ იმ ღამემდის მაინც ვერ გამოერკვია, ვინ იყო ის ბედნიერი, რომელსაც გულქანის უმანკო გული მოეხიბლა, ყველაფერს მოიფიქრებდა და სარდიონზე მაინც ეჭვს ვერ მიიტანდა, რადგან უწინ გაგონილი ჰქონდა, ვითომც სარდიონი ყოფილიყოს მისი მახლობელი ნათესავი. თვითონ აფიცერი ენუქიძეც ისე მოკრძალებით ეჭვოდა საზოგადოებაში გულქანს, რომ იჭვის აღება შეუძლებელი იყო. მხოლოთ ამ საღამოს გამოჩნდა, რომ გულქან მეტათ შინაურულათ და ტრფიალებით ეპყრობოდა სარდიონს. რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ გულქანი აღარ გაყვა გრაფ ლიზობლიუდოვს თამაშში, მუდამ იმის მიზეზს იღებდა რომ სარდიონისაგან ვარ მიწვეულიო.

გრაფ ლიზობლიუდოვმა ამავე საღამოს შეიტყო, სრულებით შემთხვევით, სარდიონი არავითარი ნათესავი არ ყოფილა გულქანისა და მოჰკრა ყური, რომ ვითომც ენუქიძეს სიტყვათა კონდეს ჩამორთმეულია გულქანისთვის. ამ გარემოებამ მეტათ აღელვა გრაფი ლიზობლიუდოვი და მუდამ ეძებდა შემთხვევას, რომ სარდიონი გულქანის თვალში დაემცირობინა. მესამე კადრილის თამაშში მოხდა ისე, რომ გრაფი ლიზობლიუდოვი გულქანთან თამაშობდა და მათ მოპირდაპირეთ შეეჭნა სარდიონ თავის დამით, ბევრს რასმე გულის ჩასახვედრს ელაპარაკებოდა გრაფი გულქანს. მაგრამ ეს გულცივათ ეგებებოდა მის ტრუიალებას. იმან კიდევ მოჰკრა თვალი, რომ გულქან უფრო გრძობით უღამოდა სარდიონს და როცა სარდიონთან შეხვედებოდა გულქანს წრეში ტრიალი, შეეყარებულნი ქალი ბაგე მკინარი თვალს თვალში უყრიდა ენუქიძეს. გრაფი ლიზობლიუდოვი ეჭვისაგან ვაშრა. მის სიფიცებს საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ მეექვსე ფიგურაში, კავალრებმა დამები გაეცალეს და როცა გულქან უკან უნდა დაბრუნებულყო, თავის კავალერთან, ჩეულებრივათ არ ჩქარობდა გრაფ ლიზობლიუდოვის გაყოლას. ამ დროს სარდიონმა და გულქანმა სიყვარულით გაუცინეს ერთმანეთს. შეასწრო თუ არა თვალი ამ შემთხვევას, გრაფ ლიზობლიუდოვი გაეჭანა გულქანისკენ, სიჩქარით წამოიყვანა თავისი დამა უკან თამაშით და სარდიონის გასაგონათ წაილაპარაკა რუსულათ:

— უზრდელი, ფეხშიშველა ქართველი!

სარდიონმა რომ ეს გაიგონა, უცბათ აენთო და პასუხის ვება დააპირა. მაგრამ გულქანმა თვალი უჭნა, ხელი გულზე მიიდვა ნიშნათ იმისა, ვითომც უნდოდა ეთქვა:

— შენი ჭირიმე, სარდიონ, ნურას ეტყვი, დამშვიდდო. ენუქიძემაც სწრაფათ ჩააქრო გულის ჯავრი. გრაფ ლიზობლიუდოვის უზრდელი სიტყვები გულქანს ეკლათ დაესო, მაგრამ არა შეუნიშენინებია რა.

გრაფ ლიზობლიუდოვმა, როგორც თამაშობის მოთავემ, კადრილს შემდეგ დაიძახა „გრანს რიხ“ (საზოგადო წრე გააკეთეთო). ყველანი ჩაებნენ ამ თამაშში, მხოლოთ გულქანმა აღარ ინება გრაფ ლიზობლიუდოვის გაყოლა და ზრდილობიანათ თავი დაუჭრა თავის კავალერს შემდეგი სიტყვებით:

— უკაცრავათ, მეტი აღარ შემიძლია, თამაშობით დავილალო. ამ გეარათვე გამოემშვიდობა სარდიონ ენუქიძეს თავის დამას. გრაფ ლიზობლიუდოვი, თუმცა ძალიან შეუტრაცყოფლათ თვლიდა თავს, მაინც არაფერი დაიჩნია სახზე; როცა შეხედა, რომ ენუქიძის დამაც მარტო, უკავალეროთ დარჩა, უცბა გაეჭანა, თხოვა მას ხელი და განაგრძო მეთაურობა საერთო თამაშში, მაგრამ ამ დროს მან მოჰკრა თვალი, რომ გულქანს სარდიონ ენუქიძე გაჰყვამოტრე ოთახში. მას აქეთ გრაფ ლიზობლიუდოვმა გადაწყვიტა, შეურაცყოფა მიეყენებინა სარდიონ ენუქიძისათვის.

თავად რვეზ ბაგურიძე და ანასტასია დიდ ყურადღებას აძლევდენ საზოგადოებას. იმათ მხოლოთ ერთი სამწუხარო ამბავი წამლადა: ეს იყო გულქანის ქცევა. ამ ღზინზე სარდიონ ენუქიძე თითქოს რაღაც ფრთებ გაშლილი იყო. ის შეეჭნა მეტათ მხიარული. დედ-მამა ცხადათ ნიშნავდა, რომ იმ ღამეს

გულქანის არჩეული კავალერი ამდენს ბრწყინვალე აფიცრობაში მარტო ენუ-
ქმე იყო; ანასტასია ახლა უფრო დარწმუნდა, რომ იმ ლამის განიხილება
გულქანისა სარდიონის მიერ კარგს არას მოასწავებდა. რვეაზიც წინ და წინ
დაეჭვიანებული შერქნა თავის მეუღლისაგან, მით უფრო გაფრთხილებული იყო
და განზრახ ადევნებდა თვალ-ყურს ორ შეყვარებულს.

ვევლაზე უფრო ადრე ანასტასიამ და რვეაზმა შენიშნეს, როცა მესამე
კადრილს შემდეგ გულქანმა გაიყოლია სარდიონ ცალკე ოთახში. ამ დროს
რვეაზი მდივანზე იჯდა და ისე იქცეოდა, თითქოს გართული იყო საერთო
თამაშის ცქერაში; დაანებეს თუ არა თავი გულქანმა და სარდიონმა საერთო
თამაშს, რვეაზ გაემართა სამზადის ოთახისკენ, სადაც ანასტასია გაცოცხლებულ
ტკბილეულობას ამზადებინებდა ლაქიებს თამაშობით გახურებულ სტუმრებისა-
თვის. რვეაზ გავიდა ანასტასიისთან და ხმა მდაბლათ უთბრა თავის მეუღლეს.

— წადი შენ ქალს უპატრონე, შეიტყვე, ცალკე ოთახში რას აკეთებსო.
ანასტასია მაშინვე გაემართა და შევიდა თუ არა თავის ქალის საპირფა-
რეშო ოთახში, შენიშნა, რომ გულქანი და სარდიონ მკლავში მკლავ გაყრილი
ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და ერთთ სარკეში იყურებოდნენ.

— უი ჩემ სიცოცხლეს და ამ ამბოს მომსწრეს! — წამოიძახა ანასტასიამ,
მზღუბე მოგეცა და იქვე საეარძელზე დაეშვა. გულქან მივარდა დედას, მოე-
სიყვარულა. საფეთქლები ოდევალონით დაუხილა და გამოაცოცხლა.

— რაია დედიკო, რა მოგივინა? ხომ კი ნატრობდი ჩემ ბედნიერებას და
აი, ჩემი არჩეული! — მიუთითა სარდიონზე, რომელმაც უცებ მუხლი მოიყარა,
გატაცებით დაუწყო ანასტასიას ხელზე კოცნა და თან ეუბნებოდა.

— ჩემო დედისაგან უტკბილესო დედა, ჩემო მაცოცხლებლო, ჩემო ძვეყ-
ნის დედოფალო და მწყალობელო, თქვენზეა ჩემი სიცოცხლე და სიკვდილი,
ნუ მომიძულებ, ნუ გამწირავ, შემითვისე შეილათ ისე, როგორც გულქანმა
გამზადა მისი ღირსი.

ამისთანა ლაპარაკმა ანასტასია სულ გააბრაზა, ჰკრა ხელი გულზე სარ-
დიონს და ზიზღით შესძახა:

— შორს, შორს, შე აბეზარო, გარყენილო, ჩემი შეილის შემაცდენელო!
ქინამც სიკვდილი ჩემ გულქანს, სანამ ის შენი წერა გახდებოდეს. ახლათ ახლა-
ვე დაიკარგე აქედან, თუარა ეს არის რვეაზს შევატყობინე და ბიჭებით გაეა-
ზრვიენებ შენ თავს. როგორ გაბედდე ცალფეხა აზნაურამ დიდი რვეაზ ბაყური-
ძის ოჯახში შემოპარვა და მის ქალიშვილთან არსიყობა?

— დედა ჩემო, რას გაუგვიებიხარ? — ცხარეთ მიუგო გულქანმა. — მე სარ-
დიონის მეტი ქმარი ღმერთმა ნუ მომცეს და არც მინდა.

— უი შენი დედის გამწირების! შენს ყოლას გველის წიწილი რომ ჩამსა-
ხლდა, ის მირჩვენოდა!

სარდიონმა დაუწყო დამშვიდება გულქანს.

— ჩემო ცხოვრება, დედას ნუ შეაწუხებ, ყოველივე კარგათ იქნება, და
რომ ეგ არ შეწუხდეს და ოჯახში უსიამოვნობა არ მოხდეს, შე ახლავე უნდა
წივიდეო, — თქვა და უცებ გაიღალა ოთახიდან. გულქან გამოედგენა სარდიონს

და აყენებდა, მაგრამ სარდიონმა, როგორც გამოცდილმა კაცმა, დააჯერა თავის სატრფო, რომ მისი იქ დარჩენა აღარ მოხერხდებოდა, რადგან უცხოელთ სანოვადოება შეიტყობდა ამ ამბავს, შესაძლებელი იყო რევოლუციური კომისიის დაკავშირება მოსელოდა, ტყვეყანა აყაყანდებოდა, უარეს რასმე იფიქრებდა და სჯობს გვილალოვო.

ამ დროს ანასტასია სენწეოდა და ხელებს იმტვრევდა მწუხარებისაგან. ბოლოს, რაკი სარდიონ ენუქიძე აღარ იყო, გული დაიმშვიდა, წამოდგა მწუხარებით, სახე დაღრეჯილი და შევიდა სათამაშო დარბაზში. მუზიკა აღარ უყრავდა და ქალ-ვაჭნი დიდი მადით შეექცეოდნენ გასაგრილებელ ტუბილფულობას. გულქანმა იმდენი დარბაისლობა იხმარა, რომ ეს უსიამოვნო შემთხვევა სახეზე არ დაუჩენია. ის ცდილობდა თავის ტოლებში გართულიყო. ანასტასია მალე გაქრა სათამაშო დარბაზიდან ვითომ იმ ანგარიშით, რომ როგორც დიასახლისი, განკარგულების ვახდენო, მაგრამ უფრო რევანის საძებრათ, რომელიც, მონახა თუ არა, შეიყვანა თავის ოთახში და ნახევარი საათი იქ დაჰყევს ორივემ ცხარე ლაპარაკში.

გრაფი ლიზობლიუდოვი მესამე კადრილს შემდეგ აღარ თამაშობდა, თუმცა მისი მოტრუიალე ახალგაზდა ქალები ბევრს უსაყვედურებდნენ, უთქვენოთ მზიარულებას ელფერი არა აქვსო. ორჯელ სამჯელ გულქანიც კი მივიდა სათხოვნელათ, მოთამაშეთა გუნდი გაემზიარულებინა მეთაურობით, მაგრამ გრაფმა გულცივად მოახსენა, დავილაღე, თავი მტკვა და ველარ ვითამაშებო. ის შევიდა იმ ოთახში, სადაც „მაკაო“ იყო გამართული და თავის ხვედრი პარტია დაიჭირა.

როდესაც ვახშმათ ჯდებოდნენ, გულქანმა განზრახ დაუწყო გრაფ ლიზობლიუდოვის სეირნობაზე ლაპარაკი და წინადადება მისცა, ამ დღეებში მე და ჩემი ანხანაგი ქალი მივედივართ სასეირნოთ ქალაქ გარეთ ცხენებით და გთხოვთ, კავალკადაში თქვენც მიილოთ მონაწილებაო. ასეთმა ქცევამ გულქანისამ გრაფ ლიზობლიუდოვის გული მოუბრუნა, სახე გადაეფერა და ისევე უწინდელათ დაუწყო გულქანს ტრფილება. ბოლოს მან თხოვა გულქანს მკლავი და მათი წინამძღვრობით სტუმრებიც მივიდნენ სუფრაზე დასაჯდომათ. ვახშამზე გრაფ ლიზობლიუდოვი სრულად გამზიარულდა და მხოლოთ ასლა მოაგონდა, რომ სარდიონ ენუქიძე იქ აღარ იყო. ის მოუბრუნდა გულქანს და ჰკითხა ცნობის მოყვარობით:

- სარდიონ სად არის?
- რაღაც უქეიფოთ გახდა და შინ წავიდა, — უპასუხა გულქანმა.
- ვაი თუ გულის ჭიღება მოუვიდაო! — გადაჰკრა სიტყვა გრაფ ლიზობლიუდოვმა.
- გასათუთებელი ქალი ხომ არ არის, რომ გულის ფრიალი მოსელოდეს?
- ჰო, უკაცრავათ, მე დამავიწყდა კიდევ, რომ ის თქვენი ახლო ნათესავია და ეჭმავებით.

გულქანი ამ შენიშვნაზე აფიცხდა და სახეზე სიწითლე მოერია. გრაფ ლიზობლიუდოვმა თვალის შეასწრო და ეშმაკურათ გაიღიმა.

— თქვენ რაღაც კბილი ჩაასვეთ სარდიონ ენუქიძეს. — ცოტა ხანს იქით წინიწნა გულქანმა.

— კბილი კი არა, სხვა უფრო მწარე იარაღიც არ მონებდეს მას ჩემგან, მე ამის მეფიქრება, — ვითამ ზუმრობით გაუტარა გრაფმა.

— რათი დამისახურა თქვენი ასეთი რისხვა? — ჰკითხა დაციწვით გულქანმა.

— მითი, რომ თქვენი მამიდაშვილია და მფარველობას უწევთ. მე კი მინდა, რომ თქვენი ყურადღება მარტოთ მარტო ჩემზე იყოს მოქცეული.

— არ შესმის, რას ლაპარაკობთ! — გაჯავრებით უთხრა გულქანმა.

— ნუ თუ აქამდის ვერ მიმხედარბართ, რომ ჩემი გული ვერ ითმენს, როცა თქვენ ვისმე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ, თუნდ რომ ის მამიდაშვილიც იყოს! ჩემთვის კიდევ ის უფრო საწყენია, რომ მამიდაშვილის ქერკში ვიღაც ყვავი გახვეულა, რომ ჩხიკვს ბუდიდან კვერცხები ამოაცალოს.

— მე თქვენ არ გაძლევთ ნებას, მაგისთანა არაკებით შელაპარაკოთ. — უპასუხა გულქანმა და ხმა ამალღებით გულქანმა.

— ჩანს მართალი მითქვამს, რადგან ეგრე ცხარობთ. ნათქვამია, მართლის მოქმედს ცხენი შეკმაზული უნდა ჰყავდესო.

— გაიგეთ, სარდიონზე ცუდის ლაპარაკის ნებას არ გაძლევთ.

— ოჰო! მე როგორც ვხედავ, მამიდაშვილს თქვენ გულში უფრო ღრმა ადგილი დაუჭერია, ვიდრე თვით ღვიძლ ძმასაც!

— თუ არ დაანებებთ თავს მაგისთანების ლაპარაკს, მე იძულებული ვიქნები ავდგე ჩემ ალაგიდან.

გულქანმა ისე ხმა მალა წარმოსთქვა ეს სიტყვები, რომ უნებლიეთ მიიჭტია სხეების ყურადღება. ქალ-ვაჭებმა, რომლებიც მათ გვერდით და პირდაპირ იჯდნენ, ეშმაკურათ გადახედეს ერთმანეთს.

გრაფ ლიზობლიუდოვი გაფითრდა ამ სიტყვებზე და უცებ ხმა ჩაქმინდა. ამ დროს საზოგადოებამ დალია გულქანის სადღეგრძელო. გაისმა მრავალხმიანობის ხმა, რომელმაც თითქოს ჩააფუჩუნა ეს უსიამოვნო ლაპარაკი.

რევაზ ბაკურიძე იმ ლამეს სუფრაზე არ დამჯდარა. ის განკარგულებას აძლევდა ლაქიებს, რომ სტუმრებისათვის თავ-თავის დროზე მიერთმიით საქმელები და სასმელები. ამის გამო ის ხშირათ უვლიდა გარს სუფრას, რომ არაეის დაეკლებოდა რა. როგორც კი ყური მოჰკრა გულქანისა და გრაფ ლიზობლიუდოვის უსიამოვნო ლაპარაკს, მაშინვე მიუახლოვდა და იმით გაუგებრათ მიუყურა. მას გულზე მოხვდა მათი კინკლაობა და ჯავრისაგან კბილები გააკრაქუნა. როგორც სტუმრები სუფრიდან ადგნენ, მაშინვე მუხიკა დააკვრეინეს. მოთამაშეებმა კვლავ მოითხოვეს ნაფხაშმევს თამაში. ყველას ეგონა, გრაფ ლიზობლიუდოვი ჩვეულებრივით მიიღებდა მეთაურობას მაზურკაში, მაგრამ ის მოწყენილი დაჯდა სკამზე კუთხეში და ვაბუტული იყო. გულქანმაც მოიკავთმყოფა თავი და წავიდა თავის ოთახში. ამის გამო საზოგადოებას რაღაც ხალისი დაეკარგა მზიარულეობისა და დაიწყო წასვლა წამოსვლა.

სხვებთან გრაფ ლიზობლიუდოვიც ქუდი აიღო და მივიდა მასპინძლებთან გამოსათხოვრათ შემდეგი სიტყვებით:

— დიდათ უკაცრავათ გახლავართ, რომ მე თუმცა ბევრი ვეცადე თქვენ ოჯახში მოლხენას, მაგრამ ვერ მოვახერხე. სწორე მოვახსენებდი—მე მსურდა თქვენ ოჯახში შინაურულათ მეგობრო თავი, მაგრამ სამწუხარადაა! ხსენებდი ქალის ყურადღება ვერ დავიმსახურე; არა მეშველა რა, მისი გული ვერ მოვიგე. ამისთვის მშვიდობით ბრძანდებოდეთ, რომ უსიამოვნობა არა მივყენო რა თქვენს შვენეერ გულქანს. მეტი ღონე არ მაქვს, ფეხი უნდა ამოვიკვეთო, თუმცა ეს ჩემთვის აუტანელი ტანჯვა იქნება.

— რას ბრძანებთ?—უპასუხა რევაზმა და ორივე მისი ხელები ხელში ჩაიღვია.—განა არ იცით, გულქან ჯერ კიდევ ახალგაზდაა და გულ აჩქარებული. იმედი მაქვს, ყოველივე კეთილათ ვათავებება და გთხოვთ ჩვეულებრივათ მობძანდებოდეთ ხოლმე. დააწმუნებული ვარ, რომ თქვენისთანა ძვირფასი სტუმარი ოჯახში მეორე არ არის. ჩემი სახლი თქვენთვის ყოველთვის კარ ვალეებულია.

— ვმადლობთ დაფასებისათვის.—გულცივით მიუგო გრაფ ლიხობლიუ-ლოვმა და წავიდა.

რევაზ ბაქურიძე ჯაერისაგან აღარ იყო, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ის შამოტრიილდა დარბაზში და მრისხანეთ დაიძაბა:

— ანასტასია, ახლავე აქ მომგვარე გულქან, მე იმას ვაჩვენებ, როგორც უნდა დედ-მამის უბატოცელობა და სტუმრის შეურაცყოფა.

ანასტასია მიიგება სიყვარულით თავის მეუღლეს და დაუწყო დამშვიდება.

— კეკო, არც აგრე ვარგა ვაფიცება, განა არ იცო, გვრიტო რა უკმეხია! იმას ხომ სულ სხვანაირათ უნდა მოქცევა. ეს სულ იმ საძაგელი ცალფეხა აზნაურას ბრალია. მეორეთ რომ მოვიდეს, პანლურის ცემით უნდა ვავადებინო სახლიდან. საწყალი ბავში მოაჯადოვა, გული გადუბრუნა იმ არაწმინდამ.

— დამაცალოს! მე იმას ვაჩვენებ სერის, იმ მეჯინიბეს შვილს, იმას! ეგ არ იყო, ჩინები რომ დალაღობით იშოვნა ცხუმში? თვარა მაგას კაპიტნობას ვინ აღირსებდა, მაგ მუქიყის შვილს, მაგასო.—ცხარობდა რევაზი.

— ვაი ჩემ სიბერის განწარებას!.. რას მოვესწარი?.. ვინ ენუქიძე და ვინ დიდი რევაზ ბაქურიძის ოჯახი!

იცხადებდა ანასტასია.

— სად არის გულქან? მოვიდეს აქ ჩემთან.—ველავ ბძანა რევაზმა.

— გნაცვალე, არა ბჰადრო რა, თვარა უარესია.—დალყავა კმარს ანასტასიამ.—თუ სიყვარულით და გულმომბიერათ მოექცევი, ყველაფერს გაგიგონებს. ხომ იცო, როგორ უყვარხარ და რა ნებიერათ მყავს შენი ქალი გაზდილი. ახლა დრო აღარ არის, ბოვში გაზდილია და თავის ოთახში სიძინავს. მაინც აგერ აგერ ვათენდება, მოსამსახურეები დეიხოცენ ჯაფით. წავიდეთ მოსასვენებლათ. ეს ასე მიყრილ-მოყრილი დაეტოვოთ ყველაფერი ზეალამდის. ზეალ დილთ გამოვალავებინებ და დავაწმენდინებ ყველაფერს. წავიდეთ ახლა, გნაცვალე, მოვიხვენოთ. შენც ხომ დაღლილი ხარ.

რევაზს აღარა უთქვამს რა მეტი, აილო-ჩიბუხა, გააკეთა და გავიდა ბიჯანზე—ბოლის გამოსასვებათ.



ს ს ს ს

(გაგრძელება*)

დღე-ღამის შეცვლა გუშინდელს განსაკუთრებული უგალობა. გაზაფხულმა ბაღში მბრწყინავი ზოლები გააბა მოლზე, ფუტყარი პირველ ყვავილს გულში მწვავად ჩაეკრა, პეპელამაც მის მშენებას ფრთების რხევით თავისი სილამაზე შეართა. გაზაფხულის პერკმა სალის დაყურუსებულ გულშიაც იმედები გააღვიძა. თუმცა სოფლისაყენ გაგზავნილი წერილის პასუხი დღესაც არ ჩანდა, მაგრამ პატარა ქალი წინანდებურად აღარ ღონდებოდა. თანდათან კიდევაც რწმუნდებოდა, რომ ალბად ამის წერილს დანიშნულ ადვილამდე ვერ მიეხწია, ავონდებოდა გაგზავნის დროს რა აღუღებელი გაიპარა, ეზოდან ქუჩაში ფოშტის ყუთის საქმბნელად. ისიც კარგა მანძილის სიშორეზე ძლიევას იპოვა, ბუნდად ახსოვს რა ადგილს და როგორ ჩაავდო.

ვინ იცის, იქნება, იქაც არა, სადაც საჭირო იყო და დაკარგულიყო?..

მაგრამ ამ ოჯახში მისი შინაარსის გახშიანებას დიდი შედეგები მოჰყოლოდა, ამ შედეგებს სალი ზოგს გრძნობდა, ზოგს ვერა...

მასპინძლები სალის არამც თუ საყვედურს უცხადებდნენ, პირიქით უფრო თავაზიანად ეპყრობოდნენ და კვების მზრვიაც გარემოება გაეუმჯობესებინათ, თუმცა დღევანდელის ანგარიშის უკამი წინანდელს არ აღენატებოდა, რადგან ლიზიკა ავადმყოფობისა გამო სრულებით აღარ მიდიოდა ამათსა და მისი ხვედრი ყაზრდო დანარჩენებს რჩებოდათ.

მასპინძლებს ამისი შესრულება გაადვილებოდათ რადგან დარიკო როგორც ოველთვის მათი მასიამოვნებელი, სასურველად მიაჩნდათ: სალი კი თვალში ეკლად, რომლისთვისაც ნებაუნებლიედ უნდა თავზე ხელი ესვით როგორც დაუნდობელ უკულმართ ქმნილებისთვის, რომ კვლავ არსაიდან არ ეკბინა. ბავშვების აქ ყოფნის უმთავრესი მიზანი სწავლა არამცთუ წინანდებურად ისევე უნუგეშო მდგომარეობაში რჩებოდა, ეხლა უფრო ნაკლებად ფიქრობდნენ მახე.

ანია მთლად შეცვლილიყო აგაფისთან ერთად: ოთახში ხშირად იკეტებოდა, აღუღებელი რაღასაც ეჭურჩულებოდა, მის გულზე თავმბიდებული კიდევაც კვითინებდა...

არამც თუ სახლში, ბავშვებისკენ აღარ იხედებოდა, კარშიაც, ხშირად გაკვითილებს უშვებდა და ხულის მოსათქმელ კუთხეს ველარ პოულობდა.

*) იბ. ეერნ. „მნათობი“ № 7.

ბავშვების მეცადინეობის ვითარება ანდრეი პავლოვიჩის, როგორც პირველ-შივე ანთის გამოუცხადა, რაკი წერილშიანად მიიჩნდა, მასში ქაჩუქეანთაყის დამკირებად, მას აქეთ ეჭვადაც არ მოსდიოდა თავში, რომ ამ ბრძანებში/შეწყვეტს თავის დროზე წესიერად შესრულებულს არ ჩაიბარებდა, როგორც სწევოდა მას. გარდა ამისა არც იმდენი მოცალეობა ჰქონდა და ამის გამო ხშირად გარედან მოსულთაც ცივად უკან აბრუნებდა, შინ მყოფებს ხომ მარტო დილით ჩაიხე და სადილის დროს თუ ხვდებოდა, შემდეგ საღამოს რვა საათამდე იძინებდა, რვა საათიდან ღამის სამამდე მიდიოდა იქ, სადაც ებრიანებოდა და ამაში არც არავის ანგარიშს აძლევდა. ანდრეი პავლოვიჩს აგრეთვე ეჯავრებოდა, როდესაც მის ოჯახში მომეტებული ფეხი იარებოდა, უსაქმოს და ცალიერის ვისიმეს შემოსვლა, ამის აზრით მისპინძლებსთვის მეტის დროს დაკარგვა და მუქთახორის ამაოდ პირის ამომსება იქნებოდა, მისი სამუდამოდ ზურგზე მეტ ბარგად აკიდება და რომ ეს უსიამოვნო მოვლენები ერთხელეე და სამუდამოდ თავიდან აცილებინა, კურგუზოვების სახლის კარი ყოველთვის მაგრად დაკეტილი იყო. ეს დადგენილება, შინაურ-გარეულებისათვის ძველის ძველ უბსოვარ დროიდან ძალაში იყო შესული და იმისი გვერდის ამხევეი დაუსჯელად არ გადაურჩებოდა, თუმცა ამ დადგენილებას მკირედი შენიშვნაც თან ახლდა და მისი ძალით მიიღებოდნენ შემდეგნი პირნი: მასწავლებელი ზახარი პაატოვიჩი, თუმცა ტომით ქართველი, მაგრამ რაც შეიძლებოდა ცდილობდა ქართველობა ნაკლებად გამოეჩინა და მით ხანგრძლივად შეენარჩუნებინა ის თბილი სამსახური გიმნაზიაში, სადაც ანდრეი პავლოვიჩის მეოხებით მოთავსებულყო, თუმცა ჯამაგირის ორი მესამედი ისევე კურგუზოვისკენ ბრუნდებოდა სმაქამისა და ოთახის ქირაში, ნახევარზე მშვიერი რჩებოდა. მაგრამ ითმენდა, უადგილოდ დარჩენის შიშის გამო. მოლოხანი როგორც ავადიასთან შემტებარი, საყდრებში მასთან ერთად მოსიარულე და ამათ ოჯახში სარწმუნოების განმატკიცებელი. ვალოდიას მამა, როგორც ნამოსამსახურალი, ნიკით და შრომით ცხოვრებასთან მეტრძოლი, ამისთანავე მისივე თანამემამულე ყველას ავალბდა ანდრეი პავლოვიჩს უსათუოდ საშველად ხელი გაეწვდინა. გარემოშვილები, მრავალნი მისთანანი და თვით კურგუზოვსაც ვერ წარმოედგინა თავისი თავი უამათოდ სახლში მყოფები მეტად შეშფოთებულები იყვნენ, იმ საშინელების წარმოდგენით, თუ ანდრეი პავლოვიჩის ყურამდე მიალწევდა სალის წერილის შინაარსი.. დღითი დღე ელოდებოდნენ მისგან თავზე დაცემულ მებს, რომელიც იმიზნებოდა ჟფრო ანთასკენ. ყოველ ზარის დარეკაზე აწრიალდებოდნენ და კარების დირედან უჭკერტდნენ ახლად მოსულს. თითქო ჯიბრზე ბოლოხანებში ოთარმა და ვერიკომ მოუბშიორეს ამათთან სიარული, მაგრამ იქ ანთას სახსენებელი ჰქრებოდა.

ანდრეი პავლოვიჩიც მათ ისევე ღირსეულად ხვდებოდა. ვერიკოს თუმცა სჯეროდა ბავშვები მართლები იყვნენ წუწუნში, რომ აქ თავს ცუდადა გრძნობდნენ, მაგრამ საკუთარის სურვილებით გალიცლიცებული გული განზე სტოვებდა დების ჩვილს და პირიქით, კურგუზოვების ბათთან ასეთ კანდიერ ქცევიდან გამოჰყავდა შემდეგი დასკვნა, რომ ალბად ბავშვებიც მეტის ღირსნი არ იყვნენ, რადგანაც ესენივე ვერიკოს ასე მოწიწებით ხვდებოდნენ და შაქარლამებით გულ-

უხვად უმასპინძლებოდნენ... ანდრეი პავლოვიჩი და ოთარიც კი პირველად შეხედრახე თითქო ბავშვების არსებობასაც იფიქრებდნენ. პირველი მკვრივი კურს იყრუებდა, მეორესაც უშინოდა მათზე შეკითხვით, ანდრეი პავლოვიჩთან უნდობრობა არ გამოიჩინა.

ანდრეი პავლოვიჩი ცხადად ხედავდა, ეს თავმოყვარე მძლავრი თავადი მის წინაშე თავს როგორ ხაიდა, და ამ წარმოდგენით თავის თავს ძლევამოსილებით მოსავედა სწორედ იმ დროს, როდესაც ავაფია და მისი შვილები, რასაკვირველია ანიას გამოკლებით შეშინებულის, გადიდებულის თვალებით ნახევრადაც ვერა ხატავდნენ თავიანთ ელდას, როდესაც მიჩერებოდნენ შიგ პირში ოთარს და ელოდებოდნენ, საცაა მისგან გამჟღავნდებოდა ის საბედისწერო საშინელება, რომელსაც დღემდის მალავ-ჩქმალავდნენ, მაგრამ ეს მოსალოდნელი თითქო გაწვალებით დასციინოდა საიდუმლოებით მოცულ სიშორეზე გამდგარ სხეულში სისხლის გამაყინავად საიდგანაც ხარხარებდა სწორედ იმ დროს, როდესაც სალი დამშვიდებული იდგა მათ წინ და იღიმებოდა.

პატარა ქალის გული წინანდებურად აღარ იყო ცივი. მუდამ მოჩხუბარი მისი გუნება დაწუნარებულიყო. ამ ცვლილების მიზეზი გამხდარიყო ვალოდია, რომელიც გამამხნეველად მოეღწეოდა და დანარჩენებს ისე მწვევად აღარა გრძნობდა, არად ავდებდა. თითქო გარემოებაც ხელს უწყობდა თავისუფლად შეხვედროდნენ ერთმანეთს, მეტ ნაწილად ბაღში.

* * *

ერთხელ ვალოდია მზიარულის ლილინით ცალიერ ადგილს ბარს ურტყამდა, რომ უფერულად დარჩენილი ყვავილ-ბოსტნეულობით მოერთო... იქვე გვერდით უდგა სალი, სამუშაო რკინის იარაღებს ხელში უმარჯვებდა, შემდეგ ხელის ფრჩხილებით ნაბარს ფხოვნინდა, სიმინდის მარცვლები კვლებში ჩაერთებინა. სალის ახსოვდა სიმინდის ღერო ამაყად წელგაშლილი, ზეაწეული, ლელვებიანი. მოგრძო შევართების მსგავსი ვიწროდ წალბებული ფოთლები აქეთიქით, როგორ ფართოდ გადაეშვებოდნენ და ძაბრებსავით ნორჩად ამოშლილ პაწია ამახანაგებს დასრულებულის მოელვარე შლილით ზედ დაეკონებოდნენ, თვითონაც ერთერთ შლილში ყვითელ აბრეშუმსავით ქოჩორა ნასაბი პირშო მწვანე შესახვევით გულზე მიპკროდა. სიმინდის ღეროს მწვერვალზე მოყვითანო ქოჩორი დაყოფილ მართოლავ ღეროებზე ოდნავად დაკიდებულ კილიტებს არხედა. სალის თვალში შეუღარებელი ლამაზი, მრავალფეროვანებით აღსავსე იყო ეს მცენარე.

— ვალოდი, აი აქ თქვენ ნაბარ ადგილზე მეცა ვფლავ სიმინდს. არ დაგაიწყდეთ, თუ ვინიცობაა ამათ გალანების დროს აქ არ ვიყვე, გახსოვდეთ, რომ თქვენს ნაშრომში მეც წილი მიდევს...

წარმოსთქვა სალიმ, რომელსაც მხრებზე გადაყრილი ხუჭუტები შეერხა.

— თქვენ ისევ იმ დაინებას ადგიხართ, რომ ვაგზავნილი წერილი გამოიწვევს ფერიებს და ვადაზე ადრე გაფრინდებით?... არა, სალი, როგორც ყოველთვის მითქვამს ებლაც გიარჩევთ თავი დაანებოთ უიმედო მოლოდინს და ეს ზაფხულიც დამშვიდებით აქ გაატაროთ, უპასუხა ვალოდიამ და ორივე ხელებით თოხის ტარს დაებჯინა, ნიკაპი ზედ დააყრდნო და სალის შუბლქვეშ გამოხედა.

სალი თაეულღებლად იბღუნებოდა კვლებში, და ხელის თითებით მიწაში მარცვლებს ღრმად უტარებდა. მაგრამ ვალოდიას პასუხზე უცხად წყვეტდა წინაშე და შეხედა. სალის მოეჩვენა თითქო მის წინ უდგა ბესოაანის აღკვეთისასტრისავე მოქანცულის სახით და გულუბრყვილო ღიმილით. სალიმ თვალი შემოაქვლო დიდ მანძილზე გაჭიმულ ბაღს, სახეიმიოდ ჰომზადებულს და ბავშვის თვალთა ხედვას მსწრაფლ წინ გადაეწალა სოფელი მინდვრებით, მოსმა ოროველა...

— რას მომაჩერდით?.. არა გვერათ ჩემი სიტყვები?.. ან რა გინდათ სოფელში?.. გორჩენიათ ისევე აქ დარჩეთ და იმეცადინოთ, რომ შემოდგომაზე სასწავლებელში შეგვიდეთ...

მოსმა კვლად სალის და მის წინ ლანდი გაჭრა, წამოადგა ისევე სინამდვილე, თუმცა ლანდთან დაკავშირებული. სალი უყურებდა ვალოდიას, ამას აღარ დაუყვირებოდა, თუ სოფელში ეტყოდა ლექსა:

— იცი, სალი, ვინა ვარ? მე ვარ ის ლაღო, რომელსაც დედაჩემი მეძახის, ვალოდიას ნახევარი, და რავედნადაც ეს ნახევარი სალის ძხარებდა, ანდამატსავით თაეისკენ იზიდავდა, იმდენად მეორე სახე ქალაქისგან ვალოდიად მონათლული, თუმცა კურგუზოვებსაც ეთვისებოდა, მაგრამ იმავე დროს თაეისკენაც იმდენ თვისებურობას იტოვებდა, რომ გაოცებული სალი თაეისდაუნებურად განზე რჩებოდა და მისკენ მისაივალს ისევე ეძებდა.

ვალოდიას წინადადებაზე სალიმ ჯერ გაიკისკისა, შემდეგ გატალახიანებული ხელები წაიღო მისკენ.

— რა მიბრძანეთ, ბატონო ვლადიმერ? გაიმეორეთ!..

სალის კილო დამცინავი იყო, მიუხალოვდა, უნდოდა ვალოდიასთვის ხემრობით ლოყაზე ტალახი მოეცხო, მაგრამ ვალოდიამ ხელი ხელს მიიშველა, თავიდან აიცილა და სკამზე ჩამოჯდა. სალიმაც მის მიბაძა...

ორივენი კარგა ხანს ხმას ვერ იღებდნენ და სიჩუმე რაც უფრო გრძელდებოდა, მათი მდგომარეობა უხერხული ხდებოდა და ერთმანეთის უკმაყოფილონიც რჩებოდნენ, ბოლოს ეს უსიამოვნო სიჩუმე ისევე სალიმ დაარღვია.

— მაშ თქვენ მირჩეეთ ამ ზაფხულსაც აქ დავრჩე, როდესაც მანვედ ფიჭვიც კი მაშინებს?..

სალის ხმა მოკრძალებული იყო, მაგრამ წუთის სახე შეეცვალა, ზეზე წამოდგა იქვე წყლის ნაგუბარში მწვირიანი ხელები გაიბანა, ცხვირსაბოცით შემშრალებული ვალოდიას ფრთხილად მზარზე შეახო და გაღიმულმა სათვალეებიდან ვედრებით გამოხვდა...

— ვალოდი, მე ეხლა სრულიად ახალი გამოსავალი გამოგძებნე. თქვენი სადგური ჩვენსაზე თუმცა ბევრით ჩამოდაღმია, მაინც ერთი გზა გვაქვს... როდესაც საზაფხულად წახვალთ თქვენ სოფლისკენ, მეც თან გამოგყვებით, რადგან მარტოდ საარულისა მეშინიან, და იმის იქით კი რაკი ცოტალა მანძილი დარჩება უფრო ადვილად გაეჩნდები ჩემს ბინაზე...

— ანდრეი პავლოვიჩს?! რალა პასუხს აძლევთ?.. გგონიათ ვაგიშვათ?..

— იმას ვინა კითხავს?! მე იმისი ძღვენში მოყოლილი ქათამი არა ვარ, გალიაში გამოიმამწყვდიოს?..

სალიმ ხელეები ერთმანეთს გადააქვო, კისერზე შემოიწყყო შეხედვის სხივებით აღესილ ცის სივრცეს და ეინ მორეულის გაერთიანებულ მსახივრებს

— ოოხ, რა კარგი იქნება ეხლა სოფელი!..

შემდეგ ზურკი მიიყუდა იქვე მდგარ კვიპაროზს და მალე სხეული ვეღარ იგრძნო. სალის გაბმული ერთგვარი თანაბარი ჩურჩული ვალოდიას ესმოდა როგორც მდინარის პაწია ტოტის ჩქერა და ისეც ამის არსებაში ატეხილი დუღილი გაურკვეველის განცდებისა, ამ ჯადოსნურ ფრთების მონაქროლ ჩურჩულში უფრო და უფრო ზვირთდებოდა, მის ზედაპირზე მოცურავ ნავში სალისთან ერთად ნება ნებისად ასად ირხეოდა და ორ ქორფა არსების ერთად ხმა შეწყობილ ჰიმნს ბალიც გაწამებით უსმენდა.

— თურმე ეხლა სწორედ ის დრო იყო, როდესაც ზამთრის წყალობით ბოსლებში ნაბამი მუხლ დახუთული, ძვალტყავად ნაქცევი მუშა საქონელი, ფეხების ბლანდვით სახნავზე მიიბოტებოდა და მოდუნებულის ძალის წეკრებით გუთან მიინც ბოლომდე გაჰკავდა... გუთნის დედათ ვალოდიას დედის ძმაც იყო, მისი დედა ფეჟე დაგლეჯილი კაბის კალთა აკეცილი მხარზე ხურჯინ აკიდებულ ქალებში ჩარეულიყო და ჯერის მისატანად სახნავისკენ მიმავალ ბილიკს დასდგომოდა... ვენახის ლობეებთან სხვა ქალებიც ძეძვებში ძვრებოდნენ, ნაცარქათამას, ჯინჯარს ეძებდნენ... ლადი, სუბუჭი, კიდით კიდემდე თავისუფალი ჰაერი დრო და დრო მარტო ფრინველთა ფრთების რხევით ისერებოდა... სოვლის უფროსებს უმცროსებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ, ვალოდია და სალიც მათში გარეულები სოფლის ენაზე თავისუფლად მოლაპარაკენი ტოლებს ელაბუცებოდნენ და მათთან ერთად უზრუნველად ხარხარებდნენ... მაგრამ აქ ჰიმნი უეცრად შეწყდა, მოისმა ქვითინი...

— და მეკი აქ... ტყვესავით... დამწყვედული?

ნაწყვეტ ნაწყვეტად ირკვევოდა სალის ქვითინსა და სლოკინში...

— დამშვიდდით, სალი, აქ თქვენ მარტო არა ხართ, მეც თქვენთანა ვარ და, როდესაც საზოგადოებრივ დაგვიანებენ, უსაოუოდ ერთად წაველთ... მე თვითონ მიგაცილებთ ბინამდე... შესძახა აღფრთოვანებულის ხმით ვალოდიამ და სალის სახიდან ორივე ხელეები ჩამოუშალა... ვალოდიას თვალებში იხატებოდა მძლავრი, ახირებული თვითნებობა, მაგრამ სალის ხელში მაინც შეთროვლდა ამისი ხელი, როდესაც გამოჩნდა მათკენ მომავალი გლეხიკი დაღვრემილის სახით, თავ ჩალუნული, ხელში წიგნით.

* * *

თუმცა ვალოდია და სალი უფრო დამეგობრდნენ, მათ თანაგრძნობას მაინც, ჩრდილსავით, აედევნა ურთიერთისადმი გაოცება და რიდი, რაც ორივეს დრო და დრო აკრთობდა.

სასწავლებელში უნიჭიერესად ცნობილი ყმაწვილი, მოსწავლე ქალებისგანაც დიდის პატივით მიღებული უფრო განსაკუთრებულის სურვილით იხედებოდა ამ მეშფოთარ თავის ნება გოგოსკენ, რომელიც მოურიდებლად და გაბედვით გმობდა, როგორც ანდრეი პავლოვის, ისე მის სახლობას.

ამ მეტად მწვავე საკითხს ვალოდია ფრთხილ სინუმეში, ან სიტყვის ბანზე აგდებით აფუჭებდა. სალი კი ასეთ საქციელს ყმაწვილის სწინდარს იწერდა.

ვალოდიას კურგუზოვები სალიზე ადრე ეცნო; მათ სუსტ მზარეებსაც კარგად ხელავდა და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ლმობიერებით მისდგომოდა სუსტი მზარეები ძირითადის საფუძვლებით გაესამართლებინა, მაგრამ რაკი ამ გულმოდგინე ჩბრეკა-ძიების შემდეგაც ხელში რჩებოდა ისევე მღვრიე დურდლი, დაღონებული ჩუმდებოდა... ამან იცოდა ანდრეი პავლოვიჩი რომ არ გასჩენოდა გიმნაზიას სიზმარშიაც ვერ ნახავდა, სოფელში დარჩებოდა მენახირედ, ვისაც ყოველთვის ალტაცებით იხსენიებდა სალი, ყველა მდიდრის შვილები გზას უქცევდნენ, ადამიანად არა სცნობდნენ... ვალოდიას სალის ასეთ საქციელზე კითხვითი ნიშანს გვერდით კიდევ რამდენიმე განცვიფრებითი ნიშნებსაც უწერდა მრავალ წერტილებს გათავებით და ვერ ამჩნევდა თუ მის მიმართ სალიც ასევე იქცეოდა. როდესაც სწავლისგან გაღვივებულ-გაღონიერებული ვალოდიას მადამილილი გონება, სათანადო სურვილებით გამტკბარი გული ძველ ვაწრო კალაპოტში ვეღარ ეტეოდა და მისგან შეტეული ზვირთები გაქანებით თავს ევლებოდნენ იმ ოცნებას, თუ ორი წლის შემდეგ, გიმნაზია გათავებული ანდრეი პავლოვიჩისვე დახმარებით როგორ გაჰკრავდა რუსეთისკენ უმაღლეს სასწავლებელში ინჟინერ მექანიკოსის ნაწილზე... ამ უკვე მტკიცედ შეზღუდვებულ გიმნაზი დიდი მონაწილენი იყვნენ როგორც ვალოდიას მამა ვასილი, ისე თვითონ კურგუზოვიც და, როდესაც ვასილი კურგუზოვებთან ყოველთვის ძღვენით დატვირთული მოდიოდა, შვილს აგონებდა რაც შეიძლებოდა ანდრეი პავლოვიჩის თვალწარბში მაცქერალი ყოფილიყო.

ეს შთაგონება ხდებოდა ისეთისავე სუსხიანის კილოთი, როგორც ანდრეი პავლოვიჩის მათრახის სრიალი გლეხიკის კუნთებზე და ამ დროს ანდრეი პავლოვიჩი და ვასილი დგებოდნენ ვალოდიას წინაშე თითქო ერთსულ და ერთხორცად, მაგრამ ამავე დროს ვასილის შედგარ მხილებაში ვალოდიას ყურს თუმეცა სუსტად, მაგრამ მაინც საკმაო მკაფიოდ ესმოდა ფარული ხვეწნა მუდარა გაჭირვებულ-დამონებული, სულისა, რომელიც ვალოდიაში ხსნას ეძებდა. და ეს უკანასკნელი მხილება მიზანს მიღწეული ვალოდიას თვალთახედვის წინ გასაოცარის სიძლიერით ღრმა ჯურღმულიდან, თითქო ჯოჯოხეთიდან, ზემოდ იჭრებოდა გააფთრებული, თავდაუზოგავი მოაბოტებდა ვალოდიასკენ და თავზარსა სცემდა მის არსებაში ყოველნიერ მცონარა მიდრეკილებათა გარკვეულ განცდებს თავის მძლავრ კალთას აფარებდა, ბოჭავდა ვალოდიას არსებას და თავსაცვე იარაღად ჰქმნიდა... ვალოდია ივანოვიც თავს მაღლა სწევდა და როდესაც ესმოდა, თუ რა ძლიერი იყო რუსეთი თავისის სიფართოვით, მრავალრიცხოვანის ხალხით, მისს გაძლიერებას, რა მაგარ ბურჯებად უდგებოდნენ მამულის დამამშვენებელი გმირები, მეცნიერება, ხელოვნება როგორ ერთი მეორესთან ხელიხელ ჩაკიდებულნი აღფრთოვანებით მათთან ერთად ერთ სულოვანნი ხდებოდნენ და მით გაამაყებული ვალოდიაც, როგორც რუსეთის ნორჩი შვილი თავს მოვალედა გრძნობდა მისი მტვერი გამხდარიყო. ამ დროს გულში მწვავე რაღაც ეჩხვლეტებოდა და მის არსებაში კვლავ ახალი ნგრევა, ახალი

განცდა იწყებოდა, გაშლილი ფრთები მარაოსავით გაცეცხობდნენ, დაკრძილ ფრინველსავით თავიქვე ეშვებოდა და რაღაც ბურუსში ეხვეოდა. ბურუსი თანდათან ღრუბრებისებურ იერს იღებდა და ბოლოს უფრო დაუფრთხვევით ჩნდებოდნენ შეკრული წარბები, მოელვარე თვალები, საყვედურით და რისხვით აღსავსენი, სხვა დროს ყოველთვის სიყვარულით შაცქვრალნი, შემერთალ ვალოდიას თვალწინ ეცხადებოდა დედა მისი ფეფე, მთრთოლვარე თითებში მოუჩანდა გულისპირიდან ამოძრობილი კინძისთავი დასისხლიანებულის წვერით... ფეფეს გვერდში ამოჰკროდა დაგლეჯილ ჩოხაში გახვეული გაფითრებული ლაღი, შეშინებულის თვალებით უყურებდა თავის ნახევარს და თითქო ხელის ნიშნებით უმწეოდ დარჩენილ სუსტს უნცროს დაძმებისკენ ახედებდა... ვალოდიასაც ამ დროს უფრო ცხოვლად აკონდებოდა თუ მამის ქვეყანას ისეც ქვიშაზე უმრავლესი გულშემატიკივარნი მოსარჩლედა ჰყავდნენ მაშინ, როდესაც ფეფეს ქვეყანა სიერციით მცირე, მაგრამ ბუნების სიმდიდრე—მშვენიერებით აღსავსე, მრავალის მტერის მყოლი, როგორც მუდამ ჩაჰჩინებდა საყვარელი დედა. ვალოდიასგან შველა დახმარებას უფრო საქარობდა, რაზედაც თვით ვასილიც ეთანხმებოდა და გულაუწყებელი ვალოდია შებლშეკრული იბღვირებოდა. როდესაც ლადის ქვეყანას ვინმე უპატივევქლოდ იხსენიებდა, ამ უპატივევქლობას კი ხშირად ხედავდა როგორც თვით სასწავლებელში, ისე ანდრეი პავლოვიჩის ოჯახშიაც, სადაც დედის ენაზე ხმის ამოღებას უკრძალავდნენ, ვიდრე ისეც იმისი მამა ვასილი არ გამოიყვანდა ამ მძიმე მდგომარეობიდან და დედის სოფლის წმინდა ჰაერითვე საზაფხულოდ სახლში წასულს კრიქას გაუხსნიდა.

* * *

განვლილ ავადმყოფობის გამო რაკი სასწავლო გაკვეთილებს ბლომად თავი მოეყარათ და ამ ნაკლის შესავსებად თვითველი წამი ძვირფასი იყო, ყმაწვილი მრავალ სასარგებლო შემთხვევებსაც ჰქარგავდა. უწინ ყოველ უქმე დღეებში ვასილს მატარებლით დაჰყავდა ხოლმე ბაქოსა და ბათომ შორის, გზა-გზა მრავალი შთაბეჭდილებანი უასკეცებდნენ აღნიშნულ სურვილ-მისწრაფებათა, მაგრამ დღეს ვალოდიას საპატიო დაბრკოლებისთვის თავი უნდა მოეხარა, დარჩენილიყო მარტო ბაღის ამარა, სადაც სალი თავისის წრველის მიამიტის, მაგრამ ცოცხალის და გონიერულის სიტყვით მის ხშირად დაქანცულ გონებას გასაქანს აძლევდა როგორც დაჭროლილი ნიავე სიცხისაგან გაღენჩებულ ხის ფოთლებს.

როდესაც სალის თვალწინ უდგებოდა ვალოდია გემის მანქანებისა და სახელოსნოების გამგე მმართველად, რაზედაც ხშირად ოცნებობდა ყმაწვილი, და სიღარიბის ქოხიდან გაიტაცებდა მშობლებს, დაძმათა დაძმობულის გულით შეეკითხებოდა:

— სხვები, ვალოდი?.. სოფელში სხვებიც რომ ისეც ლარიბები დარჩებიან?.. ვალოდია მხრებს მალა იაწყევდა და ხელების გადაშლით უპასუხებდა:
— ბარემ მეც ვიცი, რო აგრე იქნება, მაგრამ ერთი იმდენს რას ვეყოფი?.. დღეს ჩემგან იმათ მარტო ზედმეტი ლატაკი ემატებათ, სხვა კი არაფერი!

სანამ ჩემის მეცადინეობით ლონეს შევიკრებდე და გაჭირვებისგან თავს ვიხსნი-
დე, და, როდესაც მივადრევე იქამდის, რომ არაეის თვალში შევხვდებოდი ვიქ-
ნები, მარტო მაშინ შემეძლიან სოფელსაც დავეხმარო...

ვალოდის სიტყვები სალის სიმართლის მაძიებელ სულში ჰპოვებდნენ
მკვიდრ ბინას და მათგან გამომხდარ ნათელში პატარა ქალს ეშუშებოდა სია-
მოვნებისგან განაზული გული. ვალოდის სიტყვებს სალი ენდობოდა, როგორც
ტივზე მგდომი მგზაფრი მეტივეს, რომელიც ორთავეირის მოსმით მედგრად
სერავედა გაონავერებულ წყალის ტალღებს... ამაზე მოწმობდნენ ვალოდის წინ
მუდამ განლილი სქელტანიანი სხვა და სხვა სახელმძღვანელოები, სწავლის
ბრწყინვალედ წინსვ-ა, აღნიშნულ მიზნისთვის დღე ღამის გასწორება, ბალშიაც
მისგან ბარსა და ნიჩაბის ღრმად მიწაში ტარება... თუ ანდრეი პავლოვიჩი
გლ ბიკს მათრახებით ასრულებინებდა მისთვისეე სასარგებლო საქმეს, ვალოდი
ამავე მიზნით თვითონვე თავის თავს იპათრახებდა...

ვალოდი სალიზე მარტო სამი წლით იყო უფროსი, სასწავლებელს უკვე
შალე გაათავებდა, სალის კი ჯერ ფეხიც არ შეედგა... თუნდ კიდევაც შეედგა,
შომავალი სასწავლებელი საიმედოს არას ჰპირდებოდა, რადგან მისი სახე უკვე
ვუროკოსა და ბაბუკაში იხედებოდა, რაც სალის სრულიად არ იზიდავდა.

ვალოდისგან გაგონილი ჰქონდა თუ იმ ქალების გიმნაზიაში, სადაც
ლიუბა სწავლობდა, წლიურა ვადასახადი ძალიან ცოტა იყო შესაადრად იმ
ვადასახადთან, რომელსაც ოთარი კურგუოვეებს აძლევდა. გარდა ამისა იმ სა-
სწავლებელში როგორც წლოვანებას, დიდ ყურადღებას არ ატკევიდნენ, ისე
თვით ანბანის უცოდინარნიც კი შედიოდნენ შესაფერ კლასში.

როგორც ლიუბას არა ერთხელ უთქვამს იმ სასწავლებელში მოსარცხე-
ების და მზარეულების შვილებიც თურმე სწავლობდნენ, თვითონ ვალოდიაც
ხომ ერთი ღარიბი მემანქანეს შვილი იყო, რომელიც ნიჭით გლებიკს არამც
თუ უთანასწორდებოდა, წინ უსწრობდა... სალისაც უნდოდა სწორედ იმისთანა
სასწავლებელი, სადაც ვალოდისთანა ბავშვებს შეხედებოდა და რაც უფრო ამ
სურვილის შესრულება მიუწვდომელა ხდებოდა, მით უფრო კურგუოვეებსა და
ოთარის მიმართ ნდურვა უძლეერდებოდა.

სალი ყოველთვის თავის არიდებდა ლიუბას მას აქეთ, რაც მოტყუებით
ბალისკენ წაეყვანა, რომ ამისი ბარგი გულიანად გაეჩხრიკათ.

მუდამ აბეზარი გლებიკაც დამცინავის ღიმილით ხედებოდა როგორც კი
მარტონი რჩებოდნენ...

— რა, სალინკა, თქვენ როდისლა ეპირებით ინსტიტუტში შებრძანებას?...
ალბად მაშინ, როცა მთაზე კიბო დაუსტვენს?!

— როდესაც უნდა იყვეს, ყოველ შემთხვევაში თქვენსავით მათრახები არ
მომხედება!..

უპასუხებდა სილი და ხმა მაღლა ვაიკისკისებდა, გლებიკაც ყურებამდის
გაწითლებული შერცხვენილი ჩაჩმდებოდა.

ამავე წუთებში სალის სულში მიყუჩებული პირშეკრული იარა კვლავ მწვა-
ვედ იხსენებოდა და თვით ვალოდიაც, რომელიც ამ ოჯახში მფარველად დაე-

სახე, მაღალ ციკაბოდ ეჩვენებოდა, მისკენ მისავალი ბილიკი ნისლში ვახვილურ, ფეხებში ეკარგებოდა...

ნიკოლოზი

XI

სალი ბალში მარტოდ იჯდა, თავის მღვთმარობას ჩაფიქრებოდა, რომ უკბად მოესმა დარიკოს ფეხის ხმა და ძახილი:

— სალი, ჩვენებს სარიდანა ეტლით გამოუგზავნიათ, დღეს თურმე ვერიკოს დაბადების დღეა და ნიშნობაც... ალბად ამდამ ჩვენც იქ დავრჩებით... დარიკო სიხარულისგან ძლივს სულს ითქვამდა და სალის გარშემო დახტოდა... სალიმ ჯერ დააპირა წასვლაზე უარის თქმა, მაგრამ უეცრად ახალმა თინმა წაიწივინა, მოუნდა ზარატინის ნახვა, იმ ზარატინისა, რომელიც ვალოდიას მანის მოღვმისა იყო და ვერიკოს ირთავდა.

მაშ უეკველია ზარატინი ვალოდიას მამისავით შეიყვარებდა ვერიკოს ქვეყნის და იმათი შეილიც როგორც ვალოდია ზღვების გემების მმართველ უფროსად დადგებოდა, ვალოდიას შეფერთებოდა, ერთს მეორე მიემატებოდა და გაჭირებაში უფრო მძლავრად ქვეყნის მოეხმარებოდნენ... ამ ფიქრებით გამიბარმა გულმა მეტის სინაზით გაიწია ვერიკოსკენ, რომ უსათუოდ დღეს მისთვის მიელოცა ახლად დაბადების დღე და მაგრად ჩაეკოცნა. სალიმ კმაყოფილებით თმებზე რამდენჯერმე ხელი გადაიხევა, ზეზე წამოდგა. ოთახებში მარტო აჯავია ჩეფიკით და თეთრის წინსაფარით, ცალ ხელში წინდის ჩბირების საჭსოვით და მეორეში მტერის საწმენდით ქოშებს დააპარაკუნებდა, თან აღმაცერად გაქურებდა ბავშვებს, რომელნიც წასისვლელად ემზადებოდნენ...

წინასწარმა გრძნობამ სალის არ უმტყუნა. შედგეს თუ არა ბავშვებმა თავანთ სახლის კბებზე ფეხი, მაშინვე მოესმათ მზიარული უზრუნველი სიცილისი, თითქო როიალის აკორდებიც ნახის ხმით ულოცავდნენ სახლში დაბრუნებას, მაგრამ რაკი დარიკო ისეც ყოველ უქმე დღეებში სახლში ხშირად მოდიოდა, ეს მზიარული ტერციალი მაზედ ისე ძლიერად აღარ მოქმედებდა როგორც სალიზე, რომელიც ამ უკვე დაძვირებულმა მოვლენამ ისე გააბეცა, რომ ანგარიშ მიუცემლად იქვე შესასვლელ კარებთან სკამზე ჩამოჯდა და, როდესაც მოლაპარაკეთა შორის ქართული სიტყვაც აქ უფრო თამამად წარმოთქმული გაიგონა, სიხარულისგან ყელთან რაღაც მოებლაუჭა და ცრემლების ვლაპებით მისმა არსებამ ნათესავე სხეულის სიახლოვე იგრძნო; მაგრამ სალი მაინც ისეე შორიდან უყურებდა წინანდელზე მეტად დამშვენებულ ვერიკოს, რომლის გონება თავს დასტრიალებდა თლილ თითებს, რაც შეიძლებოდა გრძნობიერად შეტებოდნენ როიალის კლავიშებს. შინდისფერ ატლასის კაბაში გამოწყობილია ნატოც ოთახებში შრიალ-შრიალით შედი-გადიოდა...

ზარატინი იქვე ვერიკოს თავს ადგა, დაბალ ხმაზე დალიღინებდა. ოთახში სტუმრები ძლივს ეტეოდნენ, მოსვლელთა დენა არ წყდებოდა, თაიგულ-ტკბილულობით მოდიოდნენ რათა მდღესისწაულე ქალისთვის დაშაქრულის ენით დაბადების დღე მოელოცათ და ვერიკოც, იმათ შიშიმე მორთულობის წინაშე თავის სუბუქ თეთრ აბრეშუმის კაბაში, გაფერმკრთალებულიყო, მაგრამ საგანგ-

ბოდ დახვეულ ბელოვნურ ყვავილ დატანებულ კულულებიდან მისი სხე მანც კდგმამოსილებით მომზიბვლელად იხედებოდა...

ზარატინიც დღეისთვის საგანგებოდ თეთრ ჩოხა ახატულობის ტანსაცმელით ხანჯლის ტარზე ხელის დადებით, თითქო ვერიკოს დასაცავად მომზადებულიყო. ალექსეის და ვერიკოს თვალები ერთმანეთსა ხედებოდნენ, შემდეგ როიალისკენ იხრებოდნენ და საკრავის ნაზი ხმები ქალ-ვაჟთა საერთო სიტყვა-პასუხის მოციქულნი ურთიერთთან შესათანხმებლად მეტყველებდნენ. მათი შემყურე სტუმარი ქალებიც იღიმებოდნენ, ამავე დროს გულში აღძრული, გაღიზიანებული ცილაობა თვითონვე სულის სიმშვიდეს უკარგავდით, მაგრამ რაკი ალექსეი და ვერიკო თავიანთ გრძნობებს ჯერ ისევ მარტო როიალის ხმებში ამელაენებდნენ, მეტოქენიც რალაც ბუნდის იმედებით თვალებს კრუტავდნენ და ბოლმებს იკარებდნენ...

ზარატინის გარდა აქ მამაკაცები ძალიან ცოტანი იყვნენ, ისინიც ისეთები, რომელნიც სტუმართა უმრავლესობა ქალებს არ ავიწყებინებდნენ ზარატინის გარდა, კიდევ სხვა სასიამოვნო პირებს და უკანასკნელებიც როგორღაც იგვიანებდნენ. ამათი საჭრფილო მოზანი—ზარატინი ვერიკოს მიჰყავდა. ყველა ეს გამოძვევი იყო მათში შეურაცხება-წყენის მწვავე ნალესისა.

ზედმიწვევით ალლო აღებული ნატო სიხარულისგან ფეხზე ძლიეს იდგა, აღარაფრად მიიჩნდა ის ხარჯები, მოუსვენრობა, დღე-ღამის ტეხა და დროს დაკარგვა რაკი ყველაფერი დღევანდელ დღეს ეწირებოდა. აგრეთვე გრძნობდა და მიმბედარიყო თუ რისთვის იგვიანებდნენ ყველასთვის სასიამოვნო და საბატო სტუმარნიც, აღბად ინდურებოდნენ ნატომ და ვერიკომ მათ თავს ზარატინი რად აირჩიეს...

* * *

ნატო მეტად ბედნიერი იყო, რაკი დღევანდელ დღეს მოსწრებოდა, და იმისთვის ამ წვრიმალ ნაკლებს ველარ ამჩნევდა. დღევანდელი დღე ნატოსთვის წმიდა საიდუმლოების დღე იყო, როგორც მორწმუნესთვის ზიარების დღე, რისთვისაც შვიდი კვირის მარხულობა - ლოცვით ემზადებოდა. ნატომ დღეს სალისაც მოსელის უმალ რამდენჯერმე აკოცა, სალიც დარწმუნებული იყო, სჯეროდა ვერიკო, როგორც ცხოვრების ნებიერი, დღესაც ჩვეულებისამებრ გაიმარჯვებდა, რაც ამის გულს ისე ღრმად სწვდებოდა, როგორც კედელს ცერცვის ზედ მიყრა და ყველასგან შეუძნეველი კუთხისკენ მიიწევდა, რათა მის გონებას თავისუფლად ემსჯელა და ახლად წამოდულებულ რძესავით ზეაწულ-აფორიაქებული შთაბეჭდილებანი ნელ-ნელა ძირს დაეშვა, რიგზე მოეყვანა.

სალის თვალწინ უდგა და ხდებოდა ყველა ის, რაც გუშინ, გუშინის წინ და გუშინისწინისწინ.. წარსულ თვეებსა და წლებში, ერთი სიტყვით მას აქეთ, რაც სალის თავი ახსოვდა... აგრეთვე ხედავდა დიდი ხნის ნაცნობებს, ახლო ნათესაეებს, თუმცა ისინი ამას ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ ეს მათ ყველას თვითელად კარგად ხედავდა და სცნობდა...

როიალის ნაზმა ხმებმა სალი მიახედეს კედლისკენ, სადაც უცვლელ ადგილზე ეკიდა სურათი, შემოლაპარაკობდა ჩვეულებრივის მოღუღუნე მომჯადოებელის

ხმებით. სალიმ იცნო ბეტხოვენი, რომლის ხმებისგან იცრიცებოდა, დნებოდა ყოველივე, როგორც დღევანდელი ხვალისდღის წინაშე... უძველესი ხე-ლინდელიც ასეთისავე ალტაცებით შეზღვდებოდა ამ ხმოვანებას, როგორც უძველესი კეზმარტებას... უძველესმა ხმამ სალის გონება კვალად შეაფრთხილა, როგორც გასაფრენად მომზადებული ჩიტი და შეწყდნენ ხმები თუ არა მსწრაფლ მეორე ოთახში გავიდა.

იქ სარიდანას ეხმარებოდნენ ლიზიკა და დარიკო ქურჭლის ლაგებაში, არჩილი და ბაბუცა სასწაულებლიდან არ გამოეშვათ, პატარა ილუშა ყველას ფეხებში ედებოდათ. გაოგნებული სარიდანა აქეთ იქით დაჰქროდა. ოთახები, კიბეები, სტუმრები, მათთვის მისატანი ათასი რამ თვალწინ უკრთოდნენ, როგორც გაქანებულ მატარებელში სარკმელთან მჯდომ მგზავრის წინ შორს გამოჩენილი სხვადასხვა საგნები და ამის თავზე სეტყევისავით დაშენილ ბრძანებების ორი მესამედი შეუსრულებელი რჩებოდა, დრო და დრო თითქო კიდევაც ცხვირწინ ვილასაც შეუკურთხებდა, მაგონებ ბოლოს საქმე ისევ ბრძანებელის სასარგებლოდ წყდებოდა.

* * *

სალის თვალები მიმართულნი იყვნენ იმ კარებისკენ, რომელიც მარიამის ნადგომ ოთახში შედიოდა, უკბად ორივე ხელი ჰკრა და მსწრაფლ ოთახში გახდა... ისევ ის გრძელი ტახტი ჭეზა-ხალიჩით და მუთაქებით გაწყობილი. ტახტზე ჩამოხჯდარმა სალიმ მუთაქას ნაზად ხელი დაუსვა, მოაგონდნენ განცდანი, ტკიბილი და შეუნაცვლებელნი და თავი დასდო მუთაქაზე...

— სად ხართ, ჩემო დიდებდავ და პაპავ?... სად ხარ ჩემო საყვარელო სოფლო?..

რად დამტოვეთ აქ მარტოდ, რად მომაგდეთ ქვა ან საშოშ ქვეყანაში?

— უხმოდ მოსთქვამდა სალის გული, ჩუმი ცრემლები მუთაქაზე იწვეთებოდნენ...

— სალი, არა გრცხენიან, რომ ნიშნობის დღეს ტირი?!

ამ სიტყვებით ლიზიკას ხელი შეეხო სალის შუბლს...

— იმის მაგივრად რო გაიხარო, ვერიკო მალე თავიდან მოგვეშორდება, გზიდან ჩამოგვეცლება და ჩვენც ცოტა შელავათი მოგვეცემა, ტირი?..

განაგრძობდა ლიზიკა და მისი ხელის თითები სალის თმებზე ალერსით დასურავდნენ...

სალი კი ისევ ხმა გაემენდილი ლიზიკას მარტო სლოკინით პასუხს აძლევდა.

— ამაღამ ვერიკო დანიშნება, ხვალ დედასგან ორი დეპეშა წავა, ერთი ნაპასკენ, მეორე დიდებდასა და პაპასკენ, დიდებდა ჩამოვა, ისინი ისეც ჩვენის გამოისობით მოუსვენრობენ, წერილებით სულ მუდამ ჩვენს ამზავს კითხულობენ და თუ მეტადრე ვერიკოს დანიშნავ ცაიგეს, აბა მაშინ, უფრო დიდებდას, იქ რაღა დააყენებს!!!.

სალიმ შესწყვიტა სლოკინი, წამოჯდა, თვალებიდან ხელსახოცი/ჩამოიხსნა და ლიზიკას შეხედა.. ლიზიკა გამბდარი იყო, უფრო გაღმწეხვნილი ლიზიკა იყუარა, ვეროკოს უმბარ-მხარდებოდა.

— ნაშ... მაშ... დიდედა... ჩამოვა?..

სალის ტუჩები თრთოდნენ...

— ხომ გითხარი...

— დიდედა... ზემზე არაფერს იწერება?..

ყრუდ იკითხა სალიმ და თავის კითხვაზე თვითონვე შეშინდა.

— ვითომ შენთვის ახალი გაგონება იქნება თუ გეტყვი დიდედას ძლიერ უყვარხარ მეთქი?! გინა ის წერილს ისე მოიწერება, რომ განსაკუთრებით შენ არ გიკითხოს და შენს მოშორებაზე არა წუწუნებდეს?.. არამცთუ გკითხულობს, იმის საერთო წერილში საგანგებოდ შეხთანაც არის ხოლმე ცალკე ბარათი და ფული.

ეხლაც ორი დღეა მის აქეთ, რაც ალექსა აქ იყო, ჩამოიტანა კარაქი, ნაზუქები, ნაზუქებში ორი კოკორა ერია, ის ორი კოკორა და ათი ჩურჩხელა ბესოანთ თებროს შენთვის გამოგზავნა... დიდედას ბარათში შენთვის ერთი თუმანიც იდო, მაგრამ...

აქ უცბად შეჩერდა ლიზიკა და კოტა ფიქრის შემდეგ განაგრძო:

— დედამ ის ბარათი ჩემ თვალწინ შუაზე გადადებრიწა, ფული ჯიბეში ჩაიღო, დამემუქრა, არავისთან ვამეზილა, დღესაც ჩემს ვარდა ეს ამბავი არავინ იცის, მაგრამ გადავწყვიტე, რაც უნდა მომხდარიყო, შენთვის გამეგებინებია, რომ დიდედასა და პაპას ისევე უყვარხარ, შენზე ფიქრობენ... როგორც იყო ხუთი ჩურჩხელა და ერთი კოკორა გადავმალე, დღედღობით ვცდილობდი შენთვის როგორმე მომეწვდინა, მაგრამ პირდაპირ ნახვა ვარჩიე, დაროკოსთვისაც კი არ მიითქვამს, საკმე არ ვაფუჭებულყო. მანამ შენ დამშვიდდი და მეც ეხლავე გამოგიტან...

სალი უძრავად იჯდა ტახტზე, დამუშტული ხელები მუხლებზე დაელოაგებინა, მისი არსება რაღაც გაურკვეველ მღელვარებისაგან გაბრუნებულიყო. სახის მეტყველება წამის წამს ეცვლებოდა, წუთს რო დაბლვერით იხედებოდა, წუთს გამოუთქმელი სიხარულით უბრწყინდებოდა, მეტადრე მაშინ როდესაც ლიზიკამ ტახტზე გაუშალა ხელსახოცში გამოხვეული ჩურჩხელები და ნაზუქის კოკორა, სიხარულისგან შექვივლა და ორივე ხელებით დააცხრა, საჩქაროდ პირთან მიიტანა, თითქო ყველას ერთბაშად შეკმას უპირებდა, მაგრამ როდესაც გაახსენდა, მალე მათი ნასახი აღარ დარჩებოდა შეშინებულმა ისევე ძირს დაუშვა...

— შენც იცი, ამის მიზეზად დედას სულ ის დაუთინია, რომ სანამ მოხუცებულეხს და სოფელს არ ჩამოსცილდები შენგან კეთილი არ იქნება და სამუდამოდ ბეყერა დარჩები...

განაგრძობდა ლიზიკა..

— ალექსა რომ მოდის ხოლმე ჩემზე არას ლაპარაკობს?..

იკითხა სალიმ. თითქო ლიზიკას უკანასკნელი სიტყვებით არ ვაფგონია...

— როგორ არა!.. იქ თურმე ყველას თვალში აკლიხარ, კითხულობენ, როდის დაბრუნდები. ჩემი ავკაცობაც გითხრა: ყველა ბარათებს ალექსასაგან წა-

ღებ-წამოღებულს ჯერ მე ვკითხულობ, მერე დედასთან მიდის. ეს ხდება წუემ-
 ნეელად, რადგან ბარათები დაუბეჭდავებია.. ყველაფერი ვიცო, ყველაფე და დედემ-
 და შენ გამო დიდ გაწამაწიამი არიან: ხან მხუბობენ, ხან ერთმანეთს ვხეყნებენ,
 ერთმა მეორეს დაუთმოს და ორივემ ერთნაირად ივიქრონ იმ ოთხზე, რომელ-
 ნიც თავში დგანან და რომელთ შედგენილობაშიაც შედრან ვერიკო. ბაბუცა,
 არჩილა და ილუშა... ამ უკანასკნელ წერილში დიდედა ხვეწნით თითქმის ყელს
 უწევდა დედას, საზაფხულოდ მისკენ გაეწვი, მაგრამ ამან მაინც უარი შეუთვალა.
 გადაწყვეტილია, ამ შემოდგომაზე შენა და დარიკო ინსტიტუტში შედიხართ,
 მერე საზაფხულოდ კოჯორში... შორჩა, გათავდაი..

— შენა?..

იკითხა ნაღვლიანად სალიმ, რომელიც გაჩუმებული ისმენდა ამ სასტიკ
 განაჩენს.

— ჩემზე რა გითხრა?. ჯერ შეამოწმე ჩემი ფერი, სიმაღლე, ცოდნა და
 წლოვანება და, თუ სადმე შესაფერი კლასი გამოიანხო, იქ მომათავსე... იმ დღეს
 აივანზე ვიდექი და ერთმა სწორედ ჩემ სიმაღლე მ-წაფე ქალმა ქუჩაში ჩამოი-
 რა წიგნებით. უნდა გენახა საცოდავი, როგორ მისხარად აიგდეს ვილაც კაცებმა
 და ტაშის გამოკრით დაუძახეს:

— სად მიეჩქარებით, ქალბატონო, სკოლაში?.. რა დროს ვირების აღდ-
 გომაია?!. მე იმ ქალის მდგომარეობაში არ ჩავარდები.. ჩემთვის სასწავლებე-
 ლში შესვლის დრო უკვე დაკარგულია, ისევე სჯობს სხვა უფრო ადვილი და
 სწორი გამოსავალი ენახო...

— ჩვენ შენზე მარტო ერთის წლითა ვართ უმცროსნი... მაშ ჩვენც შენს
 მდგომარეობაში ვყოფილვართ და კურგუზოვებთან რიდასთვის გვვზავნიან?!

— თქვენ კიდევ ტანი გემო-ჩილებათ და თქვენი დროს გადავლაც ჩემსა-
 ვით თვალში არაივის დაუწეებს ჩოთირს. გარდა ამისა ჩემ ციებას კიდევ სხვა
 უირიც რომ დაემატოს, უფრო ვირჩევ, ვიდრე მომავალ ზაფხული კურგუზოვე-
 ბთან გატარებას...

წავალ სოფელში და მენოკა, როგორც ყოველთვის, ეხლაც გამიქარვებს
 ჩემს ავადმყოფობას და დარდს. გავა ზაფხული, თქვენ, როგორც იქნება ინს-
 ტიტუტში შეყოფთ თავს, მეც ძლიეს გადაეურჩები კურგუზოვებთან მისელაზე
 შიშს და მერე უფრო დამწვიდებული ან აქედგან გამოვძებნი რაიმე საშველს,
 ან იქიდან...

— მაინც რას?..

— რასა, თორემ დასტა დასტად არ წარმომიდგენს სხვადასხვა ერთი მე-
 ორზე უკეთესი ასარჩევები. გათხოვებას.. თუ კი ვერიკო, რომელიც რვა წელი-
 წადი სასწავლებელში იყო, ცოც ნიავე მიუყარებელი, დიდის ფარგობით აღზ-
 რდილი და მკოდინარი, ზარატინის შერთვით კმაყოფილდება, ამის შემდეგ მე
 რალა მეთქმის, გარდა იმისა, რა ერთი მაგისთანა ყახახი მეც მოეძებნო და ამის
 მისაღწევად კი მგონი ინსტიტუტში შესვლა მაინც და მაინც სავალდებულო არ
 არის.

ლიზიკას ხმა ნაღვლიანი იყო, მისი წყლიანი შავი თვალები ხატავდნენ და-
ცინვას, დაცინვას თავის თავის მიმართ. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა. მაგრამ
უცბათ ტუჩებზე ხელი მიიღო და შესძახა:

— სსს... ვესმის? . ჩენი კარებთან კიდევ ლანდო გაჩერდა...

როგორც იყო სალიმ გონება მოიკრიბა, ყოველ-ვე გაგონილი სიფრთხი-
ლით ასწონ დასწონა და დარწმუნდა შემდეგ გარდუვალზე... ეჭვი არ იყო, დი-
დენდასთან გაგზიენილი ამისი წერილი დაკარგული იყო, სოველშიაც ვეღარ წავი-
დოდა და ამის საწინააღმდეგოდ წუწუნი, გულის ღონება მარტო წყლის ნაყვა
იქნებოდა. ამასთანავე უნდა შერიგებოდა იმ აზრს, რომ ამ ზაფხულს კურგუ-
ზოვებთან დარჩებოდა. მაგრამ აქ ცოტა არა გონება ისევ აერია, გაახსენდა ვა-
ლოდიას დაპირება, რომ სადგურამდე მიაცილებდა. ამ დაპირებას კიდევ ზედ
დაერთო ლიზიკას ნათქვამი დიდუდას ჩამოსვლაზე თუ ვერიკო დაინიშნებოდა და
სალის უიმედობისგან ჩაბნელებული ხვალისდელის ცა კვლავ მომჭრალო შუქის
ზოლით გაისერა.

* * *

— ლიზიკა! სალი! ჩენი მამიდაშვილი ლიტა მოვიდა!..

შეშოიძახა ამ დროს კარებთან მომდგარმა დარიკომ და სამივენი სტუმრე-
ბთან გაჩნდნენ.

ყველანი ერთმანეთში არეულნი, ერთის ნდობით და აზრით გამსჭვალულ-
ნი გარს ეხვეოდნენ, ელაშუქებოდნენ იმ საოცარ სიმდიდრეს, რომელიც ლიტას
ტანზე აესხა.

— ალბად გიკვიროთ, ძალუა ჩემო, რომ დღეს თქვენთანა მხედავთ.

არც გასაკვირველია. სწორედ ხუთი წელიწადი იქნება, რაც თქვენი
სახლის კარი არ შემოიღია. დღეს კი რალაც განგებამ მამილა უსათუოდ მო-
შელოცა დღევანდელი დღე ვერიკოსთვის.

წარმოსთქვა ივლიტამ, წარჩინებულ საზოგადოებაში ლიტად ცნობილმა,
როდესაც ნატო და ვერიკო გადაჰკოცნა, შედღესასწაულეს გადისცა მშვენიე-
რი თაიგული, თვითონაც ამაყად თავაწეული მასვე გვერდით ამოუდგა.

დიდმა ცთომილმა გარს მყოფი წერილი ვარსკვლავები, რომელთა შორის
ვერიკოც მოპყვა, შესამჩნევად მიბუტბა და გააცია.

ლიტას მოსვლამ ნატო პირველში მეტად გააოცა, მაგრამ, როდესაც ჩა-
უფიქრდა დღევანდელი დღის მნიშვნელობას, რომელმაც მის უკადრისობასაც
კი ფარდა ჩამოახია და ნობრძანება აკადრა, თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულმა
ღმობიერად უპასუხა:

— რაკი შენს დანაშაულს შენვე გრძნობ, ეგ ჩენი გამარჯვებაა, ჩემო
ლიტა!..

— შენმა სიციცხლემ დიდი ხანია ვაპირებდი შენს ნახვას, მაგრამ საბა-
ტიო მიზეზების გამო დღემდის ვერ მოვახერხე შემომხებდა. ამეწონა ის შენი
ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც საზოგადოებაში მიგიღია და მართლაც
ღირსი ყოფილხარ.

კუროპინებდა სასიამოვნო ხმაზე ლიტა და ხელის თითები, მაჯები, ყურის ბიბილოები, თმა, მოელეარე ნაქსოვებში შეხვეული ტანი, ბრილიანტების ცეცხლში ეწეოდა, მალლა მსხდომი თავლის ფერი დიდი თვალეზი... მოუსვენრად აქეთიქით მიმოუბრუნდნენ, მიმინოსებრ მოხრილი ცხვირი რალაც გალიზიანებით უნოსაედა ოთახის ჰაერს და ხშირად ბრუნდებოდა ზარატიანისკენ, რომელიც აგრეთვე თვალს არ ამოორებდა ავზნებულ ცეცხლის მომტან არსებას..

— გთხოვთ გაიცნოთ ალექსეი პეტროვიჩ ზარატიანი! კნენინა ლიტა ბარადისა.

ზაილაბარაკა მოკრძალებით ვერიკომ, როდესაც ლიტას წინ თავის თავად გამოიჭიმა მშვენიერი ყახახი. ზარატიანი ამ საღამოს საჯაროდ აპირებდა ვერიკოს ხელის თხოვნას, მაგრამ ამ წუთებში გუნება აფორიაქებული ვაჟაკი გაურკვეველის ენით შესტკეროდა იშვიათ კმნილებას, რომლის ჯადო თვალეზი მწვევ ისრებს უმიზნებდნენ.

ზარატიანი ხარბად უყურებდა ლიტას გაღვივებ-გაფუებულ გულმკერდს, საკმაოდ ფაროედ საფარ აცდენილს, მაცდურად ხშირად მსუნთქავს და თავი უმძიმდებოდა, რეტი ესხმოდა. მეტადრე მაშინ, როდესაც თეთრი ბრდღვიალა პატარა ხელი მისკენ მოხდენით მოდიოდა ამზორის მისაღებად..

ლიტამ და ალექსეიმ შეხედეს ერთმანეთს, ორივემ ერთსა და იმავე დროს იგრძნეს ვნების ღმერთი თავის ძლიერებით. მალე ამათ შორის გაიჟღერა ბაასი დამსწრეთათვის უცხო და მიუღვამელი. გვერდით მჯდომ ვერიკოს დაჩენოდა მარტო-ლა ყურის მიგდება, ახსოვდა ჯგუფებში გადასვლა... სხვა ჯგუფებიც, რაკი ხედავდნენ ვერიკოს მერყევე მდგომარეობას, რჩეობდნენ თავისი თანაგრძნობა შეერთებინათ ისევ ზარატიანისა და ლიტას ურთიერთისადმი მისწრაფებისთვის და მის გასაცხოველებლად საჯაროდ ქება დიდებას უფლენინდნენ.

სადილზედ ზარატიანი ლიტას და ვერიკოს შუა უჯდათ, ლიტა ისევ განუწყვეტლად ლაპარაკობდა. სურათს სურათზე შლიდა, ყველა ეს იყო ზერეღე, სწრაფი, სუბუქი, მაგრამ ზარატიანი მაინც მჭიდროდ იბაწრებოდა შედგარის ფანდებით:

ბაქოს ნავთის შადრევენები, გარს შემოხვეულნი ქვარტლსა და კვამლში გამომწვარ მუშებით, რათა ეს შავი ტურტლი დაწმენდილიყო, ბაზარზე გამოტანილიყო და ოქრო-ბრილიანტად ნაქცევი ლიტას ხელში ფუფუნების სალიღელიო წყაროს აუზად გამზადარიყო.

ლიტა, ნაშვილები თავის მამიდაშვილის ეკატერინესი, ქვრივის ცნობილის გენერლისა, რომლისთვისაც რუსეთის მეფეს ერთგულ სამსახურისთვის ნავთის შადრევენები ეწყალობებინა. ზარატიანს წინადაც არა ერთხელ გაეგონა, მაგრამ მასთან პირისპირ შესახვედრად მარტო დღევანდელი დღე გასთენებოდა და დღეს ზარატიანისთვის სწორედ ზმანება იყო, როდესაც ხედავდა თუ ამ წყაროების მფლობელი მშვენიერება ასე ადვილად და მოულოდნელად აფრთოვანებული გვერდში მოჯდომოდა. ქალის ტიტინის წყალობით ალექსეი მასთან ერთად ღრმად სუნთქავდა, ევროპას, კავკასიას, ერთს მეორეზე მოყოლებულს, მათ თვალუწვდენ სივრცესა და მცხოვრებთა უთვალავრიცხვს ზღვით თუ ხმელეთით;

მდიდარს შინაარსიან ცხოვრებას, თავისუფალ, ხსნილ გზას, თავიდან აცილებულ იმ საშიშ დაბრკოლება-პასუხისგების და ვიწრო ბნელ ხელოვნებას, რომელშიაც, ამის აზრით, ჩაბეჭდილია ჯერ კიდევ კაკორი, ამრქანა მსვლელ ქერიკო.

როდესაც სალი ლიტას ბრილიანტებს, სახეს, ტანისამოსს სხვებისას ადარებდა, რწმუნდებოდა, რომ ესეც იმათი ჯურისა იყო, რომელთაც სალი მთელის გუნდით დღის სავალზე გაფრბოდა და თუ ლიტა დღეს ყველასთვის ხელში სატაცებელი გამზდარიყო, ამისი მიზეზები ბრილიანტების ელვარებაში უნდა მოეძებნა. ალბად ლოვინში ჩაწოლილი ლიტა ისეთივე ჩვეულებრივი ქალი იქნებოდა, როგორც ნატო, სალის დები და სხვები, იქნება მათზე უარესიც, რადგანაც ბრწყვიალა ქვებს იმ დროს თავისი ელვარება ყუთში თან ჩაერთანთ, ყუთიანად სადღაც მიმალულიყვნენ. სალიმ იცოდა მდიდრებთან როგორ შედიოდნენ ქურდები; იპარავდნენ ძვირფას განძეულობას, ამ შემთხვევაში ხომ ლიტაც ცალიერი დარჩებოდა?!

სალის დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე...

თუქცა ამასაც მოსწონდა ბრილიანტების ელვარება, მაგრამ ელვარება ქვებისა და არა ლიტასი. ერთხელ სწორედ ამ გვარი ქვები ჩამოუტანეს ოთარს ხელსახოცი თიდან, სადაც თურმე დილ-დილობით ნაწვიმარზე კლდის ძირში მზის სხივების დატუნებით სწორედ ასევე ელვარებდნენ.

ალბად კლდის ძირი მაშინ უფრო დიადი სანახავი იყო, როგორც მის გულის სიღრმიდან ამოყრილი განძი, ვიდრე დღეს ლიტა, დღეს სხვის ნაშოვარზე მიკოსილი. ოთარმა კიდევაც წაიყვანა იმ კლდესთან მადნეულობის მკვლევარნი, მაგრამ გამოკვლევის შედეგი სიჩუმემ ჩაყლაპა.

მაშ ეს ქვები ბუნების სიმდიდრე იყო და არა ადამიანისა, ლიტაც ტუჩებდებოდა, თუ ფიქრობდა, რომ ეს ელვარება მას ეკუთვნოდა.

ამავე დროს სალის თვალთახედვის ძაფები დიდი ხნის ლოდინის გამო აწყდებოდნენ, თუ საცაა ზარატინი და ვერიკო დაინიშნებოდნენ, მაგრამ გაკიმული სუფრა, ქივილ-ხივილით აღსავსე მაინც ლიტას გაღმერთებით სუნთქავდა.

* *

საათმა სადამოს ექვსი დაჰკრა, სუფრიდან სტუმრები აიშალნენ, ვერიკო მოკარტის სონატას დასაკრავად როიალს ჩაუჯდა, რომ სარდინიამ დიდის მოწიწებით შეატყობინა ლიტას ლანდოს მოსვლა. ლიტაც წასასვლელად დაფაცურდა.

— შენ იცი, თუ ესლა მაინც აღარ დაგვივწყებ...

ღიმილით, მაგრამ ცალის ყბით უთხრა ნატომ როდესაც ლიტას აკოცა. თან გულში იამა მისი წასვლა.

ამჟამად ნატო მის მიმართ გრძნობდა უნდობლობას, ლიტას გულწრფელობაზე ეჭვიანობდა.

— პატივი აღარ მინდა, ძალუა ჩემო, მოსძახა ლიტამ და სტუმრებისკენ გაბრუნდა გამოსათხოვრად.

— ოღონდაც!..



ნატოს უკანასკნელ სიტყვაში იხატებოდა წყენა და ცინიკაში შერეული, თან რალაც აღელვებისგან მარჯნის კრიალოსანს ორივე ზღაპრის მანკრად სრესდა.

— ნება მიბოძეთ გაგაცილოთ!..

დიდის მოწინებით შესთავაზა ლიტას ზარატიწმა ზღემა. მას უკვე ქული ხელში ეჭირა.

ლიტა უცბად შეკრთა, დაიბნა... ისეც დიდი თვალემა უფრო გაუფარ-თოვდა, თითქო შეწინებულმა გადმოხედა ვერიკოს და ნატოს... ეს ჩქარ-ჩქარა მოუსვენრად, დაბნევიტ, თითქმის ხეწნითაც სთხოვდა არ შეწუხებულყო, მით დღევანდელი საღამო ამის მიზეზით არ გაუგებურებულყო, მეტადრე მაშინ, როდესაც გაცილებას არ საჭიროებდა, რაკი ისეთი ერთგული მსახური ახლდა, როგორც ყირიმელი თათარი ომარა. მაგრამ რაკ ამ დროს ლიტას თვალემადან უნებურად ცვივოდნენ მეტად მორეული გაღიზიანებული გრძობებების მწველი ნაპერწკლები, ზარატიწის არსებაში თავდასაფიწველ ქრუანტელს იწვევდნენ, ემაწვილი კაცი ღიმილიტ მოღბრუნდა ნატოს.

— მაპატიეთ, კნინა, რომ გტოვებთ... ბევრი-ბევრი ერთი საათის შემდეგ ისეე აქ ვიწნები...

ნატომ ხმა არ გაიღო, გაცუბულმა გახედა ვერიკოს, რომელიც ლიტასთან გამოთხოვების შემდეგ, ისეე როიალთან მისულიყო და იქიდგან დაუდევრად უყურებდა, თუ ლიტასა და ალექსეის ზურგს უკან დერეფანში გასასვლელი კარი როგორ იხურებოდა.

ვინ იყო ლიტა?... ვინ იყო ზარატიწი?... მათი აწონ-დაწონვა, ძირითადად გულიანი ჩრეკა-ძიება, როგორც სრევეია ზურგს უკან თვითეულად ადამიანს, ებლაც დიდის აღელვებით სწარმოებდა სტუმართა შორის და სალიც ისმენდა. ლიტას მამიდაშვილი ეკატერინე ჩამოსულიყო თუ არა საზღვარ-გარეთიდან უშვილო, მდიდარი, მოხუცებული ქალი მობიბლულიყო ლიტას მშვენიერებით და თავის მემკვიდრედ აეყვანა. ლიტასაც დედის შთაგონებით ქმარი მიეტოვებინა. თავისთანა ლამაზ ორ პაწია გოგონებით გადასულიყო ეკატერინესთან. თვით ეკატერინეც, როგორც ლიტას დედა მელანია იმავე აზრისა იყო, რომ ლიტას იშვიათი სილამაზე, მისი მკვირცბლი ვარსკვლავებთან მოთაშაშე ბუნება მსხვერპლად არ უნდა შეწირვოდა იმ მეტად დონდლა-ბეყერა ღირბ და უნებისყოფა კაცს, როგორიც, მათის აზრით, ლიტას ქმარი—სვიმონი იყო, რომ ლიტას მშვენიერებას სიმდიდრის თანზღებით უნდა ეღმერთა ქვეყანაზე, რომ ქალისთვარ მშვენიერება ერთად ერთი მარჯვე იარალი იყო ბუნებისაგან მინიჭებული, რათა ციოვრების გზა ადვილად გაეკვლია და მის მორევეში არ ჩამხვრჩვალყო... ნუ თუ ეს ძალა, ეს ფასდაუღებელი საუნჯე, ქვეყნის გადამრევი ვისიმე უგვანო მურტალის ბრკყალებით უნდა გაჯიჯვნილიყო და ღვინის სუნით გაღვინთილის ტუჩებით დალოწნილიყო?! მაშინ წმიდათაწმიდის შეღახვა და ველუობა იქნებოდა...

შემდეგი აზრები ერთის პირიდან მეორეში გადასულნი უფრო ღია ფერებით იღებებოდნენ, მათი ამყოლნი სტუმრებიც ორ მოპირდაპირე ბანაკად იყო-

ფებოდნენ. მოწინააღმდეგეთა მხრივ სხვებთან ერთად ნატოც დაბრუნებით ამტკიცებდა, რომ ქალისთვის ზნეობრივი სილამაზე ხორცის ქველქმეზე უჭილდა იღვა და მეტადრე ქმარშვილის მოლაღატე, მშვენიერი იქნებოდნენ/სიტყვებზე, რაკი ერთხელე ამ მძიმე მოვალეობის საზღვარს გადასცდებოდა, უკვე დავთარ დაკარგული ცხოვრების მორევს ჩასაძირავად უფრო აღრე და მალე დაუახლოვდებოდა...

ლაპარაკის დროს ნატო მეტად ღელავდა და ლიტასადმი მტრულად განწყობილი რაც შეიძლებოდა ცდილობდა მის პიროვნებისთვის მრავალი საგამობი თვისებებები მოეხვია, მით გული მოეახებინა, მაგრამ უფრო უხერხულ მდგამარეობაში ვარდებოდა, რადგან მის ლაპარაკს ცალმხრივობა ეტყობოდა, კემმარიტ განსჯას სცილდებოდა, რაც მსმენელთათვის ცხადი ხდებოდა, დაცინვით შემოაჭყურებდნენ...

როდესაც სტუმრები ზარატინის განხრეკაზე გადავიდნენ, კილო უცბად შესცვალეს, უფრო ლმობიერად შეეხნენ, მაგრამ საკითხი მალე ამოიწურა, რაკი ზარატინს შიგნიშაგან არავინ იცნობდა, გარდა იმისა, რასაც თვლით ხედავდნენ, მაგრამ უკვე ცხადი იყო რომ ეს მშვენიერი, ზრდილი, კეთილშობილი ყმაწვილი კაცი უსათუოდ დაჯილდოებული იყო რაღაც მიმტაცებელის ანდაბატით, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში აღარ გადაარჩენილიყო არც ერთი მაღალი წრის ოჯახის ქალიშვილი მდიდარი, თუ ღარიბი, განურჩევლად ეროვნებისა, რომ ანისთვის არ გადაარეულიყო და მისი შერთვა უმწვერვალეს ბედნიერებად არ მიეჩნია.

ზარატინიც ამ გამარჯვებით აღტაცებული ერთის ოჯახიდან მეორეში ხელსატაცებლად გადადიოდა იმის მიხედვით თუ რომელი რომელზე გაიმარჯვებდა და რომ დღესაც განმეორება-გაგრძობა იყო იმ ჩვეულებრივ მოვლენისა, რაც დიდხინიდან ხდებოდა და შემდეგ შიაც მოხდებოდა. ამ მოვლენას ყველაზე მეტად უფრო სარწმუნოდ ხდიდა ოთარის ბიძაშვილი ქვინა მერი. მას თითქო დავიწყებოდა თავისი მოვალეობა ქველშომქმედ მანდილოსნისა, რომელსაც რიგრიგობით ფრთის ქვეშ ამოფარებოდნენ ქალიშვილები საზოგადოებაში გასათხოვრად გაყვანილნი, მაგრამ მათ ღელობილს ამ წუთებში თითქო როგორღაც მათდამი თანაგრძნობა დაჰარგოდა, თვალებიდან მტრულსა და მწველს ნაპერწყმებს აბნევდა. ნაპერწყმები მიიმართებოდნენ მეტ ნაწილად უფრო ვერიკოსკენ რომელიც რთილის კლავიშებზე ორიე ნიდაყვებით დანდაზილი ფიქრიანად უყურებდა ლიტასგან მოტანილ თაიგულს და მის ყოველთვის უზრუნველად გამოყურე სახეზე თანდათან ჩნდებოდნენ სუბუქი ღრუბლები...

ნატოს ზარატინის შესახებ აღარაფერი ესმოდა, ამისი აღმფოთებული გონება ფტრიალდებოდა ისევე ლიტას, თავს ველარ მორეოდა, რომ უკვე აღსრულებულს შერიგებოდა. თუმცა ზარატინმა აღუთქვა ერთის საათის შემდეგ დაბრუნება, მაგრამ ნატოს მაინც ვერ მოენელებინა აღექსეის ისეთი ამსუბუქება და ქმარშვილიან დედაკაცის უკან გამოდგომა. ნატო, როგორც ქალი, გრძნობდა ლიტას ძალას და საზარელის მოლოდინით შიშისაგან იღვოდა... აღელვებული ოთახებში შედივადიოდა, მოუსვენრობდა, თან ცალ თვალს კარს არ ამორებდა ეგებ აღექსეის შემოეღო.

— რა უყოთ რო გააცილა?.. ჯანდაბას ლიტას თავი და ტანი. დღეს თუ ნიშნობა არ მოხერხდება, ხვალინდელი დღეც ამ დღისაა. მარტო უნდა უნდა უნდა უნდა...
ლაღ, იქნება კიდევაც ასე სჯობდეს...

შემდეგის დასკვნით ძლივს გამხნევდა ნატო და კვლავ გალიმულის სახით შეუერთდა სტუმრებს, რომელნიც თითქო განზრახ უფრო გამხიარებულყვენენ, მეტადრე მამაკაცები და ცეკვა-სიმღერაში ერთმანეთს აღარ აცლიდნენ იმ შემთხვევით კმაყოფილები, რომ თვითველ მათზე სამი ოთხი ქალი მოდიოდა.

* * *

— იცი?.. წუხელის აღექსეი არ მოსულა, ჩვენ რაკი ადრე დავიძინეთ იმითმ ვეღარა გავიგეთ რა ჩვენები გათენებამღე როგორ ელოდნენ... ნიშნობა სადღეისოდ გადაიდო...

წასურჩულა დილაადრიან საღის დარიკომ. ესენი მარიამისეულ ოთახში იწვნენ. საღის რაკი ეჩქარებოდა დიდდასკენ დეპეშის სამახარობლოდ გაგზავნა ნიშნობის გადადება არ იაია, წუთს ჩაცემული სასტუმრო ოთახში გაჩნდა. ოთახში არავინ იყო, ბნელოდა... დააღო სარკმლის დარაბები, თავზე წარმომდგარმა გახაფხულის შვის შექმა აკოცა.

ქუბა უკვე დიდი ხანია ხნაურობდა, სხვა სახლების დარაბებიც ნელნელა ეხსნებოდნენ... მარტო ერთი სახლის ფანჯრების დარაბას მძიმე რკინებით ჯვარედინათ მიჭედელს არამც თუ დაძვრის რაიმე ნიშანი ეტყობოდა, პირიქით გამყელე-გამოპელელს რალაც იღვმალეებით აფრთხილებდა:

— იქით!.. აქ სასიკვდილო ადგილია!..

საღის მოაგონდა ძია ქაიხოსრო ამ სასტკად აქედელ სარკმელთან ოდესმე მომდგარი, მისი დათვის ტყავის ქურჭი, სათვალეებ ზემოდ მოუსვენრად, ფრთხილად გადმოწყურე თვალეზი, დაცინეით მომლიმარი მთრთოლაკი ტუტები... და, როდესაც გაახსენდა ისიც თუ ესენი მას როგორ ეჯავრებოდნენ, შემკრთალი მაშინვე სარკმელს მოშორდა და ოთახისკენ პირი იბრუნა, ოთახის სიჩუმეშიაც როიალზე, მშვენიერ ზელოვნურ საყვავილეში მეტად თვალსაჩინად გადაშლილმა მრავალფეროვანებით შეხავებელმა თავიგულმა თვალეზი შემოანათა... მაზე შეპკურებული გუშინდელი წყლის ცვარები დღეს შვის შექისგან ბრწყინავდნენ, როგორც ლიტას ბრილიანტები... საღომ ლიტას გახსენებაზე უცბად იგრძნო მისგან წამოჭროლილი საბედისწერო მზილება...

— იქით!.. ფრთხილად!.. არ მიწამო!.. შენთვის ჩემი მიღება სასიკვდილო ნიშანია!.. და საღი თავჩაღუნული, ფეხაკრებით ოთახიდან გამოვიდა...

— აბა ჩქარა, დროზე დალიეთ და კურგუზოვებისკენ წაბრძანდით! დღეა თავის ოთახში მეტად მოუსვენრობს, უნდა დროზე თავიდან მოგიშროთ, ამ სიტყვებით ლიზიკამ დებს ჩაით სავსე ორი ჭიქა მაგიდაზე დაუდგა, მაგრამ ბავშვებს ჩაის დაღეეაც არ დასცალდათ, რომ სარიდანამ ნატოს ბრძანებით კურგუზოვებისკენ გზას გაუქუნა, ვერიკოს კი ამ დროს, ცალკე ოთახში მოსვენებულს ტკბილ ზმანებაში შესულს, დამშვიდებით ეძინა.

XII



კურგუზოვების სახლში ცხოვრება ერთის შეხედვით თუ ^{მისი შემქმნელი} ^{გინჯი: იქნებოდა} მოჩანდა, ნამდვილად ასე არ იყო.

ხშირად გამოუთქმელ ნაღველსა და განწირულებაში მყოფი ანია დღეს სრულიად გადასხვაფერებულყო, მისი თეთრი ყიროში სახე გაზაფხულის დღესავით ბრწყინავდა, როიალზე ხშირად ჟურავდა, მღეროდა, განუწყვეტელის დღინით ოთახებში შედი-გადიოდა. ანიას ასეთი ვარდაქმნა სალის არად ჩაპკროდა, მის მოფერებასაც გულგრილად ხედებოდა, თუმცა ანიას ბავშვებთან ასეთი მოქცევა მოულოდნელი და საოცარი იყო; ამ დროს მოწეული გაზაფხულა ძალაში შედიოდა, მომხიბვლელად ფრთებსა შლიდა და სალის გულს მეტად ამძიპებდა ის მოსახრება, რომ ამ მშვენიერ დროს სრულიად უხაროდ ტყვესავით უნდა ჩარჩენილიყო კურგუზოვებთან მტერით ავისილ ქალაქში, რათა უნაცოფოდ წყალი ენაყო. უმთავრესი მიზანი აქ ყოფნისა სწავლა ცოდნა და განათლება მიუღღგომელ სიურცეზე გაურბოდა და ამის დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის ერთერთი და ისიც უმთავრესი ბრალდებულთაგანი უსათუოდ იყო ანია, რომელიც დღემდის თითქო კიდევაც გრძნობდა თავის დანაშაულს, მის ზეკავლენით ღობეუორეს აწუდებოდა, მაგრამ დღეს ეს მზილებაც გვერდზე მიგდო და სახე გამოკარკაცებული თავხედათ შემოსცქეროდა...

სალის ამ ბოლო ხანებში ვალოდიასთანაც იშვიითად უხდებოდა ლაპარაკი თუმცა წინანდელზე მეტად დაახლოვებოდა მას შემდეგ, რაც დიდუდასაგან გამოგზავნილი ჩურჩხლები და კოკორა დიდის აღტაცებით შესთავაზა და მათთან ერთად თავისი თავგადისავალიც უაზო...

ვალოდია დიდის თანაგრძნობით უსმენდა, აღარ უკვირდა სალის უჩვეულო შეუბოვარი ქცევა და აღტაცებული იყო მარიამის მოლოდინით. მაგრამ მალე კარზე მომდგარმა გამოცდებმა ვალოდა აუფრო მჭიდროდ შეეერთეს გლეხის სამეცადინეოდ და სალი დარჩა მისგანაც გარყული...

დარიკო ჩვეულებრივად ყოველ-კვირა უმასპინძლდებოდა ახალ-ახალის ამბებით მაზედ თუ ამათ ოჯახში რა არეულობა სუფევდა მას აქეთ, რაც ლიტას ხარატინი სამუდამოდ წაეყვანა, რომ მარიამთან და ოაართან დეკეშების გაგზავნის მაგივრად ნატოს ორი უსახელო ლანძვის წერილი გაეგზავნა, როგორც ლიტასთვის, ისე მის დედა მელანიასთვის..

ნატოს სასიძოს დაკარგვას თურმე მოსდევდა დიდი ხარჯების ამოდ განიავება და მდგომარეობა მძიმე ასატანი გამხდარიყო..

ნატოზე ნაკლებ არც ლიზიკა თურმე სწუხდა ვერიკოს გაუთხოვრობაზე, თვითონ ვერიკო კი ყველა ამას გულგრილად უყურებდა და წინანდებურის ხალისით დასტრიალებდა თავის საპირისფარეშოს და ოცნებობდა ხეო, ან ზეგ რომელ კაბასა და ფეხსაცმელში გამოსულიყო..

სალიც ყველა ამ შემთხვევების იმდენად მზურვალე მონაწილე ხდებოდა, რამდენადაც ეს მოვლენანი დიდუდას ჩამოსვლას აბრკოლებდნენ..

სალის იმედები კვლავ ვალოდიას წინანდელ დაპირებებზე მყარდებოდნენ, რომ სოფელში წასვლის დროს სალისაც წაიყვანდა.

სალი კრთებოდა, როდესაც ვალოდია ხმა-ამოუღებლად თვალემ-ძირდახ-რილი უსმენდა იმ ქართველზე, რომელიც ამით ოჯახში ამოვარდნილიყო და ეხლაც დიდხინის დუმისის შემდეგ რაიმე საპატიო მიზეზებით შალევე მოს-დებოდა..

სალიც ფიქრიანად დიდხანს თვალით აცილებდა და რწმუნდებოდა, რომ ვალოდიას ამის წინაშე ასეთი ქცევა არ იყო. მარტო მეცადინეობისგან გამო-წყვეული, ალბად მას კიდევ ზედ ერთეოდა ის საპატიო მიზეზიც, რომ სალი მო-ბერებოდა, როგორც უსწავლელი ერთი საცოდავი, სნეული, უშნო, რომე-ლიც მისთვის მაინც და მაინც დიდ სახარბიელს არას წარმოადგენდა და უნდოდა როგორმე თავიდან მოეშორებინა... სალის უკვე დიდხანია შეჰმნე-ლი ჰქონდა, რომ როგორც მდიდარი—ღარიბს, ისე ნასწავლი—უსწავლელს, ერთნაირად ერიდებოდა, საიდანაც უნდა მოსულიყვნენ ეს უკანასკნელი და თუ კიდევ მას დაერთოდა სნეულებისაგან დასახიჩრება, მაშინ სულ წყალში გადასაგდები რჩებოდა...

ამ გახსენებაზე სალიმ ერთი პირობა ეხლაც დააპირა შეგბღვირა ვალო-დიასთვის, მაგრამ ამ დროს გულში რაღაც მწვავე ტკივილი იგრძნო და ზელი მიაშველა.. როგორც აღმოჩნდა ამ ბიჭს თურმე შეუმჩნეველად ამის გულის უჯრე-დებში ღრმად ჩაეხშია და საპატიო ადგილი სამკვიდროდ დაეჭირა. და ეხლა მის იქიდგან განდევნაზე ფიქრი წყლულებს უჩენდა.. მაგრამ როცა სალი უკვე ჩვეული იყო ამგვარ საგრძნობ წყლულებისა, ეხლაც გონება მისი გაონაფრე-ბით იკვლევდა ამ წყლულის მოსაშუშე მალამოს და ელოდიასაც ჯვარედინ გზას ულოცავდა..

მარტო სადილზე, ან ჩაიზე თვითთვის კერძო განცდანი მათ გულშივე სადღაც იჩქმალებოდნენ, რომ ერთი-მეორეს პირადის განცდის შეგავლენით თვალში საზოთიროდ არა სცემოდა და მით არ დარღვეულიყო ის საერთო სა-ხე, რომელზედაც ანდრეი პავლოვიჩი შეუშლელის წეს-კანონებით უფლობდა.. და ამასობაში დროც მიდიოდა..

* * *

— რა იყო დარო?.. შენც ჩემსავით ჩამოყარე ყურები?.. თითქო ყოველ-თვის ურიგდებოდი შენს ვარემოებას, თუნდ ვეშაპის პირში ყოფილიყავ, ეხლა რაღა დაგემართა?..

უთხრა ერთხელ სალიმ დარიკოს, როდესაც სასტუმრო ოთახში ისხდნენ, სალი წიგნს ფურცლავდა, დარიკო დივანზე მიწოლილიყო და დაღონებული სივრცეში იყურებოდა..

— ჭეპ-კლდე ხომ არა ვარ, მეც ადამიანი ვარ.. მას აქეთ, რაც ჩვენები აპირებენ სოფელში წასვლას, გული როგორღაც ცუდად მიხდება.. კვირეში ერთ-ხელ მაინც მიედიოდი სახლში და ესეც თითქო რაღაც ნუგეში იყო... უპასუხა დარიკომ და ტუჩები აუთრთოლდა..

სალის წიგნი მუხლებზე დაუვარდა და შუბლ-შეკრულმა გამოხედა და-რიკოს. ეს უცბად მაგრდებოდა, როდესაც მზავრელის, ან ჩავრულის წინ

იდგა, სხვა დროს თითქო დაქანცული თასმისავეით დუნდებოდა, მისი ნებისყოფაც სუსტდებოდა.. მაგრამ ამ დროს, ოთახში უცბად გაიხსნა კარის-შრიალი, ოთახში ანია შემოსულიყო და პირდაპირ ამათქვენ მოდიოდა..

— დარინკა, ტირი?.. არ შეიძლება მითხრა, რაზე ტირი?..

— თქვენები როდის მიდიან სოფელში?..

ჩქარ-ჩქარა იცითხებოდა ანია, „როდესაც გვერდით მოუჯდა და სამეგობროდ ხელი გადახვია..

ეს ყურადღებას არ აქცევდა პატარა ქალები როგორ გაშტერებულ იყვნენ..

— არ ვიცი რა დღეს.. მაგრამ ძალიან მალე..

სლოკინით ძლივს პასუხი გასცა დარიკომ..

— მერე მაგაზე როგორა ტირი, შე გლახავ?!.. გეტყობა, ძალიან გინდა აქედგან წისვლა არა?..

ანიამ დარიკოს ნიკაპს მალა ასწია და დაკვირვებით ჩააჩერდა პატარა ქალს აცრემლებულ თვალებში. და წუთის ოკითონაც ჩრდილმა გადაურბინა სახეზე... მაგრამ მისი თვალები კვლავ გაკრიალდნენ და განაგრძო:

— დარინკა თითქო მზიარულ ბავშვად მიმაჩნდი, სალინკა რომ აგრე დამხვედროდა არ გამიკვირდებოდა, მაგრამ შენ?! შენ ვეღარ მიცენიხარ.. პატარა ქალებო, სამახარობლოს რას მომცემთ, რომ გითხრათ თქვენც მალე წახვალთ შინა-მეთქი?.. სულ-მალე..

ანიას, როგორც ლაპარაკის დროს, ისე მთელ მის მიხვრა-მოხვრასა და სახის შეტყვევებაში აღაცემა მოუჩანდა, რაღაც უხილავის ძალის მონა-მორჩილი მის კარნახს ბრმა-ყრუდ მისდევდა...

— ჩემი სიტყვები გჯეროდეთ ბავშვებო, რომ ჰეშმარიტია და ასრულდება... თქვენ უსათუოდ აქედგან მალე წახვალთ, მე თვითონაც მინდა ასე მოხდეს, რადგან... რადგან... იქ გირჩევიანთ.. აქ კი...

ანიამ ხელი ჩაიქნია, ხმა აუსართოლდა აღელვებისგან..

— მე ეხლა გიმღერებთ და ეს ჩემი სიმღერა დიდხანს, დიდხანს ჩაგრჩებათ გულში!..

დაუმატა მან ხმა-დაშვებით, თითქო რაღაც საიდუმლოებაში გახვეულ კილოთიც და წუთის როიალთან გაჩნდა და ყოველთვის რალაზედაც მდუმარე დაღერებით გამოიყურე მდიდრულად მორთული ოთახი უცბად აივსო ნახის, გრძნობიერის ხმებით და იქ მყოფ უსულო საგნებსაც, როგორც უცბად მოვლენილმა გრძნულმა მზეფარე სიცოცხლით აღსავსე ფრთა დაუქნია.

„Вечерком красна девица

На прудок за стадом шла.

Черноброва, Круглолица

Так гусей домой звала:

Тяга, тяга, тяга,—

Вы гуськи мои, домой!

Тяга, тяга, тяга,—



Гуськи серенькие домой!
 Мне одной любви довольно,
 Чтобы век счастливой быть,
 Но сердечку очень больно
 Поневоле в свете жить...
 Не ищи меня, богатый,
 Коль не мил моей душе
 Что мне, что твои палаты?
 С милым рай и вшалаше...
 Вечерком красна девица
 На прудок за стадом шла.
 Черноброва, круглолица
 Так гусей домой звала“...

და ანბას მალა აწეული ხმა პაერშივე გაწყდა, წითელ ატლასის ფრად არიალებული სახე მოიღო ქალებისკენ, რომელნიც უკვე მის სკამთან იდგნენ.. დღემდის ამათ შორის აყუდებული გამთოზავი ცივი ყინული ამ წუთებში გრძნეულის პანგისგან უცხად გამლხვალ-ჩამდნარი თითქო ძირს ქვესკენელში ჩავარდნილიყო, მიგვირად სამივეს არსებაში გაჩენილიყო მეტად ნახი, მაგრამ ამასთანავე ცხოველმყოფელი ძალა გამოუხიზლებისა და გამზნევეებისა და ერთის გატაცებით გამსკვალულნი იხედებოდნენ იმ რიჭრაყისკენ, საითაც აღმომხდარი დილის ცისკარი სიბნელის გაქრობის და უკვდავების ნიშანს უჩვენებდა. ანბამ ორივეს ერთად შემოხვია მაგრა მკლავები, გულთან მიიზიდა და გრძნობით აკოცა.. შემდეგ აქეთ-იქით ხელი ჩასჭიდა მიიყვანა სელთან, თვითონაც შუაში ჩაუჯდა.. ანბამ თავი მიჰყუდა სელის ზურგს, დარჩა კარგახანს გაჩენებული, ეტყობოდა ძლიერ ღელავდა, მაგრამ ღელვა მისი იყო სამშვიდობო, ზებნელ ტალღებს გადაცდენილი.

— იცი, პატარა ქალებო, მე ზვალ დილით ჩემს ამხანაგთან ერთად მივდივარ ამ ქალაქიდან... ალბათ სულ ცოტა ორის კვირის ვადით... ჰმ!.. მაგრამ ადვილად შეიძლება მეტ ხანსაც შემიგვიანდეს... და იქნება... იქიდან დაბრუნებისას თქვენ აქ აღარ დამიხედდეთ... ამისთვის მინდა გამოგეთხოვოთ, გამოგეთხოვოთ ისე ტკბილად, როგორიც ტკბილი ეს არის...

ამ სიტყვებით ანბამ იქვე მდგარ მაგიდიდან აიღო ქალაღლის საეხე პარკი და განავრძო...

— ვთხოვთ არ დაივიწყოთ ანბა, ის ანბა, რომელსაც თქვენთვის არასდროს ცუდი არა ნდომებია, მაგრამ თუ ვერ შეუტრულებია რაც უნდა შეესრულებინა, ეს მომხდარა იმ მიზეზის გამო, რომ ვერ გადაულახავს საპატიო დაბრკოლებანი და თქვენც უნდა აპატიოთ...

დაუმატა მთრთოლვარე ხმით და პატარა ქალებს გადასცა პარკით შაქარლამი.. ხელ მეორედ უფრო მაგრა აკოცა.. სთხოვა მათაც გულახდით გამოეთქვათ ამის წინაშე თავისი სურვილები და ბავშვებმაც მოსთხოვეს კიდევ ემღერა.. განუწყვეტლად ემღერა ამ მინდვრიდან მოფრენილ ტოროლას, რომლის

ტკბილი და წკრიალა ხმა ასე სულში ჩაწედენით მიუწოდებდა ალთქმულ მზარისკენ... ანიამაც დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს გარეგანი მოსახლელ კარებში აიშართა ანდრეი პავლოვიჩის ჩასხმული უშველდელი გვამი ხელში დიდის პორტფელით და მისმა გამოჩენამ ტოროლაც დაქრილსავით უცბად ფრთებ დაქცვილი თავქვე დაუშვა, მაგრამ თავდაცვისათვის მაინც გრძნობა შენარჩუნებული... ანდრეი პავლოვიჩს მოყვნენ აგაფია თავის მოლოზანით, რომელიც საყდარში ნაკურთხ სებისკვრის ნაწილებით თვითიულად ყველას ამწყალოებდა და აგაფიაც მის კურთხევის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ცდილობდა რაც შეიძლებოდა სასოებით ყოფნას...

თუმცა დღის წესრიგმა წვრილმა ყველა იქ მყოფი მოთხოვნისანებრ აიზოქმედა, მაგრამ როგორც ანია, ისე პატარა ქალები ასრულებდნენ მარტო ხელოვნურად.. ანია სადილზედაც განსაკუთრებულის სითამამით ეხუმრებოდა მამას, ისევე მოსთხოვდა რაც ესაკიროებოდა და მალიმალ კისკისებდა.. სადილის შემდეგ კი აგაფიას სულ უკან დასდევდა, სადმე კუთხეში მიმწყვედოულს დაბეჯითებით რალაზედაც ამშვიდებდა. სალი და დარიკოც თვალს არ აშორებდნენ და კარგად გრძნობდნენ რო მართლადაც ეს ქალი რალასაც აპირებდა და ეს რალაც მასვე მოჰსვენრად ხდიდა.. ანიას მომზიბვლელი ხმა, წარმოთქმული სიტყვები ეხლაც სასიამოვნოდ ჟღერდნენ პატარა ქალების სმენაში და ამით არსებიაში ჰპოვებდნენ ერთსულოვნობას. ერთი ათად აღიზიანებდნენ სოფლისკენ წასვლის სურვილს, მაგრამ როგორ?! ასე უცბად რანიირად შეგვეცილიყო ვადა შემოდგომამდის გადადებული?! ისეთი რა უნდა მომზადარიყო, ზაფხულს უცებ თავს გადავლებოდნენ და სუსხიან შემოდგომას პირის პირ დასდგომოდნენ, იმ შემოდგომას, რომელსაც გამთოშავე ყინული ზურგს უკან საშიშრად ამოფარებოდა.. შეუძლებელი იყო... ანიაც ალბად განგებ გულს უკეთებდა, რათა ზაფხული მეტის მოთმინებით გაეტარებინათ და მანამ ხომ შემოდგომაც დადგებოდა.. და ამითი იმედებიც იწვედნენ ისევე შემოდგომისკენ, რომელსაც სალი ისევე ნაღვლიანად და უნდობრად უყურებდა და მისგანაც დიდ სიკეთეს არ მოელოდა.. ამას რაკი ეჯავრებოდა ყოველნაირი მრისხანება, არა სწამდა არავითარი მარყუტები, უყვარდა სილალით აღვსილი თავისუფლება, გაზაფხული, მისი მომყოლი ზაფხული, რომელთ ძალა ყოველ არსში ახალ ნასახს ბადავდა და მუდამ მისთვის მომღერალი, მისი ტრფიალი სალიც გულის ღონებით თვალს არიდებდა ამ გამტყერაინებულ, ცხარე მზისგან დაბუჯულ ქალაქს, სადაც ეს ძვირფასი დრო უნდა გაეტარებინა. ამაზე ფიქრი მეტად მძიმე აუტანელი იყო, მიუტყვებელი ბოროტმოქმედება იმ პირებისა, რომელთ წყალობით ასე ხდებოდა.. ეს და კიდევ მრავალი სედეები მოჯარებულნი საგრძნობ ქსელებს აბამდნენ პატარა ქალის გულში...

* *

უსიამოვნო დილა იყო. წვიმა.. ისეც დაბინდული სასადილო ოთახი დღეს ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილი.. დიდის ფანჯრებით გრძელ განიერ შუშაბანდში გამყურგ.. იქიდან ეზოსკენ, სადაც საბლის სახურავებიდან მიღებში გროვდებოდა წვიმის წყალი, ძირს დატანებულ ღარებიდან თავმოამაბურებელის ჩქა-

ფუნით ეტეოდა იქით, საიდანაც შემდეგ თავზევე ეკანებოდა ქვაფენილზე უფრო თავხედად ახმურებულო, აურზაურის ასატეხად ჭურისკენ მიმწვივნი! მხუფლად სახლობა კურგუზოვებისა ამინდის შესაფერად მოწყენილი ჩაისსაგანსა მკვრივად შემოსხდილობდა, მასწავლებელის და ანიას გამოკლებით, ეს უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც წასულიყო ამზანავთან ერთად და სახლობამაც იცოდა. როგორც სჩუქვოდა ლუარსაბამ დანიშნულ წუთს ანდრეი პავლოვიჩს მოართვა ლანგარზე დალაგებული ვაზეთი და წერილი.. მანაც დაუდევრად დაუწყაო თვალღერება.. წერილის დანახვაზე ავაფია შეშფოთდა, გაგანიერებულის და ამასთანავე უფრო გამოციებულის თვალეზით შეხედა ლიუბას, რომელიც ასეთისავე შეკრთომით შემოკყურებდა დედას და თითქო ტანში მსხუდებავი ეკლები გასჩენოდა, მოუსვენრად ტოკავდა.. ანდრეი პავლოვიჩი კი უჯულოდ ხედა პაქეტს, უკვე სჯეროდა ვისგანაც იქნებოდა. თავმობზრებული სხვადასხვა პირებისაგან წერილობით თუ პირადად ბოლო მოუღებელის ღიჯინით, რათა „პრიკაში“ მამულის დაგირავევის გამო მათ ახლართ-ჩახლართულ საქმეებში როგორმე დახმარებოდა... ეს ხომ კრიჭინის ბოლო მოუღებელი გაბმული ტიჭინი იყო ანდრეი პავლოვიჩის ყურში შესული და დღესაც ჩვეულებრივად ცდილობდა ამ ხმურობას ცალის ყურით დახვედროდა, რათა მეორეშიაც ასევე მალე გასელოდა. მაგრამ კვლავ ადრე ავაფიამ შენიშნა ანდრეის სახე ხან როგორ წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა და ჩაის კურკლის საწმენდი ტილო ხელიდან ვაუვარდა, სკამზე დაეშვა, მთლად მოიკრუნჩხა, თითქო ცდილობდა ადგილიდან ნისლსავით გამჭრალიყო.. ამ დროს ანდრეი პავლოვიჩიც შეინძრა, ხელის თითებში მაგრა ჩაქუქნა წერილი, და ორივე ხელი ჯიბეებში ჩაიწყაო, სკამზე გადაწვა, თვალეზი მოხუკა.. სახეზე სისხლის ნასახი აღარ ეტყობოდა, ვაფითრებულს ფილენჯი უჩნდებოდა, ხშირხშირად სუნთქავდა...

— ანდრეი!.. გლემიკ!.. ლიუბა!.. ჩქარა კიჭით ცივი წყალი!..

შესძახა ავაფია პეტროვნამ და მთლად აცახცახებული ძლივას წამოდგა, მაგრამ ანდრეი პავლოვიჩს შეესმა თუ არა ავაფიას უმწყო ხმა, თავისი უგუნებოდ ვახდომია იუკადრისა, თვალეზი ვაახილა, სუფრას მოაელო. მის წინ იდგა ლიუბა წყლით სავსე კიჭით, კიჭა თეფშზე ზანზარებდა და როგორც კიჭის მომტანი ისე დანარჩენი იქ მყოფნი თითქო უსულოდ კცეფულნი მოჩერებოდნენ, განძრევას ველარ ბედავდნენ...

ანდრეი პავლოვიჩმა ლიუბას ხელით ანიშნა თავის ადგილზე დამჯდარიყო და თვითონ ზეზე წამოდგა...

— ავაფია პეტროვნა!.. როგორღაც ცუდადა ვარ... არავინ შემაწუხოთ... სახლშიაც მეტ თვალსა და ყურს ნუ შემოუშვებთ!..

წარმოსთქვა მან, ათრთოლებულის ხელით აკრიფა ვახეთები, წერილი და თავჩალუნული მძიმე მძიმედ წავიდა თავის ოთახისკენ... თითქო უცბად ამ წუთში მხრებშიაც მოხრბილიყო...

ანდრეი პავლოვიჩის ცუდად ვახდომის ნამდვილი მიზეზი როგორცა სწინდა მარტო ავაფიამ და ლიუბამ იცოდნენ და რად იცოდნენ სწორედ ამაზევე სწუხდნენ, ხმა ჩაკმენდილები ერთმანეთსაც კი ვერიდებოდნენ, რათა მათი საი-

დუმლოება მესამე პირს არ გაეგო... იმ დღეს არამც თუ საჭმეზე მისული უცხო ვინმე, აგაფიამ თავისი გულის გული და რწმენა მოლოზნნიკს კენს... მართლაც თუმცა ამ უკანასკნელმა დიდის მუნათით წმიდა სევასტიანს მართლ საბჭო მოუტანა საჩუქრად...

სალი ამ ახალ მოვლენასაც გულცივად დახედა, ხშირად რაღაც ძალდატანებისაგან აუთრთოლდებოდა-ხოლმე ტოჩები, უცხად სახეზე ხელებს მიიფარებდა, არა სჯერდებოდა იმ ბნელ სათვალეებს, რომლებიც ემბარებოდნენ და მის ავადმყოფ თვალებიდან გაბნეულ ალტაცების გამოხატველ ნაპერწკლებს უფარავდნენ...

სალი სახეზე მიფარებულ ხელების თითებს ერთს მეორედან განზე სწევდა და იქიდან ქურდულად იხედებოდა და რალახედაც ნიშნის მოგებით მთელი მისი სხეული ახირებით შესლილსავით უხმოდ ხითხითებდა...

სადილზე ანდრეი პავლოვიჩი ისევ ჩვეულებრივის სიმშვიდით ცოტა ფერ გადატეტილი, მაგრამ წელში ამაყად გამართული თავის დონეზე დამდგარი, ღირსეულად იყურებოდა და რადგანაც სადილზედაც უცხო თვალი არ უყურებდა, მასწავლებელიც კი ნაცნობთან წასულყო, რაც ამ უკანასკნელ ხანებში ხშირად ხდებოდა და მასპინძელის ფხიზელ ყურადღებისთვის შეუმჩნეველი არა რჩებოდა, ცოლს ოდნავად გაუღიმა და უთხრა:

— აგაფი პატროვნა! ეტყობა ანიას განსაკუთრებით ჰყვარებიხართ და კიდევაც ვაგრძნობინათ, რომ ერთად ერთი თქვენი პირდაპირი მემკვიდრე ის ყოფილა და როგორც ერთ დროს თქვენ მოიქეცით, ისე ისიც მშობლების დაუკითხავად ვიღასაც ვაპყობია. აი რას გვატყობინებს ეს წერილი... თუმცა მას უმთავრესი დავიწყებია რომ თქვენ დედამამის ერთად ერთი შვილი ყოფილხართ და სწორედ ამას უშველია რომ მშობლებს ისევ მიუღიხარათ...

ის კი ჩვენს შვილებში ერთიმეოთხედთაგანია და მისმა დღევანდელმა ნამოქმედარმა ის მეოთხედიც სამუდამოდ წაშალა ამ ოჯახში.

გთხოვთ თქვენ თითონ წაიკითხოთ მისი წერილი და დაწვრილებითაც სცნობთ საჭმე რაშიც არის... მაგრამ... მჰ!.. იქნება წაუკითხავადაც უკვე დიდხანია უფრო კარგად იცით ყველაფერი?.. თქვენი თვალების ციმციმი მიკარნახებს რომ ეს თქვენთვის ახალი გაგონება არ უნდა იყოს... მაგრამ ჩემთვის ეხლა... აგაფი პეტროვნა სულ ერთია!..

ანდრეი პავლოვიჩმა დაუდევრად გადმოუგდო აგაფიას წერილი, აგაფიამ მოკრძალებით აიღო, მას თვალები ძირს დაეხარა...

— მაგრამ ეს იცოდეთ ჩემგან, რომ ანია დიდად მოტყუებული ბრძანდება... განაგრძო ანდრეი პავლოვიჩმა და გულზე ჩამოკიდებული ოქროს ძეწკვი ხელით აათამაშა...

— მას სიღარიბე რაკი ჯერ არ უგრძნვია, რასაკვირველია არც იცის რა ხილია... შიმშილში ვასცვალა მშვიდობიანი და უზოუნველი ცხოვრება?.. დიდი გაბედვია, რასაკვირველია, ეს მან ჩაიდინა ცალკე სიყმაწვილის გამო, ცალკე იმ არაკების ზეგავლენით, რომელნიც მეტად მხატვრულად და მომხიბვლელად აღვიწერენ ხოლმე თვალისმომკრელ საზღაპრო კუნძულებს, სანეტაროდ გაშენ-

ბელ მხარეებს, სადაც უსხეულო წმიდა სიყვარული სუბუქად ფრენს თვისიანად მშვენიერ ხეებზე და მარტო წალკოტების ყვავილების სუნნელებზე გვედგება... რასაკვირველია ამნაირად წარმოდგენილ სიყვარულით აღვსულად ვინც ვინც ვინც... ლასთვის სანატრელია...

— მაგრამ ხე!.. ხე!.. ხე!.. ჩაიხიოხითა ანდრეი პავლოვიჩმა და კვლავ დაცინვით გამოხედა ავაფიას...

სამწუხაროდ ყველა ეს მარტო ლამაზი, წუთიერი და ხელიდან მალევე გამსხლეტი ზმანებაა, რომ ამ ზმანებიდას გამოსული სული სამუდამოდ ჩაკოწიწებულია ჩვენს ტლანქ სხეულში, ზორცში, რომელიც მიისწრაფის თვის დასაბამ მძიმე მიწისკენ და როგორა გნებათ ამის შემდეგ დედამიწის მოთხოვნილებას გვერდი აუქციოთ?! და აი აქ, სწორედ აქ, ჩვენი ანიაკ ვარდება დიდ შეცდომაში, თუ ჰგონია მშვიერი სიყვარული უკვდავია... ღარიბის სიყვარული თავის მოტყუებაა, რადგან ადამიანი ჯერ თავისითავის მოყვარულია, შემდეგ დანაძრენებისა, ღარიბი კი მარტო ეკიდება, ებრალება როგორც გოშია და ხშირად აბუჩადაცა ჰყავს ავდებული... ეს ისეთი საანზნაო ჭეშმარიტებაა, როგორც ორი და ორი ოთხი... მაგრამ იქნება ან ის ჰგონია ჩვენგან რაშიმე ხელი მოინაცვლოს?! ეს ჩემი სასაცილოდ ავდება იქნება... მე იმას ჩემს შეილაღ აღარა ვეცნობ!..

შესძახა ეხლა კი მეტად გავულისებრულმა ანდრეი პავლოვიჩმა, მაგიდას ღონიერად ხელი დაქრა, სასტიკად გაბღვირა ლიუბას, რომელმაც საჩქაროდ თავი ძირს დაიღო, გლებიკმა კი დამუჭული ხელი ტუჩებთან მიიტანა და ჩაითრუტუნა რიათაქ მამას აგრძობინა, აზრებით შენთანა ვარო...

სალიმ შენიშნა ანდრეი პავლოვიჩისაგან საბრალო გოშიად ნახსენები სიუარბივე ვალოდიას გულს როგორ საოცრად ეცა და მეტად აღელვებულმა, სახე აღანძულმა მსწრაფლ მაგიდის ქვეშ თავი დალუნა რიდასიც საძებნელად...

კარგა ხნის ფოთარის შემდეგ ვითომ ძლივს მისწვდა თავისგანვე განზრახ ჩადებულ ხელისსახოცს და, როდესაც წელში გასწორდა, ნაღვლიანის თვალებით გაიხედა სალისკენ... ვალოდია სალის მარტო ტუჩების და წარბების მოძრაობაზე იგებდა მის გულის პასუხს, რაკი თვალებს ვერა ხედავდა. და სალის წარბების და ტუჩების მოძრაება ხაზებმა ეხლაც მოაგონეს ისევ ის ძველი რწმენა, რო ეს ყოველთვის მართალი იყო, როდესაც ანდრეი პავლოვიჩზე სამდღრავს აცხადებდა, რომ მასი აზრით ამჟამად ანდრეი პავლოვიჩიც მართალი იყო, როდესაც აზბობდა, რომ ყველაზე მეტად მას თვისი თავი უყვარდა... და ვალოდიამ სალის წინ როგორც დამარცხებულმა შორჩილად თავი ძირს დახარა...

როგორც დიდი ქექა-ქუხილის გამგონე და საშიშარ რისხვის მომლოდინე აღტაცებით შეხედება ხოლმე უცბად ღრუბლებ გადაყრილ ცაზე განათებულ მზეს, ისე სადილზე მსხდომნიც გულში მეტად გახარებულნი შესსკეროდნენ ანდრეი პავლოვიჩს, თუ ის თანდათან ჩვეულებრივ გუნებაზე როგორა დგებოდა და სადილსაც როგორ ნება-ნებისად მიირთმევდა...

სუფრიდან ადგომის უმალ ავაფია თვის ოთახისკენ გაემართა; ანდრეი პირველ წოდებულის ხატის წინ მუდამ გაუქრობელ ლამპარს გულუხვად კიდევ

ზეთი მიუმატა და თვითონაც სამჯერ მუხლი მოიყარა მადლობის შესწირავად, რომ ეს დიდი ხიფათი ასე ადვილად თავიდან ააცილა...

— სალი!..

— დარიკო!..

— ნახე რა მოხდა?!

გაოცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს დები სასტუმრო ოთახის ერთერთ კუთხეში მიყუჩეულები...

— გახსოვს ანიას სიმღერა?..

— რა დამაფიქვებს!.. იმან გვიმღერა რომ ერთად ერთი ქეშმარიტი ბედნიერება სიყვარულშიაო.— ფიქრთანად უპასუხა სალიმ...

— პაპაშა კი ამბობდა...

— საქმე გამოგლევია, რომ იმას ყურს უგდებ!..

სალიმ უცბად ხელი აოქნია და დარიკოს სიტყვა გააწყვეტინა.

პირველი ნაწილის დასასრული შემდეგ ნომერში.

არტამონოვის საქმე

გაგრძელება *

პეტრე არტამონოვი თავეისი ვაჟი ვერც კი იცნო, როცა იგი, მალალი და ტანადი, ოთახში შემოვიდა ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი. გამხდარ შეფერვმან სახეს შესამჩნევად ამოფეთქილი უღვაშები უშვეწებდა.

განიერი და მსხვილი იაკობი გიმნაზიელის ხალათში ნაკლებად გამოცვლილი სწანდა. ზრდილობიანად სალამის მიცემის შემდეგ ძმები დასხდნენ.

— აი, — წარმოსთქვა მამამ და კანტორაში გაიარ-გამოიარა — აი, ბებიაც წიიცილა.

ილიამ არაფერი არ სთქვა. პაპიროსი გააბოლა. იაკობმა კი ახალი ხმით, რომელიც უფრო სხვის ხმას ჰგავდა, წარმოსთქვა:

— კარგია, რომ არდადებებზე მოხდა, თორემ ვერც კი ჩამოვიდოდი.

უნცროსი ვაჟის სულელურ სიტყვებს პეტრემ ყურადღება არ მიაქცია, თითქოს არც კი გაიგონაო. უფროსს დაუწყაო დაკვირვებით ცქერა.

ილია გამოცვლილი იყო, სახე განმტკიცებოდა, გაშავებული თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ღურჯი თვალები კი გაღრმავებოდა. სასაცილო და მეტად უხერხული იყო იმისი გახსენება, რომ ამ სოლიდურ ტანსაცმელში გამოწყობილ ჩაფიქრებულ კაცს პეტრე ხანდახან თმის აგლეჯდა ხოლმე თავზე, არც კი ჯეროდა, რომ ეს ასე იყო.

იაკობი კი ავარდნილიყო, გადიდებულ, ხოლო ისევე ისეთივე ფუნთუშა და ცისფერ-თვალემა კი სწანდა, როგორც ბავშობაში იყო, პირისახეც ბავშური შერჩენოდა.

— ძალიან დიდი გაზრდილხარ, ილია — უთხრა მამამ. — აი დააკვირდი საქმეს და სამიოდე წლის შემდეგ საქეც ხელთ აიღე.

ილია შეზნექილ საპაპიროსეს ატრიალებდა ხელში, მან მამას შეხედა და უბასუბა:

— არა, მე ჯერ კიდევ ვისწავლი.

— დიდხანს დაგვირდება კიდევ?

— ოთხი-ხუთი წელიწადი.

— რისთვის ამდენი?

— ისტორია უნდა შევისწავლო.

არტამონოვს არ მოეწონა, რომ შვილი თამბაქოს ეწეოდა. საპაპიროსეც

* ია. მნათობი № 8—9.

ცული ჰქონდა, უკეთესის ყიდვა შეეძლო. მამას კიდევ უფრო არ მოეწონა შვილის განზრახვა, რომ სწავლის გაგრძელება უნდოდა და ისინი წინაშე პირველადვე ამაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

ფანჯრიდან ფაბრიკის სახურავი უჩვენა, რომელზედაც წვრილი მილით ორთქლი ამოდირდა და საიდანაც მუშაობის ხმაურობა ისმოდა. ბეჯითად, მაგრამ თან ლბილი გამოთქმით უთხრა შვილს:

— აი, როგორ ჰქვინავს ისტორია. აი, რას სკირია შესწავლა. ჩვენი საქმეა ტილოს ქსოვა, ისტორია კი ჩვენი საქმე არ არის. მე უკვე ორმოცდაათი შემისრულდა. დროა გამომცვალო.

— მირონი გამოგვეკვლის, ან იაკობი. მირონი ინტენერი იქნება.—უპასუხა ილიამ, ხელი გააკო ფანჯარაში და პაპიროსი დაფერთხა. მამამ მოაგონა:

— მირონი ძმის შვილია, შვილი კი არ არის. მაგრამ ამაზე კიდევ შემდეგ.

შვილები წამოდგნენ. ოთახიდან გავიდნენ. მამამ მათ გაკვირვებული და გოცებული თვალები გააყოლა.

რას ჰგავს ეს? ნუ თუ სათქმელი არაფერი არა აქვთ. სულ რაღაც ხუთი-ოდე წუთი დარჩენ. ერთმა რაღაც სისულელე სთქვა და დაამთქნარა, მეორემ თამბაქოს კომლით აავსო ოთახი და პირველი სიტყვითვე აწყენინა. აი, ახლა ეზოში მიდიან და ილიას ხმა ისმის:

— წავიდეთ, მდინარე ვნახოთ.

— არ შემიძლია, გზამ დამანეღრია.

მდინარე ხელაღარსად წავა, დედა კი გულდაწყვეტილია მშობლის სიკვდილით და გასვენების თაედარიც შერჩა.

პეტრე არტამონოვს ჩვეულებად ჰქონდა ყოველთვის პირისპირ შეხვედროდა უსიამოვნებას, რათა მყისვე ისევ გაპყროდა მას. მან ერთი კვირით მოასვენა შვილი. ამ ხნის განმავლობაში შენიშნა, რომ ილია მუშებს „თქვენობით“ ელაპარაკებოდა, ხოლო ღამ-ღამობით დიდხანს ესაუბრებოდა ტიხონსა და სერაფიმეს და მათთან იჯდა ჰიშკართან. მან ერთხელ ყურიც მიუგდო მათ. ტიხონი მიმკდნარებულნი ხმით თავისებურ სულელურ სიტყვებს გრებდა:

— ასე, მაშ. მათხოვრის ცხოვრება რა ცხოვრებაა? მართალია, ილია პეტრესძევ, სიხარბე რომ არ იყოს, ყველა კმაყოფილი იქნებოდა.

სერაფიმე კი კაკანებდა:

— ეს მეც ვიცი... დიდი ხანია, რაც ასეთი აზრები მომისმენია...

იაკობი უფრო შარტივ, ადვილად გასაგებ ცხოვრებას ატარებდა: კორპუსებში დადიოდა, გოგოებს თვალები ეფერებოდა და თავლის სახურავიდან მდინარეს გასცქეროდა, სადაც სადილის წინ ქალები ტანს იბანდნენ.

— მოზგერია,—ფიქრობდა მამა.—სერაფიმე უნდა გავაფრთხილო, რომ ყური ადევნოს: რაიმე არ დამართონ...

საბზაბათი მოღრუბლული გათენდა. მშვიდი დღე იყო, რაღაც ჩაფიქრებული დილით ადრე ერთი საათი იწვიმა—ხანტად, ტუნწად. შუადღეს მშემ გამოანათა, რაღაც უჩალისოდ გადმოხედა ფაბრიკას, ორი მდინარის შესართავს დააკვირდა

და ისევ ნაცრისფერ ღრუბლებში მიიმალა, თავი ჩარგო მათ ბუმბულთან მკერდში, როგორც ნატალიას სწევოდა ხოლმე ღამით თავისი ლაღლავა სახის ზაღღღში ჩამალვა.

სალამოს ჩაის წინ არტამონოვმა იაკობს ჰკითხა:

- ძმა სად არის?
- არ ვიცი. ამას წინ გორაზე იჯდა, ფიჭვის ძირში.
- დაუძახე. თუმცა ნუ... საჭირო არ არის. სხვა, თქვენ ხომ თანხმობით ცხოვრობთ?

მოეჩვენა, რომ მის უმცროსმა ვაჟმა ძლივს შესამჩნევად გაიციინა.

- არა უშავს რა, თანხმობით.— უპასუხა.
- მაინც. მართალი სთქვი.
- იაკობმა თვალეზი დახარა, ჩაფიქრდა.
- აზრებში მაინც და მაინც არ ვეთანხმებით.
- რა აზრებში?
- საზოგადოდ.
- მაინც?

— ის სულ წიგნების მიხედვით მსჯელობს. მე კი უბრალოდ, საკუთარი ჭკუით... ისე როგორც თვალთ ვხედავ.

— ასეა მამ, — სთქვა მამამ. მან არ იცოდა, თუ უფრო დაწვრილებით როგორ გამოეკითხა.

წამოიხურა საზაფხულო მოსასხამი, ხელთ აიღო ალექსის ნაჩუქარი ჯოხი — ვერცხლის. თავიანი, რომელიც მალახიტის ფრინველის ბურთ-ჩაჩრილ კლანკებს წარმოადგენდა. ჭიშკრიდან რომ გამოვიდა, ხელის გული თვალეზზე ჩამოიფარა და მღინარის ნაპირს გახედა. იქ, გორაკზე, ხის ძირში ილია წამოწოლილიყო, თეთრ ხალათში გამოწყობილი.

— დღე ჭიშკრა ნესტით გაქვნილია. შეიძლება ვაცივდეს, თავს არ უფრთხილდება.

აუჩქარებლად გაემართა შვილისკენ. მდელის ფეხებს აჭერდა. ტყრილი გაუდიოდა. პატიოსნურად სინჯავდა ყველა სიტყვას, რომელიც ვაჟისთვის უნდა ეთქვა. ილია პირაღმა იწეა ზურგზე და მსხვილ ტანიან წიგნს კითხულობდა, ხედავს ფანქრის წვერს უკაკუნებდა. მოახლოვებული ნაბიჯის ხმაზე თავი წამოსწია, მამას რომ შეხედა, წაგნი მოიშორა, შიგ ფანქარი ჩასდო და დახურა. მერე წამოხდა, ფიჭვს ზურგით მიეყრდნო. ალერსით შეავლო თვალეზი მამას. უფროსმა არტამონოვმა ერთი წამოიქლომინა და ხის ამოხნეტილ ფესვებზე ჩამოჯდა.

— დღეს საქმის შესახებ არ ეილაპარაკებ. შემდეგშიც მოვასწოვებთ. ისე ენაუბროთ.

მაგრამ ილიამ, ხელეზი მუხლზე მოიხვია, და ხმა დაბლა წარმოსთქვა:

- ასეა, როგორც გითხარი, მამა: მე გადაწყვეტილი მაქვს ჩემი თავი მეცნიერებას შევწირო.
- შესწირო. — გაიმეორა მამამ — მღვდელი ხომ არა ხარ, რომ შესწირო?

ხუმრობა უნდოდა, მაგრამ საკუთარი სიტყვები თვითონვე გულმძიმედ, ბრაზით წარმოთქმულად მოეჩვენა. უკმაყოფილო სახით ჯონას შეხედა და არტყა და მკაცრად რაღაც გაუგებარი, მოულოდნელი რამ მოხდა: ჩნდა ისე, თუ-ღეღი გაუშავდა. სწორი წარბები შეიკრა, თმა შეზღიდან უკან გადაიგდო და არა სასიამოვნო სიმტკიცით წარმოსთქვა:

— ფაბრიკანტი შე არ ვიქნები. ამ საქმისათვის გამოუდგეგარი ვარ.

— სწორედ ასე ლაპარაკობს ტიზონი, — შენიშნა მამამ გაცინებით.

შვილს ამ შენიშვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია. აუხსნა, თუ რატომ არ უნდოდა, რომ ფაბრიკანტი ან საერთოდ მსგავსი ვინმე ყოფილიყო. დიდხანს ლაპარაკობდა, ათიოდე წუთს. მამა ზოგჯერ რწმუნდებოდა, რომ შვილი მართალს ამბობდა. გულში სიამოვნებდა, რომ ილია მას ფართულ გაურკვეველ ფიქრებს უდასტურებდა. მაგრამ საერთოდ კი ცხადი იყო, რომ ილია ბავშურად უგუნურად მსჯელობდა.

— დაიცა, — უთხრა მან და ჯობი შვილის ყეხის ახლოს, ქვიშაში ჩაარტო — დაიცა, ეს ასე არ არის. ეს — სისულელეა. ხელმძღვანელობდა საჭირო. უხელმძღვანელოდ ხალხი ვერ იცხოვრებს. ყოველთვის ამბობენ: „შე რა მოგებაა?“ ყველაფერი ამ თითის ტარზე ეხვევა. კიდევ ბევრია ასეთი თქმა...

პეტრე აუღელვებლად ლაპარაკობდა. შესაფერ ანდაზებს იგონებდა, მათი სიბრძნის სიღრმეში სიტყვებს სძირავდა. მოსწონდა რომ მშვიდად საუბრობდა, სიტყვების ძებნა არ უზღებოდა და მათ ადვილად პოულობდა. დარწმუნებული იყო, რომ ამ ვასაუბრებას კარგი ზოლო ექნებოდა. შვილი კი სდუმდა, ქვიშას ათამაშებდა, ერთი მუკიდან მეორეში იყრიდა, სულის შეტერვით ანიავებდა და შეწითლებულ ეკლის მავგარ წიწვებს აშორებდა.

მაგრამ უცებ ილიამაც სრულიად მშვიდად წარმოსთქვა:

— ყველაფერი ეს შე არ მაჯერებს. ამ ანდაზების სიბრძნით ამერიიდან ცხოვრება არ შეიძლება.

უფროსი არტამონოვი წამოდგა ჯოხზე დაყრდნობით. შვილი არ მიშველებია.

— ასე. მაშ, მამა მართალს არ ამბობს.

— სხვა მართალიც არსებობს.

— სტყუი. სხვა არ არსებობს.

ფაბრიკისკენ ხელი გაიქნია და დაუშატა:

— აი, შეხედე: მართალი ის არის, შენმა ბაბუამ წამოიწყო იგი. შე მთელი ცხოვრება მას შეეწირე, და ახლა შენი რიგია. ეს არის და ეს. მაშ, შენ რა გინდა? ჩვენ ვიმუშავებთ და შენ კი ის გინდა მხოლოდ, რომ ისეირნო? სხვისი ნამოღვაწით გინდა ცხოვრებდე? კარგად მოგიფიქრებია! ისტორიაო. შენ მაგ ისტორიას ზედ დააფურთხე. ისტორია გოგო არ არის, რომ მასზე ჯვარი დაიწეროს. მერე და რა არის ის შენი სულელი ისტორია? რისთვის არის იგი საჭირო? ზარმაცობის უფლებას არ მოგცემ, იცოდე...

პეტრე არტამონოვი იგრძნო, რომ გადააჭარბა, შეეცადა შეენელებინა შთაბეჭდილება:



— მე მესმის, რომ შენ მოსკოვში გინდა იცხოვრო. იქ უფრო სასიამოვნოა საცხოვრებელია. აი, ალექსიცი...

ილიამ წიგნი მალა ამართა, ზედ დაყრილ ქვიშას სული წაუბერა და სთქვა:

— ნება მომეცით ვისწავლო.

— არ გაძლევ ნებას.—იყვირა მამამ და ჯოხი კვლავ ქვიშაში ჩაარტო.—არ მთხოვო.

მაშინ ილიაც წამოდგა, მამის ბეჭებს იქით გააყოლა გათეთრებული თვალები და სთქვა:

— რას იზამს, თქვენდა ნებადაურთველიდაც ვეწივი მიზანს.

— ვერ გაბედავ.

— არ შეიძლება აუკრძალო კაცს იცხოვროს ისე, როგორც მას უნდა, — სთქვა ილიამ თავის გაქნევით.

— კაცს? შენ ჩემი შეილი ხარ და არა კაცი! შენ რა კაცი ხარ? რაც გაკანია ყველაფერი ჩემია.

ეს თითქოს თავისთავად წამოცდაო, არ უნდოდა ეთქვა. ხმას დაუწია, შეიღბილა და საყვედურის კილოზე განაგრძო:

— ასე მიხვდი სამაგიეროს ჩემი ზრუნვისათვის?.. ჰე, შე სულელიო...

შეამჩნია, რომ ილია გაწითლდა, ხელები აუცახცახდა. შალვრის გიბეში უნდა ჩაედგა, მაგრამ ჯიბეს ვერ მიაგნო. პეტრეს შეეწინა, შეილი უთუოდ ზღმეტს რამეს იტყვის, რისი გამოსწორებაც მერე გვიან იქნებაო, და ატარებით სთქვა:

— მე შენი გულისთვის კიციც კი მოვკალი... შესაძლებელია...

არტამონოვმა იმისთვის დაამატა ეს „შესაძლებელია“, რომ პირველი სიტყვის წარმოთქმისთანავე მიხვდა: ასეთ წუთში არ შეიძლებოდა ასეთი რამ ეთქვა ბავშვისათვის, რომელსაც, ცხადი იყო, არ უნდოდა მამის გაგება.

— მაშინვე იკითხავს, ვინ კაცი მოჰკალიო,—გაიფიქრა მან და უკვე აღარ შეეგვიანებია შეილთან, გორაკის ფხვიერ ფერდობს ძირს ჩაყვა.

შვილმა კი უკანიდან ხმამალა მიაძახა:

— ერთი კი არ მოჰკალით... აი, მანდ მთელი სასაფლაოა იმათი, ვინც თქვენმა ფაბრიკამ დახოცა!

არტამონოვი შესდგა. მობრუნდა. ილიას წიგნი გაეშვირა ჯვრებისაკენ, რომლებიც ნაცრისფერ ცის კიდურებზე ჩარამზულიყვნენ. პეტრეს ფეხებზე ქვიშამ გაიჭრიალა. მას მეორედ ჩაესმა ყურში, რაც ამას წინად ფაბრიკისა და სასაფლაოს შესახებ გაიგონა. უნდოდა დაეფარა, რაც წამოცდა, უნდოდა რომ შეილსაც დაევიწყნა თქმული. დამოვივით, ჩქარი ბაჯბაჯით გაემართა ილიასკენ. ჯოხი ამართა და მოიქნია. უნდოდა შეილი შეეწინებინა. უყვირა:

— ეს რა სთქვი, შე არამზადავ?

ილია ხეს ამოეფარა.

— გონს მოდიო! რას ჩადიხართ?

მამამ მოქნეული ჯოხი ხეს მოარტყა. ჯოხი გადატყდა, მაშინ ხელში შერ-

ჩენილი ნატები შეიღოს ესროლა ისე, რომ მისი მწვეანი მგვრალი ტარი ილიას ფეხებთან ქვიშაში ირიბად ჩაერტო.

პეტრე არტამონოვი შეიღოს დაემუქრა:

— ფეხისადგილს გაწმენდინებ!

და ჩტარი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას, ბარბაცით. გარბოდა, რომ მისი ვონება ისე დაეხლართა ბრაზისა და ვაების სიტყვებს, როგორც მაქო ძაფის ხლართს.

— გავადებ. გაუქირდება—დაბრუნდება. მაშინ ფეხისადგილს მიუჩენ. დიალ... ნუ სულელობს.—ნაწვეტ-ნაწვედად გლეჯდა იგი სიტყვებს აზრის ხვეულს და ამავე დროს ისიც კარგად ესმოდა, რომ ცუდად მოიქცა, გადააქარბა. შვილი მეტიმეტად შეურაცხყო.

როცა მდინარე ოკას ნაპირას ჩამოვიდა, იქვე ჩამოჯდა, ოფლი მოიწმინდა და წყალში ცქერა დაიწყო. პატარა გუბეში ნაფოტა თევზის გროვა დასცურავდა, თითქოს ფოლადის ნემსებს წყალს უყრიანო. მერე გამოჩნდა კაპარკინა მედიდური რხევით, გაცურ-გამოცურა, გვერდზე გადაბრუნდა და მოწითალო თვალები მაღლა მქრთალ ცას მიაპყრო. კვამლის მსგავსად ბუშტები გააცურა წყალში.

არტამონოვი თითის ქნევით დაემუქრა კაპარკინას:

— მე შენ გიჩვენებ...

და მიმოიხედა, რადგანაც ეს სიტყვები ყალბად ჩაესმა ყურში. წყლის ნელი მდინარება ბრაზს უჩვენებდა. მონაცრისფრო და თბილი სიჩქემი მიჩლუნგებული ვაკვირებით აღსავსე აზრებს უღძრავდა. ყველაზე უფრო ის ანცვიფრებდა, რომ მისი საყვარელი შვილი, რომლის შესახებ ოცი წელიწადი შეუწყვეტლად და დიდი მზრუნველობით ფიქრობდა, უცხად, რამდენსამე, წამში მოწყდა მის გულს და სული მწვევე ტკივილით დაუღადა. არტამონოვი დარწმუნებული იყო, რომ ოცი წლის განმავლობაში ყოველ დღე დაუღალავად სულ შვილზე ფიქრობდა, მისი იმედით ცხოვრობდა, მისი სიყვარულით, და მისგან რალაც არაჩვეულებრივს მოელოდა.

— როგორც ასანთი, აენტო და აღარ არის. რა არის ეს?

ცას ოღნავად ვარდის ფერიგადაეკრა, ერთ ადგილს უფრო ნათელი წერტილი დაჩნდა, რომელიც ვაკვეთილ მაუღზე დარჩენილ ლაქას ჰგავდა. მერე ვატეხილი მთვარე გამოჩნდა, აგრილდა, ღრუბელი მსუბუქი კომლივით გაერთბა მდინარეზე.

არტამონოვი სახლში დაბრუნდა, როცა მის ცოლს ტანზე გაეხადა, მარცხენა ფეხი მარჯვენის მომგვრალი მუხლზე ჩამოედვა და ფრჩხილებს ღრეჯით იჭრიდა, ქმარს აღმაცერად გამოხედა და ჰკითხა:

— სად გაგზავნე ილია?

— ჯანდაბას,—უპასუხა არტამონოვმა და ტანსაცმელის გახდას შეუღდა.

— სულ ჯავრობ ხოლმე,—ამოიოხრა ნატალიამ. ქმარმა კი ენა ჩაიგდო. ბენეშოდა და განზრახ ხმაურობით რალასაც ალაგებდა.



წვიმამ ფანჯრის მინებზე შემოაშაპუნა, — ბალი სველი ჩქამით დახმალურა,
 — ძალიან ამაყობს ილია: ნასწაველი ვარო.

— მას სულელი დედა ჰყავს.

დედამ ცხვირით ჩაინთქა შავრი. პირუცყარი გადაიწერა და დაწვა. პეტრე
 კი ტანზე იხდიდა და ცდილობდა ცოლი რითიმე შეერაცყო.

— შენ რა შეგიძლია? არაფერი. შეიღებს შენი არ ეშინიათ. რა ასწავლე?
 შენ მხოლოდ ერთი რამ შეგიძლია: ჭამა და ძილი. კიდევ პირისახის თხუბენა.
 პირით ბალიშში ჩარგულმა ცოლმა უპასუხა:

— ეინ მისცა ისინი სასწავლებელში? მე კი ვამბობდი...

— გაჩუმდი!

თვითონაც გაჩუმდა და ყური მიუგდო წვიმას, რომელიც ნიკიტას ნიერ
 დარგულ ყრუახეს აშრიალედა.

— კუზიანი კარგ ბედს ეწია. არც შეიღები, არც საქმეები. მხოლოდ სკაა
 ნისი საზრუნავი. მე კი სკასაც არ ვახლებდი ხელს: ვისაც თაფლი უნდა, სკასაც
 იმან მოუაროს.

ნატალია ისე ფრთხილად გადაბრუნდა პირაღმა თითქოს ყინულზე ყოფი-
 ლიყო გაწოლილი, და თბილი ლოყით კმრის ბეჭს შეეხა.

— ხომ არ წაჩხუბებებარ ილიას?

სირცხვილი იყო იმისი თქმა, რაც მოხდა. არტამონოვმა ბუზღუნით
 სთქვა:

— ბავშვებს არ ეჩხუბებიან. მათ სცემენ.

— იგი ქალაქს წავიდა.

— დაბრუნდება. უფულოდ არავინ აქმევს საქმელს. გაქირავება რასაც ნიშ-
 ნავს, ახლა დაინახავს. მობრუნდება. დაიძინე, ნუ მიშლი.

ერთი წუთის შემდეგ კიდევ სთქვა:

— იაკობს მეტი სწავლა აღარ სჭირია.

კიდევ წუთი გავიდა:

— ხელ-ზევით ბაზრობაზე წავალ, გესმის?

— შესმის.

— რა არის ეს? — ფიქრობდა არტამონოვი თვალდახუჭული, მიუხედავად
 ამისა, მაინც წინ ედგა შეილის დიდშუბლიანი სახე, ავონდებოდა მისი შეურა-
 ცყოფილი თვალების უტანელი ელვარება.

— თითქოს მოჯამაგირე ვყოფილიყავი, ისე მომეცქა მამას ის არამზადა.
 მათხოვარით გამავლო.

მას აკვირებდა, რომ ასე უცნაურად, ასე ჩქარა გაწყდა მათ შორის კავ-
 შირი. თითქოს ილიას წინასწარ ჰქონოდა გადაწყვეტილი მამასთან გაყრა. მაგ-
 რამ რამ აიძულა იგი ასეთი ნაბიჯი გადაედგა? გაახსენდა ილიას მკაცრი, დამ-
 ტუქსავი სიტყვები და გაიფიქრა:

— უთუოდ მირიშკამ, ამ მეფთარე ძაღლმა, ჩააგონა. ხოლო ის ახრი,
 ვითომ საქმე იდამიანის მავყინარი იყოს, — ეს ტიხონის გავლენაა. სულელი,
 სულელი! ვის უგდებს ყურს! მაშ, რისთვის სწავლობდა, ან რას სწავლობდა!

მუშები ეცოდნება, მანა კი არა. ჩემგან გარბის, რომ შორს სხეულებს დაქრტილს თავისი სიშარტლე.

ასეთმა ფიქრებმა უფრო გაუძლიერეს უმეყოფილება და შფურაცების გრძნობა.

— არა, ცდები, ვერსად წამიხვალ!

აქ ნიკიტაც მოაგონდა, რომელიც გადგა და მყუდრო კუთხე მონახა თავისთვის.

— ყველა მე მადგამს უღელს, თვითონ კი გარბიან.

მაგრამ არტამონოვმა აქ თავისივე თავი დაიჭირა: ეს არ არის სწორიო, ალექსი ხომ არსად გაქცეულა. მას საქმე უყვარს, როგორც მამას უყვარდა. ხარბია, გაუმადლარი და ყველაფერი რაღაცნაირად ემარჯვება კიდევაც. მოაგონდა, რომ ერთხელ ლოთი ჩხუბის შემდეგ ფაბრიკაზე ძმას უთხრა:

— ხალხი ფუტკდება.

— ეტყობა, — დაეთანხმა ალექსი.

— ჯაერობენ რაღაც. თითქოს ყველას ერთი წყვილი თვალი აქვსო, ისე იცქირებიან.

ალექსი ამასაც დაეთანხმა. გაუცინა და უთხრა:

— ესეც მართალია. ხანდახან მაგონდება, რომ სწორედ ასეთი თვალებით ათვალაირებდა მამას ტიხონი, როცა იგი შენს ქორწილზე ჯარისკაცებს დაექიდა. ვახსოვს?

— ჰე, ტიხონი რა არის? გლახაკი ვინმეა.

მაშინ ალექსი სერიოზულად აღაპარაკდა.

— შენ რაღაც ხშირად ლაპარაკობ, ხალხი გაფუტკდაო. მაგრამ ეს ხომ ჩვენ არ შეგვეხება: ეს მღვდლების, მასწავლებლების და კიდევ, რა-ვიცი, ვისი საქმეა? —ათასგვარი მკურნალების, მთაერობის... აი, ამათი საქმეა ყური უგდონ, რომ ხალხი არ გაფუტდეს. ხალხი იმათი საქონელია, ჩვენ კი მყიდველები ვართ... ყველაფერი თანდათან ფუტკდებაო, ამბობ... ჩემო ძმავ, აი, შენც ბერდები და მეც... მიუხედავად ამისა, შენ არ ეტყვი გოგოს: ნულარ იცხოვრებ, გოგონავ, სიბერე მოგელისო.

— ქვიანია წყეული! — გაიფიქრა უფროსმა არტამონოვმა.

და როცა პეტრე უსმენდა ცოცხალს, ახალ-ახალი თქმით აკრელებულ სიტყვას, ენატრებოდა ძმის ხასიათი. კლავ ნიკიტა მოაგონდა. მამას კუზიანი ნუგეშისმცემლად მიიჩნდა, ის კი სულელურ, დედაკაცის საქმეში გაება და ახლა აღარ არის...

ბევრი გადაწყვედა ამ წვიმიან ღამეს არტამონოვს. მის შწარე ფიქრებში კომლის ტალღასავით ჩაექსოვა კიდევ სხვა, უცხო აზრები, რომლებსაც თითქოს გარედან შხაჸუნა წვიმა ჩასჩურჩულებდა, და ეს გარემოება ხელს უშლიდა მას თავისი თავი ემართლებინა.

— მე კი რა დამიშავებია? — ეკითხებოდა ვილასაც და ათმცა ამისი პასუხი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ეს კითხვა ზედმეტი არ იყო.

განთიადზე მან მოულოდნელად გადაწყვიტა მონასტერში გამგზავნა და დაეხმარებოდა მას, რომელიც მონასტერს ცხოვრობდა ყოველი ცდუნებისა და დღეისაგან, აღმოჩენოდა მისთვის რაიმე სასურველი, რაიმე ახრი გადაჭრილი, გადაწყვეტილი.

მონასტერს წყვილი ცხენი შებმული ეტლით უახლოვდებოდა. სოფლის შარა-გზას დაემდგვრებოდა. ფიქრობდა:

— აქ ცხოვრება იმას ნიშნავს, რომ სადმე კუთხეში დაიმალო, არა, აბა, ერთი სკადე და შუა ქუჩაში გამოდი. სარდაფში კიტრიც არ ფუჭდება, მზეზე კი წალე ღებდა.

მა ოთხი წელიწადი იყო რაც არ ენახა. უკანასკნელი შეხვედრა მოსაწყვენი რამ იყო, მშრალი: პეტრეა მოეჩვენა, რომ კუზიანი უკმაყოფილო დარბა მისი ნახვით. შექრული გამოიციქვრებოდა. იგი იძაგრებოდა, იკუმშებოდა, თითქოს დაშალეა სურსო, როგორც ლოკოკინას თავის ნაქუქში. მომეყო ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ ლაპარაკობდა არა ლმერთზე, არა თავის თავზე ან მშობლებზე, არამედ მხოლოდ მონასტრის საკიროებაზე, მლოცველებზე და ხალხის სილატაკეზე. უნებოდ ლაპარაკობდა, ტინთვით. როცა პეტრემ მის ფული შესთავაზა, მან ჩუმად და დაუდევრად უთხრა:

— წინამძღვარს მიეცი, მე არ მესაქიროება.

ცხადი იყო, რომ ყველა ბერი პატივისცემით ეპყრობოდა მამა ნიკოდიმს. წინამძღვარი კი—ევება, ძვალდიდა, ბაღით შემოსილი და ერთ ყურზე ყრტ, ანაფორაში გამოწყობილ ტყის მოჩვენებას ჰგავდა. პეტრეს მრისხანე შავი თვალებით შეხედა სახეში და ზედმეტად ხმამალა წარმოსთქვა:

— მამა ნიკოდიმი ჩვენი ღარიბი საზოფელის დამამშვენებელია.

მონასტერი მომალდა. გორკაზე იღვა, ბრინჯაოს ფერის ფიქვნარით გარშემორტყმული. როცა არტამონოვი მონასტერში შედიოდა, მწუხრის ხარს რეკავდენ.

გრძელმა ბერმა, გახუნებულ, დაქუქმნილ სკეფიაში გამოწყობილმა, რომლის პატარა ზავშური თავი ზედმეტი ბარგის შთაბეჭდილებას სტოვებდა, კარი გაუღო და ბორძიკით მიმართა:

— კეე-თათილი იყოს...

მერე ფსტვენით სული ამოითქვა:

— იყოს თქვენი მოზრძანება.

სქელი, ლურჯი ღრუბელი, რომელსაც ნახევარი ცა დაეფარა, უძრავად დაწოლოდა მონასტერს. მისი წყალობით ყველაფერი დაღვრემილად გამოიციქვრებოდა, მძიმედ აწვა გარემოს, თითქოს გატყულებას უპირებსო. ზარების რეკვასაც ვერ შეერყია მისი უმოძრაობა.

— ერთი კაცი ამას ვერ ასწევს,—დამნაშავეს ხმით სთქვა სასტუმროს მსახურმა, როცა მოინდომა ეტლიდან ნიკიტას საჩუქრებით სავსე ყუთის გადმოღება, და პატარა შავი მუშტი ყუთის ფიცარზე დაჰკრა.

დაქანცული და მტერიანი პეტრე ნელი ნაბიჯით გაემართა ძმის თეთრ სენაკისკენ, რომელიც მყუდროდ შეფარებოდა ალუბლისა და ვაშლის ხეებს.

მიდიოდა და თან ფიქრობდა, — უთუოდ შეეცდი, რომ აქ ჩამოვედი და ბაზრობაზე კი არ გავემგზავრეო.

უსწორმასწორო გზამ, რომელიც ტყეში გადიოდა და ხეების ფესვებით იყო დახლართული, პეტრე ძალზე მოჰქანდა, ნაღვლიანი ფიქრები აღუძრა. დაღვრემილი იყო, გულდაწყვეტილი, მოსვენება სწყუროდა და თავდავიწყება.

— ახლა დალევა შემერგება, ქეიფი...

მისი ძმა სკამზე ჩამომჯდარიყო ნორჩი ცაცხვების ჩრდილში. მის წინ, თითქოს რომელსაღაც ნაცნობ სურათზე ხატიოა, იჯდა ათიოდე მლოცველი: შავწყვრიანი ვაჭარი, ტილოს მოსახლამში, რომელსაც ფეხი ჩერებით ჰქონდა შერეული და რეზინის ფეხსაცმელში ჩადგმული; მსხვილი ბებერი კაცი, რომელიც ფულის დამხურდავებელ საჭურისს ჰკავდა; გრძელთმიანი ახალგაზრდა ჯარისკაცის ფარაჯაში, თევზისთვალეზიანი. იქვე სვეტივით ამართულიყო, როგორც ქვრდი მოსამართლის წინაშე; დრემოვოს ნეპურე მურზინი, ლოთი და აყალმაცალის მოყვარული, რომელიც ჩახრეწილი ხმით ლაპარაკობდა:

— სწორია, ღმერთი შორს არის.

ნიკიტა თეთრი ყავარჯენით რალაცას ხაზავდა დატკეპნილ მიწაზე, ხალხისთვის თვალი აერიდებინა და ასე ასწავლიდა:

— რამდენადაც აღმაიანი დაბალია, იმდენად მისგან შორს არის ღმერთი, რომელიც ჩვენს ცოდვიან, აყროლებულ ცხოვრებას ვერ იტანს.

— ანუ შეგშებს რალა—გაიფიქრა უფროსმა არტამონოვმა და გუნებაში გაიცინა.

— ღმერთი კარგად ხედავს, რომ სიტყვით გეწამს, ხოლო საქმით—არა. უსაქმო სარწმუნოება კი მის რად უნდა? სად არის ჩვენი ურთიერთი დახმარება და სიყვარული? რას ვსთხოვთ ღმერთს? სულ რალაც უმნიშვნელო წვრილმანს. ლოცვა საკიროა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც...

თვალეები ასწია. ერთი ხნის განმავლობაში დაკვირვებით, ქვევიდან ხეით, უცქირა ძმას. ნელა, როგორც მძიმე რამ სავანი, ყავარჯენი ამართა, თითქოს ვისიმე ცემა უნდაო. მერე წამოდგა, ულონოდ დაშხარა თავი, ჯვარი გადასახა მლოცველებს, მაგრამ დალოცვის ნაცვლად, წარმოსთქვა:

— იი, ძმა ჩამოსულა ჩემი სანახავად.

უთმო მოხუცმა არა კეთილად დაამგვრალა თითბერის თვალეები, შეხედა პეტრეს და ხელეების ფართედ გაქნევით, განზრახ, პირჯვარი გადაიწერა.

— ახლა წადით, — მიმართა მათ ნიკიტამ.

ხალხი დაიშალა, როგორც ნახირი მინდორზე. მოხუცმა ხელი მოჰკიდა მკელაზე ვაჭარს, რომელსაც ფეხი სტკივოდა. მეფურნე მურზინმა მეორე მკლავეზე მოაელო მას ხელი.

— გამარჯობა. დამლოცე.

გრძელი ხელეებით, რომლებსაც ფრთებივით ესხა ანაფორას სახელოები, ნიკოდიმმა პეტრეს გაწვდილი ხელი განზე გასწია და ჩუმად, გაუხარებლად: მიმართა:

— არ მოგელოდი.



ყავარჯენი თავის სენაკისკენ გააქნია და ძმის წინ გაუძღვა. მიდიოდა რა-
ღაც ბტომით, ბრუნდ ფეხებს განზე ისროდა. ცალი ხელი გულზე შეეჭმუჭმუნა
— მოხუცებულხარ, — შენიშნა შეკრთომით პეტრემ.

— ამისთვის ვცხოვრობთ კიდევაც. ფეხები ამტკივდა. აქ ნესტია.

პეტრეს ისე მოეჩვენა, თითქოს ნიკიტას კუხი უფრო გაზრდილია. ზურგის
კუხე და წარჯვენა ბეჭი უფრო ამაღლებოდა. ამის გამო მთელი ტანიც დამდა-
ბლებოდა და გაფართოვებოდა. ბერი თავწაგლეჯილ ობობას ჰგავდა, უგზო-
წველოდ მიხობავდა ხრეშმოყრილ გზაზე.

ვიწრო, სუფთა სენაკში ნიკოდიმი ტანით უფრო დიდი გამოჩნდა, მაგრამ
გაცილებით უფრო საშინელი. როცა თავისი ბარტყულა მოიხადა, როგორც მი-
ცეალებულს მჭრთალად გაუბრკვევილია ნახევრად გატიტვლებული თავის ქალა,
რომელიც კანდამძვრალ ჩონჩხს წააგავდა. საუფიქლებზე, ყურებს უკან, კეფაზე
განაცრისფერებული თმის უსწორ-მასწორო ნართები ჩამოჰკიდებოდა. სახეც
თითქოს უკანო ჰქონდა, თავლის სანთლის ფერი. სახის ძელებზე ყველგან ხო-
რცი აკლდა. გამოფიტული უფრო თვალების სინათლე სახეს არ ხედებოდა,
ნათი ხედვის ისარი მხოლოდ მოდიოდა, მაგრამ მოდუნებული ცხვირის წვეტზე
ცემოდა. ცხვირის ქვემოთ მოძრაობდნენ გამოშრობილი ტუჩების ბნელი ზოლები.
ბერი ვადიდებოდა. იგი ღრმა ნაპრაღივით შუა ჰყოფდა მთელ სახეს. განსაკუ-
თრებით შემაძრუნებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა ზემო ტუჩზე გაყოლებუ-
ლი ნაცრისფერი ბალნის ხავსი.

ჩემად, თითქოს რაღაცას ყურს უგდებსო და სიტყვებს ძლივ-ძლივობით
იგონებსო, ისე ეუბნებოდა იგი მონასტრის სახეწამოსიეებულ მოსამსახურეს,
რომელიც შექისეს ჰგავდა:

— სამოვარი. ბური. თავლი.

— რა ჩემად ლაპარაკობ.

— კბილები ამომცვივდა.

ბერი მაგიდას მიუჯდა, ხის თეთრად შეღებულ სავარძელში ჩაჯდა.

— ცხოვრობთ?

— ვცხოვრობთ.

— ტიბონი ცოცხალია?

— ცოცხალია. რა უშავს?

— დიდხანია ჩემთან არ ყოფილა.

გაჩუმდნენ. ხელების გაქანებაზე ნიკიტას ანაფორა შრიალებდა. ეს შრია-
ლი პეტრეს ხოქოს გაჩხრიალებას აგონებდა და თავს აბეზრებდა.

— შე შენ ძღვენი ჩამოგიტანე. უთხარი მოიტანონ ყუთი. შიგ ღვინოც
არის. აკრძალული ხომ არა გაქვთ ღვინის სმა.

ძმამ ამოიოხრა და უპასუხა:

— სისასტიკე აქ არ არის. ძნელი საცხოვრებელია ოღონდ. მონასტერში
ლათებიც კი გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც ბალნმა სიარული დაიწყო. სვამენ. რა
ქნათ? ქვეყანა სუნთქავს და ყველაფერს სწამლავს. ბერიც ხომ ადამიანია.

— ამბობენ, რომ შენთან ძალიან ბევრი ბალნი დადისო.

— შეუგნებლობით ზდება ეს,—სიტყვა ბერმა.—კი, დადიანს ტრიალებენ. სიმართლეს ეძებენ და მართალ კაცს. ჰსურთ ისწიელდნენ, ყველაფერ უნდა ცხოვრება... ცხოვრობდენ, ცხოვრობდენ და აი... აღარ გეტყვიან, არაფერ უნდა გვეცხოვრა... მოთმინება არ არის.

უფროსმა არტამონოვმა იგრძნო, რომ ბერის სიტყვები აღელვებდენ მად და ზაიბუხლენა:

— განებზივრებაა. ბატონ-ყმობას ითმენდენ და ახლა კი თავისუფლებას ვერ ითმენენ. სუსტად ხართ მოთვინიერებული.

ნიკიტა დადუმდა.

— ბატონების დროს არ დაეხეტებოდენ; უსაქმოდ არ მიდიოდ-მოდიოდენ. კუზინამა თვალი ჰქრა ერთი და მერე ძირს დაჰხარა.

ძლიერს ჰპოულობდენ სიტყვებს და ისე საუბრობდენ, გრძელი პაუზებით. ისაუბრეს მანამდე, სანამ მოსამსახურემ სამოვარი მოიტანა, ცაცხვის სურნელთვანი თაფლი და ცხელი პური, რომელსაც ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა. დაკვირვებით შესცქეროდენ ბობრ მოსამსახურეს, რომელიც ყუთს თავს ხდიდა მოუხეშავად. პეტრემ მაგიდაზე ახალი ხიზილალა და ორი ბოთლი ღვინო დასდგა.

— პორტეინი, —წაიკითხა ბოთლზე ნიკიტამ.—ეს ღვინო წინამძღვარს უყვარს. ჰკუთანი კაცია. ბევრი რამე ესმის.

— შე კი, აი ცოტა მესმის, —გამომწვევი ხმით წარმოსიტყვა პეტრემ.

— რამდენიც საჭიროა შენც კარგად გესმის, მეტი კი რად გინდა? ზედმეტი მაინებელია.

ბერმა ფრთხილად ამოიბრა. ძმის სიტყვებში პეტრეს ჩივილი მოესმა. მისი ანაფორა ზეთივით კრიალებდა ოთახში, რომელსაც მკრთალად ანათებდა კუთხეში ჩამოკიდებული კანდელი და მაგიდაზე დადგმული იაფ ფასიანი, მოყვითალო შუშის ლამპა. პეტრემ შენიშნა, რომ ნიკიტამ ხარბად ამოწუწუნა ერთი ჰიქა მადერის ღვინო, და დაცინვით გაიფიქრა:

— გემო ჰქონებია.

გამოცლიდა თუ არა ჰიქას, ნიკიტა თავისი ხელი და თეთრი თითებით პურის გულს მოფცქენიდა, ჩაუწებდა თაფლში და აუჭარებლად დაუწყებდა ღებვის. ღებვის დროს ნაცრისფერი, თითქოს გაბუტული წვერი უცანცარებდა. სიმთვრალე არ დატყობია ღვინოსაგან, მაგრამ ამღვრეული თვალები კი გაუბრწყინდენ, რომლებიც ისევ ცხვირის წვეტს დასცქეროდენ.

პეტრე ფრთხილად სვამდა. არ უნდოდა მთვრალი ჩვენებოდა ძმას. სვამდა და ფიქრობდა:

— ნატალიაზე კი არაფერს ამბობს, ამას წინადაც მის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს. რცხენია. არავის არ კითხულობს, ერის კაცთაგანს. ვითომ მხოლოდ თვითონ არის მართალი. პირიქით—ყველანი მას კითხულობდენ.

გაჯერებულვით შეაქანა თიღებზე წვერი, ცალ კურზე ხელი გაიკრა და სიტყვა:

— ძალიან მოხერხებულად კი შეაფარე თავი აქ. კარგია.



— წინად კარგი იყო, ახლა—არა, მლოცველებია ბევრი. მათი მიღება...

— მიღება?—გაეციან პეტრეს. — კბილის ექიმი იღებს ხელს...

— მინდა სადმე უფრო შორს წავიდე, — სთქვა ბერმა და მოფრთხილებით დაასხა ღვინო.

— სადაც უფრო მეტი სიმწვიდე იქნება, — დაუმატა პეტრემ და კვლავ ჩაიციანა. ბერმა ღვინო ამოწურა კიბაში, ტუჩი წვრილბ, ჩვარის მსგავსი ენით მოილოკა, თავის ქალა გააქნია და დაიწყო:

— ძალიან იზრდება შეწუხებული ხალხის რიცხვი. იმალებიან, ჯაფას და შრომას გაურბიან...

— ამას მე ვერ ვამჩნევ—უთხრა პეტრემ, თუმცა იცოდა, რომ ტყუილს ამზობდა—შენ ხარ, რომ იმალებიო, — უნდა ეთქვა.

— ხოლო შვოთი ლანდივით უკან დასდევს ყველას.

პეტრეს თავის თავად მოადგა ენაზე საყვედური. მას უნდოდა შეკამათებოდა ძმას, ერთთავად ეყვირნა კიდევაც, მაგრამ თავისი შვილი მოაგონდა და გაჯავრებული ხმით სთქვა:

— აღამიანი თვითონ ეძებს ხოლმე შვითს, თვითონ სურს, რომ გაკირვებული იყოს, რა უნდა: შენი საქმე ჰქენი. კუკუს ძალას ნუ ატან—და მშვიდობით იცხოვრებ.

მაგრამ ძმას, ალბად, მისი სიტყვები არ გაუგონია. მას სხვა ფიქრები აწუხებდნენ. მოულოდნელად, ვითომ ეს არის ახლა გამოიღვიძაო, ბერმა უცებ უბეში ტანი ისე შეიბერტყა, თითქოს შავი ანათორა გაეხადოს, და ტუჩების ნოკცევით, შეტად გარკვეულად, თითქოს კიდევაც სჯავრობსო, წარმოსთქვა:

— მოდიან, მთხოვენ: გვასწავლეო. მე კი რა ვიცი? რა ვასწავლო? მე ბრძენი როდი ვარ! ეს წინამძღვარის ბრალია, მან გამითქვა სახელი... თორემ არაფერი არ ვიცი. დასჯილი ვარ: მითხრეს ასწავლეო, რისთვის დამსაჯუნ?

— შორიდან იწყებს, — მოიაზრა უფროსმა არტამონოვმა, — ჩივილს ამბრობს.

მას კარგად ესმოდა, რომ ნიკიტას ბევრი რამ ჰქონდა ბედის სამღურავი წინადაც, როცა ესტუმრებოდა ხოლმე მონასტერში, ყოველთვის მოელოდა მისგან რასმე საჩივარს. ახლა ყური შეისრისა და ბეჯითად გააფრთხილა:

— ბედს ბევრი უჩივის, მხოლოდ აქედან რა გამოვა?

— ასეა. კმაყოფილი ხალხი არა სჩანს, — სთქვა კუზინამა და ცალი თვალთ კუთხეში ბეჭტავი ლამპარის ცეცხლი ნიშანში ამოიღო.

— განსვენებული მამაც კი გავალეზდა: ნუგეში ეციო. ნუგეშისცემელი იყავი.

ნიკიტამ დამკინავედ გაიფართოვა პირი, ნაცრისფერი წვერი ხელის გულში შეკუმშა და პირზე ისე მოისვა, თითქოს დამკინავი ღიმილი წაიშალაო. იგი კვლავ განაგრძობდა სიტყვების თესვას ღამის სიბნელეში. მისი სიტყვები დიდ ენობისმოყვარობასა და რაღაც საშიშარი მოლოდინის აცქვეტილ გრძნობას უღძრავდა პეტრეს.

— ეს ხალხი აქ, როგორც მე, ისე სხვასაც არწმუნებს, თითქოს მე ბრძენი ვიყო, ეს, რა თქმა უნდა, ამ სამყოფელის სარგებლობისათვის ხდება, რათა

ბევრი ხალხი მოიზიდონ. ჩემთვის კი—ეს მიძიმე მოვალეობაა. ეს, ჩემო ძმაო, სასტიკი რამ საქმეა! რით უნდა ვანუგეშო ისინი? იქონიეთ, მოთმინებთ, ვეუბნები. ამავე დროს ვამჩნევ: თავი მობეზრებული აქვთ მოთმინებით... იქონიეთ იმედი, ვეუბნები კიდევ. რისი იმედი უნდა იქონიონ? ნუგეშს ღმერთი აღარ აძლევს... აქ დადის ერთი მგებურე...

— ეს ჩვენი მურზინია, ლოთი რომ არის...—სიტყვა უფროსმა არტამონოვმა, თითქოს რალაც ჩამოიბერტყა და თავიდან მოიცილაო.

— ის უკვე ღმერთს ასამართლეს... მისი აზრით, ღმერთი ქვეყანას აღარ ჰპატრონობს. ასეთი თავებდები ახლა ძალიან ბევრნი არიან. აქ კიდევ ერთი ქოსა დაიარება... შენიშნე? ის ძალიან ბოროტი კაცია, მთელ ქვეყანას ემტერება. მოდიან, მკითხებიან. რა უნდა ვუთხრა? იმისთვის მოდიან, რომ შემაკრონ...

ბერი უფრო და უფრო ცოცხლად ლაპარაკობდა. პეტრეს აგონდებოდა, თუ როგორი იყო მისი ძმა, როცა ამას წინად მასთან სანახავად ჩამოვიდა. ამჩნევდა, რომ ნიკიტას თვალები წინანდებურად დამნაშავესავით არ გამოიცილებოდნენ. წინად იმის წყალობით ურიგდებოდა მდგომარეობას, რომ თავის დანაშაულობას გრძნობდა. —დამნაშავეს კი ჩივილი არ შეშვენის. ხოლო ახლა, აი, სჩივის, აცხადებს, რომ იგი უმართლებულად არის დასჯილი...

უფროსს არტამონოვს ეშინოდა, რომ ძმას მისთვის გაეცხადებინა:

— შენ ხარ, მე რომ დამსაჯეო.

შუბლმოკუმული საათის ძეწკვს ეთამაშებოდა და თან სიტყვებს ეძებდა თავის დასაცავად, თუ ვინცოდაა ნიკიტა შემოუტყვედა.

— დიად,—ამბობდა კუზინი და ეტყობოდა რომ გულში კმაყოფილი იყო იმით, რომ სჩივოდა—ხალხი აბეზარი ხდება. თავში ყველას თავებდური აზრები აქვს. ამას წინად აქ, ჩვენთან, ორიოდე კვირის წინად, ცხოვრობდა ერთი მეცნიერი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა. თითქოს ცოტათ არეული იყო, შეშინებულ კაცს ჰგავდა. წინამძღვარმა წინადადება მომცა: შენი უბრალოებით შეამაგრე, რწმენა გაუმტკიცეო. აი, ეს უთხარი და ასე უთხარიო. მე კი სხვისი აზრების აყოლა არ შემძლია. იმ მეცნიერმა თავში ტვინი ამოწართვა—სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. მე კი არც სიტყვა შესმოდა მისი და არც აზრი. არ შეიძლება, რომ ეშმაკი ჩვენი ხორცის პატრონი იყოსო, ამბობდა, ეს ორღმერთიანობა იქნებოდა და ქრისტეს ხორცის შეფრაცხებაო, რომელსაც ჩვენ ვეზიარებით ხოლმეო. „მიიღეთ ესე ხორცი ქრისტესი და მით უკვდავების წყაროს დაეწიეთო“. კიდევ ამბობდა: დეე ღმერთს რქები ჰქონდეს, მხოლოდ ერთი კი იყოს, თუ არა, ცხოვრება არ შეიძლებაო. გამაწვალა. დამავიწყდა მამა თედორეს დარიგება და ვუყვირე: „შენი ხორცი—ცვალებააო, ხოლო სული—უარყოფა“. წინამძღვარმა მეც დამტუქა: „ღმერთის შემცოდე სისულელეე მოგიჩაბავსო“... დიად, ასეა...

პეტრეს სასაცილოდ მოეჩვენა ეს სიტყვა, ძმა ძალიან საწყალ კაცად წარმოუდგა. ამ გარემოებამ რამდენიმედ დაამშვიდა უფროსი არტამონოვი

— ღმერთზე ძალიან ძნელია ლაპარაკი,—წარმოსიტყვა მან.



— ჩნელია.— დაეთანხმა მამა ნიკოდიმე. შემდეგ მწარედ შევეჩიხა:— ხომ გახსოვს, მამა გვარიგებდა: ჩვენ შავი მუშები ვართ, ეს სინამდვილე ჩვენთვის მიუწოდომელი რამ არისო.

— მახსოვს.

— დიახ. მამა თედორე კი ირწმუნება, წიგნი უნდა იკითხოვო. მე ვკითხულობ, მაგრამ წიგნი ჩემთვის შორეულ ტყეს წარმოადგენს:— გაუგებრად შრიალებს. დღევანდელ დღეს წიგნი არ შეეფერება. ახლა ისეთი აზრებია აღძრული, რომ მათ წიგნებით ვერ დაჰფარავ. სექტანტები ყველგან გამრავლდენ. ზალბი მსჯელობს ისე, თითქოს სიზმარს ჰყვებო. აი, ეს მურზინია...

ბერმა პორტვეინი გადაჰკრა. პურის ნატეხი დაღეკა. მერე პურის გული დაამრგვალა და თითებით მაგიდაზე გააგორ-გამოაგორა. განაგრძო:

— მამა თედორე ამბობს, რომ ყოველი უბედურება ჰკუისავან წარმოდგებაო. ეშმაკმა კაცის გონება ავი ძალღივით გააბრაზა, და ეს ძალი ყველაფერს უყეფს გარშემო. იქნება, ეს ასეც არის, მაგრამ ძნელია მიინც დათანხმება.— აქ არის ვინმე ექიმი, ძალიან უბრალო კაცია, მზიარული. იგი კიდევ სულ სხვანაირად ფიქრობს: გონება— ბავშია, მისთვის ყოველი სათამაშოა, გართობა. მას უნდა გამოიძიოს, თუ როგორ არის ყოველივე მოწყობილი, და რა იმყოფება იქ, შიგნით. რა თქმა უნდა, ამას ვერ არკვევს...

— მგონი, ძალიან საშიშ რასმე ამბობ, — შენიშნა პეტრემ.

— ძმის სიტყვებმა კვლავ ფორიაქი აღუძრეს მას და ისევ შეაქანეს. მას ის აკვირებდა, რომ ბერი ჰუკამაზვილად მსჯელობდა და მოულოდნელ აზრებს წარმოასთქვამდა. პეტრეს კვლავ აღუძრა სურვილი, რომ ნიკოტა დაემციკრებინა, დაემდაბლებინა.

— დათვრა ბერი, — გაიფიქრა თავის დასამშვიდებლად.

საკანში ჰაერი შეხუთული იყო. ნახშირისა და კანდელის ზეთის მწყურთე სუნი იდგა, რომელიც პეტრეს აზრებს უხშობდა. სარკმელში რომელიღაც მცენარის ფურცლები ისე უძრავად შემოჩნდილიყო, რომ რკინისას ჰგავდა. ობობას დამსგავსებული ძნა კი აჩქარებულად და ბეჯითად სწნავდა თავის ქსელს.

— ყოველი აზრი საშიშია. განსაკუთრებით უბრალო, მირტივი აზრი. თუ გინდა, ავიღოთ ტიხონი.

— იგი ნახევრად შეშლილია.

— არა. ეს უსამართლობაა. პირიქით, მკაცრი გონიერების კაცია. თავდაპირველად მეშინოდა კიდევაც მასთან დალაპარაკება. მიწოდდა კი ძალიან, მაგრამ მეშინოდა. როცა მამა გარდაიცვალა, ტიხონი ძალიან დამიახლოვდა. შენ ხომ ისე არ გყვარებია მამა, როგორც მე. არც შენ და არც ალექსი არ შეურაცყვეა მამის უსამართლო სიკვდილს. ტიხონს კი დიდად ეწყინა. მე მაშინ მოლოზანზე კი არ გავჯავრებულვარ მისი სისულელესათვის, არამედ ღმერთზე გავჯავრდი. ტიხონსა ეს მაშინვე შენიშვნა. მითბრა: აი, კოლო ცხოვრობს, ადამიანი კი...

— ბოდავ რაღაცას, — მკაცრად შენიშნა პეტრემ. — ზედმეტი დალიე. რომელ მოლოზანზე ლაპარაკობ?

ნიკიტამ მიიწი ბეჯიხად განაგრძო:

— ტიხონი ამბობს: თუ ქვეყნის პატრონი ღმერთია, წვედები უნდა მოდიოდეს, როგორც ეს დასტორდება ადამიანს და პურს. ყველა ხანძარიც ადამიანის ხელით არ ჩნდება, ტყის ელეა უჩენს ცეცხლს, რატომ ჩაიდინა ცოდვა კაინმა, ჩვენდა საუბედუროდ? რად უნდა ღმერთს ყოველგვარი სიმბინჯე? მაგალითად, კუზიანები რა საჭირონი არიან?

— აჰა, აი თურმე საქმე რა ყოფილა?—გაიფიქრა პეტრემ და უღვაშებში ჩაიკინა. იგრძნო, რომ ძმის საჩივარმა მცირედ დაამშვიდა იგი. კარგია, რომ ბერი მშობლებზე არა სჩივისო.

— კაინის ვაგება შეუძლებელია. ამით ტიხონმა მე ისე მიმიზიდა, თითქოს ჯაჭვით მიიზიდაო. მაშის სიკვდილს შეძლევ იყო, რომ დამეწყო სწორედ: ვაფაქრე, მონასტერში წაველ და ჩაჭკრება მეთქი. მაგრამ, არა. ასე ვცხოვრობ და თავში სულ ასეთი აზრები მიტრიალებენ.

— წინად შენ ამაზე არ ლაპარაკობდი ხოლმე...

— ყველაფერზე ერთბაშად ხომ ვერ ილაპარაკებს კაცი? დიხ; იქნება მთელ ჩემს სიცოცხლეშიც არაფერი მეთქვა, მაგრამ მლოცველები ხელს მიშლიან, სინიღის მიწუხებენ. საშიშია: უცხად, იქნება, ჩემმა სიტყვებმა ტიხონისებური აზრები ამოაძვრინონ საიდანღაც... არა, ტიხონი ძალიან კულიანი კაცია, თუმცა, შესაძლებელია, რომ იგი მე არც კი მიყვარდეს... შენს შესახებაც ასე ფიქრობს ის: აი, შრომობდა კაცი ბავშებისათვის, ბავშვები კი მისთვის უცხონი გამოვიდნენ...

— ეს კიდევ რას ნიშნავს?—გაჯავრდა პეტრე.—იმან რა იცის?

— იცის. ამბობს, საქმემ მოტყუება იცისო.

— მსმენია მე ეს... უნდა დავითხოვო ის სულელი, ისა. ბევრი რამ იცის ჩვენი ოჯახის შესახებ...

არტამონოვმა ეს იმისთვის სთქვა, რათა ნიკიტასთვის მოეგონებინა ის საშინელი ღამე, როცა იგი თოჯნე ეკიდა და ტიხონმა ჩამოხსნა. მაგრამ გაახსენდა ისიც, რაც ნიკონოვის ბავშვთან შეემთხვა და დადუმდა. ბერი ამას მიუხვდა. მან ღვინით სავსე ჭიკა პირთან მიიტანა, შიგ ენა ამოავლო და ტუჩები გაისველა. მერე ისევ თავისი თუნუქისებური სიტყვები განაგრძო:

— ტიხონსაც ვიღამაც აწყენინა. ისიც მოწყდა ყველას...

საჭირო იყო, რომ ბერს ეს აზრები როგორმე თავიდან ამოვარდნოდა.

— მაშ, ახლა როგორ არის შენი საქმე: გწამს თუ არა ღმერთი?—ჰკითხა პეტრემ, მაგრამ ისე არ გამოუვიდა, როგორც უნდოდა: შხამიანი შეკითხვა უნდა მიეცა და ლბილად კი ჰკითხა.

— ძნელი გასარკვევია, ვის სწამს და ვის არა, — ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა ბერმა. — ყველა ბერს ფიქრობს, საჩუქნობა კი არ სჩანს. თუ რწმენა გინდა, არ უნდა იფიქრო. ის კაცი, რომელიც რქიან ღმერთზე ლაპარაკობდა მეთქი...

— ამის თავი დაანებე, — ურჩია პეტრემ. — ამისთანა აზრები უსაქმობის მიზეზია. მძიმე უღელში რომ შეგაბან ერთბელ...

— არა, ორის წამება არ შეიძლება, — ბეჯითად განავრძობდა შამა ნიკო-ლიძემ.

სამრეკლოზე მეორეჯერ ჩამორცეს. ზარების გაზომილი ხმა ფანჯრის მინებს აწვევდა. პეტრემ ჰკითხა ძმას:

— წახვალ ლოცვაზე?

— არ დავდივარ. ფეხზე დიდბანს დგომა არ შემიძლია.

— ჩვენთვის თუ ლოცულობ?

ბერმა ამაზე არ უპასუხა.

— შეძინება, გზამ ძალიან მომქანცა. დროც არის...

ნიკიტა თავისი გრძელი ბელებით სავარძელს დაეხრებოდა, ფრთხილად ასწია მოუხეშავი ტანი და გასძახა:

— შიტია! შიტრია!

მერე ისევ დაეშვა ბოდიშის ნოხლით:

— შამატრე: დამავიწყდა, ჩემს მოსამსახურეს სასტუმროში სძინავს. მე ვთხარი დაიძინე მუთქი, მინდოდა შენთან თავისუფლად მესაუბრნა... აქ ყველა ჯამუშები არიან, ენის მიმტანი ხალხია.

მრავალი სიტყვით, რაც სრულიად საჭირო არ იყო, მან აუხსნა პეტრეს, თუ რა გზით უნდა წასულიყო სასტუმროში. როცა პეტრე გარედ გავიდა, ღამის ბნელში, გრილმა, მტკრიანმა წვიმამ შემოღუშაპუნა. გაიფიქრა:

— არ უნდოდა მოლაყბეს, რომ წამოგსულღვიყავი...

და უცხად, წინაღ განკილი, ნაცნობი შიშის სახით, უფროსმა არტამონოვმა იგრძნო, თითქოს ის ღრმა ზრამის ნაპირით მიდიოდა და ყოველ წუთში შიგ ჩაეარდნას მოელოდა. ნაბიჯს ვაუჩქარა. ხელები წინ გააშვირა და ღამის წყლიადს თითებით სინჯავა დაუწყა. თან თვალების მოუცილებლად წინ იტკირებოდა, ფარნის ბრკევილა წერტილისკენ.

— არა, — გამალებით ფიქრობდა იგი და ბორძიკით მიაბიჯებდა, — ყოველივე ეს ჩემთვის საჭირო არ არის. ხვალვე წავალ აქედან. არ მინდა... რა მოხდა? იღია მობრუნდება. არა, საჭიროა მტკიცედ ცხოვრება. აი, ალექსი როგორ იქცევა... შეიძლება, მაჯობოს კიდევაც.

ალექსის შესახებ იგი რალაც ძალდატანებით ფიქრობდა, იმიტომ რომ ნიკიტასა და ტიხონზე არ უნდოდა ეფიქრნა. მაგრამ როდესაც იგი მონასტრის სასტუმროს მაგარ ლოგინზე წამოწვა, კვლავ ეწვივნენ ძაწუხებელი ფიქრები ბერზე, მეფხოვეზე.

რა კაცია ეს ტიხონი? ყველაფერს, რაც კი მის გარშემო არსებობს, მისი ჩრდილი ეფინება. მისი სიტყვებით შეილიც კი ლაპარაკობს, მის აზრებს ძმაც მოჟადოებული ჰყავს...

— ნუგეშის მცემელი! — ფიქრობდა არტამონოვი ნიკიტას შესახებ. — აი, სერაფიმე უბრალო ხუროა და ნუგეშის ცემა ჩინებულად იცის.

არ ეძინებოდა. კოლოები კბენდნენ. კედელს გაღმა სამი ხმა განუწყვეტლად

ბუტბუტებდა. პეტრეს ეჩვენებოდა, რომ ესენი იყვნენ—მეფურნი შურზინი, ვაქარი, რომელსაც ფეხი სტკივოდა, და კაცი საჭურისის საჭურისი

— ლოთობენ ალბად.

მონასტრის

მონასტრის დარაჯი დროგამოშვებით სატყეულს არაკუნებდა. მერე მოულოდნელად, ძალიან აჩქარებით, თითქოს დაუფვიანდათ და ამის შეეშინდათ, ცისკრის ჩამორეკეს და პეტრესაც ამ რეკაში ჩაეძინა.

ძმა ეწვია ისეთივე გამომტყველებით, როგორც მას გუშინ ჰქონდა ბალში,—იმნიირივე უცხო, ავი და ირიბი გამოხედვით.—უფროსმა არტამონოვნა სასწრაფოდ დაიბანა ხელ-პირი, ჩაიცვა და მოსამსახურეს უბრძანა, რომ ახლობელ საფოსტო სადგურამდე გასამგზავრებლად ცხენები მოემზადებინა.

— რათ ჩქარობ ასე? — ჰკითხა ბერმა გაუკვირებლად.— მე მეგონა, რომ კიდევ დარჩებოდი.

— საქმე შაქეს.

ჩაის მოუსხდენ. პეტრე დიდხანს ფიქრობდა, თუ რა გკითხნა ძმისათვის. მოიკონა:

— მაშ, შენ აქედან წასვლას აპირებ?

— ვფიქრობ. მაგრამ არ მიშვებენ.

— რატომ?

— სასარგებლო ვარ მათთვის.

— საით აპირებ მიიწე?

— იქნება. ვიმოგზავრო...

— ავადმყოფი ფეხებით?

— უფეხოდაც დადიან.

— ეს მართალია,—დაეთანხმა პეტრე.

ერთხანს დადუმდენ. მერე ნიკიტამ სთქვა:

— ტიხონი მომიკითხე.

— კიდევ ვინ?

— ყველა.

— კეთილი. მაგრამ რათ არ მკითხე, ალექსი როგორ ცხოვრობს?

— რა საკითხავია? ისედაც ვიცი... მოხერხებულია. მე, იქნება, მალე წავიდე აქედან.

— ზამთარში ვერ წახვალ.

— რატომ? ზამთარშიც დადიან.

— მართალია, დადიან,—კიდევ დაეთანხმა პეტრე და ძმას ფული შესთავაზა.

— მომეცი, წისქვილის შეკეთებას მოხმარდება. წინამძღვართან არ შეივლი?

— დრო აღარ არის. ცხენი წეკაზმულია.

გამომშვიდებისას ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ნიკიტამ არ დალოცა ძმა. მისი მარჯვენა ხელი ანაფორას სახელოში გაება და პეტრეს მოეჩვენა, რომ ეს ნიკიტამ განზრახ ჩაიღინა.

პეტრეს მეცვლს კუზით მიბჯენილმა ნიკიტამ ყრულ წარმოსთქვა:



- მაპატიე, თუ გუშინ ზედმეტი გელაპარაკე.
- რა საბოდიშოა, ძმებო ვართ.
- ღამ-ღამობით ფიქრობ, ფიქრობ და...
- ჰო... მაშ მშვიდობით.

როცა პეტრე მონასტრის ქიშკარს გაშორდა, უკან მოიხედა. სასტუმროს კაბეზე თვალი მოჰკრა ნიკიტას ფიგურას, რომელიც ზედ ქვასავით ამართულიყო.

— მშვიდობით, — ქულის მოხდით ჩაიბუტბუტა მან.

თავი წვიმამ დაუსველა.

გზა ფიქვენარით მიდიოდა. სიჩუმე იღვა, თუმცა ფიქვების წიწვი მინასავით წკრიალებდა წვიმის მარგალიტების გაშხაპუნებაზე. ეტლის კაფაზე ბერი ისე ჭანაობდა, თითქოს ხტუნავსო. ცხენი კი წითელი იყო რაღაც, მგლოტი ყურები ჰქონდა.

— ა? რაზე ლაპარაკობენ? — ფიქრობდა პეტრე. — ღმერთი თავის დროზე წვიმას არ აგლინებსო ეს ყოველივე ბოროტებისაგან არის, სიივისაგან... სიმახინჯისა და შურისაგან წარმომდგარია. სიზარმაცისაგან... უზრუნველი კაცი უპატრონო ძაღლსა ჰგავს.

პეტრემ მიმოიხედა. აიძაგრა. ცხადი იყო, რომ, წვიმა, მართლაც, უდროვოდ დროს მოდიოდა.

კვლავ ნაცრისფერი ღრუბლებივით შემოეხვედნენ მწარე ფიქრები. რომ მათგან თავი დაეღწია, იგი არაყს სვამდა ყოველ სადგურზე.

სალამოს, როცა შორიდან კომლიანი ქალაქი გამოჩნდა, გზა გადაუჭრა მატარებელმა. დაიფსტინა, ორთქლი შეაფრქვია და, თითქოს მიწაში ჩაძვრაო, მომგვრალო ხერეღში მიიშალა.

III

ბაზრობაზე გატარებულ დროს რომ იგონებდა, პეტრე არტამონოვი საშინელ გაოცებას გრძნობდა, თითქმის შიშს. არ სჯეროდა, რომ ყოველივე ის, რაც ახსოვდა, ნამდვილად ჰქონდა ნახული, და თვითონ ისიც იმ უზარმაზარ ჭეის ქებაში იხარშებოდა, რომელშიაც ირეოდა უდიდესი რახარაბი, მუსიკა, სიმღერა, ყვირილი, ლოთების ღრიანცელი და გონებადაკარგული ხალხის გულისგანწყალვებელი სედიანი ღმერთი. ყოველსავე ამას ერთად რეედა და ხარშავდა ეინზე შალალი თმა-ხუჭუქა კაცი, ცილინდრსა და სიურტუქში გამოწყობილი, რომელსაც გალურჯებულ, გაპარსულ სახეზე მიკრული ჰქონდა ბუს გადმოკარკლული თვალები. იგი დიდრონ ტუტებს ატრიალებდა, დაძვერებით ეხვეოდა არტამონოვს და ყვიროდა:

— სულელო, დაჭმედი. რუსეთის ნათლილება, გესპის?.. ყოველწლიური ნათლილება ვოლგასა და ოკაზე!..

სახე მზარეულს უგავდა, ბოლო ეცვა ისე, როგორ აცვიით მდიდარ მიცვალებულთა სასაფლაოზე გამსვენებლებს, რომლებიც ჩირაღდანიით მოუძღვიან პროცესიას. პეტრეს ძლივს აგონდებოდა, რომ იგი ჯერ წაეჭხუბა ამ ადამიანს, ხო-

ლო შერე მასთან ერთად ნაყინგარეულ კონიაკს სვამდა. ის კაცი მკერდში ხელს იცემდა, ტიროდა და ამბობდა:

— გაიგე რუსის სულის ბლავილი!... მამაშემი მღვდელის იმე, შე კი არამზადა ვარ!..

ხმა ბოხი ჰქონდა, მაგრამ ღბილი. გაუგონარი სიტყვების კორიანტელს აყენებდა, და ეს სიტყვები ყველას აღელვებდა.

— ხორცის გაბრწნა.— ჰყვიროდა იგი.— ეშმაკთან ბრძოლა... გადაუგდეთ მეგ ღორს ბინძური ხარკი! დააცხრე, პეტია, ხორციელი ჯანყი. თუ არ შესკოდებ— ვერ მოინანიებ, ხოლო თუ ვერ მოინანიებ— ვერ ცხონდები. განიბანე სული! აბანოში ხომ დავდივართ და ტანს ხომ ვიბანთ!.. სულმა კი რა დააშავა? სული აბანოს მოითხოვს. მიეცით გზა ფართო რუსულ სულს, მგალობელ სულს, წმიდას და დიადს.

პეტრეც სტიროდა აჩვილებული და ბუზღუნდებდა:

— ობოლი რამეა სული... გერი... დავიწყებულია, არ გვეცოდება.

და ყველა იქ მყოფი უდასტურებდა:

— სწორია! მართალია!

მელოტი წითელ-წვერა ვინმე კაცი გახურებული სახით და ღილის ფერი ყურებით, სწრაფი და მგვრალი, ბზაილსავით ტრიალებდა და ღონეგამოლეულად, დედაკაცურად სწივოდა:

— სტეპა მართალია... გაღმერთებ. საშინლად მიყვარხარ... სამი რამ მიყვარს საშინლად: შენ, მომკვავო და მართალი... მართალი სულის შესახებ.

ესეც სტიროდა და მღეროდა:

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთურგენელი“.

პეტრე კიდევ ანტონ-სულელის სიტყვებს იმეორებდა:

„Кинитка потерял колесо“.

პეტრეს ეჩვენებოდა, რომ შავი სტეპა მასაც უყვარდა, მის ყვირალს მოჯადოებული სახით უსმენდა და, თუმცა ზოგი არაჩვეულებრივი სიტყვა შიშსა გერიდა, მაგრამ ზოგი ისე ტკბილად აღელვებდა, თითქოს ბნელი და ახმაურებული ქაოსიდან შშვიდსა და ნათელ სამყოფელში მიუძღვებოდაო. განსაკუთრებით მოსწონდა მას თქმა: „მგალობელი სული“. დიდად მართალი ეჩვენებოდა ეს თქმა, რომელიც მას შემდეგ სურათს აგონებდა:

საქმიანი დღეა. სიცხე. დრემოვოს გაბინძურებულ ქუჩაში სდგას მაღალი, თეთრ-წვერიანი მოხუცი, სიკვდილივით ჩონჩხს დამსგავსებული, და მოქანცული ხელით შარმანკის ტარს ატრიალებს, მის წინ ლურჯსა და დაქუჭმნილ კაბაში გამოწყობილ თორმეტი წლის გოგოს თავი უკან გადაუგდია, თვალები დაუხუჯავს და ჭინთვით მღერის:

И не жду от жизни ниче-вося...

И я ишу свободы и покоя...

როცა არტამონოვს ეს გოგო მოაგონდა, ღილის ფერის ყურებიანი კაცს ჩურჩულით მიმართა:

— მგალობელი სულიო!.. რა მართალი თქმაა...



— სტეპა? — უბის აწევით შეეკითხა წითელწვერა. — სტეპამ ყველაფერი იცის... მას ყოველი სულის გასაღები აქვს...

და უფრო და უფრო აგზნებული განაგრძობდა წივილს:

— სტეპა, კაცობრიობის მეგობარო, ნუ დაგვზოგავ!.. ვეკილო პარადიზოვო, წავვიძელ ვახწნილების მიუვალ ბუნაგებისკენ!.. ყველაფერზე თანხმობა მომიცია! „კაცობრიობის მეგობარი“ მოქიფე მრეწველთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. სადაც კი გამოჩნდებოდა თავისი მწერალი ჯოგით, ყველგან მაშინვე მუსიკას დაუტარებდნენ და სიზღვრას წამოიწყებდნენ. ხან ნაღვლიანს რასმე მღეროდნენ, დამაღონებელს, ხან კიდევ მზიარულს, თავმუსკავებელი ცეკვითა და ბუქნაობით. სმენას აყრუებდა დიდი დოლის რახუნი და სტევირის საწინელი წრიპინი და ფსტენა. როცა ნაღვლიანს რასმე მღეროდნენ, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ტრაქტორის ქვის კედლები ვიწროვდებიან და ეს-არის წამოიქცევიანო. ბოლო როცა ხორო მზიარულს შემოსდახებდა და ჭრელად ჩაცმული ბიჭები ცეკვას დაიწყებდნენ, — კედლები ისევ გაიწეოდნენ, თითქოს ქარმა შემოუბერა და გაბერაო. პეტრე არტამონოვი, თითქოს საქანელაზე იჯდა — დროთ მზიარული იყო, დროთ კი მწუხარებით აღტაცებული. ზოგჯერ ისე აეგზნებოდა, რომ სურვილი დაებადებოდა რაიმე არაჩვეულებრივი, შემადრწუნებელი ჩაედინა, მაგალიათად მოგვლა ვინმე და მერე იქ მყოფთ ვედრებით ფეხბეჭეშ ჩავარდნოდა მუხლმოყრილი:

— გამასამართლეთ... დამსაჯეთ უსაშინელესი სასჯელით!

„სამოკატზე“, გავიფხულ ტრაქტორში ისხდნენ, სადაც იატაკი სუფრებითურ კაციან-ლაქიან ნელა ტრიალებდა. უძრავი იყვნენ მხოლოდ დარბაზის კუთხეები. იატაკის ბრუნვაზე ხან მუსიკის დამეკრელებს ჯგუფი გამოჩნდებოდა ერთ კუთხეში, ხან ხორო ნაირ ფერში გამოწყობილი თავ-გვირგვინიანი ქალებით — მეორე კუთხეში; მესამე კუთხეში — ბუფეტის დაზგაზე ჩამოლაგებულ ქურქლებსა და ბოთლებზე ჩამოკიდებული ლამპების სინათლე ბრკეციალებდა. მეოთხე კუთხე კი კარს ეჭირა. ამ კარით ხალხი შემოდისოდა. შემოსულები მბრუნავ იატაკზე შესდგებოდნენ, გაიქანავებდნენ, დაეცემოდნენ, ხარბარებდნენ, და ისევ სადღაც წაეიდოდნენ.

შავი სტეპა, კაცობრიობის მეგობარი, არტამონოვს განმარტებას აძლევდა:

— სისულელეა, მაგრამ კარგი კი არის. იატაკი — კოჭებზეა, როგორც ლამბაქი გაშლილ თითებზე. კოჭები სვეტზეა მიმაგრებული. სვეტს ორი ოწინარი აქვს აქეთ-იქით. თითოეულში წყვილი ცხენია შემბული, ეს ცხენები დადიან და აქ იატაკი ტრიალებს... მარტივი რამეა! მაგრამ ამაში აზრია. პეტია, გახსოვდეს მარად: ყველაფერს თავისი აზრი აქვს, იცოდე!

თითი ჭერისკენ აშართა. თითზე მგლის თვალივით გაუბეჭვიალა ბეჭდის მომწვანო ქვამ. ვიღაც მკერდგანიერმა ვაჭარმა, რომელსაც თავი ძაღლს მიუგავდა, არტამონოვს სახელოზე წააელო ხელი და პირდაპირ თვალებში ჩააცქერდა. თვალი მკედრისა მქონდა, როგორც შუშა. ყრუდ, მაგრამ ხმამაღლა ჭკითხა:

— დუნია რას მეტყვის? ა? შენ ვინ ხარ?



პასუხისთვის არ დაუცდია, ისე იქვე სხვას მიმართა:

— შენ ვინ ხარ? რა უნდა ვუთხრა მე დუნიას?

სკამის ზურგზე გადაწვა და ჩაიფრუტუნა:

— ფი... ეშმაკმა კი წაილოს.

მერე იყვირა, რაც ძალა ჰქონდა:

— ახლა სხვა ადგილას... აიდა!

გზაზე მეეტლეს ადგილზე დაჯდა. კოფოზე. თვითონ გარეკა ცხენები. გზაზე გაჩვლელთ ხმაბალა მიმართავდა:

— პულასთან მივდივართ! წამოდი ჩვენთან!

წვიმდა, ხუთნი ისხდნენ ეტლში. ერთი მათგანი არტამონოვის ფეხებთან გაწოლილიყო და ბუტბუტებდა:

— მან მე მომატყვილა. სამაგიეროდ მეც მოვატყვილებ... მან—მე, მე კი--ის...

შოდანზე, პურის კვერის მსგავს გორაკთან, ეტლი წამოიქცა. პეტრემ თავი და მკლავი იტყინა. გორაკის ძირში სველ ჯირკვზე ჩამოჯდა და ლილის ფერის ყურებიან წითელწვერას შეაჩერდა, რომელიც გორაკზე აღიოდა მეჩეთის პირდაპირ.

— შორს ჩემგან! მინდა თათარი გავხდე! გამიშვიო, მაჰმადი მინდა ვიყუე.

შავმა სტეპამ ფეხზე წააგლო ხელი და ძირს ჩამოათრია. სადღაც წაიყვანა. დუქნებიდან სპარსელები, თათრები და ბუხარლები გამოცვივდნენ. ყვითელ ხალათში ჩაცმულმა მწვანე დოღბანდიანმა მოხუცმა ჯოხი დაუქნია პეტრეს და დაემუქრა.

— ურუსო, შაითანო!

სპილენძის ფერმა პოლიციელმა არტამონოვი ფეხზე დააყენა და უთხრა:

— უწესოება აკრძალულია.

გაზნდნ მეეტლეები, მთვრალეები ეტლებში ჩასვეს და გააქანეს. ყველაზე წინ კაცობრიობის მეგობარი მიდიოდა. იგი ეტლში იდგა. ხელის გულის მილი პირზე მიედგა და რალასაც ვაძყვიროდა.

წვიმამ გადაილო, მაგრამ ცა ისეთი შავი და მრისხანე იყო, როგორიც ცხადად არასოდეს არ არის ხოლმე. ქარვასლის უშველებულ შენობაზე ელვის ნაწყვეტები სკეივოდნენ და ბნელს ცეცხლის ალით აპობდნენ. შიშმა შეხარა ყველანი, როცა ცხენებმა ბეტანგურას არხის ბიძზე ტორები გაათქარათქორეს,— არტამონოვი მოელოდა, რომ ბიდი ჩაინგრეოდა და ყველანი კუბრივით შავსა და უძრავად დამდგარ წყალში ჩაცვივდებოდნენ.

ამ კოშმარული სურათების მოგონებისას არტამონოვი თავის თავს ეძებდა და ჰპოულობდა კიდევაც მას, თითქმის უცნობი, სხვა ადამიანის სახით, რომელიც გონებდაკარგული მოქიფეთა შორის იწყობებოდა. ეს ადამიანი საშინლად ბევრს სვამდა და მოუთმენლად მოელოდა, რომ, აი, შემდეგ წუთში სულ სხვა რამე, მთავარი, არაჩვეულებრივი და საშხარულო დაიწყებოდა; ან უსაზღვრო სევდა გაიტაცებდა, ან ასეთივე უსაზღვრო სიხარული მოიცავდა.

ყველაზე უფრო შენჯარავე ის იყო, რომ მის მეხსიერებაზე ბრწყინვალე სხივივით დაქანობდა მუცავი ქალი, პაულა მენოტი. არტამონოვი ჩაეხიკვი და დიდსა და ცალიერ ოთახში, რომელსაც შიშველი კედლები ჰქონდა. ოთახის მესამედი სუფრას ეჭირა, რომელზედაც ეწყო ბოთლები, ნაირი ფერის ჭიჭები, ლარნაკები, ხილი, ვერცხლის ლამბაქები ხიზილალთ, შანპანიური. ათიოდე მლოტი, წითური და ქაღარა კაცი სუფრას მოუთმენლად უჯდა. რამდენიმე სკამი ცალიერი იდგა. ერთი მათგანი ყვავილებით იყო მორთული.

შავი სტეპა შუა ოთახში იდგა... ოქროთ მოქედილი ჯოხი სანთელივით მალა აენართა და განკარგულებას აძლეოდა:

— ჰეი, ღორებო, საჭმელს ხელს ნუ ახლებთ.

ვილამაც ყრუდ წარმოსთქვა:

— ნუ ყვავ.

— ენა ჩაიგდე.— დაუყვირა მას კაცობრიობის მეგობარმა.— აქ განკარგულებას მე ვიძლევი მხოლოდ.

არტომლაც უკებ ჩამოზნელდა ოთახში და კარსუკან დოლის ხმა გაისმა. სტეპა კარს მივარდა და გაალო. შემოვიდა ვინმე მსხვილი კაცი, რომელსაც დოლი მუცელზე ჰქონდა მიკრული. ბაჯბაჯით მოდიოდა, ბატივით. დოლს ძალზე სცემდა.

— ბუმ... ბუმ...

ჩინებული სახის ადამიანები, რიცხვით ხუთი, ცხენებივით დაქიმულიყვენ, წელში მოლუნულიყვენ და ამნაირად როიალს მოათრევენ ფეხებზე მიმზული პირსახოცებით. როიალის შავად ბზიალა სახურავზე შიშველი ქალი იწვა, რომლის სითეთრე თვალს ამრამეებდა, ხოლო უსირცხვილო სიწიშველე გონებას ჰზარავდა. ქალი პირალმა იწვა. მკლავები თავქვეშ შემოეწყო. მისი გაშლილი შავი თმა როიალის სიშავეში შერეულიყო. რამდენსაც უახლოვდებოდა იგი სუფრას, იმდენად უფრო თვალსაწიწო ხდებოდა მისი ტანის ფორმა და მაყურებლებს შიგ თვალებში ეჩხირებოდა ილიასა და მუცელზე ამოსული თმის ფოჩებები.

წრიალებდენ სპილენძის გორგლები, კრიალებდა იატაკი და გაისმოდა დოლის რახრახი. როიალში შეზმული ადამიანები დადგენ, წელში გაიმართენ. არტამონოვი მოელოდა, რომ ყველა იქ მყოფს სიცილი წასკდებოდა და მაწინ ყოველივე უფრო გასაგები იქნებოდა, მაგრამ სუფრაზე მსხდომნი ფეხზე წამოდგენ და ჩუმად დაუწყეს ქალს ეჭირა, რომელიც ნელი, ზანტი მიმოხვრით როიალის სახურავს სცილდებოდა. ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ეს-არის გაილეიწო, ხოლო მის ქვეშ ლამის ქვასავით მკერივი ნატები კვლავ ლეიბად აგიაო. ეს რომელსადაც ზღაპარს ჰგავდა.

ქალი ადგა. უხვი დალალი ზურგს უკან გადაიფანტა, ფეხები დააბაკუნა და როიალის შავს კრიალა სახურავს თეთრი ფიფქი გადააბნია. როიალს შიგნით სიმეხმა ჩაიგუგუნეს.

ოთახში ორი ადამიანი შემოვიდა: სათვალეზიანი, მოხუცებული ქალი და ფრაკში გაწოწყობილი მამაკაცი. ქალი როიალს მიუჯდა და ერთსა და



იმავე დროს თავისი ყვეთელი კბილები და როიალის ორფერი კლავრზე გა-
მოაჩინა. ფრაკში გამოწყობილმა მამაკაცმა კი ეიოლონი მანკაბლოვა,
თვალეები დაიბატარა, თითქოს რაღაცა მიზანში ამოიღო, და მსტრუმენტს
ჭამანა გადაუსვა. როიალის ბოხ ხმას ეიოლონის წმინდა, ფსტენისებური ხმა
შეერია. შიშველი ქალი ტაღლას მსგავსი რხევით წელში გასწორდა, თავი
შეაქანა. თმა წინ გადმოივლო და ისიც თავხედურად გამოშვრილ ძუძუებზე
გადაეფარა. ერთი შეივარა მთელი ტანით და ნელად, ხმაშეკავებულად, თითქოს
მისი ზმანებანი ხმა შორიდან ისმისო, სიმღერა დაიწყო.

ყველა დღემილით უსმენდა. თავი მალა აეწიათ და ისე შესცქეროდნენ.
სახე ყველას ერთნაირი ჰქონდა. თვალეები დაბრმავებოდნენ. ქალი უხებურად
მღეროდა, თითქოს სიხმარში არისო. მისი ბზინავი ტუნები გაუგებარ სიტყვებს
წარმოსთქვამდნენ. ნამიანი თვალეები იქ მყოფთა თავებს ზეწოდ იმზირებოდნენ.

არტამონოვს ვერ წარმოედგინა, რომ ქალის ტანი ასე დამფრთხობელად
ლამაზი და მოხდენილი შეიძლება ყოფილიყო. ქალი ხელის გულს მკერდსა და
გვერდებზე ივლებდა, თავს ხშირად აქნევდა. მაყურებლებზე ისეთ შთაბეჭდილებ-
ბას სტოვებდა, თითქოს უხეი თმა ყველას თვალწინ ეზრდებოდა და თვითონაც
ისეთნაირად დიდდებოდა, რომ გარშემო ყველაფერს ჰგარავდა, ვითომ მის გარ-
და ოთახში სხვა არაფერი და არაფერი ყოფილიყოს.

არტამონოვს კარგად ახსოვდა, რომ ქალს ერთხელაც არ აღუძრავს
მასში ენებინი სურვილი, — პირიქით, იგი შიშსა გვირდი მას და გულს ძრწო-
ლით უკუმშავდა, — ჯადოქარივით შეზარადად მოქმედებდა. მიუხედავად ამისა
კარგად გრძობდა, რომ თუ ქალი მოისურვებდა, პეტრე ნებას დაჰყებოდა და
ყველაფერს შეასრულებდა, რასაც იგი უბრძანებდა. ხალხს რომ გადახედა,
უფრო დარწმუნდა, რომ ეს მართალი იყო.

— ყველანი ასევე მოიქცევიან.

არტამონოვი ფიხილდებოდა. შეუმჩნევლად უნდოდა წასვლა. ხოლო საბო-
ლოოდ გადაწყვიტა წასულიყო, როცა ვილაის ჩურჩულს ყური მოჰქრა:

— გესმის: „ჩარუსა“.

— ღრუ... ტბორე ბუნების. გესმის: ღრუ ტყიან ჭაობში შეხედე.

არტამონოვი იცოდა, რომ ღრუ ტყიან ჭაობში მოფენილია აბრეშუმისე-
ბური სუფთა, ლამაზი ბალახით, მაგრამ როგორც კი ფეხს დაადგამ, უფსკრულ-
ში ჩაიყვინთები. — მაგრამ იგი მაინც თვალეებს ვერ აცილებდა ქალს, რომლის
სიშიშველე ჯადოსავით იზიდავდა. როცა ქალი მასზე შეაჩერებდა თავის ჩიმიმ,
ნამიან თვალეებს, არტამონოვი მხრებს აიწურავდა, თავს დახრიდა და განზე
გაიხედავდა. ამჩნევდა, რომ მახინჯი, ნახევრად მთვრალი ადამიანები ისეთივე
გაფართოვებული თვალეებითა და ჩლუნგი გაკვირვებით შეტყურებდნენ ქალს,
როგორც დრემოვის მცხოვრებნი უცქეროდნენ საყდრის სახურავიდან ჩამოვარდ-
ნილს სასიკვდილოდ დაშვებულ მღვბავს.

შავი, თმახუჭუჭა სტეპა თანჯარაზე ჩამომჯდარიყო, გასივებული ტუნები
ჩამოეშვა და შუბლზე აკანკალებული ხელი მიეღვა. ისეთ შთაბეჭდილებას სტო-
ვებდა, თითქოს, ეს არის ჩამოვარდება და იატაკზე თავით დაენარჩხებო. მაგრამ
უცებ, სახელოზე მოხსნილი მანეტი რატომღაც მოიძრო და კუთხეში მიაგდო.



ქალმა მოძრაობას უმატა. ისეთნაირად იკლავებოდა, თითქოს რეალურიდან გადმოხტომას აპირებსო, მაგრამ არ შეუძლიაო. ასლა ხმა ნაბუღბუღად, გაბოროტება ეტყობოდა. განსაკუთრებით შემხარავე იყო მისი ფეხების ტალღასებური მიმოხვრა და თავის ქნევა. შავი თმა გაშლილ ფრთასავით მხრებზე ზევით ჰაერში შესტყარცნოდა და ხან მკერდზე და ხან ზურგზე ეფინებოდა, როგორც ნადირს ტყავი.

უცებ შესწყდა მუსიკა და ქალიც იატაკზე გადმოხტა. შავმა სტეპამ ოქროს ფერ ხალათში გახვია იგი და სწრაფად ოთახიდან გააქანა. ხალხმა იყვირა, ტაში დაჭრა. დაფაცურდნენ ლაქიები, რომლებიც მიცვალბულებივით თეთრ სუდარაში იყვნენ გამოწყობილნი. აწყრილდნენ ქიქები და ხალხი სასმელს ხარბად დაეწაფა, როგორც წყალს სიცხეში მოწყურებული. სკამდენ და სვამდენ ადამიანებისათვის შეუფერებლად. ზიზღს იწვევდა მათი თეთრებზე დახრალი თავები, გვეგონებოდა გობს მისეული ღორებიანო.

ასლა ბოშები განდნენ დარბაზში. ისინი გაშმაგებულად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ხელსაბოცები და კიტრები ესროლეს. მალე ისეც წავიდნენ, გაჭქრენ. მათ ადგილზე სტეპამ ქალების ახალი ჯოგი მორეკა. ერთი მათგანი, პატარა, საესე, წითლად გამოწყობილი, პეტრეს მუხლზე ჩამოუჯდა, შამპანიური პირთან მიუტანა და შესთავაზა:

— დავლიოთ, წითელო, შენი სადღეგძელო.

მლილივით მსუბუქი იყო. სახელად ერჭვა პაშუტა. გიტარაზე უკრავდა და გულითადად მღეროდა:

„Снилось мне утро лазурное, чистое

როცა მისი ხმა სევდის კილოზე გადავიდოდა და ნალვლიანად წარმო-სთქვამდა:

„Снилась мне юность моя, невозвратная

არტამონოვი მეგობრული, მშობლიური აღერსით ხელს თავზე გადაუსობდა და აიშვებდა:

— ნუ ჯავრობ... შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ... ნუ გეშინია...

ხოლო ღამე, როცა მას ეხვეოდა, თვალებს ბუქავდა, რომ უკეთ წარმოედგინა პაულა მენოტტი.

როცა ფხიზელი იყო (და ეს იშვიათად ხდებოდა) მას დიდად აკვირებდა, რომ ეს პაშუტა მას საშინაოდ ბეერ ფულს ართმევდა, და ფიქრობდა:

— ეს რა მლილი ვინმეა...

მას აოცებდა, რომ ბიზრობაზე ჩამოსული ქალები დიდ ფულს შოულობდნენ, მაგრამ რასაც ურცხვი ხელობის ფასად იძენდნენ, უაზროდ ფლანგავდნენ და ანიავებდნენ. არტამონოვს უთბრეს, რომ ბეწვეულობის უმდიდრესი ვაჭარი, რომელსაც პირისახე ძალს მიუგავდა, პაულა მენოტტზე ათი ათასობით ხარჯავდა, — თითოეული გაშიშვლებისთვის სამ სამ ათას მანეთს აძლევდა. მეორე ვაჭარი, ლილისფერი ყურებით, სიგარას ას მანეთიანით უკიდებდა ცეცხლს, ხოლო ქალებს უბეს ფულებით უფებდა.

— წაილე; გერმანელო, მე ბეერი მაქვს.

იგი ყველა ქალს გერმანელს უწოდებდა. არტამონოვს კი ყველანი უსირცხვილო პაულას სახით ჰყავდა წარმოდგენილი და ეჩვენებოდა, რომ უსირცხვილად უნდა ყოფილიყო მათგანი—სულელი, ცბიერი თუ თავნები—ყველა მტრად ჰყავდა გადაკიდებული.

— არარაობა, მღიღი...—ფიქრობდა იგი და ახალგაზრდა ლამაზ ქალების აპრეტულ ხოროს მესხიერების თვალთ ათვალეირებდა, ყველა კარგად ახსოვდა, ყველაფერს ნათლად იგონებდა.

ძნელი გასაგები იყო მისთვის ერთი რამ: რა იყო ეს? როგორ ხდებოდა? ხალხი მუშაობდა, თავდავიწყებამდე საქმეში იყო გართული, რომ რაც შეიძლება მეტი ფული დაეგროვებინა და მერე... ამ ფულს ცეცხლზე სწვავდენ ან მეძაე, გატრწნილ ქალებს უანგარიშოთ თავზე აპნევდენ? და ამას სჩადიოდენ ცნობილი, სერიოზული აღამიანები, ცოლიანები, შვილიანები, ვეება ფაბრიკების პატრონები.

— აღბად მამაც ასევე იქცეოდა, — ფიქრობდა არტამონოვი. თავისი თავი კი ამ ამბების უნებლიე, შემთხვევითი მიყურებლად ჰყავდა წარმოდგენილი. მაგრამ ასეთი ფიქრები ღვინოზე უფრო ათრობდენ მას და მხოლოდ ღვინით შეიძლებოდა მათი დაცხრობა, — პეტრეც სამი კაირის განმავლობაში თავულებლად ქეიფობდა და ბოლოს მაშინ გამოფხიზლდა მხოლოდ, როცა ბაზრობაზე აღეჭსი ჩამოვიდა.

შემდეგი იქნება

თარგ. დეო კიაჩელის.



საქართველოს
ქრონიკის
სამეცნიერო ცენტრი

ტრადიციის მემკვიდრეობა კულტურის მემკვიდრეობა

პრიტიკული შენიშვნები

განვირუტთა მწერალი

ანდრეი სობოლ

I

ორი წლის წინედ, მოსკოვში სწორედ იქ, სადაც რევოლუციამ ძველი დაუდგა თავის მეცნიერს—ტიმირიაზეცს, თავი მოიკლა ანდრეი სობოლმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ. თავის დროზე ამ ამბავმა საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუს ინტელიგენტთა წრეებში. ზოგმა ეს ამბავი დაუკავშირა „ბოლშევიკების უხეშ პოლიტიკას“ მწერლებისადმი, საფუძვლად ის გამოიჩინა, რომ ანდრეი სობოლი წინააღმდეგი იყო ცეკას რეზოლუციისა მხატვრობის შესახებო. ზოგი, ცნობილი რუსი მწერლის ამ ტრადიციას, სობოლის ცხოვრების უკანასკნელ დღეებში მომხდარ შემთხვევითი უსიამოვნო ამბებით ხსნიდა. ზოგმა კი მწერლის თავისმოკელის მიზეზების ძებნა მ-ს პირად ხასიათში დაიწყო. დაბოლოს, მოინახენ ისეთებიც, რომლებმაც ტიმირიაზევის ძველთან გასროლილი ტყვია თავისმკვლელისა „იდეოლოგიურად“ ახსნეს: ანდრეი სობოლი საზოგადოებრივად განადგურდა, პოლიტიკურად გაკოტრდა, მორალურად დამარცხდა, და თავის მოკვლა ანჯობინა მკვდარ სიცოცხლესო. ჩვენ არ ვიცით, არც არავინ იცის ეს, თუ რა იყო უშუალო მიზეზი იმისა, რომ საკმაოდ ცნობილმა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალმა, რომელსაც შეეძლო კიდევ—წლოვანობის მიხედვით ბევრი რამ ეთქვა, ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადასდგა. არავინ იცის ეს, ანდრეი სობოლს თავის სიკვდილის ასახსნელად არაფერი დაუტოვებია. ეს საიდუმლოება მან თან ჩაიტანა საულავში. ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, უნაყოფოა იმისი ძიება, თუ რატომ მოიკლა ამა და ამ დროს თავი ადამიანმა, რომელსაც მწერლობაში იცნობდნენ, როგორც ანდრეი სობოლს. და, ბოლოს, ჩვენის აზრით, არც არის ეს საკითხი მაინცდამაინც დიდათ საინტერესო, რადგან ის რაც საზოგადოებრივად საინტერესოა ანდრეი სობოლის, როგორც მწერალის, ცხოვრებაში,—მის მიერ ეპოქის შეფასება და ამ შეფასებაზე აგებული

შენობა მხატვრული შემოქმედებისა, — ჩვენს ხელთ არის, მისი ნაწარების სახით. და სწორედ ეს ნაწარები ნათელს გახდიან ჩვენთვის იმას, რაც ტიპობრივად ძველთან „გათამაშებული“ ტრადიციის მიზეზი შემთხვევითი არ იქნებოდა. ანდრეი სობოლის შემოქმედების მთელი სავალი ფატალურის აუცილებლობით მიგვაქანებს ტიპობრივად ძველთან მომხდარ ტრადიციასკენ, — რასაკვირველია ამ ფაქტის საზოგადოებრივი აბსნა-განმარტების თვალსაზრისით.

II

ერთი პატარა მოთხრობა აქვს ანდრეი სობოლს სათაურით: „კუზიანი“. მოთხრობა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში მოცემულია, ასე ვთქვათ, მთელი კვინტესენცია სობოლის შემოქმედებისა.

ქალთა ყოფილი გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი სერგეი პეტროვიჩ სკორობოგაჩევი თავს იკლავს; მაგრამ წინასწარ გვიხსნის იმის მიზეზებს თუ რად იკლავს ის თავს. მოთხრობა შესრულებულია, როგორც წინასწარი წერილი თავისმკვლელისა. მართალია, ძალიან გაკვირვებულად სცხოვრობს დღეს სერგეი პეტროვიჩის ოჯახი. (სამოქალაქო ომების დროში ზღვება ეს). ძველად კი საკმაოდ, მდიდრად თუ არა, კმაყოფით მაინც სცხოვრებდნენ სკორობოგაჩევის ოჯახში. დღეს კი გაკვირება უკანასკნელ საზღვრებამდეა მისული, ხშირად არ არის ლეკვა პური. ოთახში ხშირად ზამთარში წყალი იყინება. მართალია ეს, მაგრამ ამიტომ როდღე იკლავს თავს ყოფილი მასწავლებელი ქალთა ყოფილი გიმნაზიისა, ყოფილი ლიბერალი და, შეიძლება რევოლუციონერიც, აღამიანი რომელიც ოდესღაც ხელს უწყობდა „ძველი კერპების ნგრევას“. ის თვითონვე ამბობს:

და თავს ვიკლავ არა იმიტომ რომ ხშირად ლეკვა პურიც არა მაქვს, რომ ჩემი ცოლის შავი წინდები დაკრებულაა ღურჯი ძაფებით; როდესაც ირვევა მთელი ქვეყანა, — განა მე ვი არ ვიცი, თუ რა საშენი და მნიშვნელობის მქონე მასში ის, რომ შავ წინდებზე ღურჯი ძაფებია?!. მე ვყეფები იმიტომ, რომ .. ეს იცის შეროჩკამ.

ვინ არის ეს შეროჩკა, რომელმაც იცის თუ რატომ იკლავს თავს სერგეი პეტროვიჩი? ეს შეროჩკა 17 წლის კუზიანი გოგონაა, ბავშობიდანვე სკორობოგაჩევის ოჯახში აღზრდილი, როგორც საყუთარი შვილი. „კუზიანია ეს შეროჩკა, მახინჯი, მაგრამ ენერგიით აღსავსე, ოპტიმისტი; მისი კუზიანი ხერხემალი მაგარია, როგორც ფოლადი. სიმშლისა და სიცივის საშინელ პირობებში ერთად-ერთი შეროჩკა არ იტებს გულს სკორობოგაჩევის ოჯახში. იბრძვის არსებობისათვის და სწამს ურყევად, რომ კიდევაც გაიმარჯვებს, — ეს 17 წლის კუზიანი გოგონა... და აი ამ შეროჩკამ იცის, რატომ უნდა მოიკლას თავი ნისმა ბიძამ, სერგეი პეტროვიჩმა; ასე ლაპარაკობს შეროჩკა:

დაბნ მე ვიცი ეს, ბიძებო: კუზიანი ვარ, ბავშობისას მირბ დავეწარცხე და კუზი გამიჩნდა. ვიყავი როგორც ალვის ხე, სწორი და მშობიანი, ეხლა კი, ხომ მხედვავ, როგორი მახინჯი ვარ... შენ კი ვითომც, სწორტანად იზრდებოდი. ამ აზრით მან წელს მიღწიე და მხოლოდ ეხლა მა-მნ-ზე შეამჩნიე, რომ შენც კუზიანი ყოფილხარ თურმე. და მერე, როგორი დიდი და ვებრთელა კუზი გაქვს! და როდესაც დღეს წელს მაგამართუნდი და ძალღრწით — აღსავსენი შეგტყრებლივ მიემურებიან წინ, — აბა სად უნდა მოაზრებო

შენ შემობრუნება, საბრალო კუზიანო ძია? როგორ დაეწვევი მათ? შენ ძმოდ გხლა მიხვდი ამას და,—ვაშა შენ, რომ არ შეგეშინდა ამ სიმაართლისა, სხვებზეც შენც შენისთანა კუზიანები, ღანრობენ და კლხს ჰფარავენ. იბინე, ჩემო კარგებო, შენც შენივინე და, კუზიანს მხოლოდ საწარე გაასწორებს...

და ნეც დავიძინებ... ოჰ, როგორ მშვიდად დავიძინებ. —

ათავეებს თავის წერილს სერგეი პეტროვიჩ სკორობოგაჩევი.

აი, თურმე რა იცის შუროჩკამ. ჩვენც ვიცით ეხლა, თუ რად იკლავს თავს სკორობოგაჩევი. კუზიანია ის, დიდი, ვებერთელა კუზი აქვს. და ეს მან მხოლოდ ეხლა შეამჩნია. 35 წელს სცხოვრობდა; რა არ უნახავს, რას არ შეხვედრია, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ კუზიანი იყო. და მისი კუზიც განსაკუთრებულია: დიდა, ვებერთელა—მიიტომ, რომ ეს კუზი მას ზურგზე კი არ აქვს, როგორც შუროჩკას, გარეგნულად კი არ ამახინჯებს მას,—ეს კუზი მას გულში აქვს და სულში, მთელს არსებაში.

ფიზიკურად კი არ არის კუზიანი, არამედ საზოგადოებრივად, იდეოლოგიურად, როგორც მოღვაწე, ხალხის შვილი, მებრძოლი...

რევოლიუციამ ახადა ფარდა ასეთ კუზიანებს, ზედმეტ ადამიანებს, დაღლილთ, მოკანკულთ, იმედგაცრუებულთ, რომელთაც მხოლოდ მოსვენება უნდათ და ძილი... რეაქციასთან ისინი არ არიან, რევოლიუციას ამართლებენ, მაგრამ იმის თავი, ძალა, ხალისი და გამძლეობა არა აქვთ, რომ მასთან ერთად იყვენ, იმუშაონ და იბრძოლონ. ამიტომ ცხოვრებასა და არსებობას მათთვის დაკარგული აქვს ყოველგვარი აზრი. ამიტომ ითხოვენ ისინი: მოგვასვენეთო... ძილი უნდათ, და მიდიან კიდეც, საშუდამო ძილში.

„კუზიანს საწარე გაასწორებსო“.—ასეთი მწარე სიტყვებით ეთხოვება სამუდამოდ თავის საყვარელ ძიას ახალი ქვეყნის გამძლე შვილი, კუზიანი შუროჩკა. ეს შეიძლება, ზედმეტი სიმკაცრითაც იყოს ნათქვამი, მაგრამ მართალია ეს სიტყვები, რადგან სინამდვილეა ეს. და კიდეც ერთი რამ არის საინტერესო სერგეი პეტროვიჩის თვითმკვლელობაში: ისა, რომ სრულიად დამშვიდებით და თავის ბედთან სრულის შერიგებით სჩადის ამას. ის თვითონ ამბობს:

არაინ ადამიანები, რომლებიც სტოვებენ ამ ქვეყნის ტანჯვით კბილთა-ღრუბებით, სწავლიან და კრულავენ ხელს და გველაფერს. მე კ... მე უსიტყვოდ მივიდარა, მშვიდად, არავისი მომდურავი.

განწირულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სერგეი პეტროვიჩი. ეს თვითონაც კარგად იცის. იცის ისიც რომ ბრალს ვერავის დასდებს. „ქვეყანა რომ ირყევა“—სუსტნი, უღონონი, და, რაც მთავარია, უნიადგონი—ილუპებიან. ძლიერნი ახალი და ძველი ქვეყნისა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში არიან ნაბზუნნი და, რა ვუყოთ, რომ ამ ბრძოლებში იქელიტებიან ისეთებიც, რომელთა ბედია,—არც იქეთ, არც აქეთ,—უმინო ხეტიალი და უხერხემლო სიცოცხლე... სერგეი პეტროვიჩმა კარგად იცის ეს კანონი ბრძოლისა. ამიტომაც ეცლებს ის ასეთის დამშვიდებით სიცოცხლეს, რომელიც მისთვის ზედმეტი ბარგია, რადგან აღარათფერია უკვე მასში. სერგეი პეტროვიჩის მიერ თავისმოკლა უთუოდ კანონიერი და მიზანშეწონილი აქტია, მას აქვს ამის უფლება, რადგან

თავისმოკვლის უფლება მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც სიცოცხლის უფლება დაჰკარგა. ვისთვის რა საჭიროა კუზიანი სერგეი პეტროვიჩი? არაფერსაა, მაშ, მართალია შუროჩკა, — რაც უნდა მწარე იყოს ეს: „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს“-ო. სერგეი პეტროვიჩი მართალია, როდესაც ასე მშვიდად ეთხოვება ამ ქვეყანას. სამღურავს ვერავის ეტყვის გარდა ეპოქისა. ეპოქას კი, საზოგადოდ, არ ასამართლებენ.

ჩვენ არ ვიცით, და ალბად, არავინ იცის, რომდენად წინასწარმეტყველებდა თავის ბედს ანდრეი სობოლი, როდესაც „კუზიანს“ სწერდა. შეიძლება სადმე შორს, თავის, შედარებით, მდიდარსა და რთულს ფსიქიურ არსებაში გრძნობდა ის თავის მომავალ ტრაგედიას ტიპირიაზევის ძველთან, როდესაც ასეთის უღმურბელობითა და გულახდილობით გვიხატავდა განწირულ სერგეი პეტროვიჩის ტრაგიკულ ბოლოს. ვინ იცის! მხოლოდ ერთი კია: უდიდესი და უახლოესი მეგობარია ანდრეი სობოლი თავისი გმირებისა, კერძოდ სერგეი პეტროვიჩის. მათის ცხოვრებით სცხოვრებს, თავის ცხოვრების ტკივილებით სტანჯავს მათ. ანდრეი სობოლი უიღრესად სუბიექტიური მწერელია და, ცხადია, თავის გმირებში ზაქსივილი აქვს ის, რაც უნაბავს, შეხვედრია, განუცდია და უგენნია, — თავისი საკუთარი ბედი და უბედობა.

III

ანდრეი სობოლი ნიჭიერი მხატვარია. ბევრი არ მოინახება თანამედროვე რუსულს ლიტერატურაში ისეთი, რომელმაც იცოდეს ამგვარი იშვიათი სიღრმითა და ძლიერებით გადმოცემა ადამიანის შინაგანი „მე“-ს ცხოვრებისა, როგორც ანდრეი სობოლი. სიტყვის ხმარებაშიც უდიდესი ოსტატია იგი. ძნელად ნახავთ მის ნაწერებში სტემატიზრობას, უწინა შედარებებს, ხელოვნურ პათოსს, უადგილო სენტიმენტალობას, ან „მოსაწყენ“ სიმშრალეს. ანდრეი სობოლი უფლად დამთავრებული მწერალია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც „ეიწრო“ მკითხველთა საკუთრებათ დარჩა. ანდრეი სობოლს არა ჰყავს მასიური მკითხველი. ამ მხრივ იგი ბოლო რიგში სდგას დღევანდელ საბჭოთა პროზაიკოსებს შორის; თუმცა ბევრ მათგანს, როგორც ხელოვანი, არამც თუ ჩამოუვარდება, არამედ უფრო მაღლა სდგას, რით იხსნება ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი? მნიშვნელოვანი, ვამბობთ, იმიტომ რომ სახეში გვაქვს საბჭოთა მკითხველი, და არა ობიექტური და ნეშჩანინი. რატომ ვერ მოახერხა ანდრეი სობოლი თავისი სიტყვა საინტერესო გაეხადა სწორედ ამ საბჭოთა მკითხველის ფართო მასებისათვის? ანდრეი სობოლი რომ ეპოქიდან გაქცეული მწერალი იყოს, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უმთავრესი საგანი მისი შემოქმედებისა რევოლიუციის ეპოქაა, ე. ი. ის ეპოქა, რომელშიც სცხოვრებს და იბრძვის ეს საბჭოთა მკითხველი, — ყველაზე უფრო საინტერესო ეპოქა. მაშ, რაშია საქმე? გაუგებრობის ბრალი ხომ არ არის ანდრეი სობოლის გაუგებრობა, ვარიცვა? ხშირად ხდება ხომ ასე?.. მაგრამ არა. ფაქტი როდია ის, რომ ანდრეი სობოლი გარიცული დარჩა, არც გაუგებრობა, ან შემთხვევითი მოვლენა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. არც ანდრეი სობოლი, არც საბჭოთა მკითხველი ამაში დამნაშავენი არ არიან. თავისი ში-

ნაარსით ანდრეი სობოლი არ შეიძლება საბჭოთა მკითხველის მწერალი ყოფილიყო. და საბჭოთა მკითხველიც თავისი დღევანდელი მოთხოვნებით, რომლებსაც ის ნწერალს უყენებს, არ შეიძლება ანდრეი სობოლის მსგავსე-ლი ყოფილიყო. სულ სხვა აინტერესებს ანდრეი სობოლს და სულ სხვა რამეებს ეძებს ახალი მკითხველი ბელოვენებაში.

ანდრეი სობოლი, მართალია, ეპოქის მწერალია, მაგრამ ამ ეპოქაში მას აინტერესებს ის, რაც სრულიადაც საინტერესო არ არის ეპოქის მეთაურ კლასისათვის და ამ კლასთან მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებისათვის. მართალია, ანდრეი სობოლის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები აუცილებლად რევოლიუციას ეხება, მაგრამ საკმე ისაა, რომ ეხება მხოლოდ იმ მხრიდან, რომელიც სრულიად არ არის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი რევოლიუციისა და მისი ადამიანებისათვის.

ანდრეი სობოლს რევოლიუციაში რევოლიუციით გატეხილი და იმედგაცრუებული ადამიანები აინტერესებს, საბჭოთა მკითხველისათვის კი, აბა რა ინტერესს წარმოადგენენ ყველა ეს სკორობოგაოვები, ტიზონოდოვები, გილიაროვები და იგორები?.. არავითარს! მართალია, პატიოსნები და პირადად კარგი ადამიანები არიან ანდრეი სობოლის გმირები, მაგრამ მართკ პატიოსნება და პირადი სიკარგე არ არის საკმაო, რომ ეპოქისთვის საინტერესო შეიქნე.

ვინ არიან ყველა ეს გილიაროვები, იგორები და ძმანი მათნი?.. უხერხელო „მებრძოლები“, პატიოსანი პესიმისტები, გულ-გატეხილი სეკუტკოსები, იმედ-დაკარგული „რევოლიუციონერები“, „უსისხლო“ სოციალისტები და უმრზო მატანტალანი. ოდესღაც, — მეფის ჩექმის ბატონობის ხანაში, — ისინი რევოლიუციონერობდნენ. უმრავლესობა მათ შორის ემიგრანტებადაც ყოფილან. პარიზსაც კარგად იცნობენ და ენევესაც... თებერვლის რევოლიუციას სიხარულითა და სიყვარულით შეხვდნენ, შეუდგენ გულწრფელად მუშაობას ხალხის სასარგებლოდ და... აღმოჩნდა: ხალხს ისინი ვერ იცნობენ და ვერც იმას, თუ რა უნდა და რა აინტერესებს ამ ხალხს. პარიზსა და ენევეში ლამაზად შეკონილი მათი თავიგული ხალხის აყვავების გეგმისა — დამკენარი, უფერული და სუნდაკარგული აღმოჩნდა... რევოლიუცია სულ სხვა გზით და მიმართებით გაეშურა წინ, ვიდრე ისინი ფიქრობდნენ. სისხლის სუნი დატრიალდა: სისხლისა კი ზომ ყველაზე მეტად ეშინოდათ მათ... ბოლოს, ოქტომბერმა ძირ-ბუდიანათ შეარყია და დაანგრია მთელი მათი წარსული, აწყმია და მომავალი. ბევრი მათგანი გადავიდა ძველი ქვეყნის ბანაკში რევოლიუციის საწინააღმდეგოდ... ანდრეი სობოლი არ არის მათთან, ოდნავადაც... ნაწილი კი ისევ დარჩა თავის ძველ იდეალს: რა ექნათ?.. ძველთან არ წავიდნენ, ახალი ვერ გაიგეს და, თუ გაიგეს, ვერ მიიღეს... აი ვისი მწერალია ნიკიერი ანდრეი სობოლი. აი ვინ გახდა მან თავისი შემოქმედების საყვარელ გმირებად, და ცხადია, ასეთი მწერალი — რა გინდ დიდი ოსტატი ყოფილიყო მხატვრული სიტყვისა — ვერაოდეს გახდებოდა საყვარელ და საინტერესო მწერლად საბჭოთა მკითხველისთვის.

წელგამართულნი, ბერბეშალ მაგარნი, ფოლადოვანი და ურყვენი მიიმართებთან წინ უძლეველი ლეგიონები ლენინის ჯარებისა, — ანგრევენ, ამხერევენ უმო-

წყალოდ ძველ ჭვეყანას და ძველ ღმერთებს, სისხლითაა მორწყული საეპოლი მათი დაუნდობარი და ვერაგი ძლიერი მტერი, — მსხვერპლი ბეჭებისა მსხვერპთესონი იღუპებიან პირველს რიგებში, ირყევა მთელი მსოფლიო, და... მისი, მისი დროს და ასეთ პირობებში, ვის რად უნდა პატარა და უშნო ტანჯვა პატიოსანი, მაგრამ ძალიან პატარა და ძალიან უსარგებლო ადამიანებისა, რომლებიც ახალი ჭვეყნის ამ დიდს შარა გზაზე გაშტერებულან და ფიქრობენ: რა მოხდა და რატომ მოხდა ის, რაც მოხდაო... „კუზიანების“ მწერალია ანდრეი სობოლი, ამიტომაც ობოლი დარჩა ჩვენს დროში. შურთქა მართალი იყო: „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო“.

IV

ერთფეროვნად მიმდინარეობს ცხოვრება და მოღვაწეობა ანდრეი სობოლის გმირებისა, რადგან ერთფეროვანია, მოსაწყენი და სუდარით შვერაგნილია მათი გზა და სადგომი...

აი, ჩვენს წინ სდგას კოლორიტული სახე თებერვლის რევოლიუციის ერთ-ერთი გამომჩენილი შეილისა — გილიაროვის (მოთბრობა „სალონ ვაგონი“). საინტერესოა პიროვნებაა ეს გილიაროვი. მთელი თავისი სიცოცხლე მან, ვითომც, რევოლიუციის საქმეს მოახმარა. პარტიაში მას (აღბად ესერების პარტიაში) კარგად იცნობდნენ, როგორც ჭკუიანს და გაბედულ რევოლიუციონერს. დიდი თანამდებობაც ჩააბარეს რევოლიუციის შემდგომ — მთელი ფრონტის კომისარია. გულწრფელი სურვილი, — ხელი შეუწყოს რევოლიუციის გამაგრებასა და გამარჯვებას, — მოჰქიდა მან ხელი საქმეს. ხუმრობა ხომ არაა! მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის, არც ისე ახალგაზრდაა, სწორედ ამ საქმეზე მუშაობდა, იბრძოდა და ოცნებობდა და, აი მოესწრო კიდევ ამას და განა გულწრფელად არ იმუშავენ მისთვის?! ცხადია, იმუშავენს. ბევრი რამის გაკეთებასაც შესძლებს ის რევოლიუციისათვის. რატომაც არა? ჭკუა არ აკლია, გამოცდილება და გაბედულება; ორატორიც კარგია, პატიოსანი ადამიანია, მაგრამ... მაღე, სულ მაღე ცხადი ხდება, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, არაფრის უნარი მას არ აქვს. იმიტომ, რომ არაფერი ესმის მას რევოლიუციისა, იმისი, რაც ხდება, და არც რევოლიუციის ესმის მისი არაფერი. ის, რაც მან ფრონტებზე ნახა, საშინელია, წარმოუდგენელია და თავზარდამცემი. სულ დაინგრა ძველი წარმოდგენანი მომთმენ პატიოსან, გულჩვილს და მაღლიერ რუს ხალხზე... იმტვრევა, იმსხვრევა ყველაფერი. არავის უნდა დამფუძნებელი კრება, საფრანგეთის შეგობრობა, ყველა ის თავისუფლება და... ფრონტზე უცნობ მიზნებისთვის თავის მოკვლა. ირღვევა დისციპლინა, — საფუძნებით შექმნილი: ჯარის კაცი აღარ უჯერის ოფიცერს, ოფიცერს აღარ ესმის გენერლისა. ფერშლები და სანიტრები ჩასდგომიან სათავეში დივიზიებისა და ბრიგადების კომიტეტებს და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ... ბრძოლაში „მტრების“ წინააღმდეგ აღარავინ მიდის. იწყება რბევა. არბევენ და ხოცავენ ოფიცერებს. ხშირად იმათაც, რომლებიც ერთ დროს რევოლიუციისთან იყვენ, ჯარისკაცი არ არჩევს — ოქროს პაგონებიანებში იმას, თუ ვინ რა იყო ძველად. შენ ომის მომხრე ხარ, თუ არა? გინდა



ზავი თუ არა? და აი, მსხვერპლად ეცემა ჯარისკაცთა „ხულოგნობისა“ კაპიტანი სნუდნიკოვი, რომელიც ერთ დროს (1905 წ. ალბად) რევოლუციურ კარტომ... საშინელია! ყოველივე ეს გილიაროვისათვის. ვერ გაუგრა რატომ ხდება ასე. რატომ არ სჯერათ მისი ოდესღაც ასე თვინიერსა და გამგონე რუს გლეხებს, დღეს ხომ ფარაჯებში არიან გამოწყობილნი. მხოლოდ ერთა რამე გაიგო საბოლოოდ გილიაროვმა: ის ზედმეტია ამ რევოლუციისათვის, კარგი აღარაფერი შეუძლია მისცეს რევოლუციას. ეტყობა, სულ სხვა ხასიათის, უნარიანობისა და შეზღუდულობათა ადამიანებია საჭირო ამ რევოლუციისათვის. ცოცხალი ეგონა მას თავისი თავი, თურმე მკვდარი ყოფილა ისიც, დიდა გილიაროვიც ისეთივე „უზიანია“; როგორც პატარა სერგეი პეტროვის სკობრაოვანევი. ერთი შებრძოლი გენერალი, დივიზიის უფროსი, ცნობილი სკობელევის ყოფილი ორდინარეცი ასეთ შეკითხვას უგზავნის გილიაროვს:

არ ვფარავ, ან კი როგორ შეიძლება ამასი დაფარვა: მე არა ვარ რესპუბლიკელი; ჩემთვის ძვირფასია მონარქია, და ოკდაათი წელი ჩემი სიცოცხლისა, მას შევადიე. მაგრამ, აი მტრად იტყა ძველა რუსეთი. ამაღლდა ახალი და უფლებაც არა გვაქვს ჩვენ ესლა იმის განსასჯელად, თუ რამდენად კარგი იყო ან ცუდი ის, რაც მოხდა, ვინ არის დამნაშავე და ვინ მიფრევანა აქამდე.—არ არის ეს დღეს საინტერესო; საინტერესო ის არის და მნიშვნელოვანი, რომ აღსდგა ახალი, და დე, მკედრებმა მარხონ თავიანთი მკედრები; ეტყობა ასე ყოფილა საჭირო, გტუოხა ეს ყოფილა ბედი ჩვენი, და, დე, ვინ ვიდოდენ გამარჯვებით ცოცხლები. მაგრამ მითხარით ლეთის გულმართვის, გამაგებინეთ, რატომ არის, რომ ეს ცოცხლებიც უკვე მკედრად სჩანან, რატომ?

He в сровь, а глаза — რუსები რომ იტყვიან, საკითხი ისეა დასმული. ძველი გენერალი, დამსახურებული ოფიცერი მეუფის რეიკისა ეკითხება რევოლუციის ახალ მეთაურს: ძველი დაინგრა, ძალიან კარგი. მე ძველის მომხრე ვიყავე, მაგრამ, რადგან ასეთა ყოფილა მისი ბედი, დე, მკედრებმა მარხონ თავიანთი მკედრები, ცოცხლებმა კი გამარჯვებით იარონ წინ. მაგრამ... ერთი მითხარით,—ცოტა ირონიით ამბობს გენერალი,—ერთი მითხარით და ამისხენით: რატომ არის, რომ თქვენც—ახლები, ისეთივე მკედრებად გამოაოცქირებით, როგორც ის ძველი ქვეყანა, რომელიც უკვე მოკვდა...

გილიაროვი ამ კითხვაზე არაფერს უბასუბებს, თუკვა გილიაროვმა კარგად იცის, რატომ არის ეს ასე. იმიტომ, რომ ეს „ახლები“ ისევ ძველები არიან, როგორც ძველი დანგრეული რუსეთის შეილები. გილიაროვები მხოლოდ დროებით არიან, ძილიან მოკლე ხნით: ისინი უკვე გრძნობენ, რომ მოდიან სხვები—მკლავმარტოები, წელგამართლენი და ისინი დაიკავებენ რევოლუციის მეთაურთა და ხელმძღვანელთა ადგილს, რადგან ახლები და ცოცხლები მხოლოდ ისინი არიან, რადგან რევოლუცია სწორედ მათ ეკუთვნით. იცის ეს გილიაროვმა და ამიტომ ეკარგება სიცოცხლე მის თვალებს, ამიტომ აღგება ხშირად თვალს ცრემლები და არ იცის რა არის მოსვენება და სიტკბოება შრომისა.

დაღუწა მდინარეში ყინვები, აიშვა თავი, ვერ გამოვიყვანით, თუ როდის მოხდება იმ და, ვერ ვიგრძენით მოახლოებული ვაში ძველის წგრევისა და კიდევ ვარწმუნებდით

ერთმანეთს და საკუთარ თავს, რომ მდინარე თავს წყნარად აიძვებს, მზედღად, აღფრსიანად, ჩვენ მიერ დანიშნულ ვადაზე. ჩვენ ხომ სწავლულნი ვართ, ვუფრობუ ბუნების კანონებს, ტყუილად ხომ არ ვსწავლობდით წლობით პარისსა და პარიზში, მერე როგორ მოვტყუდით, როგორ სამარცხენოსლ..

დიას! ეს ვაბედულად და სამართლიანად არის ნათქვამი. რევოლუციის მდინარე შფოთიანი და გიჟი გამოდგა, წალეკა მან ძველი ტალახი და უწყინდურება. მიანგო-მიანგოია ძველი ნადგომობა წარსულ დროებისა. ვისი რა ბრალია, თუ „რევოლუციონერი“ და „ხალხის მოყვარე“ გილიაროვი სტუმრად, უცხოდ გრძნობს თავს ამის შენებდვარე? რევოლუციამ ყირამალა დააყენა გილიაროვის მთელი არსი. ცოცხალი—ის უკვე მკვდრად გრძნობს თავის თავს, უთვისტომოდ და ოზლად. „მრისხანე“ კომისარი რევოლუციონერი ჯარებისა ისეთ მდგომარეობაში ვარდება, ისე საცოდავად და შესაბრალოსად გამოიყურება, რომ უკანასკნელი პროსტიტუტკა, მშვიერი და ფეხშიშველა—ოდესღაც გენერალ-გუბერნატორის „კაპრიზიანი“ ქალიშვილი ტანია, აშატუროვა—იცოდებს მას და გულიანად ამბობს: „ღნერთო ჩემო, მისი მდგომარეობა ჯდღე უფრო საშინელია, ვიდრე ჩემი“. და მართლაც, გილიაროვის მდგომარეობა გაცილებით უფრო საშინელია, ვიდრე ამ ყოფილ გენერალ-გუბერნატორის ქალიშვილისა. ტანიამ დაჰკარგა სიმდიდრე და სილამაზე, გილიაროვმა კი—არსებობის აზრი. სავსებით გაპარტახებულია და გაკოტრებული გილიაროვი. მხოლოდ სხოლოდ იმედდაკარგულ ადამიანს შეეძლო ეთქვა ის, რასაც იგი ეუბნება ტანია აშატუროვს, რომლის მამა ოდესღაც პატრონობდა იმ სალონ-ვაგონს, რომელშიც დღეს გილიაროვი რევოლუციის სახელითაა მოთავსებული.

თქვენა ხართ ამის პატრონი, მე კი... მე მხოლოდ დროებითი სტუმარი ვარ, დაუბატოვებელი და არავისთვის საჭირო.

ამას ეუბნება ის გენერალ-გუბერნატორის ქალიშვილს სალონ-ვაგონის შესახებ. თქვენი იყო და თქვენია დღესაც. მე კი... მე დროებითი სტუმარი ვარ—მოველი და წავალო. რასაკვირველია, საქმე აქ „სალონ-ვაგონი“ კი არ არის. „სალონ-ვაგონი“ მხოლოდ სიმბოლოა. გილიაროვი უარს ამბობს რევოლუციის მეთაურობაზე, თვით რევოლუციაზე, ეს უკვე ბოლოა. ამას იქით ველარსად წახვალ. დაცემისა და გულგატეხილობის წრე უკვე შეკრულია. ამის შემდეგ მხოლოდ სიკვდილია საჭირო, ფიზიკური განადგურება. და მართლაც: გილიაროვი თავს იკლავს ვილაც გენერალის გადასარჩენად, რომელსაც ჯარისკაცები თვითგასამართლებათ ემუქრებიან. ვინტოვკის კონდახის ქრთი მაგარი მოქნევით ერთად კვდებიან—ერთი ქვეყნის შვილები „რევოლუციონერი“ გილიაროვი და რეაქციონერი გენერალი. რევოლუციის აბოპოკრიფებულმა ტალღამ უშნოდ და უღაზათოდ შთანთქა უმიზნო სიცოცხლე უკვე ნახევრადმკვდარი ადამიანისა.

...ეუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს“.

V



და დადიან და დაებეტებიან ასე ჯველა ეს პატარა ფეხები და ხელები როგვები. ფიქრობენ, იტანჯებიან, სტირიან, კვლავ ფიქრობენ და ეძებენ... სიამართლეს.

სად არის, მოსკოვო, შენი სიმართლე? სად არის სამართლე, ასე ძვირად რომ დავეიჯდა, სად? („Человек за бортом“).

კითხულობენ მუდარით და ხეფწნით. მაგრამ მოპასუხებ არსაიდან სჩანს, რადგან... აბა ვინ მოგცემს პასუხს, როდესაც მზიან დღეში გამომდგარხარ და ჰყვირი: სად არის დღე?... ან და მიწაზე სდგებარ და გაიძახი: სად არის მიწა?... ვერავინ აგისხნის, ვერავინ მიგახედვრებს, თუ კი თვით ვერ ხედვები ამას.

ბილიონები იბრძვიან, ათასები იღუპებიან, სისხლის ნიაღვარი სდგას, გვეყანა ირყევა, შენ კი გამომდგარხარ და ისტერიულად გაიძახი: სად არის სიმართლე, სად?... და ამის შემხედვარე, აბა ვინ ჩათვლის ტრაგედიად, იმ ისტერიულ წუბილსა და ტანჯვას, რომლითაც ასწერს თავის განადგურებას ერთი ასეთი „სიმართლის მაძიებელთაგანი“ იგორი. („Человек за бортом“).

მე მხოლოდ რევოლიუციას ვემახურებოდი. და აი ის მოვიდა და მე წყალში ვარ, წყალში გადამისროლა მას.

იგორმა დღეს უკვე იცის, მშვენივრად, თუ რატომ მოხდა ასე. მაგრამ ეხლა უკვე გვიანაა. აბა სად შეუძლია მას, „კუზნიანს“ შემობრუნება ისეთ ხეფულებში, როგორიც რევოლიუციას აქვს. თვალ წინ უდგას იგორს ლიდა; მისი ყოფილი ამხანაგი და მეგობარი. ისიც ემსახურებოდა რევოლიუციას, მაგრამ ემსახურებოდა ისე, რომ როდესაც ეს რევოლიუცია ფაქტი შეიქნა, ლიდა არ აღმოჩნდა წყალში, ნაპირს იქით, როგორც ეს იგორს და მრავალ სხვებს დაემართათ... რატომ? ამას თვით იგორი ასე ხსნის:

ის აღმოჩნდა ფერო შორსგამსვრები, ვიდრე მე... ვიდრე მე. ჟაკარავად პასუხია, დამცველი დამაგრულ მსებრია. ჩვენ აწეს-იქით დაფთვებულნი ვიქტორებოვით, თვალებს გრაწადიო, გვეწინადა,—როგორმე არ დაესვართო თფთრი ხალათი თქო, ლიდას კი ფართოდ ჰქონდა თვალები გახელილი: ის არ შეუშინდა არც სისხლს, არც ტალახს, არც ნაგავს...

იგორი მართალია. სწორედ იმიტომ დარჩა ლიდა რევოლიუციის გეშზე, რომ არ შეუშინდა არც ტალახს, არც სისხლს, ერთის სიტყვით არაფერს იმას, რაც თან ახლდა აუცილებლივ რევოლიუციას. იგორი და მისი მეგობრები კი მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, როგორმე თეთრი ხალათი არ დაესვაროთ. და ამიტომაც მალე ამოჰყვეს თავი წყალში. თეთრი ხელთათმანებით რევოლიუცია არავის გაუკეთებია. და როდესაც ეხლა, ამის შეგნების შემდეგ უკვე საბოლოოდ დაღუპული—რადგან ბრძოლებისათვის ის უკვე აღარ ვარგა (მისი ამხანაგი ამბობს: „სხვებთან, ე. ი. რევოლიუციასთან არ წავალ. კიდევ რომ მოვისტრფო, უკვე გვიანაა. სულ გაპარტახებული ვარ, ცოცხალი ადგილი აღარ დარჩენილა ჩემში“). იგორი ტიპიური რუსი „პატროსანი“ ინტელიგენტის წმინდა ჩვეულების მიხედვით თავს დაუზოგავად იმართებებს,—ვინ შეიკოდებს მას, ვინ გაამართლებს მას!!...

ბაბუა, ბაბუა ჩემო, მომეცი თეთრი ბულკი, ჩემო საყვარელო მოხუცო, მე ხომ რუსი ინტელიგენტი ვარ... და როგორ შემოიძლია მე თუ თეისთან მსჭვჭვქ... არ მკნა, მიყვარს მე „Русские ведомости“ და თეთრი ბულკი. **გინჯლიჩისეჟს**

პო. და „თეთრი ბულკისა“ და „Русские ведомости“-ს ასე მოყვარულს, მართლაც, რა ადგილი ჰქონდა რევოლიუციის გეშზე. და ამიტომაც მოხდა ის, რასაც ასეთის გულდაწყევრით სჩივის იგორი.

არ ვიყო, ბაბუა, არა. გამითრია ტალღებმა, გადმომაგორა გენიდან... მე კი ვფიქრობდი, გემი ისეთი საიმედოა, ისეთი სანდო. და აი, ჩემო მოხუცო, საშველი თოკი არავენი გადმოვივდო, პატარა წავეცი არავე მოსახსნ... ნუ მეითხავ, ნუ, ჩემო კარგო ბაბუა.

ასეთია იგორი: „Этот странник без пути, путник без дороги“.

და განა მართა იგორი ასეთია ყველა ეს ახალგაზრდა მოხუცი, როგორც რიეკი ამბობს:

კმარა, მყუთა; ვიღავი მაცაღ-ნი და ბეჯითი მოწაფე. მშვენიერად ვიციდი ყველა ანბანი. პაროზში ვსწავლობდი. ენგეაში ვიზუპირებდი... და აი—ჩამემტვრა ყველა კბილები. მაშ, დამტოვეთ, ეგლა მიინც, უკბილო მოხუცა ჩემოვის. რად გინდათ ჩემსთანანი...

და მართლაც, ვის რათ უნდა რიეკი და მისი მსგავსი უკბილო მოხუცნი: არც რევოლიუციას, არც კონტრ-რევოლიუციას. ერთს რასმე ვერ წავართმევთ ამ განწირულ ადამიანთ—სიმატლის თქმა უყვართ, განსაკუთრებით თავის თავზე. მაგრად ამათრახებენ თავის თავს, როგორც ერთმა მოხუცმა ჯარისკაცმა მოსწრებულად უთხრა გილიაროვს: „никем не мучими, сам сень мучиху“.

უსაზღვრო პესიმიზმით, გამოუსავალი იმედ-დაკარგულობითაა გაედუნთილი თითოეული ნამიჯი ანდრეი სობოლის გმირებისა.

თუთი ლაშქებში ასეთი ფიქრები მომდის,—ამბობს ერთი მთვანი („Люди прохаживе“) „უნდა გაიჭყე აქედან“. დღე კი გვიტოვები ჩემს თავს: — საით, ვისთან?

და მართლაც, საით... ვისთან? და მერე რატომ?—პასუხი არ არის და არც იქნება.

პრობორი ამბობს: გვეყოფება ადამიანი და იმითმ დავეხეტებითო. მაგრამ ასეა კი? განა შეგეტკოვა ჩვენ ვისმეზე გული? ჩვენ ხომ სულ მოედევართ და მოედევართ, ადამიანებს კი ვტოვებთ, თუ გვიყვარს და გული შეგეტკოვა, მაშ, რათ ვტოვებთ მათ? (ტიზობოდოვი—მოთხრობიდან „Люди прохаживе“).

საქმე; ის არის, რომ ბოლოსდაბოლოს ყველა ეს ზედმეტი ადამიანები ზედმეტად ეგოისტები არიან. ადამიანობა მათთვის მხოლოდ საკუთარი პატარა მე-თი შემოიფარგლება. ისინი ყოველთვის ინდივიდუალისტები არიან, მაშინაც კი, როდესაც მაუზერით ბელში და ყუმბარებით წელზე ანარქისტობენ („Паноптикум“). პატოსანი ეგოისტები.—აი ვინ არიან, სხვათა შორის, ეს ზედმეტი ადამიანები ზედმეტის პირადმოყვარეობით. რევოლიუციამ შეარყია და შეანგრია მათი პატარა ქვეყანა—საკუთარ-ცხოვრებას მოწყვეტილი—აზრებისა და გეგმებისა და ისინიც გაბუტული განზე გამდგარან და გაიძახიან: რატომ, რისთვის?...

თქვენც კარგად იცით რატომ, პატივცემულნი ინტელიგენტებო: ხერხემა-ლი არა გაქვთ, რევოლიუციისთვის გამოუსადეგარნი ხართ, ძალა და წიგნი-ლიც არ შეგწყვეთ, რომ ვინმეს რაიმე გაუკეთოთ. ამიტომ გაირიყვით, ამიტომ ამოუყავით თავი წყალში და იხრჩობით და მართალი ხართ: არავენ თოკს არ გესურისთ საშველად და არც არავენ გამოგიგზავნისთ ნაეს; რადგან ილარავის ესაჭიროებით. თქვენ თვითონ კარგად იცით ეს. სკორობოგაჩევი ხომ გამოტყდა, შუროჩკამ, კარგად იცის ესაო... შუროჩკამ ის იცოდა, რომ „კუხიანს სამარე გასწორებს!“

VI

მთელი უბედურება ზედმეტ ადამიანთა, რომლებიც სობოლნი ასე ოსტა-ტურად დაგვიხატა, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კარგად ზედგენ იმას, თუ როგორ ზედმეტია და უნიადაგო მთელი მათი ძიება არ არსებული სიპარ-თლისა. სობოლის გმირები გრძნობენ რომ სინამდვილეში სიმართლე—ის სი-მართლე, რომელიც სჭირდება ხალხს, მშრომელთა მილიონებს, რევოლიუციას-თანაა. ამას ხედავენ ისინი, მაგრამ ძალა არ შესწევთ პრაქტიკულად მივი-დენ მისთან, დაეხმარონ მას, ვამართლონ თავისი სრცოცხლე და არსებობა. და მით უმეტეს, როდესაც ისინი ავტოროთან ერთად გვიხატავენ საშინელ სუ-რათს ძველი ქვეყნის ვაბრწინისა და ვათახსირებისას. სამართლიანობა მოით-ხოვს ილენიშნოთ, რომ იშვიათად მოინახება რომელიმე სხვა საბჭოთა მწერლის ნაწერებში ისეთი სიძლიერით და სიძულვილით აღწერილი ფურცლები რეაქ-ციის ადამიანებისადმი მიმართული, როგორც სობოლის ნაწერებში. მართა-ლია, სხვათა შორის, სწერს ამაზე სობოლი—და მისი უბედურებაც განწირულ-თა მწერალისა, სწორედ ამაშია,—მაგრამ იქ, სადაც ის საჭიროდ დაინახავს მოგვეცეს სურათები ძველი ქვეყნის ნამსხვრევებთა, აქ ის, მართლაც, რომ იშვიათ სიმაღლეს აღწევს. ეს ფურცლები საუკეთესო ფურცლებია არა მარტო ანდრეი სობოლის ნაწერებში, არამედ საბჭოთა მთელს ლიტერატურაში. უჩვეულო სარკაზმი და გამანადგურებელი ირონია სობოლს დიდ სატირიკოს მწერლად ხდის, და ხშირად მკითხველის წინაშე გაოცებით დაისმება კითხვა: რად მოხდა, რომ ასეთი სიმძლავრის სატირიკოსი და მშშილებელი ძველი ქვეყნისა განწირულ ადამიანთა მხატვრად გადაიქცა? ნებას მივსცემთ ჩვენს თავს მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ამონაწერები სობოლის ასეთი ფურცლე-ბიდან, მხოლოდ ერთი მოთხრობიდან: („Человек за бортом“).

შაქრის ქარბნებში როზავედენ ურსა და არა სანდო მეშებს. წყნარ ლანდებს ჭკეთავდა საშინელი წივილი და კენესა გაუპატოურებული, ნამუსანდილი ახალგაზრდა ქალებისა. კიდეში ვი ლამაზად ათამაშებდენ ლამაზ რაზებს უკრაინის გეტმანის პირადი მულეზელნი. და იტვე—ქალაქის საბჭოში—ლაპარაკობდენ და კითხულობდენ მთხსენებებს „სოციალისტები“ სოციალისმზხ.

პოლოლიაში „ფაკეცურად“ არბედენ და ქლტდენ ებრაელებს, იმათაც, ვისაც წერებში ჰქონდათ, და იმათაც, ვისაც წერებში არ ჰქონდათ. და იტვე იბერ ლეიტენან-ტი ფოსტერი, ავსტრიელი ოფიცერი, რომელიც ძალიან წააგავდა გრაფ ესტერგაზის, ტანწერილი, სხვადასხვა სუნწულებით აკორებული რუს ფერნალისტებს მასპინძლობდა

საუცუესო სივარებით, მწვენივრი სურნელოვანის არაყით და, სხვათა შორის, ადვენდა ხარჯთაღრიცხვას დამოუკიდებელ დემოკრატიული რუსული განხორციელებისათვის.

სტეფანსება „დამსახურებელი საზოგადო მოღვაწეთა და ნეკლევიჩის ქვეყნების“ კაბარებზე, შანტანებში, ბანკეტებზე, რესტორანებში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის, დამფუძნებელი კრების, ვერა ხოლოდნაის, შონარქის, თავისუფალი უკრაინის, დამიტრა პაღლეს-ძის, და თავისუფალი რუსული პრესის სადღეგრძელოებს სვამდენ სეპაჟენ ჯგუფ-ჯგუფად, ცალ - ცალკე ხელისმწიფრით, შუმა ზვევის მიხედვით და უშვებდნენ დაც, უჭებებში, საჭიან დღეებში, დღეც ღამეც, სვამდენ სადღეგრძელოებს ერთიან და განუყოფელ საღვარულ რუსეთისა, გერმანიელ მსწველების, შოაკოვის თეთრი ბზღლი-კების, სენვალის პოლკების, სვამდენ შოპავლ დღეების სადღეგრძელოებს, იმ დღეებისა, როდესაც კვლავ შეხედებიან ერთმანეთს პიტერში „მეფედთან“; მოსკოვში „სლავიანების ბაზარზე“, სვამდენ რუსეთის შერითებული შტატების, პატრიარქ ნიკონის, რევოლუციის ბებია—ბრატკოვსკიასა, სახელმწიფო სათაბიროს, მართა ფოფოროვნას, ბოშა ქალის სტეშას და, ვინ მოთვლის, კიდევ ვის—გულწრფელ სადღეგრძელოებს.

საშინელი იყო ეს დღეები, როდესაც ძველი რუსეთის დამცველები ბალტასარის ლხინსა და ქეიფობას მართავდენ ყველგან და ყოველ დღე. ჰყიდდენ ყველაფერს: იდეებს, ცნობებს, მცირეწლოვან შვილებს, დაკარგულ მანულებს, დაგირავებულ ვერცხლის კოვზებს, სოციალისტები სოციალიზმს, მონარქისტები მონარქიას, — ერთ საერთო სიბზღვილში ახალი ქვეყნისადმი, და ამ დროს (მოთხრობა «Человек и его паспорт»):

გქესი წელი შინდება და მაგრდება ის, ახალი რუსეთი, გქესი წელია უზომოდ ღვრდება ის თავის საკუთარ სისხლს, ცრემლებს, ასაფლავებდა თავისსა და სხვის, ეცხოთა შვილებს; სტიროდა ქაღვრი, ბავშვრი, ბებრული ცრემლებით, ინჯლოვდა ოლრა-ოლრაობში, ეფლებოდა ქაობებში, იტანჯებოდა ტიფით, ხოლერით, სიმშობობდა, აყინებოდა, ტილქს აძლევდა საყვებად საკუთარ შორს, — და დაფრინავდენ ყოვლისმურთაბების ცხენები, უკანასკნელი ძალ-ღონით ქმნავდენ საბარკო ატაკობი, ჩიჭიბებდენ „ტაჩანები“, და ვინტოგით მაგრად ხელში იდგენ ლატინები, კოსტრომელი მურთები, გულათხრობილი ფინები, ლოყაგანიერი ზინვლები; მიწა იბთებებოდა ღარებანდ, შორსა და ახლის იწვოდენ ქალაქები, დედები ვებდენ დამოცილ შვილებს; მამა თოფით მოდიოდა შვილზე, შვილი ჰქლავდა მამას, ტურებსა და მოღმებზე ნახავდით დახოცილ ბავშვთა გროვებს, — და მისცოცავდა, მისცერავდა მიწის ერთი მაწილი მფორუგენ, რათა გაერთიანებულყო, შედღებულყო მისთან, ერთს წითლიან მიწად ქცეულყო.

ასეთი იყო დრო და ეპოქა. ასეთი იყო ბრძოლები და ბრძოლების პირობები. ასეთ გაჭირვებაში და წვალებში იზადებოდა, იზრდებოდა და მაგრდებოდა ახალი რუსეთი... დაუნდობელი და დაუზოგავი იყო მტერი, ამავე დროს უკანასკნელ გათასარებამდე და სიმბეცემდე მისული. რევოლუციისასაც არ შეცდლო თეთრი ხელთათმანებით მოეპოებინა გამარჯვება. სიწმინდესა და სიფაქიზზე ფიქრის დრო ვის ჰქონდა და სად იყო!..

სისხლით და ტალახით იყო მოცული ყოველივე. საჭირო იყო მართლაც უდიდესი გამჭირაობა და იდვის რწმენა, რომ ამ ტალახსა და სისხლში მომავლის სიმართლე დაკენახა... ჩვენი დროის რუდინებმა და ჰეზორინებმა ეს სიმართლე ვერ დაინახეს, ან თუ დაინახეს, იმდენი ძალ-ღონე ვერ მოიკრიბეს, რომ მიეღოთ იგი და ბრძოლაში ჩაბმოდენ მის განამარჯვებლად. ვერ მოახერხეს ესა და, ცხადია, ყველაფერს იდუფრს მოწყვეტილნი დაჩენ. პატარა ქვე-



ყანა მათი მე-სი, რომლითაც გარშემორტყმული აღმოჩნდნენ, ძალაან ვიწრო და უშინაარსო იყო, რომ მით დაკმაყოფილებულიყვენ, დიდი ძველებსა და ენერჯიას მოითხოვდა, ეს კი პათ არ ჰქონდათ; შეელი მათ არ სწამდათ და არც უნდოდათ. და ასე,—მარტოდ-მარტონი, არაურის მქონენი, ნერვებ-აშლილნი, თავისი თავის მტანჯაენი,—*сам себя мучиху*, —ისტერიელის წუხილით დაეხეტებიან ისინი სიცალიერეში. წარსული აღარ არსებობს,— მოკვდა. დღევანდელი უჩვეულოა, საშინელი—თავისი სისხლითა და ტალახით- მიუღებელი მათთვის; მომავალი კი .. ვინ იცის და ვინ დაუცდის მას! და ასე ზოგი ემიგრანტებად მიდის, ზოგი ემიგრაციიდან ბრუნდება, ზოგი სამუდამოდ მიემგზავრება იქ, საიდანაც არავენ ბრუნდება.. სიხარული და სიყვარული,— ცხადია, არსად არის მათთან. ერთი მთვანი ასე სჩივის:

მე კვლავ ჩემს სამშობლოში ვარ, მაგრამ არ არის ჩემთვის სიხარული, თითქოს სხვა ჰქვყნის შვილი ვყო, უცხო ვინმე.

და კიდევ:

არა მაქვს არავითარი რწმენა. არ არიან ჩემთვის ცოცხალი ადამიანები, არც მე ვარ თვითონ ცოცხალი,—არ არის ჩემთან სიხარული, მწუხარებაა გარშემო და მხოლოდ და მხოლოდ უფრო სიცალიერე. და აი ამ სიცალიერით საბოლოოდ გაპარტახებული დავ- დიფარ, დავუხეტები ქალაქიდან ჭაღაქში; დავდოვარ, დავუხეტები, მე—მგზავრი, და რადგორც მგზავრსა და გამგელს—არავენ მათრეხს და ვერც ვერავენ შემაჩერებს.

პო და, ასეთ სულიერ განადგურების შემდეგ, მართლაც ერთად-ერთი გამოსავალი ფიზიკური სიკვდილია.

ანდრეი სობოლის გმირები უკანასკნელ საზღვრებამდე მისული უკანასკ- ნელი მაგიკანებია იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან მიწინა- რეობისა რუს ინტელიგენციასი, რომელსაც „ზედმეტ ადამიანებს“ (*лишние люди*) ეძახობდნენ... მაგრამ,—თუ კი რუდინები და პეტრონები სატყვით პრო- ტესტანტები მაინც იყვენ მაშინდელი საზოგადოებრივი ჰაობისა და ამ მხრით პროგრესიულ როლს თამაშობდენ,—მათი მეგვიდრენი ანდრეი სობოლის ნა- წერებიდან, ცხადია, ამასაც მოკლებულნი არიან. ზედმეტი ადამიანები,—საე- სებით, ასი პროცენტით, უზიდაგონი და არავისათვის საჭირონი, აა ვინ არიან ყველა ეს გილიაროვები და იგორები. ტყუილად სცდილობს ანდრეა სობო- ლი ტრალედიად დავეინატოს მათი გაპარტახებულ „მე“-ს ტანჯვა-წამება: არადერი არ გამოდის აქედან, რადგან რევოლუციების ეპოქაში, როდესაც საკითხები მასების მოძრაობით სწყუდება,—მნელია და შეუძლებელიც ტრალე- დის ნახვა იქ, სადაც საზოგადოებრივ მნიშვნელობის საფუძველიც არ არის.

ანდრეი სობოლის გმირების ტანჯვა წამებას კი საბოლოოდ და საესე- ბით დაკარგული აქვს საზოგადო მნიშვნელობის რაიმე ნასახა.—ნადსონის სენ- ტიმენტალურ ცრემლებსა და ანტონ ჩეხოვის ძია ვანიების ჩივილს—უფრო მე- ტი საზოგადოებრივი წონა ჰქონდა, ვიდრე სკორობოგაჩევის საკუთარ ხელითვე მოსპობილ სიცოცხლეს.—შეიძლება სწორედ აქ იყო მათი ტრალედი, —როგორც ადამიანებისა: მათი აღსასრულის უტრალედიობაში.

და თუ რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ანდრეი სობოლის ნიჭიერად და ოსტატურად შესრულებულ ფრაგმენტებს განწირულთა ცხოვრე- ბიდან,—ეს მხოლოდ ისაა, რომ ანდრეი სობოლმა, თვითონ განწირულმა და „კუზიანმა“,—საბოლოო ხაზი გადაუსვა ამ ადამიანთა ცხოვრებისა და არსე- ბობის საჭიროებას. ეს იყო უკანასკნელი მძიმე ლაღი მათ საფლავეზე, მათი- ვე მეგობრისა და თანამოაზრის მიერ მიგდებული. თავისმკვლელი მწერალი

—ყველა თავისიანისა, თანამოაზრისა და მეგობრის შესაფერადვე აღმოჩნდა. ტრემლიანის ერონიითა და მოსაწონის მზილებით დაიტვირთა მან განწირული „ბროლიაგები“ ჩვენი დროისა. და ამ დატირებაში—არ იყო არც თორენა ვის-მესადნი, რაიმე თანაგრძობისა, არც ჩივილი, რომ ისინი იძულებული ხდებიან ასე უწინოდ და ულამაზოდ გამოეთხოვონ ყველაფერს, რაც კი მათ ოდესმე აინტერესებდათ, და არც სიბრაღული თავისი თავისადმი...

ანდრეი სობოლმა, —ცხოვრებისთან ერთად, არა მარტო დაიტვირთა უნიადავოთა უკანასკნელი დღეები, არამედ მსჯავრიც დასდო მათ: კანონიერი იყო ის, რაც მოხდა; განწირული ვიყავით ეპოქისგან და ჩვენი ბედი აუცილებლობის შედეგია.—ჩვენ მხოლოდ ასეთი ბოლოს ღირსი ვიყავით, რადგან სხვა ბედი და ბოლო არ დაგვიმსახურებია. „კუზიანები აღმოვჩნდით, —და საშარე ვაგვასწორებს მხოლოდ ჩვენი“...

ასეთი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და კანონიერი განაჩენი გამოუტანა თავის გმირებს, —და, ვინ იცის, შეიძლება საკუთარ თავსაც, —ანდრეი სობოლმა, ყველაზე უფრო ტრაგიკული ბედის მქონემ თანამედროვე რუს მწერლებში.

ასეთია უმთავრესი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ზოლი—ანდრეი სობოლის ნაწერებში. და, ცხადია აქედან, თუ რატომ აზის პესიმიზმა და თავგანწირული ირონიის ბეჭედი ანდრეი სობოლის თითქმის ყველა ნაწერებს. —მხოლოდ ერთხელ სცადა ანდრეი სობოლმა გაეგლიჯა ეს „მოჯადოებული წრე“ უნიადავო ადამიანთა ცხოვრებისა. ეს იყო მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში, როდესაც მან დასწერა „Повесть о голубом поке“.

სიცილით, სიხარულით და ცხოვრების უდღესი წყურვილით შემოიჭრა მოწყენილ საზოგადოებაში დანიელ კაზაკოვი, თითქმის ცხოვრების, სიხარულის, ბუნებისა და სიყვარულის ჰიზნი თან მოიტანა მან, —ამ ჭომაბაძეკეულს ადამიანებსში... დანიელ კაზაკოვის სიტყვები, ეს გატაცებული ოპტიმისტის შექება ჩვენი ცხოვრებისა და ცხოვრებაში ახლისთვის ბრძოლისა. უჩვეულო და გასაოცარი იქნებოდა ეს ამბავი ანდრეი სობოლის შემოქმედებაში, რომ... რომ დანიელ კაზაკოვი ფიქცია არ იყოს და მისი ბოლშევიზში მოგონილი ნიღბი.

არ არსებობს არავითარი დანიელ კაზაკოვი—მზიარული და მეგრძოლი ბოლშევიკი; არის ინგლისელი მსახიობი რიჩარდ რონდოლფი, რომელმაც მოხდენილად გაითამაშა წუთიერი როლი, არარსებულ დანიელ კაზაკოვის მოთხრობის ბოლო ისეთივეა, როგორც საერთოდ სჩვევია ანდრეი სობოლის ნაწერებს...

დანიელ კაზაკოვი გაპტრა... ის არც არსებობდა და... ცხოვრება ჩვეულებრივი შეიქა ცივი, —მოწყენილი და მწუხარე. დღე ღამდება, ღამე თენდება, გუშინდელი დღევიანდელს წააგავს, ზეაღინდელიც, ალბად, ასეთივე იქნება.

„ამბავი ცისფერ სიმშვიდებზე“ გედის სიმღერა იყო მწერლისა. ამ სიმღერაში მან მოინდომა უკანასკნელი ძალ-ღონით გაეგლიჯა ნალღლიანი ცა ყოშირალი ღრუბლებით მოკული ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ ვერ შესძლო. უჩვეულო ამბავი ჩვეულებრივად დამთავრდა. კვლავ ღრუბლებით დაფარული ნალღლიანი ცა და მზეც არსად სიანს. განწირულთა მწერალი ისეთივე დარჩა ბოლოდღე. მისი „გედის სიმღერა“ კი ტიმირიაზევის ძეგლთან ჩასწულდა.

ჭვას ვერავენ სევრის მას. მთელი მისი შემოქმედება ამ აქტს აკანონებს. არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს ეძლევა უფლება ჩაიდინოს ის, რაც ანდრეი სობოლმა ტიმირიაზევის ძეგლთან მოიქმედა შუროჩკის მწარე სიტყვებით:

„კუზიანს მხოლოდ საშარე ვაასწორებს“.



გ. ნ. პოპოვისკი, როგორც საბჭოთა განათლების მოღვაწე და ხელმძღვანელი*)

მიხეილ ნიკოლოზის ძის შესახებ, როგორც რევოლუციონერი ბოლშევიკის, როგორც მარქსისტი ისტორიკოსის და რევოლუციონური მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლის შესახებ,—უკვე სთქვეს სხვებმა და ამიტომ საჭირო არ არის მეც ვილაპარაკო ამაზე. ჩემი ამოცანაა ამ პატარა მოხსენებაში გავაშუქო მისი დიდი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის ერთ-ერთი მხარე—მისი როლი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის სახალხო განათლების სისტემის შემქნელის და ხელმძღვანელის, როგორც ძალაუფლების ხელში ჩამგდება პროლეტარიატის ნებისყოფის საუკეთესო შემსრულებლის და ახალი სოციალისტური კულტურის საძირკველის ჩამყრელის.

პოპოვისკიმ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შესძლო ამ როლის ასე მშვენიერად შესრულება, რომ ის ერთსადაიმთხვე დროს იყო კომუნისტი, მებრძოლი და რევოლუციონერი მეცნიერი.

მას, ოქტომბრის დღეებში მოსკოვის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს პირველ თავმჯდომარეს, რასაკვირველია, არ შეეძლო სავსებით სწორედ, მთელი სიგრძე-სიგანით არ დაეყენებია სოციალისტური საკითხები საერთოდ და კერძოდ კი სახალხო განათლების სისტემის საკითხები.

ძველი ბურჟუაზიული კულტურა ორგანიულად იყო დაკავშირებული მთელ ძველ წესწყობილებასთან და მის ყოფა-ცხოვრებასთან. ის ამ წესწყობილებამ წარმოშვა და აღზარდა. და ბურჟუაზიული კულტურა მრავალსაუკუნოვანი ისტორიით მკიდროდ გადაეჯაჭვა ძველ წესწყობილებას, გაიღვა ფესვი მის ყოველ სფეროში, ამ წესწყობილების განმტკიცებას უწყობდა ხელს მთელი თავისი აპარატით, მას ჰხდოდა სათაყვანებლად მთელი ტრადიციითა და ავტორიტეტით. ამ კულტურის მატერიალური და იდეური ღირებულებანი არაჩვეულებრივად მაღალ ეტაჟს წარმოადგენდნენ გაბატონებული ბურჟუაზიის ხელში და ბოლოს და ბოლოს

*) მოხსენება ანშ. პოპოვისკის 60 წლის საიუბილეო სუბიმაზე.

მათი დანიშნულება იყო სამარადისოდ განემტკიცებიათ ეს ბატონობა, რომელსაც მშრომელი მასების უუფლებობა ეწოდებოდა.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც წამოაყენა ძირითადი ამოცანა—საზოგადოების ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა და სოციალიზმისა და კომუნისმის დამყარება, პროლეტარიატს, რომელიც მოექცა ხელისუფლების სათავეში, მეტი სმეტად დიდი ამოცანა დაუსახა: მას უნდა აეღო ძველი კულტურის აუარებელი მაგარი ჰოზიცი და დაპატრონებოდა მთელ მის იარაღს, რომ გარდაექმნა მთელი საზოგადოება ახალ, სოციალისტურ საფუძვლებზე, რომ ახალი კულტურის ყველა მიზანი და ამოცანა მტკიცედ და ურყევად დაექვემდებარებია პროლეტარიატის ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის.

ხანგრძლივი, სასტიკი ბრძოლა იყო საჭირო ამისათვის. ამიტომ მუშათა კლასის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მოახდინეს კულტურისა და განათლების მთელი საქმის ცენტრალიზაცია (ნაციონალიზაცია), თვითონ აიღეს ეს საქმე ხელში და ამ ფრონტზე ერთ-ერთ პირველ და მთავარ მებრძოლად მოიწვიეს რევოლუციის ყველა ფრონტზე არაერთხელ ნაცადი მფობარი და თანამოაზრე—ამხ. პოკროვსკი. დღეს, ამხ. პოკროვსკის ლეაწლის აღნიშვნის დღეს, უნდა ითქვას, რომ პროლეტარიატი არ შემცდარა, ის მართალი იყო, როდესაც დაენდო ამხ. პოკროვსკის და ჩააბარა მუშათა კლასისთვის ესოდენ საჭირო, დიდი და, ძნელი საქმე.

ამხ. პოკროვსკი არის სახალხო განათლების ახალი, საბჭოთა, სისტემის შემქმნელი, ის არის მთელი საგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესო ხელმძღვანელი, როგორც სახელმწიფო-სამეცნიერო საბჭოს პოლიტიკური სექციის თავმჯდომარე,—მთელი ზეენი სასკოლო აღმშენებლობის წმინდა მარქსისტული ხასიათის დაცვის მეთვალყურე და კონტროლი.

ვინაიდან პოკროვსკი ძალიან კარგად იცნობდა ძველ სკოლას, მის მსოფლმხედველობას და მასში გამეფებულ მეთოდებს, კარგად ესმოდა, რომ ამ მოვლენასთან მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი მეთოდებით ბრძოლა არ იყო საკმარისი და არც შეიძლება.

ძველი იდეალისტური სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის ნაცვლად, რომელსაც საფუძვლად ედგა შიში, მონობა და ძალდატანება,—მან ამოცანად დაასახა სკოლაში შეეტანა—და კიდევ დაიწყო ამის განხორციელება—„მებრძოლი კომუნისმის-მარქსიზმის მსოფლიოს შემეცნება, რომელიც ბრმარწმენას და მორჩილებას კი არ ეყრდნობა, არამედ ყოველივე მას, რაც ქვეყნად არსებობს, უშიშარ ანალიზს და ადამიანის ძალ-ღონის ღრმა რწმენას“.

ასეთი მარქსისტული მიდგომით არის საესე მთელი მისი მუშაობა ახალი კულტურის აღმშენებლობის დარგში, ამ კულტურის პირველადი უჯრედიდან, ე. ი. ჩვენი ოთხწლელიდან დაწყებული.



ოქტომბრის რევოლუციამ წამოაყენა ძირითადი ამოცანა—საზოგადოების ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა და სოციალიზმისა და კომუნისმის დამყარება; ამ-ვე დროს წამოაყენა მეორე ამოცანა—ისეთი ახალი იდეოლოგიის აღ-ზრდა, რომელსაც უნდა ექნეს ახალი მსოფლმხედველობა, ახალი მისწრაფებანი, ახალი ცოდნა და ჩვევანი.

მოხერხებული აღმშენებელი-კოლექტივისტი და სოციალიზმისა და მუშა-თა კლასის იდეოლოგიისათვის თავიდადებულ მებრძოლი,—აი როგორი ახალი ადამიანია საჭირო ოქტომბრის რევოლუციის პრაქტიკული ამოცანებისათვის და სწორედ ასეთ მოთხოვნებს უყენებს ეს რევოლუცია ახალ ადამიანს. ასეთ მოთხოვნებს, ასეთ ამოცანებს აღზრდის ისტორია წინათ არ იცნობდა. ამიტომ ოქტომბრის რევოლუცია იყო ძირითადი გარდატეხა. ის იყო რევოლუცია აგრეთვე აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის დარგშიც. ოქტომბრის რევოლუ-ცია არის ის თარიღი, საიდანაც იწყება მარქსის, ენგელსის და ლენინის რე-ვოლუციონურ-პედაგოგიური იდეების რეალიზაცია და ეყრება საფუძველი ნამ-დვილ და ერთადერთ მცენიერულ პროლეტარულ პედაგოგიას.

პროლეტარიატს, რომელიც აწარმოებდა საზოგადოების გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე, რომელიც ჰქმნიდა ახალ ეკონომიკას და ახალ ცხოვრებას, იმა-ვე დროს სასწრაფოდ უნდა დაეორგანიზებია და განემტკიცებია კულტურუ-ლი ფრონტი, რომ გამოეყვება ახალი ადამიანი, ახალი მასები, რომ მო-ემზადებია რევოლუციის და სოციალისტური აღმშენებლობის ახალი ძალა; კულტურული ფრონტი, როგორც რაოდენობით, ისე თვისებით უნდა შეეფერე-ბოდეს ოქტომბრის დიად ამოცანებს, ის უნდა იყოს აღმშენებლობისა და ბრძო-ლის ყველა დანარჩენი ნაკვეთების იდეოლოგიური დასაყრდენი.

მუშათა კლასს, რომელიც დაადგა ახალი საზოგადოების შექმნის გზას, კულტურული ფრონტის ორგანიზაციისა და სახალხო განათლების პრაქტიკულად ჩამოყალიბების დროს რევოლუციამდე არსებული პედაგოგიკიდან ძალიან მცირე რამით თუ შეეძლო ესარგებლნა: აღზრდის მიზნებისა და ამოცანების ძირიან-ფესვიანად შეცვლა აყენებდა საკითხს, რომ ასევე ძირიან-ფესვიანად უნდა შეცვლილიყო აღზრდის საშუალებანი და მეთოდები, ვინაიდან ახა-ლი ადამიანის შექმნა, აღზრდის ახალი მიზნების მიხწევა ახალ საშუალებათა და ახალ მეთოდთა გა-მოყენებაზეა დამოკიდებული. ამრიგად, საჭირო იყო საძირკველის ჩაყრა და ახალი მარქსისტულ-ლენინური-პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტი-კის რევოლუციონური ტემპით შექმნა.

კონკრეტულად ეს შემდგეს ნიშნავს:

ა) აღზრდის მწყობრი მარქსისტული თეორია დასაბუთებულად უნდა დაყრდნობოდა მცენიერების ურყვე დებულებებს, სოციალიზ-მისა და კომუნისმის დამყარების ამოცანების შესატყვისად; მკაფიოდ უნდა მოხაზულიყო სახალხო განათლების მთელი სისტემა, საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებათა ყველა ტიპი და განსაზღვრულიყო თითოეული შათგანის მუშაობის მიმართულება, შეინარსი და მეთოდები ახალი ადამიანების აღზრდისა და მებრძოლის-აღზრდის ამოცანების შესატყვისად. **მეცხე წელიწადი**

ბ) საპროგრამო მასალა უნდა ჩამოყალიბებულიყო და მოწესრიგებულიყო კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით, აგრეთვე უნდა გამომუშავებულიყო აღზრდის მეთოდები;

გ) საჭირო იყო კომუნისტური აღზრდის ახალი მატერიალური ბაზის შექმნა და განმტკიცება (შექმნა სასწავლო და სხვა ლიტერატურის და სხვა).

დ) საჭირო იყო ძირიან-ფესვიანი გარდატეხის მოხდენა განათლების მუშაკთა ფართო მასის საერთო და პედაგოგიურ შეგნებაში და მათი გადაქცევა კომუნისტური აღზრდის საიმედო ხელმძღვანელებად და

ე) ხელმძღვანელთა ახალი კადრების შექმნა სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგებისათვის.

საბჭოთა პედაგოგიკა, რომელსაც წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვა უზღებოდა, მაგრამ მუდამ გადაუხვევლად მიჰყვებოდა მარქსისა და ლენინის ანდერძს, ოქტომბრის 11 წლის თავისთვის გაიზარდა და განმტკიცდა და პროლეტარიატის ხელში ამკამდა ის წარმოადგენს მძლავრ მეცნიერულ იდეოლოგიურ ძალას, და ბურჟუაზიულ პედაგოგიურ ბანაკში მოკალათებული მტრებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მას. ბევრი ამოცანა საბჭოთა პედაგოგიკამ უკვე დაამუშავა მეცნიერულად და გადაჭრა, ბევრი ამოცანა კი ჯერ ისევ გადაჭრის პროცესში იმყოფება. მეცნიერული აზროვნების მეთოდი,— დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდი,— საბჭოთა პედაგოგიკაში განმტკიცებული, უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას და უდავო წარმატებას კომუნისტური აღზრდის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს.

მარქსისტული პედაგოგიკის უდიდეს მოღვაწეთა რიგებში ერთ-ერთი პირველი ადგილი მ. ნ. პოკროვსკის უჭირავს.

პროფესიით პედაგოგმა, გამოზრდველმა რევოლუციონერმა, სპეციალობით მეცნიერმა ისტორიკოსმა, რომელსაც ფრიად დიდი ეროდიცია აქვს და მშენიერად სარგებლობს აზროვნებისა და კვლევა-ძიების უნივერსალური მარქსისტული მეთოდით,— პოკროვსკიმ ძალიან ბევრი რამ გააკეთა სახალხო განათლების საბჭოთა სისტემის ორგანიზაციის მხრივ, როგორც რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა (გან. სახ. კომისარის მოადგილე), როგორც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, როგორც თეორეტიკოსმა პედაგოგმა და მეთოდისტმა ისტორიკოსმა. მისი შეტად დიდი და სხვადასხვაგვარი პედაგოგიური დამახებრებიდან შემდეგი უნდა აღინიშნოს:

ა) სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დავალებით მ. ნ. პოკროვსკიმ გარკვეულ წმინდა მარქსისტულ დებულებებში დასაბუთა ის პრინციპები, რომლებიც დაედვა საფუძვლად სახალხო განათლების საბჭოთა სისტემას. მოგეცა სახელმძღვანელო მითითებანი კულტურული აღმშენებლობის საქმეში, მოგვიჩაზა კულტურული აღმშენებლობის და ახალი ადამიანის აღზრდის

მიზნები, შინაარსი და შეთოდები, თანაც ძირითად პრინციპებს წამოყენებდა და განამტკიცებდა პოლიტიკის იდეა.

ბ) როგორც პროლეტარიატის დიქტატორის უშუალო და აქტიურმა მონაწილემ სავსებით ნათლად შეიგნო მუშათა კლასის როლი საბჭოების სახელმწიფოს სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის საქმეებში; მუშათა კლასის თავისი წრიდან უნდა მიეცა კადრები რევოლუციონური, მკოდნე სპეციალისტების, მეთაურების და სოციალისტური სახელმწიფოს სხვა და სხვა დარგების ხელმძღვანელების; იმ მიზნით, რომ გაეადვილებოდა მუშათა კლასისათვის ამ პასუხსავე ამოცანის შესრულება. პოპოვიჩიმ აიღო ინიციატივა და იკისრა მუშათა განათლების იდეის წამოყენება და განხორციელება. მუშებისათვის სპეციალური ტიპის სკოლის მუშაყის ჩამოყალიბება. და ჩვენ ვიცით, რომ მუშაყების მეოხებით მრავალმა ათასმა პროლეტარმა გაიკაფა გზა უმაღლესი სპეციალური სასწავლებლისკენ, ისინი მოემზადნენ და შეიქმნენ პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელები ამავე დროს პოპოვიჩი თვითონ უშუალოდ უწევდა ხელმძღვანელობას მუშაყს, სანამ ის არ მომავრდა და სახალხო განათლების სისტემის ერთ-ერთ სრულიად უდავო და აუცილებლად საჭირო რგოლად არ გადაიქცა.

გ) როგორც პედაგოგი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პოპოვიჩი უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შრომის სკოლების ახალი პროგრამების შედგენაში, ამ პროგრამების გამოკვეთება კი სრულიად სამართლიანად ითვლება რევოლუციის მოხდენად პედაგოგიკაში: ახალ კომპლექსურ პროგრამებში პირველად ჩამოყალიბდა მკაფიოდ და გარკვევით საბჭოთა სკოლის მიზნები და მუშაობის ფორმები. მკაფიოდ აისახა კომუნისტური აღზრდის მეთოდები.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამები—ეს არის მარქსისა და ლენინის პედაგოგიური იდეების რეალიზაცია.

მწყობრი მარქსისტული მსოფლმხედველობის შემუშავება ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა კომპლექსის ანალიზისა და შესწავლის მიზნით. თანაც ამ მოვლენათა შორის არსებული მიზეზობრივი, დიალექტიური კავშირი უნდა იქნეს შესწავლილ-განხილული; თეორიასა და პრაქტიკის შორის განუყოფელი კავშირის იდეის გატარება; მოთხოვნა, რომ მიღებული ცოდნა გამოყენებულ იქნეს ბუნებისა და ცხოვრების პრაქტიკულად გარდაქმნა-გადაკეთების საქმეში, რასაც საზოგადოებრივი შრომისა და ცხოვრების გაუმჯობესების ინტერესები უნდა ედვას საფუძვლად; აღზრდა სოციალიზმის ყოველმხრივად განვითარებული მშენებლისა და მისთვის მებრძოლისა ახალგაზრდობის მიერ მუშათა კლასის აღმშენებლობისა და ბრძოლაში დაორგანიზებული, კოლექტიური მონაწილეობის მიღების მეოხებით,—აი, კომუნისტური აღზრდის ძირითადი იდეები, რომლებიც სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ახალ პროგრამებშია განხორციელებული, დასაბუთებული და გამართლებული. ეს არის ამხ. პოპოვიჩის მეტად დიდი დამსახურება.

პოკროვსკის მიერ შექმნილი კომპლექსური პროგრამები განსაკუთრებით იმით არის ძვირფასი, რომ მთელი სწავლება, ცოდნის შექმნა და კრეატივის გამოყენება, ამ პროგრამების მიხედვით საჭიროა დიალექტიკური მეთოდით პოკროვსკის ამით სურს მასწავლებელთა მისებს შეათვისებინოს, რამდენად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკას.

მაგრამ საჭიროა დიალექტიკა არა აბსტრაქტული თეორიის სახით, არა პოლიტიკის დანაწევლის სახით, არამედ მით უნდა იყოს გატენილი სკოლის მთელი მუშაობა, განსაკუთრებით ძვირფასი კი არის კომპლექსურ პროგრამების დაკავშირება, დიალექტიკური დაკავშირება საზოგადოებათ მეცნიერებისა და ბუნებასმეტყველებისა.

პოკროვსკის, როგორც პედაგოგ-თეორეტიკოსს, დაწერილი აქვს შესანიშნავი შრომები, „მარქსიზმი სკოლაში“, „მარქსიზმი პირველი და მეორე საფეხურის სკოლის პროგრამებში“, რომლებშიც ის, ახალი მარქსისტული პროგრამების ავტორი, იძლევა ამ პროგრამების ანალიზს, თანაც იშვიათი მოხერხებულობით და საკითხის ღრმა ცოდნით გვიშლის თვალწინ სახელმწიფო სამეცნიერო სამსახურის პროგრამების მარქსისტულ რაობასა და მნიშვნელობას. ამ ნაშრომების მეოხებით შრავალი ასათასი განათლების მუშაკი სწავლობს და შემდგომაც ისწავლის მარქსიზმს პედაგოგიკის დარგში გამოყენებით.

პედაგოგი—ლენინელი და კულტურული აღმშენებელი, ამხ. პოკროვსკი არა ერთხელ შეჩერებულა და აუხსნია ლენინის შეხედულება განათლების ამოცანების შესახებ, როგორც, მაგ., თავის ბროშურებში: „ლენინი და განათლება“, „ლენინი და უმაღლესი სკოლა“.

თავისი ბეჭდვითი და ზემოთი გამოსვლებით ის ხელს უწყობდა მშრომელი ინტელაგენციის რიგებში რევოლუციის სასარგებლოდ პოლიტიკური გარდატეხის მოხდენას და ამით ამრავლებდა და ამაგრებდა ახალი წესწყობილებისათვის მებრძოლთა კადრებს—წერილები: „მასწავლებელთა ყრილობის პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგები“, „მასწავლებელთა ყრილობის გამო“ და სხვ.

ე) როგორც საზოგადოებათ მეცნიერმა-მეთოდისტმა, პოკროვსკიმ განსაკუთრებული როლი ითამაშა სასკოლო საზოგადოებათ მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში: მარქსისტული პროგრამების შედგენა საზოგადოებათ მეცნიერებაში, თანადროულობაზე განწყობით, მაგრამ თანადროულობის გაშუქებით ისტორიულ პროცესში (ისტორიზმი); პროგრამებში თანადროულობის საკითხების შეხამება მეცნიერულ ისტორიულ-მასალასთან; ხელმძღვანელობის გაწევა საზოგადოებათ მეცნიერების სამუშაო წიგნების შედგენის დროს,—ეს წიგნები კი მარქსისტული სიღრმისა და პედაგოგიური ცოდნა-უნარის ნიმუშებს წარმოადგენენ; ხელმძღვანელობა და უშუალო მონაწილეობის მიღება სასკოლო საზოგადოებათ მეცნიერების მეთოდების შემუშავებაში; ხელმძღვანელობის გაწევა საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელთა გადამზადებაში (როგორც გადამზადებული, პოკროვსკი 1927 წელს ჩვენშიც იყო, კოჯორის კურსებზე), ხელმძღვანელობის გაწევა ნიჭიერ საზოგადოებათ მეცნი-

ერთა, მარქსისტ-მეთოდისტთა მთელი სკოლისათვის,—აი მრავალმხრივი მოღვაწეობა ამა. პოკროვის, როგორც სასკოლო საზოგადოების შემქმნელის და მთავარი ხელმძღვანელის მთელ საბჭოთა კავშირში. ამასვე დარს პოკროვისკი არის შესანიშნავი პედაგოგი და თავისი მოწაფეების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზატორი.

პოკროვისკის იუბილემ, ეს ზეიმი,—ეს, ჩვენს პედაგოგიურ ენაზე, ნიშნავს მასიურ, საერთო სავანმანათლებლო, საერთო კულტურულ ზეიმს მარქსისტულ საფუძვლებზე განმტკიცებული პროლეტარული პედაგოგიის, როგორც სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა და ამ საქმისათვის მებრძოლთა ახალ-ახალი კადრების აღზრდის მძლავრი იარაღის.

პოკროვისკი არის მარქსისტული პედაგოგიის ერთ-ერთი უდიდესი შემქმნელი და სწორედ ამიტომ ვაფასებთ და გვიყვარს იგი.

ყოველი პატიოსანი საბჭოთა მშრომელი ინტელიგენტის გზა—ამხ. პოკროვისკის გზა უნდა იყოს, იმ პოკროვისკის, რომელიც მოვიდა პროლეტარიატთან მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებდა, მოვიდა მთელი თავისი ცოდნით, მთელი თავისი ენერჯით და ნებისყოფით, და რომ ყოველივე ეს შეეწირა პროლეტარიატის დიდი მიზნებისა და ამოცანებისათვის. პოკროვისკის გზის არჩევა ნიშნავს ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისათვის, იმ რევოლუციისათვის, რომელიც მარქსიზმისა და ლენინიზმის მოძღვრებაზე აღმოცენდა დედამიწის ერთ მიეჭესელ ნაწილზე.

მ. ნ. პოპროვისკი როგორც ისტორიკოსი

როდესაც ჩვენ წინა დგას საკითხი ისტორიკოსის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებისა, ორნაირად შეიძლება მივუდგეთ ამ საკმეს: ერთი მხრივ ისტორიკოსი შეფასდება მისი შრომების მიხედვით იმ სპეციალურ დარგში, რომელშიც ის აწარმოებს კვლევა-ძიებას, და მეორე მხრივ კი მისი საზოგადო, მეთოდოლოგიური შრომები, რომელიც დაკავშირებულია არა რომელსავე სპეციალურ დარგთან, არამედ ისტორიასთან საზოგადოდ. პირველ შემთხვევაში ისტორიკოსი საინტერესო მოვლენას წარმოადგენს მხოლოდ მისი დარგის სპეციალისტებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ღებულობს საერთო, მსოფლიო ისტორიკოსის მნიშვნელობას.

ამ ორი მხრივ უნდა მივუდგეთ მ. ნ. პოპროვისკის მოღვაწეობასაც. მე არ შევხები იმის მოღვაწეობას, თუნდაც მეცნიერულს, პირველ, რევოლუციის წინაპერიოდში, თუმცა ეს პერიოდი ძლიერ საინტერესოა მისი ზნეობრივი სიმტკიცის და სიმაღლის დასახასიათებლად. ამას გააკეთებენ სხვები, ვინც, შეიძლება, უფრო კარგად იცნობს მის მოღვაწეობის იმ პერიოდს, არა მარტო მეცნიერულ მოღვაწეობისას, არამედ პოლიტიკურისასაც. მე ჩემ ამოცანად ვისახავ მ. ნ. პოპროვისკის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებას მთლიანად, რა სახითაც იგი წარმოგვიდგება ჩვენ დღეს.

რა თქმა უნდა, ჩვენი პატივცემული იუბილარი რომ საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც რუსეთის ისტორიკოსი, მაშინ მისი ასეთი ფართო პოპულარიზაცია არაფრით არ აიხსნებოდა. ხოლო მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამოსარკვევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჩვენი საკუთარი თვალსაზრისი და საზომი გამოვარკვეოთ.

ისტორიის მეთოდოლოგიის თეორიულ საკითხებში ამჟამად ევროპის მეცნიერებაში შეიძლება აღენიშნოთ სამი უმთავრესი მიმართულება. პირველს შეიძლება მივაკუთნოთ ისტორიული სკოლა ემპირისტ მკვლევართა, რომელნიც ცდილობენ ემპირიულ ნიადაგს არ მოშორდნენ და მხოლოდ თვითელი ისტორიული მოვლენის ან ფაქტის ყოველმხრივ შესწავლას შესწირონ თავის ძალღონე, ხოლო სინთეტიური მუშაობა, ანუ განმარტებადებული, სხვა დარგის მეცნიერებას დაუთმონ. ამ სკოლის მეცნიერთა შორის არიან ისეთი დიდი ისტორიკოსები, როგორც მომხენი, ტიერი, გიზო, ხოლო თეორეტიკოსები ქსენოპოლი, ედვარდ მაიერი და სიკრტი თავის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში, რო-



დესაც მან დასწერა თავისი „Die Grenzen der Naturwissenschaften: Begriffsbildung, 1902. ეს ისტორიკოსები ისტორიულ მეცნიერებას უწყობდნენ, ისე, როგორც, ვინდელბანდის ტერმინოლოგიით, იდიოგრაფიულ მეცნიერებას და იკვლევდნენ ყოველი მოვლენის მხოლოდ ინდივიდუალურ თვისებებს. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო დარჩენა იმ ობიექტიურ სიმაღლეზე, რომელზედაც გაჩერება მათ სურდათ. თვითფულმა მათგანმა კვლევა-ძიებაში შეიტანა თავისი მიდრეკილება, ან თავისი რწმენა და ეს მიდრეკილებანი, ეს რწმენანი სრულიად გარკვეულად დაკავშირებულია მათ კლასობრივ მდგომარეობასთან. ტიერი ცდილობს გამოარკვეოს „შესამე წოდების“ მაღალი როლი საფრანგეთის ისტორიაში, მოშენი ადიდებს იულიოს კეისარს და მონარქიზმს, რომელიც მას ბისმარკის და მისი დროის ახლად გაერთიანებული გერმანიის მონარქიზმის პროტოტიპად ჰქონდა წარმოდგენილი. რიკკერტმა, მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, თავის მეორე შრომაში შეიტანა შესწორება და კანონიერად გამოაცხადა, რომ ისტორიკოსი მოვლენათა შერჩევის დროს სარგებლობდეს თავის წარმოდგენით „კულტურული ღირებულების“ შესახებ, ამ საზომით უდგებოდეს მის შეფასებას („Kultunviseurchaft und Naturwissenschaft). ეს თვალსაზრისი გაიზიარა აგრეთვე მაქს ვებერმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ ამ კულტურული ღირებულების შეტანა კვლევა-ძიებაში მეცნიერს მისცემს ობიექტიურ საზომს. მაგრამ არც ეს გამართლდა, ვინაიდან მეცნიერს ხშირად უხდება ერთ და იგივე მოვლენისათვის სხვადასხვა საზომის ხმარება, იმის მიხედვით, თუ რაგვარ მოვლენას იკვლევს იგი. ერთი სიტყვით კულტურული ღირებულება მეტად სუბიექტიური საზომი გამოდგა. ამის შემდეგ აუცილებელი გახდა აღიარება იმისი, რომ კვლევა-ძიებისადმი მიდგომა აუცილებლად კლასობრივია, მხოლოდ საჭიროა, რომ მკვლევარს თავის კლასობრივი მიდრეკილებანი გადაშუშავებული ჰქონდეს მეცნიერულ აპარატით, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სოციოლოგიაში. ამიტომ სოციოლოგიური მიდგომა კვლევა-ძიებისადმი ისტორიკოსისათვის აუცილებელია. ამგვარი მიდგომა აღწევს იმდენ ობიექტივობას, რამდენიც კი შესაძლებელია ადამიანისათვის. მხოლოდ სოციოლოგიაც არის და სოციოლოგიაც. თუმცა ბურჟუაზიულმა სოციოლოგიამ ბევრი რამ მიიღო ისეთი, რაც მშრომელი ხალხის, პროლეტარიატის მარქსისტულ სოციოლოგიის მიერ იყო შემუშავებული, მაგრამ მაინც დიდი განსხვავებაა ამ ორ სოციოლოგიათა შორის. ვისი სოციოლოგია უფრო სწორეა ობიექტიურად? რა თქმა უნდა, იმისი, ვინც უფრო ახლო დგას იმ მუშაობასთან, რომელიც შეადგენს მთავარ ღერძს, რომლის გარშემოც ტრიალებს კაცობრიობის ცხოვრება. უდავოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მთავარი ღერძი არის არსებობისათვის ბრძოლა კაცობრიობისა. ვერე ვინა დგას ამ ბრძოლასთან ახლო? ვინ არის მისი უშუალო მონაწილე? ვინ განიცდის თავის საკუთარი კუნთების გრძნობით, პერიფერიით და თვალების ნერვებით ამ ბრძოლას? რასაკვირველია, მშრომელი ხალხი და განსაკუთრებით, პროლეტარიატი. მაგრამ პროლეტარიატი იქამდის დატვირთულია ამ განცდებით, რომ მას არა აქვს საშუალება თავისი განცდები თავის უმაღლესი ცენტრის აპარატურაში გაატაროს, მისცეს მას შესაფერი შეფასება და წამოაყენოს თეორიის სახით.

ამას ასრულებს ის ჯგუფი ინტელიგენტ პირთა, რომელთაც პროლეტარიატის ეს განცდები შეითვისეს, მის თვალსაზრისზე დადგნენ და ჩამოვარდნილნი განცდები გარკვეულ მსოფლ-მხედველობად, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება ამ მე-შაობის მეთაურის ნარქსის სახსოვრად.

რაც შეეხება ბურჟუაზიას, ის ცხოვრების მთავარ ამოცანასთან ისე ახლო არა დგას, როგორც პროლეტარიატი, ის მხოლოდ შორიდან უყურებს მას, მისი ნაყოფით სარგებლობს და უკეთეს შემთხვევაში კი მისი შორეული ორგანიზატორია. აი ამიტომ არის, რომ პროლეტარულ-გლეხური კვშმარტება შიშველია, მარტავი, ბასრი და პირდაპირი. პროლეტარიატი პირდაპირ ჰხედავს შეუღამაზებელ, შიშველ არსებობისათვის ბრძოლას და იცის, რომ ადამიანთა საზოგადოებაში იგი კლასობრივ ბრძოლის სახეს ღებულობს, რომ კლასობრივი ინტერესების გადანაცვალ-გადაწენა ხდება თვით ურთულეს იდეოლოგიურ სფეროშიც კი. ის ჰხედავს აგრეთვე, რომ მთელი ცხოვრება აგებულია დიალექტიკაზე, რომელიც ჩანს მის საქმიანობაში: როგორც მცენარეთა აღმოცენების პროცესში, ისე ენერჯიის შეცვლის და ერთის მეორეში გადასვლის მომენტებში. ეს დაკვირვებანი პროლეტარულ აზრს, სისტემაში მოყვანილს, გადააქვს ისტორიაზედ და იქაც ჰხედავს კლასთა ბრძოლას და დიალექტიკას. უდგება რა მეცნიერი იმ თვალსაზრისით ისტორიას, ჰხედავს, რომ ამგვარი საშუალებით ისტორიული პროცესების გაგება, მისი დაფარული სიღრმეების გამოჩენა ბევრად უფრო ადვილად ხდება.

აი სწორედ იმ იარაღით აღჭურვილი მიუდგა მ. ნ. პოკროვსკი რუსეთის ისტორიას, და ენახოთ, თუ რა შედეგებს მიაღწია მან. წინასწარ კი უნდა ვთქვათ, რომ პროფ. პოკროვსკის ამგვარი შრომა არის გამოცდა არა მარტო მისი ნიჭისა და მისი კალმისა, არამედ მთელი ახალი მარქსისტული სკოლისა, მისი მეთოდებისა, მისი ხერხებისა. მაშასადამე რა გააკეთა მ. ნ. პოკროვსკიმ ამ მეთოდების საშუალებით რუსეთის ისტორიაში, ისეთი, რაც ვერ გააკეთეს და რასაც ვერც გააკეთებდნენ სხვა სკოლის ისტორიკოსები, რაც უნდა დიდი ნიჭით ყოფილიყვნენ ისინი დაჯილდოვებულნი და დიდი ცოდნით აღჭურვილნი? მ. ნ. პოკროვსკის უმთავრეს დამსახურებად რუსეთის ისტორიის წინაშე სთვლიან იმას, რომ მან გამოარკვია სავაჭრო კაპიტალიზმის განსაკუთრებული როლი და დაამტკიცა კლასობრივი ხასიათი რუსეთის თვითმპყრობელობისა. მაგრამ მე მივეცი ჩემ თავს ნებას და დაეიწყებ იქიდან, რაც მე პირადად უფრო დიდ დამსახურებად მიმაჩნია მ. ნ. პოკროვსკის მხრივ არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო ისტორიის წინაშეც.

რანკეს, რატეელის და ელიზე რეკლამუს შემდეგ მსოფლიო ისტორიის მეცნიერების დიდ მონაპოვრად სთვლიდნენ იმ აღმოჩენას, რომ გეოგრაფიულ პირობებს დიდი, თუ არა გადაწყვეტი, გავლენა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაზედ. ეს დებულება სავსებით ეთანხმება მარქსისტულ შეხედულებას, მაგრამ ბურჟუაზიულ მეცნიერთა ხელში იგი ვერ იქნა გაგებული მთლიანი მისი სიღრმით და სიფართოვით, ისე რომ ეს დებულება თითქმის უნაყოფოდ დარჩა ისტორიულ კვლევა-ძიებისათვის. ჩვეულებრივ ისტორიის კურსის დასაწყისში

აღნიშნავენ გეოგრაფიულ პირობებს, ბუნების თვისებებს, ამას მოაბამენ ისტორიას და მერე განაგრძობენ. შემდგომში კი გეოგრაფიული პირობების მნიშვნელობას ეძლევა და ბუნებაც, თითქოს მისი გავლენა შემდეგ უკვე შეწყდეს. ასევე იტყვიან რუსეთის ისტორიკოსები რუსეთის მიმართ. ნიკოლოზ პირველის ცენტრალისტურ პოლიტიკის გასამართლებლად და ასრეთ წოდებული ფედერალიზმის საწინააღმდეგოდ, ცნობილი რუსეთის ისტორიკოსი სოლოვოვი ამტკიცებდა, რომ რუსეთი თავისი ზედაპირის მოყვანილობით ისეთ ერთფერ ვაკეს წარმოადგენს, რომ განსაკუთრებული, განკუთრებითი მადრეკილებანი ადგილობრივ შემოხლულულ ტერიტორიის ფარგალში მოთავსებული, არ შეიძლება აქ არსებობდეს, როგორც ეს არის მთიან-გორიან დასავლეთ ევროპაშიო. მ. ნ. პოკროვსკი ამ საკითხს უდგება დიალექტიურად და ამის მეოხებით დიდ ღირებულების ფაქტორს იყენებს რუსეთის ისტორიის გასაგებად. „მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი „ბუნებრივი ფორმების ერთგარობაზე“, ამბობს ამის შესახებ მ. ნ. პოკროვსკი: „თუ ვიგულისხმებთ რუსეთის სამიწადმოქმედო ქვეყნად. უკვე ვეატრიანე II-ის მეფობის ბოლოდან, 1790 წლებიდან, ეს დებულება დამკვლევებულად უნდა ჩაითვალოს: „ნოვოროსიის“ შავი მიწის დახეხამ შექმნა ორი ტიპი მიწათმოქმედებითი მეურნეობისა, რომელთა შორისაც განსხვავება იჭამდის ღრმბა, რომ მასზედ ემყარებოდა ქვეყლასობრივი განაწილება რუსეთის მიწათმელობელთა კლასისა, რომელიც საფუძვლად დაედო „საგლეხო რეფორმის“ დროს შექმნილ კონფლიქტებს. „გლეხთა განთავისუფლება“ სხვანაირი იქნებოდა და ბრკალებს არ მოითხოვდა, ჩვენ რომ გვჯოლოდა მხოლოდ ერთი ტიპი მემამულისა, მემამულე-მანჩესტრერელისა, და რომ არ ყოფილიყო მეორე ტიპი შავი მიწის მემამულე პლანტატორისა. ხოლო თუ ავიღებთ მრეწველობის განვითარების ხანას XIX საუკუნისას, მაშინ მხედველობაში უნდა მივიღოთ კრივიოროვის მადანიც, დონის ქვანახშირიც და ბაქოს ნავთიც“

მაშასადამე ბუნებრივ სიმდიდრეს და ყოველგვარ თვისებებს მნიშვნელობა აქვს იმის მიხედვით, თუ რანაირ უნარს იჩენს შოვნისას ადამიანი: ერთ შემთხვევაში მის უნარიანობასთან დაკავშირებით ბუნება ერთგვარ გავლენას ახდენს იდეოლოგიაზე გარკვეული მეურნეობის ტიპის შექმნის მეოხებით, მეორე შემთხვევაში მეორენაირს. ეს არის კარგად გაგებული დიალექტიური მეთოდი, ეს არის გალესილი და მბაფრი იარაღი დიალექტიურ აზროვნებისა. ამგვარ დამოუკიდებლობას აზროვნებისას ჰხედავს მ. ნ. პოკროვსკი არა მარტო ისეთი დიდი ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომელნიც ზემოდ დავასახელებთ, არამედ პლენანოვის წინააღმდეგაც კი, რომელიც მიუხედავთ თავისი დიალექტიური აზროვნებისა და მარქსისტული მსოფლმხედველობისა, მაინც სოლოვიოვს უჭერს მხარს და ილაშქრებს მ. ნ. პოკროვსკის წინააღმდეგ. (იხ. Марксизм и особенности исторического развития России გვ. 10—11).

გადავიდეთ ახლა რუსეთის ისტორიის მთავარ საკითხზე, სადაც მ. ნ. პოკროვსკის განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის, და გამოვარკვიოთ მისი მნიშვნელობა არა მარტო რუსეთის ისტორიაში, არამედ მსოფლიოშიც. ეს არის

საკითხი თვითმპყრობელობის წარმოშობისა და სავაჭრო კაპიტალიზმის მნიშვნელობისა. ჯერ კიდევ მილიუკოვამდის რუსეთის ისტორიკოსთა ნაწილში გამთავებული იყო თვალსაზრისი საზოგადოებრივი ფორმების „ზემოდან“ წარმოშობისა. მილიუკოვმა შექმნა თეორია ასრეთ წოდებული წინააღმდეგობისა, რომელიც მდგომარეობდა დაახლოებით იმაში, რომ რუსეთის წარსულში არსებობდა ერთგვარი წინააღმდეგობა მისი ეკონომიური მდგომარეობისა და ეროვნულ-სამხედრო ამოცანათა შორის. ერთი მხრივ ეკონომიურად რუსეთი ყოველთვის ჩამორჩენილი იყო ევროპას, მეორე მხრივ როგორც დიდი ქვეყანა, მრავალრიცხოვანი ხალხის შემცველი და დიდი ტერიტორიის მფლობელი, იგი საჭიროებს რომ თავის გავლენით და მნიშვნელობით არ ჩამორჩეს უცხოელებს და საერთაშორისო ურთიერთობის სასწორზე საგრძნობელი წონა ჰქონდეს. ამას გარდა, ვიდრე ეს მიზანი დავსახებოდა რუსეთს, მას დიდი ძალთა დაქიმეა სჭირდებოდა ყოველმხრივ მომდგარ აუარებელ მტრის წინააღმდეგ თავის დასაცავად. რუსეთის ეკონომიური გაუნვითარებლობის გამო, არც ერთი კლასი არ იყო ისეთი, რომ სხვები მთლად დაემორჩილა და ეთავა თავდაცვის მოწყობა და შექმნა კლასობრივი მთავრობა, დაეარსებინა კლასობრივი სახელმწიფო, ამგვარად გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი. ამიტომაც რუსეთმა შექმნა კლასების გარეშე მყოფი მთავრობა, რომლის მიზანსაც და მოწოდებასაც შეადგენდა სახელმწიფოს დაცვა გარეშე მტრებისაგან. ამისათვის კი უღმობელ ექსპლოატაციას უწევდა ყოველ კლასს და არც ერთი კლასი არ იყო მისი პირდაპირი მოკავშირე. ამიტომაც თვითმპყრობელობა სწოვდა ხალხს მთელ ძალას და დოვლათს, ამიტომაც იყო რომ საზოგადოებრივ ინიციატივას რუსეთში არ ჰქონდა მნიშვნელობა და, რაც კი რაზე საჭმე იყო დაწყებული და შექმნილი—სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი—ყველას მომწყობი ხელისუფლება იყო. ამიტომ იყო ხანგრძლივი რუსეთის თვითმპყრობელობის არსებობა.

აქედან მილიუკოვს პრაქტიკული პოლიტიკური დასკვნა გამოჰყავდა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთის ბურჟუაზიაც, როგორც სხვა კლასები, ჯერ მიმაგრებული იყო თავის მოვალეობაზე და შემდეგ თვითმპყრობელობის ექსპლოატაციის ობიექტად იქნა გადაქცეული. ამიტომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლის პროცესში ყველა კლასები უნდა შეერთდნენ და არავისი იარაღი არ უნდა იყოს მიმართული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პლემანოვმა და შემდეგ ტროცკიმაც შეითვისეს პირველი, თეორიული ნაწილი ამ დებულებისა და აღიარეს არაკლასობრივი ხასიათი თვითმპყრობელობისა. აი ამ თვალსაზრისს ებრძვის მ. ნ. პოკროვსკი და ამტკიცებს, რომ თავიდან ბოლომდის რუსეთის თვითმპყრობელობას ჰქონდა კლასობრივი ხასიათი, ოღონდ იგი ისტორიული მომენტის მიხედვით ხან ემყარებოდა ბურჟუაზიას, ხან მემამულეებს. მაგალითად საგლეხო რეფორმა ალექსანდრე II-ისა ბურჟუაზიული რეფორმა იყო, ხოლო კონტრ-რეფორმები ალექსანდრე მესამისა კი მიმართული იყო მემამულეთა ინტერესების დასაცავად. მაგრამ ეს მაგალითები არ იწვევენ წინააღმდეგობას, იქამდის მკაფიო მაჩვენებელნი არიან კლასობრივი პოლიტიკისა. უფრო სადავოდ მიაჩნიათ მ. ნ. პოკროვსკის მოწინააღმდეგეებს ძველი ხანა,

როდესაც, ჩიჩერინის სიტყვით, თვითმპყრობელობა ერთნაირად სწავრავდა როგორც გლეხებს, ისე ბოიარებს, რადგანაც ორივეს ერთნაირად ემარჯვებოდა მათ ვალდებულებაზე, და მათთან ერთად ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიასაც და ეშმატებთ ჩვენ ჩიჩერინის აზრის დასასრულებლად. ამის წინააღმდეგ, იმავე ჩიჩერინის სიტყვით, პროტესტს აცხადებდა თავადიც და გლეხიც, იმითი, რომ ისინი გაურბოდნენ თავის ვალდებულებას. დაბოლოს მაინც სახელმწიფომ გაიმარჯვა, ვინაიდან მის მხარეზე იყო სამართალი. ჩიჩერინის წამოყენებული დებულება შემდეგმა გამოკვლევებშიც უარჰყვეს, როდესაც გამოირკვა, რომ რუსეთის მთავრობა ვოტჩინის საწინააღმდეგოდ „კომესტიების“ მფლობელებს უჭერდა მხარს და ამრავლებდა, მაგრამ როგორ დამოკიდებულებაში იყო მთავრობა ვაქრებთან, ეს უფრო რთული საკითხი გამოდგა. ამასთანავე თვითმპყრობელობის კლასობრივი ბუნების გამორკვევა სწორედ ბურჟუაზიის საკითხთან არის დაკავშირებული. ეს საკითხიც მ. ნ. პოკროვსკის მიერ არის წამოყენებული და გადაჭრილი და ამით საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე თვითმპყრობელობის ბუნების საკითხიც. აქ საკითხი უმთავრესად ეხება პეტრე პირველის ხანას. პეტრე პირველის ხანის გამოსარკვევად უპირველეს ყოვლისა ბევრი იმუშავეს სოლოვიოვმა და ჩიჩერინმა, მაგრამ მათი მეცნიერული განჭვრეტა ვერ წავიდა იმაზე შორს, რომ პეტრე დიდის რეფორმები აიხსნათ უბრალო მიზნადგელობით, სწავლის სტრუქტურით, ცოდნის წყურვილით. კლიუჩევსკიმ და მილიუკოვმა ცოტა გააღრმავეს საკითხი და რეფორმები ახსნეს ფინანსური საჭიროების მოსაზრებით, რაც თავის მხრივ აიხსნებოდა იმითი, რომ რუსეთი უნდა ევროპის სახელმწიფოების წრეში ჩარეულიყო. მაგრამ ეს საჭიროება რაღამ გამოიწვია? ეს კი ველარ ახსნეს ამ ისტორიკოსებმა. რომ აქ სავაჭრო კაპიტალის გავლენა იყო, ეს აზრი არავის არ მოსდიოდა. პირველად სავაჭრო კაპიტალზე, რომელსაც რუსეთის ისტორიაში, განსაკუთრებით პეტრე I-ის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხმა ამოიღო ტუგან-ბარანოვსკიმ თავის შრომაში რუსეთის ფაბრიკის შესახებ. კილბურგერის დაკვირვებამ, რომელიც მას თავის შრომაში მოჰყავს, აფიქრებინა მას, რომ სავაჭრო კაპიტალი რუსეთში იმ დროს უკვე ყოფილა და, რასაკვირველია, ის თავისას მოითხოვდა. მაგრამ აქ ტუგან-ბარანოვსკიმ ფრთა ვერ გაშალა, ვერ გამოიყენა ეს თავისი ნაპოვნი, ისე რომ ნაყოფიერ დებულებიდან მან ვერ შექმნა თეორია, რომელიც აქ აუცილებლად საჭირო იყო პეტრე პირველის რეფორმების ასახსნელად; ანტონოვიც არავის არ მიუქცევია სათანადო ყურადღება ამ ახალი აზრისათვის, თუ ყურადღებად არ ჩავთვალეთ ის, რომ მის ოპონენტებმა ეს „რუსული“ აზრი ახლოც არ მიიკარეს. მხოლოდ მ. ნ. პოკროვსკიმ ჩასჭიდა ხელი ამ აზრს, რადგანაც მას ფესვი მოუნახა, ფესვზე შეატყაო თუ რა ჯიშისა იყო ეს ახალი მკენარე და შეუდგა ამ საკითხის გამოკვლევას. მან კარგად გამოიკვლია ჯერ თვით კილბურგერის ნაწერი, შემდეგ 1630-1631 წ. დოკუმენტალური მასალები და სრულიად უდავოდ დაამტკიცა, რომ უცხოეთის და განსაკუთრებით ჰოლანდიის კაპიტალს რუსეთზე ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა, რომ იგი თითქმის თავის კოლონიად გადააქცი-. ამან თვით რუსეთშიც გამოი-

წვია სავაჭრო კაპიტალის არსებობა. გამოირკვა, რომ რუსეთიდან ევროპაში მიდიოდა აუარებელი ნედლი მასალა და, განსაკუთრებით ევროპაში „საქონელი“ წელიწადისა, ამბობს ჩვენი მეცნიერი, „აუარებელი ხეობა“ იქნებოდა აღმოსავლეთ ევროპის მიწადმოკმედების ნაწილებიდან—პრუსიიდან და პოლონეთიდან—საფრანგეთში, ისპანიაში და იტალიაში. შუამავლებად ამ საქმეში იყვნენ პოლანდიელები“. მოსკოვსა და დასავლეთ შორისაც მყარდებოდა სავაჭრო დამოკიდებულება. გაცვლა-გამოცვლის საგნად გადაიქცა, გარდა მატყლისა და ტყავულობისა, სანოვაგეც და დაარსდა საერთაშორისო პურის ბაზარი. (პოკროვსკი რუსეთის ისტორია, ტ. II, გვ. 228). რა გასაკვირალია ამის შემდეგ, რომ პეტრე პირველი ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს ვაჭრობას, ხელს უწყობს მას თავის ზომებით და მიდის იქამდის, რომ მთელი რუსეთი დააგროვებს იმდენ დოვლათს, რამდენის მოგროვებაც რუსეთს ნორმალურ პირობებში არ შეეძლო. ამისთვის ხდება „მიმაგრება“ არა მარტო გლეხობისა, არამედ მემამულეებისაც, ამისთვის არსდება ცენტრალურ მთავრობასთან რამდენიმე კოლლეგია სავაჭრო ხასიათისა, ეძლევა ორგანიზაცია მოქალაქე-ვაჭრებს, რომელთაც აგრეთვე მძიმე ვალდებულებები აწევბათ თავზე. ეს „კლას გარეშე“ პოლიტიკა კი არ არის, უაღრესად კლასობრივი პოლიტიკაა და სწორედ ბურჟუაზიული პოლიტიკა. თვით მემამულეებთან დამოკიდებულებაც განისაზღვრებოდა იმითი, რომ მათ რაც შეიძლება მეტი უცხოეთში გასაზიდი დოვლათი შეგქნნათ. ამით აიხსნება პეტრე პირველის დროის მერკანტილისტური პოლიტიკაც, სასახლის მანუფაქტურებისა და ყმური ფაბრიკების დაარსებაც, საზოგადოდ რუსეთის ბურჟუაზიის და სავაჭრო კაპიტალიზმის ბუნება და მასთან დაკავშირებით მთავრობის პოლიტიკაც პეტრე პირველამდისაც და მის შემდეგაც განსხვავდება იმ სქემისაგან, რომელიც ჩვენ მოცემული გვქონდა დღემდის მსოფლიო ისტორიაში. ჯერ კიდევ ივანე შრისხანეს დროს ჩვენ ვხედავთ ერთის შეხედვით უცნაურ ძალთა კომბინაციას. როდესაც პირველად შემოდის საჭონლითი მეურნეობა და ვოტჩინური მეურნეობა ირყევა, ბურჟუაზია თავისი ინტერესებით უფრო ვოტჩინური მეურნეობის ინტერესებთან არის დაკავშირებული, ვიდრე პომეშიკებთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს უფრო პროგრესიულ მოვლენას, ვიდრე პირველი. საქმე იმაშია, რომ ის ვოტჩინები, რომელიც ვერ ახერხებს, რომ ახალი დროის მეურნეობას შეეგლოს, იშლება და ეცემა, ხოლო ის ვოტჩინები, რომელნიც ახალ მოთხოვნილებას ეგუებიან და თავის მამულში ისეთ საქონელს აგროვებენ, რომლის გაყიდვაც ადვილად ხერხდება, სიცოცხლის უნარს იჩენენ. მ. ნ. პოკროვსკის გამოკვლევებში დასახელებულია რამდენიმე საეკლესიო მამული, რომელშიც ასეთი საქონლის დაგროვება და გაზიდვა ხდება. ერთი ამ მამულთაგანის მეთაური პროტაპოპი სილვესტრი ხომ თავის თეორიით და თავის დარიგებით ნამდვილი ვაჭარია. მხოლოდ ეს მამულები პურით კი არ ვაჭრობენ, სხვა საქონლით, როგორც, მაგალითად ოთხფეხით, მატყლით, ტყავულით. რაც შეეხება პომეშიკებს, რაკი იმათ უფრო პატარა მამული ჰქონდათ, ვიდრე ვოტჩინის პატრონებს, მათ გაადიდეს თავის საკუთარი ნაბნავე ბეგარის საშუალებით და მეტი

პური შეიძინეს, ამიტომ ესენი, თუ ვაქრობდნენ, პურით ვაქრობდნენ. ბურჟუაზია, რომლის ვაქრობაც უმთავრესად დამყარებული იყო არა პურზე, არამედ სხვა ნედლეულზე და განსაკუთრებით კი ამ ბურჟუაზიის შექარბული ნაწილი, ეკონომიურ პოლიტიკაში ისევე ვოტჩინის პატრონებს ემხრობოდა, რომელიც აგრეთვე არ ვაქრობდა პურით. ამიტომ ესენი ორივე მოითხოვდა, რომ მთავრობას უცხოეთის ვაქრებისათვის მოესპოთ პრივილეგიები და თავის ვაქრებისათვის მიეცათ იგი. პომეშჩიკები დანტერესებული იყვნენ იმაში, რომ უცხოეთის ვაქრებს მეტი საქონელი მოეტანათ და მეტი პური გაეზიდნათ. აქედან წარმოსდგა ბურჟუაზიის მეტი რეაქციონერობა ეკონომიურ პოლიტიკაში პომეშჩიკებთან შედარებით. სამაგიეროდ პომეშჩიკების მეურნეობამ გამოიწვია ბატონ-ყმობის გამწვავება, ვინაიდან მათი პურის მოსაყლის გადიდება „ხოლოპების“ შრომაზე იყო დამყარებული, მაშინ როდესაც ვოტჩინის მფლობელი თავის ყმებს უმეტეს შემთხვევაში მიწაზე კი არ ამუშავებდნენ, ბაზარზე გზავნიდნენ სავაჭროდ და ატანდნენ იმ დოვლათს, რომელსაც ისინი ისევე იმ გლეხებისაგან აგროვებდნენ გამოსაღების სახით. მთელი მაშინდელი პუბლიცისტიკა, განსაკუთრებით პერსევეტოვის ნაწერები, იცავს ვაქრობის ხელის შეწყობის საჭიროებას და ამავე დროს ხელისუფლების ცენტრალიზაციას და აქედან ყველაზე უკეთესად ჩანს, თუ რამდენად შეთანხმებული იყო მაშინვე მმართველობის ცენტრალიზაციის საკითხი სავაჭრო კაპიტალის ინტერესებთან. რამდენადაც სლუბკოვი თავის პოლემიკაში მ. ნ. პოკროვსკის წინააღმდეგ, რომელსაც ის გაკვირვებას გამოსთქვამს, თუ როგორ შეიძლება მემამულის და ბურჟუაზიის ინტერესები გაერთიანებული იყოსო, ამ ხანას ეხება, იმდენად, შეიძლება იგი, სრულიად უსაფუძვლოდ ჩაითვალოს. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ განსაკუთრებული ალლო, ღრმა ანალიზის ნიჭი მ. ნ. პოკროვსკისა, რომელმაც ამისთანა რთული მოვლენა შენიშნა და ასე გადახლართული ინტერესები ერთმანეთს გააშორა და კვანძი გახსნა. ცხადია, რომ დიალექტიკურმა მეთოდმა აქაც არ უბტყუნა მეცნიერს და მხოლოდ მისი საშუალებით მოახერხა მან ცხოვრების ასეთი სიღრმის გამოქვება.

მაგრამ საკითხის ამგვარად დაყენებას და გაშუქებას ბევრად უფრო ფართო მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველი შეხედვითა ჩანს. ამის გამოსარკვევად მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი, სადაც მ. ნ. პოკროვსკი რუსეთში ვაქრობის მნიშვნელობას ეხება. აქ მხედველობაში გვაქვს ვაქრობის მნიშვნელობა რუსეთის ისტორიის უძველეს პერიოდში და მისი და გაღვნი რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობაზე.

შეიძლება ვთქვათ, რომ იშვიათად დაბნეულან მ გამოვიყვებულან მეცნიერები ისე, როგორც ამ საკითხის გარჩევაში. ვიდრე მეცნიერები წმინდა ემპირიულ ნიადაგზე იდგნენ და მხოლოდ ფაქტს ადისტურებდნენ, ხოლო მისი მნიშვნელობის გამორკვევას არ მისდევდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ როგორც კი დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფუარდდეს ერთმანეთს ვაქრობის განვითარება ერთი მხრით და საკმაოდ პრიმიტიული ფორმები მეურნეობის მეორე მხრივ, მეცნიერებმა ჩაჰქინდრეს თავები.

ყველაზედ უწინ საკითხი ვაქრობის არსებობისა უძველეს რუსეთში დასვა შტორხმა. მაგრამ მეორე ფაქტიც არა ნაკლებ ურყევი იყო, რომ რუსეთში პირველ ხანებში ნატურალური ფორმები მეურნეობისა და შებენი ფერდნალური ვოტჩინა კარჩაქეტილობას არ ასცილებია. ვაქრობის არსებობის დებულება შეითვისა და განავითარა აგრეთვე კლიუჩევსკიმ, პლატონოვმა და სხ. ამითი საუცხოვოდ იხსნებოდა კიევის რუსეთში სახელმწიფოს დაარსება. მაგრამ ამ ორი მოვლენის ერთმანეთში მორიგება ძლიერ ძნელი საქმე იყო. რუსეთის მთავრების უფლებების გამომრკვევი პრენსიაკოვი («Княжское право в древней Руси») იჭამდის სიძნელეს ზედავს ამ ორი მოწინააღმდეგე ფაქტის შეთანხმებაში, რომ ვაქრობის ისეთ დიდ გავლენას უარჰყოფს, წინააღმდეგ ისეთი ავტორიტეტების აზრისა, როგორც არიან კლიუჩევსკი და პლატონოვი. თვით როეკოვი, მიუხედავად მისი მარქსისტობისა, ვერ ერკვევა ამ საკითხში და იძულებულია მიეზნოს ამავე აზრს, რომ „ვაქრობა სუსტი იყო“. საგარეო ვაქრობა მხოლოდ რამდენადმე ახდენდა გავლენას მაღალ წრეებზეო.

როდესაც საკითხის გარჩევას მ. ნ. პოკროვსიმ მოჰკიდა ხელი, საკითხი უეცრად ნათელი გახდა, თითქოს კოლუმბის კვერცხის ამავე განმეორდაო. მხოლოდ დიდ მნიშვნელოვანი და ახალი პერსპექტივების ვადამშლელი. აი აქ აღმოჩნდა განსაკუთრებულის ძლიერებით და მკაფიოობით მთელი მნიშვნელობა საკითხისადმი დიალექტიური თვალსაზრისით მიდგომისა. მ. ნ. პოკროვსკიმ ახსნა, რომ ვაქრობა, მართალია, ვაქრობაა, მაგრამ სხვადასხვა დროს მას სხვადასხვა ხასიათი აქვს და ყოველ მომენტში იგი ისეთ ფორმას ღებულობს, რომელიც სრულიათ ეგუება იმ დროის წარმოების ფორმას და კულტურულ განვითარების დონეს, ასეთივეა სასოფლო მეურნეობაც. ამიტომ უნდა ერთხელ და სამუდამოდ გამოვიღოთ თავიდან სოციოლოგების და კულტურის ისტორიკოსების მიერ შეთხზული სქემა კაცობრიობის მეურნეობის განვითარებისა: ნადირობა—მესაქონლეობა—მიწათმოქმედება. არის ნადირობის ისეთი ფორმები, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყანასაც კი შეეფერება, არის ისეთი, რომელიც მხოლოდ პირველყოფილი ადამიანის შესაფერია. არის მიწის დამუშავება, რომელიც თავის ტექნიკური საშუალებებით და შედეგების, ნაყოფიერების წინშენელობით უახლოვდება პრიმიტიულ პირობებს ცხოვრებისას. ასევე ვაქრობა. კიევის ხანის რუსეთი არც ძალიან პირველყოფილ ადამიანის მდგომარეობაში იყო, ისე რომ მის ნადირობას არ ჰქონდა ისეთი ხასიათი, როგორც პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებაში ჰქონია. მას უფრო სისტემატიური და მოწყობილ-მოგვარებული, გეგმიანი ხასიათი ჰქონდა, სატყეო მეურნეობის, ტყის ექსპლოატაციის სახით. და ამ წამოწყების ნაშთად რორეულ ქვეყნებში იგზავნებოდა გასაყიდად (კიევის და სხვა ნადირობის ბეწვეული). ამის შესაფერივე იყო მიწის დამუშავება: ხის თოხი, ტყის გაკაფვა, აზოს აღება და უმთავრესად ფეტვის და არა პურის თესვა. ცხოვრების ფორმებიც ამისივე შესაფერი იყო. ხალხი ტყეში ცხოვრობდა, მაგრამ არა ხეებზე, როგორც პირველყოფილი ადამიანი, არამედ ხის სახლებში. აქედან წარმოსდგა ტიპი კიევის და მისი მიდამოების მთავრისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს დრუჟინის მეთაურიც იყო.

ხალხის პერიოდული მძარცველი—მეკობრეც და ვაჭარიც. ასე არკვევს მ. ნ. პოკროვსკი ვაჭრობის მნიშვნელობას რუსეთის ისტორიაში და მნიშვნელობას როლს. ამას თუ დავუმატებ მეცხრამეტე საუკუნეც, რომლის ტარგანულშიც მტკიცეა ბურჟუაზიის ინტერესების ძალა და გავლენა, ჩვენთვის გასაგები იქნება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა პროფ. პოკროვსკის შრომებს რუსეთის ისტორიისათვის.

მაგრამ ან შრომას მართო რუსეთის ისტორიისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, უდიდესი სოციალოგიური და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობაც ეძლევა, როცა იმ მიზნით, რომ რუსეთის ისტორიის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა გამოარკვიოს, მუდამ ექსკურსებს აწარმოებს მსოფლიო ისტორიაში. ამიტომ მისი მიმომხილველები მსოფლიო ისტორიისა გამოდის სქემატიკური და ზერედე. თვით ანალოგიის გატარებაც ამიტომ ზოგჯერ ნაძალადევაა. პროფ. პოკროვსკი სხვანაირად იქცევა. ის თვით საკითხს აღრმავებს, შეტად გაფაქიზებულ, სათუთ, მაგრამ არანეკლებრივად გააღმასებულ კლასობრივი ინტერესების ლანცეტით ახდენს ღრმა ანალიზს, დიალექტიკის შუქით აშუქებს მას და შემდეგ ფართო სინთეზი და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა თავის თავად გამოდის, ვინაიდან ღრმა ანალიზს, ფართო და სწორი, სინთეზი მოსდევს. აქაც ასე. ამიტომაც მოყვანილ მაგალითზე ბევრი ისეთი საკითხის გაშუქება შეიძლება, რომელიც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ რუს ისტორიკოსებსაც დიდ საგანებელში აგდებს.

ვენის მეცნიერს დოპშს, როდესაც მან ინამა შტერნეგის და მისი სკოლის დაგროვილი მასალები შეაესო და დაამტკიცა, რომ ფეოდალიზმის დროს ვაჭრობაც იყო ევროპაში განვითარებული და მსხვილი მექამულეობის განვითარებაში შეჩერება ხდებოდა ალოდების გავრცელებით, ეგონა, რომ მსოფლიო კატასტროფა თუ არა, ყოველ შემთხვევაში მტკიცედ აშენებული და დიდხანს არსებული მეცნიერული თეორია დაინგრაო, თეორია, რომელიც, პროფ. პეტრუშევსკის გამოტების თანახმად, ამტკიცებდა მატერიალისტურ შეხედულებას ისტორიაზე: ამავე დროის განმავლობაში იგივე, უფრო მეტის მკაფიოობით ირკვევა, მ. ნ. პოკროვსკის მეოხებით. რუსეთის ისტორიაში და არავითარი ვაი და ვუის ძაბილი არ ისმის. პირიქით, ყველა გრძნობს, რომ ამითი მარქსისტული შეხედულება უფრო მტკიცდება, ამითი მარქსიზმი იპყრობს ისეთ სფეროებს, რომელიც მას აქამდის არ ჰპორობდა, ამითი მარქსიზმი ისტორიაში გამოუყენებელი, ჰეარგავს თავის დოგმატიურობას და ფორმულების ხასიათს, რომელსაც ჰხედავდნენ ზოგნი იმის გამო, რომ ისტორია მარქსიზმის თვალსაზრისით მთლიან არ იყო დამუშავებული. აქ მარქსიზმი შლის ზოგად წარსულს და ირკვევა, რომ იგი აშენებულია სწორედ ისე, როგორც ამ მოძღვრებას ესმის საზოგადოების სტრუქტურა. აი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა მ. ნ. პოკროვსკის თეორიისა რუსეთის ვაჭრობის შესახებ. სულ მოკლე ხანში ევროპის მეცნიერნი მიხედებიან (და იქნება, მიხვდნენ კიდევ) რომ მათი ნამუშევარი კი არ არღვევს, უფრო ამაგრებს მატერიალისტურ შეხედულებას ისტორიაზე. მ. ნ. პოკროვსკის ეს დეაწლი სრულიად დაუეაწიარი დარჩება და აქ, ამ პუნქტში, ის ჩვენ თვალ-

წინ იზრდება როგორც დიდი, მსოფლიო მასშტაბით დიდი მეცნიერი-ისტორიკოსი.

მეცნიერი-ისტორიკოსი

მარტო

მარტო ეს საკითხი არ არის ამგვარი ხასიათისა. უკმაყოფილება სხვა საკითხებზე და დაეინაბავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში მ. ნ. პოკროვის გემოვნება რუსეთის ისტორიოგრაფიას მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას აძლევს. ავიღოთ ბატონყმობის წარმოშობის საკითხი და ამას დავეყავი შიროთ პუგაჩოვის აჯანყება. ჩიჩერინის შემდეგ რუსეთის ისტორიაში გამეფდა იურიდიული შეხედულება ბატონყმობის წარმოშობაზე რუსეთში. მის შემდეგ შესწორებები იქნა შეტანილი ამ თეორიაში, მაგრამ მეფეების განკარგულებებს (1592 წლიდან დაწყებული) და „წოდებათა მიმავლების“ თეორიას მაინც გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საკითხის განმარტებაში. მ. ნ. პოკროვსკიმ სრულიად გარკვევით დააყენა საკითხი იმ ფართო ეკონომიურ პროცესის შესახებ, რომელმაც შექმნა ბატონ-ყმობა რუსეთში. ეს საკითხი უკვე როგორც ჰქონდა დაყენებული, მაგრამ მ. ნ. პოკროვსკიმ განსაკუთრებულის სიახლით და ხაზგასმით გაატარა ასეთი ახსნა ბატონ-ყმობის წარმოშობისა დავალიანების ნიადაგზე, რისთვისაც გამოიყენა ასრეთწოდებული «Судные грамоты». Суды — სესხია, მხოლოდ ეს სესხი ყოველთვის ფულადი არ იყო, პირველ ხანებში იშვიათადაც იყო ფულადი. მის გადაუხდელობის ნიადაგზე გლეხი მაგრდებოდა მიწაზე და შემდეგ მთავრობის განკარგულებას უხდებოდა მხოლოდ ამ მოვლენის დაკანონება და ხელის შეწყობა გლეხობის მიმავლებისათვის. მწვავე ხასიათი და ფართო გავრცელება ბატონყმობას ეძლევა მხოლოდ ეკატერინე მეორის დროს, როდესაც იწყება ბეგარის ინტენსიფიკაცია სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესების ნიადაგზე. ეს იყო საფუძველი პუგაჩოვის აჯანყებისა, მაგრამ, როგორც მ. ნ. პოკროვისკის შრომებიდან ირკვევა, მის აჯანყებას ჰქვებავს მარტო ეს კი არა, მალარობაში მომუშავე ყმების უკმაყოფილებაც. ამას გარდა, მარტივად ვაჭრობის და თევზის პერის საკითხიც ზრდიდა უკმაყოფილებას, რადგანაც ამ ნიადაგზე ვაჭრები საშინელ სპეკულიაციას და მუშათა ექსპლოატაციას აწარმოებდნენ. ამას, მართალია, ადგილობრივი ვაჭრები აწარმოებდნენ, მაგრამ ნებართვის ასაღებად პეტერბურგის მმართველ წრეების დასტური იყო საჭირო, რისთვისაც ესენი დიდძალ ფულს ხარჯავდნენ, რაც მერე უნდა ექსპლოატაციის საშუალებით აენახლათ რეზინით. ყველა ეს ჰბადებდა უკმაყოფილებას მთავრობის მიმართ და ამიტომაც პუგაჩოვის აჯანყებას ყველა ელემენტმა დაუჭირა მხარი.

თავის სპეციალურ მონოგრაფიაში პუგაჩოვის აჯანყების შესახებ პროფ. პოკროვისკი უფრო ფართოდ წლის ამ სურათს სხვა და სხვა წრეების უკმაყოფილებისას, და მიუხედავად იმისა, რომ მის შრომამდის უკვე იყო გამორკვეული მთავარი სოციალური ბაზა აჯანყებისა, მისი შრომა მაინც მრავალ ახალს სძენს მეცნიერებას.

მარქსისტებს, რომელნიც იმდენად გაწაფულნი არ არიან ისტორიულ კვლევაში, რამდენადაც გაწაფულია პროფ. პოკროვისკი, უცნაურად და მარქსიზმის დებულების საწინააღმდეგოდაც კი მიიჩნდებოდათ ის გარემოება, რომ ისეთ მარტივ და სტიქიურ გლეხთა აჯანყებაში, როგორიც იყო პუგაჩოვის აჯანყება,

ეპრობის და წარმოების საკითხი, შემდეგ მუშათა საკითხი რაიმე რეალურ, თანამშობდა, მაგრამ მ. ნ. პოკროვსკის, როგორც ისტორიკოს მარტივად ეხმოს, თუ რა არის ისტორიაში დიალექტიკა, ესმის, რომ არსებობს მარტივი ფორმები მუშათა ექსპლოატაციისა და მრეწველობისა, რომელიც უდგება რუსეთის მდგომარეობას შეთვრამეტე საუკუნეში. მხოლოდ ამის გამოჩნტეკას არაჩვეულებრივად ფაქიზი და გაალმასებული ლანცეტი ესაჭიროება. ამის მეოხებით აქ ირკვევა იგრიეთე ერთი დიდი მსოფლიო ისტორიული საკითხი, ის რომ ბატონყმობის გამწვაეების ხანა ეკუთვნის არა ნატურალურ მეურნეობის დროს, არამედ ფულად მეურნეობის შემოსვლის და სავაჭრო კაპიტალიზმის დროს. ამგვარი მეურნეობა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მაშინ, როდესაც მ. ნ. პოკროვსკი იკვლევს ეკატერინე მეორის დროის სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის მდგომარეობას რუსეთში. ირკვევა მეტად ირიგინალური და საინტერესო სურათი, თურმე სასოფლო-მეურნეობა კაპიტალისტურ ნიადაგზე დგება, იხსნება სასოფლო-სამამულო მანუფაქტურები, რომელნიც მსოფლიო ბაზარს აწყდებიან თავის ნაწარმოებებს, და ყველა ეს ხდება ყმა გლეხის საშინელ ექსპლოატაციის ნიადაგზე. ამას გარდა, მამულეებში იხსნება ლეინის გამოსახდელი ქარხნები, ისე რომ მემამულე მრეწველის ადგილზეა და, რასაკვირველია, რამდე-ნადმე მის ფსიხოლოგიასაც ითვისებს.

ამის შემდეგ ვასაგები ხდება ის გარემოება, რომ კონტინენტალური ბლოკადის დროს, როდესაც რუსეთი მოსწყდა ინგლისს და ვეღარ აწყდოდა მას თავის პურს, ნამდვილი ბურჟუაზია ბლოკადის გაგრძელების მომზრედ გამოდის და მსხვილი მემამულეები კი მის მოსაზბას უჭერენ მზარს. რადგანაც ინგლისიდან რუსეთში ფაბრიკატების შემოტანა რუსეთის ადგილობრივ ნაწარმოების გაყიდვას ხელს უშლიდა ან მის ფასებს ძლიერ დაბლა სცემდა, ამიტომ ბურჟუაზია, რომელსაც უკვე ჰქონდა აქა იქა გამართული ფაბრიკები, სადაც ყმებს ამუშაეებდნენ, წინააღმდეგი იყო ინგლისიდან ფაბრიკატების შემოტანისა. რუსეთის შინაურ ბაზარს რომ მოხზარების უნარი ჰქონოდა, კიდევ შეურიგდებოდა ბურჟუაზია ამ გარემოებას, მაგრამ, რადგანაც, ეს ასე არ იყო, ამიტომ იგი სარგებლობს კონტინენტალურ ბლოკადით. ის გარემოება, რომ სამავიეროდ პურიც ვეღარ გადიოდა რუსეთიდან ინგლისში, მას არ ანაღვლებდა. ეს მხოლოდ დიდი მემამულეების ინტერესებს იცავდა და მიტომაე ესენი წინააღმდეგნი ვახდნენ კონტინენტალური ბლოკადისა. სწორედ ეს კლასი წარმოადგენდა იმ წრეს, რომელიც ევროპაში ნამყოფი იყო, იქაურ კულტურას, გარეგნობით მაინც, ითვისებდა და ფულადი მეურნეობის რკალში ჩაბმული, აუფჯობესებდა სოფლის მეურნეობას, რომ მეტი პური ჰქონოდა მის ფულად გადასაქცევად. ამისათვის ზოგი მათგანი, იმ დროის მიხედვით, მეტად ინტენსიური გაუმჯობესებულ მეურნეობას აწყობს და ერთგვარად ისეთ ფსიქოლოგიას ითვისებს, რომელიც ჩვეულებრივ ბურჟუაზიის წრეებში მოინახება ხოლმე. მართალია, ტილზიტის ზავის შემდეგ ნაპოლეონი ჰპირდებოდა რუსეთს, რომ საურანგეთი გახდებოდა ამიერიდან მისი საქონლის შეიდველად და თითქოს შეტყუეთა კიდევ სხვა დასხვა საქონელი (ხეტყე, ტალა, რკინა) 20 მილიონისა, მაგრამ ჯერ ერთი ეს

ვერ შეასრულა და მეორე—რომ შეესრულებინა კიდევ, პურის გამყოფედელ მიწით მფლობელებს ის არაფერს მისცენდა, ვინაიდან საფრანგეთს შერბილად უფროებით არ ესაქიროებოდა. ამას გარდა, თვით საფრანგეთშიც არ იყო მსხვილი მრეწველობა, რომ თვითონაც სამაგიეროდ ფაბრიკატები გაეგზავნა. ამან მოუბრუნა გული პირველად საფრანგეთის სასარგებლოდ განწყობილ ახალგაზრდობას, რომელიც ალექსანდრე I-ს გარს ეხვია. ბოლოს და ბოლოს ეს იყო მიზეზი სპერანსკის დაცემისა და ამ სპერანსკის საკითხში შეაქვს მ. ნ. პოკროვსკის ახალი თვალსაზრისი. როგორც სპერანსკის საკითხში, ისე დეკაბრისტებისა რუსეთის ისტორიოგრაფია მეტად ნაკლებ სიღრმეს და შორს მჭერეტელობას იჩენს. აუარებელი მასალები დაგროვდა, აუარებელი ფაქტები დადასტურდა, მაგრამ არავის არ მოჰქიპრებია, თუ რანაირად უნდა აიხსნას ეს ერთი შეხედვით უცნაური მოულოდნელი გარემოება—სპერანსკის დაცემა და დეკაბრისტების გამოსვლა. ყველაფერი პიროვნებების გავლენით იხსნებოდა. ისეთი მეცნიერი, როგორც იყო სემევესკი, ახლოც კი არ იკარებდა აზრს სოციალური სარჩულისას დეკაბრისტების მოძრაობაში. ახლა კი, როდესაც ჩვენ გვაქვს მ. ნ. პოკროვსკის მიერ გაწეული შრომა და მისი ანალიზი, ყოველმა სტუდენტმა, რომელიც სწავლობს რუსეთის ისტორიას, ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ და ხშირად ცხრაწლედის მოსწავლემაც კი იცის თუ როგორ აიხსნება ეს ერთი შეხედვით უცნაური *qui pro quo*: მსხვილ მემამულეთა წრე, გვარდიაში წარმოდგენილი, ითვისებს ბურჟუაზიის ფსიქოლოგიას და ახდენს „აჯანყებას“, ბურჟუაზია კი, როგორც კლასი, შორსა დგას მისგან, ამით აიხსნება ისიც, რომ ამისთანა ბრწყინვალე წოდებას ამ მოძრაობაში მხარს უჭერენ მუშებარს ზოგიერთი ჯგუფები, ამით აიხსნება აგრეთვე ამ მოძრაობის უძღურება და დამარცხება. ამის შემდეგ ყველასათვის გასაგებია ის აზროვნების უმწიბრობა, რომელიც გამოიხატება ერთი მეცნიერის ფრაზაში: რილევევი რომ თავის დროზე დაეტუსალებინათ, არავითარი მოძრაობა არ მოხდებოდაო. ცხადია, რომ ეს მოძრაობა არ იყო პიროვნებებზე დამოკიდებული.

ამ ხაზით განაგრძობს მ. ნ. პოკროვსკი თავის გამოკვლევებს მე-19-ე საუკუნის ისტორიისასაც და შეაქვს მრავალი ახალი თვალსაზრისი და ნათელს ჰყენს ისეთ მოვლენებს, როგორც ნიკოლოზ I-ის სოციალური პოლიტიკა და მისი იმპერიალიზმი, გლეხთა განთავისუფლების ეკონომიური მიზეზები, რეფორმის შემდეგი დროის ეკონომიკისა და მრავალი სხვა. მართალია, ტერმინი „იმპერიალიზმი“ რადგანაც და იგი იხმარება ნიკოლოზ I-ის პოლიტიკის მიმართ, იწვევს დავას, მაგრამ ამ შემთხვევაში ტერმინს ისეთი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც თვით პოლიტიკის ანალიზს და მისი ეკონომიური საფუძვლის გამორკვევას. ხოლო რაც შეეხება ბატონყმობის მოსპობას, მისი ბურჟუაზიული ხასიათი ახლა სრულიად ცხადია. მემამულე-მანჩესტერელი და მრეწველი ბურჟუაზია თავისუფალ მუშახელის საჭიროებას გრძნობდა, მემამულე პლანტატორიც გრძნობდა ამას, მხოლოდ ამით შორის მათი მეურნეობის ხასიათის მიხედვით, ზოგისთვის ხელსაყრელი არ იყო გლეხის განთავისუფლება მიწით, ზოგისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომაც გლეხები უმიწოდ განთავისუფლეს.

ამ მთავარ შრომებთან დაკავშირებით და მის პარალელურად მ. ნ. პოკროვსკი აწუქებდა აგრეთვე რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ნაწილებს მე 19 და 20 საუკუნის დასაწყისში. განსაკუთრებული ღრრებულემა ამ შრომებისა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ საკითხს საგარეო პოლიტიკისას, რაც უნდა სადღეისო საკითხების ფოიოლში ან ბამბაში არ უნდა იყო იგი ჩაფუთული, შლის და გვაძლევს მის ნამდვილ თესლს და ეს ხდება განსაკუთრებული მახვილგონიერებით და ერუდიციით. ამ საკითხებს შორის მრავალი ცნობილია, მაგრამ მ. ნ. პოკროვსკის კალმით აწერილი იგი გამოდის მკითხველის თვალწინ ახალი გაშქებით, ახალ არეზე ვაშლით, ამასთანავე მარტივი და გასაგები.

ერთი შუქი მ. ნიკოლოზისძის პოკროვსკის მარქსისკული თვალსაზრისისა ოდნავ ჩვენცა გვხვდება, საქართველოშიც იჭრება. ის ებება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკის რუსეთისას საქართველოში და სპარსეთში, იძლევა ერთ-ორ შტრიხს რუსეთის მმართველობის პოლიტიკისას აქ და სრულიად ადვილად ახასიათებს და ამჟღავნებს ძალმომრეობის პოლიტიკას, „ჩამორჩენილ“ ხალხთა მიმართ.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მთიელთა წესწყობილების აღწერა. რომელიც საუცხოოდ არკვევს მიზეზებს მათი თავგანწირული და გამირული ბრძოლისას. მათი მიუროიდიზმის ბუნება, ზოგიერთი ტომების ფეოდალური წესწყობილება და ბატონყმობის თავისებური ხასიათი, ზოგი ერთი ტომის ჯამბათის მნიშვნელობა, დემოკრატიზმი, ამ მოვლენის შედარება კეისარის და ტატიტის დროის გერმანელების წესწყობილებასთან—არის შედეგი დიდი სოციოლოგის და არა მხოლოდ ისტორიკოსის ნაფიქრებისა. რა თქმა უნდა, მ. ნ. პოკროვსკის რომ დრო და მასალეში ჰქონოდა ამისთვის, ამ შრომას გააფართოვებდა და მოგვემტა იშვიათ სოციოლოგიურ ნაწარმოებს.

მეოცე საუკუნის ისტორიაში მ. ნ. პოკროვსკი სხვებთან ერთად ახლად ჰქმნის და რასაკვირველია, ეს თითქმის სადღეისო საკითხები ხშირად სადავოა. მაინც მთავარი დებულებები მეოცე საუკუნისა მისი მოცემულია, თუმცა ზოგჯერ ის ასწორებს თავის აზრებს, სცნობს თავის შეცდომებს, როგორც დიდ ბუნებოვანი მეცნიერი, რომლისათვისაც უცხოა ცრუ თავმოყვარეობა და მედიდურობა.

ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, აქ დიდი მეცნიერის მოღვაწეობა და აღსანიშნავია, რომ ამ ფართო და ღრმა სინთეტიურ მუშაობას ის აწარმოებს ღრმა ანალიზის საშუალებით. მასში ერთდება მეცნიერის ორი ტიპი, დოკუმენტალურ მასალაზე მომუშავე ემპირისტისა და ფართო სინთეტიური მუშაობის გამწვევისა. ამიტომ აღწევს იგი ასეთ დიდ შედეგებს. ამიტომ არის ის დასაფასებელი არა მარტო როგორც რუსეთის ისტორიკოსი, არამედ როგორც მსოფლიო.

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ იმა წლის აგვისტოში, ოსლოში, სადაც ამ დროს იყო მოწყობილი ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესი, მ. ნ. პოკროვსკი განსაკუთრებულის პატივისცემით მიიღეს. აქ ბურჟუაზიულმა მეც-

ნიერებამ თავი დახარა პროლეტარული მეცნიერების წინაშე, ხეცოვანი, თუ უპირატესობა არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი ღირებულებით.

გასაგებიც არის ეს მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა წრეებში გაისმის ხმა ისტორიული მეცნიერების კრიზისის შესახებ, საბჭოთა კავშირში მეცნიერება დიდის ნაბიჯით მიდის წინ. ისტორიულ მეცნიერების კრიზისზე იყო საუბარი, საფრანგეთის ისტორიკოსთა ყრილობაზე, იყო დაბეჭდილი წერილი „ინალეზში“, იგი არის აღნიშნული პროფ. პეტროუშევსკის უკანასკნელ წიგნში. რა ნიადაგზეა წარმოშობილი ეს კრიზისი? ერთი მხრივ მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა „კატასტროფებმა“ სრულიად არიეს ის ხაზი ისტორიული განვითარების თანდათანობისა, რომელიც მტკიცედ და ურყევად მიანდათ ბურჟუაზიულ კლასებს; მოხდა სოციალისტური „კატასტროფები“, რომელიც „ნორმალური“ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, მათთვის გაუგებარია, მოხდა ნაციონალური და კოლონიალური საკითხების სრულიად ახალ ფართობზე დაყენება. ყველა ეს ბურჟუაზიული მეცნიერების აზროვნებით „სასწაულია“. აქედან საკიროება ისტორიის მეთოდოლოგიის გადასინჯვისა. მეორე მხრივ მას შემდეგ, რაც ვენის მეცნიერმა დოპშმა შეაწვორა და შეავსო ის თვალსაზრისი და მასალა, რომელიც ინამა შტერნევის და მისი სკოლის შრომებში მოიპოვება ფეოდალური წესწყობილების ეკონომიური საფუძვლის შესახებ, გადასწყვიტეს რომ დაინგრა არსებული სქემა კაცობრიობის განვითარებისა.

ამან კიდევ ახალი საბუთი მისცა მსოფლიო ისტორიის ბურჟუაზიულ მეცნიერებას, რომ კრიზისი ფაქტად გამოეცხადებინათ, როგორც იქცევა პროფ. პეტროუშევსკი.

მაგრამ, როგორც მ. ნ. პოკროვსკის გამოკვლევებმა დაგვანახვეს, რუსეთის ისტორიამ უკვე იცის ფეოდალიზმის დროს ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება, მაგრამ ამით არა თუ არ დარღვეულა, უფრო განმტკიცებულა მარქსისტული შეხედულება, ვინიდგან დიალექტიური ახსნა ამ მოვლენებისა, სრულიად ბუნებრივად სახავს მას. ამიტომაც რაც უფრო მეტი ბუნდოვანობაა ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებაში, იმდენად მეტი გარკვეულობაა და სიმტკიცე მარქსისტულში. მას კრიზისი არ შეჰხებია. პირიქით პირველთ ბანაკში წარმოშობილი კრიზისი მეორის გამარჯვებაა. რაც შეეხება პოლიტიკურ და სოციალურ „კატასტროფებს“, მარქსიზმის გაგებით ეს კატასტროფაჟი არა, სრულიად ბუნებრივი შედეგია წარსულის ეკონომიური და სოციალური განვითარების პროცესისა. ასე იპყრობს მარქსიზმი ახალ ახალ სფეროს მეცნიერებისას. მაგრამ საქართველოს ისტორიის გაშუქება მარქსისტული თვალსაზრისით მ. ნ. პოკროვსკის არ ძალუძს. ეს პართველი მეცნიერების საქმეა. ამიტომ დასასრულ მივიართავთ საქართველოს ისტორიკოსებს პოეტის, შეიძლება, უხეიროდ, არა ლექს თწყობით, გადაკეთებული მოწოდებით:

„საქართველოს ისტორიკოსებო! ეს ხმატკბილი (მარქსისტული მეცნიერებისა) გამავანეთ საქართველოს ისტორიაშიც“!

სოლსოონის დღეები

II *

სექტემბრის 12. ოთხშაბათი. საღამო.

როგორც იქნა, ვძლიეთ „იასნაია პოლიანას“ ტაბახი. საღამოს 10 საათზე უკვე შევიკრიბეთ „იასნაიას“ სადგურთან. ვიწყეთ წმენდა ღეხსაკმეღეღის. ზოგმა ამისათვის წყალსაც მიმართა.

დავღაღდით რონოდებში. გავეშზადეთ საძინებლად. სტეფან ცვაიგმა, მისდო ბალიშს თავი თუ არა, წამსვე დაიძინა. „შე ნომაღი ვარ,— მითხრა შემდღე: სადაც გინდა, იქ დავიძინებ“.

დაიძრა მატარებელი. მივეღით ტულაში. აქ განთიადამღე მოგვიხდა ცღა: ჩვენი რონოდები მაგისტრალის მატარებლისათვის უნდა მიღებათ. არ მიზინავს: გაჩირებულ მატარებელში ძიღი მეძნეღება. როცა კი ამღვრის, ძიღი წამსვე მოღდის.

სექტემბრის 13. ხუთშაბათი.

მიეღღივართ მოსკოვისაკენ.

დაღღიღი ვარ უღიღობით. ცვაიგმა მაგრად გამოიძინა და ეხღა დამცონის კეთიღი ღიმიღით:

„ასე უნდა დიღლაღოთ?! და მერე: ჭართვეღი?..“

აბა რა ვუბასუხო:

ცვაიგმა იწყო ჭირვეუღობა ეგროპიეღის:

„გუშინ თურმე ნაზუადღეღვის ხუთ საათზე შეგვეძღო გამოსვღა „იასნაია“ დან“: მატარებელი ყოფიღა. რომ გვეცოღნოდა! ეხღა მთელი დღე დავკარგეთ. რა დრო დავკარგეთ!“

წამდაუწუმ ამას იმეორებ: „რა დრო დავკარგეთ!“

ამერიკელი პროფ. დენა იღიმეღა. იგი დროს არსად ჭკარგავს: საცა უნდა იყოს, დროს მიინც იყენებს. ეხღაც: გაწღიღი აქვს რვეული და რღღაც ნიშნებს სახავს. სპარსი თვეღმა: იგი ნირენანშია ვადასული და დროდაკარგულს რათ უნდა დრო.

ცვაიგ კუბეღან კუბეში ვადადის. აქ მრავალი მანდიღოსანია დიბღობატიური წრიღან. ბაასობს. მასღათობს, არათობს: ამ მზრით იგი შეუღღარებელია. ხანდახან ჩვენ კუბეშიაც შემოიხეღავს. იღებს სათუთუნეს და ეგვიპტის პაპიროსებს გვაწოღებს.

შიგადაშიგ ლიტერატურული საუბარი. ცვაიგს იგრე რიგად არ უყვარს ლიტერატურაზე ბაასი. ეგებ იმის ვამო, რომ ახალ ქვეყანაში მოსული ვართუღია

*) იხ. „მნათობი“ № 8-9.

სხვა შთაბეჭდილებით—მრავალნაირით. მაგრამ მაინც: ხანდახან ლიტერატურა-საც უბრაუნდება.

გამოსთქვამს თავის აზრს მწერლებზე:

რომენ როლლან. აფასებს ყველაზე უფრო. მოწიწებით ენება მის სახელს. ატყვევებს მისი მორალური გენია. „საკვირველია,—უმატებს: ვინც მებრძოლია და იწვის, სწორედ მას არ ამღევეს ზუნება ფიზიურ ძალას. როლლან ავადმყოფია. ბარბიუსიც ასეთია: იბრძვის და იწვის, იფერყლება“.

მარსელ პრუსტ. შესანიშნავი მწერალია. მისი პსიხოლოგიური ანალიზი შეუდარებელია. შლის და ჰუნს ზემეცნების ფარდებს. „მაგრამ ხანდახან მოსაწყენია“,—ვემატებ. „ხოო, ესეც მართალია: ხშირად მისი ანალიზი მკვლევარის დეტალიზმია“. ცვაივ იღიმება.

„როგორ მოგწონთ მიგუელ დე უნამუნო, ესპანელი მწერალი, ტომით ბასკი?“—ვეკითხები. ცვაივ წარბს იკრავს: „საინტერესოა, ძალიან საინტერესოა,—თუ გნებავთ. მაგრამ—მეტი არაფერი“.

ჩამოვარდა ბასი თაბადროულ ფრანგულ ლიტერატურაზე.

„ვინ არის ყველაზე უფრო გამოჩენილი?“

„საფრანგეთში ეხლა ბევრი კარგი მწერალია,—ამბობს ცვაივ დაფიქრებით, მაგრამ მთელი არც ერთი არ არის. (რასაკვირველია, როლლანის გამოკლებით: ეს ცვაივისათვის იმთავითვეა ნაგულისხვევი). ყოველი მათგანი რაღაც ერთი მხრით არის ძლიერი“.

ვლაპარაკობთ სტილზე.

მე წამოვაცენე ანდრე სიუარეს, როგორც უკანასკნელი დაბეჭდილ-ტინთა გენიის სტილის. (სიუარეს როლლანის ამბანაგია სკოლით). ცვაივ მეთანხმება, ხოლო თანვე უმატებს: „ამ მხრით უფრო ძლიერია დიულტე“ გვარი კარგად ვერ გაივგოხე: ამ მწერალს არ ვიცნობ“.

შემოიტკრა „რომანი-ბიოგრაფია“ და თანვე ანდრე მორუას სახელი. „არ მომწონს,—ძიხის ცვაივ: დიხრაელს ვერ მისცა მან დრამატიული სიდიადე“. თანვე ადამიანური მხარეც იღნიშნა ავტორის—(ეტყობა, არ მოსწონს).

უეცრად თავის მეგობარი გაიხსენა—ჯონ ჯოის.

„ულისის ავტორი?“—ვეკითხები.

„დიხ: გენიალურია“.

„მე წაეკითხე „ულისის“ რამოდენიმე ნაწყვეტი, ნათარგმნი გერმანულად. გენიალური ვერა-რა ვნახე შივ“.

„არა, ინგლისურად უნდა წაეკითხოთ. ჯონ ჯოისის გენიალურია ენის მხრით. ისე კი, „ულისი“ ქაოტურია მეტად.

(ანდრე ბელი რომ იცოდეს ცვაივმა ამ მხრით,—გავიფიქრე: ჯონ ჯოის როგორ შეედრება მას).

მაგრამ ანდრე ბელიზე ისე ჩამოვარდა ბასი. ცვაივმა რუსეთის ახალი ლიტერატურიდან პირველად ანდრე ბელის „ვეცხლეული მტრები“ გაიხსენა. „მშენიერი, მშენიერი“,—გაიძახოდა ხშირად. ავტორებში პირველად ფადე-ევზე დაქპილნიაკზე შემეკითხა.

იგივე 13 სექტემბერის. ნაშუადღევს პირველი საათია.

უკვე მოსკოვში ამოკუყავით თავი. ვისადრღეთ.

ცვაივ წავიდა მუზეუმების სათვალღერებლად.

(ცნობა შეზღვევ: ტრეტიაკოვსკის გალერეიაში მას ენახა ფიროსმანიშვილიც: ერთი სურათი. ძალიან მოსწონებოდა. ტულისში რო ჩამოველ, ჩვენ სახელგამს



ესთხოვე ცვაიგისათვის გავეზაენა ცნობილი მონოგრაფია ფიროსმანზე, სახელ-
გამმა გადმოძეა უკანასკნელი. გავეზაენე, ცნობა უკანასკნელიმამდმამა წე-
რილი მივიღე ცვაიგისაგან. იწერება დიდ მადლობას. ფიროსმანსსწერაღებს:
„დიდი ფიროსი“. მისგან გამოწვეულ შთაბეჭდილებას—„გასაოცარს“. „მე მგო-
ნია, ევროპისათვის ის აღმოჩენა იქნებაო“, —უმატებს თანვე).

იგივე 13 სექტემბრის. ნაშეიღვეის 5 საათი.

„გრანდ-ოტელში“ „ეოკმა“ „ჩაი“ გამართა უცხოელ სტუმართათვის.
აქ თავი მოიყარა სტუმრების გარშემო მოსკოვის რჩელმა ჯგუფებმა: ლი-
ტერატორიდან, თუ საერთოდ ხელოვნებიდან. იყვენ: პილნიაკი, ვსევოლოდ ივა-
ნოვი, ნიკულინი, აიზენშტეინი, აბრამ ეფროსი, ლიდიხი, ბუდანცევი. მრავა-
ლი სხვა.

„ჩაის“ ხელმძღვანელობდა ოლგა დავიდოვნა კამენევა.

შექცევა. გაცნობა. ვართობა.

შეიღის ნახევარზე დავიშაღეთ.

ბორის პილნიაკ მოღის ჩემთან და მეკითხება:

„ასე როგორ დავიშაღეთ, რომ ერთი არ გადაეკრათ?“

„სიამოვნებით“.

„ცვაიგიც თან წავეყვანოთ“.

„მაგას რა აჯობებს“.

ცვაიგ თანახმაა.

გავემართეთ ტყერსკიაზე. მოყნაბეთ „სამწვადე“ ერთი ქართველის მიერ
გამართული. „სამწვადე“ პაწია, დუქანია, პატრონი—სწორუპოვარი რომაული
პროფილით. ვიღაც მეწურზღლება: ყოფილი თავადია.

დავსხედით. მიემართე „მემწვადეს“ ქართულად:

„აქ „ძალადი სტუმრებია“ და აბა თქვენ იცით“.

„ვეცდებით“, —იყო პასუხი.

„ღვინო“ —იძახის პილნიაკი.

„ღვინო, პატრონო, აკრძალული მაქვს“, —მეუბნება მემწვადე ქართულად.

„ჭაი, ვგენი არ იყო“, —მეც ჩავურთე ქართული კარგონი.

მემწვადე იღიმება: მაშ საქმე კარგადაა.

მაგიდას უსხედან: სტეფან ცვაიგ, პილნიაკი, ვს. ივანოვი, ლიდიხი, ნი-
კულინი, ბუდანცევი, ეფროსი, ამერიკელი პროფ. დენა, ავსტრიელი ტოკერ
და მე.

მოგვიტანეს მწვადები წამფურებზე ამართული.

ასეთი მწვადები ტუილისშიაც არ მინახავს.

ცვაიგს მადა გაუხელდა. მწვადი თითქმის გადაყლაპა: მთლად.

შემდეგ ქართულ ლაგაშს მიიქცია ყურადღება.

„დახედეთ ამ პურის მოყვანილობას: ხომ სხეანაირია. საკვირველია: ყო-
ველი ხალხი თავის ფორმის აძლევს პურს“.

დავიწყეთ სმა. მაგრამ ცვაიგ გორკისთან უნდა წასულიყო ერთი საათით.
გაზეთებში იყო გამოცხადებული, რომ გორკი ავადობის გამო მოსკოვიდან გა-
ვიდა—(ეს აღბად მისთვის, რომ მნახველებს არ შეეწუხებიათ). შინაურებ-
მა იკოდენ, რომ გორკი მოსკოვშია. ცვაიგს მოუბერბეს გორკის ნახვა. რვა
საათზე უკვე გაემართა.

ჩვენც მალე დავიშაღეთ.

მე „კამერულ თეატრში“ წაველ: გორკის ნახვის შემდგომ, იქვე უნდა მოსულიყო ცვაიგ. მიდიოდა „Линия под врагами“.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა ცვაიგ. თამაშობდა „Знамя коммунизма“ მან იცოდა, რომ მას იხილავდა სახელგანთქმული ავსტრიელი მწერალი: თავი არ დაუზოგავს—ისე თამაშობდა. ცვაიგ აფრთოვანებული ჩურჩულობდა: „შესანიშნავია, გასაოცარია“.

სპექტაკლის შემდეგ რეჟისორმა ილ. ტაიროვმა პატარა ვახშამი გაგვიმართა. მისი ბინა იქვეა, თეატრის შენობაში. ალიას კოონენ და სტეფან ცვაიგ ევროპის თეატრებზე და არტისტებზე ბაასობდნენ.

აქვე იყო ერთი ფრანგი, საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომი. რომელიც სადღაც ფრანგული ლიტერატურის თუ ენის კურსს კითხულობს. მან განაცხადა: „ამას წინაღობა ერთ უმაღლეს სასწავლებელში ანკეტა გამართეს: რომელ უცხოელ მწერალს უფრო ეტანებიან. ყველაზე მეტი ხმა მიიღო სტეფან ცვაიგმა“.

ცვაიგ წითლდება. დარცხენილი ამბობს:

„იმედია, ეს ტალღა მალე გაივლის“.

ცვაიგ მორიდებულია: გადამეტებით.

სექტემბრის 14. პარასკევი.

გძელდება ტოლსტოის დღესასწაული.

„ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია“. საღამო.

სანამ „საღამო“ გაიხსნებოდა გეახებოდა ფოტოები. აკადემიისთან მონუსხვენი გრინბერგი და ეივაგო გაუგზავნიათ „იასნაია პოლიანაში“. ვადაფლიათ: თვითონ „იასნაია“ და მისი მიდამო (ყოველი კუთხე), ტოლსტოის სახლი, უკანასკნელი მისი გზა (რომლითაც იგი ვაემართა, როცა „იასნაია“ მიატოვა სამუდამოთ), ისტორიული ალაგები, რომლებიც იხსენებებიან ტოლსტოის ნაწერებში, მდებარეობს, საცა თიბავდა ტოლსტოი. მრავალი სხვა. ფოტოები ნამდვილი შედეგებია.

სტეფან ცვაიგს ეხასხებიან პეტრ კოვანი, რექტორი აკადემიის, პროფ. საკულინი.

გაიხსნა საღამო.

ცვაიგ მეუბნება:

„ჩვენ კუთხეში მივიმალეთ, უფრო ადვილად მივატოვეთ „საღამოს“: სამ, ხატერო თეატრში უნდა წავიდეთ ხომ!“

„როგორც გნებავთ“.

მივიმალეთ კუთხეში.

საღამო გახსნა კოვანმა, განაცხადა: აქ არიან უცხო სტუმრები. ჩვენ მათ განურჩევლად ვცემთ პატივს. მაგრამ ორი უნდა დავასახელო მიინც: პირველია—მწერალი სტეფან ცვაიგ (იგორია მთელი დარბაზის ტაშმა, საზოგადოება ეძებს ცვაიგს. უკანასკნელი წითლდება და იკრუნჩხება. მიავნეს, ტაში ძლიერდება. მიიწვივს ესტრადაზე, ტაში ოვაციაში ვადაღის). მეორე სტუმარი—იაპონელი მეცნიერი ნაბორი, რომელიც ცხლახან ჩამოვიდა. საზოგადოება მასაც დიდი ტაშის-კუმით ვეგებება: მაგრამ საზოგადოება მთლად ვადაირია, რაც კოვანმა განაცხადა, რომ დამსწრეთა შორის არის ტოლსტოის ძე, სერგეი ლევიჩიო. ტაშის გრიალი ფეხზე ადგომით.

ილაპარაკა ნაბორიმ. მან ვადაშალა უშველებელი ფოლიანტები პერგამენტის, საცა იაპონურად ადრესი იყო დაწერილი. იაპონური ენა ფრინველის ენას უფრო ჰგავს. ადრესი იყო გამოგზავნილი იაპონიის დრამატურებისა და



მწერლებსაგან. ნაბორო ტიკიოს უნივერსიტეტის პროფესორია. რუსულ ენა უსწავლია საქმაოდ და სიტყვა რუსულად წარმოსთქვა.

შემდეგ ილაპარაკა თვითონ კოვანმა, თუმა იყო „ტოლსტოისა და მარქსის-ტული კრიტიკა“. მის სიტყვაში იყო ორი რამ ასახიშნაფი. პირველი: მარქსის-ტული კრიტიკა დიდ ხანს ტოლსტოის უკუბრუნდა როგორც თავად აზნაურულ ფენების მეტყველს. ლენინმა—(როგორც ყველგან)—ეს აზრიც შეაყენა და სხვა-ნაირად გადახარა: მან ტოლსტოის ფენომენში გლეხური სტიქიონი დაინახა. მეორე: ტოლსტოი და ჩვენ მტრები ვართ,—ჯანაგოდო მომხსენებელმა: ტოლსტოის უნდა გულზე ხელ დაკრეფით დაამყაროს კაცთა შორის მშვიდობა,—ჩვენ კი ვაშმაგებულნი ბრძოლით ვაწარმოებთ სამართლიანობის დამყარებას. მაგრამ, როცა ეს პროცესი დამთავრდება, ჩვენც შევხვდებით სადღაც ტოლსტოის, რომელიც ბოლოს და ბოლოს იმავ სამართლიანობისათვის იბრძოდა, თუმცა სხვა გზებით.

კოვანის სიტყვა იყო მეტად შორიდებული ტოლსტოის მიმართ.

დანარჩენებისათვის არ დაგვიცდია.

გავეშურეთ „სამხატვრო თეატრში“.

ჩვენთან იყო აგრეთვე რომი გრეფენბერგ, „ფოსსიშე ცაიტუნგის“ კორესპონდენტი.

მიდიოდა „ჯაგშნიანი“ ეს. ივანოვის.

ენახეთ ერთი სურათი და ერთი ნოქმედება.

ცვაიგს მოეწონა. განსაკუთრებით კანალოვის თამაში.

სექტემბრის 15. შაბათი. საღამო.

ბანკეტი მწერალთა კავშირში.

შევდივართ „გერცენის სახლში“. ვათვლიერებთ. მშვენიერად არის ნოწყობილი გერცენის ოთახი, არის იშვიათი წიგნები და ხელთნაწერები. ამჩნევია ნიშანი „нарский культурн“: თითქმის ყველაფერს.

გასაოცარია ესენინის ოთახი, აქ მთელი მისი სიცოცხლეა გადმოცემული „მუზეუმურ“: ნახატებით თუ სურათებით—პარმოშვადან ვიდრე კუმოდე. მოსხანს ყულგან თავი „ოქროს ვერძის“, საცა სიმწიფეა რუსეთის პურის თაველის. მაგრამ კუპო, კობო... ესენინი კუბოში... ეს სანახაობა ძელი ასატანია: თითქო ფიზიკურად ეხებოდე სიკვდილს—ასეთია ბუნება ამ სურათების.

მწერალთა სურათებიდან გამოირჩევა ანდრეი ბელის სურათი (ახალგაზრდობის): გამოიყურება როგორც კაპუტეტი მიშინო ვიზიონერული თვალებით.

ბანკეტს დაესწრენ: სტიფან ცვაიგ, იაპონელი ნაბორო, ამერიკელი ჰაირი დენა, იტალიელი ეტტორე ლო-გატო, ესპანელი ჟურნალისტი ალფარეც დელ ვაიო, ესტონიის მწერლები შარბარის და სემპეო, ავსტრიელი ტოკკერ (წევრი საბჭოთა კავშირის მეგობრების საზოგადოებისა), პილნიაკი, ეფროსა, ზახულია, ნიკულინი, იაკოვლევი, კირილოვი, სახნიკოვი, შუდანცევი, ლიდინი, მრავალი სხვა. ქართველებიდან: ტ. ტამიძე და მე. ბანკეტს დაესწრო აგრეთვე ესენინის ქერივი, ტოლსტოის შვილიშვილი სოფია ანდრეენა.

სიტყვები, სმურები.

ტოლსტოის შესახებ მე მომიხდა სიტყვის აღება.

სიტყვა ასე გავეგზე:

პირველი. შერა ტოლსტოის. ტოლსტოის ყველა ბიოგრაფი ამოწმებს: მის წინაშე შეუძლებელი იყო ტყუილის თქმა. ეს—ფიზიური თვალი, ეხლა—ხატვითი. მისი თვალის წინ საგნები თუ მოვლენები არ ტყუიან (თუ ვერ ტყუიან). აქ არის მისი რეალისტური ხედვა.

ანა კარენინა, ქალური გახელებით აყენილი, სიბნელეში ხედავს თავის მზერის ალს (თითქმის მატერიულად). ეს ხედვა ტოლსტოისაა.

მეორე. ტოლსტოი სხაეც საგანს თუ მოვლენას ხელსახეზად. მაგრამ იმავე დროს: ხელავე—საგანი თუ მოვლენა შორსაა, სიგომე ამ მანძილას! სხვათა ეპიურნი ტალანტის. ამ მხრით ტოლსტოი თითქმის შეუღარებელნი, ხანაჲსაჲს მის ნაწერებში ლანდშაფტებად იშლებიან, „სულიერი პეიზაჲი“, ბადესავით გასროლილი, —აი საცდელი რომანის, ტოლსტოის ძლიერება აქაა. მისი „ხერხი დეტალის“ აქ იშლება, საერთოდ: რამდენად ნაკლებ სიანს ხერხი ნაწარმოებში, იმდენად მაგარი ნაწარმოებში, „ხაჯი მურატი“: მაგალითად დაწერილია როგორც «воинное донесение», —ასე გვონია, —მაგრამ შინაგან იგი „ილიადას“ ნატეხივითაა (როგორც ამბობს ცვაიგ).

მესამე. ამბობენ: ტოლსტოის მოძღვრება სხვაა და მისი მხატვრობა კიდევ სხვა. შეიძლება ეს მართალიც იყოს, მაგრამ აქ სხვა მხარეა საყურადღებო. ტოლსტოი არ იყო „მარტივ“ ხელოვანი: იგი აზრობდა, იგი ილტვოდა, იგი ეძებდა. სიმართლე, სიმართლე, —აი რით იწვოდა და რისთვის იწვოდა იგი, მას არ ეშინოდა ფარდის აბდის, მის თვალს შეეძლო გორგონასთვის შეეხედა. ეს შინაგანი მიმართება (წეა სიმართლისათვის) აძლევს მის შემოქმედებას სწორედ უნივერსალურ ძალას — (თორემ, ისე, რამდენი სწერს ტოლსტოიზე უკეთესად).

სტეფან ცვაიგ ადრე წვივდა (ლენინგრაღში უნდა წასულიყო ღამით).

ჩვენ კიდევ დავრჩით.

სექტემბრის 16. კვირა.

კუჩხო. ეს ადგილი მოსკოვთან ახლოსაა, ტყეში. აქ ცხოვრობს ანდრეი ბელი, განდევნილი.

ვეწვიეთ: ნიხა და ტიციან ტაბიძე და მე.

ვისეირნეთ ტყეში, თუმცა ნაწივიარი იყო ძლიერ. გვიამბო ბევრი რამ. წავაკითხა დასაწყისი მეორე ტომის „მოსკოვისა“, „მე მსუროს გავიგო, თუ როგორი ბევრა ავიღე შინაგანი“, —გვითხრა. კითხულობს ბელი არტისტულად. მის ნაწერს მასავით ვერავინ წაიკითხავს. გვანუქა ახლად გამოშული წიგნი «Ветер с Кавказа», რომელიც მარტო საქართველოს ეხება. ამ წიგნზე ალბად ბევრს ილაპარაკებენ. ვისადილეთ. კიდევ საუბარი და ყოველთვის ლიტერატურა. მე გაცვივით ვუთხარ: თქვენი რიტმი პროზაში, მგონი, უფრო სხვათაგან სიუჟეტს ითხოვს — (ცვლისაშობ რომანისა და ეპოპეის სხვაობას). ანდრეი ბელიმ ძვირად იცის დათანხმება (თავის შესახებ).

გამოვემშვიდობეთ.

პლატფორმა. ვუცდით მატარებელს.

ჩაიარა ერთმა მატარებელმა და მომესმა: „Жил в пальте, жил в пальте“, გავიხედე: მთელი რონოდა, ახალგაზრდებით სავსე, (парни), ამას გაიძახოდა, იყო ამ მახილში უღარდელობა და ღიმილი. მაგრამ... იყო უთუოდ ანტისემიტური ბუნებაც.

სექტემბრის 17. ორშაბათი.

ლენინგრადიდან დაბრუნდა ცვაიგი. ქალაქი მოსწონებოდა, მაგრამ ქალაქიდან—ყველაზე უფრო ბალერინა სემიონოვა (არ ვიცი, ის სემიონოვა ხომ არაა, რომელიც ტფილისში წარმოშვა). სულ ამას გაიძახოდა: გენიალურია, გენიალურია.

ნაშუადღევის 2 საათზე ცვაიგმა სადილი გავვიმართა: 15 კაცს.

სალამოს 5 საათზე იგი ევროპისაკენ გაემგზავრა.

იმვე სალამოს მე ტფილისს მოვაშურე.

წინ დამხვდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც პირველად ენახე (ვაი შერცხვენივ), ეს სამუაროს თაურეჩის პოემე გეოლოგიურ ჰიმერის მიერ კვეთილი, —

მაგრამ ეს სხვა თემაა.

იურიდიული გათვალისწინების

პახუბი გ. ნენიშვილს.

„ფორიად საინტერესოა ი. სურგულაძის ნაშრომის, — ხელისუფლება და სამართალი — მეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა“. ასე იწყებს გ. ნენიშვილი თავის სარეცენზიო წერილს. ¹⁾ ზენის აზრით, გაცილებით უფრო საინტერესოა იმ ძალიან თავისებური მეთოდის განხილვა, რომლითაც აღნიშნული რეცენზია დაწერილი. ეს თავისებურება, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზენტს შესაძლებლად მიაჩნია ავტორს მიაწეროს ბევრი ისეთი აზრი, რომლის საწინააღმდეგოც წიგნში საცხებით გარკვევით არის აღნიშნული. ასე, მაგ., რეცენზენტი სწერს:

სამართალსა და სოციალურს ზენი ავტორი უყურებს, როგორც ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს; ავტორის სისტემაში ისინი ორ პარალელურ ხაზს წარმოადგენენ, რადგანაც მათ შორის გაწვეტილია ლოლიკური კავშირი და ისეა გაწვეტილი, რომ აღარც სამართალს აქვს დასაყრდნობი ფემე სოციალურში და აღარც სოციალურს სამართალში. (გვ. 211)

გვ. 208: „რადგან თვით ავტორის მეთოდის თანახმად შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარე, რომლის აზრით სამართლის შინაარსით საცხებით ვერ ამოიწურება.“

გვ. 216: „ავტორის მეთოდით კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გაწვეტილია, მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთის უარყოფა.“

სარეცენზიო ნაშრომში-კი აღნიშნულია:

საბელმწიფო, როგორც სოციალური მოვლენა (Gebilde) უნდა განსხვავებულ იქმნას საბელმწიფოსგან, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტისგან. მაგრამ ასეთი განსხვავება ატარებს მხოლოდ ლოგიკურ ხასიათს, რეალურ სინამდვილეში საბელმწიფოს ორივე მხარე (ე. ი. სოციალური და სამართლებრივი) მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან* (გვ. 16).

ასეთივე აზრი გატარებულია სარეცენზიო ნაშრომის მე-6 გვერდზე, სადაც სამართლებრივი სისტემის შესახებ (Rechtsregulierung) ²⁾ აღნიშნულია: „იგი (ე. ი. სამართლებრივი სისტემა) წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ნამდვილსა და გაუთიშველ მომენტს“.

სარეცენზიო ნაშრომის 92 გვერდზე აღნიშნულია:

„დამოკიდებულებათა ფორმების სხვადასხვაობა, რომლებსაც ჩვენ აქ (სამართლებრივ კატეგორიებსა და არა სამართლებრივ მოვლენებს შორის) ეხედებით, სამართალითა და სახედ შევიძლია გავყოთ: 1. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საზოგადოების სოციალ-კანონიერ სტრუქტურასა და სამართლის მოქმედ სისტემას შორის“.

უშუალოდ ამის შემდეგ სარეცენზიო ნაშრომი ვრცლად ჩერდება ამ საკითხის განხილვაზე; სახელდობრ, ამ საკითხს მიძღვნილი აქვს 93—120 გვერ-

¹⁾ იხ. მნათობი № 3, 1928 წ. გვ. 205—218.

²⁾ ენება „Rechtsregulierung“ სარეცენზიო ნაშრომში გაგებულია როგორც Rechts-einheit ე. ი. როგორც Rechtsordnung. იხ. გვ. 2.

დები და, გარდა ამისა, სათანადო მითითებანი წიგნის დანარჩენ ნაწილებშიაც ბლომად არის გაბნეული (იხ. მაგ. გვ. 86—87, 140—141, 148, 152, 153, 155) რეცენზიის 215 გვ. დაწერილია:

ავტორის დებულებათა მხედვეთ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იურიდიული პირის ბუნება სულიანად სამართლის წინაარსით და შეიშენებულით უნდა ამოიწეროს. სამართლის სუბიექტის იდეა ავტორმა გაანთავისუფლა სრულყოფილ იმისგან, რაც სამართალს არ წარმოადგენს.

სარეცენზიო ნაშრომნი-კი ამბობს:

ზევით მითითებული რეს, რომ უფლება-უწარაინობის ცნება წარმოადგენს გარკვეული ფაქტორი მოვლენების (tatsächlichen Gegebenheiten) იურიდიულ რეაქციას, რომელიც სამართლისგან არის დაწესებული... ამ თვალსაზრისით სამართლის სუბიექტ, რომლის იურიდიული არსება (Wesen) უფლება-უწარაინობის ცნებაში ზედაცხედება, არის იმ ფაქტორ მოვლენათა აღნიშვნა, რომელნიც იურიდიული სამართლის ძირითადი იურიდიული რეაქციებში არიან აღტურვით. (გვ. 149—150).

ასეთია ის პირველი თავისებურება, რომელიც რეცენზიას ახასიათებს. ჩვენ საკვიროდ მივიჩნით ამ გარემოებისთვის ამთავითვე მიგვექცია უფრადლება, ეინაიდან მთავარი: დასკვნები, რომლებსაც რეცენზენტი აკეთებს, სარეცენზიო ნაშრომის ზეით-მოყვანილი აზრების დამახინჯებით გადმოცემას ეწყარება. ეს გარემოება საესებით თვალსაზრის ვახდენა შეძღვამილად.

მეორე თავისებურება, რომელიც რეცენზიას ახასიათებს, იმაში მდგომარეობს, რომ რეცენზიის ავტორს შესაძლებლად მიაჩნია მსჯელობის მიმდევრობაში ერთი ცნება მეორეთი შესკვალოს და ტერმინოლოგიური მზგავსებით ცნებათა წინაარსობრივი სხვადასხვაობა მიაფუჭეროს. რეცენზიის ავტორისათვის წერის ასეთი მანერა საკვირია, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნული განსხვავების გვერდის ახვედრის მას შეუძლია თავის ძირითად კრიტიკულ შენიშვნებს გარეგნულად მაინც მსჯელობის ხასიათი მისცეს.

აღნიშნულის ილიუსტრაციისთვის მავალითები ბლომად არის გაბნეული რეცენზიაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ისეთებზე შეგვირდებით, რომლების განხილვასაც მნიშვნელობა ექნება რეცენზიის ავტორის დასკვნების შეფასებისთვის.

რეცენზიის თითქმის დასაწყისშივე (208 გვ.) ჩვენ შემდეგ დებულებებს ვხვდებით:

„იურისტს არ შეეძლია მოსწავდეს თავის ინტენციონალურ საგანს... იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს სრულყოფილ ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი „Finstellung“-ი, რომელიც, მესტრლია აზრით, არის მეთოდოლოგიური ზღოზი, რის საშუალებითაც სწარმოება საგანზე მთელი შემეცნებითი გულსყურის მიმტრობა“. „სოციალური რამ არ შეიძლება განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით... არც სამართალი შეიძლება შესწავლილ იქნეს იმ მცნიერების საშუალებით, რომლის საგნობრივ წინაარსს სოციალურ ურთიერთობათა... საწყარო წარმოადგენს“.

ამ გამოთქმების აზრი სავსებით გარკვეულია: აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია „მეთოდოლოგიურ მოწინებზე“, ლაპარაკია იმ მეთოდზე, რომლითაც იურიდიული აზროვნება უნდა ხელმძღვანელობდეს კვლევა-ძიების დროს.

უშუალოდ ამის შემდეგ რეცენზენტი ასეთ დასკვნებს აკეთებს:

„ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოს სამართალთან ჩნარეს იკვლევს... უნდა მოწოდდეს იმ აზრს, რომ ანაბამათლოვანში სამართლის გავრძელება ვიწის, რადგანაც წარმოუდგენელია სამართალი წვესებულ იქნეს იმით, რაც სამართალი არ არის“. „ავტორის მეთოდის თანახმად შეუძლებელია შორშათა სისტემა ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი წინაარსით წარმოადგინოთ იმ ერთი მილიანობის ცალკე მზარედ, რომლის აზრით სამართლის წინაარსით სავსებით ვერ ამოიწერება“.

ამ უკანასკნელ დასკვნას რეცენზენტი აღნიშნავს, როგორც „ავტორის მეთოდისგან“ გამომდინარეს; მით უფრო ვასაკვირვებელია, როდესაც იგი რამდენიმე სტრაქონით ჰგვივთ ამავე აზრებს უკვე თავის სახელით აცხადებს, ე. ი. სცილდება იმანენტური კრიტიკის საფუძველს:

„მე დასამუშავებ მიმანია, — ამბობს იგი, — რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართლის კონკრეტული სისტემიდან შეიძლება ერთნაირად აღიქვას და აღიქვას... მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის საგნობრივი შინაარსის სისტემად... მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის საგნობრივი შინაარსის სისტემად... მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის საგნობრივი შინაარსის სისტემად...“

„ამიტომ იურისტს რამდენადაც იგი თავისი საგნის, ე. ი. სამართლის, ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, არ შეიძლება სამართალგანიერების არა სამართალგანიერების ერთ მხარე... მაგრამ რა-კი შეეძლება (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის, საერთოდ, და, კერძოდ, სახელმწიფო სამართლის საგნობრივი შინაარსი მივიღოთ, როგორც ხაზილი ან ცალკე მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენენ და სახელმწიფო-ი, ჩვენს ავტორის თვითონის თანახმად, არ არის თანაბარი სამართლისა... ცხადია, რომ სახელმწიფოც, როგორც ასეთია... არ შეიძლება სახელმწიფოს სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს“.

ჩვენ განზრახ ასე დეტალურად მოვიყვანეთ რეცენზენტის შეხედულებანი, ვინაიდან სწორედ ის, რაც აქ არის აღნიშნული, მთელი რეცენზიის კონტენტის-ცისაა ქმნის; რეცენზიის დაწინაურებულ ნაწილს ზვეით მოყვანილი დებულებების ახალი ვარიაციებით განმეორებას წარმოადგენს და არსებითად არაფერს იძლევა ახალს. არც შინაარსობრივ და არც დასაბუთების მხრით. გასაკებია აქიდან, რომ აღნიშნული დებულებების კრიტიკულ განხილვაზე ჩვენ შედარებით დეტალურად შევსრდებით.

1. პირველი, რაც აქ უნდა იქნეს აღნიშნული, იმაში მდგომარეობს, რომ ზვეით მოყვანილი დებულებანი ორ განსხვავებულ ჯგუფად იყოფებიან, რომელთა შორის (წინააღმდეგ რეცენზენტის ინტენციისა, რომლის თანახმად ეს დებულებანი ერთიმეორის დასკვნას უნდა წარმოადგენდნენ) რაიმე ლოგიკური კავშირის აღმოჩენა შეუძლებელია და ეს სწორედ იმიტომ, რომ ისინი სრულებით სხვადასხვა საგანს შეეხებიან. ჩვენ უკვე მიუთითეთ ზვეით, რომ პირველი ჯგუფი დებულებათა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, მეთოდოლოგიური ხასიათის დომინანტებს ეხება. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ამ მეთოდოლოგიური მოსახრებებიდან გამოყვანილ დასკვნებში რეცენზენტს ლაბარაკობს უკვე არა იმ Einstellung-ზე, რომელიც, მისივე გამოთქმის თანახმად, იურიდიულ ასრულებ-

ს) ამ დებულების რაიმე დასაბუთების ნაცვლად რეცენზენტს ასეთი არასერიოზული და უშინაარსო არგუმენტი მოჰყავს: „მას, ვინც მტკიცედ შეითვისა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების... ამოცანა და მის გამოსავალ წერტილად სთვლის სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორიული მეცნიერების მიზნებელია (Geltung), არ შეუძლია სხვააზიოვდეს...“ (გვ. 209). არასერიოზული ეს არგუმენტაცია იმიტომ, რომ ასეთი არგუმენტით ყოველგვარი უაზრობის მტკიცება და გამართლება არის შესაძლებელი; რომ, სახელმწიფო, არ არის საერთო თქმა... არ შეუძლია სხვააზიოვდეს იმჯგუფს“, არამედ საჭიროა სწორად იმის დამტკიცება, თუ რატომ არ შეუძლია სხვააზიოვდეს იმჯგუფს“, არამედ საჭიროა სწორად იმის ახსენებაში არ შეიძლება ყურადღება არ მივუცნ შემდეგ გამოთქმას: „...სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორიული მეცნიერება მიზნებელია (Geltung)“. რას გულისხმობს რეცენზენტი ამ გამოთქმაში. სიტყვა Geltung შეიძლება იმარტოდეს ან იმ სპეციფიკური მიზნებლობით, რომელიც მას სამართლის მეცნიერებაში ეძლევა და რომლითაც აღინიშნება სამართლის ნორმის მოცულობის ერთ-ერთი სახე ცხადია, რომ რეცენზენტი ამ ტერმინს აქ ვერ იმარტოვდა ასეთი მიზნებლობით, ვინაიდან Geltung აქ ნაჩვენებია გაგებით ანალოგიურს ან სამართლის მეცნიერებას, არამედ სამართლის ნორმებს. ეს ნიშნითაა იმდენად ელემენტარულია, რომ ზედმეტად ნივანჩია აქ კიდევ რაიმე დამატებითი მოსახრების მოყვანა. ამ კიდევ სიტყვა Geltung შეიძლება იმარტოდეს, როგორც კემპარიტების პრედიკატის აღმნიშვნელი ცნება. მაგრამ ამ მიზნებლობითაც ეს ტერმინი უდავლოა რეცენზენტი, ვინაიდან, რეცენზენტის საკუთარი გამოთქმის თანახმად, სამართლის მეცნიერების Geltung დაფუძნებულია სამართალზე. ე. ი. ამ მეცნიერების საგანზე; Geltung-ი, გაგებული, როგორც კემპარიტ დებულებათა პრედიკატი, არ შეიძლება წარმოადგინო იქნეს, როგორც დაფუძნებული საგანზე, რომელსაც კემპარიტი დებულება ენება; ამიტომ რეცენზენტის ზვეით მოყვანილ არგუმენტაციაში და, სახელმწიფო, იმ კონტრასტში, რომელშიც ეს ენება არის ნახშირი, იგი მოყვანილია ყოველგვარ აზრს.

ბას უნდა ახასიათებდეს მისი საგნისადმი „სრული შენეცნებითი გულსწყობის მიპყრობის“ ფუნქციონალსაყოფად, არამედ იმაზე, რომ სახელმწიფოთ-სამართლის საგნობრივი შინაარსი შეუძლებელია მივიღოთ, როგორც ნაწილი ან მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს არ წარმოადგენს; მაშასადამე, ლაპარაკობს უკვე არა „მეთოდოლოგიაზე“, არამედ იურისპრუდენციის საგნის დამოკიდებულებაზე სხვა სახის საგნებთან, ე. ი. აქ მხედველობაში მიღებულია *ordo et connexio rerum*.

რომ ამ ორი სახის დებულებათა შორის ლოგიკურა გადასვლა შეუძლებელია და რომ ამიტომ დასკვნები, რომლებსაც რეცენზენტი აქ აკეთებს, სერიოზულ სახეს არ ატარებენ, ამაზე ჩვენ ქვევით შეჩერდებით, ეხლა კი საჭიროა გავკრიტიკოთ მაინც აღნიშნათ ერთი გარემოება, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს. რეცენზენტი ზევით მოყვანილ დასკვნებს ასაღებს, როგორც სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიიდან გამომდინარეს. ეს არ არის სწორი სხვადასხვა მხრით.

ჯერ ერთი, არ არის სწორი, თითქოს სარეცენზიო ნაშრომი მეთოდოლოგიური საკითხების გადაჭრას სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსის გამორკვევისთვის და იურისპრუდენციის საგნის სხვა სახის საგნებთან დამოკიდებულების შესახებ რაიმე დასკვნების გაკებისთვის ეთე წინასწარ პირობად თვლიდეს. პირიქით, სარეცენზიო ნაშრომის შეაჯავლშვე გარკვევით არის აღნიშნული, რომ „მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებას, რომელსაც, საერთოდ, იურიდიულ მეცნიერებათა და, კერძოდ-კი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევა-ძიებასთან არიან დაკავშირებული, არ შეიძლება რაიმე დადებითი შედეგი მოაქვს, თუ წინასწარ გადაჭრილი არ იქნა ძირითადი საკითხი იმ მოვლენათა თავისებურების შესახებ, რომლებსაც იურისპრუდენცია სწავლობს“, რომ „ყოველ მეცნიერებაში მეთოდოლოგიურ პრინციპებს არ აქვთ თავისდა-თავადი (*selbständige*) მნიშვნელობა და ამ მეცნიერების საგნობრივი შინაარსით განისაზღვრებიან“ (იხ. გვ. 13, 14, 38, 43).

ამ დებულებით აღნიშნულია არა მარტო სარეცენზიო ნაშრომის ავტორის შეხედულება მეცნიერების მეთოდოლოგიისა და საგნობრივი შინაარსის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, არამედ ის ვხაც, რომელსაც საესებით გარკვევით იმსდევს სარეცენზიო ნაშრომი. ამიტომ რეცენზენტს მტკიცება, თითქოს რეცენზიაში მოყვანილი (გვ. 208—209) დასკვნები სარეცენზიო ნაშრომის თავისებური მეთოდოლიდან გამომდინარეობდენ, უსაფუძვლოა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ აღნიშნულ ნაშრომში ზოგად მომენტებშიც კი არ არის მოკეპული იურიდიული მეთოდოლოგიის გამოთქმეების ცდა და ეს სწორედ იმიტომ, რომ, ნაშრომის ავტორის აზრით, მეცნიერული მეთოდოლოგია, საერთოდ, და, კერძოდ კი, იურისპრუდენციაში უნდა წარმოადგენდეს არა წინასწარ საფუძვლს, არამედ ბას, პირიქით, წინ უნდა უსწრებდეს მეცნიერების საგნობრივი შინაარსის თავისებურების გაშუქებას. ამიტომ გაუგებარია, თუ რა აქვს მხედველობაში რეცენზენტს, როდესაც იგი სარეცენზიო ნაშრომის მეთოდოლოგიაზე ლაპარაკობს. მართალია, რეცენზიაში სიტყვა „მეთოდოლოგია“ და „მეთოდი“ ასეთ კონტექსტში არის ნახმარი: „ავტორის: მეთოდის თანახმად იურისპრუდენციის საგანს მხოლოდ სამართალი წარმოადგენს“ (გვ. 208); მაგრამ აშკარაა, რომ აქ ეს ცნება სრულებით უადგილოა და რაიმე გასაგებ აზრს მოკლებულია, ვინაიდან უდაოა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების საგნის აღნიშვნა შორეულადაც კი არ წარმოადგენს მეთოდოლოგიური წყების მსჯელობას; ასეთი დებულებიდან, ე. ი. გარკვეული მეცნიერების საგნობრივი შინაარსის გათვალისწინებიდან, შექადებულია გარკვეული დასკვნების გაკეთება ამ მეცნიერების მეთოდის შე-

სახებ, მაგრამ თავისდათავად მეცნიერების საგნის აღმნიშვნელი მსჯელობა ვერა-
ვითარი გზით ვერ მიეკუთვნება მეთოდოლოგიურ მსჯელობას. *რეკონსტრუქცია*

ამიტომ, ვინაიდან მოყვანილ კონტექსტში სიტყვა „მეთოდოლოგიური“
და უშინაარსოდ არის ნახმარი, ჩვენ საფუძველი გვაქვს დასკვნისთვის, რომ
ველა ის ადგილი, სადაც რეკონსტრუქტი ვარკვეულ დასკვნებს ასალებს, როგორც
სარეკონსტრუქციო ნაშრომის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, რაიმე აზრსა და
ლოგიკურ დასაბუთებას მოკლებულია.

2. მაგრამ დაეანებოთ ამას თავი და გადავიდეთ რეკონსტრუქციის მსჯელობის
არსებით განხილვაზე, ე. ი. გავაშუქოთ, თუ რამდენად სისწორით ვაჩვენებ
ნას თავისი დასკვნები იმ დებულებებიდან, რომლებსაც იგი სარეკონსტრუქციო ნაშ-
რომის მეთოდოლოგიის საბით ასალებს. ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ ჩვენ
აქ ორი სახის დებულებებს ვხვდებით, რომელთა შორისაც ლოგიკური კავშირი
არ არსებობს. ეს არა მარტო იმ ზოგადი მოსაზრებით, რომ, საერთოდ, მეთო-
დოლოგიური Einstellung არ წარმოადგენს საშუალებას სხვადასხვა სახის საგნებს
შორის არსებულ დამოკიდებულებათა შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთებისთვის,
არამედ რეკონსტრუქციის მიერ გამოყენებული დებულებების განხილვაც ამავე
შედეგს იძლევა. მართლაც, დიდი გონებაშევილობა არ არის საჭირო იმის
გასაგებად, რომ დებულებებიდან: „იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინტენ-
ციონალურ, სავანს, ე. ი. სამართალს“, „იურისტს თავისი მსჯელობიდან უნდა
განდევნოს ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს“ არავითარი გზით არ გა-
მომდინარეობს რაიმე დასკვნა იმის შესახებ, თუ რა სახის დამოკიდებულება
არსებობს სამართლისა (როგორც იურისპრუდენციის კვლევა-ძიების საგნის) და
სხვა სახის საგნებს შორის; სხვადავით აღნიშნული დებულებებიდან ლოგიკურად
შეუძლებელია იმ დასკვნის გაკეთება (რომელსაც რეკონსტრუქტი აკეთებს), თითქოს
შეუძლებელი იყოს „სმარტათა სისტემა, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობ-
რივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ“, — რაც
სამართალს არ წარმოადგენს; ასეთი დასკვნა აშკარად ყალბია, ვინაიდან მსჯე-
ლობა იმის შესახებ, თუ რა მოვლენების წრე ჰქმნის ამა თუ იმ მეცნიერების
საგნობრივ შინაარსს შორეულადაც კი არ იძლევა რაიმე დასკვნებს იმ დამოკი-
დებულების შესახებ, რომელიც აღნიშნული მეცნიერების სავანსა და სხვა
საგნებს შორის უნდა არსებობდეს. უკანასკნელი საკითხი სრულებით დამოკი-
დებულ ხასიათისაა და წყდება არა მეცნიერების საგნობრივი შინაარსის
წინასწარი შემოფარგვლით, არამედ თვით იმ მოვლენების შესწავლის
შედეგში, რომლებსაც ესა თუ ის მეცნიერება იკვლევს. უდავოა, რომ აქ ორ
განსხვავებულ საკითხთან გვაქვს საქმე: 1. საკითხი, თუ რა ჰქმნის ამა თუ იმ
მეცნიერების სავანს და 2. აღნიშნულ სავანსა და სხვა საგნებს შორის რა
სახის დამოკიდებულება არსებობს. ამ ორ საკითხს შორის განსხვავება იმდენად
დიდია, რომ ესა თუ ის პასუხი პირველზე არავითარ დასკვნებს არ იძლევა
მეორის გადასაჭრელად.

კერძოდ, სახელმწიფო სამართლის შესახებ: მსჯელობა, რომელიც აღნიშ-
ნავს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების სავანს ნორმათა სისტემა, სა-
მართალი წარმოადგენს, არავითარ დასკვნებს არ იძლევა იმ დამოკიდებულების
შესახებ, რომელიც სამართალსა და სხვა მოვლენებს შორის უნდა არსებობდეს
ან უფრო ზოგადად იმ საკითხზე, არსებობს თუ არა საერთოდ, ასეთი დამოკი-
დებულება.

3. ყოველივე ეს იმდენად ელემენტარული და ადვილი შესათვისებელია,
რომ რეკონსტრუქციის საწინააღმდეგო მტკიცებებს შეუძლია მხოლოდ გაკვირება გა-
წიწივით. ალბად, ჩვენი კრიტიკოსიც ჰგონობდა ამ ლოგიკურ შეუსაბამობის
და შესაძლებელია ამით იყოს გამოწყვეული, რომ იგი ხშირად თითქოს შეუსაბამო-

ბის მისაჩქარადად, საკვირველ გამოთქმებს მიმართავს. ასე, მაგალ, 209 გვერდზე იგი ამბობს: „არც ერთი ნაწილი სამართლის... სისტემის შექმნა დაკავშირებული იყოს (მეთოდოლოგიურად) იმასთან, რაც საქართველოს მოადგენს“. ან კიდევ 210 გვერდზე: „მაგრამ რაც შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის საგნობრივი შინაარსი მივიღოთ, როგორც ნაწილი... იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს... არ წარმოადგენენ“... და სხვ. ორივე ამ მოყვანილს გამოთქმაში ყურადღებას აბყრობს სიტყვა „მეთოდოლოგიურად“, რომელიც თუმცა მორცხვად ფრხილებშია მოყვანილი, მაგრამ რომელსაც, ალბად, მიკოთენილი აქვს ზეითაღნიშნული ლოგიკურ შეუსაბამობის მიმჩქნაღველი ტერმინის რაღი. ამ, თითქოს სასხვათაშორისოდ ნახმარმა, ტერმინებმა, ალბად, უნდა შექმნან შთაბეჭდილება, რომ როგორც ძირითადი დებულებანი, რომელნიც რეკენზენტს მოჰყავს 208 გვერდზე, ისე დასკვნები, რომელსაც იგი აკეთებს ამ დებულებებიდან, მეთოდოლოგიურ მსჯელობათა წყებას ეკუთვნიან და რომ ამიტომ ამ თითქოს არ არსებობდეს ის შეუსაბამობა, რაზედაც ზევით იყო მითითებული.

მაგრამ ეს ცდა ამაოა და ზევით აღნიშნულ ლოგიკურ შეუსაბამობის ამ გზით გათვრევა შეუძლებელია, ეინაიდან ადვილი შესამჩნევია, რომ სიტყვა „მეთოდოლოგიურად“ ამ სრულებით უადგილოდა ნახმარი. გამოთქმა „დაკავშირებული იყოს“, რომელსაც უშუალოდ თანმოსდევს სიტყვა „მეთოდოლოგიურად“, შეიძლება გაგებულ იქნეს ან თვით მოვლენებს შორის (ამ შემთხვევაში სამართალსა და არასამართლებრივ მოვლენებს შორის (არსებული დამოკიდებულების გამომხატველ მსჯელობის მნიშვნელობით და ასეთ შემთხვევაში აშკარაა, რომ ამ თერმინი „მეთოდოლოგიურად“ უადგილო და უაზროა, ეინაიდან თვით მოვლენებს შორის შეიძლება არსებობდეს მრავალი სხვადასხვა სახის დამოკიდებულება, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება, რომ მათ შორის არსებული დამოკიდებულება დახასიათებული იქნეს, როგორც მეთოდოლოგიური და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მეთოდოლოგიური დაკავშირება შესაძლებელია თვით მსჯელობებს შორის და არა იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ესა თუ ის მსჯელობა ჰგულისხმობს.

ან კიდევ ზევით მოყვანილი გამოთქმა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დაკავშირება სხვადასხვა სახის მსჯელობებს შორის; ამ გაგებით ტერმინი „მეთოდოლოგიურად“ თუმცა უაზრო აღარ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი იმ ლოგიკურ შეუსაბამობის გასაბათილებლად, რომელზედაც ზევით იყო მითითებული, გამოუსადეგარია. ეინაიდან აშკარაა, რომ, თუ-კი სამართალსა და არასამართლებრივ მოვლენებს შორის სინამდვილეში არსებობს კავშირი, ვერავეთარი მეთოდოლოგია წინ ვერ აეღობება ასეთი კავშირის აღნიშვნას და სათანადო მსჯელობებში გამოხატვას და ასეთი კავშირის აღნიშვნის მეთოდოლოგიურ შეუძლებლობაზე ლაპარაკი კურობული იქნებოდა.

ამგვარად, ორივე შესაძლებელი მნიშვნელობით ტერმინი „მეთოდოლოგიურად“ ან უაზროა, ან კიდევ სრულებით უადგილოდ არის ნახმარი.

4. მაგრამ საქმე მართო ზოგიერთ ტერმინების უადგილო ან უშინაარსოდ ხმარებაში როდია. რომ მართო ეს ნაკლი ახასიათებდეს რეკენზენტის ამ ადგილს. სადაც გამოთქმულია ჩენი კრიტიკის ძირითადი დებულებები, ამას კაცი ადვილად შეურიგდებოდა. სამწუხაროდ, დეფექტები, რომლებსაც ჩვენ ამ ვხედებით, გაცოლებით უფრო ძირითადი ხასიათისაა, და ამიტომ ისინი რეკენზენტის ამ მთავარი დებულებებს ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავენ.

სარეკენზიტო ნაწარმის იმ დებულებებიდან, რომლის თანახმად სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემა უნდა იქნეს ცნობილი, რეკენზენტი ორ დასკვნას აკეთებს: ა) „იურისტს არ შეუძლია მოსწყდეს თავის ინ-

ტენციონალურ“ საგანს, ე. ი. სამართალს“ და ბ) რომ „იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ ეჭვრიტყუდება“.

ა) არ შევიძლია არ აღვნიშნოთ, რომ აქ ტერმინი „ინტენციონალური“ (intentional) უდავლოდაა ნაშაბი. თუ კი ინტენციონალური საგანი არის „კორელატი“ sinngebender Akte, თუ კი „jedes intentionale Erlebens hat sein intentionales Objekt“ (Husserl, Ideen, s. 185); თუ კი მეთარს შარით, ინტენციონალური ობიექტი იგივეა, რაც gegenständlicher Sinn (იხ. Husserl, ib.), აშკარაა, რომ ამა თუ იმ მეცნიერების საგნის და ინტენციონალური საგნის გაიყვანება შეუძლებელია. ასეთ გაიყვანას სტრუქტურა შორის წინ ელმება I. ის მოსაზრება, რომ ინტენციონალური საგანი თითოეული შემეცნებითი აქტისთვის არის მოცემული როგორც მისი კორელატი და რადგანაც მეცნიერება (რამდენადაც იგი პრიმიტიულია) წარმოადგენს, როგორც ანტროპოლოგიური, როგორც შემეცნებითი აქტების მთლიანობა) ერთ შემეცნებით აქტში არ შეიძლება მოცემული იქნეს, შეუძლებელია, რომ მას ერთი ინტენციონალური საგანი ჰქონდეს. ე. მეცნიერების ობიექტური მთლიანობა შესაძლებელია ვაგებდეს იქნეს არა როგორც შემეცნებითი აქტების მთლიანობა (თუ ზეით აღნიშნულ პრიმიტიულ მხედველებზე არ დაფრებით), არამედ, როგორც მთლიანობა, რომელიც ჰქონა რიტუბათა შევადგომებას ვეპარება (Zusammenhang der Wahrheiten, Husserl, bog. Unt I, 228). ასეთ ვაგებამოკი მეცნიერების დაბასათების დროს უარყოფილია ორგანიკა შემეცნებითი აქტზე და, მასასადარე, მას კორელატუბუდაც, ე. ი. ინტენციონალურ საგანზე. მ. შაგარს მთავარი, რაც აქ უნდა აღნიშნულ იქნეს, შედეგში მდგომარეობს: რეცენზიის იმ ნაწილის განხილვა, სადაც რეცენზენტი ინტენციონალურ საგანს ეტება, უფაოდ ადატურებს, რომ რეცენზენტი არ ანახებებს ერთ-მეორისაგან საგანსა და ინტენციონალურ საგანს ასეთი ანდ-დარევა კი დაუშვებელია რეცენზისათვის, რომელიც მეცნიერულობის პრეტენზიის აცხადდება. უერ თვით ჰუსერლის მხედველებში (რომლებსაც, აღმად, რეცენზენტი ვეპარება ადვილად შეასანდევა განსხვავება საგნის ამ ორ ცნება) შორის და აბიტომ საეცებო საფუძვლიანად იყო აღნიშნული ერთ-ერთი მკვლევარიკან, რომ „die Unterscheidung von Gegenstand als Leitfaden“ und Gegenstand als korrelat“ sinngebender Akte... ist für des Verständnis der Anschauungen Husserls sehr wesentlich (იხ. H. Metzger, Der Gegenstand der Erkenntnis, Jahrb. f. Phil. u. phän. Forsch. 1925 B. VII, s. 62).

ასეთი განსხვავება, შემდეგ, ვატარებელია მთელ რიგს ნაშრომებში, რომლებიც ჰუსერლის იდეების ხედვალის რეცენზიის იხ. H. Metzger, Jahrb. f. Phil. u. phän. Forsch. B. VII, s. 127 ff.).

მ. შაგარს ამ განსხვავების ხედალზე უფრო მეათი და დეტალური ანალიზი მოცემული აქვს N. Hartmann-ს. ჩვენთვის აქ შედგენი იქნებოდა იმ ოთხი სხვადასხვა ნიშანის აღნიშვნაზე შეჩერება, რომლებსაც ეს ავტორი ქველსმობს საგნის ცნებაში. ლენთვის საქმისთვის მივლთითით იმ მკაღლი განსხვავებებზე, რომელიც ამ ავტორს გაეჭავს ინტენციონალურ საგანსა და, საერთოდ, საგნის ცნებებს შორის. ეს განსხვავება, შარტმანის აზრით, იმდენად დიდი და პრინციპულია, რომ ინტენციონალური საგანი არც კი შეიძლება ავითო საგნად ამ სიტყვის სამედილი მნიშვნელობით. იგი, პირიქით, წარმოადგენს საგნის საერს შეგნებამი (Bewusstsein) და თვისდათავად არსებულ საგანსგან არსებობად განსხვავებულია. (Hartmann Grundzüge einer Metaphisik u. Erkenntnis, 1925, s. 104 ff.). ანტომ შემეცნების ფრუმინისთვის დამახასიათებელია არა შემეცნებითი აქტის მიშართვა ინტენციონალური საგნისადმი, არამედ მიშართვა თვისდათავად არსებულ საგნისადმი და შემეცნებაიც მხოლოდ იმდენად აქვს ადგილი, რამდენად იგი ამ თვისდათავად არსებულ საგანს წყვება (ib. s. 106).

ზეით დასახლებლები ავტორების მხედველებს შორის სეკუდასეგამო არსებობს, მაგრამ ერთი რომ საფრთო მიივც არის აქ მოცემული. საბედობარ, განსხვავება ინტენციონალურ საგანსა და საგანს შორის, საერთოა ამ ავტორებისთვის ვერცეფ ეს აზრიც, რომ შეჩერებისთვის და, მასასადარე, თვით მეცნიერებისთვისაც დამახასიათებელია არა ინტენციონალური, არამედ თვისდათავად არსებულ საგანთან, ამ როგორც სხვა ავტორები აღნიშნავენ, objectum materiale-სთან დამოკიდებულება. ეს აზრი დამახასიათებელია არა შარტმანისთვის, არამედ იმავე აზრს გამოსთქვამს, მკაღლ. Pfänder, როდესაც აღნიშნავს, რომ თითოეული მსჯელობა აუცილებლად მიშართულია objectum materiale-სადმი და სწორედ ამაში მდგომარეობს მსჯელობის ის შორთადი კონსტრუქტორი მომენტი, რომელსაც იგი აღნიშნავს, როგორც Anspruch auf Wahrheit. შემდეგ, იმავე აზრს გამოსთქვამს M. Scheler, როდესაც აღნიშნავს, რომ თვითრეტულ მსჯელობას აუცილებლად ანახათების ეს Anspruch auf Wahrheit-ი და იმისათვის, რომ იგი ჰენშარტი იქნეს, მან „mit irgendwelchen Tatsachen Übereinstimmung zeigen muss“, რომ, ამგვარად, ამა თუ იმ შეჩერებითი აქტის ჰენშარტიება, ამ ავტორის აზრით, მოცემულია „wenn ein satzartig formierter Bedeutungsgehalt eines Urteils, mit dem Bestand eines Sachverhaltes übereinstimmt“ (Scheler, der Formalismus, II, s. 48-49).

შენიშვნაში მოყვანილი მოსაზრებებიდან იშვარაა, რომ ტერმინი „ინტენციონალური“ რეცენზენტის მიერ ნახმარ კონტექსტში მოკლებულად რაიმე აზრს და ამიტომ, რეცენზენტის მსჯელობის შეუასებისთვის, საბუნებრივად უფრო უკეთესი პირობების შესაქმნელად ვიგულისხმობთ, რომ აღნიშნული ტერმინი აქ შემთხვევით არის ნახმარი და ნამდვილად-კი რეცენზენტს მხედველობაში ჰქონდა არა ინტენციონალური, არამედ მეცნიერების საგანი. ასეთი ვაგებით თუ მივუდგებით ეხლა რეცენზენტის მსჯელობას იმის გასაშუებლად, თუ რამდენად აქ მოყვანილი დასკვნება გამოძინარობენ სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილი დებულებიდან, დავინახავთ, რომ აქ საჭირო ლოგიკურა კავშირი მოცემული არ არის. სახელდობრ ვაუგებარია, თუ რატომ არ შეუძლია იურისტს, რომელიც სამართალს სწავლობს, სამართლის გარდა სხვა სახის ობიექტებსაც მიამყარას თავისი შემეცნებითი აქტები, ან რატომ უნდა განდევნოს იურისტმა თავისი მსჯელობიდან ყოველგვარი ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სამართლის ასეთი აბსოლუტური იზოლიაცია არამც თუ უღაო არ არის, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს, არამედ საიართვის მეცნიერების დეტალური დამოუკიდებელი ინტერესები სრულებით საწინააღმდეგოს ჰგულისხმობენ. თუ ამა თუ იმ ხაზის შესწავლა აუცილებლად ჰგულისხმობს არა მხოლოდ იმ მომენტებას აღნიშნავს, რომლებიც საგანში შესაძენვეი არიან მისი სრულებით განცალკევებით წარმოდგენის დროს, არამედ იმ თვისებების აღნიშვნასაც, რომლებიც საგანს ახასიათებენ მის დამოკიდებულებებში სხვა სახის საგნებთან და თვით ამ დამოკიდებულებების, როგორც უორმის შხრით, იცე შინაარსობრივად ვაშუქებას — ეს დებულება-კი უღაო ხასიით ატარებს, — იშვარაა, რომ, რამდენადაც დამოკიდებულების ცნება აუცილებლად ჰგულისხმობს minimum ორ წევრს დამოკიდებულებისას, ამა თუ იმ მეცნიერების საგნის ვაშუქების დროს შემეცნების რკალში ნაწილობრივ მიინც აუცილებლად შეთრეული იქნება სხვა სახის მოვლენები, რომლებთანაც მეცნიერების საგანი დამოკიდებულებაში იმყოფება. ასეთ მდგომარეობას ჩვენ თითქმის ყველა მეციერებაში ვხედებით, მიგრამ ვანსაუთარებათ ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია სამართლის მეცნიერებისთვის. და ეს

თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრით, ყოველივე ამას, მეორე მხრით, კი ზეით-მოყვანულ დებულებას, რომ შეცნიერება წეიძლება ვაგებულ იქნეს, როგორც ჰეგელიტ ვებულებათა მთლიანობა, აუცილებელი ვაბდება დასკვნა, რომ მეცნიერების საგანი არ შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც ინტენციონალური საგანი. ამ ვარემოებაზე შეტერება საჭირო იცა, ერთის მხრით, იმიტომ, რომ ზოგიერთი იმ დასკვნებისგან, რომელსაც რეცენზენტი ავითებს, ეყარებათ მეცნიერების საგნის, როგორც ინტენციონალური საგნის ვაგებას. მეორე მხრით, კი ამ ვარემოებაზე საჭირო იცა მითითება იმ მოსაზრებითაც, რომ უადგილოდ ანა-თუ იმ თერმინის ხმარება შემთხვევით მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ წენი რეცენზენტისთვის სისტემად არის ქვეული, ასე, მაგალითად, 210 გვ. რეცენზენტი, ვებება რა სახელმწიფოს, როგორც სახ. სამ. მეცნიერების საგანს, ამ აზრის გამოსახატავად ხმარობს გამოთქმას: „... მან უნდა სენოს სახელმწიფო როგორც Noema der Noesis des Rechtsurteils. თერმინი Noema პირველად ჰესერლობის მიერ ხმარებაში სრულებით ვარკვეულის აზრით არის შეტანილი და იგი სრულებით არ არის საგანი და, მაშასადამე, არც ამა თუ იმ მეცნიერების საგანი. ამის ნათესაყოფად საქმარისაა მოყვანით რამდენიმე ადგილი ჰესერლის Ideen-იდან: „Also auch das Noema bezieht sich auf einen Gegenstand“ (s. 269), ან „tedes Noema hat einen Inhalt, namlich seinen, Sinn“ und bezieht sich durch ihn auf Gegenstand“ (s. 278). მოყვანილი ადგილები არ სტოვებენ იმის ეკვა, რომ Noema და საგანი არსებობად ერთი-მეორისგან ვანსევავებული არიან. ამიტომ რეცენზიაში ეს ტერმინი (Noema) უადგილოდ და უაზროდ არის ნახმარი, რაიმე ვარკვეულ აზრს მოკლებულია ვგრეთვე 210 ვეგრადე ხმარის გამოთქმა, სადაც სახელმწიფო აღნიშნულია, როგორც Symbol der Rechtsgegenstände. ი. ი. როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა. ძველია იმის წარმოდგენა, თუ რატომ უნდა იქნეს ვაგებული სახელმწიფო, ვერც ერთი, როგორც სიმბოლო და შემდეგ როგორც სიმბოლო სწორედ სამართლის ობიექტებისა. ასეთი ვამოთქმებისგან არ წეიძლება კაცმა არ მიიღოს შთაბეჭდილება, რომ რეცენზენტი სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობის ნაცვლად უწინარსო ფრანკულიციას იძლევა.

იმითომ, რომ აქ არა მარტო სხვა მეცნიერებთან Forshungsgebiet წარმოადგენს იმ „სხვა მოვლენებს“—რომლებთან სამართლის დამოკიდებულებას წამყვანის ცნების სრული გაშუქების მიზნით უნდა გამოორკვეულ იქნეს, აზრებულ იქნება, რომ თითქმის სამართლის თითოეული კატეგორია შინაგან ორბუნებოვანობას გვიშლის, რომელშიაც წმინდა სამართლოვანი მომენტების გვერდით მოცემული არასამართლოვანი მატერია და ამ შინაგანი სტრუქტურის გაშუქება, ე. ი. აქ არსებულ დამოკიდებულებათა აღნიშვნა, სამართლის შესწავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საწინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ჩვენი რეცენზენტით ერთი-მეორეში აღრევს მეცნიერების საგანსა და ინტენციონალურ საგანს; მხოლოდ მას შეუძლია ამტკიცოს, რომ იურისტის თითქოს მიჯაჭურული იყოს თავის საგანთან და ეს „მიჯაჭვა“ იმ აზრით გაიგოს, რომ სამართლის მეცნიერების ფარგლებში შეუძლებლად ჩასთვალოს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნა, რომელშიაც სამართალი სხვა სახის მოვლენებთან იწყობება და ამ დამოკიდებულებათა აღნიშვნის დროს ამ მოვლენებზე ნაწილობრივი შეჩერება. მაგრამ ზევით მოყვანილი მოსაზრებებიდან უდაოა, რომ ასეთი შეხედულება აშკარად უაღბია, ვინაიდან სწორედ სამართლის ცნების მთლიანი გაშუქება აბსოლუტურად შეუძლებელი ამოცანა გაბდება იმისთვის, ვინც ჩვენი რეცენზენტის იეთოლოგიას ვაჰყვება. უბრალო მავალითს შეუძლია ამ დებულების ილიუსტრაცია. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სამართლისზე, როგორც „ზედნაშენზე“ აშკარაა, ამით აღნიშნულია არა სამართლის ისეთი მომენტი, რომელიც მას ახასიათებს მისი (ე. ი. სამართლის) განცალკევებითი წარმოდგენის, ე. ი. სამართლის სრული შექცევითი იზოლიაციის დროს, სხვა სახის მოვლენებისგან, არამედ ამით სწორედ ის თვისებაა აღნიშნული, რომელიც სამართალს ახასიათებს მის დამოკიდებულებაში სხვა მოვლენებთან, —კერძოდ, ამ შემთხვევაში ეკონომიურ მოვლენებთან. აშკარაა, რომ სამართლის „ზედნაშენად“ ცნობა შეუძლებელი იქნებოდა იმისთვის, ვინც რეცენზენტის მეთოდოლოგიას დაუჯერებს, ვინაიდან ამ მეთოდოლოგიის თანახმად იურისტს შეუძლია მხოლოდ სამართალი გახადოს: თავისი მსჯელობის საგნად. მსჯელობა კი, რომელიც სამართალს დაახასიათებს, როგორც „ზედნაშენს“, აუცილებლად უნდა შეეხოს იმ მოვლენებსაც, რომელთა მიმართ სამართალი ცნობილია, როგორც „ზედნაშენი“ და კერძოდ-კი, ამ მოვლენების იმ თვისებებს, რომელნიც მათ ახასიათებს სამართალთან დამოკიდებულებაში; მაგრამ მეორეს მხრივ ისიც აშკარაა, რომ სამართლის „ზედნაშენად“ ცნობა სამართლის მეცნიერებისთვის არამც თუ არ წარმოადგენს უმნიშვნელო და მეორე ხარისხოვან მსჯელობას, არამედ ისეთ მსჯელობას, ურომლისოდაც სამართლის ბუნების მთლიან გაგება მიუღწეველი იქნებოდა; ამიტომ სამართლის მეცნიერების ფარგლებიდან განსაღვევია არა ეს მსჯელობა, (რომელშიც ჩვენი რეცენზენტის შეხედულების საწინააღმდეგოდ ნაწილობრივ აუცილებლად უნდა იქნეს გაშუქებული არასამართლოვანი—ეკონომიური მოვლენები) როგორც ამას რეცენზენტს მოითხოვს („იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს“), არამედ იურისტრედუციის ფარგლებიდან უნდა განდევნილ იქნეს სწორედ რეცენზენტის მეთოდოლოგია, რომელსაც შეუძლია ჩვენს მეცნიერებას მხოლოდ ის სამსახური გაუწიოს, რომ სამართლის ბუნების გაშუქება შეუძლებელ ამოცანად აქციოს.

ამგვარად, საკითხი სრულებით არ არის ისე მარტივი, როგორც ეს ჩვენს რეცენზენტს ჰგონია. რასაკვირველია, სწორია ის დებულება, რომელიც ჩვენს წიგნში არის მოყვანილი და რომლის თანახმად სახელმწიფო სამართლის, ისე როგორც სხვა სამართლის მეცნიერების საგნად თვით სამართალი ანუ სამართლის ნორმათა გარკვეული სისტემა შეიძლება იქნეს ცნობილი. მაგრამ სწორედ

ამ საგნის შესწავლა, მისი ბუნების მთლიანი გაშუქება აუცილებლად ჰგულისხმობს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნასაც, რომელშიც საბაზისური მსოფლებათა სხვა სახის მოვლენებთან და ნაწილობრივ ამ უკანასკნელთან უკავშირების აღნიშვნასაც (სახელდობრ, რამდენადაც ეს საჭიროა სამართალსა და არა სამართლოვან მოვლენებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა გასაგებად). აქვე უნდა რეცენზენტის მოსაზრება, თითქოს სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის ცნობა იმ შედეგს იძლეოდეს, რომ იურიტიკა თავისი მსჯელობიდან უნდა განდგენოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს, უსაფუძვლოდ ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს სარეცენზიო ნაშრომის დებულებიდან და, გარდა ამისა, სამართლის შესწავლის შეუძლებლად ხდის.

5. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე დანარჩენი დასკვნებიც, რომელსაც რეცენზენტი ზევით მოყვანილ მსჯელობიდან აკეთებს 208—213 გვ. ამ დასკვნების შეფასებასას წინასწარ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უსისტემობა, რომელსაც აქ ვხვდებით; სხვადასხვა დებულებანი აქ ერთი-მეორე გვერდით არიან მოყვანილი რაიმე ლოგიკური კავშირის გარეშე. ასე, მაგალითად, ერთი მხრით ჩვენ აქ ვხვდებით დასკვნას, რომელიც აღნიშნავს, რომ თითქოს სარეცენზიო ნაშრომის დებულება—სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი—სამართალია—შეუძლებლად ხდიდეს სამართალი წარმოადგინოთ ისეთი მთლიანობის ცალკე ნაწილად, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს არ წარმოადგენენ; უშუალოდ ამის გვერდით-კი ჩვენ ვხვდებით სრულებით სხვა შინაარსის დასკვნას: „რა-კი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარს ვერ ამოსწორავს—ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს“. ადვილი შესაძინებია, რომ ეს ორი დასკვნა შინაარსობრივად არსებითად განსხვავდებიან ერთი-მეორისგან და რაიმე ლოგიკური კავშირი მათ შორის ძნელი აღმოსაჩენია. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ თითოეული დასკვნის განცალკევებით შეფასებაზე.

ა) იმ მოსაზრებათა შემდეგ, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, რეცენზენტის პირველ დასკვნაზე დიდიანს შეჩერება არ დავგვირდება. თქმა ამისა, რომ სამართალი ისეთი საგნის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მთლიანი შინაარსი მართლ სამართლებრივით არ ამოიწურება, არის მსჯელობა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელშიც სამართალი სხვა საგნებთან იმყოფება (კერძოდ, ამ შემთხვევაში იმ საგანთან, რომლის ნაწილს სამართალი წარმოადგენს და ამავე საგნის დანარჩენ, არასამართლებრივ ელემენტებთან), ვინაიდან აშკარაა, რომ ნაწილად ყოფნა დამოკიდებულებაში ყოფნის ნიშნავს. და რადგანაც (ზევით მოყვანილ მსჯელობათა თანახმად) სამართლის მთლიანი გაშუქება აუცილებლად ჰგულისხმობს იმ დამოკიდებულებათა აღნიშვნასაც, რომელშიც სამართალი იმყოფება არასამართლებრივ მოვლენებთან, აშკარაა, რომ იურიტიკა, წინააღმდეგ რეცენზენტის მტკიცებისა, არამც თუ შეუძლია წარმოადგინოს „თავისი საგანი იმის ნაწილად, რაც სამართალს არ წარმოადგენს, არამედ სწორედ ასე უნდა მოიქცეს, თუ სერს, რომ მის მსჯელობას რაიმე მეცნიერული ღირებულება ექნეს; ამით იგი სრულებით არ გასცილდება თავისი მეცნიერების ფარგლებს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც იგი იკვლევს იმავე სამართალს, მხოლოდ მის (ე. ი. სამართლის) სხვა საგნებთან დამოკიდებულებათა მხრით. ამ მოსაზრებებით სავსებით გაბათილებულია რეცენზენტის პირველი დასკვნა. აქ რეცენზენტს ვერ უშვერის ის დამატებითი მითითებანი, რომლებსაც იგი თავისი დასკვნების გასამკვირვებლად აკეთებს 210 გვერდზე. აქ რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ნაწილის შესწავლით მთლიანობის შინაარსის გამოკვლევა შესაძლებელია მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც ნაწილები ერთმანეთის შემაჯავებელი¹⁾ ურთი-ერთობაში არიან, ხოლო სარეცენზიო ნაშრომში-კი, რეცენზენტის მტკიცებულებით სამართალი და სოციალურია ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს წარმოადგენს. რომელთა შორის გაწყვეტილია „ლოგიკური კავშირი“. რეცენზენტის ამ უკანასკნელ მითითებას - ლოგიკური კავშირის გაწყვეტის შესახებ - ჩვენ საცემბით ვიღებთ, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ლოგიკური კავშირი შესაძლებელია მხოლოდ მსჯელობებს შორის და არა საგნებს შორის, სამართალი-კი ისე, როგორც სოციალური, არ წარმოადგენს მსჯელობას, არამედ საგანს. სამაგიეროდ, ჩვენ სრულიებით ვერ შეუერთდებით რეცენზენტის მტკიცებას, თითქმის სარეცენზიო ნაშრომი უარყოფედს სამართალსა და სოციალურ მოვლენებს შორის კავშირს. აქ საკამათო არაფერია, საკამარისია მხოლოდ ის, რაც სარეცენზიო ნაშრომში შვეით თეთრზე არის დაწერილი, სისწორით იქნეს წაკითხული და ამით აშკარა გახდეს, რომ რეცენზენტი სრულიებით დამახინჯებულად გადმოსცემს სარეცენზიო ნაშრომის დებულებებს ამ საკითხში. სათანადო იდელები სარეცენზიო ნაშრომიდან, რომელნიც რეცენზენტის ზევით-მოყვანილ მტკიცებას საცემბით აბათილებენ, მოყვანილია ჩვენი წერილის დასაწყისშივე და იქ დაწერილის განმეორება შედგმულია. ამგვარად, რეცენზენტის ზევით-მოყვანილი მსჯელობა სარეცენზიო ნაშრომის დებულებათა ყალბად გადმოცემაზე ემყარება და ამ უკანასკნელის გამოაშკარავებასთან ერთად მას ეკარგება დასაყრდენი ფუძე.

მაგრამ ამავე მსჯელობას ახასიათებს კიდევ მეორე გაუგებრობა. რეცენზენტის აზრით, სამართალი და სოციალური, სხვათა შორის, იმით არ უნდა წარმოვიდგინოთ მთლიანობის ცალკე მხარეებად ანუ ნაწილებად, რომ ნაწილად ყოფილი იქნება Ergänzungsbefürfnis-ად ყოფნას, „ხოლო სამართალი და სოციალური-კი ავტორის გამოკვლევამ არსებობენ, როგორც ორი საგანი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა“ (გვ. 211), ე. ი. რეცენზენტს ჰგონია, რომ თუ მოვლენების გარკვეული კომპლექსები ორი სხვადასხვა მეცნიერების საგანს შეადგენენ, მათ შორის შეუძლებელია რაიმე დამოკიდებულების არსებობა. ასეთი შეხედულება აშკარად შემეტარია, ვინაიდან ამა თუ იმ მეცნიერების მიერ მოვლენათა გარკვეული კომპლექსის თავის საგანად დასახვა, აშკარაა, ვერაუთთაო ცვლილებას ვერ გამოიწვევს თვით მოვლენებში და, კერძოდ-კი, ვერ მოსპობს იმ დამოკიდებულებებს, რომელნიც აღნიშნულ მოვლენებსა და სხვა მოვლენებს შორის არსებობენ; ამიტომ ამა თუ იმ საგნის განსაზღვრული მეცნიერების შესწავლის ობიექტად ცნობა შორეულადაც კი არ იძლევა რაიმე საფუძვლეს აღნიშნული საგნის სხვა მეცნიერებათა საგნებთან დამოკიდებულების უარსაყოფად.

ბ) გადავიდეთ ეხლა რეცენზენტის მეორე დასკვნის შეფასებაზე, რომლის თანახმად „რა-კი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფო შინაარსს ვერ ამოსწორავს... სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახ. სამ. მეცნიერების საგანს ალარ წარმოადგენს“. ამავე დასკვნას რეცენზენტი იმეორებს 210 გვერდზე, მაგრამ კიდევ უფრო გარკვეული ფორმით. აქ ნათქვამია: „რა-კი სახელმწიფო ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად არ არის თანაბარი სამართლისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთად ერთი საგნობრივი შინაარსია, ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი (როგორც მთლიანობა, ე. ი. როგორც საგანი) არ შეიძლება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს“. აღნიშნული დასკვნებიდან რეცენ-

¹⁾ სიტყვა „Ergänzungsbefürfnis“, რომელსაც რეცენზენტი ხმარობს, აქ იმავე გარემოების განსულოლოგიურ ასაქვას წარმოადგენს, რომელიც, ომტოლოგიის ენაზე გადატანილი, დამოკიდებულების ცნებით აღინიშნება; სწორედ ამიტომ უპირატესობას ჩვენ ამ უკანასკნელ ტერმინს ვაძლევთ.

ზენტს შემდეგ ის დებულება გამოჰყავს, რომ იურისტს, რომელიც სამართალს სწავლობს, არ შეუძლია იფიქროს თითქოს ის სახელმწიფოს სწავლობს და რომ, ის, ვინც სახელმწიფო სამ. მეცნიერების საგანს ნორმის-სისტემაში შე-
დაეს, მაგრამ სახელმწიფოსა და სამართალს არ გაიგივებს, დაუკარგავს სახელ-
მწიფო სამართლის მეცნიერებას თავის საგანს, ე. ი. სახელმწიფოს.

მთელი ეს არგუმენტაცია ზოგიერთი ცნების ორატორიულად ხმარებას ემყარება და საკმარისია ამ ორატორიულების გამოაშკარავება, რომ მას დასაყრდენი ფუძე გამოეკალოს. განვიხილოთ უფრო დაახლოებით, თუ რაშია საქმე. როდესაც რეცენზენტი ხმარობს გამოთქმას „სახელმწიფო, როგორც ასეთი“ საკითხავია, თუ რას ჰგულისხმობს ის აქ. თუ ამ გამოთქმით ნაგულისხმევია სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი, მაშინ რეცენზენტი ღია კარებს არაბუნებს, ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომი სწორედ იმ დებულებიდან გამოდის, რომ სამართალი ან უკეთ, სახელმწიფოს სამართლებრივი მხარე, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს, არ ამოწურავს საესეებით სახელმწიფოს ბუნებას. ამ დებულების უარსაყოფად საჭირო იყო ან იმის დამტკიცება, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი მართო სოციალურით ამოიწურება და სამართლებრივი მოქმენტი აქ მოცემული არ არის, არც ერთს და არც მეორე საკითხს რეცენზენტი არც-ი ვება და ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი გამოთქმით — „სახელმწიფო, როგორც ასეთი“ ან „სახელმწიფო, როგორც-მთლიანობა“ — სახელმწიფოს მთელ შინაარსს ჰგულისხმობდა, მის არგუმენტაციას ყოველგვარი აზრი ეკარგება, ვინაიდან სწორედ სარეცენზიო ნაშრომის დებულება არის, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი არ შეისწავლება მართო სახ. სამ. მეცნიერებით და ამ დებულებაზე მითითება არ წარმოადგენს რაიმე ნაკლის აღმოჩენას სარეცენზიო ნაშრომში, სანამ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო, ე. ი. ის, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი შეიძლება გაშლილ იქნეს მხოლოდ სახ. სამართლის მეცნიერებაში. აღბად, გონიერებამ უკარნახა ჩვენ კრატეოსს ასეთი რამის მტკიცებას მორიდებოდა, ვინაიდან აშკარაა, რომ ის პაპიურიდიზმი, რომელიც ამ მტკიცების ლოგიკურად აუცილებელ შედეგს წარმოადგენს, ყველაზე უფრო გამოუსადეგარი და უნაყოფო გზაა სახელმწიფო სამართლის პრობლემების დამუშავებისას.

მაგრამ გამოთქმით — „სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს“ — შეიძლება ნაგულისხმევი იყოს არა სახელმწიფოს მთელი შინაარსი და, მაშასადამე, ის აზრი, რომ სახელმწიფოს მთლიანი შინაარსი არ ამოწურავს სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, არამედ ის აზრი, რომ სახელმწიფო სრულებით არ შეისწავლება სახ. სამ. მეცნიერებისგან, რომ მართლაც რეცენზენტს ეს ჰქონდა მხედველობაში, ამას თითქოს ზევით-აღნიშნული გამოთქმის შემდგომ უშუალოდ თანამომადევნო სტრიქონები ადასტურებს. აქ ნათქვამია: „იურისტს, რომელიც იკვლევს ნორმათ-სისტემას... არ ძალუძს იფიქროს, რომ იგი თითქოს სახელმწიფოს იკვლევს“. რეცენზიის ასეთი დასკვნა აშკარად უსაფუძვლოა, ვინაიდან ელემენტარული დებულებაა, რომ ამა თუ იმ კომპლექსის მთლიანობის ცალკე მხარის, ანუ ამ კომპლექსის მთლიანობის შინაარსიდან ნაწილს შესწავლა თვით მთლიანობის (ნაწილობრივ) შესწავლას ნიშნავს. საწინააღმდეგოს მტკიცება იმ აბსურდ დასკვნამდე მიგვიყვანდა, რომ, მაგ. ანატონია, რომელიც ადამიანს იკვლევს არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ (ადამიანის ორგანიზმის აგებულებას) თითქოს ადამიანს არ უნდა სწავლობდეს.



აღბად, რეკენენტები თვითონვე ჰგონობდა თავისი დასკვნის ამსრულ-
ბას და მდგომარეობის გამოსასწორებლად მას შემდეგი მოსახრებელი მსჯელობა:
„ამ შემთხვევაში მითითება იმაზე, რომ სახ. სამ. მეცნიერება თითქმის მხოლოდ
სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს და სოციალოგია-კი სოციალურ
მხარეს, ვერ გადაარჩენს ჩვენი ავტორის ძირითად დებულებებს, რადგანაც
თითო ავტორის მეთოდის თანახმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე. ი. სა-
მართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი, წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლი-
ანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ
ამოიწურება“.

ჩვენი აზრით-კი, სწორედ ამ არგუმენტაციის გადარჩენა არის შეუძლე-
ბელი საქმე. ადვილი შესაძლებელია, რომ მთელი ეს არგუმენტაცია ემყარება
ისეთ დებულებას, რომელიც ზევით საკმაოდ ვრცლად იყო განხილული და მი-
ის სრული უზიდავაგობა გამოაშკარავებული: ეს არის დებულება იმის შესახებ,
თითქოს შეუძლებელი იყოს სამართალი წარმოვიდგინოთ ისეთი მთლიანობის
ცალკე მხარედ, რომლის შინაარსი სამართალით სავსებით არ ამოიწურება და
რომ თითქოს ასეთი შეუძლებლობა გამომდინარეობდეს სახელმწიფო სამართ-
ლის მეცნიერების საგნად იმ სამართლებრივი შინაარსის ცნობისგან, რომე-
ლიც სახელმწიფოს მთლიანობაში სოციალურის გვერდით არის მოცემული. ამ
დებულების შეფასებასა და მისი უსაფუძვლობის გამოაშკარავებაზე ვრცლად
შევერდით ზევით და ხელმეორედ ამავე საკითხს აღარ დაუბრუნდებით.

ამგვარად, ზევით-მოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით, ჩვენი რეკენენტის
მეორე დასკვნაც — თითქოს სარეკენზიო ნაშრომის მეთოდოლოგია შეუძლებლად
ხდიდეს სახელმწიფოს ცნობას სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად —
გაუგებრობას წარმოადგენს და მას სერიოზული ანგარიში არ გაეწევა.

ანგარიშგასაწევი არ არის აგრეთვე არც ის მოსაზრებანი, რომლებიც რე-
კენენტს ზევით-აღნიშნულ დასკვნებთან დაკავშირებით მოჰყავს 211 გვერდზე.
აქ რეკენენტის შემდეგნაირად მსჯელობს: „რა-კი სახელმწიფო სამართლის
მეცნიერების საგნობრივი შინაარსი არ შეიძლება ჩავთვალოთ მთლიანობის
ცალკე მხარედ, 2. რა-კი ეს საგნობრივი შინაარსი იგივე არ არის, რაც სა-
ხელმწიფო და 3. რა-კი იგი წარმოადგენს არა ნორმათა განსაზღვრულ სისტე-
მას, არამედ საერთოდ ნორმებს... ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მე-
ცნიერება ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად არის არა მეცნიერება სახელმწი-
ფოზე, არამედ უბრალო მომღერება სამართლისა და ნორმების შესახებ და
თანაც ისეთი მომღერება, რომელიც თავის საგნად ვერასოდეს სახელმწიფოს
ვერ ჩასთვლის“.

აქ მოყვანილი სამი დებულებიდან პირველი უსაფუძვლოა იმ მოსაზრებებით,
რომელნიც ზევით (4—5) ვრცლად იყვნენ განვითარებულნი. მესამე დებულება
აშკარად ყალბია, ვინაიდან სარეკენზიო ნაშრომის არც ერთ გვერდზე სახელ-
მწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ცნობილი არ არის, საერთოდ, ნორ-
მები; პირველი, აღნიშნული ნაშრომის სხვადასხვა ადგილას ის, რასაც სახელმ-
წიფო სამართლის მეცნიერება უნდა სწავლობდეს, დახასიათებულია, რო-
გორც იურიდიული მოწყობების („rechtlicher Regulierung“) სისტემა (გვ. 2 6)
ე. ი. როგორც სამართლებრივი წესრიგი (Rechtsordnung, s 15), ან როგორც
Rechtssein des Staates. რჩება, ამგვარად, მხოლოდ მეორე დებულება, რომ-
ლიდანაც ვერავითარი გზით ვერ გამოიყვანება დასკვნა, თითქოს სახელმწი-
ფოს შესწავლა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების კვლევა-ძიების რკალს
მიღმა რჩებოდეს, ვინაიდან აშკარაა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერე-
ბა, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს, ამით თვით
სახელმწიფოსაც (ნაწილობრივ) სწავლობს, ისე როგორც, მაგ., ფსიქოლოგია,

იკვლევს რა ადამიანის ფსიქიურ მოვლენებს, სწავლობს ადამიანს, თუ რა ფსიქიური მთლიანად არ ამოსწორავს ადამიანის შინაარსს; და ამ შემთხვევაში, რომ სამართლებრივი მოცემულია, როგორც შემადგენელი ნაწილი სამხელმწიფოს მთლიან შინაარსში და მისი შესწავლა, ცხადია, თვით სახელმწიფოს შესწავლაა.

ამგვარად, ჩვენ ამ უდაო შედეგამდე მივდივართ, რომ რეცენზენტის ზევით-მოყვანილი დასკვნა ისეთ დებულებებს ემყარება, რომელთაგან პირველი უსაფუძვლოა, მესამე ყალბია და მეორე-კი ისეთი შინაარსისაა, რომ დასკვნისთვის ზორიულ საფუძველსაც კი არ იძლევა. ამიტომ თვით დასკვნაც პაერში რჩება დაკიდებულად.

მაგრამ კიდევ უფრო კუროზულია დანარჩენი მოსაზრებანი, რომელიც რეცენზენტს იმავე 211 გვერდზე მოჰყავს. აქ ნათქვამია: მაგრამ, თუ ამ დასკვნის წინააღმდეგ გვიპასუხებენ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება... სწავლობს რა სამართლებრივ მხარეს ნამდვილად იკვლევს იმ ფენომენს,—რომელსაც სახელმწიფო ეწოდება და სოციოლოგია სწავლობს რა მხოლოდ სოციალურს... იკვლევს იმავე სახელმწიფოს, მაშინ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელი შინაარსი ატყილებლად გაიყვება სამართლის შინაარსით, ე. ი. სამართლსა და სახელმწიფოს შორის თანასწორობის ნიშანი დაისმის“...

ადვილი შესამჩნევია ის ელემენტარული ლოგიკური შეცდომა, რომელიც ამ მსჯელობაშია დაზვებული და რომელიც მას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავს. სახელდობრ, აშკარაა, რომ თუ სამართლის მეცნიერება სწავლობს სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს, ის იმ ფენომენს, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, იკვლევს არა მთლიანად (როგორც ეს ნაგულისხმევი აქვს რეცენზენტს), არამედ ნაწილობრივ (მხარეს) და ამიტომ აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს არც იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთელი შინაარსი გაიყვოს სამართლის შინაარსით და არც იმისთვის, რომ სახელმწიფოსა და სამართალს შორის თანასწორობის ნიშანი დავსვათ. შეცდომა რეცენზენტის არგუმენტაციაში აქ იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზედმეტად მიგვაჩნია კიდევ რაიმე მოსაზრების მოყვანა. მაგრამ, თუ ეს არგუმენტაცია უსაფუძვლოა, რეცენზენტის მითითება რაღაც ორ სახელმწიფოზე, რომელთაგან ერთი სამართლებრივი, მეორე-კი სოციალური შინაარსით ამოიწურება, ან რაღაც უხელისუფლებო სახელმწიფოზე, მითითება, რომელსაც რაიმე აზრი აქვს მხოლოდ ამ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, ერთ დიდ გაუგებრობას წარმოადგენს და იმ თავისებური ლოგიკის შედეგია, რომლის ნიმუშებიც რეცენზიაში ასე უხედადა გაბნეული.

6. ჩვენი რეცენზენტი უფრო სხვა შეხედულებასა ზევით-დაყენებულ საკითხზე და, ალბად, ამიტომ არის, რომ იგი სხვა სახის მოსაზრებებით სკდილობს დამატკიცოს ის დებულება, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის აღიარებით სახელმწიფოს გამოცელება ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს, ე. ი. სახელმწიფო მთლიანად სამართლებრივი შინაარსით გაიყვება. რეცენზენტი აქ შემდეგნაირად მსჯელობს:

თუ მივიღებ ნედველითაში, რომ იურისტს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ სამართალზე, სრულიად უხეველი იქნება, რომ სამ. სამ. მეცნიერების საგნობრივ შინაარსს იგი მიაკუთვნებს მხოლოდ სამართალსა და იმას, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს. მხოლოდ სამართლის ეს განხორციელება ან განსაკუთრებული ნორმების სისტემის Wirkung-ი შეუძლია იურისტს აღიაროს სახელმწიფოს სოციალურ რეალობად.

რამოდენიმე სტრიქონს ქვევით რეცენზენტი განავრცობს:

იურისტს არ შეუძლია სახელმწიფოს შინაარსს მიაკუთვნოს სოციალურ ერთეულობათა ვეელა ფორმები, არამედ მხოლოდ ის ფორმები, რაც მოცემულია სამართალში, ე. ი. წარმოადგენს იმ სამართლის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის

მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული, მაგრამ უნდა იქნას აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს შინაარსის შედგენის არა სოციალურ ურთიერთობათა, არამედ საერთოდ სოციალური, ამ შემთავებით უნდა იქნას გაგებული, არამედ მისათვის, რომ საერთოდ სოციალური აღიარებით, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, როგორც სამართლებრივი მხარე აქვს, საჭიროა მთლიან სოციალური განხილვით იქნეს სამართლის თვალსაზრისით. ამ სოციალურის მოსაძიებლად, რომელიც სამართალთან ერთად სახელმწიფოს შეადგენს, იჭრის სხვა შედეგთა მთლიან, სამართლის კრიტერიუმით იხელმძღვანელის. მაგრამ ანა წარმოსადგენია, რომ სამართლის კრიტერიუმით სხვა რამ მოიხაზოს, თუ არა სამართალი? არა მგონია. ანტიკომის სფერო, რომელიც ავტორის აზრით სახელმწიფოს სოციალური მხარეა, ან სრულიად უნდა მოსწყდეს სახელმწიფოს, ან და ეს სოციალური მხარე უნდა წარმოიფხვინოს როგორც სამართალი ან როგორც განხორციელება სამართლისა, როგორც სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი უფრო სწორედ: ეს სოციალური მხარე არის განხორციელება სახელმწიფოს, სამართლებრივი მხარისა*, აღსრულება (Befolgung) ნორმით იმ სიტუაციაში, რომელიც საბ. ს.მ. მეცნიერების საგნობრივ შინაარსს წარმოადგენს (გვ. 212—218).

ჩვენ განზრახ ასე ვერცაღ მოვიყვანეთ რეცენზიიდან ადგილები, ვინაიდან აქ ძალიან ბევრი რამ არის ურთიერთის მისაქციევი. პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ რეცენზენტი არსებითად განსხვავებულ ცნებებს, ერთი-მეორის ნაცვლად ხმარობს. ცნებათა ასეთი არე-დარევის შედეგად კი სათანადო მოვლენები დამახინჯებულად არის გაშუქებული. ასე, მაგალითად: სამართლის განხორციელება, სამართლის Wirkung და სამართლის ნორმები Befolgung რეცენზიაში ერთი-მეორესთან გაიგივებულია, მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, — რომელიც მათ შორის არსებობს. სამართლის განხორციელების ქვეშ შესაძლებელია ვიგულისხმოთ სამართლის შეყარდება ანუ სამართლის ზოგადი ნორმების რეალიზაცია ორგანოების აქტებში — გადაწყვეტილება — სისრულეში მოყვანის აქტებში Entscheidung- und Vollzugsakte). მხოლოდ ასეთის გაგებით, რომელშიც სამართლის განხორციელების ცნება გაიგივებულია სამართლის რეალიზაციის კენ მიმართულ ორგანოს აქტის ცნებასთან, იგი შედის სამართლის შინაგან სისტემაში, როგორც შემადგენელი ელემენტი და იგი დამირისპირებულია არა სამართალთან საერთოდ, არამედ მხოლოდ სამართლის ზოგად ნორმებთან; მაგრამ ასეთი გაგებით შეუძლებელია სამართლის განხორციელება ცნობილ იქნეს სოციალურ რეალობად, რამდენადაც საერთოდ დაშვებულია განსხვავება სამართალსა და სოციალურ რეალობას შორის.

ყოველივე ეს არ შეიძლება ითქვას დანარჩენი ორი ცნების — Befolgung და Wirkung-Befolgung-ის შესახებ, რომლებსაც რეცენზენტი რაღაც გაუგებრობით სამართლის განხორციელებასთან იგივეებს. ნორმის Befolgung, ე. ი. ნორმისადმი დაქვემდებარება, ნორმით ხელმძღვანელობა მოქმედებაში, არ წარმოადგენს სამართლის განხორციელებას ზეით ნაბნელები შინაგანობით, ვინაიდან იგი არ არის სამართლის ზოგადი ნორმების რეალიზაციისკენ მიმართული ორგანოს აქტი. ამიტომ ლიტერატურაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ თუ სამართლის განხორციელებაზე მითითებით ჩვენ არ ვცოდნებით სამართლის სფეროს, ნორმის Befolgung უკვე ისეთ ცნებას წარმოადგენს, რომელსაც მეტასამართლებრივ, ე. ი. არასამართლებრივ, სფეროში გადაყვავართ და ეს იმიტომ, რომ იგი (Befolgung) წარმოადგენს არა სამართლის მთლიან სისტემის შინაგან რგოლს, არამედ სამართლის რეფლექსს სოციალურში²⁾.

იგივე უნდა ითქვას სამართლის Wirkung-ის, ე. ი. სამართლის ნორმების მოქმედების, შესახებ. უკანასკნელი ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ან ის, რომ

1) იხ. Verdross, Die Einheit des rechtlichen Weltbildes, 1923, s. 80 ff.
 2) იხ. Verdross, loc. cit. s. 81-82; Kelsen, Hauptprobleme, s. 48; Biondi - Das Problem der Souveränität, s. 88 ff.

სამართლის ნორმა მოქმედებს. ან კიდევ ის ზეგავლენა, ის სოციალური ეფექტი, რომელსაც ნორმა იწვევს. აშკარაა, რომ როგორც პირველსა და მეორეს შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენებთან, რომელნიც სანარჩესის მიეკუთვნებიან: განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეორე შემთხვევის შესახებ, ვინაიდან ნორმის მოქმედების სოციალური ეფექტი ძალიან ხშირად სრულებით საწინააღმდეგაა ნორმის შინაარსთან და ასეთ შემთხვევებში, ცხადია, რომ სამართლის ნორმის Wirkung-ი ვერავითარცა გზით ვერ იქნება ენობილი სამართლის განხორციელებად და ამიტომ ვერც ამ უკანასკნელთან გაიგივებული, როგორც ამას რეცენზენტი სჩადის.

ამგვარად, როგორც ნორმის Befolgung, ისე ნორმის Wirkung არ წარმოადგენენ სამართლებრივ კატეგორიებს და ისინი სოციალურს მიეკუთვნებიან; მაგრამ, თუ ეს იქნება მიღებული მხედველობაში, რეცენზენტის დასკვნა—თითქოს იურისტს სახელმწიფოში მხოლოდ სამართლისა და სამართლის განხორციელების აღმოჩენა შეეძლოს, არ არის სწორი, ვინაიდან თვით რეცენზენტიც იძულებულია დაინახოს სახელმწიფოში ნორმის Befolgung და ნორმის Wirkung, რომელთაგან, როგორც ზევით იუა დასაბუთებული, არც ერთი არ წარმოადგენს არც სამართალს და არც სამართლის განხორციელებას. მართა ეს ერთი მოსახრებაა-კი სავსებით არღვევს რეცენზენტის ზევით-მოყვანილ მსჯელობებს. მაგრამ აქ საჭიროა ამოღობინებ სიტყვით მეორე საკითხზე შეჩერება.

თუთი მსჯელობაში რეცენზენტი აღნიშნავს, რომ სოციალურის აღმოსაზრნად იურისტს შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ სამართლის კრიტერიუმით, ამ უკანასკნელით-კი შეიძლება მოინახოს მხოლოდ სამართალი. რით დასაბუთებს რეცენზენტი ამ მსჯელობას? არაფრით, ვარდა ერთი უშინაარსო გამოთქმისა, რომელიც რეცენზენტს, აღბად, აქსიომატიურ დებულებად მიიჩნია: „რომ იცოდე რა გვაკლია, უნდა იცოდე რა გვაქვს“. საკვირველი დასაბუთებაა! ჯერ ერთი, ეს რეცენზენტის „აფორიზმი“ სწორი არ არის, ვინაიდან მართა იმისი ცოდნით, თუ რა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ იმას გავიგებთ, თუ რა არ გვაკლია, მაგარასდროს არ გვეცოდინება ის, რაც გვაკლია; მაგრამ ყოველივე ამას რა ეკუთრება აქვს სამართლის კრიტერიუმით სოციალურის ძებნის საკითხთან? ან, მეორე მხრით, რას ნიშნავს სამართლის კრიტერიუმით სოციალურის ძებნა? განა სოციალური „მოსაპოებელი“ რამ არის, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ სამართლის კრიტერიუმს მოვიმარჯვებთ? რა შინაარსი იგულისხმება თვით სამართლის კრიტერიუმის ცნებაში? აი, ყველა ის საკითხი, რომლებსაც ვამუშავებთ რეცენზენტისათვის სავალდებულო იყო, თუ მას არ სურდა, რომ მის მსჯელობას რეცენზენტის ამ ნაწილში უშინაარსო ფრაზეოლოგიის ხასიათი მიეღო. თავის თავად ცხადია, რომ სოციალური უშუალოდ არის მოცემული და სწორედ ამიტომ არავითარი კრიტერიუმები მის „მოპოებისათვის“ საჭირო არ არის; მეორე მხრით, ვერავითარცა, და მით უმეტეს, სამართლის კრიტერიუმი (რომლითაც თურმე მართა სამართლის აღმოჩენა ყოფილა შესაძლებელი. კარგი კრიტერიუმი, რომელიც თუმც სოციალურის „მოსაპოებლად“ არის განკუთვნილი, მაგრამ რომელიც სწორედ იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ სოციალურს ვერასოდეს „მოგვანახებებს“) სინამდვილიდან ვერ ამოშლის იმ სოციალურ რეალობას, რომელიც სახელმწიფოს მთლიან შინაარსში უშუალოდ არის მოცემული. შესაძლებელია, რომ იურისტს უფრო სხვა ინტერესები ჰქონდეს ამ სოციალურის შესწავლის დროს; შესაძლებელია, მას აინტერესებდეს არა მთლიანად სოციალური, არამედ სახელმწიფოს სოციალური შინაარსის ის დენა, რომელიც სამართალთან უფრო ახლოს სდგას, რომელიც სამართალთან უშუალო დამოკიდებულებას გვიჩვენებს, მაგრამ საკითხთან ასეთი (იურიდიული) მისეკლით, ცხადია, არც ის არის დამტკიცებული, რომ სახელმწიფოს მთელი სოციალური ში-



ნაარსი ამ ფენით ამოიწურებოდეს, და არც ის, რომ, საერთოდ, სოციალისტების „მოპოვება“ შესაძლებელი იყოს საკითხთან ასეთ „იურიდიულ“-კანონმდებლობით“ მისვლით. აშკარაა, რომ ამ ვხვით ჩვენ პირველი კი არ ვპოულობთ, სრულიად პირველად, არამედ ვარკვეულ ფენას, ვარკვეულ ნაწილს გამოვყოფთ უშუალოდ მოცემული სოციალისტურიდან, რომელშიც, ცხადია, სხვა „ნაწილებიც“ იგულისხმება.

ამგვარად რეცენზენტის, ზევით ვრცლად მოყვანილი არგუმენტაცია შორის არის დაცილებული სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობას და ასეთი არგუმენტაციით არაერთად შემთხვევაში არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს რეცენზიაში წამოყენებული დებულება (თითქოს საბ. სამართლის მეცნიერების საგნად სამართლის აღიარება, შეუძლებლად ხდიდეს სახელმწიფოს მთლიან შინაარსში სოციალისტური აღმოჩენას. მიუხედავად ამისა, რეცენზენტს მთელი ეს, ქიქის ფეხებზე შეყენებული, არგუმენტაცია მტკიცე და ურყევი მიაჩნია.

რეცენზიის მთავარი დებულებანი ჩვენ მიერ უკვე განხილულია. დარჩა რამდენიმე დამატებითი მოსაზრება, რომელიც რეცენზენტს ზევით-განხილულ მსჯელობათა ვასამარებლად მოჰყავს და რომელზედაც მოკლედ შევიჩრდებით.

214 გვერდზე რეცენზენტი შემდეგ საკვირველ დებულებებს აყენებს:

„თუ აქტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის, ხან კიდევ სხვა რამდენიმე სამართლის, მეცნიერება (რადგანაც სამართალს ეს მეცნიერებაშიც იკვლევინ, მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა (Rechtsstufen), რომელთაგან ერთი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წესდგენს... მაგრამ ვინ, ან რა აწყობს სამართლის საფეხურებს, თუ არ სახელმწიფო?“

რამდენიმე სტრიქონით ქვევით:

ამგვარად, იმისთვის, რომ სამართლის სისტემაში თავისებური საფეხურიანობა შექმნათ და ამით საბუღმწ. სამართლის მეცნიერების განსაზღვრული საფეხური მიეკუთვნოთ, საჭიროა ორიენტაცია სახელმწიფო აქტის იდეაზე და, მაშასადამე, საჭიროა უდიდროთ ამ აქტების მატარებელიც, ე. ი. სახელმწიფო თერიდიულ პირად უნდა ჩავთვალოთ.

აქიდან რეცენზენტს გამოჰყავს დასკვნა, რომ სარეცენზიო ნაშრომისთვისაც, (რამდენადაც იგი საბ. სამ. მეცნიერების საგანს ნორმათა განსაზღვრულ სისტემაში ხედავს) საფუძვლებლო იყო სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარება, ვინაიდან „თუ ჩვენ არ მივიღებთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბ. სამართლის მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს“.

განვიხილოთ ჯერჯერობით, თუ რამდენად სწორია, აქ მოყვანილი დებულებანი. ვინც იმ თეორიას იცნობს, რომელსაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ, როგორც Stufentheorie des Rechtes ე. ი. თეორიას სამართლის საფეხურებრივ აგებულების შესახებ, მას არ შეიძლება განსაკვიფრებლად არ მოეჩვენოს, ერთი მხრით, ის ვარემოება, რომ რეცენზენტი სამართლის საფეხურებრივ დანაწილებას უკავშირებს იურიდიულ მეცნიერებათა დღეს არსებულ სისტემატიკას, ხოლო მეორე მხრით-კი, ის ლოგიკური კავშირი, რომელიც რეცენზენტის მტკიცებით აუცილებლად არსებობს აღნიშნულ თეორიას და სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარებას შორის, ორივე ეს დებულება გაცივრებას იწვევს, ვინაიდან არც ერთი მათგანი შორეულადაც კი არ ჩამოჰყავს სინამდვილეს.

შევიჩრდეთ პირველ დებულებაზე. სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორია გამოუმუშავებულია, როგორც რეაქცია გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად სამართალი კანონით ან კანონისმავგარი აქტებით ამო-

იწერება. ამის საწინააღმდეგოდ აღნიშნული თეორია უთითებს, ¹⁾ რომ კანონი სამართლის სხვადასხვა მოვლენებს შორის მხოლოდ ერთ სპეციფიკურად განსაზღვრულ, რომლის გვერდით მოცემულია სხვა სახეები, როგ., ნაგალიხად, სპეციფიკური, ადამი, კონსტიტუციონალური აქტები, სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტი, კერძო უფლებრივი გარიგებანი. ყველა ეს სამართლებრივი მოვლენა საფუძვლებრივ, ე. ი. ცალკე ფენებად არის მოცემული, სადაც უპაღვს საფუძვლებრივ, ე. ი. ძირითადი ნორმა (Ursprungsform) წარმოადგენს, ხოლო ყველაზე უფრო დაბალ საფეხურს ე. წ. ფაქტური ხასიათის აქტები (rein tatsächlichen Akte).

ამ თეორიიდან, სხვათა შორის, ზოგიერთ ავტორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ იურიდიულ მეცნიერებათა არსებული სისტემატიკა, რომელიც სამართლის ჰეილს „*nachhaltig-praktischen Gesichtspunkten*“ და ამ თეორიისათვის სამართალდებულებათა (Rechtssatz) ნაწილს სახელმწიფო სამართალს, ნაწილს ადმინისტრაციულ სამართალს, სამოქალაქო სამართალს და სხვ. აკუთვნებს, უნდა უარყოფილ იქნეს და მის ნაცვლად უნდა გამოიშეყვანოს ახალი სისტემატიკა; უკანასკნელს სურს არსებულ სისტემატიკაში „*von aussen her erfolgte Einteilung durch eine aus dem Innern des Rechts stammende ersetzen...*“.

ამგვარად, სამართლის საფუძვლებრივი წყობის თეორია არაა ცოცხალი თუ არ უკავშირდება იურიდიულ მეცნიერებათა არსებულ სისტემატიკას, არამედ არსებითად უარყოფს მას. რეცენზენტი კი აღნიშნავს: „თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა ყოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან ნაგალიხად სამართლის, ხან საინჟინერო სამართლის... მეცნიერება, მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფუძვლებისა, რომელთაგან ერთი სახ. სამ. მეცნიერების საგანს შეადგენს“, ე. ი. რეცენზენტი ამბობს, რომ სამართლის მეცნიერებათა არსებული სისტემატიკის ფარგლებში (სისხლის, სამართალი, სამოქ. სამართალი და სხვა) სახ. სამართლის მეცნიერების სხვა სამართლის მეცნიერებათაგან გამოიყვანოს, საჭირო იყო სამართლის საფუძვლებრივი წყობის თეორიის გამოყენება. სინამდვილეში-კი ეს თეორია, როგორც ნახსენები იყო, საერთოდ უარყოფს არსებულ სისტემატიკას და უკანასკნელის ფარგლებში მეცნიერებათა ერთიმეორისგან გამოიყვანის დროს, ცხადია, სახელმძღვანელოდ აღებული ვერაქითარა გზით ვერ იქნება. ეს არის პირველი გაუგებრობა, რომელიც რეცენზენტის ზეით-მოყვანილ დებულებებს ახასიათებს.

მეორე და მოუკიდებლად ამისა, საერთოდ, რა შეაშია აქ სამართლის საფუძვლებრივი თეორია? ვისაც-კი სარეცენზიო ნაშრომი წაკითხული აქვს, უნდა იცოდეს, რომ იქ არსად დასმული არ არის საკითხი სახ. სამ. მეცნიერების სხვა სამართლის მეცნიერებათაგან გამოიყვანის შესახებ და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ამ ნაშრომის ძირითადი დებულების თანახმად სახ. სამ. მეცნიერების საგნის სწორი განმარტება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც წინასწარ გაშუქებული იქნება ის თავისებურება, რომელიც სამართალს საერთოდ ახასიათებს. სწორედ ამიტომ არის, რომ სარეცენზიო ნაშრომი მთლიანად ამ წინასწარი ამოცანის გადაჭრას აქვს მიძღვნილი, ე. ი. მასში დასმულია საკითხი იმ ძირითადი ელემენტების შესახებ, რომელთაც სამართალში ვხვდებით, ამ ელემენტების ბუნებისა და იმ დამოკიდებულებათა შესახებ, რომელნიც სამართლისა და არა სამართლებრივ (სოციალ-ეკონომიურ

¹⁾ იხ. სხვათა შორის Merkl, die lehre v. der Rechtskraft, 1924, s. 161 ff; Merkl, Allgemeines Verwaltungrecht, 1927, s. 157, ff; Verdross, Die Verfassung der Völkerrechtsgemeinschaft, 1926, 42 ff.



და სხვ.) მოვლენებს შორის არსებობენ. ვისაგებია აქიდან, რომ აქ არამც თუ არ არის დასმული საკითხი სახ. სამ. მეცნიერების სხვა იურიდიულ შექმნაჯერება-თაგან გამოიჯენის შესახებ, არამედ ასეთი საკითხი აქ ვერც წარსმენისა. ამიტომ არც სამართლის საფეხურებრივი წყობის თეორიისადმი მიმართვა იყო საჭირო სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის, როგორც ამას რეცენზენტი ფიქრობს. მაგრამ, თუ ეს ასეა, ყველა დასკვნა, რომელსაც ჩვენი კრიტიკოსი აკეთებს 215—216 გვერდზე, ჰერში რჩება დაკიდებული.

ეხლა გადავიდეთ ამ დასკვნების შინაგანი ლოგიკის შეფასებაზე, ე. ი. იმაზე, თუ რამდენად გამომდინარეობენ ერთი-მეორისგან რეცენზენტის სხვა-დასხვა დებულებანი.

მის შემდეგ, რაც რეცენზენტმა სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის სა-ვალდებულოდ სცნო სამართლის საფეხურებრივი თეორიისადმი მიმართვა, იგი განაგრძობს: აღნიშნული თეორიის განხიარება აუცილებლად ჰკულისხმობს სა-ხელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას. ამ უკანასკნელი დებულების დასამტკი-ცებლად რეცენზენტი ორი მოსაზრება მოჰყავს: ა) ის, რომ სამართლის საფე-ხურებს სახელმწიფო აწყობს და ბ) რომ სამართლის საფეხურებრივი თეორია აუცილებლად საჭიროებს ორიენტაციას სახელმწიფო აქტის იდეისაკენ და ამი-ტომ ამ თეორიისთვის აუცილებელია ამ აქტების მატარებლის აღიარება; ე. ი. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა.

ორივე ეს მოსაზრება უსაფუძვლოა. შევჩერდეთ პირველ მოსაზრებაზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს მოსაზრება უსაფუძვლოა მარტო იმიტომ, რომ, სამართლის საფეხურებრივი თეორიის თანახმად, ყველაზე უმაღლესი საფეხური სამართლის ფენებში ვერად წოდებული Ursprungsnorm, ე. ი. ძირითადი ნორმა, საერთოდ არ ატარებს დადგენილ (gesetzte) ანუ დაწესებული ნორმის ხასიათს¹⁾, და იმიტომ მის მიმართ ყოველ შემთხვევაში უაზროა იმის თქმა, თითქოს მას სახელმწიფო „აწყობს“.

მაგრამ უკანასკნელი გამოთქმა უაზროა აგრეთვე სამართლის სხვა დანარ-ჩენი საფეხურების მიმართ, ვინაიდან იმ ავტორების თვალსაზრისით, რომელნიც საფეხურებრივი თეორიის საფუძველზე სდგანან ამა თუ იმ მოქმედების სახელმ-წიფოს მოქმედებად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ სამართლ-დებულების (Rechtssatz) საფუძველზე, მაშასადამე, იმ მოქმედებისაც, რომელიც, რეცენზენტის გამოთქმით, სამართლის საფეხურების „აწყობაში“ მდგომარეობს; ე. ი. ეს უკანასკნელი მოქმედება უკვე ჰკულისხმობს სამართლის ცალკე ფენების წინასწარ მოცემულობას და იმიტომ სრული უაზრობა იქნებოდა მტკიცება, თითქოს იგი, ე. ი. ეს მოქმედება, პირველად „აწყობდეს“ სამართლის საფე-ხურებს.

გადავიდეთ ეხლა რეცენზენტის მეორე მოსაზრებაზე, რომლის თანახმად სახელმწიფო აქტის იდეისკენ ორიენტაცია, რომელიც აუცილებლად საჭიროა სამართლის საფეხურებრივი თეორიისთვის, ჰკულისხმობს ამ აქტების მატარე-ბელსაც ე. ი. სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას. ეს მოსაზრებაც უბრალო გაუგებრობას წარმოადგენს. ასეთი გაუგებრობის შესაძლებლობას თითქოს

¹⁾ იხ. Mehl, op. cit. s. 179 ff.; Kelsen, Allgemeine staatslehre, 1925, s. 104 ff.

პგრანობდა საფეხურებრივი თეორიის წარმომადგენელი მერკლი (სწორედ ის მერკლი, რომელსაც რეცენზენტი უთითებს) და ამიტომ იგბარქონენკის თვის ნაშრომში გარკვევით აღნიშნავს, ¹⁾ რომ გამოთქმის „staatsakt“ (სახელმწიფოებრივი აქტი) იგი ხმარობს „nur als Mittel der Verständigung mit dem Leser და რომ პრეციზული აღნიშვნისთვის უნდა ხმარებულ იქნეს თერმინი „Rechtserscheinung“ ე. ი. სამართლებრივი მოვლენა. ამ მითითებიდან აშკარაა, რომ ტერმინი „staatsakt“ სამართლის საფეხურებრივი თეორიის დარგლებში იხმარება, როგორც ტექნიკური ტერმინი და არა როგორც იმ გარემოების აღნიშვნელი ცნება, რომ თითქოს სახელმწიფო აქტის „მატარებელი“ იყოს. ჩვენი რეცენზენტის მთელი მსჯელობა-კი მხოლოდ ასეთს „ტერმინოლოგიურ საფუძველს“ ემყარება და საკმარისია „სახელმწიფოებრივი აქტის“ ნაცვლად ვიხმაროთ ტერმინი „სამართლებრივი მოვლენა“, რომ მას დასაყრდენი ფუძე გამოეცალოს.

ზევით მოყვანილი მოსაზრების გარდა, რეცენზენტი, სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობის აუტელეზლობის დასამტკიცებლად, შემდეგ საკვირველ არგუმენტაციას მიმართავს:

თუ ავტორი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა ერთგვარი განსაზღვრული სისტემაა, მას სახელმწიფო აუტელეზლად იურიდიულ პირად უნდა აღიარებინა“ და რამოდენიმე სტრიქონით ჰქვიათ: „თუ ჩვენ არ მივიღეთ სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება დაპირაჲი იმის შესახებ, რომ სამ. მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს (გვ. 214--215).

ამგვარად, ჩვენი კრიტიკოსის აზრით, ნორმათა გარკვეული სისტემის სამართლის სხვა ნორმებიდან გამოყოფა და სახელმწიფო სამ. მეცნიერების ობიექტად დასახვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოს იურიდიულ პირად ვიცნობთ. ამ არგუმენტაციაში საკვირველია ერთი რამ: რატომ მართო სახ. სამ. მეცნიერებას უნდა ახასიათებდეს ასეთი მდგომარეობა? ან შესაძლებელია რეცენზენტი ფიქრობს, რომ სხვა იურიდიულ მეცნიერებებში მდგომარეობა ანალოგიურია, ე. ი. რომ იქაც ნორმათა სისტემის ჩამოყალიბებისა და გამოყოფისთვის საჭიროა იურიდიული პირის იდეისადმი მიმართვა? მაშინ ჩვენთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა რეცენზენტის აზრი იმის შესახებ, თუ რომელი იურიდიული პირის იდეა უძვეეს საფუძვლად იმ ნორმათა სისტემის, რომელიც სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისა ან აღმინისტრაციული, სისხლის და სხვ. სამართლის მეცნიერებათა საგანს შეადგენს, აშკარაა, რომ არც ერთ აქ დასახელებულ მეცნიერებაში ნორმათა გარკვეული სისტემა, რომელიც თითოეული მათგანის შესწავლის საგანს შეადგენს, არ ემყარება იურიდიული პირის იდეას. და თუ-კი აღნიშნულ მეცნიერებებში ნორმათა გარკვეული სისტემის თითოეული მათგანისათვის გამოყოფა შესაძლებელია იურიდიული პირის იდეის გარეშე, აშკარაა, რომ ასეთ შესაძლებლობას მოკლებული არ

¹⁾ იხ. Merkl, Die Lehre von der Rechtskraft, s. 218.

იქნება არც სახ. სამ. მეცნიერება. ამგვარად, არც ერთი ზევით მოყვანილი მოსაზრებით არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს იურიდიულ ფუნქციონირების აუცილებლობა, ამიტომ ყველა ის დასკვნა, რომელიც რეცენზენტს შეეძებოდა მოყვანილ დებულებიდან გამომდინარე, პაერშია დაკიდებული. რეცენზენტის მთელი მსჯელობა რეცენზიის ამ ნაწილში შემდგენაირია: 1) სარეცენზიო ნაშრომის ავტორისთვის აუცილებელი იყო სამართლის საფეხურებრივ თეორიაზე დაყრდნობა; 2) აღნიშნული თეორია მოითხოვს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას; 3) სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა საჭიროა აგრეთვე იმისთვის, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემა დაესაბოთ; 4) ამიტომ, სარეცენზიო ნაშრომისთვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობა; 5) იურიდიული პირი სარეცენზიო ნაშრომის თანახმად საეგზეით სამართლის შინაარსით ამოიწურება; 6) მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სარეცენზიო ნაშრომის დებულებას, რომლის თანახმად სახელმწიფოში ორი მხარეა—სოციალური და სამართლებრივი, აუცილებელია დასკვნა, რომ სახელმწიფო, რამდენადაც სახელმწიფოს მხოლოდ სამართლებრივი მხარე შეიძლება განსახიერებულ იქნეს სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის ცნებაში, ერთი თავისი ნაწილით გვევლინება, როგორც იურიდიული პირი, მეორე ნაწილით—იგი ასეთ პირს არ წარმოადგენს.

მთელი ეს მსჯელობა თავიდან ბოლომდე ყალბსა და უნიადგო დებულებებზეა აგებული. სახელდობრ, ამ მსჯელობის პირველი დებულების საწინააღმდეგოდ ზევით დამტკიცებულია, რომ სამართლის საფეხურებრივი თეორიისადმი მიმართვა სარეცენზიო ნაშრომისთვის საჭირო არ იყო; შემდეგ, დამტკიცებულია ისიც, რომ აღნიშნულ თეორიასა და სახელმწიფოს იურიდიულ პირად აღიარებას შორის არავითარი ლოგიკური კავშირი არ არსებობს; დამტკიცებულია ისიც, რომ სახ. სამ. მეცნიერების საგნად ნორმათა სისტემის დასახვა არ მოითხოვს სახელმწიფოს იურიდიულ პირად ცნობას, ყოველივე ამით კი ის არის დამტკიცებული, რომ სარეცენზიო ნაშრომისთვის საჭირო არ იყო სახელმწიფოს იურიდიული პირის იდეისადმი მიმართვა, ე. ი. ის, რომ რეცენზენტის საბოლოო დასკვნას ნიადავი არ აქვს.

დაგერჩა კიდევ სათქმელი ორიოდ სიტყვა რეცენზენტის იმ დასკვნების შესახებ, რომელიც მას მოყვანილი აქვს 216—217 გვერდზე და სადაც აღნიშნულია, თითქოს სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი დებულებების მიხედვით შეუძლებელი იყოს ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის დაყენება—კი. თავის დასკვნას აქ რეცენზენტი ორ მოსაზრებას ამყარებს: 1) იმას, რომ თითქოს „ავტორის მეთოდით კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გაწყვეტილი იყოს“ და 2) რომ თითქოს სარეცენზიო ნაშრომში გატარებული არ იყოს განსხვავება ხელისუფლებასა და ძალის ცნებებს შორის; რომ, სახელდობრ, ხელისუფლება უნდა გაგებულ იქნეს, როგორც „სამართლით მოწესრიგებული ძალა“ ან როგორც „სამართლის მიერ

მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა“, ასეთი გაგებით-კი იგი „აუცილებლად შეერთვის სამართლებრივს“.

ამ მოსაზრებებიდან პირველი ანგარიშგასაწევი არ არის, ცნობილი იგი სარეცენზიო ნაშრომში გამოთქმული აზრების ყალბად გადმოცემას ეწყობება (როგორც ეს ჩანს ჩვენი წერილის დასაწყისში მოყვანილი ადგილებიდან).

ანგარიშგასაწევი არ არის არც მეორე მოსაზრება. რაიმე დამაჯერებელი ძალა მას ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული იქნებოდა, რომ ხელისუფლება, ან უფრო სწორედ Gewalt (ვინაიდან სარეცენზიო ნაშრომის სიტყვა Gewalt-ის ხმარობს და მას ქართულად თერმინი „ხელისუფლება“ საქებით ადეკვატურად არ გადმოსცემს). უნდა გაგებულ იქნეს, როგორც „სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა“. მაგრამ სად ან ვინ დაამტკიცა, რომ ამ ცნებას სწორედ ასეთი შინაარსი უნდა მიეცეს? თვით რეცენზენტს ამის დასამტკიცებლად ერთი მოსაზრებაც კი არ მოჰყავს, ხოლო ლიტერატურას თუ მიემართავთ, დაეინახავთ¹⁾, რომ Gewalt-ის ცნებით, უმრავლეს შემთხვევებში, სწორედ ძალა იგულისხმება, რაიმე სამართლებრივი მომენტებისგან გაშიშვლებული, ამიტომ ამ ცნების ხმარება სოციალურის აღსანიშნავად და უკანასკნელის სამართლისგან განსხვავების მიზნით სავსებით ეთანაბრება ამ ცნების გაფრცხვლებულ ხმარებას და იგი სრულიად გამართლებულია.

ბოლოს საჭიროა კიდევ ერთი მომენტის აღნიშვნა: რეცენზენტი ჰუიქრობს, რომ, სარეცენზიო ნაშრომის მეთოდის მიხედვით, თითქოს შეუძლებელი იყოს ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთობის პრობლემის დაყენება. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ მოსაზრებათა დეტალურ განხილვას, რომელნიც რეცენზენტს 217 გვერდზე აქვს მოყვანილი, ვინაიდან ეს რეცენზიის რეცენზია იქნებოდა. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ამ მოსაზრებათა მიხედვით რეცენზენტი ხელისუფლებისა და სამართლებრივის გაიგივებამდე მიდის. მაგრამ, თუ ამას გაითვალისწინებთ, უნდა გახდებოდეს, რომ ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი სწორედ ჩვენი რეცენზენტისთვის არის გადაქცეული შეუძლებელ პრობლემად²⁾.

1) ამის შესახებ Ad. Menzel, Zum Problem „Recht und Macht“, Zeitschr. f. off. Recht, 1925, Bd. V, S. 2 off.

2) ტენივერი დაბრკოლების გამო ეს წერილი იბეჭდება დაგვიანებით



აგრარული საკითხი და აგრარული ურთიერთობა საქართველოში 1905 წლის რევოლუციამდე

1. საგლეხო რეფორმა საქართველოში და მისი ეკონომიური შედეგები.

საგლეხო რეფორმა, რომელიც ჩატარდა საქართველოში (მე-60-ე წლებში) მრავალი თავისებურებით ხასიათდება. ამ თავისებურებათა გარკვევისათვის საჭიროა ვაეცხო ცარიზმის პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში საგლეხო რეფორმამდე. როგორი იყო ცარიზმის აგრარული პოლიტიკის პრინციპიალური საფუძველი მე 19 საუკუნის პირველ ნახევარში? რითი ზღვამდვანელობდენ მეფის ჩინოვნიკები ამ კარდინალურ საკითხში?

ცნობილია, რომ მეფის მთავრობა მემამულეების მთავრობა იყო. იგი ყველგან ამ პრივილეგიური კლასის ინტერესების დამცველათ გამოდიოდა. ასე იყო ცენტრალურ რუსეთში, ასე იყო საერთოთ განაპირა ქვეყნებში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში.

მემამულეთა ინტერესებმა აიძულა მეფის მთავრობა გაეტარებია საგლეხო რეფორმა რუსეთში 1861 წ. საჭირო იყო გლეხობის ზევიდან განთავისუფლება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვით გაინთავისუფლებდენ თავს. მეფის მთავრობის ამოცანას შეადგენდა, რომ გლეხობის განთავისუფლების შემდეგ მაქადმყოლობელებს რაც შეიძლება მეტი პრივილეგიები შერჩენოდათ. ეს ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული 1861 წელს.

მაგრამ დამახასიათებელი ის არის, რომ ამ ამოცანის განხორციელება სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად სწარმოებდა. ჩვენ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ამიერ-კავკასია.

მეფის მთავრობის დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის მიწადმყოლობელებთან არ შეიძლება ისეთივე ყოფილიყო, როგორც ცენტრალურ გუბერნიებში. ამიერ-კავკასიის ზოგიერთ თავისებურებათა გამო ეს დამოკიდებულება ცოტა სხვანაირი უნდა ყოფილიყო.

მე 19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასია ფაქტიურად ჩამოშორებული იყო რუსეთს. ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი რკინის გზა, არ იყო დამყარებული მათ შორის მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა. უკვე ეს გარემოება იწვევდა დიდ შიშს მმართველ წრეებში. მაგრამ ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის მოსახლეობა მაშინაც მრავალი ტომისა და ეროვნებისაგან შესდგებოდა. ეროვნული საკითხი მწვევებ ხასიათს იღებდა. რადგან მეფის მთავრობა ამიერ-კავკასიაში აწარმოებდა ეროვნებათა ჩაგვრის და დამონავემის პოლიტიკას, რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

მაშასადამე გლეხობის ეკონომიურ დამონავემას ამიერ-კავკასიაში თანდაერთო ეროვნული ჩაგვრა. ეს ორმაგი ჩაგვრა რუსეთიდან ჩამოშორებულ ამიერ-კავკასიის პირობებში ქმნიდა ძლიერ რთულ პირობებს, მით უმეტეს, რომ ამ ეროვნულ ჩაგვრას არ ურიგდებოდა პრივილეგიური კლასის ყველა ფენა. ამიერ-კავკასიაში დაგროვდა მრავალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც დამხობით ემუქრებოდა მეფის ჩინოვნიკების ბატონობას.

მეფის მთავრობას შესანიშნავად ესმოდა ეს რთული პირობები, ხელისუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად საჭირო ეყოფოდა სოციალური დასაყრდენი ბაზა. საჭირო იყო მტკიცე კავშირის დადგენა ამიერ-კავკასიის პრივილეგიურ კლასებთან, მეტი დათმობა მათთვის. ცარიზმის აგრარული, გლეხური პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში ამ სულისკვეთებით იყო გაჯღნული.

როდესაც რუსეთში მზადდებოდა დიდი საგლეხო რეფორმა, ამიერ-კავკასიაში მიმდინარეობდა ბატონყმობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების პროცესი. მეფის მოხელეებს ეს ზომა მეტად საჭიროდ მიაჩნდათ. სენატორი მენნიკოვი, რომელიც რევოზიას უკეთებდა ამიერ-კავკასიის შხარეს 1830-31 წელს, სწერდა იუსტიციის მინისტრს, რომ საქართველოში შემამულეები წარმოადგენენ საუკეთესო და საიმედო პოლიციას, ბევრად უფრო შრავალრიცხოვანს, ვიდრე შეუძლია იყოლიოს მთავრობამ, და რომ ქართველ შემამულეთა ყმებს სრულიად არ უნდა მიეცეს თავისუფლება, ან და თავისუფლება დამზებული უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევებში¹⁾

მეორე მეფის მოხელე, თავად ვროსნოვი თავის მოხსენებაში 1846 წელს ასეთნაირად ასახულებდა ბატონყმობის საჭიროებას:

ყველგან, სადაც კი ხალხი მოკლადკობრიობის დაბალ საფეხურზე იმყოფება მთავრობისათვის გაცილებით უფრო ძვილია მთელ მასებზე მოქმედება, ვიდრე ერთ წოდებაზე, რომელიც უფრო განათლებულია და რომელსაც, ნაშისადაც მეტი გავლენა აქვს. აქ კი (კავკასიაში) ამ შხარის პოლიტიკური მდგომარეობის გამო სამხელენი კიდევ უფრო საგრძნობია, ამიტომ არამც თუ არ შეიძლება უმაღლესი წოდების უფლებების „უწყვეტა“, არამედ საჭიროა ამ უფლებათა დაცვა და გაძლიერება, ვინაიდან მხოლოდ არისტოკრატიულ საწყისს შეუძლია დასაძლიოს დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც განუთაროდა და ღრმად გაიდგა ფესვები და რომლის წინააღმდეგაც აქამდე მიმართული იყო მხოლოდ იარაღი, მეტი დასაფრუენი კი არ არსებობდა. 2)

მეფის მთავრობა 1861 წლამდე ემყარებოდა ზემოთ აღნიშნულ „პრინციპიალურ“ მოსაზრებებს და თავის სატრაპების მოხსენებებს და ატარებდა ამიერ-კავკასიაში გლეხობის დამონავების პოლიტიკას (ზნათალის ოლქი და ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის გუბერნიები) იმ გუბერნიებში კი, სადაც გლეხობა უკვე ბატონყმურ პირობებში იმყოფებოდა (ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში) მეფის მთავრობა ხელს უწყობდა გლეხების ჩაგვრას და მათ დამონავებას ადგილობრივ თავადებისა და შემამულეების მიერ.

მაგრამ 1861 წელში ხმებმა გლეხობის განთავისუფლების შესახებ მიიღწია ამიერ-კავკასიის შორეულ კუთხეებამდისაც. ეს დიდათ მოულოდნელი ამბავი იყო ადგილობრივ შემამულეებისა და აზნაურებისათვის. ისინი შეაკრად ილაშქრებდნენ საგლეხო რეფორმის წინააღმდეგ, მაგრამ რალაც რეფორმის გატარება მაინც აუცილებელი იყო. ამიერ-კავკასიის მმართველი წრეები იძულებულნი იყვნენ ხელი მოეციდათ საგლეხო რეფორმის საკითხებისათვის, 1864 წლის 8 ნოემბერს მეფის მოადგილემ გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის მოწოდება სოფლის მოსახლეობისადმი:

ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულნი სოფლის მცხოვრებლებო (ობივატლებო)! დააფასეთ იმ უფლებათა წინაშეუდობა, რომელიც თქვენ ამჟამადან გენიჭებათ. ეს უფლებები გზდის თქვენ თქვენი ქონების „სრულ“ პატრონად თქვენი შრომის „სრულ“ გამგებლად 3)

ჩვენ ვიცით თუ როგორ შეაფასა გლეხობამ თავისი განთავისუფლება 1905—6 წ. წ. ამ უდიდეს მოტყუილებას მან უპასუხა მასიური და შესანიშნავი

1) ბატონყმობის შესახებ საქართველოში. გვ. 11.

2) თრესტ სემინი—უფიოვის წლის თავი. აგრარული საკითხი და საგლეხო ბატონყმური რეფორმა ამიერ-კავკასიაში. ისტორიული მიმოხილვა. კიევი, 1914 წ. გ. 16.

3) იმ. სემინი—აღნიშნულიმოთხ. გვ.—11.



ეად მოწყობილი გლეხური აჯანყებებით. მაგრამ ამჟამად ჩვენ ეს არ გვიინტერესებს. ჩვენ უნდა ვავარკვიოთ საქართველოში ჩატარებულ საგლეხურ რეფორმის არსება და მისი თვისებებები.

კავკასიის მეფის მოადგილე თვის უჭვეშევრდომილეს მოხსენებაში 1863—71 წ. შემდეგ სწერდა: „ახლა თამამად შემიძლია განვეცხადო: მთელ კავკასიაში, ისე როგორც იმპერიის სხვა ნაწილებში, ბატონყმობა მხოლოდ ისტორიულ მოგონებად დარჩა“¹⁾. ჩვენ ვიცით თუ როგორ იქნა „მოსპობილი“ რუსეთში ბატონყმობა. ბატონყმობა იქაც არ იყო ისტორიული მოგონება. რაც შეეხება საქართველოს აქ ის წარმოადგენდა აშკარა სინამდვილეს.

სხვა მოადგილეები ცოტა უფრო სხვა შეხედულების იყვნენ საქართველოში ჩატარებულ საგლეხო რეფორმაზე და ისინი იმუშებულნი იყვნენ შეეტანათ „შესწორება“ თავის წინამორბედის მოხსენებაში. ასე მავალითად ერთ-ერთ უჭვეშევრდომილეს წერილში სიტყვა-სიტყვით შემდეგი ეწერა: „სავალდებულო ურთიერთობა, რომელიც არსებობს ამჟამად ადგილობრივ გლეხებსა და მიწათმფლობელთა შორის, წარმოადგენს უარყოფით მოვლენას. ეს ურთიერთობა უნდა მოისპოს, რადგან იგი საზიანოა ორივე კლასის (მიწათმფლობელთათვის და გლეხობისთვის) მორალური განვითარებისათვის, ხელს უშლის ორივეს ინიციატივას საკუთარ მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში და მით საერთოდ მთელი მხარის ეკონომიურ განვითარებას“²⁾.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი (მეფის მოადგილე კავკასიაში) აცხადებდა, რომ საქართველოში „გლეხობის უმრავლესობის ეკონომიური მდგომარეობა ბატონყმობის გადავადების შემდეგ პირდაპირ გაუარესდა“.

როგორც სწინს ბატონყმობის მოსპობა ისე არ მომხდარა როგორც ეს ეჩვენებოდა მე-60 წლებში მეფის მოადგილეს. ისტორიამ გამოაშკარავა მისი ცნობის სრული სიკრულე. თვით შემდეგი მეფის მოადგილენიც კი არ თარავდენ ამას.

საგლეხო რეფორმა საქართველოში ჩატარდა 1864 წელს. მიწადმფლობელნი, რომლებიც სასტიკი წინააღმდეგობით ხედებოდენ პირველად ამ რეფორმის მალე შერიგდენ მას. ისინი არაფერს არ კარგავდენ ამ რეფორმით, პირიქით ბევრსაც იგებდენ. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ყიფიანმა 1864 წელს მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ შეშვენილი სიტყვებით მიმართა მეფის მოადგილეს:

იმპერატორის მოწყალება, რომელიც მან მხოლოდ ჩვენ მოგვანიჭა, სპობს თავად-აზნაურობის მიწა იმის შესახებ, რომ თითქოს რეფორმა რაიმე ნივთიერ ხიანს მოაყენებს თავად-აზნაურობას“-ო.

თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ყიფიანმა უკეთ ვაიგო ეგრედწოდებული საგლეხო რეფორმის აზრი, ვიდრე მეფის მოადგილემ. მიწათმფლობელნიმ გაიგეს, რომ თუმც რეფორმა იურიდიულად ანთავისუფლებს გლეხობას, მაგრამ ფაქტურად, ე. ი. ეკონომიურად კიდევ უფრო მძიმე პირობებში აყენებს მათ. ხოლო ეკონომიური, ე. ი. ნივთიერი საკითხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იყო მიწათმფლობელთათვის. ეს მნიშვნელოვანი საკითხი კი საესებთ და მთლიანათ შემამულეთა სასარგებლოდ გადასწყდა.

რაშია საქართველოში ჩატარებული საგლეხო რეფორმის რაობა? რა შეადგენს მის თავისებურებას?)

საქართველოში საგლეხო რეფორმა საერთოთ შემდეგში გამოიხატებოდა: გლეხები სამუდამოთ თავისუფლდებოდენ ბატონყმური დამოუკიდებლობისაგან,

¹⁾ კავკასიის მოადგილის უჭვეშევრდომილესი მოხსენება სამოქალაქო გამგებლობის ბაზით კავკასიაში და ამიერ კავკასიაში 1863—1871 წ.

²⁾ სამოქალაქო ნაწილის მთავარმართველის უჭვეშევრდომილესი მოხსენება 1867 წ.—1902 წ. გვ. 89.

ამავე დროს ისპობოდა ამ დამოუკიდებლულებასთან დაკავშირებულ ყოველგვარი პირადი ვალდებულებანი, როგორცაა: მოსამახურებელი ფულსა და მკურნალობის მიზნით, განსახლებულ დროისა და პირობებში ფულსა და კაქონის მიძღვნა იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებული იყო და სხვ. ამის მაგივრათა მემამულეებს ერთდროულად ეძლეოდათ ხაზინის საშუალებებიდან ფულადი ანაზღაურება თითო მამაკაცზე არა ნაკლებ 25 მანეთის რაოდენობით, ხოლო უფრო შეუძლო მემამულეებს სულზე 50 მანეთი.

